

K251 623
3

საქართველოს
სამეცნიერო
აქადემია

ვახტანგ იმნაიშვილი

ანდაზინება მოყვროსა...

სარო ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა
ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

თბილისი
2006

F 882B1

3



ვახტანგ იმნაიშვილი

არდავიწევა მოყვრისა...

(ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა
ეპისტოლური მემკვიდრეობიდან)

თბილისი
2006


წინამდებარე წიგნს საფუძვლად დაედო სხვადასხვა დროს ავსტრიაში ჩემი ყოფნის დროს (1975-76, 1983, 2000, 2005-06 წ.წ.) გრაცის უნივერსიტეტში მოპოვებული მასალები ჰუგო შუხართის არქივიდან. აქა-იქ თბილისის არქივებში დაცული მასალებიცაა გამოყენებული. ეს მასალები ძირითადად გერმანულ ენაზეა, მაგრამ შიგადაშიგ ინგლისურ- და ფრანგულენოვანიც გამოერევა. ზოგჯერ ჩემეული თარგმანი მძიმე ენის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც მე თვითონ ვგრძნობ, მაგრამ ამას გარკვეული მიზეზი აქვს: მინდოდა, ქართული თარგმანი დედანთან რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო, რამაც თავისი დალი დატოვა.

უცხოენოვან წერილებში გამორეული ცალკეული ქართული სიტყვები, ფრაზები თუ აბზაცები ჩემეულ ქართულ თარგმანში ზოგან სქოლიოშია საგანგებოდ მითითებული, ზოგან კი კუთხოვან ბრჭყალებში არის ჩასმული, ქართულად დაწერილ წერილებში კი ავტორთა სტილი და მართლწერა უცვლელადაა დატოვებული.

ნათარგმნში რომ არ აირიოს, ქართულ წერილებს რიგით ნომერთან ვარსკვლავი (*) ახლავს.


რედაქტორი - პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე

დამკავშირებელი - ვაჟა იმნაიშვილი



ავტორი გულითად მადლობას უხდის ბატონებს სლავა მესხსა და ვანო კიკნაძეს საგანგებოდ შექმნილი შრიფტების მონოდებისათვის

K 251623



ვუძღვნი დედაჩემის, მარიამ მაჩხანელის,
ნათელ სსოვნას
ავტორი

ჰუმო მუხბართი სანერი მაგიდის მიღმა

„მხოლოდ განსხვავებული შეხედულებების ურ-
თიერთჭიდილში მიაბიჯებს მეცნიერება წინ“

ჰ.მუხბართი

პირველ რიგში საჭიროდ ვთვლი, ქართველ მკითხველს უფრო ახლოს გავაცნო ქართული ენის ერთერთი უანგარო მოჭირნახულე, სახელმობხვეჭილი ავსტრიელი მკვლევარი ჰუმო მუხბართი. ჩემს მიზანს არ წარმოადგენს მისი მეცნიერული ნაშრომების გაანალიზება. მათ შესახებ არაერთი ნაშრომი არის გამოქვეყნებული. მე მინდა, სრულიად სხვა მხრიდან წარმოვაჩინო ეს დიდებული პიროვნება. ვფიქრობ, იგი საინტერესო უნდა იყოს სანერი მაგიდის მიღმაც. აქ მკითხველი ისეთი კუთხით გაეცნობა სახელოვანი მეცნიერის ცხოვრებას, რაც ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი უნდა იყოს, არადა მასში ბევრ საყურადღებო ფაქტს თუ ანგარიშგასანევ აზრს ამოიკითხავს. ეს ნარკვევი ეყრდნობა, ერთი მხრივ, ჰუმო მუხბართისადმი გაგზავნილ უამრავ წერილს, რომელთა რიცხვი 13000-მდე აღწევს, მისი კოლეგების, მოწაფეების, მეგობრების, ახლობლების, ნათესავების მოგონებებს, ზოგს – გამოქვეყნებულს, ზოგს – გამოუქვეყნებელს. მეორე მხრივ, საშუალება მქონდა, გაცნობოდი თვით მუხბართის წერილებს ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და აკაკი შანიძისადმი, აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი, რომლებიც, საბედნიეროდ, საქართველოში არის შემონახული, ასევე, მისი უცხოელი კოლეგებისადმი. დიდად ვარ დავალებული დოქტორ მიხაელა ვოლფისგან, გრაცის უნივერსიტეტის თანამშრომლისგან, რომელმაც წლები შეაღია ჰუმო მუხბართის უზარმაზარი არქივის შესწავლას და მის ერთგვარად მოწესრიგებას. მის მიერ მონათხრობი არაერთი საინტერესო ფაქტი მუხბართის პირადი ცხოვრებიდან მისივე ნებართვით აისახა წინამდებარე ნაშრომში. ბევრი საყურადღებო ცნობა მომანოდეს გრაცის ოთხასწლოვანი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ბოლოდროინდელმა ხელმძღვანელებმა – დოქტორმა მარია მაიროლდმა და დოქტორმა ჰანს ცოტერმა. თითოეულ მათგანს უღრმეს მადლობას მოვასხენებ. დიდი დახმარება გამინია ერისტერის მო-

გონებებმა შუხართზე, რასაც ხშირად ვეყრდნობი.

სახელგანთქმული ავსტრიელი ენათმეცნიერის, რომანული ენების გამოჩენილი მკვლევრის, 770 გამოქვეყნებული მეცნიერული შრომის ავტორის, ჰუგო შუხართის, სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ენათმეცნიერებასთანაც. მსოფლიო სახელის მქონე ამ ბუმბერაზ მეცნიერს ქართული ენის არაერთი პრობლემური საკითხის შესახებაც აქვს დაწერილი ოცამდე ნაშრომი. ამ რანგის მკვლევრის მიერ ქართული ენისადმი საგანგებო ნაშრომების მიძღვნა, თავისთავად, დიდი პატივია ჩვენთვის, ქართველებისთვის, მაგრამ, ვფიქრობ, გაცილებით უფრო მეტად არის დასაფასებელი ის ღვაწლი, რაც ჰუგო შუხართს მიუძღვის ძველისძველი ქართული ხელნაწერების დალუპვისაგან (ან, უკეთეს შემთხვევაში – ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებსა თუ პირად კოლექციებში გაფანტვისაგან) გადარჩენაში, რაკილა სწორედ მან შეიძინა სინას მთიდან მოპარული მრავალჭირგამოვლილი ხელნაწერები, უმატრონა და ბოლოს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ანდერძით გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიუჩინა საიმედო ბინა. არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, ამ ხელნაწერებსაც ის ბედი გაეზიარებინათ, რაც მეორე ცნობილი ავსტრიელი აკადემიკოსის, ჰუგო შუხართის თანამედროვის, ფრიდრიხ მიულერის, კუთვნილ ქართულ ხელნაწერებს ხვდათ: დღეს მათი კვალი, სამწუხაროდ, აღარსად ჩანს.

ჰუგო შუხართი იყო ქართული ენის ერთერთი საუკეთესო უცხოელი მკვლევარი. იგი, გარდა ქართულისა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ორ ათეულზე მეტ ენას იკვლევდა საფუძვლიანად. მან ჩვენს ენასა და მის მომიჯნავე დისციპლინებს ოცამდე ნაშრომი მიუძღვნა – წიგნები, სტატიები, შენიშვნები ქართველ თუ უცხოელ ავტორთა გამოკვლევებზე ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ (ა.ცაგარლის, ს.ხუნდაძის, მ.უორდროპის, ა.დირის... ნაშრომებზე), რომლებსაც ის ევროპის იმდროინდელ პრესტიჟულ ჟურნალებსა და გაზეთებში ბეჭდავდა. შუხართი თვითონაც წერს და მისი კოლეგებიც არაერთგზის აღნიშნავენ, რომ მისთვის ქართული მეტად სიმპათიური და საინტერესო ენა იყო, სხვათაგან მრავალმხრივ გამორჩეული და მეტად მნიშვნელოვანი. ამ სიტყვებს მისი ნაშრომებიც უმაგრებენ მხარს. ამასვე ადასტურებს მისი საქმიანი ურთიერთობა ქართველ მეცნიერებთან, მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ევროპის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებთან (ფილიპე გოგიჩაიშვილთან, ნოე ჟორდანიასთან, ალექსანდრე ბეშკენაძესთან...), აგრეთვე იმ ევროპელ მეცნიერებთან, რომლებთანაც იგი ქართული ენის საერთო სიყვარულმა დააახლოვა. აი, ქართულის შესახებ ჰუგო შუხართის გამოკვლევათაგან ზოგიერთი უფრო მნიშვნელოვანი: „ქართული ენის შესახებ“ (1895); „ტრანზიტის

პასიური ბუნების შესახებ კავკასიურ ენებში“ (1895); „ქართველური ენათმეცნიერება“. I (1896), II (1896), III (1897); „ქართული ხელნაწერი Torre del Greco-ში“ (1896); „ქართული ყე ნაწილაკი“ (1896); „ქართველური (სამხრეთკავკასიური) ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“ /რუკითურთ/ (1897); „რუმინული ქართულ შრიფტში“ (1897); „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 17 ქართული ხელნაწერის შესახებ“ (1898); „ქართული ნ და ჭ“ (1902); „ცნობები ქართული ხელნაწერებიდან“ (1927)!...

ამ გამოკვლევებით ჰუგო შუხართი პოპულარიზაციას უწევდა ქართულ ენას ევროპულ სამეცნიერო წრეებში (ევროპელი მკვლევრები სწორედ მას მიმართავდნენ მათთვის ბუნდოვანი ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად ქართულ ენაში) და ამიტომ ქართველი ნაცნობ-მეგობრები უშურველად უგზავნიდნენ მას საჭირო ლიტერატურას გრაცში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ნარკვევის მიზანი არაა ჰუგო შუხართის მეცნიერული ნაშრომების ანალიზი, თუნდაც მხოლოდ ქართულის შესახებ დანერილი წიგნებისა თუ სტატიების შეფასება, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ამ დიდი მკვლევრის მეცნიერული თუ საყოფაცხოვრებო ინტერესების დიაპაზონის წარმოჩენა. მხოლოდ იმ საკითხების ჩამოთვლაც კი, რომლებზეც ჰ. შუხართი და მისი კორესპონდენტები ერთმანეთს უზიარებდნენ აზრებს, ნათელ წარმოდგენას მოგვცემს გრაცელი პროფესორის უზარმაზარ ინტელექტზე. ბევრი მისი აზრი დღესაც აქტუალურია.

ჰუგო შუხართი დაიბადა 1842 წლის 4 თებერვალს გერმანიაში, ქალაქ გოთაში. მისი ოფიციალური სახელია ჰუგო ერნსტ მარიო. ერნსტ მამამისის სახელია, მარიო კი მისი ნათლის, ჰერცოგინია მარიას, პატივსაცემად უწოდეს, ოღონდ მამაკაცურ ყაიდზე გადასხვაფერეს.

პატარა ჰუგო არისტოკრატიულ ოჯახში იზრდებოდა. დედის მხრიდან ჰუგოს ბაბუა (სამუელ ფონ ბრიდელ-ბრიდერი) საელჩოს საიდუმლო მრჩეველი იყო, საქსონიელი პრინცის, ერნსტ II-ის, აღმზრდელი, ხოლო ბებია (ლუიტიგარდე ბერენშტაინი), სასახლესთან დაახლოებულ წრეს ეკუთვნოდა. ჰუგოს დედა, მალვინა ფონ ბრიდელ-ბრიდერი (1815-1899), შვეიცარიულ პანსიონში იზრდებოდა და ფრანგულად უკეთ ლაპარაკობდა, ვიდრე გერმანულად. მალვინა იყო ფრეილინა მმართველი ჰერცოგინია მარიას კარზე. იგი ცოლად გაჰყვა ჰერცოგის ნოტარიუსსა და იუსტიციის მრჩეველს, დოქტორ ერნსტ იულიუს შუხართს (1805-1885), რომლის მამაც წარმატებული ვაჭარი იყო. ერნსტ შუხართი მეტად დასაქმებული, განათლებული

¹ დანერილია 1897 წელს.

კაცი იყო, კარგად იცოდა გერმანული და ლათინური პოეზია. 1828 წელს იგი დორბურგში თვით გოეთესთან ყოფილა სტუმრად. მამა ჰუგოს მკაცრად ზრდიდა არა მარტო პატარაობისას, არამედ მერეც, როცა შვილი წამოეზარდა. იგი იშვიათად იყო ხოლმე შვილის წარმატებით კმაყოფილი, თუმცა ვაჟი ძალიან უყვარდა და თავიდანვე ზრუნავდა მისთვის კარიერის შექმნაზე. იუსტიციის მრჩეველი, ცოტა არ იყოს, ძველმოდური კაცი იყო და მძიმე ხასიათი ჰქონდა. ახირებაც იცოდა. ჰუგო ზოგჯერ შეზღუდული იყო მისგან. მაგალითად, მას არ უნდა ესწავლა უნგრული, არ უნდა წასულიყო ბუდაპეშტში, რადგან, მამის აზრით, შვილის ეს ნაბიჯი არ ესაიამოვნებოდათ „იქ“, ზემოთ. მამას არ მოსწონდა, მაგალითად, როცა ჰუგო ვულგარულ ლათინურზე მუშაობდა, არც შვილის მიერ აფრიკული ენების კვლევა მოსდიოდა თვალში. შვილისგან განსხვავებით, მამას იუმორი აკლდა. ჰუგოს მამისა ეშინოდა, დედა კი, მეტად ფაქიზი, ნაზი პატარა ქალი, ყველაფერს ერჩივნა და ძალიან უყვარდა. მამის სიკვდილის შემდეგ ჰუგომ დედის გადაყვანა მოინდომა გრაცში, მაგრამ ვერ მოახერხა. მას დედამისისთვის ასეულობით წერილი აქვს გაგზავნილი. რაკი მეცნიერული შინაარსისას ვერ მისწერდა, ამ წერილებში – ადრეული ასაკიდან შუა ხანებამდე – შეუწყვეტილ მოუთხრობდა დედას ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებზე, აღუწერდა გამოფენებზე ნანახ სურათებს... დედის დაბადების დღეს ყოველთვის აღნიშნავდა ხოლმე ამხანაგების წრეში, არ ავიწყლებოდა, რომ მის მიმართ მზრუნველობა გამოეჩინა, რჩევა-დარიგება მიეცა და, როცა თვითონ საცხოვრებლად გრაცში დაფუძნდა, წელიწადში ორ-სამჯერ მაინც ჩადიოდა მასთან გოთაში მოსანახულებლად. ერთხელ, საშობაოდ, გაზეთში წაიკითხა განცხდება ერთ უმწეო მარტოხელა ქალზე, რომელიც დახმარებას საჭიროებდა. ამის შესახებ დედამისს მისწერა: ის ქალბატონი, მოხუცი დედიკო, ბევრად ხნიერია შენზე და მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. მოვინახულე და დავასაჩუქრე, რადგან წინ შენი სახე მიძლოდაო. ისიც უნდა ითქვას, რომ მას, საერთოდ, ეჯავრებოდა საშობაოდ დღესასწაულების გატარება უცხო საზოგადოებაში.

ჰუგო პატარაობიდანვე გამორჩეული ბავშვი იყო. ადრეულ ასაკშივე გამოამყლავნა ნიჭიერება და დაუოკებელი ინტერესი გარესამყაროსადმი. სამი წლიდან მარდად დარბოდა ნანგრევებსა და ხეებში ქალაქგარეთ გასეირნებისას და ხშირად შინ სიცხიანი ბრუნდებოდა, გადაღლილი და გაოფლიანებული. მის ჯანმრთელობაზე საგანგებოდ ღირს შეჩერება. ჰუგო თავისი სიცოცხლის მხოლოდ პირველ თერთმეტ თვეს ყოფილა მთლად ჯანმრთელი. ამის შემდეგ კი, დედამისის დღიურის თანახმად, წელიწადში მრავალგზის იყო სერიოზულად ავად. რა არ სჭირდა! ხშირად იყო გაციებული,

ანუხებდა კრუპი, მაღალი სიცხე, გვერდითი ტკივილები, გასიებული ნაკვთები, თხუთმეტი წლისას თავის ნახევარდასთან (მალვინა ერნსტ შუხართის მეორე ცოლი იყო) სტუმრად ყოფნისას თავბრუ დაეხვა და, ექიმმა პულსი რომ გაუსინჯა, 150 ჰქონდა. ამის შემდეგ მას ნიადაგ რალაც ანუხებდა: მოთენთილობა, ავადმყოფური მძინარობა, გონებრივი სიზარმაცე... ამ „უბედურებებს“ ის ალკოჰოლით თრგუნავდა. იგი უჩიოდა ნერვების სისუსტეს, ხშირად თვეობით „დამძიმებულ თავს“, დაღლილობას, ასთმას, შიშის გრძნობას, თავბრუსხვევას, კუჭის ტკივილს, კიდურების გაცივებას.

ჰუგო ძალიან მგრძნობიარე იყო ამინდის მიმართ და ცოცხალ ბარომეტრს წააგავდა. სტუდენტობის პირველი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე მის წერილებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამინდის შესახებ საუბარს.

ადრინანი გაზაფხულიდან ზაფხულამდე და მთელი შემოდგომის განმავლობაში თავს ცუდად გრძნობდა, გრილ ზაფხულსა და წვიმიან დღეებს, ნისლს, წვიმას ვერ იტანდა. ასე რომ, მხოლოდ ძალიან მოკლე დრო რჩებოდა ნაყოფიერი მუშაობისთვის. ახალგაზრდობიდან იგი ახლომხედველი იყო და ეგონა, რომ თვალები დაავადებული ჰქონდა, რადგან მამამისის მოთხოვნით დიდხანს მხოლოდ პენსნეს ატარებდა სათვალის ნაცვლად. უკვე ხანშიშესულს მხოლოდ ლუპით შეეძლო კითხვა. ოცდაათი წლისას ყურებში ხმაური ანუხებდა, რაც ოპერაციამ (1880) ვერ შეანელა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ოდნავ დააკლდა ყურს, ისევე, როგორც, სხვათა შორის, დედამისს.

ჰუგო ხშირად უჩიოდა ჯანმრთელობას. ალექსანდრე ხახანაშვილს, მაგალითად, იგი სწერდა: „დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ თანაგრძნობისთვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩემ მიმართ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. დასვენება, სიმშვიდე მჭირდება, კაცმა რომ თქვას, იმდენად, რომ ლაპარაკი და, საერთოდ, რეგლამენტირებული მუშაობა ძალიან მძლის. ამიტომ ამ სემესტრისთვის სამინისტროდან გამოვიტხოვე და მივიღე კიდევ შვებულება. ჩემი ნევრასთენია შესაძლოა ჩემი ბავშვობისას ან სიჭაბუკისას ავიკიდე შეთავსებითი სამუშაოებისგან, მაგრამ ამჟამად, ათეული წლების შემდეგ, ისე მწვავეა, რომ გადალლა მასთან შედარებით არაფერია. მეტწილად ისე დაქანცული ვარ, რომ ბევრი მუშაობა აღარ შემიძლია – დღეების, კვირების, თვეების განმავლობაში იმდენ მოძრაობას ვაკეთებ სხეულით, რამდენის თავიც მაქვს. ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, რომ დავისვენო იმდენი, რამდენის მოთხოვნილებასაც ვგრძნობ. ვწვები მეტწილად 9 საათისთვის და ა.შ. მოკლედ, მე ვმეცადინეობ, კაცმა რომ თქვას (თუკი რაიმე სამუშაო სპეციალობის მიხედვით არ მაიძულებს), მხოლოდ თა-

ვისუფალ დროს. ამის შედეგად მიძნელდება ჩემი სამუშაოს მონესრიგება, აგრეთვე ახლო მომავლისთვის რაიმე განსაზღვრული გეგმის შედგენაც“ (1897); „მას შემდეგ, რაც ძალიან ცუდი შემოდგომა მქონდა, უკანასკნელ 1½ თვეში საკმაოდ კარგად ვგრძნობდი თავს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჩემი ჯანმრთელობა კვლავ ნაკლებად სანუგეშო გახდა... ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ამ სემესტრში შვებულება ავიღე... თქვენ არ შეგიძლიათ წარმოდგენა, როგორაა დაქვეითებული ჩემი სამუშაო ძალა. ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება აღარ შემიძლია და წინ კუს ნაბიჯით მივდივარ“ (1897); „ჩემი ძალები საიმისოდ სუსტია, რომ ჩემს ყველა კეთილ განზრახვას ფრთები შევასხა, ჯანმრთელობის მდგომარეობა... ძალზე მიშლის ხელს“ (1902).

სხვებთანაც იცოდა ჯანმრთელობის შესახებ ნუნუნი, ამიტომ იყო, რომ მისი ქართველი კოლეგები, ერთგვარად, თავს ვალდებულად თვლიდნენ, ამ საკითხის მიმართ ინტერესი გამოეჩინათ და წამდაუნუმ ეკითხებოდნენ, თავს როგორ გრძნობო: „ძალიან უსიამოვნო ამბავია, რომ თქვენს ავით-მყოფობას კიდევ არ გაუვლია და მის თქვენზედ ზედ-მოქმედებას კიდევ აჰგრძნობთ“ (ფ.გოგიჩაიშვილი, 1897); „ვიმედოვნებ, რომ ჰაერის გამოცვლამ გარგოთ და ახლა თავს ჯანმრთელობის მხრივ ბევრად უკეთესად ჰგრძნობთ“ (ფ.გოგიჩაიშვილი, 1897); „ძალიან ვწუხვარ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას არ გაძლევთ, საქართველოში იმოგზაუროთ“ (ფ.გოგიჩაიშვილი, 1900); მე მხოლოდ ის მანუხებს, რომ თქვენი ჯანმრთელობით მთლად კმაყოფილი არა ხართ (ფ.გოგიჩაიშვილი, 1902); „თავს როგორ გრძნობთ, იმედია, ახლა უკეთეს გუნებაზე ხართ, რაკი წვიმების დრო წავიდა“; „ვიმედოვნებ, თქვენი ჯანმრთელობის ამბავს შემატყობინებთ“ (პ.მელიქიშვილი, 1895); „თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობამ თქვენს თბილისელ მეგობრებსა და პატივისმცემლებს შორის დიდი ნუხილი გამოიწვია (ა.შანიძე, 1927).

6 წლიდან ჰუგო ხშირად დაჰყავდათ თეატრში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კვირა ისე არ გაივლიდა, რომ მამამისს არ წაეყვანა თეატრში ან ბალზე, საზოგადოებაში თუ ექსკურსიაზე. საშობაოდ და სხვა დროსაც მას სასახლეში იწვევდნენ ხოლმე ნათლიასთან. შედარებით პატარა მიაბარეს ერთ უნტეროფიცერს, რათა მისგან სამწყობრო მომზადების გაკვეთილები მიეღო. რალა თქმა უნდა, ამის შემდეგ მას ტყვიის პატარა ჯარისკაცებით თამაში აღარ ეყვარებოდა, მაგრამ ყაჩაღობანას თამაში ქუჩაში მოსწონდა. პრინცესა ლინეტე როისთან გამართული საბავშვო ბალის დროს მან ცეკვა ისწავლა, რომელსაც მომდევნო ორმოცდაათი წლის განმავლობაში დიდი ხალისით მისდევდა. 3 წლისამ დაიწყო ფრანგულის სწავლა. იმ დროს

მას ფრანგულის კითხვა ერჩივნა გერმანულისას, რომელიც მოგვიანებით თვითონ დამოუკიდებლად შეისწავლა. მისი პირველი ნაწერი ფრანგულად დაწერილი წინადადებაა, რომელიც დედას შეეხება. მისი ზეპირად თუ წერილობით შეთხზული აზრებისათვის მამა ვერცხლის ფულით ან შოკოლადით ასაჩუქრებდა. ამავე პერიოდისაა მისი პირველი ნახატები. ამ დროს გაუჩნდა ჰუგოს დაუოკებელი მისწრაფება წარწერების ამოკითხვისადმი. ბეზიას საშაქრე ფანტასტიკური იეროგლიფებით ჰუგოს საუკეთესო გასართობია – ამ დროს მას, როგორც იტყვიან, ჯერ პირზე რძე არ შემშრობია. სიფრიფანა ფურცელზე, რომელშიც მამამისი ჰოლანდიურ თუთუნს ახვევდა, ჰუგო ჰოლანდიურ ასოებს სწავლობს. შვიდი წლისამ კერძოდ დაიწყო ლათინურის სწავლა და თითქმის იმავდროულად დაინტერესდა ბერძნულით. ისევე როგორც ბერძნულში, ებრაულშიც, რომელიც მოგვიანებით შეისწავლა, პატარა ვუნდერკინდი, უწინარეს ყოვლისა, ალფაბეტმა მოხიბლა.

შუხართი ხშირად ჰყვებოდა, რომ სასკოლო საგნები მას, პირველ რიგში, იმიტომ აღიზიანებდა, რომ სავალდებულო იყო მათი შესწავლა. იგი ბუნებით თავისუფლების მოყვარული კაცი იყო და დაძალებას ვერ ეგუებოდა.

ჰუგო თავიდანვე იყო უცნაური, თავისებური ხასიათისა, მეტი-მეტად ორიგინალური. ათი წლისას ეკუთვნის დიდი ბავშვური ასოებით დაწერილი თხზულება „პოლინეზიელების ისტორია“ (რის შესახებაც რაღაც ჰქონდა წაკითხული), რომელსაც დაურთო შენიშვნები იეროგლიფების შესახებ, რაც, აგრეთვე, მისი გატაცება იყო. 1851 წლითაა დათარიღებული მოგზაურობის აღწერა, რომელიც ყურადღებას იპყრობს ეტიმოლოგიური დაკვირვებებით, პოეტური გამოთქმებითა და აღწერილობის სიზუსტით. 1852 წლიდან ჰუგო აგროვებს მონეტებს, ბეჭდებს, გერბებს, რისი იმპულსიც მას ნათლიამ მისცა. მალე იგი გენეალოგიის შესწავლას ჩაულრმავდა და, საერთოდ, შუა საუკუნეებით დაინტერესდა, შემდეგ კი სასახლის ბიბლიოთეკიდან გამოტანილ ედების წიგნს გაეცნო. მოგვიანებით იგი ვერცხლის თასების შეგროვებამაც გაიტაცა. როცა დედამისი სამკურნალოდ ემსში გაემგზავრა, პატარა ჰუგომ სთხოვა, იქიდან რაიმე სიძველე ჩამოეტანა მისთვის. ენების შესწავლას მან იმხანად ზურგი შეაქცია, „რადგან ეს მას ბევრ რამეში უშლიდა ხელს“, მაგრამ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ იგი წერს ვრცელ თხზულებას კელტური ეტიმოლოგიებისა და ისტეონების (გერმანელი ტომების ჯგუფის) შესახებ, რომელსაც დასკვნა ახლავს: „შენი წერილი ჯერ არ წამიკითხავს. ლუიზა მოკითხვას გითვლის, ღმერთმა მოგცეს ჯანმრთელობა, მე კი შენი მოყვარული შვილი ჰუგო ვარ“. 1853 წელს ჰუგო უმორჩილესად ითხოვს, ისეთი წიგნი მოუტანონ, ისტორიას

შეეხებოდა, ოღონდ ნაღდს, კონკრეტულს და არა ზოგადს. სხვათა შორის, დაბალ კლასებში იგი საკმარისად ცუდი მონაფე ყოფილა. ერთხელ გაკვეთილზე ლათინურის საკონტროლოს დაწერის ნაცვლად მასწავლებელს ცარიელი ფურცელი ჩააბარა. მაგრამ თავისთვის ჰუგო შეუპოვრად, დიდი მონდომებით მეცადინეობს. მას ხანდახან არ შეუძლია დაიძინოს იმ მიზეზით, რომ დიდი სურვილი აქვს, რაც შეიძლება მალე იგდოს ხელთ ჯერ კიდევ ნაუკითხავი ნიგნი, მისთვის საინტერესო ნაშრომი.

ჭაბუკ ჰუგოს ხშირად ინვევდნენ საზოგადოებაში ვისტის სათამაშოდ და კაზინოში ბალზე, იგი თამაშობდა ფრანგულ თეატრშიც. ასეთ დროს შინ არაიშვიათად დაღლილი ბრუნდებოდა დილის 4 საათზე. მამამისი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჰუგოს საზოგადოებაში ებრწყინა. დღესასწაულებზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას მაღალი საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ, ჰუგოს სხვადასხვა სახის მისალმებები უნდა წარმოეთქვა (ხშირად კოსტიუმში), ხოლო სადღეგრძელოები ლექსად უნდა ეთქვა. ერთი რამ აკლდა იქაურობას – კლავირი. შუხარტის მთელი ცხოვრების მანძილზე გულს აკლდა, რომ მუსიკალური განათლება არ ჰქონდა. მართალია, მუსიკის მოსმენა უყვარდა, როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა. მაგრამ ეს არ იყო ის, რაც მას სურდა და რისკენაც ისწრაფოდა. მაღალ კლასებში იგი ბრწყინვალე მონაფე იყო (პედაგოგების სიტყვით – *primus omnium*), კერძო მასწავლებელთან არისტოფანეს დაეწაფა. თვლიდა, რომ მათემატიკაში მისთვის ბევრი რამ ზედმეტი იყო, ბუნებისმეტყველება კი, საერთოდ, ძალიან უყვარდა. 1859 წელს სასკოლო დღესასწაულის დროს მან ნაიკითხა მის მიერ ლათინურ ენაზე შეთხზული ლექსი. იმავე წლის შემოდგომაზე ჩვიდმეტი წლისამ სააბიტურო გამოცდები ჩააბარა. სკოლაში ყოფნის უკანასკნელ წელს მისთვის თითქმის აუტანელი იყო სკოლის გაკვეთილები. იგი ამბობდა: „უცხო პროდუქციის შეთვისება ჩემთვის უფრო ძნელია, ვიდრე საკუთარის შექმნა“. ახალგაზრდობაშიც და მოგვიანებითაც იგი წერდა საკმაოდ კარგ ლექსებს, ხშირად იუმორით სავსეს. სხვათა შორის, სიჭაბუკეში იგი ერთხანს პოეტობაზეც ოცნებობდა. იგი წერდა წერილებს გაზეთებისთვის და ცდილობდა, ისინი პოპულარული ენით დაეწერა, იოლი წასაკითხი ყოფილიყო და ადვილად გასაგები – ამ მიზნით მათში მეცნიერული შინაარსი შეძლებისდაგვარად განტვირთული იყო სირთულისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ჰუგოს ენათმეცნიერული ნიჭი უკვე მოზარდის ასაკიდან ყოველგვარი ეჭვის გარეშე საყოველთაოდ აღიარებული იყო (ზემოთ თქმულს დაუვმატებ იმას, რომ 15 წლისამ ნაშრომი დაწერა ტიურინგიული კილოკავის შესახებ, დამოუკიდებლად შეისწავლა არაბული და ბასკური...) და მან უკვე 1859 წელს

გამოაცხადა, რომ მისი ვარსკვლავი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი² იყო. მამამისმა ადრევე განუსაზღვრა მისი მომავალი საქმიანობის სფერო – სამართლისმცოდნეობა – და მან 1859-60 წლების ზამთარში იენაში დაიწყო ლექციების მოსმენა ამ დისციპლინებში, მაგრამ სემესტრის ბოლოს მამას გადაჭრით აუწყა, რომ უარს ამბობს ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელებაზე (1893 წელს იგი წერს: „მე არ ვცნობ იურისპრუდენციას, როგორც მეცნიერებას“), და გადავიდა ფილოლოგიურზე. პირველი სემესტრიდან იგი ფილოსოფიის ლექციებს უსმენდა კუნო ფიშერს³, გერმანისტიკას – ავგუსტ შლაიხერს⁴, არისტოფანეს – გოეტლინგს: ამათ ემატებოდა ლოგიკა და პალეოგრაფია. მაგრამ იგი დარწმუნებული არ იყო, სწორ გზაზე იდგა თუ არა. ჰუგო მიისწრაფოდა ჰარმონიისა და განზოგადებებისაკენ და ეჯავრებოდა ისეთი ფილოლოგი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ბერძნული ლექსთწყობის საკითხებს უკირკიტებდა.

როცა ჰუგო 18 წლისა გახდა, მას წყნარ მუშაობაში ხელს უშლიდა კითხვა: როგორ გამოიყენოს სტუდენტობის დრო ისე, რომ ის სასიამოვნო იყოს? იგი გახდა სტუდენტური კავშირის წევრი. იენაში ჰუგომ სამი სემესტრი გაატარა. მოგვიანებით ამ პერიოდს იგი „სასაცილო ზღაპრად“ მოიხსენიებდა ხოლმე.

მისი განათლებისთვის მხოლოდ შლაიხერი იყო მხედველობაში მისაღები, რომლის თეორიამაც ენების გეოგრაფიული განაწილების შესახებ მასზე დიდი გავლენა მოახდინა. იენაში მას ზოგი რამ უკვე აღარ მოსწონდა, რადგან მისი შეხედულებები განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მასწავლებლები ასწავლიდნენ. იმხანად ჰუგოს კლასიკური ფილოლოგია იტაცებდა, მაგრამ ამ მიმართულებით დაოსტატებისათვის იენა ვერ იყო შესაფერისი კადრებით დაკომპლექტებული, ამიტომ საჭირო შეიქნა უნივერსიტეტის გამოცვლა და 1861 წელს, ზაფხულის სემესტრში, იგი, მამის რჩევით, ბონში გადავიდა, უპირველესად იმ მტკიცე გადანყვეტილებით, თავი შორს დაეჭირა ყოველგვარი სტუდენტური ორგანიზაციისაგან. ბონში იგი განსაკუთრებული სიბეჯითით სწავლობდა კლასიკურ ფილოლოგიასა და ხელოვნების ისტორიას. ადრეული პერიოდიდან შუხართი კარგი მსმენელი უფრო იყო, ვიდრე ლექციების ბეჯითი ჩამწერი.

² ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835) – გერმანელი ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის ფუძემდებელი

³ კუნო ფიშერი (1824-1907) – გერმანელი ფილოსოფიის ისტორიკოსი, იენისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების პროფესორი

⁴ ავგუსტ შლაიხერი (1821-1868) – გერმანელი ენათმეცნიერი, პრაჰისა და იენის უნივერსიტეტების პროფესორი.

უკანასკნელს იგი მხოლოდ საგამოცდოდ თვალის გადასავლებს საშუალებად თვლიდა. იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო სემინარზე, რომელზეც ერთხელ პრიზიც კი მოიგო. პარალელურად იგი ისმენდა ხელოვნების ისტორიის კურსს.

1862 წელს ჩხუბისა და გატეხილი ფანჯრის მინის გამო მას 14 დღით კარცერში ჯდომა მოუხდა, რასაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე საუნივერსიტეტო ცხოვრების საუკეთესო დღეებად თვლიდა, რადგან სრულმა სიწყნარემ და კარცერის სიგრილემ – ეს ამბავი კი აგვისტოში მოხდა – მას მუშაობის ისეთი შესაძლებლობა მისცა, როგორც მანამდე არასოდეს ჰქონია.

1862 წლის შემოდგომაზე მამამისმა ჰუგო გოთაში დააბრუნა, რათა ვაჟი შვილისთვის სადისერტაციო თემაზე ინტენსიურად მუშაობის უკეთესი პირობები შეექმნა. ბონური სტუდენტური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შთაბეჭდილება იყო ფეხით მოგზაურობა ტრიერში, სადაც რომაული – უპირველესად, ადრექრისტიანული – ნარჩენების გაშიფვრამ მას სადისერტაციო თემად ვულგარული ლათინურის დამუშავება გადააწყვეტინა. იგი იყო ხალხის სულზე დამკვირვებელი, ხალხის სული კი, მისი აზრით, ყველაზე კარგად სწორედ ძველი ნარჩენებიდან ჩანდა. როგორც მისი ნაცნობები ამბობდნენ, შუხართი არ იყო ის პიროვნება, „ვინც ასი სხვა კაცის გვერდით ერთსა და იმავე მინდორს მოხნავდა“. მას მიუწვდომლობა იზიდავდა. ვულგარული ლათინური იმხანად ახალი პრობლემა იყო. ორი წლის თავდადებული მუშაობის შემდეგ მან ბონის უნივერსიტეტში წარადგინა შრომა „ვულგარული ლათინურის ვოკალიზმი“ (დანერილია ლათინურად, დაბეჭდილია მხოლოდ დასაწყისი). დისერტაციის თემის შესატყვისად თანაგამომცდელად დანიშნეს რომანისტი ფრიდრიხ დიეცი, რომლის ლექციებიც მას მოსმენილი არ ჰქონდა. მთავარი გამომცდელი ფრიდრიხ რიჩლი, კლასიკური ფილოლოგი, ნაწილობრივ იმედგაცრუებული იყო იმ გზით, რომელიც ამ იმედისმომცემმა მოწაფემ საკითხის გადასაწყვეტად აირჩია, ნაწილობრივ კი გრძნობდა, რომ ამ ახალგაზრდამ მას ზოგ სფეროში აჯობა კიდევ. შუხართი გაოცებული იყო, რომ გამოცდა კლასიკურ ფილოლოგიაში ლათინურად მიმდინარეობდა. იგი ამას არ ელოდა და ამან მას ერთგვარად ხელი შეუშალა, თავისი ცოდნა სრულად გამოემჟღავნებინა. დიეცთან გამოცდა კი ბრწყინვალედ ჩააბარა. სხვათა შორის, საინტერესოა გამოცდის მშრალი სტატისტიკა: გამოცდა (რომელიც 1864 წლის მაისში ჩატარდა) 4 საათს მიმდინარეობდა. პირველი ნაწილი მოიცავდა გამოცდას ბუნებისმეტყველებაში, ისტორიაში, ფილოსოფიასა და მათემატიკაში. თითოეულ საკითხს ნახევარ-ნახევარი საათი ჰქონდა დათმობილი. შუხართმა ყველა საკითხში შეფასებად „დამაკმაყოფილებელი“ დაიმსახურა.

მეორე ნაწილი სადოქტორო გამოცდა იყო. აქ თითო-თითო საათი დაეთმო კლასიკურ ფილოლოგიას და რომანულ ენებს. ჰუგომ ორივე საგანში საუკეთესო შეფასება მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდის მიმდინარეობისას შუხართს განუწყვეტილვ ანუხებდა კბილის ძლიერი ტკივილი. ქვემოთ ვნახავთ, რა ნამება იყო შუხართისთვის ნებისმიერი გამოცდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში იქნებოდა იგი საპასუხისმგებლო გამოცდის დროს. ნაშრომი, რომელიც ამჟამად გერმანულადაა გადათარგმნილი და მხოლოდ 1867 წელს დაიბეჭდა დასრულებული სახით, ეკუთვნის XIX საუკუნის უმნიშვნელოვანეს ენათმეცნიერულ გამოკვლევათა რიცხვს. შუხართმა გაკვალა ახალი დარგი და მოგვცა ახალი მეთოდი, რომლითაც მან ნათლად და მკაცრად დაალაგა მეტად მდიდარი მასალა. როგორც კი ნიგნი გამოქვეყნდა, 25 წლის ახალგაზრდა მკვლევარი მტკიცედ ჩადგა პირველ სწავლულთა რიგში. მამამისი ფიქრობდა, სადოქტორო გამოცდის შემდეგ მისი ვაჟი უმაღლესი რანგის მასწავლებლის გამოცდასაც ჩააბარებდა. ჰუგო კი თვლიდა, რომ მას საამისოდ ცოდნა აკლდა უმნიშვნელოვანეს დისციპლინებში (ბერძნული, ლათინური, ისტორია). მაგრამ მას ხომ ჰქონდა კიდევ დრო – მთელი ერთი სემესტრი – მარაგში!

ჰუგო ნუხდა, რომ ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ მოკლე პერიოდები ჰქონდა დასვენებისა, როცა შეძლო, ემოგზაურა სილტში, ბორკუმსა და მიმდებარე რაიონებში, რათა ერთფეროვან, უღიმღამო გოთას გასცლოდა. „როცა შინ ხშირად თავს მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობდი, ამის მიზეზი თვით ჩემში მომხდარი გაორება იყო, – წერდა იგი შემდგომ, – ერთი მხრივ, კარგადა ხარ, მეორე მხრივ კი, მე მაკლდა რაღაც მნიშვნელოვანი, ნამდვილი ცხოვრება, დაუოკებელი მისწრაფება სიახლისადმი, ცვალებადობისაკენ, ცხოვრების პოეზიისაკენ“. 1867 წლის გაზაფხულზე ჰუგო ნახევარი წლით გაემგზავრა ჟენევაში, რათა ფრანგული უკეთ შეესწავლა და ქვეყანასა და ხალხს გასცნობოდა, იქიდან კი ანალოგიური მიზნით იტალიაში გადავიდა. ჰუგო დაჰყვა მამის სურვილს, რომელსაც უნდოდა, რომ შვილი რაც შეიძლება ჩქარა ენახა ფეხზე დამდგარი, მაგრამ დააფიცა მშობლები, რომ მისი ახალგაზრდობა არ მოენამლათ და მისთვის ასე სანატრელი ყოფნა იტალიაში არ შეეკვეცათ დროით. მისი მცდელობა, დამოუკიდებლად ეშოვა რაიმე თანამდებობა რომში, უშედეგო აღმოჩნდა. იგი დღენიდავ ჩიოდა, რომ მუდამ მარცხი სდევდა თან, და მშობლებს სწერდა: „ცხოვრება დაბრკოლებებს მიქმნის, წარმატება მხოლოდ თქვენი გამოისობით მომდის“ (1868). ჰუგო იტალიაში 1869 წლის აპრილამდე დარჩა. რომში იგი მუშაობდა წარწერებზე, მონაწილეობას ღებულობდა ეპიგრაფიკულ სემინარებში, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ნან-

გრევებსა და სახვით ხელოვნებას, ვიდრე ცოცხალ სასაუბრო ენას, ხალხის ხასიათზე დაკვირვებას, რომაულ კილოკავს, ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებას, რომელთა საფუძველზე შემდგომში არაერთი გამოკვლევა დაწერა. უკვე სილტში, ისევე როგორც ყენევასა და რომში და აგრეთვე შემდგომში ყველგან, სადაც სხვადასხვა სახის მოგზაურობისას დაუდგამს ფეხი, შუხართი მთავარ ყურადღებას ადამიანებს აქცევდა. მას მომარაგებული ჰქონდა სარეკომენდაციო ბარათები, ყველგან ეძებდა საერთო ინტერესებს და მალე ახერხებდა, ეპოვა მისთვის საჭირო პიროვნებები როგორც თავისი სპეციალობით, ასევე სხვა სფეროებშიც. მას შეეძლო, რამდენიმე საათი გაეტარებინა მეეტლეებთან ლუდხანაში იმ მიზნით, რომ რომაულ კილოკავს უკეთ გასცნობოდა, ყოველგვარ გასართობ ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა, ხშირად ესწრებოდა ქადაგებას ან თეატრალურ წარმოდგენას, არ აკლდებოდა სამოქალაქო თუ არისტოკრატიულ სალონებს და ცდილობდა, იმ განსხვავებულ ხალხს მორგებოდა, რომელთა შორისაც უხდებოდა ცხოვრება. სამხრეთ ესპანეთში ისწავლა სეგუიდილას ცეკვა და კასტანიეტების ხმარება, დაეხეტებოდა ბოშებთან ერთად. „მე სევილიელი გავხდი“ – წერს იგი 1879 წელს. ამ მოგზაურობების მიზანი ფერწერული ტილოები და ბიბლიოთეკები როდი იყო. იგი მოგზაურობდა ყოველგვარი წინასწარი გეგმის გარეშე, როგორც მოუხდებოდა. ხანდახან სადღაც ორი დღით გაემგზავრებოდა, მაგრამ კვირების განმავლობაში რჩებოდა იქ. ეს უფრო ახალგაზრდობაში ხდებოდა, მოგვიანებით კი, ჩვეულებრივ, გარკვეული მიზნით მიეშურებოდა სამოგზაუროდ. ასე იყო, მაგალითად, უელსში (1875), ბასკეთში (1887), ასუანში (1903), საიდანაც ამა თუ იმ საკითხის შესახებ დაგროვებული გამოცდილებითა და ცოდნით ბრუნდებოდა შინ.

როცა ჰუგო მქრქალ შუქზე მეცადინეობდა შინ, უკვე შვიდ საათზე წვებოდა დასაძინებლად. როცა იგი ქეიფობდა ანდა გაცხოველებით მუსაიფობდა, მას კარგად ეძინებოდა და დილით შესანიშნავ ხასიათზე იყო. ხანდახან ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ, როდესაც იგი დროს ლუდის კათხით კლავდა თავის ამხანაგებთან, იქიდან შინ შეუვლელად მიიჩქაროდა ლექციაზე, შემდეგ დილის ბარში, ამის მერე კი საცეკვაოდ. შუხართი მოგვიანებითაც შამპანურითა და ცეკვებით ცდილობდა თავისი უთვალავი სწეულების დათრგუნვას. ხშირად, როცა მოთენთილი იყო, დღეებს, ხანდახან კვირებსაც – მცირე პაუზების გარდა – დივანზე წამოწოლილი ატარებდა. სხვა რამეც აღიზიანებდა, მაგალითად, არამეგობრული სახე მსახურისა. თუკი მას ლაპარაკი ეზარებოდა, მისთვის აუცილებელი იყო სიმშვიდე, სინყნარე. მეორე მხრივ, გართობა მასზე კარგად მოქმედებდა, რასაც პირქუშ გოთაში ვერ პოულობდა. რო-

გორც კი გოთაში მშობლების მონახულების სავარაუდო დრო ჩაივლიდა, იგი დიდ ტკივილს გრძნობდა იმის გამო, რომ მშობლებს ვერ ჩააკითხა, თუმცა იქვე იმართლებდა თავს – ჩემს კანში ვერ ვიქნებოდიო. როცა დედა მარტო იყო, იგი ამჯობინებდა, უწინარესად თვითონ დაესვენა, ვიდრე მასთან მისულიყო.

შუხართი ამბობდა: „არ არსებობს უფრო დანყევლილი გამოთქმა, ვიდრე „დრო – ფულია“ (time is money). დროს ისე უნდა მოექცე, თითქოს იგი გამოუღვევლად გაქვს“ (1880).

მას ძალიან, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულად უყვარდა ბუნება. ეს მას მშობლებისგან გადმოეცა. იგი ამბობდა: კარგი ამინდი მუშაობაში ხელს მიშლის, რადგან გარეთ გაჭრა, ბუნებაში ყოფნა მინდაო, და მაგიდასთან ვერ ჩერდებოდა. ჰუგო არასოდეს ყოფილა ძილისგუდა. მუშაობას იწყებდა დილის 6 საათზე, ხშირად ღამის 3 საათზეც კი. იგი იყო კარგი, ელეგანტური მხედარი და მოციგურავე, სამაგიეროდ, ცუდი ფეხით მოსიარულე, ცუდი მოცურავე. 1897 წელს 55 წლისამ ისწავლა ველოსიპედის ტარება, ძალიან უყვარდა ეს სპორტი და, როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ ახალი სახლი აიშენა იოჰან-ფუქს-გასეზე, იქ სპეციალური ველოსარბიელი მოიწყო სასიერნოდ.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, 1869 წელს, მან ჰაბილიტაციაზე დაიწყო ფიქრი. თემად აირჩია „პირობითი ბგერათცვლილების ზოგიერთი შემთხვევის შესახებ ხურვალურში“, რომელიც ამჯერად მთლიანად რომანისტიკის სფეროს განეკუთვნებოდა. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით შუხართი წერდა: „საერთოდ, მე მემამაცება, რომ რომანისტი ვარ და არა კლასიკური ფილოლოგი“.

მან წარმატებით გაიარა ჰაბილიტაცია ლაიფციგში (1870). ყოველი ლექციის წინ იგი მეტისმეტად ღელავდა, იყო აღგზნებული, თითქოს შეშფოთებულიც. როცა ჰალეში პროფესორის წოდების მისაღებად სავალდებულო ლექცია უნდა წაეკითხა (1870), წინა დღეებში მუდმივად ჰქონდა სიცხე, აწუხებდა გული, სიკვდილის შიში, აღელვება, შემდეგ კი ყელის ტკივილიც. რადგან ძალზე დაძაბული იყო იმის შიშით, რომ აღელვების გამო შეიძლება თემისათვის გადაეხვია და თხრობის ძაფი დაეკარგა, ორი დღის განმავლობაში არაქათგამოლეული იყო. ეს მდგომარეობა სისტემატურად მეორდებოდა თითქმის იმავე ძალით ყოველი ლექციის წინ (ზოგჯერ ლექციის შემდეგაც). ჰუგოს ეხერხებოდა იმპროვიზაცია, ამ დროს იგი აღარ იყო დაძაბული და თავი თავისუფლად ეჭირა. დამუშავებული, მომზადებული ლექცია მეხსიერებიდან არ წაეშლებოდა. ცდილობდა, სადღაც რაღაც მოეძებნა, ამა თუ იმ წიგნში ჩაეხედა, იქიდან ლექციისთვის საჭირო მასალა ამოეკრიბა. მას სურდა, რომ ეს ყველაფერი ქალაქდზე ჰქონოდა ჩანიშნული. თუკი თავს უქეი-

ფოდ გრძნობდა, ლექციის ჩატარებაზე უარს ამბობდა და აცდენდა. ასეთ შემთხვევაში იგი ავადმყოფობას იმიზეზებდა და ხანგრძლივ შვებულებას იღებდა ერთი ან ორი სემესტრით (!). 1900 წელს შუხართი პენსიაზე გავიდა და ამოისუნთქა, რომ აღარ იყო აუცილებელი სასწავლებელში წასვლა, რათა ვინმესთვის რალაც ესწავლებინა, უფრო კი იმიტომ, რომ მუდმივად ბოდისის მოხდა აღარ მოუხდებოდა მეცადინეობის გაცდენის გამო. სანამ პენსიაზე გავიდოდა, ამ მისთვის მძიმე პროცესებს ძალაუნებურად ითმენდა, მეტი რა გზა ჰქონდა! საერთოდ კი, 1882 წლიდან შუხართი ლექციებს იშვიათად კითხულობდა და ძირითადად სემინარებს ატარებდა. მისთვის ეს იყო სწავლების ერთადერთი სწორი ფორმა. იგი ერიდებოდა ისეთ საგნებზე საუბარს, რომელთა შესახებ მას მოუმზადებლად მოუხდებოდა ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ შუხართისთვის მეცნიერული კვლევა შეუდარებლად მალლა იდგა, ვიდრე სწავლება. მისი მსმენელების რიცხვი მცირე იყო. მონაფეებს ხშირად თავის ბინაში იბარებდა, რადგან შინიდან სასწავლებლისკენ მიმავალ გზაზე ზოგჯერ თავბრუ ეხვეოდა. 5 და 6 მსმენელით იგი კმაყოფილი იყო. თუკი მეტი მივიდოდა სამეცადინოდ, პრობლემა ჩნდებოდა სკამებთან დაკავშირებით. აუდიტორიაშიც შიშობდა, რვაზე მეტი სტუდენტი თუ მიდიოდა მოსასამენად: ჰაერი დაიხუთებო. მასთან უმეტესად წარჩინებული სტუდენტები დადიოდნენ, რომელთაც იგი სასკოლო დონის ცოდნას კი არ გადასცემდა, არამედ უფრო მეტს, ღრმას, და თან სტიმულსაც აძლევდა. თავის ზოგიერთ მონაფეს მან სამაგალითო მფარველობა გაუწია და თავიც გამოიღო. ასე მიენებარა იგი არტურო ფარინელის დაშვებას ინსტრუქში იტალიური ენის პროფესორის თანამდებობის მისაღებად და მოგვიანებით თავის მეტად ნიჭიერ უნგრელ მონაფე ლაიომ კატონასაც დიდი დახმარება აღმოუჩინა. მეცნიერული ხასიათის შეკითხვებისთვის ის მუდამ მზად იყო სასაუბროდ. იყო კარგი, რბილი გამომცდელი და ტრანაზობდა იმით, რომ მოსულელო ბეჯით სტუდენტებს თანაგრძნობას უწევდა მონდომებისთვის.


ძლივს გადალახა პირველი ლექციების შიში, რომ საფრანგეთ-გერმანიის ომი (1870-71) დაიწყო. მას უნდოდა, მაშინვე ჩაწერილიყო მოხალისედ არმიაში. სხვა ყველაფერმა მეორე პლანზე გადაიწია. მაგრამ მან მალე გაარკვია, რომ მხოლოდ სანიტარულ ნაწილში თუ შეეძლო სამსახური, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ამაზეც უარი უთხრეს.

ჰუგო ლაიფციგში ორი სემესტრის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, ეს ქალაქი, რომელიც მას გერმანიის სულიერ ცენტრად მიაჩნდა, მოსწონდა კიდევ, მაგრამ მომდევნო ორი სემესტრი გააცდინა: ავადმყოფობის გამო (უფრო სწორად: მომი-

ზეზებით) შვებულება აიღო. ამის შემდეგ მან მიიღო პროფესორის თანამდებობა ჰალეში (1872). იმხანად მას სტრასბურგში წასვლის შესაძლებლობაც ჰქონდა, მაგრამ ეს საქმე არ გამოუვიდა. ჰალეში ის თავს მყუდროდ ვერ გრძნობდა, განსაკუთრებით ფიზიკურად ვერ შეეგუა მას და თავის ქერქში ვერ იყო. ამიტომ დიდი სიხარულით გამოეხმაურა გრაცში გამოცხადებულ კონკურსს 1875 წლის ივნისში, მით უმეტეს, რომ იქიდან იოჰანეს შმიდტმა⁵ შესთავაზა პროფესურა. მაგრამ ავსტრიაში გადასვლა არც ისე იოლი გამოდგა. საქმე ისაა, რომ მის მშობლებს სურდათ, ვაჟიშვილი არა მარტო ახლოს ყოფილიყო მათთან, არამედ აუცილებლად სამშობლოში ემუშავა. მამის ავტორიტეტმა, რომელმაც, ჰუგოს სურვილის წინააღმდეგ, ბერლინში მთელი თავისი კავშირები გამოიყენა, აიძულა შვილი, ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რომელმაც მისი გულუბრყვილო პატიოსნების გრძნობა მაშინვე მწარედ ანანა: ბერლინში, განათლების სამინისტროში, გრაციდან მოწვევა ისე წარმოაჩინეს, თითქოს ჰუგო ავსტრიელთა პირობებზე თანახმა იყო. ამ ხრიკით მამამისმა მოახერხა, შვილისთვის ჰალეში პროფესორის თანამდებობა უკეთესი პირობებითა და უფრო მაღალი ანაზღაურებით მიეცათ, ვიდრე ამას ავსტრიაში სთავზობდნენ. ასე რომ, დანიშვნა ჰალეში, კაცმა რომ თქვას, ჰუგოს სურვილის წინააღმდეგ მოხდა. ასეთი შედეგით დარცხვენილმა და შეწუხებულმა ჰუგომ სთხოვა მამას, უარი გრაცში თავად გაეგზავნა, თვითონ ჰუგოს ამის მიწერა არ შეეძლო ზნეობრივი მოსაზრებით: იგი თავს დამნაშავედ თვლიდა. იგი წინასწარ გრძნობდა, რომ დიდი ხნის წინ დაგეგმილი მოგზაურობა უელსში, რომლის განხორციელებასაც ახლა აპირებდა, ამ დამთრგუნველ უარზე ფიქრების გამო მას გვარიანად გაანვალებდა.

უელსში მოგზაურობისას ჰუგო ბარდების იქაურ წრეში მოხვდა, სადაც იგი მესამე რანგის ბარდად ცნეს. ამ პატივისთვის მან კიმრულენაზე სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა, რასაც იქაურები ალტაცებით შეხვდნენ. ამავდროულად კი მას ტვინს უბურღავდა ნუჭილი გრაცში შეთვლილი უარის გამო და მოითხოვდა, მასთან არაფერი ელაპარაკათ გრაცის თაობაზე. „ეს არის გაცილებით ღრმა ქრილობა ჩემთვის, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ“ – ამბობდა იგი ამის შესახებ. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გადაჭარბებული მგრძნობიარობით ფიქრობდა იგი ჰალეში – საერთოდ, პრუსიაში – დაბრუნებაზე. თითქოს საპყრობილეში უნდა დაბრუნებულიყო,

⁵ იოჰანეს შმიდტი (1843-1901) – გრაციელი ენათმეცნიერი. ეტყობა, ახლოს იყო შუხართთან, რადგან 1875 წლის ივნის-აგვისტოში 8 წერილი გაუგზავნა ჰუგოს, რომლებშიც, საფიქრებელია, დაჟინებით მოუწოდებდა, მონაწილეობა მიეღო კონკურსში.



K 251623

„სადაც ადვილად ვერ სუნთქავ, ბედნიერად ვერ იცხოვრებ და ადამიანი მანქანას უფრო ნააგავს. ისე მეჩვენება, თითქოს ცხოვრებისეულ ბედნიერებას უნდა გამოვემშვიდობო“. თითქოს ყველაფერი გრაცისკენ ეწეოდა: ტემპერამენტი, რომელიც ასე არ ჰგავდა პრუსიულს, ჯანმრთელობა და კიდევ ბევრი სხვა, რაც მას ცხოვრებისთვის სჭირდებოდა. ის ბორგავდა, ვერ ისვენებდა და საახალწლოდ მშობლებისგან დაუკითხავად სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო. იგი კვლავ დაუკავშირდა გრაცს. თურმე ჯერ კიდევ არაა გვიან. ამჯერად მშობლები იძულებული გახდნენ, შეჰკუთებოდნენ ჰუგოს მტკიცე გადაწყვეტილებას. ჰალეზე უარის თქმა და გრაცში გადასვლა მან ჯანმრთელობის მდგომარეობით დაასაბუთა.

გრაცში ჰუგო 1876 წლის შემოდგომაზე ჩავიდა. აქ მან სრული 50 წელი, მთელი ნახევარი საუკუნე, გაატარა. გრაცი ხომ ტიურინგიასა და ალპებს იტალიასთან აერთებს. თეატრი რომაულს აგონებს, საზოგადოებაც ძალიან მოსწონს. საერთოდ, ავსტრია მას განსაკუთრებულად უყვარდა. ამ ქვეყნისა და მისი ხალხის შესახებ ასეთი თბილი დამოკიდებულება იშვიათად თუ გამოუმჟღავნებია ვინმეს. „ნუთუ სამშობლო მონეტების, მართლმსაჯულების, ჯარისკაცთა ნაწვეტებულთავიანი ზურგებისა და მისთანათა ერთობლიობა უფროა, ვიდრე თანაცხოვრება სულის შინაგანი, გულითადი და ღრმა ძაფებისა? ჩემი სამშობლო არის სამშობლო გულისა და არა განსჯისა. მისი საზღვრები იქ კი არაა, სადაც ჯარისკაცები არიან ჩამსკრივებული, არამედ იქ, სადაც ჩვენი მწერლები დგანან“ – წერდა იგი უკვე 1877 წელს. ჰუგო ასე ამართლებდა თავის გადაწყვეტილებას გრაცში გადაბარგებასთან დაკავშირებით: „ავსტრიაში გაცილებით მეტი ლიბერალიზმი სუფევს, ვიდრე ჩვენთან და მე კარგად წარმომიდგენია, რა შეზღუდული იქნება ავსტრიელი, თუკი ის ამ თავისუფალი ატმოსფეროდან ჩრდილოეთის ჰაერზე მოხვედება“; „აქ ასე კარგია ყველაფერი, არავინ ბოჭავს თავისი შეხედულებებით და ჭკუით სხვას, როგორც ჩვენთან – ჩრდილო გერმანიაში. სამხრეთში კაცი უფრო ადამიანურია და ცხოვრება უფრო ცოცხალი“; „მე ისე ძალიან მომწონს ავსტრია, რომ, ალბათ, ბრწყინვალე პირობებიც რომ შემოეთავაზებინათ, პრუსიაში აღარ დავბრუნდებოდი“. ასეთი შემთხვევა კი მას 1890 წელს მიეცა – მან მიიღო მეტისმეტად საპატიო და ხელსაყრელი მიწვევა ლაიფციგში, რასაც იგი დედის სიყვარულის გამო აუცილებლად მიიღებდა, ავსტრიის დატოვება რომ სდომებოდა (დედამისი ამ დროს 75 წლისა იყო და ჰუგო, რომელიც დედას აღმერთებდა და მუდმივად ზრუნავდა მასზე, წელიწადში რამდენჯერმე ჩადიოდა მის მოსანახულებლად გოთაში). „ავსტრიასთან მე მაკავშირებს მადლიერება და იგი არის უფრო ფასეული, ვიდრე მოჩვენებითი პატრიოტიზმი, რადგან მე აქ ვარ ისეთივე კარგი

ან ცუდი გერმანელი, როგორც გერმანიაში ვიქნებოდი. ყველაზე სასიამოვნო წლები ჩემი ცხოვრებისა მე ავსტრიაში გავატარე. ლაიფციგში გატარებული წლები ოდნავ თუ შეედრება მათ, ჰალეში გატარებული კი ახლოსაც ვერ მივა მათთან“. ერთ ახალგაზრდა უკმაყოფილო ავსტრიელს, რომელსაც ქვეყნის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა უნდოდა, შუხართმა 1917 წელს მისწერა: „მე ვფიქრობ, როგორც ავსტრიისაგან მოდის მადლიერების გრძნობა, „პირიქითაც, ავსტრიის მიმართაც უნდა ჰქონდეს იგი კაცს“.

როგორც კი ჰუგო გრაცში ჩავიდა, მაშინვე გრაცის ცხოვრების ცენტრში მოექცა: მჭიდრო კავშირები დაამყარა – მათ შორის ბევრი სიცოცხლის ბოლომდე – კოლეგებთან, იქაური ინტერესებით აღივსო. თავისი ტემპერამენტის შესაბამისად, იგი თავისი ახალი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა: სამეჯლისო კომიტეტის წევრობიდან (იგი თავგადაკლული მოცეკვავე იყო) უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებამდე. „მე მინდა, აქ ჩემი ფესვები ჩავყარო. მე ახლა ავსტრიელი ვარ და ასეც უნდა იყოს,“ – წერდა იგი 1877 წელს.

ჰუგო არა მარტო „არჩეულ სამშობლოს“, ავსტრიას, უძღვნიდა გულთბილ სიყვარულს, არამედ თვითონ ავსტრიაშიც გამოირიცხული ჰქონდა ადგილის შეცვლა. როცა ადოლფ მუსაფიამ⁶, რომელიც იმხანად ავად იყო, მას ადგილის შეცვლა შესთავაზა (1878) და ვენაში უფრო პრესტიჟული ადგილის დაკავების პერსპექტივა გაჩნდა, ჰუგომ დაუფიქრებლად უთხრა უარი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვენით აღტაცებული იყო (უნდა აღინიშნოს, რომ მუსაფიას დიდი ამაგიც ჰქონდა ჰუგოზე: სწორედ მან უშუამდგომლა ჰუგოს გრაცში და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასაც დაჟინებით ურჩევდა, მაინცდამაინც ჰუგო მიენვიათ პროფესორის ადგილის დასაკავებლად). სწორედაც! მას დედაქალაქში ექნებოდა ორჯერ ნაკლები თავისუფალი დრო და, ამასთან, გაორმაგებული მოვალეობანი სამსახურში. საამისოდ კი მას ძალები არ ეყოფოდა. მან აგრეთვე უარყო მონვევა ბუდაპეშტიდან, თუმცა უნგრეთი უყვარდა და ქალაქიც ძალიან მოსწონდა. სხვათა შორის, მას გრაცში ბევრს უთმობდნენ, მის ჭირვეულ ხასიათს ეგუებოდნენ და მოგვიანებით, როდესაც მისი სახელი შორს გაითქვა, ჰუგო უფრო და უფრო მეტ მოთხოვნას უყენებდა გრაცის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და სხვადასხვა სახის შეღავათს ითხოვდა, ზოგჯერ კი გაუმართლებელ დაფინანსებასაც გამოსძალავდა ხოლმე ადმინისტრაციას თავისი პირადი საქმეების განსახორციელებლად და მას უარს ვერ ეუბნებოდნენ: მისი სახელი ხომ ქუხდა, ასეთ პროფესორს, აბა,

⁶ ადოლფ მუსაფია (1835-1905) – ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, რომანული ენების სპეციალისტი.

როგორ შეელეოდნენ!

„მე მიყვარს ავსტრია, რომლის მხიარული, მრავალფეროვანი, სასიამოვნო და მყუდრო ცხოვრება მირჩევნია ჩრდილოეთის ერთ-ფეროვან, მეტისმეტად სერიოზულ და დაძაბულ ცხოვრებას. მე მიყვარს გრაცი, რომელიც არსებობის უფრო ხელსაყრელ პირობებს მთავრობს“ – განაცხადა მან მის პატივსაცემად გამართული წვეულებების დროს 1891 წელს.

„ავსტრია უნდა გიყვარდეს, პრუსია კი შეიძლება შეიყვარო, თუკი სასწორზე უნდა შემოდო ორივე. მოგვიანებით იგი ისე გაავსტრიელდა, რომ ვერ იტანდა, როცა ავსტრიელის შესახებ ვინმე რაიმე სალანძღავს იტყოდა. „ჩემი გრძნობა, უპირველეს ყოვლისა, ავსტრიას ეკუთვნის, მე კი არ გავუუცხოვდი გერმანიას, პირიქით, მან გამხადა მე უცხო,“ – წერდა იგი 1878 წელს. ასეთი აზრები მას არაერთხელ გამოუთქვამს. სწორედ ამიტომაც, რომ შუხართი თავს ავსტრიელ მეცნიერად თვლიდა და სხვებიც ასე მიიჩნევდნენ. ვერ შეედავები, თავისი საქმისა თვითონ უკეთ უწყოდა. დღეს მას, ალბათ, აღარავინ მოიხსენიებს გერმანელ მკვლევრად.

რომანული ენებისა და მისი კილოკავების განხილვამ იგი მიიყვანა ენათა შერევამდე. ამ პრობლემის შესწავლა მან დაიწყო უნიწარესად ევროპისგარეთა კოლონიების ენებზე დაკვირვებით. სათანადო მასალების შესაგროვებლად კი 1884 წლის ზამთარში 150 წერილი გაგზავნა მსოფლიოს ოთხივე მხარეში. შემდეგ და შემდეგ იგი იკვლევდა აფრიკულ ენათა შერევას და, საერთოდ, თანდათან გაიფართოვა საკვლევე არეალი. შემდეგ იგი დაუბრუნდა ბასკურს, აქედან კი მიადგა კავკასიურ ენებს, აგრეთვე ბერბერულს, მალაიურს, ნუბიურს... განსაკუთრებული სიყვარული კი ბასკურისა და ქართულის მიმართ გამოამჟღავნა. ბასკური მისი უსაყვარლესი ენა იყო. უკანასაკნელი დამთავრებული სტატიაც სწორედ ბასკურს ეხება (1926 წლის ნოემბერი). „ბასკებზე ჭკუას ვკარგავ“ – წერდა იგი 1887 წელს. „ქართულს“ ჩემი ინიციატივით არ ვახსენებ. ასე თვლიან შუხართის პიროვნებით დაინტერესებული ავსტრიელი მკვლევრები მის წერილებზე დაყრდნობით.

საინტერესოა მისი ნათქვამი: „ყოველმა ინდოგერმანელმა თავისი არიული სათვალე განზე უნდა გადადოს და მზერა საყოველთაო ადამიანურ პრობლემებზე უნდა გადაიტანოს“ (1925).

შუხართი მეტად მრავალმხრივი მკვლევარი იყო. მისი სიტყვებია: „ცხოვრების სიბრძნე ისაა, რომ მცირე დიდს დაუქვემდებაროს. მაგრამ ხშირად ძნელია განსაზღვრო: რომელია მცირე და რომელი – დიდი“ (1888). შუხართი ხშირად წუნუნებდა, რომ მისი მეცნიერება ბევრ წიგნს საჭიროებდა. მან თანდათან დააგროვა მდიდარი ბიბლიოთეკა – დაახლოებით 20000 წიგნი, რომლით სარგებ-

ლობა სიძნელეს უქმნდა. „შეხედეთ, როგორ გიმნასტიკას წარმოადგენს ჩემთვის ერთი წიგნის მოძებნა: ერთი ხელი წიგნების თაროზე უნდა მქონდეს მოჭიდებული, მეორით წიგნი უნდა ავიღო, მესამით ვფურცლავ მას, მეოთხით კი ლუპით ვათვალიერებ გვერდებს“ (1923). იგი ხუმრობით ამბობდა: „მოძებნა არის ჩვენი მეცნიერების საფუძველი“ (1922), მაგრამ მალევე შეიცვალა აზრი უცხო ნაშრომებიდან ხშირი ციტირების საწინააღმდეგოდ: „სხვათა ნაფიქრალი ხელს უშლის საკუთარ აზრებს“ (1924). მისივე სიტყვებით, იგი ცუდი მკითხველი იყო, მხოლოდ იმას კითხულობდა, რაც მას, წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, ესაჭიროებოდა.

1906 წელს მან დატოვა თავისი ბინა (ელიზაბეთშტრასე, №6), სადაც თითქმის 30 წელს ცხოვრობდა, და კარგა ხანს ვერ მიაგნო ისეთს, რომელშიც თავის უთვალავ წიგნს დაატევდა. ბოლოს ერთ პატარა მაღლობზე შეიძინა სამი სამშენებლო ნაკვეთი და, როგორც მისი მეგობრები ამბობდნენ, „თავის წიგნებს აუშენა ვილა (დღევანდელი იოჰან-ფუქს-გასე, №30), რომელშიც მან თავისთვისაც მონახა თავშესაფარი“. დედის მოსაგონრად შენობას „მალვინას ვილა“ უწოდა, დარგო იშვიათი ხეები, ხილი, ვარდები, ააშენა მეთევზეობის მუზეუმი, ერთი მესამედი შექმნილი ნაკვეთებისა კი ველოსარბიელად გამოიყენა. ბრტყელი სახურავიდან კარგად ჩანდა მწვანეში ჩაფლული ლანდშაფტი. „ოთახში ბევრი რამ არ უნდა იდგეს, – წერდა იგი, – მაგრამ, რაც შიგ არის, მონესრიგებული უნდა იყოს“. მას სჭირდებოდა ნათელი ოთახები, ოთახებში კი ყვავილები. საკუთარი ავეჯი თანდათან შეიძინა, რადგან იგი მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობით ცხოვრობდა. ორივე სახლი უნივერსიტეტის სიახლოვეს მდებარეობს, ორასიოდე მეტრის დაშორებით მთავარი კორპუსისაგან, პირველი მის სამხრეთით, მეორე – საწინააღმდეგო მხარეს, ჩრდილოეთით. „მალვინას ვილის“ ამწვანებული ბაღი დღესაც ანდამატივით იზიდავს მის სიახლოვეს მისულ მნახველს.

იუსტიციის მრჩეველი ერნსტ შუხართი შეძლებული კაცი იყო. შვილს ფულს კი აძლევდა, მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც ჰუგო ითხოვდა. ძუნწი კი არ იყო, ასე თავისი აღმზრდელი პრინციპის თანახმად იქცეოდა. 30 წლის შემდეგ ჰუგო უფრო დამოუკიდებელი გახდა. 1873 წელს მან მამისაგან უკანასკნელად მიიღო გვარიანი თანხა. უპირველესად მან დედა მიიწვია სამოგზაუროდ, თან ხუმრობით დააყოლა: „კვერცხი უფრო მდიდარია დედალზეო“. სხვათაგან განსხვავებით, მას მეტწილად უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე სჭირდებოდა. უყვარდა საჩუქრების გაცემა. თუკი შესაფერისი საჩუქარი არ ჰქონდა ხელთ, ჩუქებისგან თავს იკავებდა. საჩუქრებს აძლევდა არა მარტო დედას ან ახლობლებს, არამედ მსახურებსაც დაბადების მრგვალი თარიღის აღსანიშნავად. ომისშემდგომ წლებ-

ში უკვე ხანშიშესულ ჰუგოს დაზოგილი ფულიც აღარ დარჩა. იგი თავისი პენსიის ერთი მესამედით უნდა დაკმაყოფილებულიყო და, როგორც თვითონ ამბობდა, იმ „პროლეტარებს შეუერთდა, რომელთაც ფეხსაცმლის ყიდვაც არ შეეძლოთ“ (1920), არ ჰქონდა შუქი და ა.შ. (მიხაელა ვოლფის ცნობით, ჰუგოს მამისგან მემკვიდრეობით დარჩა ტრანსციმბირული რკინიგზის აქციები, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ისინი დაკარგა). მაშინ გაიცნო მან „ტკბილი სიმწარე“ მეგობრული დახმარებისა. მისმა ახალგაზრდა თაყვანისმცემლებმა და მეგობრებმა გამოუწერეს მნიშვნელოვანი ჟურნალები, უგზავნიდნენ – განსაკუთრებით შვეიცარიელები – წიგნებსა და სხვადასხვა სახის ამანათს. მისთვის ცხოვრებისეული სიძნელეების შემსუბუქებისთვის ბევრნი ფიქრობდნენ. მისი ყოველდღიური კეთილდღეობისთვის წლების განმავლობაში ზრუნავდა მასთან დაახლოებული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, თანაც, ისეთი მრავალმხრივი და პრაქტიკული დახმარებით, – შუხართის სიტყვებს მოვიშველიებ: „როგორც მე ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არავისგან მიგრძნია“ (1925). უნდა დავუმატო, რომ შუხართს მეგობრების ძალიან ფართო წრე ჰყავდა, თანაც, არა მარტო ავსტრიაში. იგი მეგობრობდა მთელ ოჯახებთანაც. თვითონ თავს ცუდ მოსაუბრედ თვლიდა, სინამდვილეში კი ასე არ იყო საქმე – ბავშვობიდან ახასიათებდა იუმორი, იყო საკმაოდ გონებაამახვილი, თუ სურდა, კომუნიკაბელურიც: მატარებლით მგზავრობისას შეეძლო უცნობთან საათობით ესაუბრა. მას განსაკუთრებით უყვარდა ლაპარაკი საზოგადოების სხვა წრეების წარმომადგენლებთან. თუ საზოგადოება არ მოსწონდა, მთელი საღამოს განმავლობაში მუნჯივით იჯდა. თუკი დიალოგი ჰქონდა ვინმესთან და მესამე შეუერთდებოდა, მაშინვე მოშორდებოდა მათ, ისე რომ არ ფარავდა თავის უკმაყოფილებას ამით. ერთობლივი სეირნობისას შეეძლო უცბად ეთქვა: „ასე, ახლა მარტო გავაგრძელებ გზას“.

მას სძულდა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, მინვევები, რადგან აუცილებლობა იმისა, რომ აშა და ამ დროს სადღაც უნდა ყოფილიყო, ბოჭავდა, ანერვიულებდა და უკანასკნელ მომენტში შეეძლო შეხვედრა გადაეთქვა. ძალიან უყვარდა ყველაფერი იმპროვიზებული. ამ დროს იგი დიდ მოთმინებას იჩენდა. „ლაყბობა“ მისი სპეციალობის ხალხთან ხანდახან ნახევარ დღესაც კი გრძელდებოდა. როგორც ერთი საზოგადოებრივი ბალის მომწყობი კომიტეტის წევრი, იგი საღამოს 7 საათიდან მეორე დღის ორის ნახევრამდე ადგილზე დარჩა. სხვა დროს ორის ნახევრზე რომ მიუჯდა მაგიდას, 8 საათამდე შეჰყვა, ერთხელ კი მეგობართან მივიდა დილის 9 საათზე და 12 საათს დაყო მასთან (ეს ჩვენ არ გვიკვირს, თორემ ევროპელთათვის არაა დამახასიათებელი, მით უმეტეს, იმ წრისთვის, რომელ-

შიც შუხართი ტრიალებდა. ისიც გავიხსენოთ, რომ შუხართის მართოდენ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა ლამის რვა ასეულს აღწევს, ამათ დაუმთავრებლებიც დაუმატეთ. ხომ სჭირდებოდა ამ მეცნიერული პროდუქციის შექმნას დრო, თანაც, რამდენი! მას კი თითქმის ყოველ წელს რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობა არ შეეძლო ფიზიკური მდგომარეობის გამო. მაგრამ, როგორც ჩანს, ჰუგო თურმე არც გართობას იკლებდა). ერთმანეთს ცვლიდა საუბარი და კარტის თამაში, ბავშვებსა და ძაღლებთან ყოფნა. შუხართს უყვარდა ბავშვები განურჩევლად მათი ასაკისა, ეხალისებოდა შედარებით მოზრდილების გაბრაზება, ხშირად ეთამაშებოდა პატარებს და ზოგჯერ თვალყურის სადევნებლადაც რჩებოდა მათთან, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან ძუძუმწოვარა ბავშვებთანაც კი. მას ერჩივნა, „ამორჩეული ბიძია“ ყოფილიყო და არა მდიდარი ბიძია, რომლისგანაც მემკვიდრეობას ელიან. ნათესაურ ვალდებულებას იგი არ ცნობდა. მის გვერდით მყოფ ადამიანებთან რალაც საერთო უნდა ჰქონოდა: საერთო ინტერესები, მოგონებები, ურთიერთობები ვინმე მესამესთან. მისი ცხოვრება უკიდურესობებს შორის მერყეობდა: ერთი მხრივ, მარტოობა უყვარდა, მეორე მხრივ, უსაზღვროდ სჭირდებოდა საზოგადოება. თუ უქეიფოდ იყო და მუშაობის თავი არ ჰქონდა, გაფანტული იყო. თუკი მუშაობა შეეძლო, მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო 12-15 საათს შეუსვენებლად სანერ მაგიდასთან ჯდომა. მას მოსწონდა საქმეზე კამათი და ამბობდა, პოლემიკის ტალანტი მაქვსო (1898). იგი არ ფიქრობდა, რომ კაცს მუდმივად ერთი შეხედულება უნდა ჰქონოდა. მისი სიტყვებია: „მხოლოდ განსხვავებული შეხედულებების ურთიერთჭიდილში მიაბიჯებს მეცნიერება წინ“ (1923). თუკი კამათი მწვავედებოდა, იგი მას წყვეტდა და თავისებური გზით, წერილის საშუალებით, მიჰყავდა ბოლომდე, დაახლოებით ასე: ჩვენ ორივენი განერვიულებულები ვართ და ერთმანეთს აზრის გამოთქმის საშუალებას არ ვაძლევთო.

მანდილოსანთა საზოგადოებაში ჰუგო მეტად პოპულარული იყო, მაგრამ ვერავინ მოახერხა, მისთვის ოჯახური უღელი დაედგა. ორმოცდაათი წლისაც კი, იგი ქორწინებაზე ფიქრობდა, ოღონდ არა პრაქტიკული მიზნით: „ჩემს მეურნეობას მე თვითონ უფრო იაფად და უკეთესად გავუძღვები, ვიდრე რომელიმე ქალი. მთავარია ურთიერთსიყვარული“. თავისი ბერბიჭობა მან ასე ახსნა: „როგორ შემეძლო მე ჩემი მხურვალე ბუნებით ოდესმე გამერიკა, დავქორწინებულიყავი ვინმე ქალიშვილზე, ანუ არსებაზე, რომელსაც ქალი ჰქვია და სრულიად გაუგებარი, ჩაუნვდომელი რამაა?“ (1891).

მიუხედავად ამისა, ხანშიშესულს შეუყვარდა ერთი მშვენიერი ჭკვიანი ქალი, რომელიც მოგზაურობის დროს გაიცნო, თანაც, ისე ძლიერად შეუყვარდა, რომ რამდენიმე დღემ, რომლებიც მასთან

გაატარა, მას აღმაფრენა მისცა. ქალის უარმა მასზე ძალიან იმოქმედა და კარგა ხანს ყველა სხვა საქმის მიმართ შრომისუუნარო გახდა. „მე ხანდაზმული ვარ? აქ მოქმედებს ფიზიკური აუცილებლობა – გარკვეულ წლებში კაცს ხომ სჭირდება რაღაც სხვა აუცილებელიც, ვიდრე საჭმელი, სასმელი, ძილი, მეცნიერება, კარტის თამაში... სახელდობრ, ცოტა პოეზია ან... ახალგაზრდული სისულელე, მიუხედავად ასაკისა“ (1891).

მოგვიანებით ჰუგო თავს ინუგეშებდა, კარგი ვქენი, რომ არ დავქორწინდი, მაშინ ხომ ველარ ვიმუშავებდი. მე არ შემეძლებოდა, იმავდროულად მეცნიერებისთვისაც მემსახურაო (1897). სხვა მამაკაცებსგან განსხვავებით, პატიოსნად მომუშავე ქალების მიმართ მას არავითარი ირონია არ ჰქონდა. ქალი კოლეგების მიმართ ის იჩენდა კეთილგანწყობას და მზად იყო, დახმარებოდა მათ. მისი სიტყვებით: „ქალებს შეუძლიათ ფიზიკურად იმდენი იშრომონ, რამდენიც კაცებს, მაგრამ თუ ისინი არ ეტანებიან ყოველგვარ მამაკაცურ სამუშაოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათს ხასიათს არ მიესადაგება“.

როცა თავს შეუძლოდ გრძნობდა, ხანდახან მსმენელნი მასთან შინ მიდიოდნენ. ისეც ხდებოდა, რომ თავის სემინარებს ზოგჯერ სანოლში მწოლიარე ან დივანზე წამოწოლილი ატარებდა.

მას ეჯავრებოდა ყოველგვარი სახე მეშჩანობისა. ის მეტად ობიექტურად აფასებდა საგნებს. თითქმის ყველა სამეცნიერო საზოგადოება სთავაზობდა მას წევრობას. ერთ ასეთ საზოგადოებას იგი სწერდა: „მცირეოდენი დამსახურება კი მაქვს, მაგრამ უნინარესად იღბალი მწყალობს“. მისი პიროვნების მიმართ გამოხატულ პატივისცემას კი შიშის გრძნობით ხვდებოდა. როცა იგი ბოლონიაში უნდა წასულიყო საპატიო დოქტორის დიპლომის მისაღებად (1888), ბოლო მომენტში გადაიფიქრა და აღარ წავიდა.

შუხართი თავის საზღვარგარეთელ კოლეგებს სწერდა არა მარტო გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად, ესპანურად, არამედ აგრეთვე უნგრულად, დანიურად, რუსულად, რუმინულად, ქართულად და ა.შ., მაგრამ ამ გატაცებას – წერილები იმ ქვეყნის ენაზე ეწერა, სადაც აგზავნიდა – 1899 წელს თავი დაანება, რადგან ამაზე ბევრი დრო ეკარგებოდა.

შუხართი მუდმივად უკმაყოფილო იყო თავისი თავით და თვლიდა, რომ ნიჭი აკლდა, სხვები მასზე ნიჭიერები, მცოდნენი და წარმატებულნი იყვნენ. იგი უფრო ხშირად თავის მარცხზე წერდა, ვიდრე წარმატებაზე. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში იგი მიმართავდა თავის ახალგაზრდა კოლეგებს, თუ როგორ დგას მათს ზურგს უკან. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო. ჰუგო თავის თავს ბევრს სთხოვდა, გაცილებით ბევრს, ვიდრე სხვები.

თავში ათასგვარი იდეა უტრიალებდა, მეცნიერულიც და ნაკ-

ლებად მეცნიერულიც, რომლებიც ქალაქებზე გადატანას ითხოვდნენ (მაგალითად, მან საკმაო დრო დაუთმო თევზაობასა და სათევზაო მონყობილობების შესწავლას მთელ მსოფლიოში და ამ მიზნით სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესის მქონე ხალხში გაიკითხა თევზაობასთან დაკავშირებული საკითხების გამოსაძიებლად. სხვათა შორის, იგი ფილიპე გოგიჩაიშვილის მეშვეობით საქართველოში გავრცელებულ სათევზაო მონყობილობებსაც გაეცნო). მაგრამ მისთვის მთავარი მაინც მეცნიერება იყო. „მეცნიერების გარეშე ცხოვრებას ჩემთვის მიმზიდველობა არ ექნებოდა, – წერს იგი, – ეს დარიშხანის ჭამას ჰგავს: თუ ერთხელ დაინყე, მერე ველარ მოეშვები“, „მეცნიერებამ მთლიანად მომიცვა, იმდენად, რომ სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანი გახდა“ (1891). როცა მას რჩევას აძლევდნენ, ჯანმრთელობას გაუფრთხილდი და ნაკლები იმუშავეო, იგი იცინოდა. ვინც მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიას გადაავლებს თვალს, მიხვდება, რა ენერჯითა და შემართებით მუშაობდა – მან ხომ 770-მდე დაბეჭდილი ნაშრომი დატოვა!

სიცოცხლის უკანასკნელი წლების სასიხარულო მოვლენა იყო მისი დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი „Hugo-Schuchardt-Brevier“ (რომელიც მისმა უმცროსმა კოლეგამ, ლეო შპიცერმა, მიუძღვნა), რამაც მას შესაძლებლობა მისცა, თვალი გადაეშალა საკუთარი საქმიანობისათვის.

ჰუგო შუხარტს მეცნიერული ინტერესები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ განელებია.

ძლიერი სახის სისხლჩაქცევებმა ტვინში, რაც მას 1924 წლიდან დაეწყო, ვერ გატეხა მისი სულის სიძლიერე. 1926 წლის სექტემბრიდან იგი მეტწილად სანოლს იყო მიჯაჭვული. 1927 წლის აღდგომას (17 აპრილს) მან ქართული მასალა გაგზავნა თბილისში გამოსაქვეყნებლად „ამ მშვენიერი ენისადმი მისი მუდმივი ინტერესის გამოსახატავად“. ამ სიტყვებს შუხარტის ერთერთი ბიოგრაფი, ე.რისტერი, მისივე სიტყვით, იმონებებს ა.შანიძისთვის მიწერილი წერილის მიხედვით, თუმცა შუხარტის მიერ სიკვდილამდე 4 დღით ადრე ა.შანიძისადმი გაგზავნილ წერილში სხვაგვარადაა: „რადგან გული მტკივა, რომ ჩემთვის ისეთი სიმპათიური და საინტერესო ენა, როგორც ქართულია, უნდა მიმეტოვებინა, უკანასკნელ დღეებში ჩემი ქალაქები გადავქექე და მათში „ცნობები ქართული ხელნაწერებიდან“ ვიპოვე, რომელიც, როგორც მოწმე ჩემი ინტერესისა, გუშინ დაზღვეული წერილით გამოგიგზავნეთ“. შესაძლებელია, ე.რისტერი ჩემთვის უცნობ სხვა წყაროს ეყრდნობა, მაგრამ ქართული რომ განსაკუთრებით უყვარდა, ეს შუხარტს არაერთგზის გაუწყხადებია.

1927 წლის 19 აპრილს წერილების დაუღალავმა დამწერმა პატა-

რა ბარათი გაუგზავნა თავის ახლობელს, რომლის ბოლო ფრაზა ასეთია: „ჩემი ინტერესები კვლავ ძველებურია“, და შეჰპირდა მისთვის იმპრესიონიზმისა და გრამატიკის შესახებ ნაშრომის გაგზავნას. ორი საათის შემდეგ კი გონება დაკარგა... ძნელია დაბეჯითებით თქმა, ეს იყო მისი უკანასკნელი წერილი თუ ის, რომელიც სასიკვდილოდ განწირულმა მეცნიერმა აკაკი შანიძეს გაუგზავნა იმავე დღეს – საკუთარი, აკანკალებული ხელით ნაწერი ღია ბარათი. ეტყობა, თავს ძალას ატანდა, რომ რამენაირად დაეწერა, რადგან ასოები უკვე ველარ გამოჰყავდა კარგად და ნაწერი ერთობ ბუნდოვანი და ძნელი ამოსაკითხია... ერთი რამ ცხადია: აქტიური სიცოცხლის ბოლო წუთებში იგი ისევ ქართულზე ფიქრობდა... ჰუგო შუხართმა გონზე მოუსვლელად კიდევ ორ დღეს გაძლო და 21 აპრილს წუთისოფელს გამოეთხოვა...

შუხართმა ჯერ კიდევ 1874 წელს დაიბარა, სიკვდილის შემდეგ მისთვის კრემაცია გაეკეთებინათ. ანდერძის თანახმად, ეს სურვილი შეუსრულეს. რაკი იმხანად გრაცში კრემატორიუმი არ იყო, ცხედარი ვენაში წაასვენეს და იქ დაფერფლეს, ხოლო იქიდან ფერფლი მის საყვარელ გრაცს დაუბრუნეს და „მალვინას ვილის“ კედელში ჩაატანეს.

ანდერძის თანახმად, მისი მემკვიდრეობა შემდეგნაირად განაწილდა: ვილა გადადიოდა მის სიცოცხლეშივე დაარსებული „მალვინას ფონდის“ მფლობელობაში, ერთი ოთახი განკუთვნილი იყო ღარიბი, ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტებისთვის საცხოვრებლად, მასზე მზრუნველ ცოლ-ქმარს, ფრანც და კაროლინე მაირჰუბერებს, რომლებიც მასთან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, უფლება დაუტოვა, სიცოცხლის ბოლომდე ვილაში ეცხოვრათ. მისი მთელი ბიბლიოთეკა, ქალაქები და ნივთები გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა საოჯახო წერილების გამოკლებით – ეს უკანასკნელი მაირჰუბერების სიკვდილის შემდეგ უნდა დამწვარიყო.

1941 წელს „მალვინას ვილის“ რამდენიმე ოთახში გადასახლდა გრაცის უნივერსიტეტის რომანისტიკის ინსტიტუტი, ხოლო 1977 წელს, კაროლინე მაირჰუბერის სიკვდილის შემდეგ (მისი მეუღლე უფრო ადრე გარდაიცვალა), ინსტიტუტმა შუხართის ვილის დანარჩენი ნაწილიც შეიერთა. დღეს იქ ჩვეულებრივი საინსტიტუტო ცხოვრება მიმდინარეობს, თუმცა ჰუგო შუხართის პირადი ნივთებიც არის გამოფენილი.

შუხართის სიკვდილიდან მცირე ხნის შემდეგ ცნობილმა ლაიფციგელმა წიგნებით მოვაჭრემ და გამომცემელმა ოტო ჰარასოვიცმა მოინდომა, ეყიდა შუხართის ბიბლიოთეკა, რომელიც დაახლოებით 20 000 წიგნს ითვლიდა, მაგრამ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიო-

თეკამ კატეგორიულად უარყო ეს წინადადება: ჰუგო შუხართის სახელსა და ხიბლს ვერავითარი ანაზღაურება ვერ შეცვლიდა!

მეტად შეკუმშული სახით გავეცნოთ შუხართის პიროვნებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს.

შუხართს წერილები მოსდიოდა უმთავრესად გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე, მაგრამ, ამათ გარდა, მის არქივში მრავლადაა ესპანურ, ბასკურ, კატალონიურ, პორტუგალიურ, რუმინულ, უნგრულ, ჰოლანდიურ, ლათინურ, რუსულ, კიმერულ და ქართულ ენაზე დანერილი წერილებიც. საფიქრებელია, თვითონაც შეეძლო და ცდილობდა კიდევ, წერილი იმ ქვეყნის ენაზე დაენერა, სადაც აგზავნიდა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 1899 წლიდან ამ ახირებას თავი დაანება, რადგან ბევრი დრო მიჰქონდა.

რა ენების შესახებ წერდა? – თუ მისი წერილების შესახებ ვიმსჯელებთ, მას ამა თუ იმ კუთხით აინტერესებდა შემდეგი ენები: გერმანული, ფრანგული, იტალიური, ინგლისური, ესპანური, ბასკური, კატალონიური, პორტუგალიური, რეტორომანული, რუმინული, უნგრული, ბერძნული, ლათინური, დანიური, ჰოლანდიური, კელტური, კიმერული, ქართული, სომხური, ალბანური, ძველინდური, ჩინური, იაპონური, შვედური, რუსული, არაბული, ხორვატიული, აფრიკული ენები (სუდანური, ნუბიური, ბანტუ, სუაჰილი), ინდონეზიური ენები, ინდიელების ენები, კრეოლური ენები, ყაზანური თათრული, იტალიურის დიალექტები...

იგი იკვლევდა ენათა შერევას და ათეულობით ჯგუფი შეისწავლა ამ მიმართებით. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ბუნებრივია, ზოგად ენათმეცნიერებასაც არ აკლებდა ყურადღებას, აინტერესებდა ორთოგრაფია, ენათა ნათესაობა.

რას ეხება მისი პირადი წერილები? – 13 000 წერილში უამრავი საკითხია დასმული და განხილული. აი, ზოგიერთი: პირველ რიგში, ამა თუ იმ ენის გრამატიკის ნაირგვარი სფერო, სხვადასხვა ხასიათის ცნობა ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ (ინდოეთი, კოლუმბია, ნიკარაგუა, მალაიზია, ფილიპინები, გვინეა, მალტა, მოზამბიკი, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა...), პოლიტიკა, საუნივერსიტეტო პოლიტიკა, ბავშვების ენა, საიდუმლო ენა, თევზჭერა, სათევზაო საშუალებანი, მათემატიკა, მედიცინა, ბოტანიკა, გეოლოგია, ეტიმოლოგია, ენათა გეოგრაფია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ლექსიკოგრაფია, ეთნოგრაფია, კულტურის ისტორია, ფოლკლორი...

რა ქვეყნებიდან მოსდიოდა კორესპონდენცია? – ავსტრალიის გარდა (შეიძლება ვცდები, მაგრამ მე ვერსად მოვკარი თვალი ამ კონტინენტის დამლას მისთვის გაგზავნილ წერილებზე), მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან უგზავნიდნენ საფოსტო ბარათებსა თუ მრავალგვერდიან წერილებს. ქალაქების ჩამოთვლას აზრი არა აქვს,

იმდენია, ამიტომ მხოლოდ ქვეყნებს დავასახელებ:

ევროპიდან მხოლოდ ერთი-ორი ჯუჯა სახელმწიფო არ არის წარმოდგენილი.

ახია: ინდოეთი, ინდონეზია, ფილიპინები, ჩინეთი, თურქეთი, ბირმა, მალაიზია, ცეილონი, ტაილანდი...

ამერიკა: შეერთებული შტატები, კანადა, მექსიკა, ნიკარაგუა, გვატემალა, კუბა, ჰაიტი, სურინამი, ჩილე, პერუ, ეკვადორი, ტრინიდადი, ტობაგო, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა, კოლუმბია, იამაიკა...

აფრიკა: ეგვიპტე, ალჟირი, მაროკო, მოზამბიკი, სამხრეთ აფრიკა, ზანზიბარი, ანგოლა, სენეგალი...

ათეულობით პატარა კუნძული თუ კუნძულთა ჯგუფი (ფიჯი, მავრიკი, აზორი...), აგრეთვე იმხანად პოლანდიის, ინგლისის, საფრანგეთის არაერთი კოლონია...

გერმანია და ავსტრია ხომ თავისთავად იგულისხმება.

დასასრულ, იმ სამეცნიერო დანესებულებებსაც დავასახელებ, რომლებმაც ჰუგო შუხართს დაუფასეს ღვაწლი, მისი დამსახურება ათეულობით ენის კვლევის საქმეში და თავიანთი ორგანიზაციების საპატიო წევრად აირჩიეს. შუხართი იყო ვენის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ბოლონიის, ბუდაპეშტის, ოსლოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი; ბუდაპეშტის, ბერლინის, მიუნხენის, რომის, ამსტერდამის, ლისაბონის, კოპენჰაგენის, კრაკოვის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, ბატავიის (დღევანდელი ჯაკარტის) ხელოვნებისა და მეცნიერებათა საზოგადოების წევრი, საპატიო წევრი სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტისა სან-სებასტიანში, მილანში, ბალტიმორში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში. აკაკი შანიძის ცნობით, ჰუგო შუხართი იყო ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრიც.

რა აკავშირებდა ჰუგო შუხართს საქართველოსთან? აი, რას სწერდა იგი აკაკი შანიძეს: „ქართულის თეორიული კვლევა დაახლოებით 40 წლის წინ დავიწყე. როცა 1895 წელს სტატია გამოვაქვეყნე ქართულისა და, ზოგადად, კავკასიური ზმნის პასივის შესახებ, გრაცში ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა პროფ. მელიქიშვილი (მელიქოვი), ქიმიის პროფესორი ოდესიდან, და მისგან, ქიმიკოსისგან, ვისწავლე პრაქტიკულად ქართულის საფუძვლები. მან დამაკავშირა მის ბევრ თანამემამულესთან და აქედან დიდი სარგებლობა მივიღე. თუმცა ჩემი იმედი, თქვენი ენის შესწავლაში რომ სწრაფად წავსულიყავი წინ, გამიცრუვდა. ეს, მართალია, გაცილებით გვიან მოხდა, მე ვფიქრობ, 1904 წელს – როცა თბილისიდან ჩვენს უნივერსიტეტში ახალგაზრდა კაცი, ალექსანდრე ბეშკენაძე ჩამოვიდა, როგორც ვთვლიდი, იმ მიზნით, რომ ის ჩემთან თეორი-

ულად მომზადებულიყო ქართულში ან კავკასიურ შტუდიებში, მე კი მისი დახმარებით პრაქტიკულად გავვარჯიშდებოდი ქართულში. მაგრამ მალე შევატყვევ, რომ იგი მისთვის განსაზღვრული საგნების მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდა" (1926). უფრო ადრე კი შუხართი ა.ხახანაშვილს შემდეგ სტრიქონებს სწერდა (სხვადასხვა წერილში): „ჩემი მეცნიერული ინტერესი ქართულში მიმართულია ენისაკენ, კერძოდ, იმ მიზნით, რომ შემადღებინოს ენათა შედარება... როცა მე ცაგარლის ნაშრომებზე ვწერდი რეცენზიას, ახლა კი თქვენსაზე ვაპირებ, მე სურვილი მამოძრავებს, ქართული ფილოლოგიის შესასწავლად, საზოგადოდ, დასავლეთევროპელები წავაქეზო“; „როგორც კი ამ სამუშაოს დავამთავრებ, ვიმედოვნებ, კვლავ მოვკიდო ხელი ქართულს, შემდეგ მინდა მივხედო ერთ ჩემს ნაშრომს ქართული ხელნაწერების შესახებ, რომელიც დიდი ხანია თითქმის ბოლომდეა მიყვანილი და მინდა, რომ, ბოლოსდაბოლოს, დავასრულო, შემდეგ რეცენზია დავწერო თქვენს „ლიტერატურის ისტორიაზე“ და ფრ.მიულერის სტატიას ქართული ანბანის წარმომავლობის შესახებ სერიოზულად ჩავუჯდე“; „მე ახლა მთლიანად ქართულ პალეოგრაფიაში ვარ ჩაფლული და იმედი მაქვს, რომ წინასწარი „ცნობა ქართული ხელნაწერებიდან“ (ორი ფოტოტიპიური ტაბულით) ჩემს გამგზავრებამდე გავამზადო დასაბეჭდად... ამავდროულად შუა და დასავლეთ ევროპის დიდ ბიბლიოთეკებში გავიკითხე, ხომ არ ფლობენ ისინი ქართულ ხელნაწერებს“ (1897); „განზრახული მაქვს, ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დრო – არ ვიცი, მოკლე თუ გრძელი – უწინარეს ყოვლისა, მივუძღვნა კავკასიური ენების შესწავლას... ჩემი განზრახვაა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი, რაც კი გარკვეული დროიდან ქართველური და სხვა კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ ქართულად ან რუსულად გამოიცა, გამოწვლილვით დავამუშაო... ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ, თუ რამემ ხელი არ შემიშალა, ვფიქრობ, განვაახლო დიდი ხნის წინ დაწყებული სამუშაო ქართული გრამატიკის შესახებ“ (1902). 1899 წელს შუხართი მოსე ჯანაშვილს აცნობებდა: „ჩემი ქართული შტუდიები დიდხანს მქონდა გვერდზე გადადებული, მაგრამ ცოტა ხნის წინ კვლავ დავუბრუნდი... უკვე წლებულს ვაპირებ ქართული პალეოგრაფიის შესახებ ერთი ნაშრომის დასრულებას“.

შუხართს პირადი ნაცნობობა ჰქონდა ევროპაში სამკურნალოდ თუ საქმიანი ვიზიტით მყოფ ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან, ევროპის სხვადასხვა ქალაქში სასწავლებლად ჩასულ ქართველ სტუდენტებთან. თუკი საშუალება მიეცემოდა, მათთან კონტაქტს ამყარებდა და შემდგომში გაცხოველებული მიმონერა ჰქონდა, რის მეოხებითაც არკვევდა მისთვის ძნელად გასაგებ თუ ბუნდოვან საკითხებს ჩვენი ენისას, აზუსტებდა წიგნებში ამოკითხულ ცნობებს

მისთვის საინტერესო ამა თუ იმ ყოფითი საკითხის შესახებ.

ჰუგო შუხარტის მიმონერა ჰქონდა ისეთ ცნობილ ქართველ მოღვაწეებსა და მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, პეტრე მელიქიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო მარრი, ალექსანდრე ცაგარელი, მოსე ჯანაშვილი, ნოე ჟორდანიას, ნიკო ლოლობერიძე, თედო სახოკია და სხვანი. საქართველოში მიმდინარე პროცესებს დაუზარებლად აცნობებდნენ უცხოელები: არტურ ლაისტი და ლეო ლოპატინსკი, კარლ ჰანი და ნიკოლოზ ზეიდლიცი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...

ჰუგო შუხარტი მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რათა ევროპაში ჩასული ქართველები გრაცში მიენვია და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიეღო საქართველოსა და ქართული ენის შესახებ უშუალოდ ქართველებისაგან. მოვუსმინოთ ალექსანდრე ბუშქენაძეს, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში იმ მიზნით, რომ განვრთნილიყო ენათმეცნიერებაში, ქართველმა მეცენატებმა საგანგებოდ მიავლინეს გრაცის უნივერსიტეტში, რათა უშუალოდ შუხარტის ზედამხედველობით გაეღრმავებინა თავისი ცოდნა: „ჰუგო შუხარდტს სხვა ევროპელ მეცნიერებთან ერთად, როგორც, მაგალითად, კარლ ლემან-ჰაუპტს და რიჰარდ მეკელაინს, შეექმნა იმ დროისათვის ქართული ენის შემსწავლელი კერა. მას შეედგინა ქართული ენის შემსწავლელი სტუდენტების ჯგუფი, რომელსაც თვითონ ამეცადინებდა. ზოგიერთი მათგანი მან მე გამაცნო. ისინი ძველ ქართულზე ლაპარაობდნენ და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შოთა რუსთაველის ეპოქის ადამიანებთან ვსაუბრობდი. ერთ-ერთმა მათგანმა მორიდებით მკითხა: „თქვენ მართლა ნამდვილი ქართველი ხართ თუ არაო. ეს ეჭვი ძველი ქართულის მცოდნე ავსტრიელ სტუდენტს ჩემში ახალი თანადროული ქართულის მოსმენის საფუძველზე დაებადა. ბოლოს ისე მოხდა, რომ მე მათგან ძველ ქართულს ვსწავლობდი, ხოლო ისინი ჩემგან ახალ ქართულს. ჰუგო შუხარდტი დიდი გატაცებით მიკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“, მიხსნიდა ჩემთვის გაუგებარ ადგილებს და აღტაცებას გამოთქვამდა შოთას ჯადოქრული ლექსის გამო“ (ა.ბუშქენაძე, ილია ჭავჭავაძე და ჰუგო შუხარდტი, „მნათობი“, № 1, 1958, გვ. 165). ხოლო თურა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენათა დიდი მკვლევარი ქართულის შესწავლას, ამას ნათლად გვიჩვენებს ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება: „მახსოვს, პეტრე მელიქიშვილს უამბია ერთხელ ჩემთვის, ავსტრიელი ლინგვისტი რომ იყო ჰუგო შუხარდტი, ქართული ენა რომ შეისწავლა, იმის შესახებ. იგი მეგობარი ყოფილა პეტრე მელიქიშვილისა და თურმე ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ქიმიკოსები ევროპაში მრავლად გვყავს, თითო ქალაქში თითო მაინცაა გამო-

ჩინილი მეცნიერი და რალა მაგ საგანს მოჰკიდე ხელი ამ ნიჭიერმა კაცმა, ვინ უნდა გააკვირვო ქიმიითაო? ის არა სჯობდა, რომ შენი დედაენა გეკვლია? მაგისტანა თავისებური, მდიდარი, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა გაქვთ, იგი რაც შეიძლება მალე უნდა გაიცნოს მთელმა ქვეყნიერებამ და მისი შესწავლა კი ყველაზე უკეთესად ქართველებს შეეძლიათო!” (ე.თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, №5, 1959, გვ. 178).

უნდა ითქვას, რომ ქართველმა მკვლევრებმა თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინეს შუხართის მიმართ და ყოველნაირად უწევდნენ დახმარებას ქართულის შესწავლაში. მათ, ცხადია, იმთავითვე იგრძნეს, რომ ჩვენი ენის მიმართ ისეთი სახელმოხვეჭილი მეცნიერის ყურადღება, როგორც ჰუგო შუხართი იყო, დიდად შეუწყობდა ხელს ქართული ენით უცხოელ, პირველ რიგში ევროპელ, მეცნიერთა დაინტერესებას, რომელთა დიდ გამოცდილება სასიკეთოდ წაადგებოდა ქართულის უფრო ღრმად კვლევას. ამიტომ იყო, რომ „ივერიასა“ და სხვა გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა გამომხაურებები შუხართის ნაშრომებზე ქართულის შესახებ. მაგალითისთვის მ.ჯანაშვილის სტატიის დასკვნით ნაწილს დავიმონებ „ივერიიდან“: „ამ წიგნიდან /«ტრანზიტის პასიური ბუნებისათვის კავკასიურ ენებში»/ სჩანს, რომ ქართველთათვის თავგადადებულს მეცნიერს არ დაუკლია თავისი ძალ-ღონე, რათა კავკასიელთა ენები, უმეტესად კი ენა ქართული გაეცნო ევროპიელთათვის. ავტორი დიდს ცოდნას იჩენს ქართულის ენის განხილვაში და, ვფიქრობთ, შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს მეცნიერი სრულიად და სავსებით გამოარკვევს საგრამატიკო კანონებს ქართულის ენისას და მით დაიმსახურებს მადლობას ენათმეცნიერებისას და ქართველთა ერისას“ („ივერია“, №218, 1895).

თუ როგორ აფასებდნენ ქართველი მოღვაწეები ავსტრიელ სწავლულს, ამაზე წარმოდგენას შეგვიქმნის რამდენიმე ამონარიდიც შუხართისადმი გაგზავნილი პირადი წერილებიდან:

„ნება მიბოძეთ, ძვირფასო პროფესორო, გამოვხატო გულწრფელი მადლიერება ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით, როგორც ქართველმა, თქვენი მეცნიერული ნაშრომებისთვის ქართული ენის შესახებ, რასაც თქვენი შეუდარებელი მზრუნველობის მეოხებით გაეცნო ევროპული მეცნიერება“ (ფ.გოგიჩაიშვილი, 1897); „რაც შეეხება თქვენს სურვილს ჩემთან ურთიერთობის გაგრძელებაზე, ამის თაობაზე უნდა ვთქვა, რომ ამ ურთიერთობას მე უმაღლეს პატივად ვთვლი და კვლავაც ჩავთვლი და დიდი სიამოვნებით ვისურვებდი ამ კავშირის გაგრძელებას, მიუხედავად იმისა, გერმანიაში ვიქნები თუ სხვაგან“ (ფ.გოგიჩაიშვილი, 1899); „მიუხედავად იმისა, რომ მე ფილოლოგი არა ვარ, როგორც მცოდნე ქართული

ენისა და ლიტერატურისა, მზად ვარ გემსახუროთ; თუ რაიმე ქართული წიგნი ან ცნობა გსურთ, მომწერეთ და მე დავიბარებ საქართველოდან“ (ნ. ჟორდანიას, 1896)...

მოსე ჯანაშვილი 1902 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში ჰუგო შუხართს „მიუდგომელ მეცნიერს“ უწოდებს, შვიდი წლით ადრე კი იგი წინასწარმეტყველურად მიმართავდა გრაცელ პროფესორს პირად წერილში: „უნდა იცოდეთ, რომ თქვენი ღვანლი და გარჯა უნაყოფო არ იქნება ქართული გრამატიკის საქმეში“ (1895)....

ქართველ მოღვაწეთა შეხედულებებს ჰუგო შუხართის მოღვაწეობაზე ქვემოთ გავეცნობით მათს პირად წერილებში გრაცელი პროფესორის მიმართ, ეს მონაკვეთი კი ოლივერ უორდროპის მიერ ჰუგო შუხართისადმი მიმართული სიტყვებით მინდა დავამთავრო: „დარწმუნებული ვარ, თქვენი ენერგიული ძალისხმევა ეპოქას შექმნის ქართულის შესწავლის ისტორიაში“ (1895).

როდის აპირებდა ჰუგო შუხართი საქართველოში ჩამოსვლას?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰუგო შუხართმა XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს არტურ ლაისტის მეშვეობით გაიცნო ქართველი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მოგვიანებით ევროპის დიდი ქალაქების უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები და ცდილობდა, მათი დახმარებით საფუძვლიანად შეესწავლა ქართული. შუხართი დაუახლოვდა თბილისში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს და მათგან სისტემატურად იღებდა კონსულტაციებს მისთვის ძნელად გასაგები ზოგიერთი საკითხის შესახებ ქართული ენის გრამატიკიდან. შუხართს მიმოწერა ჰქონდა არა მარტო ქართველებთან, არამედ თბილისში მცხოვრებ ან ნამყოფ გერმანელ თუ სხვა ეროვნების კოლეგებთან, ნაცნობებთან (არტურ ლაისტი, კარლ ჰანი, ნიკოლოზ ზეიდლიცი, ლეო ლოპატინსკი, ადოლფ დირი, კარლ ლემან-ჰაუპტი, უილიამ მორფილი...), ამავე დროს საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ევროპაში მყოფ კოლეგებთან (ქართველებთან თუ უცხოელებთან), რომელთაც რამენაირი კავშირი ჰქონდათ ქართულთან და შეეძლოთ მისთვის დახმარების გაწევა (ნიკო მარრი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ოლივერ უორდროპი, ედუარდ ზივერსი, რიხარდ მეკელაინი...), ზოგიერთს კი თვითონ უწევდა კონსულტაციებს ქართული გრამატიკის მათთვის ბუნდოვანი საკითხების გასარკვევად.

საქართველოში მცხოვრები მეგობრები დაუინებით სთხოვდნენ შუხართს, ჩამოსულიყო თბილისში და თავისი თვალით ენახა მისთვის საოცნებო ქვეყანა, რომლის შესახებაც ასე ბევრი საოცარი ამბავი ესმოდა. განსაკუთრებით ნიკოლოზ ლოლობერიძე და დავით სარაჯიშვილი აქტიურობდნენ ამ მხრივ, XX საუკუნის ათიან წლებში კი კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორმა ლეო ლოპატინსკიმაც მოინვია თბილისში საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებად. ორ პატარა ამონარიდს მოვიყვან არტურ ლაისტის წერილებიდან შუხართისადმი: „ბევრმა ჩემმა ქართველმა მეგობარმა სასიამოვნო დავალება მომცა: ზაფხულის არდადეგების დროს აქ მოგიწვიოთ. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ გულითადასა და მეგობრულ მიღებაში“ (3.III.1896); „ამჟამად პროფესორი ცაგარელი აქ იმყოფება. იგი და ბატონი სარაჯიშვილი გულითადად მოგესალმებიან. დღეს სადილობისას თქვენი სადღეგრძელო დავლიეთ და ბატონმა სარაჯიშვილმა ნუხილი გამოთქვა, რომ თქვენ

აქამდე ვერ მოახერხეთ კავკასიაში ჩამოსვლა. ვიმედოვნებთ, რომ ერთხელ მაინც მოინახულებთ კოლხეთის ზღაპრულ სამყაროს“ (14.IX.1904)...

ქართველები რომ გულწრფელად იყვნენ მონადინებულნი, დიდი მეცნიერი თავიანთ სამშობლოში ეხილათ, და მათი დახმარებაც გრაცელი პროფესორისადმი საჭირო სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურით უანგარო იყო, ამაზე სიტყვა, ჯობს, უცხოელს მიეცეთ. კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორი ნიკოლოზ ზეიდლიცი შუხართს სწერდა: „რაც შეეხება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ თქვენთვის ასე ბევრი წიგნის გამოგზავნას, ეს არ უნდა გაგიკვირდეთ, ბატონები ამას სიამოვნებით ჩადიან და სიამოვნებით გამოგიგზავნიან კვლავაც ყველაფერს, რისი შოვნაც შეიძლება“ (30/18 ნოემბ. 1895); „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ თქვენთვის გამოგზავნილი ყველა წიგნი, რა თქმა უნდა, უფასოდ გეგზავნებათ და ამაში ეჭვი არ უნდა გეპარებოდეთ“ (19/7 დეკემბ., 1895).

ჰუგო შუხართმა, მართლაც, გადაწყვიტა საქართველოში გამგზავრება, მაგრამ მისი სურვილის შესრულებას რალაცამ შეუძალა ხელი. ვცადოთ იმის გარკვევა, როდის აპირებდა ჰუგო შუხართი საქართველოში ჩამოსვლას და რა იყო მიზეზი მისი განზრახვის ჩამოლისა.

1926 წლიდან ჰუგო შუხართსა და აკაკი შანიძეს შორის ინტენსიური მიმონერა გაჩაღდა, რისი ინიციატორიც ქართველი პროფესორი იყო. ამ დროისათვის შუხართის ყურადღება სხვა საკითხებისადმი იყო მიპყრობილი და ქართულმა დროებით მეორე პლანზე გადაიწია (გავიხსენოთ, რომ ჰუგო შუხართი ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო, მეტად პროდუქტიულიც – 770 დაბეჭდილი ნაშრომის ავტორი, და მისი თვალსაწიერი მსოფლიოს ათეულობით ენას სწვდებოდა, ამიტომ ქართულის ერთგვარად ჩრდილში მოქცევა საესებით ბუნებრივი ჩანს), მაგრამ, რაკი ა.შანიძემ ქართული შეახსენა, გრაცელ სწავლულში კვლავ გაიღვიძა ინტერესმა ჩვენი ენისადმი და, მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრის შუა რიცხვებიდან, ფაქტობრივად, ლოგინად ჩავარდა და მუშაობა აღარ შეეძლო (უკანასკნელი ნაშრომი 1925 წელს გამოაქვეყნა, მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იხილა დღის სინათლე მისმა კიდევ სამმა სტატიამ, რომელთაგან ერთი – „ცნობები ქართული ხელნაწერების შესახებ“ – 1928 წელს დაიბეჭდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VIII ტომში), იმედი ჰქონდა გამოჯანმრთელებისა და ენერგიულად ცდილობდა, თავისი საქმეების გამგრძელებელი ეპოვა ქართულის სფეროში, ვინც სერიოზულად ჩაუჯდებოდა, მისი სიტყვებით, ამ „მეტად სიმპათიურ და საინტერესო ენას“, და სიხარულით აცნობა აკაკი

შანიძეს, რომ მიაგნო ასეთ პიროვნებას, დოქტორ ფრანც გოშ⁷, რომელმაც სურვილი გამოთქვა ქართველი კოლეგების დახმარებით ქართულის სერიოზულად შესწავლისა. ამ საკითხებზე მსჯელობდნენ ა.შანიძე და შუხართი თავიანთ წერილებში და, აი, 1927 წლის 16 თებერვალს ჰუგო შუხართმა ა.შანიძეს მორიგი წერილი გაუგზავნა, რომელშიც, სხვათა შორის, სწერდა: „აღმოსავლეთისაკენ მიმართული ჩემი კვლევა-ძიება მინდოდა თავდაპირველად კავკასიაში გამგზავრებით განმეხორციელებინა, მაგრამ ჩემმა მეგობარმა და მეზობელმა გუსტავ მაიერმა თავისი ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად მოახერხა, რომ თავისთვის დაენარჩუნებინა შესაბამისი სამოგზაურო სტიპენდია. მაგრამ იქ მძვინვარე რალაც ეპიდემიის გამო მან ვერ გამოიყენა ეს შანსი. მე თვითონ იმხანად ბასკურით ვიყავი გატაცებული, მაგრამ ამან კვლავ კავკასიურთან მიმიყვანა ცნობილი შესატყვისობების გამო“.

ამ საკითხის შესახებ ერთერთ წერილში მე ვწერდი: „გუსტავ მაიერი (1850-1900) იყო ენათმეცნიერი, ინდოგერმანისტი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი. მასა და შუხართს ძველი ნაცნობობა აკავშირებდათ. მაიერი შუხართს წერილებს 1878 წლიდან სწერდა (შუხართის არქივში დაცულია გუსტავ მაიერის 24 წერილი). მათი მიმოწერის თემა იყო საუნივერსიტეტო საქმეები, აგრეთვე იტალიური და მისი დიალექტები, ეტრუსკული, ალბანური, ბოშების ენა, პოლიტიკა... მაიერის წერილები შუხართს მოსდიოდა რომიდან, ათენიდან, ბერლინიდან, პრაჰიდან, უფრო კი გრაციიდან (არ უნდა გავაკვირვოს იმან, რომ ერთ ქალაქში ცხოვრობდნენ, მეტიც, ერთ უნივერსიტეტში მუშაობდნენ და მაინც წერილებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. ეს იმ ხანებში მიღებული პრაქტიკა იყო). ბოლო წერილი 1897 წლითაა დათარიღებული. 1904 წლის 1 თებერვალს შუხართი სწერდა პეტრე მელიქიშვილს: „გუსტავ მაიერი 1900 წელს გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც უკურნებელი დამბლის გამო მრავალი წელი გაატარა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში“. მაშასადამე, შუხართის სურვილი, კავკასია მოენახულებინა, ქართულით მისი გატაცების საწყის ეტაპზე, ალბათ, 1895-97 წლების სიახლოვეს უნდა ვივარაუდოთ. მაგრამ აქ ერთგვარი კითხვები ჩნდება. კერძოდ: მაიერმა ბოლო ორი წერილი 1897 წლის მაისში მისწერა შუხართს, თანაც ისე, რომ პირადად მას კი არ გაუგზავნა, სხვისი (ნიგნებით მოვაჭრე ოტო ჰარასოვიცისა და ადოლფ ჰილმის) მეშვეობით მიაწვდინა, მანამდე

⁷ ფრანც გოში (1884-1956) – იმხანად რუსული ენის ლექტორი გრაცის უნივერსიტეტში და იმავდროულად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი. გოში წლების განმავლობაში სამხედრო ტყვე იყო რუსეთში. 1934-45 წლებში დოქტორი გოში გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი იყო.

კი, 10 წლის განმავლობაში, არაფერს სწერდა! საკითხავია, გაბუტულები ხომ არ იყვნენ ამ ხნის განმავლობაში, რაკი მაიერმა შუხართს ხელიდან გამოსტაცა კავკასიაში გასამგზავრებელი სტიპენდია? მაგრამ მაშინ რატომ სწერს მელიქიშვილს მაიერზე, რომელსაც მეგობრად და მეზობლად მოიხსენიებს? იქნებ სწორედ ამ დროს იყო მაიერი ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებში გამოკეტილი და ამის გამო შეეხმინა სხვების მეშვეობით შუხართს. თუკი გაირკვა, XIX საუკუნის მიწურულს კონკრეტულად როდის მძვინვარებდა კავკასიაში ეპიდემია, უფრო დაზუსტებით შეიძლება იმის თქმა, რა პერიოდში ჰქონდა შუხართს განზრახული საქართველოში გამომგზავრება. მისი დაინტერესება ქართულით ხომ დაახლოებით XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იწყება. ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი წერილები ამ მიმართულებით 1888 წლის დასაწყისით თარიღდება, როცა იგი არტურ ლაისტს სთხოვდა, ქართული ენის პრაქტიკულად შესასწავლად საჭირო ლიტერატურით მოემარაგებინა⁸.

ამ მაინც ბურუსით მოცული საკითხისთვის ერთგვარი ნათელის მოფენის მიზნით გრაცის უნივერსიტეტის არქივში მოვიძიე ამ საკითხთან დაკავშირებული მასალები, რამაც ზოგიერთი საინტერესო მომენტი წარმოაჩინა. კერძოდ, გაირკვა შემდეგი:

ჩანს, გუსტავ მაიერმა მცირე აზიასა და კავკასიაში მოგზაურობა გადაწყვიტა სამეცნიერო ინტერესებით და ამ მიზნის განსახორციელებლად 1894 წლის შემოდგომაზე თხოვნა შეიტანა სამინისტროში სამოგზაურო სტიპენდიის მისაღებად. სამინისტროს ბრძანებით (30.I.1895) მას გამოეყო შესაბამისი თანხა: 800 ფლორინი (გულდენი) „1895 წლის გაზაფხულისთვის გათვალისწინებული მოგზაურობისთვის მცირე აზიასა და კავკასიაში“. იმხანად ავსტრიაში პროფესორის წლიური ხელფასი 1200-დან 2400 ფლორინამდე მერყეობდა, ასე რომ, 800 ფლორინი გვარიანი თანხა იყო.

ჩაფიქრებული მოგზაურობა მაიერმა ვერ განახორციელა (საფიქრებელია, იმ დროს მძვინვარე ქოლერის საყოველთაო ეპიდემიის გამო). ამიტომ სამინისტრომ 1895 წლის 6 აპრილის ბრძანებით გამოყოფილი თანხა მაიერს მომდევნო წლისთვის გადაუტანა.

შტირიის⁹ სამხარეო ხელისუფლების 1896 წლის 8 იანვრის ბრძანებით გრაცის უნივერსიტეტს გადაეგზავნა უწყება, რომელშიც ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანატს სთხოვდნენ: „პროფესორ მაიერს აცნობეთ, რომ გათვალისწინებული სამეცნიერო

⁸ ვ.იმნაიშვილი, „აკაკი შანიძისა და ჰუგო შუხართის მიმონერიდან“, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №31, 2004.

⁹ შტირია, ანუ შტაიერმარკი (Steiermark), ავსტრიის ერთერთი რეგიონია, რომლის მთავარი ქალაქია გრაცი.

მოგზაურობა მცირე აზიასა და კავკასიაში ამჟამად იქ არსებული პოლიტიკური ვითარების გამო განუხორციელებელი ჩანს. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ პროფ. მაიერს დაგეგმილი მოგზაურობა, ალბათ, ვერც 1896 წელს მოუხერხდება“.

1896 წლის დეკემბერში მაიერმა კვლავ ცადა, სტიპენდია კიდევ ერთი წლით გადაევადებინა და 1897 წლისთვის მიეღო, მაგრამ მან ვერც ამ წელს შეძლო მოგზაურობა. ოფიციალური საფუძველი ასე უღერდა: „1897 წლის პირველ კვირებში გუსტავ მაიერი პროგრესირებადი დამბლის გამო იძულებული გახდა, უნივერსიტეტში ლექციები შეენწყვიტა“. იმავე წლის გაზაფხულზე კი გუსტავ მაიერი ფელდშოფის სამხარეო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს (გრაჯის სიახლოვეს), სადაც 1900 წლის 28 აგვისტოს გარდაიცვალა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1894-1900 წლების ქალაქებში არ ჩანს, რომ შუხართმა თხოვნა შეიტანა მისთვის სამოგზაურო სტიპენდიის გამოყოფის შესახებ (1894 იმიტომ, რომ სწორედ ამ წლის შემოდგომაზე შეიტანა მსგავსი თხოვნა მაიერმა, 1900 კი იმიტომ, რომ მაიერი ამ წელს გარდაიცვალა – ამდენად, თუკი კონკურენცია იყო, ამ წლებში უნდა ყოფილიყო, თუმცა თამამად შეიძლებოდა, უკანასკნელი სამი წელი არ მიგველო სათვალავში, რადგან მაიერს უკვე აღარ ჰქონდა მოგზაურობის თავი: იგი, მძიმე ავადმყოფი, ფსიქიატრიულ კლინიკაში იმყოფებოდა).

შუხართის ზემომოყვანილი სიტყვებიდან არ ჩანს, თითქოს მან ითხოვა სამოგზაურო სტიპენდია. ეს არსად არაა დაფიქსირებული. შუხართის სიტყვები უფრო იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მაიერთან, რაც, იმ დროს მიღებული წესის თანახმად, სრულიად გამორიცხავს კოლეგებისა თუ მეგობრების მიერ ერთდროულ მცდელობას ერთი და იმავე სტიპენდიის დასაუფლებლად და ერთგვარ კონკურენციას. ისე გამოდის, თითქოს გუსტავ მაიერი შეეცილა შუხართს სტიპენდიას, რაკი შუხართსაც ჰქონდა დაგეგმილი მოგზაურობა, თანაც, სწორედ კავკასიაში, სტიპენდია კი მაიერს დარჩა, მაგრამ აქედან უცილობლად არ გამომდინარეობს, რომ შუხართმა თხოვნა სამინისტროში თვითონაც შეიტანა.

გრაჯის უნივერსიტეტის არქივში დაცული ფილოსოფიის ფაკულტეტის მასალებიდან არ ჩანს, რომ მაიერსა და შუხართს ერთმანეთთან უსიამოვნება ჰქონდათ. შუხართის შესახებ არსებული მასალების საფუძველზე, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ასეთი რამ დაუფერებელი ჩანს. თანაც, სტიპენდიის ორჯერ გადაწვევის მიზეზებიც ამ საკითხთან დაკავშირებული საქმიანი ქალაქების მიხედვით სრულიად აშკარაა და არავითარ ეჭვს არ იწვევს.

გრაცის უნივერსიტეტის არქივის თანამშრომლები გამო-
 რიცხავენ მაიერსა და შუხართს შორის მკვეთრ დაპირისპირებას,
 ეყრდნობიან რა მათი კოლეგებისა და ნაცნობების მოგონებებს მათ
 შესახებ. თუკი შუხართის სიტყვებს მაინც უნდა გაეუწიოთ ანგარიში,
 შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან ჯენტლმენურად დაიხია უკან და
 გზა მაიერს დაუთმო, რადგან ჩათვალა, რომ იმხანად სტიპენდიას
 მაიერი უფრო იმსახურებდა. ამიტომ ვფიქრობ, ეს კონკურენცია
 (თუკი იგი მართლაც იყო) 1894 წელს უნდა გაჩენილიყო და, ამდენად,
 ჰუგო შუხართს საქართველოში ჩამობრძანება, ისე ჩანს, თითქოს
 1895 წლის გაზაფხულისთვის ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ, რაკი ხელი
 შეეშალა, ენერგიული ნაბიჯების გადადგმა უკვე იმავე წლის შემოდ-
 გომაზე დაიწყო. ამაზე – ქვემოთ.

შუხართს ქართულით დაინტერესების პირველი ეტაპიდან
 (დაახლ. 1888) ეპატიჟებოდნენ საქართველოში, ხოლო მას შემდეგ,
 რაც პირველი ცდა საქართველოში ჩამოსვლისა ჩაეშალა, უფრო მეტი
 თავგამოდებით სთხოვდნენ თბილისში ჩამობრძანებას, მით უმეტეს,
 რომ სწორედ 1895 წლიდან იწყებს იგი ქართულის შესახებ სხვადა-
 სხვა სახის წერილების გამოქვეყნებას, რამაც ქართველ მეცნიერთა
 და საზოგადო მოღვაწეთა წრეში მისი პოპულარობა შეუდარებლად
 გაზარდა და იგი სასურველი სტუმარი გახდა ყველასთვის. როგორც
 გაირკვა, საქართველოში ჩამოსვლა მან 1895 წლისთვის გადაწყვიტა,
 რათა უკეთ გასცნობოდა ქართველ ხალხსა და მის თავისებურ ენა-
 საც, რომელიც მის სათაყვანებელ ბასკურთან ამჟღავნებდა ზოგი-
 ერთ სფეროში მსგავსებას თუ ნათესაობას, მაგრამ, რაკი ეს მოგზა-
 ურობა არ მოუხერხდა, უკან აღარ დაიხია და მიწოდებულ მასალებზე
 დაყრდნობითა და პეტრე მელიქიშვილის ხანგრძლივი კონსულტა-
 ციების დახმარებით, რომელიც შუხართს ქართულში მის მშობლიურ
 ქალაქში – გრაცში – ამეცადინებდა, უკვე 1895 წლის ზაფხულის მი-
 წურულს პირველი წიგნი დაბეჭდა ვენაში – „ქართული ენის შესახებ“,
 რომლის პარალელურადაც ჯერ ვენის მეცნიერებათა აკადემიას
 მოახსენა „ტრანზიტის პასიური ბუნების შესახებ სამხრეთკავ-
 კასიურ ენებში“, რაც იმავე წელს „აკადემიის უწყებებშიც“ გამო-
 აქვეყნა.

ამ დროისათვის, 1895 წლისთვის, ჰუგო შუხართს უკვე საკმაო
 რაოდენობით ჰყავს ქართველი ნაცნობებიც და უცხოელი კოლე-
 გებიც, ვისთანაც ქართულის შესახებ ანარმოებდა მიმოწერას
 (სანკტ-პეტერბურგში – ალექსანდრე ცაგარელი, თბილისში – ლეო
 ლოპატინსკი, კარლ ჰანი, ნიკოლოზ ზეიდლიცი, ლაიფციგში – ედუ-
 არდ ზივერსი, ოქსფორდში – უილიამ მორფილი, ქერჩში – ოლივერ
 უორდროპი, ფრაიბურგში – რუდოლფ ტურნეისენი, ჩერნოვციში –
 თეოდორ გარტნერი, მილანში – კლაუდიო ჯაკომინო)... მომდევნო

წელს ამგვარ ნაცნობთა წრე საგრძნობლად გაიზარდა. აქ მე არაფერს ვამბობ არტურ ლაისტის შესახებ, ვისაც შუხართი ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს დაუკავშირდა და ვისგანაც იგი სისტემატურად ღებულობდა საჭირო ინფორმაციებს თუ სხვადასხვა სახის ლიტერატურას, უპირატესად პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს ქართულის შესასწავლად და ლექსიკონებს. მე, ძირითადად, ვეყრდნობი შუხართის არქივში დაცულ წერილებს, რომელთა რიცხვი 13000-ს აჭარბებს, თუმცა მისი რომელიმე კორესპონდენტის წერილი შეიძლება გრაცში აღარც იყოს შემონახული. შუხართმა, ჩანს, ძირფევიანად შეისწავლა იმდროინდელი სპეციალური ლიტერატურა ქართულის შესახებ, ბეჯითად დააკონსპექტა ათეულობით რვეულში, ხოლო გაუგებარ საკითხებს ქართველ კოლეგებთან მიმონერის საშუალებით არკვევდა. საქართველოში ჩამოსვლა იმიტომ უნდოდა, რომ ადგილზე უშუალოდ გასცნობოდა ქართველ ხალხს, მის უჩვეულო ენას, მის თავისებურ ბგერით სამყაროს, რადგან ავსტრიასა და გერმანიაში ზოგჯერ ქართულ ბგერებს იქ გადასახლებული თბილისელი სომხების მეტყველებაზე დაყრდნობით იკვლევდნენ¹⁰, რაც შუხართისთვის, ბუნებრივია, მიუღებელი იყო და ეს არაერთხელ აღუნიშნავს კიდევ.

შუხართი რომ ნამდვილად სერიოზულად ფიქრობდა საქართველოში ჩამოსვლაზე, ამას მოწმობს ჩემ მიერ სულ ახლახან მოძიებული მასალები კარლ ჰანისა და ჰუგო შუხართის მიმონერიდან. მართალია, ჩემს ხელთ მხოლოდ ჰანის მიერ გაგზავნილი 3 წერილია შუხართისადმი, მაგრამ აშკარაა, სამივე ერთგვარი პასუხია გრაცელი პროფესორის შეკითხვებზე იმ დროს მისთვის საინტერესო და აქტუალური საკითხების თაობაზე. ერთერთი ამგვარი თემა არის შუხართის მოსალოდნელი ჩამოსვლა თბილისში. შუხართმა, ეტყობა, წინასწარ გაიკითხა სავარაუდო მოგზაურობის პირობები. ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ჰანის წერილების ის ადგილები, რომლებიც შუხართის ვიზიტს შეეხება.

კარლ ჰანი (1848-1925) კავკასიოლოგთა ძველი სკოლის წარმომადგენელია. იგი დაიბადა გერმანიაში. კავკასიაში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ჰანი ათწლეულების განმავლობაში იყო თბილისის სხვადასხვა გიმნაზიის პედაგოგი. პედაგოგიურ საქმიანობას ჰანი მეცნიერებასაც უთავსებდა და მეცნიერთა წრეში მიღებული კაცი იყო.

ახლა გავეცნოთ ამონარიდებს ჰანის წერილებიდან შუხართისადმი.

¹⁰ ვ.იმნაიშვილი, თ.უთურგაიძე, უცხოელი მკვლევარი ქართული ბგერების ბუნების შესახებ, თსუ შრომები, №351 (ენათმეცნიერება, №15), 2003, გვ. 8-9.

„ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ძალიან მიხარია, რომ უკანასკნელ ხანს სხვადასხვა უცხოელი სწავლული კავკასიურ ენებზე, საგანგებოდ კი ქართულზე, მიმართავს ყურადღებას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მტუდიები უშედეგო არ იქნება. მათ, ვინც ამ საქმით არის დაკავებული, მეტწილად არა აქვთ საკმარისი ზოგადი და, უწინარეს ყოვლისა, ფილოლოგიური განათლება, რათა ამისთანა ძნელ სფეროში რაიმე ფასეული შექმნან. თქვენ, ბატონო პროფესორო, ჩემდა გასახარად, უკვე მეორე ბატონი ბრძანდებით გრაციდან, რომელმაც ამ საქმისთვის მე მომმართა. დაახლოებით 2 წლის წინ გრაციდან ბატონ პროფესორ მაიერისგან (სამწუხაროდ, სახელი დამავიწყდა) მივიღე წერილი, თქვენის ანალოგიური, და, როგორც შემეძლო, მას ზოგიერთი ცნობა მივანოდე: ბატონი მაიერი შემპირდა, რომ წლეულს შემოდგომაზე კავკასიაში ჩამოვიდოდა. და მე მიხარია, რომ შემიძლია მას აქ დახმარება გავუწიო, რამდენადაც ჩემი სამსახური ამის საშუალებას მომცემს“ (14.VIII.1895).

„ბოლოს, მინდა რჩევა მოგცეთ იმ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ადრე თუ გვიან ერთხელ აქ რომ ჩამობრძანდეთ, მგზავრობა არც ისე შორს მოგიწევთ, მე-7 დღეს უკვე აქ იქნებით. ასეთი ექსკურსიისთვის გპირდებით სრულიად განსაკუთრებულ ხელშეწყობას თქვენი სამეცნიერო საქმიანობისთვის. მე ყოველდღე ველოდები ცნობას ბატონ პროფესორ მაიერისგან, რომელსაც ამ შემოდგომაზე ნაღდად სურდა აქ ჩამოსვლა. ხომ არაფერი იცით ამის შესახებ?“... (14.IX.1895).

„ბატონებმა, რომლებიც სამეცნიერო მუშაობას ეწევიან, საკმარისად იციან გერმანული საიმისოდ, რომ თქვენი ნაშრომი ორიგინალში წაიკითხონ. საჭირო დამატებები და შესწორებები, ჩემი აზრით, მაშინ შეიძლება გაკეთდეს, როცა თქვენ თვითონ ჩამობრძანდებით ჩვენთან ხანგრძლივი დროით“ (13.X.1895).

ეტყობა, შუხართს მტკიცედ ჰქონდა გადანყვებილი საქართველოში ჩამოსვლა, რაკი ჰანი ასე დაბეჯითებით ლაპარაკობს ავსტრიელი პროფესორის ხანგრძლივ ვიზიტზე თბილისში. მაგრამ ეს სურვილი გარკვეული მიზეზის გამო ჩაიშალა.

შუხართის აქტიური მცდელობა, მოენახლებინა საქართველო, მხოლოდ 1895 წლით არ შემოიფარგლება. 1899 წლის მიწურულს, ჩანს, მან კვლავ დააპირა საქართველოში ჩამოსვლა, რაკი გუსტავ მაიერის დღეები დათვლილი იყო და ახლა, ალბათ, უკვე ველარავინ შეეცდილებოდა შუხართს კავკასიაში გამგზავრებას. ყოველ შემთხვევაში, მან ისევ გაიკითხა ქართველ კოლეგებში გაზრახულ მგზავრობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების შე-

სახებ. ამას გვაფიქრებინებს მისი ძველი ნაცნობის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, წერილები გრაცელი პროფესორისადმი.

1900 წლის 12 იანვარს გოგიჩაიშვილი სწერს შუხართს: „თუკი კავკასიაში მოგზაურობას გადაწყვეტდით, ... გზა სულაც არაა ისე გრძელი და მძიმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ სამოგზაუროდ გაზაფხულს ან შემოდგომას შეარჩევდით, რადგან აქ ზაფხულის სიცხე გამთანგველია. იმედს არ ვკარგავ, რომ თქვენ შეძლებთ საქართველოს მონახულებას“. აქ ისეთ საკითხებზეა საუბარი, რომ, ეტყობა, შუხართმა შესაძლო მოგზაურობის დეტალების დაზუსტება სთხოვა გოგიჩაიშვილს. ამგვარ რჩევას იმას აძლევენ, ვინც ყასიდად კი არ იჩენს საქართველოში ჩამოსვლის ინტერესს, არამედ მართლაც სერიოზულად ფიქრობს მისთვის საოცნებო მხარის მონახულებას. იმავე წლის 29 აგვისტოს წერილში გოგიჩაიშვილი კვლავ საუბრობს ნაცნობ თემაზე: ძალიან ვწუხვარ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას არ გაძლევთ, საქართველოში იმოგზაუროთ. ამის მიუხედავად, იმედს მთლად არ ვკარგავ, – მე ჯერ კიდევ მნამს, რომ ერთხელ საქართველოშიც მოგესალმებით!“

პეტრა მელიქიშვილი

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!
 ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
 სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
 მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“

რა კარგად მიესადაგება რუსთაველის ეს შესანიშნავი სიტყვები არაერთ სახელოვან ქართველ მამულიშვილს, რომელთაც ბედმა სამშობლოსაგან მოშორებით არგუნა ცხოვრება! მათში საკმარისად იყვნენ გამოჩენილი სწავლულები, ქართული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები. მრავალმა მათგანმა თავიანთი შეგნებული ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი წლები კავკასიონის კალთებიდან მოშორებით გაატარა. ნიკო მარრს¹¹, ალექსანდრე ცაგარელს¹², ალექსანდრე ხახანაშვილს¹³, მიხეილ თამარაშვილს¹⁴, მიქელ თარხნიშვილს¹⁵, მიხაკო წერეთელს¹⁶, გრიგოლ წერეთელს¹⁷, ვიქტორ ნოზაძეს¹⁸, კიტა ჩხენკელს¹⁹, ვასილ პეტრიაშვილს²⁰ და სხვათ ამ მხრივ შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ პეტრე მელიქიშვილი, სახელოვანი ქართველი ქიმიკოსი, შემდგომში

- ¹¹ ნიკო მარრი (1864, ქუთაისი - 1934, ლენინგრადი) - გამოჩენილი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, სსრკ მეცნ. აკადემიის ვიცეპრეზიდენტი.
- ¹² ალექსანდრე ცაგარელი (1844, კასპი - 1929, თბილისი) - გამოჩენილი ფილოლოგი, პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტების პროფესორი.
- ¹³ ალექსანდრე ხახანაშვილი (1864, გორი - 1912, სამარა) - ფილოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი.
- ¹⁴ მიხეილ თამარაშვილი (1858, ახალციხე - 1911, სანტა-მარინელა /იტალია/) - ცნობილი ისტორიკოსი.
- ¹⁵ მიქელ თარხნიშვილი (1897, ახალციხე - 1958, რომი) - გამოჩენილი ფილოლოგი.
- ¹⁶ მიხაკო წერეთელი (1878, ცხრუკვეთი - 1965, მიუნხენი) - ცნობილი ფილოლოგი, პუბლიცისტი, თბილისისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი.
- ¹⁷ გრიგოლ წერეთელი (1870, პეტერბურგი - 1938, თბილისი) - ცნობილი ფილოლოგი-ელინისტი, პაპიროლოგიის ერთერთი ფუძემდებელი.
- ¹⁸ ვიქტორ ნოზაძე (1893, წირქვალი - 1975, არპაუონი /საფრანგეთი/) - გამოჩენილი ფილოლოგი.
- ¹⁹ კიტა ჩხენკელი (1895, ქუთაისი - 1963, ციურიხი) - ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი.
- ²⁰ ვასილ პეტრიაშვილი (1845, წალასყური - 1908 კარლსბადი /დღევანდელი კარლოვი-ვარი/) - ცნობილი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი და მისი რექტორი.

ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

პეტრე მელიქიშვილის მეცნიერული შრომების ანალიზი ქიმიაში და ამ სფეროში მისი ღვაწლის წარმოჩენა სპეციალისტების საქმეა. მე კი მინდა, ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომელიც შორეულ ოდესაშიც დიდად იყო დაფასებული და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა, სრულიად სხვა კუთხით წარმოვაჩინო – არა ქიმიაში მოპოვებული წარმატებების ფონზე, არამედ კათედრისა და ლაბორატორიის გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავისი მისწრაფებებით, საზრუნავითა და სანუხარით.

მართალია, პეტრე მელიქიშვილის ცხოვრების შესახებ საკმაო ლიტერატურაა დაგროვილი, მაგრამ, ვფიქრობ, შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი მისი მოღვაწეობა ევროპაში და მისი კონტაქტები ევროპელ სწავლულებთან.

ავსტრიაში ჩემი ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებების დროს 1975-76 და 1983 წლებში, აგრეთვე 2000 წლის ზაფხულში შესაძლებლობა მომეცა, იქ გავცნობოდი პეტრე მელიქიშვილის პირად წერილებს გამოჩენილი ავსტრიელი მეცნიერის, ჰუგო შუხართისადმი, რომელთა გამომზეურება, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის.

სწორედ მელიქიშვილთან ნაცნობობამ, უფრო მეტიც – მეგობრობამ, შეაგულიანა შუხართი, რომ ქართული ხელნაწერებისთვის მიექცია ყურადღება და 1897 წლის იანვარში შეეძინა ისინი. მელიქიშვილთან მეგობრობას კი უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი. არ შემოძლია ზუსტად თქმა, როდის გაიცნეს მათ ერთმანეთი, მაგრამ ერთი კი ნათელია: შუხართის პირველ ვრცელ გამოკვლევას ქართულის შესახებ, რომელსაც „Über das Georgische“ („ქართული ენის შესახებ“) ჰქვია და 1895 წლის ზაფხულის მიწურულს დაისტამბა ვენაში (100 ცალად), ასეთი ნაბეჭდი მიძღვნა ამშვენებს: „ნიშნად მადლობისა ვუძღვნი ჩემს საყვარელს მეგობარს პროფესსორს პ.მელიქიშვილს. გ. შუხართ“.

სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით იმავე წლის 3 სექტემბრით დათარიღებულ წერილში მელიქიშვილი წერს: „უწინარეს ყოვლისა, ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მოძღვნისთვის – ეს ძალზე დიდი პატივი და ყურადღებაა ჩემდამი და მე ვერ ვპოულობ შესაფერის სიტყვებს, რათა ჩემი მადლობა გამოვხატო“.

არტურ ლაისტი 1895 წლის 21 ნოემბერს „ივერიაში“ წერდა: „თავისს გამოკვლევას პროფესორი შუხარტი უძღვნის პროფ. პ.მელიქიშვილს, რომელთანაც შუხარტი შარშან ზამთარში ქართულ ენას სწავლობდა“. აქედან გამომდინარეობს, რომ მელიქიშვილი და შუხართი 1894 წლის ზამთარში მეცადინეობდნენ ქართული ენის ლაბორინტებში გასარკვევად, ოღონდ ნათელი არაა – იანვარ-თებერვალში



თუ დეკემბერში. მაგრამ ეს თარიღი საეჭვოა, რადგან მელიქიშვილი იმ ხანებში ევროპაში უფრო ზაფხულის დასაწყისში, მეტწილად ივნისის ბოლოს, მიემგზავრებოდა ხოლმე, როცა საუნივერსიტეტო საქმიანობისაგან თავისუფალი იყო. ამას იგი თვითონ აღნიშნავს თავის წერილებში. ესეც რომ არ იყოს, ორი თვის შემდეგ ლაისტის ცნობა თვითონ შუხართმა უარყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი ქართულად მიწერილ ბარათში, სადაც, სხვათა შორის, წერს: „დიდი ხანი არ არის, რაც დავიწყე ქართულის ენის შესწავლა (პროფ. მელიქიშვილთან სწავლობდა არა შარშან – როგორც თქმულა „ივერიაში“ №202, მაგრამ ამ წლისა მაისი და ივნისის თვეში)“ (27.XI.1895).

პეტრე მელიქიშვილისა და ჰუგო შუხართის ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ექვთიმე თაყაიშვილი. პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ წერილში 1927 წელს იგი წერდა პარიზში გამომავალ ქართულ გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“: „პეტრემ მითხრა, ჩემს გრაცში ყოფნის დროს შუხარდმა შემარცხვინა, რომ ჩვენ ასე მნიშვნელოვანს საინტერესო ჩვენს სამშობლო ენას არ ვიკვლევთ. აბა მე რა ქართულის მცოდნე ვარ, მაგრამ მან მაიძულა, დამეწყო მასთან მეცადინეობა და მოვხმარებოდი ქართული ენის შესწავლაში და ცნობების მიწოდებაში. ზოგი რამ მოვიგონე, ზოგი წავიკითხე, ნიგნები ვიშოვე და ასე ვცოდვილობდითო. სულ ამას მეუბნებოდა, რა თქვენი საქმეა ქიმია, ქიმიაში კვლევა-ძიებას ევროპელებიც კარგად შესძლებენო. თქვენ ასეთი მდიდარი ენა გაქვთ და მისი კილოკავეები, ეს შეისწავლეთ და ამის გამოკვლევაში დაგვეხმარეთო, უთქვენოთ ამას ჩვენ თავს ვერ გავართმევთო. როგორც რაიმე გადანაცემიდან მოეწონებოდა, მაშინვე დაუმატებდა, ხან ხუმრობით, ხან ისე, მე რომ შენი ვიყო, ქიმიას თავს დავანებებდი, ქართული ენის კვლევას დავიწყებდიო. მე, გატყობ, ამაში უფრო წარმატებას გამოიჩენდიო...“

ეს, ასე თუ ისე, ცნობილი ფაქტია. ახლა შევეცდები, ისეთ მომენტებსაც შევხეო მელიქიშვილის ცხოვრებიდან, რომლებიც შეიძლება ფართო საზოგადოებისთვის არ იყოს ცნობილი. გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკში დაცულია პეტრე მელიქიშვილის პირადი წერილები ჰუგო შუხართისადმი, რომლებიც მოიცავს პერიოდს 1895 წლის 6 ივლისიდან 1904 წლის 17 თებერვლამდე. ალბათ, მათ მოგვიანებითაც ჰქონდათ კონტაქტები, მაგრამ შუხართის არქივში სხვა წერილები არ ჩანს. თუმცა არსებობს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შუხართის დაბადების 85-ე წლის აღსანიშნავად თბილისის უნივერსიტეტიდან გრაცში გაგზავნილი მისალოცი დეპეშა (1927 წლის 3 თებერვლით დათარიღებული), რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი პროფესორები. მიმლოცველთა სიაში პირველი პეტრე

მელიქიშვილია – ი.ჯავახიშვილის, მ.ჯანაშვილის, ა.შანიძის წინ. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს მელიქიშვილი უკვე აღარაა რექტორი, შუხართს მოსე ჯანაშვილიც კარგად იცნობდა, მაგრამ მაინც მელიქიშვილი წერია სიის თავში, რითაც, ვფიქრობ, ხაზგასმულია, რომ სწორედ იგია შუხართთან სხვებზე მეტად დაახლოებული პიროვნება. ამასვე გახაზავს სხვა დოკუმენტიც: ა.შანიძე თავის 1926 წლის 8 ივლისის წერილს შუხართისადმი ასე ამთავრებს: „პროფ. მელიქიშვილი და ჩვენი კავკასიოლოგები გულითადად მოგესალებიან და გისურვებენ დიდხანს სიცოცხლეს“. აქედანაც ჩანს, რომ ჰუგო შუხართთან მიმართებაში პეტრე მელიქიშვილი ყოველთვის პირველ რიგში დგას კოლეგათა სამსახურებრივი მდგომარეობისა და დამსახურების მიუხედავად.

სანამ პეტრე მელიქიშვილის წერილებს გავეცნობოდე, მოკლედ გადავავლოთ თვალი მისი ცხოვრების გზას. იგი დაიბადა 1850 წელს თბილისში, 1869 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა I გიმნაზია, იმავე წელს შევიდა ნოვოროსიის (1895 წლიდან ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც 1872 წელს დაამთავრა, შემდეგ დაბრუნდა თბილისში და კერძო გიმნაზიაში ასწავლიდა ბოტანიკას. მომდევნო წელს იგი გაემგზავრა გერმანიაში, სადაც კარლსრუესა და ტიუბინგენში ეუფლებოდა ქიმიას, 1876 წელს მუშაობა დაიწყო ნოვოროსიის უნივერსიტეტში, სადაც 1881 წელს დისერტაცია დაიცვა ქიმიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1885 წელს კი იქვე იცავს სადოქტორო დისერტაციასაც. 1884 წლიდან პეტრე მელიქიშვილი ნოვოროსიის უნივერსიტეტის დოცენტია, ხოლო მომდევნო წლიდან პროფესორი, 1917 წელს იგი გადმოდის თბილისში, სადაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს და განაგებს კათედრას. 1918 წელს იგი გახდა ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, სადაც განაგებდა ორგანული ქიმიის კათედრას. პეტრე მელიქიშვილი გარდაიცვალა 1927 წელს.

შუხართის არქივში შემონახული მელიქიშვილის 18 წერილიდან 16 გერმანულადაა დანერილი, 2 – ქართულად. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მელიქიშვილის დიდი მონივნება შუხართის მიმართ. წერილების ტონი მეგობრულიცაა და მეტისმეტად მოკრძალებულიც. ეს მის ყველა წერილს გასდევს. მელიქიშვილისადმი მიძღვნილ ერთერთ საგაზეთო წერილში აღნიშნულია, რომ პეტრე მელიქიშვილი ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას, კერძოდ, სრულყოფილად იცოდა გერმანული, ინგლისური და ფრანგული და კარგად უნდა სცოდნოდა ესპანურიცო (Н.Цицишвили, Выдающийся ученый-новатор, „Заря Востока“, 10.VII.1950). სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მელი-

ქიშვილს მაინცდამაინც კარგად ვერ სცოდნია გერმანული ენა – ეს ჩანს მისი წერილებიდანაც და ამას არაერთხელ აღიარებს თვითონაც. მაგალითად: „ჩემი გერმანული ნებას არ მაძლევს, პროფესორ ბაუერს ვუპასუხო თავაზიან წერილზე“ (20.II.1896). ეს – ზოგადად ყველა წერილის მიმართ. ახლა გავეცნოთ ცალკეულ წერილებს.

№1

„ზაკოპანე, მაქსვალდის ვილა
 6.VII.1895

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი სიხარული მომანიჭა თქვენ-მა წერილმა, მაგრამ, ამასთან, უნდა ვაღიარო, რომ მან უხერხულ მდგომარეობაშიც ჩამაგდო. ჩემთვის თავის მოჭრაა, მრცხვენია, რომ თქვენთვის ამდენ ხანს არაფერი მომიწერია.

თუ მომიტევეთ ამ ჩემს მოჩვენებით უყურადღებობას და ჩემი წერილის კითხვას გააგრძელებთ, ნება მომეცით, აგიხსნათ, როგორ ჩამოვედი ზაკოპანეში და რატომ ვდუმდი ამდენ ხანს. როცა გრაცი დავტოვე, მსურდა, რამდენიმე დღით ზიმერინგში დავრჩენილიყავი, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა. ყველაფერი სავსე იყო – სასტუმროები, კერძო ბინები და ა.შ. ზიმერინგი ვენის გარეუბანი გახდა. ვენაში მსურდა ექიმთან კონსულტაციის მიღება და, აი, საოცრება! თავს ვერ დავაძალე, ექიმთან რომ წავსულიყავი. ყოველთვის, როცა წასვლას გადავწყვეტიდი და წავსულვარ კიდეც, ბოლოს ძალა არ მყოფნიდა, მასთან რომ შევსულიყავი: მეჩვენებოდა, რომ მოწყალეობა უნდა მეთხოვა ან ბოდიში მომეხადა იმისთვის, რომ ავად ვიყავი.

უცბად გადავწყვიტე, რომ კარპატებში გავმგზავრებულიყავი. რუსეთში ისე ბევრი მქონდა გაგებული ტატრების მთებში ბუნების სიმშვენიერის შესახებ, რომ მომიწინადა, თვითონ მენახა და აქ, ბუნების ნიაღში, რამდენიმე კვირით დავრჩენილიყავი და დამესვენა. არჩევანი დიდი არ იყო: შმენსი ან ზაკოპანე – უნგრეთის ან პოლონეთის ტატრები. მე უკანასკნელი ვამჯობინე, რადგან ვფიქრობდი, რომ აქ ბევრ პოლონელს შევხვდებოდი რუსეთიდან. მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვიყავი, რადგან აქ ყველაფერი ისე პრიმიტიულია, რომ ხალხს არავითარი წარმოდგენა არა აქვს კომფორტზე, რომ უცხოელისთვის ცხოვრება თითქმის შეუძლებელია. გადავწყვიტე აქედან წასვლა და მომენტს ველოდებოდი, როცა თავს ცოტათი უკეთ ვიგრძნობდი. საუბედუროდ, ისეთი საშინელი თავის ტკივილები მქონდა, რომ აბსოლუტურად არ მქონდა იმის ძალა, რაიმე ახალი წამომეწყო. ასე დავრჩი ზაკოპანეში ორ კვირას. ამის

შემდეგ ვფიქრობდი, რომ რამდენიმე დღით კიდევ დავრჩებოდი და შემდეგ ოდესაში გავემგზავრებოდი. მაგრამ აქ დადგა ფულის საკითხი. კოლეგა პეტრიაშვილს²¹ წერილიც ვერ გავუგზავნე, სრულიად დამავინწყდა და ამის გამო იძულებული გავხდი, აქ დავრჩენილიყავი და დავლოდებოდი პეტრიაშვილის წერილს. გუშინ ფული მივიღე, პეტრიაშვილი კი მწერს, რომ ოდესაში ძალიან ცხელა, და მირჩევს, აქ კიდევ რამდენიმე დღით დავრჩე, რათა ასეთი სიცხის დროს ოდესაში არ გავემგზავრო. ახლა გადავწყვიტე, კიდევ 5-6 დღეს მოვიცადო, 12-13 აგვისტოს კი ოდესაში გავემგზავრები. თუ ნებას დამრთავთ, იქიდან მოგწერთ, რადგან ვფიქრობ, ჩემი წერილების კითხვა გიძნელდებათ და ყოველთვის სასიამოვნო ვერაა თქვენთვის.

უმორჩილესად გთხოვთ, გულთადად მომიკითხოთ ქ-ნი ბაუერი და პროფ. ბაუერი, ქ-ნი და ბ-ნი გრაფები, დოქტორი ფლაიმჰაკერი მეუღლითურთ, პროფ. დოელტერი და ქ-ნი დოელტერი.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

№2

„3(15).IX.1895²²“

ძვირფასო მეგობარო!

ათასჯერ ვიხდით ბოდიშს, რომ ასე დიდხანს ვერ გამოგიგზავნეთ წერილი. სამი კვირის წინ ჩამოვედი ოდესაში და მას შემდეგ მოსვენება არა მაქვს. ჩამოვედი თუ არა, იძულებული ვიყავი, ქალაქ-გარეთ გავემგზავრებულიყავი, რათა სხვადასხვა მინის სინჯები შემეგროვებინა მიწათმოქმედების სამინისტროსთვის, შემდეგ კი დასაქმებული ვიყავი ბინით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიით და ა.შ.

გუშინ გამოგიგზავნეთ შარშანდელი და წლევანდელი „მოამბე“. რაც შეეხება სხვა წიგნებს, დღემდე არ მიმიღია კატალოგი, რომ ამომერჩია. მომწერეთ, როგორ ბრძანდებით, თავს როგორ გრძნობთ. იმედია, ახლა უკეთეს გუნებაზე ხართ, რაკი წვიმების დრო წავიდა, როგორც, ყოველ შემთხვევაში, გაზეთები იუნწყებიან, და თქვენთან დიდი სიცხეები დაიჭირა.

ცოტად თუ ბევრად კვლავ შევეჩვიე ჩემს საქმიანობას. ჩვენთან

²¹ იგულისხმება ვასილ პეტრიაშვილი (1842-1908), ცნობილი ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, ერთხანს მისი რექტორიც.

²² დათარიღებისას ფრჩხილებში აქ და ქვემოთ ევროპული დროა მითითებული. იმხანად რუსეთსა და ევროპას შორის დროში სხვაობა 12 დღეს შეადგენდა. 1901 წლიდან კი უკვე 13 დღე გახდა.

ლექციები სრული დატვირთვით მიმდინარეობს. ვიმედოვნებ, რომ წერილებს მომწერთ და თქვენი ჯანმრთელობის ამბავს შემატყობინებთ.

თქვენი წერილიდან შევიტყვე, რომ ამჟამად ჰერკულესბადში²³ იმყოფებით. უწინარეს ყოვლისა, ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მოძღვნისთვის – ეს ძალზე დიდი პატივი და ყურადღებაა ჩემდამი და მე ვერ ვპოულობ შესაფერის სიტყვებს, რათა ჩემი მადლობა გამოვხატო.

„მოამბე“ გავაგზავნე გრაცში (ელიზაბეთშტრასე, 6), ვწუხვარ, რომ არ დამელოდეთ და თქვენ თვითონ გამოიწერეთ. მე არ შემძლო ადრე გამოგზავნა, რადგან ჩემი წიგნები ისე მოუნწესრიგებლად იყო გაფანტული, რომ დიდხანს ვერ მოვახერხებ მათი შეკრებას.

ჯერჯერობით გაცნობებთ მათს მისამართებს, ვინც დაინტერესებულია ენით:

Жордания²⁴ – Тифлиς, Учительская семинария

Г.Церетели²⁵ – Редакция грузинского журнала «Квали»

Чкония²⁶ – Редакция «Моамбе», Тифлиς

Меунаргия²⁷ – Редакция «Моамбе», Тифлиς

Доценту Г.Ф.Церетели²⁸ – С.Петербург, Археологический институт

П.Умиков²⁹ – Станция Квирилы, Кутаисской губернии

Н.Гогоберидзе³⁰ – Станция Квирилы, Кутаисской губернии.

სხვა მისამართებს მოგვიანებით გამოგიგზავნით, რადგან ჩემი თანამემამულეები ჯერ არ მინახავს, უმეტესობა ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. ვიმედოვნებ, ამ დღეებში ისინი დაბრუნდებიან თბილისიდან და უფრო მეტს შევიტყვობ.

მოკითხვა გადაეცით ჩემს ყველა გრაცელ მეგობარს: ქ-ნ და ბ-ნ

²³ კურორტია უნგრეთში.

²⁴ თედო ჟორდანია (1854-1916) — ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი.

²⁵ გიორგი წერეთელი (1878-1838) — მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. სხვადასხვა დროს რედაქტორობდა „დროებას“, „სასოფლო გაზეთს“, „კრებულს“, „ეკალს“.

²⁶ ილია ჭყონია (1860-1927) — მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე.

²⁷ იონა მეუნარგია (1852-1919) — მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

²⁸ გრიგოლ წერეთელი (1870-1938) — ცნობილი ფილოლოგი-ელინისტი, სხვადასხვა დროს იყო იურიევის (ტარტუს), პეტროგრადის, თბილისის უნივერსიტეტების პროფესორი.

²⁹ პეტრე უმიკაშვილი (1838-1904) — საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი

³⁰ ნიკოლოზ ლობჯინძე (1839-1911) — მრეწველი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.

ბაუერებს, ქ-ნ და ბ-ნ რაინინგჰაუსებს, ფლაიმჰაკერს, ქ-ნ და ბ-ნ
გრაფებს, დოელტერსა და მის მეუღლეს.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

პ.მელიქიშვილი
ოდესა, უნივერსიტეტი“.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ შუხართის მიერ ვენაში გამო-
ქვეყნებულ ნიგნს („Über das Georgische“, 1895) თავფურცელზე ქარ-
თულად დაბეჭდილი მიძღვნა ახლავს. აქ სწორედ ეს მიძღვნა იგუ-
ლისხმება, რის შესახებაც მომდევნო წერილშიც არის სამადლობელი
სიტყვები.

№3

„ძვირფასო მეგობარო,

ეს-ესაა მივიღე თქვენი საფოსტო ბარათი და ვჩქარობ, გაცნო-
ბოთ, რომ ქართველთა ამხანაგობა (Трузинское издательское общество)
და Общество распространения грамотности ორი საზოგადოებაა და
არა ერთი და იგივე.

რამდენიმე დღის წინ ჰერკულესბადში მოგწერეთ წერილი, ხო-
ლო გრაცში (ელიზაბეთშტრ. 6) გამოგიგზავნეთ 1894 და 1895 წლების
„მომამბე“. არ ვიცი, მიიღეთ თუ არა ისინი.

მომწერეთ თქვენს ჯანმრთელობაზე, როგორ ბრძანდებით. მიწ-
და, კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა ბროშურისა და მოძღვ-
ნისათვის.

ჩვენთან ლექციები მთელი დატვირთვით მიმდინარეობს. ბევრი
სამუშაო მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, თავს ძალიან სუსტად ვგრ-
ძნობ.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

პ.მელიქიშვილი
ოდესა, უნივერსიტეტი
4(16).IX.1895“

№4

„ოდესა, უნივერსიტეტი
30.IX(11.X)/1895

ძვირფასო მეგობარო!

რამდენიმე დღის წინ მივიღე თქვენი პირველი წერილი, გუშინ
კი – მეორე. გთხოვთ, მომიტევეთ, რომ დღემდე პასუხი ვერ
მოგწერეთ. ცოტა შეუძლოდ ვიყავი და ამის გამო ძალა არ შემწევდა

წერილის დასაწერად. ძალიან ვწუხვარ, რომ „მოამბე“ აქამდე არ მივიღიათ.

„მოამბის“ 1894 და 1895 წლების კომპლექტი სრულად 2(14) სექტემბერს გამოგიგზავნეთ შემდეგ მისამართზე: გრაცი, ელიზაბეთშტრასე 6, და უკვე დიდი ხნის მოსული უნდა იყოს გრაცში. გიგზავნით ქვითარს, საიდანაც ნახავთ, რომ გაზეთები ნამდვილად გამოგზავნილია და არავითარი ეჭვი არ არსებობს ამ გზავნილის თაობაზე. თუ გაზეთები მიიღეთ, მაშინ გადაადგეთ ეს ქვითარი, თუკი არა, მაშინ უკანვე გამოგიგზავნეთ, რომ აქ ფოსტაში ვიკითხო, თუ რატომ არ იქნა გაგზავნილი და, საერთოდ, მიზეზი ამიხსნან.

თბილისში უკვე მივწერე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემათა კატალოგის შესახებ და ვიმედოვნებ, რომ მას მალე მივიღებ. ამას გარდა, მივწერე, რომ გამოგიგზავნონ «ვეფხვის ტყაოსანი», მაგრამ რაც შეეხება «ქართლის ცხოვრებას»³¹, მე ვფიქრობ, მისი მხოლოდ ერთი გამოცემა არსებობს, რომელიც პეტერბურგში დაიბეჭდა. ამ წიგნის თაობაზეც გავიკითხე.

რაც შეეხება პიროვნებას, რომელიც იკისრებს თქვენთვის წიგნების გამოგზავნას, სამწუხაროდ, ასეთს არავის ვიცნობ. ყველაზე კარგი იქნება, თუ თქვენ ფრანგულად მისწერთ წერილს ჩყონიას (ასეა! - ვ.ი.), „მოამბის“ რედაქტორს. ის მეტად განათლებული კაცია და, ამასთან, ვფიქრობ, ძალიან აკურატულიც.

წიგნებს, რომლებსაც მივიღებ, გრაცში გამოგიგზავნით. გთხოვთ, მომიკითხოთ ქ-ნი და ბ-ნი ბაუერები, რაინინგჰაუსები, ფლაიმჰაკერები, დოელტერები, გრაფები და სკრუპი.

კიდევ გთხოვ მოტყუებას, რომ ასე დაუდევრად გწერთ თქვენი გულითადი და ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

ჩანს, მელიქიშვილი ოდესაში სისტემატურად ღებულობდა „მოამბეს“. არა მგონია, ორი წლის ნომრები შენახული ჰქონოდა. მან, ეტყობა, შუხართისთვის სპეციალურად გამოიწერა თბილისიდან 1894-95 წლების კომპლექტი, რათა გრაცში გაეგზავნა.

შუხართის არქივში დაცული წერილებიდან ჩანს, რომ მელიქიშვილი გრაცელ მეგობარს სხვადასხვა სახის ქართულ წიგნებს უგზავნიდა, მეტწილად ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ. საფიქრებელია, ამგვარ საკითხებს იგი ოდესიდან სწორედ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეშვეობით აგვარებდა. საგულისხმოა მისი შეხედულება ილია ჩყონიაზე – განათლებული და აკურატული კაციაო.

³¹ „ვეფხვის ტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ ქართულად წერია.

„ოდესა, უნივერსიტეტი
 25.X(6.XI). 1895

ძვირფასო მეგობარო!

უკვე ორი კვირაა, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ვსაქმიანობ და აბსოლუტურად უბედური ადამიანი ვარ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დროს ვკარგავ, მეორეც – რადგან ვცხოვრობ იმ ხალხს შორის, ვინც დღეს მოიპარა, ხვალ ვილაცას მოკლავს და ა.შ. გუშინწინ ღამე გავათიე სასამართლოს შენობაში, დღეს დამითხოვეს, ხვალ კვლავ დიდი პროცესია და უეჭველად აქ დავრჩები რამდენიმე დღესა და ღამეს. ვჩქარობ, რომ რამდენიმე სიტყვა მოგწეროთ, რადგან თავისუფალი დრო არ მექნება ამ არასასიამოვნო მოვალეობის – ნაფიცი მსაჯულობის – გამო.

მე ველაპარაკე ორ სტუდენტს – ჩემს თანამემამულეებს, და ორივემ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ეცდებიან, ყველაფერში, რაც მათს ძალებს არ აღემატება, დაგეხმარონ.

თავდაპირველად ისინი დათანხმდნენ, თქვენი სტატია, რომელიც თქვენ ფართო საზოგადოებისთვის გასურდათ დაგეწერათ², თარგმნონ ქართულად. ამას გარდა, ერთი სტუდენტთაგანი ლეკურად ლაპარაკობს და ეს ვითარება მან რამენაირად შეიძლება გამოიყენოს კიდეც. ორივე ფილოლოგია, მაგრამ ისტორია აინტერესებთ. ერთის გვარია გალაჯაშვილი, მეორისა – ლორთქიფანიძე. გალაჯაშვილი ლაპარაკობს ლეკურად. თუ მათთვის რაიმეს მიწერა გასურთ, შეგიძლიათ ჩემს მისამართზე გამოგზავნოთ და მე გადავცემ მათ თქვენს წერილებს. ან იქნებ თქვენ თვითონ ინებოთ შემდეგ მისამართზე გაგზავნა:

ოდესა, უნივერსიტეტი

სტუდენტ ვლადიმერ ლორთქიფანიძეს.

თქვენი თხოვნის შესახებ თბილისში მივწერე, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიმიღია.

აქ, ოდესაში, სტუდენტებს გამოვართვი „ვეფხვის ტყაოსანი“. იგი მაინცდამაინც სუფთა არაა, მაგრამ ხელში დაჭერა შეიძლება და ხვალ ან სამ დღეში გამოგიგზავნით. თუ ხვალ თავისუფალი არ ვიქნები, მაშინ სამ დღეში გაახლებთ.

² ვფიქრობ, აქ უნდა ივარაუდებოდეს „ქართველურ /სამხეთკავკასიურ/ენათა გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“, რომელიც გერმანულად მხოლოდ 1897 წელს გამოქვეყნდა (თუმცა კარგა ხნით ადრე არის დასრულებული), ხოლო მისი რუსული თარგმანი მოგვიანებით ლეო ლოპატინსკიმ დაბეჭდა თბილისში მისივე რედაქტორობით გამოშვებულ ჟურნალში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (№26, 1899).

მომიკითხეთ, თუკი ჩემდამი კვლავ გექნებათ მეგობრული განწყობილება, ქ-ნი და ბ-ნი ბაუერები, დოელტერები, მისი აღმატებულება რექტორი მეუღლითურთ, ქ-ნი და ბ-ნი რაინინგჰაუსები. თქვენი გულითადი და ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

მელიქიშვილის წერილებდან ჩანს, რომ იმჟამად ოდესაში, ყოველ შემთხვევაში იმ წრეში, სადაც მელიქიშვილი ტრიალებდა, ქართველებიც ყოფილან, რომლებთანაც მელიქიშვილს კონტაქტები ჰქონია. ცხადია, აქ არ იგულისხმება ვასილ პეტრიაშვილი, ვისთანაც მელიქიშვილს, ბუნებრივია, ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც კოლეგასთან და, უფრო მეტად, როგორც ქართველთან. ლაპარაკია სხვებზე. ამ წერილიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში ფილოლოგიას ორი ქართველი ეუფლებოდა – ვლადიმერ ლორთქიფანიძე და გალაჯაშვილი. ალბათ, სწორედ ერთერთი მათგანი იგულისხმება იმ „სტუდენტებში“, ვისაც მელიქიშვილმა შუხართისათვის „ვეფხისტყაოსანი“ გამოართვა – ეტყობა, ან თვითონ არ ჰქონდა, ან, თუ ჰქონდა, ძალიან შეღახული იყო და ვერ აკადრა შუხართს ამგვარი წიგნის გაგზავნა. მელიქიშვილმა იმაზეც იზრუნა, რომ ქართველ სტუდენტებში ის პირები გამოენახა, ვინც ჰუგო შუხართის ენათმეცნიერულ ნაშრომს ქართულად თარგმნიდა. თავისი ნებით, არა მგონია, ვინმეს ამის სურვილი გამოეთქვა. ეს საქმე ისედაც რთულია და ბევრ დროს მოითხოვს, მით უმეტეს, როცა საენათმეცნიერო შრომაზეა ლაპარაკი. მაგრამ ამ წერილში ყველაზე უცნაური და მოულოდნელია პეტრე მელიქიშვილის წარმოდგენა ნაფიცი მსაჯულის როლში. დარწმუნებული ვარ, ბევრი ესწრაფოდა ნაფიც მსაჯულობას და საპატიო და დასაფასებელ საქმედაც მიაჩნდათ, მაგრამ მელიქიშვილს სახე ჩამოსტირის – მისთვის ნაფიცი მსაჯულობა მხოლოდ დროის დაკარგვაა, მეტიც, როგორც თვითონ წერს, არასასიამოვნო მოვალეობაა, რის გამოც იგი, ისევ მის სიტყვებს მოვიშველიებ, „აბსოლუტურად უბედური აღამიანია“. უკვე ორი კვირაა, რაც იგი ამ მოვალეობას ასრულებს და ჯერ ამ ტვირთის მოშორებაზე არც კია ლაპარაკი. ეტყობა, კიდევ გაუგრძელდება მსაჯულობა. მისი ყაიდის კაცისთვის ამგვარი მოვალეობა, მართლაც, ძნელი ასატანი იქნებოდა.

№6

„29.XI(11.XII).1895
 ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

ერთი კვირის წინ მივიღე თქვენი წერილი, რამაც ძალზე დამაწყნარა. ვშიშობდი, რომ თქვენ მთლად კარგად ვერ გრძნობდით თავს, რაკი ასე დიდხანს არაფერი მოგიწერიათ საკუთარ თავზე. საწყენია, ოდესაში რომ არ ცხოვრობთ. აქაური ჰავა ძალიან მოგიხდებოდათ. ჩვენთან მუდამ სიმშრალეა, თითქმის სრულებით არ წვიმს და მუდმივად ანათებს მზე. დღეს, მაგალითად, მზიანი დღეა და თერმომეტრი +1 გრადუსს აჩვენებს. დამავიწყდა მეკითხა, ისურვებდით, რომ „მოამბის“ გაგრძელება გამომეგზავნა თქვენთვის? თუ გჭირდებათ, სასწრაფოდ გამოგიგზავნით. ეტყობა, საზღვარგარეთული გაზეთები ძალიან ბევრს წერენ ომის შესახებ. აქ ჩვენ ძალიან წყნარად ვართ, არავინ ლაპარაკობს ომზე და, ჩანს, არავის აქვს სურვილი ომის გაჩაღებისა. მე ვფიქრობ, ამ ეჭვმა თქვენ ხელი არ უნდა შეგიშალოთ კავკასიასთან მიმონერის გაგრძელებაში. სტუდენტებმა მიაძახეს, რომ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა კორესპონდენცია ოდესიდან, რომელშიც გამოხატული იყო აგდებული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და საყვედური იყო გამოთქმული იმის გამო, რომ არავინ გამოჩნდა თქვენი ნაშრომის მხარდამჭერი.

თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: მაცნობეთ, გეთაყვა, ბაუერების, რაინინგჰაუსების, ფლაიმჰაკერების, დოელტერის, გრაფისა და სკრუპის მისამართები.

დამავიწყდა, თორემ საახალწლოდ მინდოდა ჩემი სადარბაზო ბარათების გამოგზავნა.

ჩემი ჯანმრთელობა მთლად ბრწყინვალე არაა. ვშიშობ, დეფექტი მაქვს გულში – ისე ხშირად მტკივა გული, რომ ხანდახან დაძინების თავიც არ მაქვს. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! გისურვებთ, რომ ჯანმრთელი დარჩეთ, რათა მეცნიერებას სარგებლობა მოუტანოთ და თქვენი პირადი ცხოვრებაც სასიამოვნო გახადოთ.

გულითადად მოვიკითხავ ბაუერებს, გრაფებს, ფლაიმჰაკერებს, დოელტერებს.

თქვენი ერთგული და გულითადი მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

№7

„ოდესა, უნივერსიტეტი
15(28).XII.1895

ძვირფასო მეგობარო!

ნება მომეცით, ახალი წელი მოგილოცოთ. გულით გისურვებთ, რომ მუდამ დარჩეთ ჯანმრთელი და გახარებული, რათა მეცნიერებაში კვლავ ბეჯითად იმუშაოთ და კიდევ უფრო დიდი სახელი მოიხვეჭოთ.

გმადლობთ თქვენი თავაზიანი წერილისა და მისამართების-თვის. ქართველი სტუდენტებიც გილოცავენ ახალ წელს და სურვილს გამოთქვამენ, რომ მალე გამოიცეს თქვენი ნაშრომი ქართული ენის შესახებ, რომლის დაწერაც თქვენ ფართო საზოგადოებისთვის გქონდათ გათვალისწინებული. მთარგმნელები უკვე ელიან თქვენს ხელნაწერს.

გუშინ ჩვენ დავასრულეთ ზამთრის სემესტრი, ერთ თვეში კი დაიწყება საგაზაფხულო სემესტრი (როგორც ჩვენში ზაფხულის სემესტრს ეძახიან).

გთხოვთ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მომიკითხოთ ქ-ნი და ბ-ნი ბაუერები, გრაფები, ფლაიშჰაკერები, რაინინგჰაუსები, დოელტერები.

გულითადი მოკითხვით თქვენი ერთგული

პ.მელიქიშვილი“.

№8

„20.II.1896

ძვირფასო მეგობარო!

ბოდიშს გიხდით, რომ ამდენ ხანს პასუხი ვერ მოგწერეთ. მაგრამ ეს ერთი თვეა, საცოდავ მდგომარეობაში ვარ. არ ვიცი, სად მომცა სიცხე, რაც დღემდე ვერ დავიგდე.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა თავს ოდნავ უკეთესად ვგრძნობ და სიცხეც თითქმის აღარ მაქვს – ყოველ შემთხვევაში, ისე მაღალი აღარ მაქვს, – მაინც ისე სუსტად ვგრძნობ თავს, რომ ჩემი ყოველგვარი სამუშაო დროებით სრულიად უნდა მივატოვო.

რიაზინის ყველგან ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვიპოვე. კოლეგებსაც ვკითხე, მაგრამ მას არაფერ იცნობს. ყველა ამბობს, რომ იგი ოდესაში არასოდეს ყოფილა. გუშინ სამისამართო ბიუროში გავიკითხე და პასუხი მივიღე, რომ ასეთი პირი ოდესაში არ ცხოვრობს. არც ჩემი თანამემამულეები იცნობენ მას. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი რიაზინის მისამართის შეტყობა. თუ ის ოდესაში არაა, შესაძლებელი იქნებოდა გაგვეგო, სადაა, საერთოდ, ამჟამად, მაგრამ რუსეთში ძნელია ვინმეს მოძებნა, როცა კაცმა არ იცის ნაღდად მისი ოფიციალური თანამდებობა.

მოუთმენლად ველი გაზაფხულს. მე არ შემიძლია თქვენებური ზამთრის ატანა – ჩვენთან ისე ცივა და ისეთი ქარიანი ამინდებია, რომ ამის აღწერაც კი არ შემიძლია. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, მინდა, წლებულს საზღვარგარეთ გავემგზავრო, უკიდურეს შემთხვევაში, ზაფხულში.

ჩემი გერმანული ნებას არ მაძლევს, პროფ. ბაუერს ვუპასუხო

თავაზიან წერილზე, მაგრამ ძალიან გთხოვთ – მომიკითხეთ ქ-ნი და ბ-ნი ბაუერები, დოელტერები, გრაფები, სკრაუპები, რაინინგჰაუსები და ფლაიმჰაკერები.

თქვენი პ.მელიქიშვილი“.

ნინა წერილში მელიქიშვილი შუხართს თავისი გრაცელი ნაც-ნობების მისამართებს სთხოვდა. ორი თვის წინ მან ეს მისამართები მიიღო. ალბათ, მელიქიშვილს არ სურდა მხოლოდ შუხართის მეშვეობით მოეკითხა გრაცში შუხართის წრეში გაცნობილი მეცნიერები. ისინი მეტწილად პროფესორები და დოქტორები არიან. განსაკუთრებით, ჩანს, ბაუერის ოჯახისგან გამოჰყვა გულთბილი მოგონებები. ადოლფ ბაუერმა ოდესაშიც კი გამოუგზავნა მელიქიშვილს წერილი. სხვათა შორის, ყოველი წერილის ბოლოში მელიქიშვილი სთხოვს შუხართს გრაცელი ნაცნობებისთვის მოკითხვის გადაცემას. ბაუერების ოჯახი მოსაკითხთა სიაში ყოველთვის პირველია და არ არის არცერთი წერილი, რომელშიც მელიქიშვილი ამ ოჯახს არ მოიკითხავდეს, სხვები მეტ-ნაკლებად არიან დასახელებულნი. ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ პროფ. ბაუერი ქიმიკოსია. არა! ადოლფ ბაუერი (1855-1919) ისტორიკოსი იყო და თავისი დიდი ოჯახით გრაცის ელიტარულ საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა. მოგვიანებით მელიქიშვილი თავს იმართლებს შუხართთან და აღნიშნავს: ძალიან ვწუხვარ, რომ ბაუერებს მისალოცი წერილი ვერ გავუგზავნე, ისინი ძალზე მეგობრულად იყვნენ განწყობილი ჩემ მიმართ, მე კი საკმარისი თავაზიანობა ვერ გამოვიჩინეო. ცოტა გასაკვირია, თუკი, დიდი სურვილის მიუხედავად, სათანადო გერმანულის არცოდნის მიზეზით მან თავი შეიკავა და ბაუერებს საპასუხო წერილი ვერ გავუგზავნა, მაშ რატომ სთხოვა შუხართს გრაცელ ნაცნობთა მისამართები? ნუთუ მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ მთლად გამართული გერმანულით ვერ დანერდა წერილს, მოერიდა და ამის გამო შეიკავა თავი? გვიანი ხომ არ იყო თითზე კბენანი? თუკი ასე დაირცხვენდა, მაშინ პირველი ნაბიჯი არ უნდა გადაედგა თვითონ. ახლაც ასეა და, ვფიქრობ, ძველადაც ამგვარადვე იქნებოდა: ავსტრია-გერმანიაში მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევენ, როგორი გერმანულით ლაპარაკობს მათთან უცხოელი. იმ წრეში, სადაც მელიქიშვილი ტრიალებდა, უცხოელს არავითარ შენიშვნას არ მისცემენ მცდარი ფორმების, გრამატიკული შეცდომების გამო – არც აგრძნობინებენ, რომ რაღაც შეეშალა, არასწორად წარმოთქვა. ამ საკითხში ისინი მეტად შემწყნარებლები და დელიკატურები არიან. ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენმა თანამემამულემ ზედმეტად დაირცხვინა.

მიხეილ რიბინინს დიდხანს ეძებდნენ. მან, ეტყობა, გარკვეული ინტერესი გამოიჩინა ქართული ენის მიმართ და, რაკი იგი ოდესიდან

სწერდა შუხართს, ჩანს, ამ უკანასკნელმა მელიქიშვილს სთხოვა, რიაბინინის ადგილსამყოფელი დაედგინა. წერილიდან ჩანს, რომ ეს ვერ მოხერხდა. მაგრამ მოგვიანებით, თითქმის წელიწად-ნახევრის შემდეგ, ეტყობა, მაინც მიაგნეს მის კვალს: შუხართის არქივში დაცულია რიაბინინის მიერ გრაცელი პროფესორისადმი ოდესიდან გაგზავნილი წერილი, რომელიც 1897 წლის 8 ივლისითაა დათარიღებული. იქნებ სწორედ მელიქიშვილის მცდელობამ გამოიღო შედეგი. ვფიქრობ, ღირს ამ წერილის გამომზეურებაც:

„ღრმად პატივცემულო ბატონო, ცხოველი ინტერესით წავიკითხე თქვენი წერილი ქართველური ენათმეცნიერების შესახებ³³ და გეოგრაფიული ნარკვევი³⁴ და მიხდა, ამ თავაზიანი გზავნილისთვის უღრმესი მადლობა მოგახსენოთ.

თქვენი ერთგული

მიხეილ რიაბინინი“.

№9

„ოდესა, უნივერსიტეტი
 25.II(8.III).1896

ძვირფასო მეგობარო!

რას ნიშნავს თქვენი ხანგრძლივი დუმილი? მე განყენინეთ თუ თავს მთლად კარგად ვერ გრძნობთ? ორივე შემთხვევა ჩემთვის უაღრესად არასასიამოვნოა, თუკი ჩემს ვარაუდს საფუძველი აქვს. დიდად მადლობელი დაგრჩებით, თუ ორიოდე სიტყვას მომწერთ და ამით დამაწყნარებთ. თვე-ნახევრის მანძილზე ძალზე მანუხებდა ტემპერატურა და ამის გამო მუშაობის თავი არ მქონდა. გთხოვთ, მომწეროთ, როგორ ბრძანდებით.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

№10

„ოდესა, უნივერსიტეტი
 31.VIII(12.IX).1896

ძვირფასო მეგობარო!

ეს-ესაა საზღვარგარეთიდან დავბრუნდი ოდესაში და აქ ჩემთვის მეტად სასიამოვნო წერილი დამხვდა. უპირველეს ყოვლისა,

³³ იგულისხმება „ქართველური ენათმეცნიერება. III“, 1897.

³⁴ იგულისხმება „ქართველურ /სამხრეთკავკასიურ/ ენათა გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის (რუკითურთ), 1897.

უნდა გაცნობოთ, როგორ გავატარე ეს არდადეგები და სად შევრგე თავი. თებერვლიდან საშინელი თავის ტკივილები მქონდა მარჯვენა მხარეს და, ამასთან – სიცხეც. ჩვენმა ექიმებმა თავდაპირველად დაადგინეს, რომ ტკივილები კბილების მიზეზით მქონდა. ამიტომ მე ვმკურნალობდი ერთ კბილის ექიმთან, რომელმაც ორი კბილი ამომიღო, შემდეგ კი თავისი კომპეტენტური აზრი გამოთქვა, რომ წარმოდგენა არა აქვს, რა ინვეზს თავის ტკივილს. შემდეგ გამსინჯა სხვა ექიმმა, რომელსაც ეგონა, რომ სამწვერა ნერვის ნევრალგია მქონდა. ვერც მან მიშველა. ამის გამო სხვადასხვა სპეციალისტთან მქონდა კონსულტაციები, მაგრამ უშედეგოდ.

აქედან ივნისში ბერლინში გავემგზავრე გამოფენის დასათვალიერებლად და იქ შევეხვდი ექიმს, რომელმაც მითხრა, რომ ჰაიმორიტი მაქვს, თანაც, მძიმე ფორმით და საჭიროა ოპერაციის გაკეთება. მე არ მინდოდა ბერლინში დარჩენა და ჰაიდელბერგში გავემგზავრე, რომ ცოტა უფრო წყნარად, უკეთეს გარემოში მეცხოვრა. იქ ექიმმა ოპერაცია გამიკეთა – ძვალი ამომჭრა ყბაზე და ორი თვის განმავლობაში მმკურნალობდა. მიუხედავად იმისა, რომ სავსებით ვერ განვიკურნე, მაინც უკეთესად ვგრძნობ თავს. თავდაპირველად ჩემთვის არასასიამოვნო იყო, რომ ჩემი ავადმყოფობა საშუალებას არ მაძლევდა, მსუბუქად მემკურნალა, ისე რომ, ექიმმა მითხრა, უეჭველად ანთება გრძელდება და აუცილებელია ახალი ოპერაციაო, მაგრამ, საბედნიეროდ, მეორე ოპერაცია აღარ გახდა საჭირო.

მაპატიეთ, რომ ასე ვრცლად გწერთ ჩემს თავზე. ეს შესავალი იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ მოტყევა გთხოვოთ ჩემი დუმილის გამო.

ძალიან ვწუხვარ, რომ ქ-ნ და ბ-ნ ბაუერებს მისალოცი წერილი ვერ გავუგზავნე – ისინი ძალზე მეგობრულად იყვნენ განწყობილი ჩემ მიმართ, მე კი ვერ გამოვიჩინე საჭირო თავაზიანობა. გთხოვთ, როცა შესაძლებლობა მოგეცემათ, ჩემი გულითადი მოკითხვა გადასცეთ მათ. მართლაც, ისე ცუდ ხასიათზე ვიყავი მთელი ორი თვის განმავლობაში, რომ თქვენთვის ამის გადმოცემა არ შემიძლია. საოცარია, ყველანაირი ავადმყოფობა მე უნდა შემხვდეს! მარტოოდენ მე ვეყოფი პაციენტად მთელ სამედიცინო ფაკულტეტს!

მჯერა, რომ მცირე პაუზა ჩვენს მიმონერაში დიდხანს არ გაგრძელდება, და იმედი მაქვს თქვენგან ცნობების მიღებისა. ჰაიდელბერგში რამდენიმე ფილოლოგი გავიცანი. მე ძალიან მუამაყებოდა და ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რასაც ეს ფილოლოგები ერთხმად აღიარებდნენ: პროფესორი ჰუგო შუხართი გენიალური ენათმეცნიერი, სწავლული არისო.

უმორჩილესად გთხოვთ, მომიკითხოთ პროფ. ბაუერი, პროფ. დოელტერი, დოქტორი ფლაიშჰაკერი და რაინინგჰაუსი მეუღლეებითურთ.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

№ 11

„18.XII.1896

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

უნდა პატიება გთხოვოთ, რადგან ასე დიდი ხნის განმავლობაში არაფერი მომიწერია. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ შეუძლოდ ვარ. იძულებული გავხდი, ხვალ მოსკოვს გავემგზავრო, სადაც ოპერაცია უნდა გავიკეთო, რადგან ჰაიმორიტი გამირთულდა და მეშინია, რომ ანთებამ ყურის შიგა ნაწილს არ მიაღწიოს.

ქართული გაზეთი „ივერია“ დღემდე აკრძალულია და მე არ ვიცი, ახალი წლიდან კვლავ გამოვა თუ არა, რადგან აკრძალვა გათვალისწინებული იყო ნ თუ მ თვით.

რაც შეეხება მოლდავური ენის ასიმილაციას ბესარაბიაში, სამწუხაროდ, ამის შესახებ მეცნიერული გამოკვლევები არ მოიპოვება, მაგრამ ის პირები, რომლებიც იცნობენ ბესარაბიას, ამბობენ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში რუსული ოფიციალურად შეიტანეს, მოსახლეობა ნაკლებად სწავლობს ამ ენას და ძალიან ადვილად ივიწყებს. პირიქით, დააკვირდნენ, რომ რუმინული ენა თანდათან ვრცელდება უკრაინელებს შორის და მოსახლეობა დნესტრის მარცხენა ნაპირზე, სადაც უპირატესად უკრაინელები ცხოვრობენ, რუმინულად იწყებს ლაპარაკს.

გილოცავთ ახალ წელს

გულითადი მოკითხვით თქვენი ერთგული

პ.მელიქიშვილი“.

№ 12

„ოდესა, უნივერსიტეტი
 9(21).IV.1897

ძვირფასო მეგობარო!

გთხოვთ მომიტევოთ. იმედი მაქვს, რომ შემინდობთ – ავადმყოფ კაცს ბევრი არ მოეთხოვება.

არასოდეს მწყალობს ბედი. მოსკოვში გავემგზავრე, რათა იქ

ოპერაცია გამეკეთებინა, მაგრამ ექიმი თვითონ გახდა ავად, რის გამოც მან ვერ შეძლო ჩემი მკურნალობა. ახლა მე ძველებურად ვარ და უნდა დაველოდო ივნისის ბოლოს, როცა სრულიად თავისუფალი ვიქნები და საშუალება მექნება საზღვარგარეთ წასვლისა, სადაც შემძლება ექიმებთან კონსულტაციის მიღება. ჩემდა ჭირად, ჰაიმორიტს თვალის ავადმყოფობაც დაერთო, ისე რომ საღამოობით მუშაობის ნებას არ მაძლევენ. ყველაფერი ეს ერთად ისე ცუდად მოქმედებს ჩემზე, რომ აპათიურ მდგომარეობაში ვარ.

ასე რომ, ჩემო მეგობარო, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა არასასიამოვნოა ჩემი ცხოვრება. ჩემი მდგომარეობა ახლა ისე მძიმეა, რომ გამოთქმა არ შემიძლია.

ახლახან ვნახე სარაჯიშვილი, რომელიც ბევრს მელაპარაკა თქვენ შესახებ და, ამასთან, მთხოვა, მოკითხვა გადმოგცეთ. სამწუხაროა, რომ თქვენ არ შეგიძლიათ კავკასიაში გამოგზავრება.

რამდენიმე დღის წინ რუსულ ჟურნალში „Журнал Министерства народного просвещения“ ნავიკითხე მარრის წერილი, სადაც ის წერს, რომ ქართული ენა ენათესავება ებრაულ ენას და მასთან ისეთივე დამოკიდებულებაშია, როგორშიც სლავური ენები არიან გერმანიკულთან. არ ვიცი, როგორ შეუძლია მარრს ამის დამტკიცება, ეს, რა თქმა უნდა, საშინელება იქნებოდა.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

ორი წლის წინ მელიქიშვილმა ზაფხული საზღვარგარეთ გაატარა, თითქმის 4 თვეს იმყოფებოდა გრაცსა და პოლონეთის ტატრებში და აგვისტოს ბოლოს დაუბრუნდა უნივერსიტეტს. წინა წელსაც ივნისის ბოლოს ნავიდა გერმანიაში, რათა ემკურნალა. ჯერ ბერლინში ჩავიდა, შემდეგ ჰაიდელბერგს ეწვია, ოპერაციაც გაიკეთა და კვლავ ზაფხულის მიწურულს დაბრუნდა ოდესაში. დეკემბრის მეორე ნახევარში იგი მოსკოვს გაემგზავრა საოპერაციოდ, მაგრამ ექიმის ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა, ოდესაში დაბრუნებულიყო, ახლა კი, აპრილის შუა რიცხვებში, რაკი თავს ცუდად გრძნობს, ივნისის ბოლოს ელოდება, რათა, როგორც კი საუნივერსიტეტო საქმეებისგან თავისუფალი იქნება, კვლავ მიაშუროს უცხოეთს ექიმებთან კონსულტაციებისათვის. მომდევნო წერილიდან ჩანს, რომ მას გადაწყვეტილი არა აქვს – იტალიაში წავიდეს თუ ავსტრიაში. ოთხი წლის შემდეგ მელიქიშვილი საგულისხმოდ სტრიქონებს სწერს შუხართს უცხოეთში მოგზაურობის შესახებ: ვაპირებ, როგორც ყოველ წელს, წლეულსაც შვეიცარიაში გავემგზავრო.

წინა წლის 18 დეკემბრის წერილით მელიქიშვილმა შუხართს აცნობა, მოსკოვში მივდივარ საოპერაციოდო. მას შემდეგ რამდე-

ნიმე თვე გავიდა, მაგრამ გრაცში მელიქიშვილისგან არაფერი ისმის. შუხართი შეშფოთდა და ხახანაშვილს მიმართა 6 მარტს: „რამე ხომ არ იცით ჩემი მეგობრის, პ.მელიქიშვილის (ოდესა), შესახებ, რომელმაც დაახლოებით 2 თვის წინ მოსკოვში ოპერაცია გაიკეთა? მისგან არავითარი ცნობა არა მაქვს“.

№ 13

„ოდესა,
 15.VI.1897

ძვირფასო მეგობარო!

ეს-ესაა შვებულება ავიღე და რამდენიმე დღეში საზღვარგარეთ მივემგზავრები. მაგრამ დღემდის ვერ გადამინწყვეტია, გემით კონსტანტინეპოლის გავლით ბრინდიზიში გავემგზავრები თუ ვენას მივაშურებ. მინდოდა, სანამ გავარკვევდი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას (ყურში ტკივილების შესახებ), ცოტა დამესვენა. ვფიქრობ, რომ ჩემს ჯანმრთელობაზე ზღვაზე მოგზაურობა უკეთესად იმოქმედებს, ვიდრე რკინიგზის ვაგონში რყევა.

ბატონ სარაჯიშვილს უკვე გავუგზავნე თქვენი ბროშურა თბილისში.

ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი უკანასკნელი წერილისთვის და გისურვოთ ჯანმრთელობის აღდგენა. ვიმედოვნებ, რომ საზღვარგარეთიდან მოგწერთ წერილს.

რამდენიმე დღის წინ ლოლობერიძისგან მივიღე წერილი, რომელშიც ის მწერს, რომ გრაცში სურს გამგზავრება. ადვილი შესაძლებელია, რომ ის უკვე გრაცშია.

მოკითხვა გადაეცით პროფ. ბაუერსა და მის მეუღლეს.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

სარაჯიშვილი და ლოლობერიძე არიან ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები და ქველმოქმედები – დავით სარაჯიშვილი (1848-1911) და ნიკო ლოლობერიძე (1839-1911), – რომლებიც შუხართს იცნობდნენ და ხშირად ამარაგებდნენ საჭირო წიგნებით ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ, აგრეთვე ლექსიკონებითაც.

№ 14

„14(26).XII.1897
 ოდესა

ძვირფასო მეგობარო!

თავს უფლებას ვაძლევ, უპირველეს ყოვლისა, მოგილოცოთ

ახალი წელი, ამასთან, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას თქვენს მუშაობაში.

უნდა მოტევება გთხოვოთ, რომ ასე დიდხანს არაფერი მოგწერეთ, მიუხედავად იმისა, რომ არ დამვიწყებია ჩემი ძვირფასი მეგობარი, რომელიც თავის პირად ცხოვრებაში ისეთივე უბედურია, როგორც მე ვარ. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, ჩემი წერვები მოსვენებას არ მაძლევს და უნდა შევეგუო სიამოვნებას მოკლებულ არსებობასა და მარტოხელა ცხოვრებას.

მინდოდა თქვენგან რაიმე ცნობის მიღება და, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მომწერეთ წერილი, გეთაყვა. წარმოდგენილი მაქვს, როგორი ძნელი მოსასმენი უნდა იყოს თქვენთვის ნაციონალური შუღლის გამოვლენის ყოველგვარი შემთხვევა – ყველაფერი ეს ისე ნაკლებად მიესადაგება თქვენს ჰუმანისტურ შეხედულებებს ხალხთა ურთიერთობის შესახებ, რომ თქვენ ახლა შენუხებული უნდა იყოთ.

გთხოვთ, გადაეცით ჩემი მოკითხვა ქ-ნ და ბ-ნ ბაუერებს, დოელტერებს, რაინინგჰაუსებს.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

საგულისხმო სიტყვებია: „არ დამვიწყებია ჩემი ძვირფასი მეგობარი, რომელიც თავის პირად ცხოვრებაში ისეთივე უბედურია, როგორც მე ვარ“. ასე რომ თქვა და, თანაც, შუხართს უთხრა, დარწმუნებული უნდა იყო ამ სიტყვების საფუძვლიანობაში. სხვას დააბრალო – უბედური ხარო, მით უმეტეს, იმსიდიდე პიროვნებას, როგორც შუხართია, ეს არაა ადვილად სათქმელი, განსაკუთრებით ისეთი მოკრძალებული კაცისთვის, როგორც მელიქიშვილი იყო. მაშასადამე, ეს სიტყვები სიმართლეს შეეფერება. თუკი ასეა, მაშინ აქედან დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ჩანს, შუხართმა მას, როგორც დაახლოებულ პირს, გული გადაუშალა, გაანდო თავისი სულიერი მდგომარეობა. ამას ყველას ხომ ვერ ეტყვი, მხოლოდ ძალიან ახლობელს შეგიძლია ეს გაუმხილო. ამ დროს შუხართს მამა უკვე აღარ ჰყავს ცოცხალი, მისთვის ყველაზე ახლობელი კი, დედა, ვისაც არაფერს უმალავდა, მისგან მოშორებით, გერმანიაში, გოთაში, ცხოვრობს. შუხართი, ალბათ, დედის გარდა, სხვებს ნაკლებად ჩაახედებდა გულში, მელიქიშვილი კი, რატომღაც, თავის ფიქრებს აზიარა.

№ 15

„26.II.1901

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

ეს-ესაა თქვენგან მეორე წერილი მივიღე და ვჩქარობ, გაცნო-

ბოთ, რომ რუსეთში, განსაკუთრებით ველიკორუსეთში (Gross-Russland), გავრცელებულია სერი. ასევეა საქართველოშიც. ქართულად მას ნამგალი ჰქვია.

ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნებოდა, დროდადრო თქვენგან ბარათები მიმეღო. გთხოვთ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, მომწეროთ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ. ვაპირებ, როგორც ყოველ წელს, წლევუსაც შვეიცარიაში გავემგზავრო.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი.

P.S. გთხოვთ, თქვენი მისამართი მაცნობოთ

პ.მ.“

იმავე თარიღით, როცა №15 წერილი დაინერა, გრაცში კიდევ ერთი წერილია გაგზავნილი, ამჯერად ქართულად დანერილი:

№16*

„26.II.1901

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

დიდათ გამახარა თქვენმა წერილმა. დიდათ მადლობელი ვარ, რომ არ დამივიწყეთ, და დრო გამოშვებით (von Zeit zur Zeit) თქვენს ამბავს მატყობინებთ. ჩემდა სამწუხაროთ მე შეუძლოთ ვიყავი და აქნობამდინ ვერ შევძელი წერილის მოწერა.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

№17

„6.III.1901

ოდესა, უნივერსიტეტი

ძვირფასო მეგობარო!

ახლახან ერთი ჩრდილოელი რუსისგან შევიტყვე, რომ მოსკოვის სიახლოვეს დაკბილული ნამგალი იხმარება. საერთოდ კი, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში გლუფი ნამგალი გამოიყენება.

ახლა რუსეთში საოცარი ამბები ხდება. თითქმის ყველა უნივერსიტეტი დაკეტილია. ყველგან ობსტრუქციებს აწყობენ. დღემდე ასეთი გაფიცვები იყო ინგლისში, თქვენთანაც – ავსტრიაში (პარლამენტში). მაგრამ ობსტრუქციები უნივერსიტეტების წინააღმდეგ – ასეთი რამ პირველად მესმის!

არდადეგები ჩვენთან 13 ივნისს იწყება ახალი სტილით და, თუ საშუალება მომეცა, გრაცში ჩამოვალ, რათა კვლავ მოვიინახულო

მშვენიერი ქალაქი.

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი.“

ჰუგო შუხართისა და პეტრე მელიქიშვილის ურთიერთობას ვეცნობით პეტრე მელიქიშვილის იმ წერილების მეშვეობით, რომლებიც გრაცში, შუხართის არქივშია დაცული. მაგრამ ერთი წერილი, საბედნიეროდ, თბილისშიცაა შემონახული, რომელიც, პირიქით, შუხართის მიერაა დანერვილი

№18

„გრაცი, ელიზაბეთშტრასე, 6
1 თებერვალი 1904

ძვირფასო ძველო მეგობარო!

როცა 11 იანვრის «ცნობის ფურცლის» ილუსტრირებული დამატება მივიღე, თვალში მეცა თქვენი მეგობრული სურათი «30 წლის იუბილის გამო» და ვჩქარობ, ამ იუბილეს გამო ჩემი გილითადი მოლოცვა გამოგიგზავნოთ. რაკი თქვენ რამდენიმე ხანია ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ასაკით მეორე ხარო, ალბათ, პენსიაზე გახვალთ, არა?

მე 30-წლიანი სამსახურის შემდეგ რამდენიმე წელია პენსიონერი ვარ. 1901 წელს 8 თვით ვიყავი იტალიაში, 1903 წელს – 5 თვით ეგვიპტეში. ჩემი წერვები, ცხადია, კვლავაც სიცოცხლისუნარიანია, თუმცა, ამასთან, კუჭი არ მასვენებს. გუსტავ მაიერი 1900 წელს გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც უკურნებელი დამბლის გამო მრავალი წელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარა.

თქვენი კოლეგა სკრაუპი ამჟამად რექტორია, სხვა ქიმიკოსი, რომელიც ჯერ კიდევ გახსოვთ, შრომდერი, ზურგის ტვინის კვლევას ხელმძღვანელობს. ბაუერებმა რამდენიმე თვის წინ სამი ვაჟიდან ერთი დაკარგეს, მშვენიერი და გონებაგახსნილი – ტუბერკულოზი სჭირდა. მათ ერთი გოგონაც ჰყავთ – რომელიც აგრეთვე მშვენიერია.

ესაა აქაური ამბები, რომლებმაც შეიძლება დაგაინტერესოს. მომწერეთ, როგორ ბრძანდებით, საერთოდ, ნუ შეინუხებთ თავს გერმანულით, მომწერეთ ქართულად – მე ხომ ჩემს დედაენას ვიყენებ თქვენთან წერილების წერისას.

გულითადი მოკითხვით

თქვენი პ.შუხართი.

P.S. თუ თქვენს მანდაურ ნაცნობებში ან თანამემამულეებში არის ვინმე ფილოლოგიური განათლების მქონე, მას შეეძლო ჩემთვის შემდეგი ცნობა მოეცა: ერთმა წიგნებით მოვაჭრემ სამი ძველი

ქართულად ნაბეჭდი წიგნი გამომიგზავნა გასაჩხრეკად და შესაფასებლად. ესენია:

ჟამნი, მოსკოვი, 1768

წიგნი პარაკლიტიკოს, ტფილისი, 1772

ახალი აღთქმა, მოსკოვი, 1816

ეს წიგნები მართლაც იშვიათობას წარმოადგენს? რა ღირებულება შეიძლება დაედოთ მათ?"

„ცნობის ფურცლის“ 1904 წლის 11 იანვრის ნომერს ახლავს სურათებიანი დამატება (№183), რომლის პირველ გვერდზე არის ოვალში ჩასმული სურათი პეტრე მელიქიშვილისა, რასაც ქვემოთ აწერია: „პროფესორი მელიქიშვილი, 30 წლის იუბილეს გამო“. შუხართი სისტემატურად ღებულობდა საქართველოდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და, ბუნებრივია, მისთვის ყველაზე ახლობელი ქართველი კოლეგის სურათს უმალვე იცნობდა. ეს წერილი, ამდენად, გრაცელი პროფესორის ბუნებრივი რეაგირებაა გაზეთში ნაცნობი სახის ხილვაზე.

წერილში დასმული შეკითხვების პასუხია მელიქიშვილის მიერ 1904 წლის 17 თებერვალს ოდესიდან შუხართისადმი მიწერილი ბარათი. როგორც ჩანს, მელიქიშვილმა გაითვალისწინა შუხართის შეთავაზება და გრაცელ მეგობარს პასუხი ქართულად აახლა:

№ 19*

„17.II.1904

ოდესსა, უნივერსიტეტი

ძვირფასო ძმაო და მეგობარო!

დიდათ მადლობელი ვარ თქვენი წერილისათვის და განსაკუთრებით, რომ აქამდე არ დამივიწყეთ. ჩემდა სამწუხაროდ, შეუძლოდ ვიყავი და ამის გამო დროზედ პასუხი ვერ მოგწერეთ. დიდის სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გაცნობებთ, რომ ჟამნი (Moskau) 1768 წ. გამოცემისა არ მოიპოვება, ჟამნი 1710 წ. თფილისში (Tiflis) გამოცემული, იმყოფება (2 ეკზ.). პეტერბურგში (Библиотека Академии Наук), თფილისში კი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

პარაკლიტონი 1762 წ. (Tiflis) გამოცემა ცნობილია და რაც შეეხება 1772 წ. გამოცემას – ეს უკანასკნელი ცნობილი არ არის.

თუ ვინიცობაა დაგჭირდეთ ეს წიგნები, შეგიძლიათ მიმართოთ თფილისის წერა კითხვის საზოგადოებას (Тифлис. Общество распространения грамотности среди грузин).

მომიკითხეთ დიდის პატივისცემით ბაუერის ოჯახობა

თქვენი ერთგული მეგობარი

პ.მელიქიშვილი“.

ორი გულითადი მეგობრის ბედი ბევრი რამით ჰგავდა ერთმანეთს: ორივე თავისი დროის გამოჩენილი მკვლევარი იყო, ორივე მართობელა – არცერთ მათგანს არ ჰყოლია ცოლ-შვილი, უმნიკვლოდ იარეს საცთურებით სავსე დედამიწაზე და, შეიძლება ითქვას, ერთადაც დაასრულეს ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება 1927 წელს: პეტრე მელიქიშვილი 23 მარტს გარდაიცვალა, ჰუგო შუხართი – ოთხი კვირის შემდეგ.

დასასრულ, მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო პეტრე მელიქიშვილის პიროვნების უკეთ წარმოსაჩვენად.

როდესაც 1908 წელს ვასილ პეტრიაშვილი გარდაიცვალა, მისი ღვანლის აღსანიშნავად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გადანიყვიტა, შეექმნა პეტრიაშვილის სახელობის ფონდი. შემოწირული თანხები უნდა მოხმარებოდა სკოლის ან რაიმე საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნას.

როგორც ჩანს, ამ კეთილშობილურ საქმეს პეტრე მელიქიშვილი ჩაუდგა სათავეში. ვასილ პეტრიაშვილი ხომ მისი უახლოესი მეგობარი და კოლეგა იყო შორეულ ოდესაში და ათეული წლების განმავლობაში მის მხარდამხარ ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას. მელიქიშვილმა ოდესაში მოიზიდა თანხები, რომელთაც წერა-კითხვის საზოგადოებას უგზავნიდა თბილისში. მაგრამ, როცა შეატყო, რომ საზოგადოება შეგროვებულ ფულს დანიშნულებისამებრ არ უპირებდა გამოყენებას, იაკობ გოგებაშვილს მკაცრი ტონით დანერილი ბარათი გაუგზავნა:

„1909.7.IV

ოდესა, უნივერსიტეტი

დიდად პატივცემულო იაკობ სიმონის ძევ!

დროდადრო ვაგზავნი ფულს, რომელიც სხვადასხვა პირის მიერაა შეწირული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი. შემწირველები ფულს იძლეოდნენ მხოლოდ-დამხოლოდ პეტრიაშვილის სახელობის სახალხო სკოლისთვის. მე აქამდე არა მაქვს ცნობა იმის შესახებ, თუ რა გააკეთა საზოგადოებამ ამ მიზნის განსახორციელებლად. აქამდე მე მხოლოდ შეტყობინებას ვღებულობდი საზოგადოებისაგან, რომ ფული მიღებულია. უკანასკნელად 1908 წლის 18 ნოემბერს გამოვაგზავნე 100 მანეთი, რაც გაიღეს ა.ო და ა.ი. ნემიროვსკებმა, მაგრამ რატომღაც დღემდე საზოგადოებისაგან არ მიმიღია დადასტურება ამ თანხის მიღების შესახებ. მე კი აუცილებლად უნდა მქონდეს ხელთ ეს დოკუმენტი,

რათა ვაჩვენო შემწირველებს, რომ მათ მიერ გაღებული ფული დანიშნულებისამებრ არის გაგზავნილი.

რადგან საზოგადოებისაგან არა მაქვს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს იგი პეტრიაშვილის სახელობის სკოლის დაარსების იდეისთვის ხორცშესხმას და რა ზომებია საამისოდ მიღებული, ამას გარდა, რაკი აქამდე არ მიმიღია ცნობა უკანასკნელი შეწირულობის მიღების შესახებ, მე იძულებული ვარ, ამიერიდან უარი ვთქვა შეწირულობის მიღებაზე.

მე შემთხვევით შევიტყვე, რომ საზოგადოება აპირებს, სხვა დანიშნულება მისცეს ამ თანხებს. ასეთ გადაწყვეტილებას მე არასწორად ვთვლი: საზოგადოებას უფლება არა აქვს, შემწირველის ნება შეცვალოს.

მეტად მადლობელი დაგრჩებით, თუ მაცნობებთ შემოწირული ფულის ბედისა და იმის შესახებაც, თუ რას აპირებს საზოგადოება პეტრიაშვილის სახელობის სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით.

გულწრფელად თქვენი ერთგული

პ.მელიქიშვილი“
/კ.კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ.,
ი.გოგებაშვილის ფონდი, №387,
წერილი რუსულადაა დანერილი/.

მოსე ჯანაშვილი

მოსე ჯანაშვილი (1855-1934) იყო მრავალმხრივი მკვლევარი. მისი მეცნიერული თვალსაწიერი მოიცავდა ისტორიას, ენათმეცნიერებას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას... იგი იყო პუბლიცისტი, პედაგოგი და, ამავე დროს, ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

მ.ჯანაშვილი დაიბადა საინგილოში, სიჭაბუკის წლებიც იქ გაატარა, 1872 წელს კი ჩამოვიდა თბილისში, სადაც სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. 1875 წლიდან იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ქუთაისში, ხოლო 1878 წ. გადმოვიდა თბილისში და მასწავლებლად დაინიშნა ჯერ სასულიერო სასწავლებელში, 1892 წლიდან კი რეალურ სასწავლებელშიც (ასწავლიდა ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას), 1888 წლიდან იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი, 1897-1926 წლებში - მისი გამგე. 1920 წლიდან უმაღლეს სკოლაში, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, გადასცემს ცოდნას. მ.ჯანაშვილი იყო ფართო დიპაზონის მკვლევარი: თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1899), მან ერთერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საფუძველი სამეცნიერო მუშაობას საქართველოში. მ.ჯანაშვილი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი და დიდი წვლილი შეიტანა ამ საზოგადოების წიგნთსაცავის, აგრეთვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების, ასევე საეკლესიო მუზეუმის შექმნაში. მ.ჯანაშვილმა გამოსცა არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული თუ სხვა ხასიათის ძეგლი, იგი არის ეთნოგრაფიის ერთერთი ფუძემდებელი საქართველოში, ასევე საყურადღებოა მისი ენათმეცნიერული ნაშრომები და მისი ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

მისი ნაშრომებიდან სხვადასხვა დარგში შეიძლება მოვიხსენიოთ „საქართველოს ისტორია“ (1884, 1895, 1906), „ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი“ (1896), „ქართული გრამატიკა“ (1906), „საინგილო“ (1913)... მ.ჯანაშვილმა მიაკვლია და გამოაქვეყნა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (1909), გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ (ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი, 1904)...

როგორც აღნიშნავენ, მოსე ჯანაშვილს მაშინ მოუწია სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყება, როცა საქართველოში მეცნიერება

ერთგვარი „დუღილის“ პროცესში იმყოფებოდა, ჯერ არ არსებობდა სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერებს ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სფეროში უხდებოდათ მუშაობა, რაც მათგან განათლების ფართო დიაპაზონს მოითხოვდა.

მოსე ჯანაშვილი კონსულტაციებითა და საჭირო ლიტერატურით დახმარებას უწევდა იმ უცხოელ მკვლევარებს, რომლებიც ქართული ენის სხვადასხვა სფეროს მიმართ იჩენდნენ დაინტერესებას. მას საქმიანი კავშირი ჰქონდა დამყარებული ევროპელ სწავლულებთან, კერძოდ, ენათმეცნიერებთან, და მუდამ მზად იყო, უანგარო და ფასეული შემწეობა გაენია მათთვის. ცნობილია მისი დახმარება რ. ფონ ერკერტის³⁵ მიმართ, რომელსაც იგი ქართული მასალებით ამარაგებდა. გულითადი დამოკიდებულება ჰქონდა მას ჰუგო შუხარტთან, რომელსაც არაერთი საინტერესო ცნობა მიანოდა ქართული ენისა და მისი ინგილოური დიალექტის შესახებ. მართალია, ინგილოების შესახებ გრაცელ პროფესორს ლეო ლოპატინსკიც³⁶ აწვდიდა ცნობებს, მაგრამ ჰუგო შუხარტისთვის მოსე ჯანაშვილი ამ საკითხში შეუცვლელი და ურყევი ავტორიტეტი იყო.

ჩემს ხელთაა რამდენიმე წერილი მოსე ჯანაშვილისა და ჰუგო შუხარტის მიმონერიდან, რომლებიც ავსტრიის ქალაქ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში არის შემონახული. გავეცნოთ მათ მიმდევრობით³⁷.

ერთერთი პირველთაგანი იმ მეცნიერთაგან, ვისაც შუხარტი საქართველოში დაუკავშირდა, რათა მათგან კონსულტაციები მიეღო მისთვის საინტერესო საკითხებზე, მოსე ჯანაშვილი იყო. მიმო-

³⁵ რიხარდ ფონ ერკერტი (1830-1900) – პრუსიელი მკვლევარი, მსახურობდა რუსეთში, იყო სამხედრო პირი, ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული შრომების ავტორი. მ. ჯანაშვილი მას ეხმარებოდა ორტომიანი ფუნდამენტური ნაშრომის – „კავკასიური ძირის ენები“ („Die Sprachen des caucasischen Stammes“, Wien, 1895) – მასალების მიწოდებაში.

³⁶ ლეო ლოპატინსკი (1842-1922) – იბერიულ-კავკასიურ ენათა ცნობილი მკვლევარი, რედაქტორი თბილისში გამოშვებული ჟურნალისა „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, იმხანად კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორი.

³⁷ შუხარტის ზოგიერთი წერილი 1975 წელს გამოაქვეყნა ლ. ხელაძემ („ჰუგო შუხარტის წერილები მოსე ჯანაშვილისადმი“, ჟურნ. „საუნჯე“, №5, 1975). პუბლიკაციაში მოყვანილი პირველი წერილი არ არის შუხარტის მიერ დაწერილი. ლ. ხელაძის მიერ სქოლიოში მითითებულია: „წერილი დაწერილია ქართულად“. სინამდვილეში ესაა 1895 წ. 9 სექტემბრით დათარიღებული №1 წერილის თავისუფალი თარგმანი. ეს თვალის ერთი გადავლებითაც ადვილად შესამჩნევია. ეტყობა, ვილაცამ უთარგმნა მ. ჯანაშვილს გრაციდან გერმანულ ენაზე გამოგზავნილი წერილი. შუხარტს არც მაშინ და არც მოგვიანებით არ შეეძლო ამნაირი ქართულით წერა.

წერა მათ შორის მოიცავს პერიოდს 1895-დან 1906 წლამდე. როგორც ჩანს, პირველი ნაბიჯი ჰუგო შუხართმა გადადგა. მისი წერილები, ძირითადად, გერმანულადაა დაწერილი, თუმცა ზოგჯერ ქართული წერილებიც გამოიყენება.

№1

„ჰერკულესბადი (უნგრეთი)
9 სექტემბერი 1895

დიდად პატივცემულო ბატონო!

ბანდეროლით გიგზავნით ჩემს მცირე მოცულობის ნაშრომს „Über das Georgische“³⁸ და გთხოვთ მომიტევეთ, რომ თავს უფლება მივეცი, თქვენ წინააღმდეგ გამომეთქვა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა. ვიმედოვნებ, რომ თქვენგან კიდევ ბევრს ვისწავლი ქართულისა და, განსაკუთრებით, ინგილოურის შესახებ.

მაპატიეთ, რომ რუსულად ან ქართულად ვერ გწერთ. თუკი, საერთოდ, ისურვებთ, რომ მომწეროთ რამე, შეგიძლიათ ამ ენათაგან რომელიმე გამოიყენოთ.

დავშთები თქვენდამი უღრმესი ყურადღებით

დოქტორი ჰუგო შუხართი,
ენის მეცნიერებათა საიმპერატორო
აკადემიის ნამდვილი წევრი.

ადრესი: გრაცი, ავსტრია,
ელიზაბეთშტრასე 6

ხოლო 20 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე: გოთა (გერმანია)
ზიბლბერშტრასე 33“.

№2*

„23 სექტემბერი 1895 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო

თქვენი წერილიცა და წიგნიც – Über das Georgische – მივიღე. დიდად გმადლობთ წარმოგზავნილისათვის. მაგიერად მე ვბედავ მოგართვათ ჩემი წიგნები ოთხის ბანდეროლით. თუკი შემეძლება, დახმარებას აღმოგიჩინებ ქართულის ენის შესწავლისა და მის გრამატიკის გამოკვლევის საქმეში. გამოგიგზავნით აგრეთვე „Новое Обозрение“-ს №№-ს, რომლებშიც დაბეჭდილია ჩემი წერილი „Знаменательная эпоха грузинского царства“.

³⁸ „Über das Georgische“ („ქართული ენის შესახებ“), Wien, 1895 – ჰუგო შუხართის ერთერთი პირველი ნაშრომი ქართულის შესახებ.

დავშთები მარად-ჟამ თქვენი პატივისმცემელი

მოსე ჯანაშვილი.

ჩემი ადრესი: Тифлис, Черепичная, 6».

№3*

ეს წერილი შუხართს ქართულად დაუნერია:

„მ დეკემბერისთვის 1895
 გრაცი

დიდად პატივ-ცემულო ბატონო!

მომიტევით, რომ ეს არის ეხლა რაც გმადლობთ წარმოგზავ-
 ნილისათვის. თუნცა ზედის-ზედა გართულვარ ქართულის ენის
 გამოკვლევაში. აქამდე ჩემთვის ფრიად ძნელია ამ ენაზედ წერა.
 კიდევ ამითომ ეს მცირის სიტყვით გინდათ დაკმაყოფილდით. დიდად
 სასარგებლო მიქნებიან თქვენი წიგნები, მაგრამ სხვათა უმეტესო-
 ბით сравнит. грамматика и словарь картвельского языка и его идиомов,
 რომელი „წარდგენილია განსახილველად სასწავლო ოლქის სამზრუნ-
 ველოში“. გთხოვთ, ცოტარა მწერეთ შესახებ ამისა – ჩქარა.

დავშთები მარადის თქვენი კეთილის მოსურნე

ჰუგო შუხართი»

№4*

„პატივცემულო ბატონო ჰუგო.

თქვენი წერილი დღეს მივიღე. გამიხარდა მეცა და ჩემს მე-
 გობრებსაც, რომ ქართული ენა საფუძვლიანად შეგისწავლიათ.
 გთხოვთ მომიტევოთ, რომ აქამდის ვერ მოგწერეთ პასუხი თქვენის
 წერილისა, რომელიც გამოგეგზავნათ ნ. ზეიდლიცისათვის³⁹. თქვენ
 მიერ მოხსენებული ჩემი შრომა „Сравнит. грам. и словарь картв. языка
 и его идиомов“ ეს ოთხი თვეა, რაც წარვუგზავნე მეცნიერებათა
 აკადემიას (Academie scientifique) პეტერბურლს, და აქამდის არა-
 ვითარი ცნობა არა მაქვს მის შესახებ. ზეიდლიცმა მირჩია თქვენთვის
 გამომეგზავნა. ჩემთვის სულ ერთია, სად დაიბეჭდება ჩემი შრომა,
 ოღონდაც კი დაიბეჭდოს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩემთან
 მისი პირი (копия) სრულად არ არის შენახული, რომ გადავწერო და
 თქვენ გამოგიგზავნოთ. თუ აკადემიამ არ დაბეჭდა, მაშინ როგორც
 კი მივიღებ, დიდის სიამოვნებით მოგართმევთ. მის შემუშავებას მე

³⁹ ნიკოლოზ ზეიდლიცი (1831-1907) — სტატისტიკოსი, ეთნოგრაფი, ბუნების-
 მეტყველი. 1868 წლიდან კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი
 რედაქტორი.

მოვანდომე არა ნაკლებ ათი წლისა, მაგრამ თქვენს ხელში უფრო მეტი ფასი დაედება, რადგან მეცნიერულად შეიმუშავებთ. შრომას გარდა მას მოვახმარე მრავალი ფული და სასინანულო იქმნება, რომ არ დაიბეჭდოს.

ამ სახით, მაპატიეთ, რომ არაფერი შემიძლია. ჯერჯერობით გაზეთის №№-ების მეტს ვერას გიგზავნით, აგრეთვე „ათას ერთ ლამეს“⁴⁰. ხოლო ეს კი უნდა იცოდეთ, რომ თქვენი ღვაწლი და გარჯა უნაყოფო არ იქნება ქართული გრამატიკის საქმეში.

გემშვიდობებით თქვენი პასუხის მომლოდინე

მოსე ჯანაშვილი.

6 დეკემბერს
1895 წ.

+ Нов. Обозр. №№ 3712, 3714, 3727, 3730, 3735, 3744, 4076.

ამ ნომრებში ფელეტონებად დაბეჭდილია ჩემი წერილები, და იქნება გამოგადგეთ. – თუ მოახერხეთ და გამოგიგზავნეთ თქვენი შრომა „ბასკური შტუდიები“ (1891 წლისა), დიდად დამავალებთ. – „ათას ერთი ლამის“ ბოლოში წაიკითხავთ განცხადებას შესახებ ჩემ მიერ შედგენილი წიგნისა „შოთა რუსთაველი“, რომელიც მალე დაიბეჭდება, და ერთს ცალს თქვენ მოგართმევთ.

მ.ჯ.»

არ უნდა დაგვაბნოს წერილებზე დასმულმა თარიღებმა. თბილისური დრო იმჟამად 12 დღით ჩამორჩებოდა ევროპულს. ასე რომ, ჯანაშვილის წერილი 6 დეკემბრისა პასუხია შუხართის 8 დეკემბრის (ანუ თბილისურად – 24 ნოემბრის) წერილზე!

№5

ამ წერილის პირველი აბზაციც ქართულადაა დანერილი, შემდეგ კი გერმანულად გრძელდება.

„გოთა, 1896 წ. 8 იანვარს
ზიბლბერგშტრასე 33

«პატივცემულო ბატონო მოსე!»

მომიტყვეთ, რომ დღეს ქართულს ენაზედ არა მოგწერთ, რადგანაც აქ (სადაც ეხლა ვარ, ჩემი დედათან, რომელიც ძალიან ავად არის) ქართ. ლექსიკონი არც მაქვს არც გრამატიკა. და ქართ. ენა კი აქამდის ასე არა შემისწავლია როგორც თქვენ გგონიათ. ამას გარდა,

⁴⁰ ალბათ, ჯანაშვილის მიერ ქართულად ნათარგმნი ივარაუდება.

დიდს სიხარულით ვნახავ, რომ ჩემი ენა არ არის უცხო თქვენთვის».

1. მივიღე გაზ. Новое Обозрение-ს მითითებული ნომრები თქვენი და მ.გიორგიძის სტატიებით, აგრეთვე „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“ და დიდად გამადლობთ ამისთვის.

თქვენი თარგმანიდან ფრანგულის დახმარებით უკვე თითქმის ნახევარი ნავიკითხე. რუსული ტექსტი დაუდეთ საფუძვლად?

2. დიდად ვწუხვარ, რომ თქვენი сравнит. грамм-ის შესახებ ჯერ კიდევ არაფერია გადანყვეტილი. ალბათ, ეს იმის გამოა, რომ ცაგარელი⁴¹, როგორც ჩანს, დიდი ხანია პეტერბურგიდან შორსაა (კერძოდ, კავკასიაში). რადგან მას, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოსი არაა, ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეეძლება. აკადემიის წევრებს შორის ცოტა იქნება ისეთი, რომელთაც, საერთოდ, ქართულისა რამე გაეგებათ (მაგალითად, ზალემანი⁴²). რამდენადაც ვიცი, არცერთი მათგანი არაა ამ საქმით დაკავებული. ძალიან მინდა, რომ ასეთი მრავლისმომცველი და ფასეული ნაშრომი გარეგანი დაბრკოლებების გამო მეცნიერული სამყაროსთვის უცნობი არ დარჩეს.

რაც შეეხება თქვენი ნაშრომის ჩემ მიერ გადამუშავებას, რაზეც თქვენ მიმანიშნებთ, მე ამაზე სიამოვნებით განგიცხადებთ თანხმობას, თუმცა ეს თანამშრომლობა შეიძლებოდა გაძნელებულიყო ჩვენ შორის ზოგიერთ საკითხში აზრთა სხვადასხვაობის გამო (არა თავად ფაქტებთან, არამედ ამ ფაქტების განმარტებასთან დაკავშირებით). ამასთან, მე შევძლებდი, წიგნი მხოლოდ გერმანულ ენაზე გამომეცა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, წიგნი რუსულად რომ გამოქვეყნებულიყო.

3. მოუთმენლად ველი თქვენი წიგნის გამოსვლას შოთა რუსთაველის შესახებ, მისი პოემა ჯერ არ წამიკითხავს, რადგან მე მინდა, თავდაპირველად თანამედროვე ენას გავეცნო. როცა შემეძლება ქართული ტექსტი, ასე თუ ისე, თავისუფლად წავიკითხო, ერთერთ სამეცნიერო ორგანოში ქართული ენის შესახებ ახალ გამოცემებზე გამოვაქვეყნებ ნერილს, რაკი ისინი ქართული ფილოლოგიის სფეროს განეკუთვნებიან და იქ პირველ რიგში თქვენს ნაშრომებზე იქნება საუბარი.

4. როგორც კი გრაცში დავბრუნდები, ჩემს „ბასკურ მტუდიებს“ გამოგიგზავნი. ამასთან, მინდა ყურადღება მიგაქცევინოთ იმაზე, რომ იგი მხოლოდ იმათთვის იქნება გასაგები, ვინც ბასკურში, ასე თუ ისე, ერკვევა. სხვანი მოკლებული იქნებიან შესაძლებლობას,

⁴¹ ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929) – გამოჩენილი მეცნიერი, ფილოლოგი, ენის მკვლევარი და ლიტერატურის ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

⁴² კარლ გუსტავ პერმან ზალემანი (1849-1916) – ცნობილი ორიენტალისტი, ირანისტი, აკადემიკოსი, პეტერბურგის სააზიო მუზეუმის დირექტორი.

ელემენტარული წარმოდგენა მიიღონ ბასკური ზმნის აგებულების შესახებ. მაგრამ ბასკური ქართველებისთვის ძალიან საინტერესოა, რაც მიიღო ზოგიერთს ვაჩვენო. ბასკურში განსხვავება აქტივსა⁴³ და ნომინატივს შორის ყველა ზმნასთან აღინიშნება, ქართულში კი მხოლოდ პერფექტისა და მისგან ნაწარმოები დრო-კილოთა ფორმებისთვის არის დამახასიათებელი.

ორი მაგალითი

gizonak dakus (გარდამავალი)

„კაცი ხედავს მას“

gizona doha (გარდაუვალი)

„კაცი მიდის“

ქართ. კაცმა „დაინახა“, კაცი „მიდიოდა“

დ — არის [გერმანული] წინდებული „er“, ასე რომ:

„კაცისგან და-ნახვა (er-sehen) ანუ „ის დანახულ იქნება“

„კაცი ნახვლა“ ანუ: „ის მიდის“ – ობიექტის ნაცვალსახელები

ბასკურში ერთმანეთს მიუერთდებიან: d-em-o-t (=es-geben-ihm-ich = „ის მიცემა მას მე“) ანუ „ის მიეცემა მას ჩემგან“ = მე ვაძლევ მას. მრავლობითს საკუთარი სუფიქსი აქვს (te, z და ა.შ.) და შეესაბამება ქართულ თ-ს.

5. მე არ ვარ მთლად დარწმუნებული, ჩემს წერილში „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიმართ დავუსვი თუ არა მათ კითხვა: აქვს თუ არა გორის კათოლიკურ ეკლესიას ბიბლიოთეკა და არის თუ არა იქ ხელნაწერი გრამატიკა გასული საუკუნის ერთი იტალიელი მისიონერისა.

თუ თქვენ, როგორც მე ვვარაუდობ, ამ საზოგადოების წევრი ხართ, მაშინ გთხოვდით, ეს საქმე შეგეხსენებინათ მათთვის.

სიმპათიისა და ყურადღების გამოხატვით დავშთები თქვენდამი ერთგული

ჰ.შუხართი

გეთაყვა, გრაცში მომწერეთ მისამართზე:

ელიზაბეთშტრასე 6 (და არა 176)“.

ეტყობა, ჯანაშვილმა თხოვნით მიმართა შუხართს, თავისი ნაშრომი გადაემუშავებინა და გამოსაქვეყნებლად მოემზადებინა. ალბათ, აქ მისი „ქართული გრამატიკა“ უნდა ივარაუდებოდეს. შუხართი მეტიმეტ ინტერესს იჩენდა ჯანაშვილის ამ ნაშრომი-

⁴³ „აქტივს“ შუხართი მოთხოვითს უწოდებდა. წერილში ა.ხახანაშვილისადმი (1.III.1896) შუხართი ამ ბრუნვას უკვე „მოთხოვითად“ მოიხსენიებს.

სადმი და ხშირად ეკითხებოდა ქართველ კოლეგას, რა მდგომარეობაშია თქვენი გრამატიკა და შედარებითი ლექსიკონიო. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდში შუხარტს კიდევ ერთმა ქართველმა – მოსკოვში მცხოვრებმა ალექსანდრე ხახანაშვილმა⁴⁴ – შესთავაზა: გერმანულად შევადგინოთ ქართული ენის გრამატიკაო, რაზეც შუხარტი თითქოსდა დასთანხმდა და ხახანაშვილს ვრცელი გეგმა გაუგზავნა ქართული გრამატიკის შედგენის მისეული პრინციპებით და გრამატიკის კონტურების მონახაზით. მაგრამ შემდგომ რალაც მიზეზების გამო წამოწყებული სამუშაო მოულოდნელად შეწყდა. არც ჯანაშვილის გრამატიკა გამოცემულა გერმანულად, რადგან იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ შეისყიდა. ჯანაშვილის გრამატიკამ ქართულად დიდი დაგვიანებით, მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1906 წელს, იხილა დღის სინათლე. აღსანიშნავია, რომ შეთავაზებულ თანამშრომლობაზე შუხარტმა ხახანაშვილსაც და ჯანაშვილსაც ერთსა და იმავე დღეს, 1896 წლის 8 იანვარს, უპასუხა გოთადან, სადაც იგი იმხანად დროებით იმყოფებოდა დედა-მისის ავადმყოფობის გამო.

ამ წერილიდანაც ჩანს, რომ შუხარტი თავის არქივში, როგორც წესი, არ ინახავდა მის მიერ დაწერილი წერილების ასლებს, წინააღმდეგ შეთხვევაში არ დანერდა, „მე არ ვარ დარწმუნებულიო“. ასლი რომ ჰქონოდა, მაშინ დარწმუნებული იქნებოდა. მაგრამ იქნებ განგებ წერს ასე, რათა ერთგვარად შეარბილოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის უყურადღებობა. ისე კი, უნდა აღინიშნოს, რომ ჰუგო შუხარტის არქივში დაცულია მისთვის გამოგზავნილი 13000 (!) წერილი, მაგრამ ძალზე ცოტაა თვით მის მიერ დაწერილების ასლები.

შუხარტს 1895 წლის 27 ნოემბერს, მართლაც, მიუმართავს მსგავსი თხოვნით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის: „...შეგიძლიათ მაცნობოთ, არსებობს თუ არა ამჟამად გორის მონასტერში პატრი ჯიროლამოს მიერ იტალიურ ენაზე შედგენილი გრამატიკა, აგრეთვე, ხომ არ არის იქ იტალიელი მისიონერების სხვა შრომები ქართული ენის შესახებ?“

ეტყობა, თბილისში თავდაპირველად ნაუყრუეს შუხარტის თხოვნას, მაგრამ, როცა ჯანაშვილმა შეახსენა გამგეობას, დავით კარიჭაშვილმა⁴⁵, საზოგადოების მდივანმა, თხოვნის შესაბამისად,

⁴⁴ ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912) – ცნობილი მკვლევარი, ფილოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი.

⁴⁵ დავით კარიჭაშვილი (1862-1927) – მწერალი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, იმხანად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი იყო.

თავის მხრივ, გორში საზოგადოების წარმომადგენელს სთხოვა, დახმარებოდა ამ საკითხის გარკვევაში⁴⁶.

ახლა ისევ შუხართისა და ჯანაშვილის მიმონერას დავუბრუნ-
დეთ.

№6

„გოთა (გერმანიის იმპერია)
ზიბლბერშტრასე 33
26 სექტემბერი 96

დიდად პატივცემულო ბატონო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ „შოთა რუსთაველის“ და „ფარსადან გორგიჯანიძის“ გამოგზავნისთვის, რომელთაც დიდი ინტერესით წავიკითხავ, განსაკუთრებით კი დამატების შესახებ, რომელიც ინგილოურ დიალექტს შეეხება, რაზეც თავის დროზე მოხსენებას გავაკეთებ.

ვერჯერობით კი მინდა განმარტება გთხოვოთ შენიშენის შესახებ 88-ე გვერდზე.

რას ნიშნავს „კაკ-ელისენ-შაკიხ-ნუქეთი“?

რუსულ რუკაზე მე ვნახე ках და елису (მაგრამ ეს სტატისტიკის მიხედვით ინგილოებით კი არა, ავარელებითაა დასახლებული), მაგრამ ვერ ვნახე სხვა სახელები: შაკიხი და ნუქეთი.

თქვენ წერთ, რომ ესაა „ნაწილი ზაქათალისა და ნუხის მაზრებისა“, მაგრამ ნუხის მაზრა მდებარეობს ელიზაბეტპოლის⁴⁷ გუბერნიაში და უდიეზი ინგილოებისაგან დიდი მანძილით არიან დაცილებული. ასევე, ნახურლები ინგილოებისაგან მთით არიან გაყოფილი და დაღესტანში ცხოვრობენ.

ინგილოების რიცხვი ახალი სტატისტიკის მიხედვით არის 8.727, უდიეზისა – 7.301, ნახურლებისა – 5165. თუკი მოახერხებდით და რაც შეიძლება ჩქარა გამომიგზავნიდით ცნობებს ამის შესახებ, დიდად მადლობელი დაგრჩებოდით. გეთაყვა, მომწერეთ აგრეთვე, როგორაა თქვენი შედარებითი გრამატიკის საქმე. თქვენ ხომ იცით, როგორ მაინტერესებს ეს საკითხი.

ვიმედოვნებ, ვინმეს მოძებნით, ვინც დაგეხმარებათ ჩემი გერმანულის გაგებაში. მე არა მქონდა დრო, სხვა ენაზე რომ გამო-
მეგზავნა წერილი.

ჰუგო შუხართი

რამდენიმე კვირას გოთაში ვრჩები.“

⁴⁶ ამ საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 157.

⁴⁷ ქალაქ განჯის ძველი სახელწოდება.

მეორე დღეს, 27 სექტემბერს, შუხართმა ა.ხახანაშვილს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აგრეთვე ითხოვდა კაკ-ელისენ-შაკიხ-ნუქეთის შესახებ განმარტებას. შუხართისა და ხახანაშვილის არქივებში არაფერია შემონახული იმის დამადასტურებლად, რომ მოსკოველმა სწავლულმა პასუხი გასცა შუხართის შეკითხვას. მოსე ჯანაშვილმა კი თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც აახლა გრაცელ პროფესორს ამომწურავი პასუხი მისთვის საინტერესო კითხვებზე.

გაუგებარია, რატომ ურჩევს შუხართი ჯანაშვილს, ჩემი გერმანულის გასაგებად ვინმე მონახეო. მოსე ჯანაშვილმა, ჩანს, იცოდა გერმანული და მის ქართულად დაწერილ წერილებში, სხვათა შორის, საკმარისადაა გერმანული სიტყვები და ფრაზები გამოყენებული. მე მგონია, პირიქით, ჯანაშვილი თავისი გერმანულით ცოტათი კეკლუცობდა კიდევ შუხართის წინაშე. საქმე ისაა, რომ იმხანად თბილისში იმ წრეში, ვისთანაც შუხართს ჰქონდა საქმე, ძირითადად ფრანგულს ფლობდნენ. როგორც არტურ ლაისტმა⁴⁸ ურჩია შუხართს (2.IX.1895), ჯობდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისთვის ფრანგულად მიენერა, რადგან იქ გერმანული არავინ იცოდა.

№7*

«27 ნოემბერი 96 წ.

პატივცემულო ბატონო.

არ ვიცი როგორ მოვიხადო ბოდიში თქვენს წინაშე: თქვენი წერილი, გამოგზავნილი 26 სექტემბერს 1896 წ. მივიღე ავადმყოფმა, ნავიკითხე და ბავშვებს მივეცი ჩემს სამუშაო ოთახში შესანახად. ორიოდე კვირის შემდეგ რომ კარგა გავხდი, ვეძებე თქვენი წერილი და ვერ ვიპოვნე. მხოლოდ გუშინ შემთხვევით გადავშალე ვებერის მეოთხე ტომი და იმაში კი აღმოჩნდა. ეს არის ჩემი აღსარება და იმედი მაქვს მაპატიებთ, რომ ჩემზე დამოუკიდებელ მიზეზისა გამო პასუხი დაგიგვიანეთ.

ა) მკითხავთ: რას ნიშნავს კაკ-ელისენ-შაკიხ-ნუქეთი? მანდ გექნებათ „Description géographique de la Géorgie par le tsarévitch Wakhoucht“, მარი ბროსეს (M.Brosset) თარგმანი 1842 წლისა. გაშინჯეთ ამ წიგნის 305-307 გვერდი, აგრეთვე მისივე (ვახუშტის) კარტები იმავე წიგნის ბოლოში და შეიტყობთ, რომ კაკ-ელისენი არის ახლანდელი ზაქათალის მაზრა (Закаतालский округ), შაკიხი (Шакихи) არის ახლანდელი ნუხის მაზრა (Нухинский уезд), რომელსაც თათრები

⁴⁸ არტურ ლაისტი (1852-1929) – გერმანელი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი. XIX საუკუნის მიწურულს დასახლდა საქართველოში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

Шекни-ს ეძახიან, და ნუქეთი არის ნახურის ოლქი (Туахурская область), რომელიც ამ ოციოდე წლის წინად ითვლებოდა ზაქათალის მაზრის ნაწილად და ახლა დაღესტნის საგუბერნატოროზედ მიწერილია. ზაქათალის ერთს ნაწილს – Алибадский участок – დღესაც ჰქვიან ელისენი და აქ არის დაბა ელისუ (=ელისენი), დაბა კაკი (=Как), კულმუხი ანუ ქურმუხი (=Курмух).

ბ) კაკ-ელისენშივე სცხოვრობენ ძველადგან გადმოსახლებულნი ნახურლები – სოფელ ყუმში⁴⁹ (=Кум), ლექეთში (=Лекети), ზარში (=Зерна). ამათი ენა ლექსიურის მხრივ მონათესაობს უდიების ენასთან. უდიები და ელისენის ნახურლები სცხოვრობენ ზაქათალისა და ნუხის ფოსტის გზაზე და ერთმანეთს შორავენ 62 ვერსით. მათი განშორება უნდა მიეწეროს რომელიმე ისტორიულს ტალღას.

გ) ...სტატისტიკა... ინგილოები 8.727, უდიები 7.301, ნახურლები 5.165.

მე არ ვიცი, რომელ სტატისტიკაზე მითითებთ. – ზეიდლიცის მიერ 1893 წელს გამოცემულს წიგნში „Свед. о статистич. данных о населении Закавказского края“ უდიების რიცხვი ნაჩვენებია 800 სულამდე (около 800 душ, а не 7.301), ნახურლების რიცხვი ელისენშიაცა და ნახურშიაც არ აღემატება 2.000 სულს და ინგილოები (ქრისტიანები და მაჰმადიანები) სულ არიან 13.000 და არა 8.727. ასე ცოტა = 8727 იმიტომ გამოსულა, რომ მართლმადიდებელი ინგილოების უმეტესი ნაწილი ქართველებად (грузины) ჩაუთვლიათ. ნამდვილად კი ინგილო = ქართველები ზაქათალის მაზრაში 13.000-ზედაც მეტია და არა ნაკლები.

დ) მომწერეთ, როგორაა თქვენი „сравнит. грамматика“-ს საქმე. ეს გრამატიკა იყიდა სამეცნიერო აკადემიამ და არ ვიცი დაბეჭდავენ თუ არა, ან როდის-რა ელირსება.

თუ დრო მექნება, მსურს ზედმიწევნით შევისწავლო უდიური და ნახურული ენები და მაშინ აღმოჩნდება რაოდენად მონათესავენი არიან ეს ენები და რა დამოკიდებულებაა მათ შორის.

დასასრულ კიდევ გთხოვთ მაპატიოთ წერილის დაგვიანებისთვის. დავშთები თქვენი პატივისმცემელი

Moïse Djanachvili».

სხვათა შორის, მ.ჯანაშვილი თავის ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გამოქვეყნებულ წერილში „ქართველები და ქართული ენა“ („ივერია“, №206, 26.IX. 1895) კაკ-ელისენ-ჭარის შესახებ ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ასრე უწოდებენ ზაქათალის მაზრას ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის-ცხოვრება და სხვ. თვით ადგილობრივნი მკვიდრნიც თა-

⁴⁹ ყუმსა და კაკს შორის სულ სამი ვერსია, კაკსა და დაღესტნის ნახურს შორის 25-30 ვერსი (მ.ჯანაშვილის შენიშვნა).

ვისს თავს ეძახიან ქართველებს, ხოლო ენას ქართულს. ინგილო თათ-რული სიტყვაა და ურიგო არ იქნება ამ ქვეყანას საინგილოს მაგიერ ვუნოდოთ კაკ-ელისენ-ჭარი“.

№8

„გოთა, 26 აპრილი 1899

დიდად პატივცემულო ბატონო,

ჩემი ქართული შტუდიები დიდხანს მქონდა გვერდზე გადა-
 დებული, მაგრამ ცოტა ხნის წინ კვლავ დავუბრუნდი. «მოამბესა»
 და «ივერიაში» ძალზე ხშირად დიდი სიხარულით ვხედავ ხოლმე
 თქვენს სახელს. «მოამბის» მარტის ნომერში წავიკითხე თქვენი წე-
 რილი «ვახტანგ გორგასალის» შესახებ, ხოლო დამატებაში ვნახე
 განცხადება «ამ წელშივე გამოვა ცალკე წიგნად ბ-ნი მ.ჯ-ის პალეო-
 გრაფიული ალბომი», რომელთაც «კრებულის» აბონენტები უფასოდ
 მიიღებენო.

ნება მომეცით, გკითხოთ, შეიძლება თუ არა „პალეოგრაფიული
 ალბომის“ შოვნა წიგნის მაღაზიაში, «ანუ, [თუკი იყიდება], ამ შემ-
 თხვევაში» გთხოვთ, წიგნის ღირებულება მაცნობოთ, თანხას უშუ-
 ალოდ თქვენ გამოგიგზავნით. მე არ ვარ „კრებულის“ აბონენტი და
 აქამდის ამ ორგანოს შესახებ საერთოდ არაფერი მსმენია. ძალიან
 მინდა, თქვენი პუბლიკაცია რაც შეიძლება ჩქარა შევიძინო, რადგან
 უკვე წლელს ვაპირებ ქართული პალეოგრაფიის შესახებ ერთი
 ნაშრომის დასრულებას.

ულრმესი ყურადღებით და გულითადი მოკითხვით
 თქვენი ერთგული

ჰუგო შუხარტი

(გრაცი, ელიზაბეთშტრასენ)

P.S. პარიზში ეს-ესაა გამოვიდა ჰ. აჭარიანის Étude sur la langue
 laze (ეტიუდები ლაზური ენის შესახებ)“.

ზემოთ მოხსენიებული ნაშრომი ქართული პალეოგრაფიის შე-
 სახებ უნდა იყოს „Mitteilungen aus georgischen Handschriften“ –
 „ცნობები ქართული ხელნაწერებიდან“. ხახანაშვილისადმი მიწე-
 რილ ერთერთ წერილში (27. XII. 1897) შუხარტი აღნიშნავდა: „რო-
 გორც კი ამ სამუშაოს დავამთავრებ, შემდეგ ვაპირებ, მივხედო
 ერთ ჩემს ნაშრომს ქართული ხელნაწერების შესახებ, რომელიც
 დიდი ხანია თითქმის ბოლომდეა მიყვანილი და მინდა, რომ, ბო-
 ლოსდაბოლოს, დავასრულო“. მაგრამ, სამწუხაროდ, შუხარტი ვერ
 მოახერხა ამ ნაშრომისთვის საბოლოო სახის მიცემა და დიდი ხნით
 განზე გადადო. სიკვდილამდე 4 დღით ადრე ეს ნაშრომი შემთხ-

ვევით მისი თვალთახედვის არეში მოხვდა. მოვუსმინოთ თვითონ შუხართს: „რადგან გული მტკიოდა, რომ ჩემთვის ისეთი სიმპათიური და საინტერესო ენა, როგორც ქართულია, უნდა მიმეტოვებინა, უკანასკნელ დღეებში ჩემი ქალაქები გადავქექე და მათში „ცნობები ქართული ხელნაწერებიდან“ ვიპოვე, რომელიც, როგორც მონმე ჩემი ინტერესისა, გუშინ დაზღვეული წერილით გამოგიგზავნეთ“. ეს სიტყვები შუხართმა 1927 წლის 17 აპრილს მისწერა აკაკი შანიძეს, 21 აპრილს კი ავსტრიელი მკვლევარი უკვე აღარ ერია ცოცხლებს შორის. ხსენებული ნაშრომი რომ დაუმთავრებელია, ეს თბილისში გამოგზავნილ დედანში ავტორს სიკვდილის წინ თავისი ხელით მიუწერია.

№9

„9 დეკემბერი 1906
გრაცი, ელიზაბეთშტრასე 6

დიდად პატივცემულო ბატონო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი ქართული გრამატიკის, საქართველოს ისტორიისა (ტ. I) და ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიისა და მისი რუსული თარგმანის გამოგზავნისთვის⁵⁰.

მე რომ გამიხსენეთ, თქვენგან ჩემდამი მეტად კეთილი დამოკიდებულების გამოსატყავე.

როგორც კი ჩემი ამჟამინდელი სასწრაფო საქმეები საშუალებას მომცემს, თქვენ მიერ გამოგზავნილ წიგნებს საფუძვლიანად ჩავუფდები.

გულითადი მოკითხვით

თქვენი ერთგული

ჰუგო შუხართი“.

მოსე ჯანაშვილმა შუხართის ნაშრომების შესახებ „ივერიაში“ რამდენიმე წერილი დაბეჭდა. გავეცნოთ მათაც.

№1

„ივერია“, №218, 11.X.1895

ბიბლიოგრაფია

„ტფილისში უკვე მოვიდა 20 სექტემბერს 1895 წელს ვენაში გერმანულს ენაზედ გამოცემული ახალი წიგნი ჰუგო შუხარდტისა,

⁵⁰ იგულისხმება ჯანაშვილის გამოცემული წიგნები: „საქართველოს ისტორია“, I, 1906; „ქართული გრამატიკა“, 1906 და ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ (ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი, 1904).

სახელწოდებით „Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen“⁵¹. შინაარსი ამ წიგნისა, როგორც მისსავე ყდაზე აღნიშნულია, ავტორს წაუკითხავს ვენის სამეცნიერო საიმპერატორო აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიულ მეცნიერებათა სხდომაზედ. ავტორს განუხილავს კავკასიელთა ენები; ა) მოკლედ: აბხაზური, ჩერქეზული, ჩაჩნური, ავარული, ანდუური, დიდოური, ყუმუხური, დარლოული, თავასარანული, ბუედიუხური, ხინალულური და უდიური (გვ. 1-34) და ბ) ვრცლად ქართული და მისნი კილო-კავნი (გვ. 34-90). ამ წიგნიდან სჩანს, რომ ქართველთათვის თავ-გადადებულს მეცნიერს არ დაუკლია თავისი ძალ-ღონე, რათა კავკასიელთა ენები და უმეტესად-კი ენა ქართული გაეცნო ევროპიელთათვის. ავტორი განსაკუთრებით დიდს ცოდნას იჩენს ქართულის ენის განხილვაში და, ვფიქრობთ, უკვე შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს მეცნიერი სრულიად და სავსებით გამოარკვევს საგრამატიკო კანონებს ქართულის ენისას და მით დაიმსახურებს მადლობას ენათა მეცნიერებისას და ქართველთა ერისას“.

მ. ჯანაშვილი

№2

„ივერია“, №82, 30.IV.1897

ბიბლიოგრაფია

„ვენიდგან მოგვივიდა ახლად გამოცემული წიგნი („Zur Geographie und Statistik der khartwelischen (südkaukasischen) Sprachen“ /შესახებ გეოგრაფიისა და სტატისტიკისა ქართველთა (სამხრეთ კავკასიელთა) ენისა/). ეს თხზულება (in 2) დაბეჭდილია გერმანულს ენაზედ და ეკუთვნის ცნობილს პროფესორს და დოქტორს ჰუგო შუხარდტს. ამ წიგნის ავტორს უსარგებლნია ყველა იმ მასალით, რომელიც დაბეჭდილია სხვა და სხვა ენებზედ ქართველთა ტომისა, გეოგრაფიისა და ენის შესახებ. ავტორი თავის გამოკვლევას ამყარებს უმთავრესად იმ საბუთებზედ, რომელნიც აღუბეჭდიათ ბროსესა, ცაგარელსა, ბაქრაძესა, ჩუბინაშვილსა, ხახანაშვილსა, ზეიდლიცსა, კონდრატენკოს, ზაგურსკისა, ი. გოგებაშვილსა (ბუნების კარი), მ. ჯანაშვილსა (გორგიჯანიძე და მისნი შრომანი) და სხვ. კავკასიაში მოსახლე ერთ ასრე ჰყოფს შუხარდტი:

I. ქართველნი: სვანნი, მეგრელნი, სამურზაყანელნი, ლაზნი (ჭანნი) და გიორგიანნი (ქართველნი); ქართველნი: I. იმერნი: ა) იმე-

⁵¹ „ტრანზიტის პასიური ბუნების შესახებ კავკასიურ ენებში“. ეს შუხარდტის ერთერთი პირველი გამოკვლევაა ქართულის შესახებ (დაიბეჭდა ვენის მეცნ. აკადემიის უწყებებში: № 133, I, 1895, გვ. 1-91).

რელი, ბ) გურული და აჭარელი და II. ამერნი: ა) ქართლ-კახელნი, ბ) ქართველ მაჰმადიანნი (სამცხელნი?), გ) ფშავნი, დ) ხევსურნი, ე) თუშნი, ვ) ინგილონი, ზ) მთიულნი.

II. სხვა კავკასიელნი: ა) აფხაზნი, ბ) ჩაჩანნი (ქისტნი), გ) დიდონი და დ) ავარნი.

III. არიელნი: ა) ოსნი, ბ) ქურთნი, გ) ბერძენნი.

IV. ურალალტაელნი (თათარნი): ა) თურქნი, ბ) ყარაჩაველნი, გ) მთიულ-ყაბარდოელნი, დ) თათარნი.

V. სიმის-ტომისანი: ურიანი.

ყველა ამ ტომ მოდგმათა ადგილმდებარეობა ავტორს ალუნიშნავს ფერადის ნამლებით მის-მიერ შედგენლს მშვენიერს რუკაზედ, რომელიც ჩაურთავს წიგნის ბოლოში.

ავტორს აუხსნია აგრეთვე მრავალი სახელწოდების წარმოება, მაგ. მ-ეგრ-ელი სიტყვიდამ ეგრ-ისი, თბილელი სიტყვიდამ თბილისი, მეგვიპტელი სიტყვიდამ ეგვიპტე, მანყვერელი სიტყვიდამ აწყური და სხვ. და სხვ. ქართველთა ტომს შუხარდტი აღრიცხავს 1.200000 სულად.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნს უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნება ევროპიისა და სხვა ქვეყანათა მეცნიერთათვის, რომელნიც ძალიან ნაკლებად იცნობენ საქართველოს.“

მ.ჯ.“

№3

„ივერია“, №267, 13.XII.1902

ბიბლიოგრაფია

„Hugo Schuchardt. Litterarisches Georgisch. – Kleine Mitteilungen

მოგვივიდა გერმანულს ენაზედ დასტამბული ორი ვრცელი ნერილი პროფესორის ჰუგო შუხარდტისა საზოგადო სათაურით Litterarisches Georgisch და მისივე მესამე ნერილი Kleine Mitteilungen (მოკლე უწყება).

პირველს ნერილში პატივცემული ავტორი, რომელსაც, როგორც სჩანს, კვლავ მოუკიდნია ხელი ქართული ფილოლოგიისათვის (ოთხიოდე წლის წინად გვწერდა, ქართულს ფილოლოგიის შესწავლას თავს ვანებებო), წარმოგვიდგენს ბატონ სილოვან ხუნდაძის შრომის – სალიტერატურო ქართულის – განხილვას.

მეორე ნერილში განიხილავს ჰ.აჭარიანის თხზულებას Étude sur la langue laze (ლაზთა ენის განხილვა). ეს ლაზთა ენის განხილვა ბატონ აჭარიანს დაბეჭდილი ჰქონია პარიჟის სალინგვისტიკო საზოგადოების მემუარებში.

Kleine Mitteilungen-ში ავტორი წარმოადგენს ფონეტიკურს მასალას და ადარებს ერთურთს რამდენიმე ქართულ-სომხურ ხმებს.

ავტორის წერილები, როგორც მიუდგომელი მეცნიერის (ხაზი ჩემია - ვ.ი.) ნამუშევარი, ღირს იმად, რომ გადმოითარგმნოს და დაიბეჭდოს ქართულს ჟურნალშიაც.

მ.ჯ."

ამას გარდა, მოსე ჯანაშვილმა გაზეთ „Кавказ“-ში (5.X.1895, №262) ვრცელი რეცენზია დაბეჭდა „Über das Georgische“-ს შესახებ რუსულად.

ვფიქრობ, უპრიანია, აქვე მოვიყვანო ამონარიდები ნიკოლოზ ზეიდლიცის⁵² ორი წერილიდან შუხართისადმი. რაკი შუხართის არქივში დაცულ ამ წერილებში მეტად საინტერესო ცნობებს წავაწყდი, საჭიროდ ჩავთვალე, ის, რაც ჯანაშვილს ეხება, სრულად წარმოვადგინო, მით უმეტეს, რომ იქ წამოჭრილი საკითხები ჯანაშვილისა და შუხართის მიმონერის განხილვის საგანს შეეხება.

1) „მე არ მომიხერხდა, მენახა ჯანაშვილი, რომელსაც კარგად ვიცნობ და რომლის „აფხაზეთი“ ამ ცოტა ხნის წინ კავკასიის გეოგრაფიული სექციის უწყებებში⁵³ გამოვაქვეყნე. რა თქმა უნდა, მე მისი დიდი იმედი მაქვს, როგორც ქართველი პატრიოტისა და ბეჯითი მუშაკისა მშობლიური გრამატიკისა და ისტორიის სფეროში“ (30.X.1895).

2) „თქვენგან ეს-ესაა მიღებული წერილი გავაცანი ჯანაშვილს და ვჩქარობ, მისი ნათქვამი მოგახსენოთ. მისი „შედარებითი გრამატიკა“ და „ქართველური ენების ლექსიკონი“, რომელიც ქართულ, მეგრულ, სვანურ და ა.შ. 6000 სიტყვას შეიცავს, დღის სინათლეს მალე ვერ იხილავს. მას შემდეგ, რაც „გრამატიკა“ ერთი წლის განმავლობაში კურატორის, უფრო სწორად, ბატონ ზავადსკის⁵⁴ სამართველოში იდო, ჯანაშვილმა, რომელმაც ზავადსკი და სხვანი არაკომპეტენტურ პირებად მიიჩნია, 1 ივლისს თუ 1 აგვისტოს თავისი ნაშრომი ფოსტით მეცნიერებათა აკადემიას გაუგზავნა. იქ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ამაზე არავის სიტყვა არ დასცდენია. ჯანაშვილი სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ, თუ ამ შრომას პეტერბურგის აკადემია უკან დააბრუნებს, იგი თქვენ გამოგიგზავნოთ გერმანულ ენაზე ნებისმიერი სახით გამოსაქვეყნებლად...

⁵² ნ.ზეიდლიცის შესახებ იხ. აქვე, გვ. 292.

⁵³ იგულისხმება „Записки кавказского отдела императорского русского географического общества“ - რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდული სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო. გამოიცა 30 ტომი (1852-1917), ძირითადად თბილისში.

⁵⁴ მიხეილ ზავადსკი - კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი 1886 წლიდან.

...სტატია აფხაზურისა და ქართველურის შესახებ (ჩორაევისა) ზოგიერთი ცვლილებით პეტერბურგის აკადემიის უწყებებში უნდა დაიბეჭდოს, რის საფუძველზეც ჯანაშვილი ვარაუდობს, რომ მისი გრამატიკა და ლექსიკონიც არ აღმოჩნდება ბორტს იქით გადაგდებული (რაც დასასრულის მაუნყებელი იქნებოდა), თუკი ტონის მიმცემი ბატონები – მარრი, ცაგარელი და სხვანი – მათ არ დაეთანხმებიან. ერკერტის ნაშრომსაც მსგავსი ბედი უნდა ჰქონდეს.

ჯანაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ნახა მე-2 გამოცემა რომში 1670 წელს ლათინურად დაბეჭდილი ქართული გრამატიკისა და აღწერა იგი. შესაძლოა, ეს ისაა, რაზეც თქვენ მწერდით და რაც იტალიელმა სწავლულმა გაცნობათ“ (18.XI.1895).

დასასრულ, ერთ პატარა ამონარიდს მოვიყვან გაზეთ „ივერიიდან“ (20.XI.1894, №247), სადაც რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“ განხილულია ფონ ერკერტის წიგნი „კავკასიური ძირის ენები“: „ავტორი თავის შრომას მიუძღვნის რუსეთის ხელმწიფის კარის მინისტრს გრაფ ილარიონ ივანეს-ძე ვარანცოვ-დაშკოვს და დიდ მადლობას სწირავს თავისს უმთავრესს თანამშრომელს მოსე ჯანაშვილს, ამ, მისი სიტყვით, კეთილშობილ და გულმოდგინე ქართველს“.

ალექსანდრე ხახანაშვილი

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (1864-1912) იყო სახელმწიფო მკვლევარი – ფილოლოგი, ისტორიკოსი – და საზოგადო მოღვაწე. 1884 წელს მან დაამთავრა თბილისის გიმნაზია, 1888 წ. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და იქვე დატოვეს პროფესორობისთვის მოსამზადებლად. 1889 წლიდან კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, 1900-დან კი მოსკოვის უნივერსიტეტში. ხახანაშვილს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე, შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემური კურსი (უძველესი დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით /რუსულ ენაზე/, ტ. 1-4, 1895-1907), რომელმაც ქართული მწერლობის მონაპოვარი მსოფლიო სარბიელზე გაიტანა. ხახანაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიტყვიერების კვლევისა და გამოცემის საქმეს. მისი ინიციატივით გამოქვეყნდა ქართული ზღაპრები ორ წიგნად (1902, 1904). მანვე გამოავლინა და გამოაქვეყნა ძველი ქართული ხელნაწერები, ზოგი მათგანი თარგმნა რუსულ ენაზე.

ხახანაშვილი ბევრს მოგზაურობდა ქართულ სიძველეთა კვლევისა და შესწავლის მიზნით. მან მოვლო საქართველოს სხვადასხვა კუთხე, იმოგზაურა იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, მონაწილეობდა ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში უენევასა (1894) და პარიზში (1897), იყო მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი (1888 წლიდან), ამავე საზოგადოების ნამდვილი წევრი (1899-დან), რუსული ისტორიისა და სიძველეების მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების წევრი (1901-დან), საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილი წევრი (1907-დან) და სხვ. პარიზის საერთაშორისო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით ფრანგულ ენაზე გამოვიდა ხახანაშვილის „საქართველოს ისტორია“ (1900), ქართულ დიპლომატიკაში აღსანიშნავია მისი კრებულები „გუჯრები“ (საისტორიო მასალა, ქუთაისი, 1891) და „ქართული სათავადაზნაურო აქტები და საგვარეულო ნუსხები“ (1893). ხახანაშვილის ინიციატივითა და მატერიალური დახმარებით მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართული მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება (1911).

თბილისში, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუ-

ტის არქივში, ალ. ხახანაშვილის ფონდში, დაცულია მისდამი ჰუგო შუხართის მიერ გამოგზავნილი 11 წერილი. გრაცში, შუხართის არქივში, შემონახულია ხახანაშვილის მიერ გაგზავნილი წერილის საკმაოდ დიდი ფრაგმენტი და ერთი ც რუსულად დანერილი ბარათი. როგორც ჩანს, ალექსანდრე ხახანაშვილმა და ჰუგო შუხართმა პირველი წერილები 1895 წლის ბოლოს გაცვალეს. კოლეგები ერთმანეთს დროდადრო მომდევნო წლებშიც ეხმიანებოდნენ. ბოლო წერილი 1902 წლით თარიღდება, როცა ხახანაშვილმა გრაცელ პროფესორს მიულოცა ლაზარევის ინსტიტუტის საპატიო წევრად არჩევა, რაც ქართველი მკვლევარის წარდგინებითა და მეცადინეობით მომხდარა.

ხახანაშვილისა და შუხართის წერილებში სხვადასხვა საკითხზეა მსჯელობა. სხვათა შორის, ეტყობა, ხახანაშვილმა შუხართს შესთავაზა, დაენერათ ქართული გრამატიკა უცხოელთათვის გერმანულ ენაზე, რამაც ავსტრიელი სწავლული, ჩანს, დააინტერესა. მართალია, სხვადასხვა მიზეზის გამო ეს წამოწყება ვერ განხორციელდა, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს შექმნის ჰუგო შუხართისეული თვალსაზრისი. ზოგ საკითხს ხომ უცხოელი უფრო სხვანაირად ხედავს, ვიდრე ადგილობრივი მკვიდრი. მართალია, ამ საკითხებზე მსჯელობას მხოლოდ შუხართის წერილების საფუძველზე ვეცნობით, მაგრამ მათში არეკლილია ხახანაშვილის შეხედულებებიც. ხოლო ქართველი მკვლევრის მიერ გრაცში გაგზავნილ ერთ წერილში მისი შედგენილი სამი სავარჯიშოცაა შემორჩენილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰუგო შუხართს, ხახანაშვილის გარდა, სხვა ქართველ მკვლევრებთანაც ჰქონდა მეცნიერული ურთიერთობები და ხშირადაც იღებდა საქართველოდან წერილებს, მაგრამ რატომღაც მაინცდამაინც ხახანაშვილი შეირჩა გრამატიკის საკითხებზე სამუშაოდ მის მენყვილედ (თუმცა შუხართს მოსე ჯანაშვილმაც სთხოვა, გადაემუშავებინა მისი „ქართული გრამატიკა“ და გერმანულად გამოეცა). ეს, ვფიქრობ, იმით უნდა აიხსნას, რომ, ალბათ, თვითონ ხახანაშვილმა მოისურვა, ქართული გრამატიკის აგების პრინციპების შესამუშავებლად ასეთ დიდ მეცნიერთან დაემყარებინა კონტაქტი (ჰუგო შუხართი ხომ ლამის სამ ათეულამდე ენას ფლობდა და მისი მდიდარი გამოცდილება ამ სფეროში ფასდაუდებელ სამსახურს გაუნევდა ქართული გრამატიკის, ალბათ, არატრადიციული სახელმძღვანელოს შექმნას). ასე თუ ისე, როცა შუხართმა მოისურვა იმ პიროვნებათა გაცნობა, ვინც ენის საკითხებით იყო დაინტერესებული, ოლივერ უორდროპმა, რომელიც უკეთ იცნობდა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, ვისაც

შუხართისთვის დახმარების განევა შეეძლო („ის ქართველები, რომლებიც ფილოლოგიურ ინტერესს იჩენენ თავიანთი ენის მიმართ“), მას დაუსახელა კონსტანტინე დოდაშვილი (რომელიც იმხანად „მომამბეში“ ბეჭდავდა „საგრამატიკო ესკიზებს“), გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, გიგო დიასამიძე, კირილე ლორთქიფანიძე, ილია და ალექსანდრე ჭყონიები, სიმონ ლოლობერიძე, პეტრე უმიკაშვილი, სილოვან ხუნდაძე და თედო ჟორდანიას (29. VIII. 1895).

თითქმის იმავედროულად შუხართმა ანალოგიური თხოვნით მიმართა ოდესასში პეტრე მელიქიშვილსაც, რომელიც მისი უშუალო მასწავლებელი იყო გრაცში, სადაც ქართველი ქიმიკოსი დაუხარებლად ამეცადინებდა ავსტრიელ მეცნიერს ქართულ ენაში გასაწავად. მისგან კი ასეთი პასუხი მიიღო: „ჯერჯერობით გაცნობებთ იმათ მისამართებს, ვინც დაინტერესებულია ენით“, იქვე ასეთებად დასახელებულია თედო ჟორდანიას, მწერალი გიორგი წერეთელი, დოც. გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, იონა მეუნარგია, ილია ჭყონია, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ლოლობერიძე, სხვათა შესახებ კი მოგვიანებით მოგწერთო (3. IX. 1895).

მოგვიანებით შუხართმა, ჩანს, ასეთივე თხოვნა გაუგზავნა ნოე ჟორდანიასაც⁵⁵, რომელიც იმხანად ბერლინში იმყოფებოდა. ჟორდანიას წერილში გრაცელი პროფესორისადმი ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ საგულისხმო ცნობებია: „ძლიერ კარგი იქნება უცხოელთათვის, ქართულ გრამატიკას თუ შეადგენთ. მგონი რომ მარი ბროსეს (Brosset) აქვს თავის „l'Historie de la Géorgie“-ში ქართული გრამატიკის ფორმები ჩართული... თუ რაიმე ქართული წიგნი ან ცნობა გსურთ, მომწერეთ და მე დავიბარებ საქართველოდან. თუ გრამატიკის კარგად მცოდნე ქართველთაგან მიწერ-მონერა გსურთ იქონიოთ, მაცნობეთ და მე მოგცემთ მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტის პროფესორის ადრესს და ის ყოველივე ცნობას მოგაწვდით“ (22. III. 1896). მოსკოველი პროფესორი, რა თქმა უნდა, ახახანაშვილია, რომელთანაც შუხართს უკვე ნახევარი წელია გაცხოველებული მიმონერა აქვს. ეტყობა, შუხართმა ჟორდანიას გააცნო თავისი გეგმები, რომ ქართული გრამატიკის შედგენაზე ფიქრობს, მაგრამ არ გაუმხილა, რომ ამის გაკეთებას ხახანაშვილთან ერთად აპირებს.

ახლა უფრო დეტალურად გავცნოთ ორი მეცნიერის მიმონერას. შუხართის წერილები გერმანულადაა დაწერილი.

⁵⁵ ნოე ჟორდანიას (1868-1953) — იმხანად მიუნხენში სწავლობდა, შემდგომში იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, 1918-21 წლებში კი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე.

„ფრიდრიხროდა
 6 ოქტ. 1895

დიდად პატივცემულ ბატონო კოლეგავ!

ხვალ გრაციდან გამოგიგზავნით ჩემს სტატიას „ტრანზიტის პასიური ბუნების შესახებ კავკასიურ ენებში“, რომლის ამონაბეჭდები ეს-ესაა მივიღე, და ჩემს მცირე მოცულობის ნაშრომს „Über das Georgische“, რომელიც ორიოდე კვირის წინ გამოვიდა (იგი სხვა არაფერია, თუ არა ცნობარი თქვენი თანამემამულეების შესახებ).

ამავე დროს ვიმედოვნებ, რომ თქვენ, ვითარცა სპეციალისტი, თქვენს განაჩენს ჩემი ლამეული⁵⁶ სამეცნიერო საქმიანობის შესახებ არ დამიყოვნებთ, ამავდროულად გთხოვთ, თქვენი ის ნაშრომები მომანვდინოთ, რომელთა ამონაბეჭდებიც გაქვთ. უნინარეს ყოვლისა, გვ. 330 თქვენი სტატიისა ქართული ფილოლოგიის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ (აქ 313-ე გვერდზე გეორგ როზენის⁵⁷ წინ ბართნი ამოღებულ უნდა იქნეს, ხოლო 321-ე გვერდზე Wordrop-ის ნაცვლად Wardrop უნდა იკითხებოდეს).

გიმეორებთ, რომ შეგიძლიათ, თქვენი შეხედულებებისამებრ, რუსულად ან ქართულად მომწეროთ.

ულრმესი ყურადღებითა და გულითადი მოკითხვით
 თქვენი ერთგული

ჰუგო შუხართი

20 ოქტომბრამდე: გოთა, ზიბლბერშტრასე 33
 შემდგომ: გრაცი, ელიზაბეთშტრასე 6.

გრაცში მაქვს გუჯრების კოლექცია, რომელიც ჯერ კარგად არ დამითვალიერებია.

ხომ არ მესმება, იგი თქვენგან მაქვს მიღებული?⁵⁸

„გოთა, ზიბლბერშტრასე 33
 8 იანვარი 1896

დიდად პატივცემულ ბატონო კოლეგავ!

⁵⁶ შუხართი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ხსენებული გამოკვლევის წერა უპირატესად ღამით უხდებოდა, რადგან, როგორც ხახანაშვილისადმი მიწერილ ერთერთ წერილშიც (№9) შენიშნავს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იგი არცთუ იშვიათად უკვე 21 საათზე იძინებდა.

⁵⁷ ვიქტორ რომანის ძე როზენი (1849-1908) — რუსი არაბისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

⁵⁸ ამ დროს ა.ხახანაშვილს უკვე გამოქვეყნებული აქვს გამოკვლევა „გუჯრები“ (1891).

მომიტვეთ, რომ ასე გვიან გპასუხობთ. 24 დეკემბერს ტელეგრაფით გოთაში გამომიძახეს ჩემი 81 წლის დედის მიძიმე ავადმყოფობის გამო⁵⁹. ახლა იგი თავს კარგად გრძნობს და, ალბათ, 8 დღეში კვლავ გრაცში ვიქნები. ყოველ შემთხვევაში, გთხოვთ, ამიერიდან იქ მომწეროთ.

როლები გაცვლა, რასაც თქვენ მთავაზობთ, შეუძლებელია. ვგულისხმობ პრაქტიკულ გრამატიკას. საქმე სწორედ ისაა, სხვადასხვა სახის თავისებურება ქართული ენისა ევროპელ ენათმეცნიერებს გავაცნოთ (უპირველეს ყოვლისა, ასე საინტერესო სინტაქსური თავისებურებანი). ეს მხოლოდ იმას ხელეწიფება, ვისთვისაც ქართული დედაენა ან ვინც ქართულს დედაენასავით ფლობს (როგორც, მაგალითად, რომელიმე სომეხი). როგორ გაბედავდა ამას უცხოელი? თანაც ისეთი ვინმე, რომელიც ყოველ გვერდზე, რომელსაც კი ნაიკითხავდა, მისთვის ასე ბევრ სიახლეს შეხვდებოდა?! მე რომ გაცილებით უკეთესად მცოდნოდა ქართული, მაინც გაუთავებელ გარჯად დამიჯდებოდა იმ საკითხავების ჩანერა და მომზადება, რაც ამისთანა გრამატიკას უნდა ახლდეს. თქვენთვის მასალა, სავსებით გამზადებული, თქვენს განკარგულებაშია და თქვენ მას სულ სხვანაირად წარმოაჩინოთ, ვიდრე ჰარტლენის⁶⁰ გრამატიკებშია, ჩვეულებრივ, მოცემული, ამაში ეჭვი არ მეპარება. ჩემგან დიდი გაბედულება იქნებოდა თქვენთვის ჩემი დახმარების შემოთავაზება, ორმაგად რომ არ ვიყო მხედველობაში მისაღები:

მონაფეს, დამწყებსაც კი, შეუძლია, მასწავლებლის ყურადღება ისეთ საკითხებს მიაქციოს, რომლებიც მას განსაკუთრებულ სიძნელეს უქმნის ანდა რომელთა შესახებაც მას დანვრილებითი განმარტება სჭირდება. ქართველების გრამატიკებიდან მე ვხედავ, რომ ზოგიერთი მართლაც თავისებური და საინტერესო რამ თქვენ მიერ არაა განხილული. ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ ზოგიერთ ზოგადენათმეცნიერულ შეხედულებასთან დაკავშირებით, რაზეც დროთა განმავლობაში ხანგრძლივად ვფიქრობდი, მასალის მოწესრიგების მიზნით, მინდა რამდენიმე რჩევა მოგცეთ. ალბათ, თქვენ ნანობთ თქვენს წამოწყებას⁶¹. მე ამას, საზოგადოდ, ქართული

⁵⁹ ჰუგო შუხართი მზრუნველი შვილი იყო და დედასთან, მალვინასთან (1815-1899), განსაკუთრებით ახლოს იყო. იგი ყოველწლიურად ორჯერ მაინც ჩადიოდა მასთან გოთაში მოსანახულებლად, ხოლო ავადმყოფობის დროს თავს დასტრიალებდა.

⁶⁰ კონრად ადოლფ ჰარტლენი იყო გერმანელი გამომცემელი. წიგნებს ბეჭდავდა ვენაში, ლაიფციგსა და პეშტში (დღევანდელი ბუდაპეშტის ნაწილი). XIX საუკუნის 90-იან წლებში ჰარტლენმა გამოსცა პრაქტიკული გრამატიკები, მათ შორის სომხურისა, უნგრულისა, რუმინულისა და სხვ.

⁶¹ აქედანაც ჩანს, რომ ქართული გრამატიკის დაწერა ხახანაშვილის ინიციატივა ყოფილა და არა შუხართისა.

შტუდიების ინტერესებისთვის გავაკეთებდი, მაგრამ თქვენ პირადად არავითარ შემთხვევაში არ გისაყვედურებთ, რადგან მნიშვნელოვანი მსხვერპლის – დროისა და ენერჯის – გაღებას აპირებთ. თუ ეს ასეა, გთხოვთ, ამის შესახებ გულახდილად მითხრათ, ალბათ, დამაჯერებელი საფუძვლის მითითებით. მაშინ ჩვენ ჰარტლებენს, ვის მიმართაც არავითარი ნაკისრი ვალდებულება არ გვზღუდავს, ამის შესახებ ვაცნობოთ. მე მხოლოდ ერთი რამეს არ დავუშვებდი – იქნებ სწორედ ესაა თქვენგან სასწორის თეფშზე დადებული – ჰარტლებენის გრამატიკებისნაირ მდარე ხარისხს. ის მოგვეცემდა, საინააღმდეგოდ, მშვენიერ ფონს ქართული გრამატიკისთვის.

ულრმესი ყურადღებითა და გულითადი მოკითხვით
 თქვენი ერთგული

ჰ. შუხარტი“.

№3

„გრაცი, 1 მარტი, 1896

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

მომიტყვეთ, რომ თქვენი 24 იანვრის – ახლა უკვე აღარ ვიცი, ძველი თუ ახალი სტილით – წერილში გამოთქმულ სურვილს მხოლოდ ახლა, ასე დავვიანებით, ვასრულებ.

მხოლოდ ორ-ნახევარი კვირაა, რაც კვლავ გრაცში ვარ და ძალიან დაკავებული ვიყავი სხვადასხვა საქმით, მათ შორის ქართულითაც. კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ სხვასთან ერთად ერთი მეტად სასწრაფოდ მოსაგვარებელი საქმეც მაქვს – პროფ. ტეცასგან⁶² ნათხოვარი გრამატიკა ერთი იტალიელი კაპუცინელი მისიონერისა მალე უნდა დავუბრუნო მას უკან. ის მაიძულებს, ანტონის გრამატიკას⁶³ ჩავუღრმავდე, და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ნაკლებად სასიამოვნო და უცხოელისათვის ნამდვილად ძნელი სამუშაოა.

ამას გარდა, ჩემთვის მთლად ნათელი არაა, რა ფარგლებში და რანაირად წარმოგიდგენიათ თქვენ ჩემი участие. რადგან თქვენ ჩემგან постоянные указания-ს შესახებ ლაპარაკობთ⁶⁴, მე ვვარაუ-

⁶² ემილიო ტეცა (1831-1912), იტალიელი არმენისტი, პადუის უნივერსიტეტის პროფესორი.

⁶³ იგულისხმება „ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885“.

⁶⁴ როგორც ჩანს, ხახანაშვილს გრამატიკის შედგენისას შუხარტის როლი წარმოუდგენია, როგორც ავტორიტეტული კონსულტანტისა ამა თუ იმ თეორიულ საკითხზე, თორემ პრაქტიკულად შუხარტს დამოუკიდებლად არ შეეძლო, როგორც თვითონაც აღნიშნავს, ჩაფიქრებული სახელმძღვანელოს დანერა. მას, როგორც უცხოელს, შეეძლო მიეთითებინა, რაზე უნდა გაემახვილებინა

დობ, რომ თავდაპირველად თქვენ უნდა გამაცნოთ საკითხები და ნიმუშები, მე კი, რა თქმა უნდა, უკვე ახლა უნდა დავგეგმო თქვენთვის ქართულის სახელმძღვანელოს სქემის მოხაზვა, იმგვარისა, როგორსაც მე ჩემთვის შევადგენდი, თუკი ამ საქმის შესრულება დამევალებოდა – მისი გადანყვება მარტოდმარტოს, კვლავ გიმეორებთ, არ ძალმიძს, ჩემთვის ეს შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ აქამდე ვერ გამოვნახე თავისუფალი დრო, საგანზე ყოველმხრივ, საფუძვლიანად რომ მეფიქრა, და ამიტომ მინდა გთხოვოთ, რომ ჯერჯერობით შემდეგი ფრაგმენტული შენიშვნებით დაკმაყოფილდეთ.

დღევანდელი სალაპარაკო და ლიტერატურული ენა (განსაკუთრებით ის, რომელზეც თბილისში ლაპარაკობენ) საფუძვლად უნდა იქნეს აღებული. თუ რა ზომით უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ძველი ენა და კილოკავები, ეს ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს.

თუ გერმანული სავარჯიშოები ქართულით უნდა შეიცვალოს (პრაქტიკული გრამატიკების უმეტესობაში წარმოდგენილი ნიმუშებით), მაშინ მათ გვერდით ყოველთვის უნდა გვქონდეს აგრეთვე რალაც ახალი მასალა – წესები, სიტყვები თუ სიტყვათფორმები.

სინონიმიკა ორი მხრიდან უნდა იყოს განხილული: ერთი მხრივ, ქართული A უნდა გამოიხატოს გერმანული a, b, c-თი და ა.შ., მეორე მხრივ, გერმანული a ქართულში A, B, C-თი და ა.შ. უნდა გადმოიცეს.

ფონეტიკაში ყოველი ცალკეული შემთხვევის შესახებ ვერ გამოვთქვამ ჩემს აზრს. ჩემთვის ნათელია ერთი რამ – მე ვეთანხმები მეტად კარგად განსწავლულ გერმანულ ბგერათფიზიოლოგებს, რომლებმაც ქართველები (და სომხები) იმ მიზნით გამოიკვლიეს, რომ წ-სა და ჭ-ს წარმოთქმა განასხვავონ ც-სა და ჩ-სგან⁶⁵. თ, ქ, ფ-ს მიმართ მე სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ, მეორე მხრივ, ტ, კ, პ-ს მიმართ ეჭვისთვის არავითარი საფუძველი არ მაქვს.

რაც შეეხება ტრანსკრიფციას, მე თვითონ მესმის (და კარგი იქნებოდა, რომ ეს ამ შემთხვევაში სათანადოდ ყოფილიყო შეფასებული), რომ ჩემეული ტრანსკრიფცია ორი მხრივ არის უვარგისი: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ერთი მანტივი ქართული ასო ჩვენი ანბანის ღრე ასოთი გადმოიცემა, მეორე – რადგან დამხმარე ნიშნები ' და h უნდა გამოირიცხოს. ამრიგად, მე შემდეგ ტრანსკრიფციას შემოგთავაზებდით (ჩემ მიერ აქამდე გამოყენებულს ფრჩხილებში ვსვამ):

«ნიგნი» [ts'igni] čigni

«ცნობა» [tsnoba] cnoba

ხახანაშვილს ყურადღება. შუხარტი ხომ, როგორც უცხოელი, უკეთ ხედავდა, როგორ უნდა გადმოეცათ გრამატიკის სახელმძღვანელოში უცხოელთათვის ძნელად გასაგები თუ მათთვის უცნაური ზოგიერთი საკითხი.

⁶⁶ მოგვიანებით შუხარტიმ თვითონ დაბეჭდა სტატია «ქართული წ, ჭ = ts', ts'»: Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, 16, 1902.

«ჭკუა» [tʃ'kua] čkua
«პირი» [piri] piri
«ტანი» [tani] tani

«ჩემი» [tʃemi] čemi
«ფული» [phuli] puli
«თავი» [thawi] tawi.

კარგი იქნებოდა, ალბათ, ქ, ფ, თ რომ k, p, t'-თი გადმოგვეცა, მაგრამ ეს დამოკიდებულია ამ ბგერების განსაზღვრაზე.

საჭირო იქნებოდა, გარკვეული რამ თქმულიყო სალაპარაკო ენაში ყრუდ ქცეული მჟღერი ბგერების ან, საერთოდ, სრულიად გამქრალი კონსონანტების შესახებ, ასევე, მახვილის თაობაზეც – სანიმუშოდ მე მათ ერთ გვერდს დავუთმობდი: ქართულ ტექსტს ტრანსკრიფციით წარმოვადგენდი, მაგრამ შემდეგ მუდამ მხოლოდ ქართულ ლიტერებს გამოვიყენებდი.

მასალის მოწესრიგებისას სინტაქსური თვალსაზრისიდან ამოვიდოდი: მორფოლოგიური დაქვემდებარება. მაგალითად, დავინყებდი წინადადების წევრებს შორის ყველაზე მარტივი ურთიერთობით; ქვემდებარე, შემასმენელი, კოპულა (მხოლოდ. და მრავლ.) – შეთანხმება: შემასმენელი მხოლოობითში თუ მრავლობითში? – კოპულა «არს და -ა, არიან». კოპულის მხოლოობითი რიცხვი უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელების მრავლობითთან). შემდეგ განიხილებოდა გავრცობა შემასმენლისა, ისე როგორც ქვემდებარისა; ნათესალობითბრუნვიანი და ატრიბუტული განსაზღვრება. ყველა შემთხვევა, რაშიც მარტოოდენ ორივე ზმნური ფორმა – «არს და არიან» – იქნებოდა გამოყენებული. მომავალში, სხვადასხვა ბრუნვის განხილვისას, კარგი იქნებოდა, თუ მესამე პირის ზმნური ფორმებით შემოვიფარგლებოდით და მათგან განვსაზღვრავდით I და II პირის ფორმებს და, ასევე, მხოლოდ მათს პრეზენსს მოვიყვანდით ნიმუშებად. «მოთხრობითის» გამოყენება შეიძლებოდა ჯერჯერობით მოკლედ «კაცმანციცს» შესიტყვებით წარმოგვედგინა, ნამდვილი ახსნა კი შემდეგ შეგვეთავაზებინა.

-სა დაბოლოებიანი მიცემითი საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მას ჩვენთვის ორმაგი დანიშნულება აქვს – შეესაბამება ჩვენს მიცემითსა და აკუზატივს: *der Mann gibt dem Bettler das Brot* (კაცი აძლევს მათხოვარს პურს).

მოდვრებას ბრუნვებს შესახებ უშუალოდ უნდა დავეკავშიროთ წინდებულები, ანუ ჩვენს შემთხვევაში თანდებულები, მით უფრო, რომ არც ეტიმოლოგიურად⁶⁶ და არც სემასიოლოგიურად არ შეიძლება მკაცრი ზღვრის გავლება ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. შემდეგ იქნებოდა პირის ნაცვალსახელები და უშუალოდ მასთან კავშირში ზმნის პირიანი ფორმები. რას ნიშნავს „ich“? – ესაა

⁶⁶ აქ შეიძლებოდა ზმნიზედაც ჩავვერთო, რომელიც ტოლფასია თანდებულ-ანი სახელისა (შუხართის შენიშვნა).

მე და ვ-, რას ნიშნავს „mir“? – მე და მ-. პირველი მათგანის გვერდით იქნება აგრეთვე ჩემდა.

შემდეგ იქნებოდა ზმნა; ჯერ დრღ და კილო, იქვე გვექნებოდა განსახილველი სამი კონსტრუქცია (ქვემდებარე: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი; დამატება: მიცემითი, სახელობითი, სახელობითი; ირიბი დამატების მესამე კონსტრუქცია - თვის თანდებულით). შემდეგ სხვადასხვა სახეობა და უღლება ზმნებისა – ეს იქნებოდა ყველაზე ძნელი ნაწილი.

აქამდე ყველა მაგალითი მარტივი წინადადებით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ მონაკვეთის ბოლოს იქნებოდა კითხვითი წინადადება (რომელსაც აგრეთვე მარტივ წინადადებად განვიხილავდით), აქ, ისევე როგორც მთელ გრამატიკაში, ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვათა წყობას, რაც ყველა სახის გრამატიკაში, ჩვეულებრივ, უყურადღებოდ არის ხოლმე დატოვებული.

მარტივი წინადადების შემდეგ იქნებოდა რთული წინადადება – თანწყობილი და ქვენწყობილი. აქვე იქნებოდა საუბარი კავშირებზე, ალბათ, აგრეთვე იმათზე, რაც მარტივ წინადადებაში იხმარება – უარყოფა (განსხვავება «ნუ, არა, ვერ» ნაწილაკებს შორის), დადასტურება (sic! - ვ.ი.) («-ცა, -ვე» და ა.შ.). აქ ბევრი რამ არის ისეთი, რაც ჩვენ, უცხოელებს, მეტად გვაოცებს, მაგალითად: «და ანუ», პლეონაზმი თუ-სი («შეიტყუე, თუ სად სცხოვრობდა მისი დედა»). არსებითი სახელის გამეორება მიმართებითი ნაცვალსახელების შემდეგ („die Meinung, welche Meinung“ – „შეხედულება, რომელი შეხედულებაა...“ ჩვენთანაც შესაძლებელია, მაგრამ იშვიათად, ქართულში კი ჩვეულებრივია); უნდა განვიხილოთ *oratio obliqua* (ირიბი ნათქვამი) და ა.შ.

ფირალოვისნაირი⁶⁷ მსჯელობა უნდა უკუვადგოთ. უცხოელები უნდა გაეცნონ ქართულ მისალმებებს, მადლობის გადახდას, ტიტულატურას, ფიცისს («შენი ჭირიმე» და ა.შ.), აგრეთვე საგნობრივ ტერმინებს (საჭმელებს, თამაშებს, დღესასწაულებს, ჩაცმულობას და ა.შ.), ფოლკლორსა და წერილებს.

თქვენგან ველი, უწინარესად, თქვენს დაწვრილებით გამოხმაურებას აღნიშნულ საკითხებზე, რათა, ალბათ, შემდეგ არაარსებითი რჩევა მოგცეთ“.

ეტყობა, ბახანაშვილმა მარტსა თუ აპრილში შუხართს წერილი გაუგზავნა, რასაც ჩაფიქრებული გრამატიკის სახელმძღვანელოსთვის მის მიერ შედგენილი 9-გვერდიანი სავარჯიშოები დაურთო. ეს

⁶⁷ ფირალოვი (ფირალიშვილი) გოდერძი (1768-1823) – ავტორი წიგნისა „თვითმასწავლებელი ორთა ენათა, ესე იგი რუსთა ქართულისა და ქართველთა რუსულისა, პეტერბურგი, 1820“.

წერილი შუხართის არქივში არ ჩანს, სამაგიეროდ, სრულადაა შემონახული სავარჯიშოები. სწორედ მათზე ამბობს შუხართი, აზრი ვერ გამოვიტანო. ალბათ, უნდა დავეთანხმოთ გრაცელ პროფესორს. ხანანაშვილის მიერ შედგენილ სავარჯიშოები, რომლებიც მოიცავს პრაქტიკულ წინადადებებს ქართულად, მათს ტრანსკრიფციას და, ბოლოს, გერმანულ თარგმანსაც, ნაჩქარევად შედგენილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნიმუშები, რბილად რომ ვთქვათ, არ არის კარგად შერჩეული, კრიტიკას ვერ უძლებს სავარჯიშოების ლექსიკა და წინადადებების შინაარსი და ა.შ. წინააღმდეგობებია ტრანსკრიფციის პრინციპებშიც. მიუხედავად ამისა, საკითხის სისრულისთვის საჭიროდ ჩავთვალე, ქართული ნაწილი მაინც, სრულად წარმომედგინა, ტრანსკრიბირებული ტექსტისა და სავარჯიშოს გერმანული თარგმანის აქ მოტანას კი აზრი არა აქვს.

№4

[მარტი ან აპრილი, 1896]

სავარჯიშო №1

- 1) მამის სახლი⁶⁸.
- 2) დედა ჩემი.
- 3) შვილის პური.
- 4) კაცის ხელი.
- 5) შვილების სახლები.
- 6) მე და დედა ჩემი.
- 7) ეს მდინარე დიდი არის.
- 8) ეს მდინარე დიდია.
- 9) შენ ჩემი დედა ხარ.
- 10) თქვენი პური სად არის?
- 11) ეს იმათი მამა არის.
- 12) ჩვენ კაცები ვართ.
- 13) ეს პური იმისია.
- 14) თქვენი სახლი პატარა არის.
- 15) თქვენი სახლები პატარა არის.
- 16) ჩემი შვილები პატარები არიან.
- 17) სად არის დედა და იმისი პატარა შვილი?
- 18) ეს შენი შვილია.
- 19) ეს შენი შვილის სახლია.
- 20) სად ვართ?
- 21) სად ხართ?
- 22) მამის ხელი დიდია და შვილის ხელი პატარა.
- 23) ეს პატარა კაცი კარგი შვილია.
- 24) ჩემი დედა და თქვენი მამა კარგები არიან.
- 25) სად არის პატარა კაცის შვილი, მამა და დედა?

ვარ – war – ich bin
 ხარ – char – du bist
 არის – aris – er ist
 (-ა) – (-a) – er ist
 მე – me – ich
 შენ – schen – du
 ის – is – er, sie, es

ვართ – warth – wir sind
 ხართ – charth – ihr seid
 არიან – arian – sie sind
 ჩვენ – tšwen (čwen) – wir
 თქვენ – thkhwen – ihr
 ისინი – isini – sie

ჩემი – tšemi (čemi) – mein, meine, mein;

ჩვენი – tšweni (čweni) – unser, unsere, unser

⁶⁸ სავარჯიშოებში ავტორის სტილი და მართლწერა დაცულია.

შენი – scheni – dein, deine, dein;

იმისი – imisi – sein, seine, sein;

Nom. პური – puri – das Brot;

Gen. პურის – puris – des Brotes;

Dat. პურს – purs – dem Brot;

N. პურები – purebi – die Bröte;

G. პურების – purebis – der Bröte:

D. პურებს – purebs – den Bröten;

N. დიდი – didi – gross

G.: დიდის(ა) – didis(a)

D. დიდს(ა) – dids(a)

მამა – mama – der Vater

დედა – deda – die Mutter

შვილი – schvili – das Kind

კაცი – katsi – der Mann

სახლი – sachli – das Haus

პური – puri – das Brot

მდინარე – mdinare – der Fluss

თქვენი – thkhveni – euer,

euer, euer

იმათი – imathi – ihr, ihre, ihr

N. მამა – mama – der Vater

G. მამის – mamis – des Vaters

D. მამას – mamas – dem Vater

N. მამები – mamebi –

die Väter

G. მამების – mamebis –

der Väter

D. მამებს – mamebs –

den Vätern

N. დიდები – didebi

G.: დიდების(ა) – didebis(a)

D. დიდებს(ა) – didebs(a)

დიდი – didi – gross

პატარა – patara – klein

კარგი – kargi – gut

გლახა – glacha – schlecht

ეს – es – dieser, diese, dieses

სად? – sad? – wo?

და – da – und.

როცა ქვემდებარე მრავლობითშია, შემასმენელი იღებს მრავლობითის ან მხოლოობითის დაბოლოებას, მაგრამ უსულო საგნის მრავლობითი მეტწილად კოპულის მხოლოობითით (არის, ა, არს) არის გამოხატული. მრავლობითი ინარმოება მხოლოობითისაგან ფუძესა და დაბოლოებას შორის ებ სუფიქსის ჩართვით.

სავარჯიშო №2

1) დედამ მომცა პური. 2) მამამ მისცა შვილს ბევრი პური. 3) ჩემი შვილი ჰცემს კატას. 4) ეს პური დედის ხელშია. 5) ეზოში დიდი ხეებია. 6) მზე ცაზედ არის. 7) მამამ პური ხელში მომცა. 8) კატები ჰკბენენ კაცებს. 9) პურს ეზოში ვდებდი. 10) ვინ არის მამის სახლში? 11) ეს თავი მომცა ჩვენმა სტუმარმა. 12) სად ჰდებდი ხეებს? – ეზოში. 13) ვინ აიღო ეს ხეები? – შვილის სტუმრებმა. 14) ვინ მისცა სტუმრებს? – შვილის დედამ და მამამ. 15) ჩვენ ვცემდით თავეს და

თქვენ ჰცემდით კატას. 16) სად ჰდებდით ხელს. 17) ჩვენი სახლი თქვენს ეზოშია. 18) ჩვენ სახლში ბევრი თავვია. 19) შენ ჰდებდი კატას სახლში. 20) სტუმარმა ხელი მომცა. 21) ჩვენი სტუმარი დიდი კაცია. 22) ეს ვინ არის? 23) ეს თქვენი პატარა შვილია. 24) სად არის იმისი კარგი შვილი? 25) იმისი კარგი შვილი ეზოშია.

შენიშვნები ბრუნებასთან დაკავშირებით:

მოთხრობითის კითხვებია wer (ვინ)? და was (რა)?

ი-ზე დაბოლოებული სახელების მოთხრობითს აქვს მა დაბოლოება, ა, ე, ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებულები კი მოთხრობითში მ ან მა დაბოლოებას იღებენ.

აკუზატივი ემსგავსება სახელობითს, როცა ქვემდებარე მიცემითა ან მოთხრობითში, და მიცემითს, როცა ქვემდებარე სახელობითშია.

თანდებულები

წინდებულების მაგივრად იხმარება თანდებულები: სახლ+ში (=Haus+im) ნაცვლად „სახლსა+შინა“-სი.

თანდებულები უშუალოდ დაერთვის იმ სიტყვებს, რომლებთან მიმართებასაც ისინი გამოხატავენ.

ვცემ – vtsem – ich schlage

ჰცემ – htsem – du schlagst

ჰცემს – htsems – er (sie, es) schlagt

ვცემთ – vtsemth – wir schlagen

ჰცემთ – htsemth – ihr schlaget

ჰცემენ – htsemen – sie schlagen

ვცემდი – vtsemdi – ich schlagte

ჰცემდი – htsemdi – du schlagtest

ჰცემდა – htsemda – er schlagte

ვცემდით – vtsemdith – wir schlagten

ჰცემდით – htsemdith – ihr schlagtet

ჰცემდენ – htsemden – sie schlagten

მამამ მომცა – mamam momtsa – der Vater hat mir gegeben

მამა – mama – მამამ – mamam

მამებმა – mamebma

შვილი – schwili – შვილმა – schwilma

შვილებმა – schwilebma

ეზო – ezo – der Hof

ეზო – eso – ეზომ – esom

მდინარე – der Fluss

მდინარე – mdinare – მდინარემ – mdinarem

ხე – che – der Baum

მზე – mse – die Sonne

ცა – tsa – der Himmel

ხელი – cheli – der Hand

კატა – kata – die Katze

თავი – thagwi – die Maus

სტუმარი – stumari – der Gast

ბევრი – bevri – viel

ვინ? – win – wer?

-ში – schi – in

-ზედ – zed – auf, über

აილო – aigho – er hat genommen

მომცა – momtsa – er/sie/es hat mir gegeben

მისცა – mistsa – er/sie/es hat ihm gegeben

ვცემ – wtsem – ich schlage (mit Dat.)

ვდებ – wdeb – ich lege (mit Dat.)

ვკბენ – wkben – ich beisse (mit Dat.)

ზმნას ანმეოს I პირში მხოლოობითა და მრავლობითში აქვს ვ პრეფიქსი, II და III პირის მხოლ. და მრავლობითში პრეფიქსი ჰ ან ს (ანდა პრეფიქსის გარეშეა), დაბოლოება აქვს მარტოოდენ მხოლოობითის III პირს ს და სამივე პირს მრავლობითში: I და II პირს თ, III პირს კი ენ.

პერფექტში III პირის ნიშანი მხოლოობითში არის სუფიქსი ა, არის გამონაკლისებიც – სუფიქსი ო.

სავარჯიშო №3

1) სახლს ვაშენებდი, მაგრამ მამამ ფული არ მომცა. 2) სიცივე იყო და დედა შვილს ეზოში არ უშვებდა. 3) ეს კაცი შენს ახალს ტანისამოსს აგდებდა. 4) კარგი ტანისამოსი კაცს არ აშენებს. 5) კარგი თავი და კარგი ხელი – კაცის სიმდიდრე ეს არის. 6) დედის პატარა შვილები დიდს ქვებს ხელით აგდებენ. 7) შენს დიდს სახლს მამა ჩემი ფულით აშენებდა. 8) შვილი დედას არ უშვებს. 9) დედის სახლს ვაშენებდი. 10) ეს დიდი სახლის კარია. 11) ახალმა სტუმარმა შენი ქუდი მომცა. 12) რით აშენებდი შენს დიდ სახლებს? – ჩემი ფულით ვაშენებდი. 13) ჩემი დედა ბებერი იყო და ბევრს კაცს იცნობდა. 14) ბევრი კაცი ახალს ტანისამოსს აგდებს. 15) შენმა დედამ სტუმარს ახალი ტანისამოსი მისცა, მაგრამ სტუმარმა არ აილო. 16) ჩემს თავზედ ახალი ქუდი იყო და ხელს ვკიდებდი. 17) თქვენი შვილი იმათს სტუმრებს იცნობდა. 18) სად იყო სიცივე? 19) რით აგდებ ქვას? – ხელით. 20) ვინ აშენებდა შენს ეზოში დიდს სახლს? – დიდს სახლს აშენებდა ჩემი დედა. 21) მდინარეში პურს ვაგდებდი. 22) ქუდი თავზედ არის. 23) იმის ხელში ბევრი ფულია. 24) ჩემი სტუმრები

სახლში იყვნენ. 25) სტუმარმა ახალი ტანისამოსი და ახალი კარგი ქული მომცა და ფული აიღო“.

№5

„გრაცი, 17 მაისი 1896

დიდად პატივცემულო კოლეგავ!

მომიტყვეთ, რომ, რაკი უკანასკნელ ხანს მეტისმეტად დატვირთული ვიყავი, მხოლოდ დღეს ვახერხებ, ქართული გრამატიკის შესახებ დამატებით მოგწეროთ. თქვენ მიერ გამოგზავნილი სამი სავარჯიშოდან ვერ შეეძელი თქვენი გეგმის ნათელი სურათის წარმოდგენა. ეს რომ მომეხერხებინა და თქვენი ჩანაფიქრი კარგად გამეგო, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. რა თქმა უნდა, არაა აუცილებელი, რომ გრამატიკული მასალა მოსწავლეს ასე თანდათანობით, ცოტ-ცოტა და იმ თანამიმდევრობით მივანოდოთ, როგორც იგი მე შემოგთავაზეთ, მაგრამ ხომ რალაც პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ! პირადად მე მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებოდი, თუკი იძულებული ვიქნებოდი, მერჩია თქვენთვის, თუ როგორი უნდა იყოს პრაქტიკულად საუკეთესო ვარიანტი უღლებისა.

რაც შეეხება გარეგან მხარეს, მე დასაწყისისთვის საკითხავ სავარჯიშოს წარმოვადგენდი, მაგრამ შემდეგ უარს ვიტყვოდი გადანერაზე. Sch შ-ს, ხოლო tsch ჩ-ს შესატყვისად არ ივარგებს, რადგან ამ შემთხვევაში სხ და ცხ მათ მსგავსად უნდა გამოსახულიყო. ქართული ტექსტი მეტად აკურატულად უნდა იყოს ნაწერი და ასოებს ისეთი ფორმა უნდა ჰქონდეთ, როგორიც ლიტერებს აქვთ წიგნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვენელმა ასოთამწყობებმა ვერ ნაიკითხონ⁶⁹. მაგალითად, პატარა და არა კატარა და ა.შ. გერმანული თარგმანი საჭირო იქნებოდა აწყობილიყო ან დიდი ინტერვალით, ან განიერი მინდვრით გვერდის კიდეში, რათა შესაძლებელი იყოს ცალკეული ადგილების გასწორება.

თქვენი ხელნაწერი ჯერჯერობით აქ მაქვს.

თქვენ მწერთ თქვენს განზრახვაზე, წლეულს გერმანიაში ან ავსტრიაში იმოგზაუროთ. როდისთვის გაქვთ ეს დაგეგმილი? პირად საუბარში ჩვენს საქმეზე უკეთესად გავაგებინებდით ერთმანეთს.

მალე ჩემს ორ პატარა სტატიას გამოგიგზავნით. ერთი ეხება ქართულ გრამატიკას კაპუცინელი მისიონერისას გასული საუკუნეიდან, რის შესახებაც მე უკვე გაცნობეთ, მეორე კი ყე ნაწილას.

⁶⁹ აქედან ჩანს, რომ ქართული გრამატიკის დაბეჭდვა ვენაში იყო გათვალისწინებული.

ქართული ხელნაწერებიდან, რომლებსაც Torre del Greco-ში მივაკვლიე, ალბათ, ფასეული მხოლოდ დიდგვაროვანი ქართველების წერილებია პაპისა და სხვათა მიმართ.

საუკეთესო მოკითხვით

თქვენი ერთგული

პ. შუხართი“.

ქვემოთ ფანქრითაა მიწერილი:

„ააყენე-ყე

ПОДЫМИ ИХ

უთხარი-ყე

СКАЖИ ИМ

გაარეკინე-ყე

ЗАСТАВЬ ИХ ПРОГНАТЬ“.

ამის შემდეგ შუხართის წერილებში ქართულ გრამატიკაზე ლაპარაკი კარგა ხნით შეწყდა. ასეთი ენთუზიზმის შემდეგ რამ გამოინვია კონსულტაციების შეწყვეტა, დაბეჯითებით თქმა ამისა ძნელია. ერთი კია: ჩანს, შუხართს ქართულ გრამატიკაზე მუშაობა არ გადაუფიქრებია. ყოველ შემთხვევაში, ექვსი წლის შემდეგ (!) იგი ხახანაშვილს სწერდა: თუ რამემ ხელი არ შემიშალა, ვფიქრობ, განვაახლო დიდი ხნის წინ დანაყებული სამუშაო ქართული გრამატიკის შესახებო. მაგრამ ახლა მას რაღაცამ კარგა ხნით შეაწყვეტინა წამოწყებული საქმე. ალბათ, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი და საშური საქმე გამოუჩნდა. შეიძლება ამის მიზეზი ძველი ქართული ხელნაწერები იყო. საქმე ისაა, რომ 1896 წლის შუა ოქტომბერში შუხართს ახალი საზრუნავი გაუჩნდა: იგი და ავსტრიელი მხატვარი ალფონს ლეოპოლდ მილიხი გაცხოველებით ვაჭრობდნენ სინას მთიდან გატანილი ძველი ქართული ხელნაწერების შესყიდვის თაობაზე. მილიხი მის ხელში მოხვედრილი ქართული ხელნაწერების ავსტრიის ფარგლებს გარეთ გატანით იმუქრებოდა, ამიტომ, მართლაც ასე რომ არ მომხდარიყო, შუხართი ცდილობდა, ხელნაწერები თვითონ დაენარჩუნებინა (რაკი შეატყო, რომ შესასყიდად შეთავაზებული ოთხი ხელნაწერი მეტისმეტად ძველი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო), მაგრამ ისე ძვირად არა, როგორც მილიხი ფიქრობდა. ბოლოს, 1897 წლის 12 იანვარს, შუხართმა, როგორც იქნა, ქართული ხელნაწერები შეიძინა. მაგრამ მანამდეც, ოქტომბრის მეორე ნახევრიდან, ისინი დროებით მას ჰქონდა შესამომებლად და შესაფასებლად და მათ დიდ დროსაც უთმობდა. მერე კი, როცა ისინი დაისაკუთრა, გატაცებით შეუდგა მათს საფუძვლიან შესწავლას. აკი წერდა: „ამჟამად მთლიანად ქართულ ხელნაწერებში ვარ ჩაფლული“. შუხართი თვლიდა, რომ ხელნაწერები საკმაოდ ძველი იყო. ხანმეტი ლექციონარი, მართლაც, VII საუკუნით თარიღდება, მაგრამ მეორე ძველი, სომხურ-ქართული პალიმფსესტი, ჩანს, მას IX საუკუნის ძეგლად მიაჩნდა (ეტყობა,

ა.ცაგარლის⁷⁰ აღწერილობაზე დაყრდნობით). ყოველ შემთხვევაში, ასეთი ცნობა გავრცელდა მისგან, რადგან მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის თანამშრომელი, სომხური ლიტერატურის პროფესორი გრეგორ ხალათიანი 1897 წლის ივლისში სწერდა შუხართს: „ვენიდან მხითარისტებმა მაცნობეს, რომ თქვენ ქართული სახარება აღმოაჩინეთ, რომელიც პალიმფსესტია. თუკი იგი მართლაც IX საუკუნისაა, ბუნებრივია, სომხური ნაწერი უფრო ძველი უნდა იყოს, თუმცა ჩვენი პროფესორი ხახანაშვილი გვარწმუნებს, რომ ქართული ნაწერი არ შეიძლება XI საუკუნეზე ადრინდელი იყოს, რისი თქმის უფლებასაც მას ხუცური ასოების მოყვანილობა აძლევს“. ცნობა, რომ სომხურ-ქართული პალიმფსესტი IX საუკუნისააო, ალბათ, თვითონ შუხართმა გაავრცელა. რაც შეეხება ქართულ ტექსტს, იგი სახარება კი არაა, არამედ – ფსალმუნი და ამჟამად მიღებულია, რომ იგი X საუკუნის I ნახევრისაა (ა.შანიძე). ქართული ხელნაწერების შესახებ გამოკვლევის დამთავრებას შუხართი მარტის ბოლოსთვის გეგმავდა. შეიძლება ნაწილობრივ ამან შეუშალა ხელი, რომ გრამატიკაზე მუშაობა შეწყვიტა, თუმცა ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან თავისი საქმე გააკეთა – ხახანაშვილს გეგმა მისცა, როგორ უნდა აეგო გრამატიკის სახელმძღვანელო. ახლა, სანამ შეპირებულ მასალას მიიღებდა მოსკოვიდან, მას შეეძლო, სხვა სამუშაოსთვის მიეხედა.

№6

„გოთა, 27 სექტემბერი, 1896
ზიბლებერშტრასე 33

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

ის-ის იყო სარეკომენდაციო ბარათი გამოგიგზავნეთ⁷¹, რომ თქვენი თავაზიანი სტრიქონები მივიღე.

ამისთვის დიდად გმადლობთ და მალე თვითონ მივწერ ჩემს ძველ ნაცნობ სარაჯიშვილს⁷².

რა ჟურნალია Новое обозрение, რომელსაც რამდენიმე შენიშვნა გაუგზავნეთ ყე-ს შესახებ? თუკი შემოგრჩათ ამონაბეჭდები,

⁷⁰ ალექსანდრე ცაგარელმა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა გამოაქვეყნა წიგნებში: „Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае“: Православный Палестинский Сборник, том IV, вып. I, СПб., 1888; „Сведения о памятниках грузинской письменности“, вып. II, СПб., 1889.

⁷¹ ჩანს, ხახანაშვილმა ევროპაში დაგეგმილი მოგზაურობისთვის შუხართს სარეკომენდაციო ბარათი სთხოვა, როგორც მაშინ იყო მიღებული. შუხართი არ დაზარდა და კოლეგას თხოვნა დროულად შეუსრულა (მოგვიანებით, 1899 წ., ასევე მოექცა იგი ლეო ლოპატინსკისაც).

⁷² დავით სარაჯიშვილი (1848–1911) – ცნობილი მრეწველი და ქველმოქმედი.

მაშინ ერთ ეგზემპლარს გთხოვდით ჩემთვის.

«ხოლმეს»⁷³ მნიშვნელობით ყე გვხვდება არა მხოლოდ «კი-ზიყში» (!), არამედ აგრეთვე მოსაზღვრე საინგილოშიც, თუკი «ჯანაშვილი» თავის «ფარსადან გორგიჯანიძეში» და ა.შ. 90-ე გვერდზე სწორად წერს.

შესმენილს ბოლოში ებმის „ყ“, რომელიც ზოგჯერ უდრის „ხოლმე“-ს და ზოგჯერ აღნიშნავს პიროვნებით ნაცვალსახელს⁷⁴.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გთხოვთ მცირე ეთნოგრაფიულ კომენტარს 88-ე გვერდის შესახებ ამავე წიგნიდან:

კაკ-ელისენ-შაკიხ-წუქეთს (ნაცილია საქათალისა და ნუხის მაზრებისა)⁷⁵.

რუკაზე ვიპოვე კახი და ელისუ, მაგრამ დანარჩენი ორი – ვერა (ვახუშტის გეოგრაფია აქ ხელთ არა მაქვს⁷⁶). რა არის შაკიხი და წუქეთი?⁷⁷ არც ის მესმის, რა ნიშნით არიან გაერთიანებული ინგილოებთან შაკიხელები-უდიები და წუქეთელები-ნახურლები, რადგან ისინი ერთმანეთის უშუალო მეზობლობაში კი არ ცხოვრობენ, არამედ ავარებითა და თათრებით არიან ერთმანეთისაგან გათიშულნი.

საერთოდ, ქართული ეთნოგრაფია ბევრ პრობლემას მიქმნის: რუკებზე ადგილების სახელები ხშირად განსხვავებულადაა აღნიშნული და თვით 1869 წელს გამოცემულ 10-ვერსიან რუკაზე (მე არ ვიცი, არსებობს თუ არა უფრო ახალი რუკა იმავე მასშტაბისა) ყოველთვის არ შემოიძლია ორიენტირება. მაგალითად, კონდრატენკოს ეთნოგრაფიულ რუკაზე, რომელიც წელს გამოვიდა, თუშეთი (მინერალური წყლებით მდიდარი მხარე პირიქითა და თუშეთის ალაზნის მიდამოებში) არსებითად მხოლოდ ვინრო მნიშვნელობით – თუშეთის სახელით – არის აღნიშნული და არა თუშეთის ქისტეთად, რაც აქ – თქვენ მიხედვითაც – წვავთუშეთის თემს ქმნიდა (ინდურთა+საგირთა⁷⁸). ალვანის ვაკეზეც აკლია აქ ქისტები; სოფლები ალვანი, გურგენტჭალა და ა.შ. (რომლებსაც თქვენ უმატებთ მათ), როგორც ქართულები, ისეა აღნიშნული. და ა.შ.

თუ ამ ვითარების შესახებ მოკლე ხანში ზოგიერთ განმარტებას

⁷³ ყე, როგორც მრავლობითობის ნიშანი, რაჭაშიც გვხვდება (შუხართის შემნიშვნაა – ვ.ი.).

⁷⁴ ეს აბზაცი ქართულადაა დანერილი.

⁷⁵ ეს აბზაცი ქართულადაა დანერილი.

⁷⁶ გოთაში არა აქვს, თორემ გრაცში, რა თქმა უნდა, ჰქონდა (დაცულია მის კოლექციაში).

⁷⁷ ამ საკითხზე იმავდროულად შუხართმა მოსე ჯანაშვილსაც სთხოვა დახმარება. იხ. აქვე, გვ. 75-78.

⁷⁸ წვავთუშეთის სოფლებია.

მომანვდით, მეტად მადლობელი დაგრჩებოდით.
საუკეთესო მოკითხვით
თქვენი ერთგული

ჰუგო შუხართი“.

ეს წერილი 27 სექტემბერსაა დაწერილი. წინა დღით შუხართმა მოსე ჯანაშვილს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აგრეთვე კაკელისენ-შაკიხ-წუქეთის შესახებ ითხოვს განმარტებას. ჯანაშვილის ავადმყოფობისა და ამასთან დაკავშირებული მცირე გაუგებრობის გამო ჯანაშვილს გრაცში პასუხის გაგზავნა დაუგვიანდა, მაგრამ 27 ნოემბერს დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხი აახლა ავსტრიელ კოლეგას.

№7

„გრაცი, 18 დეკემბერი, 1896

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგა!

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი 26 ნოემბრის (ძველი სტილით) წერილისათვის. იმას, რომ წიგნები თბილისიდან სარაჯიშვილის მიერ იყო გამოგზავნილი, ვერ მივხვდებოდი, თქვენ რომ არ გეცნობებინათ ჩემთვის. პაკეტზე გამოგზავნად წერა-კითხვის საზოგადოება იყო აღნიშნული და ჩემი მადლობაც მას გადავუხადე.

მაშინ როცა თბილისიდან ასეთ ძვირფას საჩუქრებს ვღებულობ, ჩემთვის შეუძლებელი გახდა, გოგებაშვილის მიერ გამოცემული საქართველოს რუკა მიმეღო, რომელიც მხოლოდ 3 აბაზი ღირს, თუმცა უკანასკნელ თვეებში სამ ადრესზე მივმართე ამის შესახებ. რუკა მჭირდება ადგილის სახელების ქართული ფორმების გამო.

მაღე მიიღებთ ჩემს პატარა სტატიას ქართული გრამატიკის შესახებ, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას ეკუთვნის. გრამატიკა ნაკლებად მნიშვნელოვანია, შესაბამისად – სტატიაც მასზე⁷⁹.

მესამე სტატია („Khartwelische Sprachw.“)⁸⁰ ეს-ესაა დავამთავრე. მასში, სხვათა შორის, ლაპარაკია ორივე ლექსიკონზე Torre del Greco-დან, რომელთაგანაც მე მხოლოდ ქართულ-იტალიური გადავავალიერე ზედაპირულად. იმ მცირერიცხოვან სიტყვებს

⁷⁹ იგულისხმება სტატია „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის №17 ქართული ხელნაწერის შესახებ“ (Über die georgische Handschrift 17 der Pariser Nationalbibliothek, Wiener Zeitschrift..., 12, 1898).

⁸⁰ იგულისხმება „ქართველური ენათმეცნიერება“ („Khartwelische Sprachwissenschaft“ III, Wiener Zeitschrift..., 11, 1897).

შორის, რაც მე გადმოვწერე, ისეთებიც გამოერია, რომლებიც ჩემს ხელთ არსებულ ლექსიკონებში ვერ ვიპოვე, მაგრამ, ალბათ, თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს:

«ადკერ» – Schoenanthus, «პანდან» – Coloquinthe } – მცენარე-ები

«ორშა» – რომელიღაც ინსტრუმენტი ან საშუალება დოქიდან ღვინის ამოსაღებად

«ველ ჯი» – იტალიური სიტყვა კარგად ვერ ამოვიკითხე.

«გავცულცავ» – მე ვკლავ.

ვიღაც ნეაპოლელი კაპუცინელის ქართული „ნოველებიდან“ სიჩქარეში აქა-იქ მხოლოდ ორიოდ სიტყვა ამოვწერე. მაგალითად:

«იყო ერთი ღარიბი კაცი დღიურად ორიოდის ზურგს შემას მოიტანის ერთს გაყიდის... იყო ერთი საჭელმწიფე ორი ჯელმწიფე იჯდა ერთი მოსამართლე და მწყალე ერთი უსამართლო... იყო ბაღდადს ერთი მდიდარი და შეირთო ასეთი ცალი... »

ამ სიტყვებს ვეძებდი ორბელიანთან, მაგრამ იქ ვერ ვიპოვე.

ახლა თქვენი თხოვნის შესახებ. თქვენ თვითონ განსაჯეთ, როგორ უხერხულ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი. ცოტა ხნის წინ ერთმა რუსმა მომმართა, რომელთანაც მეცნიერული ურთიერთობა მაქვს, ზუსტად მსგავსი თხოვნით. მე გავიკითხე, შუამავლობა გავუნე, მივეხმარე და ხსენებულმა პირმა დამსახურებულად მიიღო დოქტორის ხარისხი დაუსწრებლად (Doctor in absentia) გერმანულ უნივერსიტეტში, სადაც მან თხოვნა შეიტანა.

როგორი სიამოვნებით მოგეხმარებოდით ანალოგიურად თქვენც დამსახურებული ხარისხის მოპოვებაში, რომ ნაღდი ჩანდეს შანსი იმისა, თქვენც დაგიმტკიცონ მსგავსი ხარისხი. მაგრამ ამაში ეჭვი მეპარება სწორედ იმიტომ, რომ თქვენი შემთხვევა მეტისმეტად წააგავს წინა შემთხვევას. ჰე ვიცნობ ჩემს კოლეგებს, ისინი განწყობილნი იქნებიან, წმინდა ფორმალური მიზეზების გამო, განაცხადი თხოვნის შესახებ უარყონ. Ne bis in idem⁸¹. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში დაუსწრებელი პროცესის გაუქმებას აპირებდნენ, მაგრამ შემდგომში მაინც შეინარჩუნეს, როგორც ჩანს, იმ პირობით, მხოლოდ გამონაკლისის სახით რომ დაუშვან. თუ თქვენ – ჩემი შუამდგომლობის გარეშე – სწორედ იქ მიმართავთ, ნამდვილად იფიქრებდნენ, თითქოს წინა საქმის წარმატებულმა მოგვარებამ წაგაქეზათ საიმისოდ, რომ მსგავსი ნაბიჯი გადაგედგათ, და ურჩობას გამოიჩინდნენ. მე გავიკითხავ, ამ საკითხის შესახებ რა შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ

⁸¹ არა ორჯერ ერთი და იგივე (ლათ.).

ფიქრობ, უკეთესი იქნება, საქმეზე თქვენ თვითონ მოელაპა-
რაკოთ, როცა მომავალ წელს გერმანიაში ჩამოხვალთ⁸². ავსტრიაში
თქვენთვის მეტი დახმარების განევა შემეძლებოდა, მაგრამ ჩვენში
პრომოციის ისეთი წესებია, რომ მათს საფუძველზე ავსტრიული
დოქტორის ხარისხის მიღებაზე ფიქრიც კი არ ღირს.

საუკეთესო სალმით თქვენი ერთგული

ჰ. შუხართი“.

„ორშას“ შესახებ, ჩანს, შუხართმა სხვაგანაც გაიკითხა. კერ-
ძოდ, 1896 წლის დეკემბრის დასაწყისში მას ამ სიტყვის მნიშვნე-
ლობის შესახებ უკითხავს ნოე ჟორდანიასთვის, რომელიც იმხანად
გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენში, ეუფლებოდა ცოდნას. უფრო ადრე,
გაზაფხულზე (13.III.1896), როცა ჟორდანია ბერლინში, მისივე სიტყ-
ვებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებებს სწავლობდა,
მან შესთავაზა შუხართს: „ჩვენ, ქართველებს, ძალიან გვახარებს,
როდესაც ევროპელი სწავლულები თავიანთ ყურადღებას ჩვენკენ
მომართავენ. მიუხედავად იმისა, რომ მე ფილოლოგი არა ვარ, რო-
გორც მცოდნე ქართული ენისა და ლიტერატურისა, მზად ვარ, რომ
გემსახუროთ... მე მზად ვარ, დაგეხმაროთ ქართული ენის შესწავ-
ლაში“. ეს დროც დადგა და 12 დეკემბერს ნოე ჟორდანიამ შუხართის
შეკითხვას მოკლე ბარათით უპასუხა: „ღრმად პატივცემულო ბა-
ტონო პროფესორო! სიტყვა „ორშა“, მართალია, არსებობს, მაგრამ
უნდა ვაღიარო, რომ არ ვიცი, რას ნიშნავს. თუ არ ვცდები, „ორშას“
ხმარობენ ქართლსა და კახეთში და იარალი უნდა იყოს, მაგრამ რა-
ნაირი, ამაზე წარმოდგენა არა მაქვს. თუ გაინტერესებთ, მაშინ სა-
ქართველოში გავიკითხვ: ალბათ, შეგიძლიათ მაცნობოთ, რომელ
ლექსიკონშია „ორშა“ შეტანილი, როდის და ვის მიერაა იგი შედგენილი
და რა მიზნისთვის. ალბათ, ჩვენში ის უცნობია“.

1896 წლის 26 ნოემბერს ხახანაშვილმა შუხართს მორიგი წერი-
ლი გაუგზავნა, რომელშიც, როგორც ჩანს, სთხოვა, დახმარებოდა
გერმანულ ან ავსტრიულ უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის და-
უსწრებლად მიღებაში. შუხართი მართლაც უხერხულ მდგომარე-
ობაში ჩავარდა. საქმე ისაა, რომ მის მიერ ნახსენები რუსი არის
ლეო ლოპატინსკი (1842-1927), კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო
ინსპექტორი 1889-1917 წლებში, არაერთი სამეცნიერო შრომის
ავტორი, ჟურნალ „Сборник материалов для описания местностей и
племен Кавказа“-ს გამომცემელი, რომელმაც ხახანაშვილზე ადრე,
1896 წლის იანვრის ბოლოს, ანალოგიური თხოვნით მიმართა შუ-

⁸² ჩანს, ხახანაშვილს არ მოუხერხდა 1896 წელს გერმანიაში ჩასვლა და მოგზაუ-
რობა მომდევნო წლისთვის გადადო.

ხართს და აუცილებელი ფორმალობების მოგვარების შემდეგ ზაფხულში ლაიფციგის უნივერსიტეტმა დაუსწრებლად მიანიჭა დოქტორის ხარისხი. რა დახმარება გაუწია ჰუგო შუხართმა რუს კოლეგას? მოდით, ამის შესახებ თვით ლოპატინსკის მოვუსმინოთ: „რაკი მე შევიტყვე, რომ თქვენ ჩემი ნაშრომის რეცენზენტი იყავით, მე ჩემს წმინდა მოვალეობად ვთვლი, ჩემი უგულისთადესი მადლობა მოგახსენოთ არა მარტო თქვენი თანადგომისათვის დოქტორის ხარისხის მიღების საქმეში, არამედ აგრეთვე ჩემი სადოქტორო შრომის კეთილგანწყობილი შეფასებისათვის“ (11. VII. 1896). დაახლოებით 5 თვის შემდეგ შუხართს მსგავს დახმარებას სთხოვენ. მან კარგად იცის თავისი გერმანელი კოლეგების ხასიათი და გრძნობს, რომ ხანაშვილის თხოვნას, ალბათ, არ გაითვალისწინებენ. უჭირს ამის თქმა, მაგრამ ვალდებულია, რომ სიმართლე უთხრას ქართველ კოლეგას.

№8

 „გრაცი
 31 იანვარი, 1897

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

უპირველეს ყოვლისა, თქვენს საქმეზე ვილაპარაკოთ. ჩვენი ნერილები ერთმანეთს გზაში ასცდა. მე დამავინწყდა თქვენთვის იმის თქმა, რომ აუცილებელია ყველა დოკუმენტის ორ ეგზემპლარად გამოგზავნა, რადგან ორი რეფერენტია მონვეული. ამასთან, ჩემთვის სასიამოვნოა, რომ თქვენ ამ საკითხზე პირველად ლაიფციგიდან შეიტყობთ. ვიმეორებ, არ მინდოდა, ისე გამოსულიყო, თითქოს ამ საქმეში ვინმეს რამენაირი დაინტერესება ჰქონდა. მერნმუნეთ, თქვენთვის ასე უკეთესია, და მე გთხოვთ კვლავ, მომიტევეთ, თუ თავდაპირველად რაიმე მკვეთრად მოგწერეთ. თქვენ ეჭვი არ უნდა გაპარებოდეთ, რომ მე გულწრფელად გისურვებთ დიდ წარმატებას.

რაც შეეხება ჩემს საქმეს, ამჟამად მთლიანად ქართულ ხელნაწერებში ვარ ჩაფლული. ჩემი ოთხი ხელნაწერი რომ მართლაც ძალზე ძველია, როგორც უკვე მოგწერეთ, ამას ირწმუნებთ, როცა ჩემს დაბეჭდილ მოხსენებას გამოგიგზავნით. ხელნაწერებიდან სამი ასომთავრულითაა ნაწერი, მეოთხე, რომელიც ნუსხურადაა, დათარიღებულია (X საუკ.). შემდგომში ორი კერძო პირისაგან ვითხოვე «ხუცურით»⁸⁸ ნაწერი ერთი სქელი ლიტურგიკული წიგნი და ერთიც გრძელი გრაგნილი, რომელიც თავდაპირველად რალაც ისტორიული დოკუმენტი მეგონა, მაგრამ შემდეგ მისმა წითლად ნაწერმა ძნელად გასარჩევმა სათაურმა იმედი გამიცრუა: «ს ოჟ უ მის ნ რვა მ ისა

⁸⁸ შუხართის ტერმინია.

იქოქროპირის» — ნმინდა იოვანე ოქროპირის მესა! ამას გარდა, აქ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, კიდევაც ერთადერთი ქართული ხელნაწერი ვენის კარის ბიბლიოთეკისა, რომელიც აგრეთვე ლიტურგიკული შინაარსისაა და ხუცურადაა ნაწერი. ამავდროულად შუა და დასავლეთ ევროპის დიდ ბიბლიოთეკებში გავიკითხე, ხომ არ ფლობენ ისინი ქართულ ხელნაწერებს. ტომი, რომელშიც თბილისში ჩატარებული არქეოლოგთა V კონგრესის შესახებაა ცნობები, ჯერ კიდევ ვერ ვიშოვე. იგი არაა არც ვენაში, არც მიუნხენში, არც ბერლინში და არც ბუდაპეშტში.

მე ყველაზე მეტად ბაქრადის⁸⁴ მოხსენება მაინტერესებს. გოგებაშვილის «ბუნების კარი» დიდი ხანია მაქვს, მაგრამ წიგნში ჩართული პატარა რუკა («ქარტაამიერკავკასიისა») იგივე ხომ ვერ იქნება, რაც წიგნის ბოლოს დართული «ქარტა საქართველოსი, მეორე გამოცემა, ფასი სამი აბაზი». ჩემი «ქართველური ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის» რამდენიმე თვეა დაბეჭდილია, მაგრამ ჯერ არ გამოსულა, რადგან კარტოგრაფი ავად გახდა და ამის გამო რუკის ესკიზის დამზადება დამიგვიანდა.

საუკეთესო მოკითხვით
 თქვენი ერთგული

პ. შუხართი“.

კარის ბიბლიოთეკის ხელნაწერი, რომელზეც შუხართი ლაპარაკობს, მისივე სიტყვით, არის Cod.P.V.Georg.I „Liturgia“. იგი გრაცელმა პროფესორმა იანვარში ერთი თვის ვადით ითხოვა კარის ბიბლიოთეკისაგან, რომელსაც ხელნაწერი 300 ფლორინად შეუფასებია. იქვეა საგანგებო მოთხოვნაც: „ფოტოგრაფირება ნებადართულია მხოლოდ ბიბლიოთეკის თანამშრომლის მეთვალყურეობით. შემდეგ ერთი ცალი კარის ბიბლიოთეკას უნდა გადაეცეს“. ეტყობა, კარის ბიბლიოთეკაში აღნიშნულ ხელნაწერს საკმარისად ძვირფასად თვლიან, რადგან სულ ცოტა ხნის წინ შუხართმა 4 ხელნაწერი (მათ შორის VII საუკუნის ხანმეტი ლექციონარი და 282-ფურცლიანი სომხურ-ქართული პალიმფსესტი-ფსალმუნი!) 420 ფლორინად შეიძინა.

№9

„გრაცი, 6 მარტი, 1897

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

სწორედ თქვენთვის ვაპირებდი მოწერას, რომ თქვენი წერილი

⁸⁴ დიმიტრი ბაქრაძე (1826-90) — ცნობილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი.

მივიღე. უპირველეს ყოვლისა, მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა იმისთვის, რომ ასე მშვენიერი და ძვირფასი – პალეოგრაფიული ტაბულებისთვის ჩემთვის მეტად სასურველი – საჩუქარი გამიკეთეთ. იქნებ კეთილინებოთ და მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებასაც მოახსენოთ ჩემი გულითადი მადლობა.

ამ თვის ბოლოსთვის გლთაში გავემგზავრები, მაგრამ შევძლებ თუ არა ლაიფციგში შევლას და იქ ცოტა ხნით დარჩინას, ჯერ არ ვიცი. თქვენი საქმე, სავარაუდოდ, იმდენად მალე მოგვარდება, რამდენადაც ამის საშუალებას გარემოება მოგვცემს. უნდა გაითვალისწინოთ, რომ სააღდგომო არდადეგების დროს არავითარი სხდომები არ ტარდება, ასე რომ, უკეთეს შემთხვევაში, საქმე ზაფხულის სემესტრის პირველ სხდომაზე გადაწყდება – თუკი მანამდე რეფერატები მზად იქნება.

მე ახლა მთლიანად ქართულ პალეოგრაფიაში ვარ ჩაფლული და იმედი მაქვს, რომ წინასწარ „ცნობა ქართული ხელნაწერებიდან“ (ორი ფოტოტიპიური ტაბულით) ჩემს გამგზავრებამდე გავამზადო დასაბეჭდად. მითხარით, გეთაყვა, იბეჭდება თუ არა დღეს რამე «ხუცურით» და, თუ კი – მაშინ რა? მე არ მინახავს ამ შრიფტით დაბეჭდილი არცერთი თანამედროვე წიგნი, თუმცა გოგებაშვილს თავისი საკითხავი წიგნის ახალ გამოცემაში («დედა ენა») იგი ნიმუშად აქვს წარმოდგენილი. როგორც მგონია, «ასომთავრული» დღეს მხოლოდ სანყისი ასოებისა და სათაურებისთვის გამოიყენება. როდის შეცვალა «მომამბე» «შ-ღ-ჟ-ღ-ღ»? ეს-ესაა ამის შესახებ ანტონის გრამატიკაში 284-ე გვერდზე წავიკითხე და უნდა გამოვტყდე, რომ აზრი ვერ გამოვიტანე. გამომცემელმა, ჩანს, მაგალითებში სხვადასხვა ასო ერთ სტანდარტზე დაიყვანა. ჩემთვის განსაკუთრებით გაუგებარია:

«ყუავისფრჩხილთვანი, რომელიცა, ანუ ფურცლისა დასასრულსა ტაეპსა შინა იხმევიან და ანუ ყოველთა ფურცელთა შინა ყოვლადისა წიგნისათა»⁸⁵. – ჩუბინაშვილის კოფ-ფრჩხილთვანი ნიშნავს „ღვლარჭნილ ხუცურს“, – ბროსე Art liberal-ის⁸⁶ 29-ე გვერდზე ლაპარაკობს «კავ-ფრჩხილთვანი», ანუ „კაუჭისფორმიანი“, ასოების შესახებ, როგორებიცაა *ჟ*, *ყ* და *ა.შ*.

ეს სამი ტერმინი ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ ჩემში ეჭვი აღძრა, ხომ არ ეხება საქმე ერთსა და იმავე სიტყვას. იცით რამე ამის შესახებ?

საუკეთესო მოკითხვით თქვენი ერთგული

ჰ.შუხართი“.

⁸⁵ ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, გვ. 285.

⁸⁶ იგულისხმება M. Brosset, „L'art libérale ou grammaire géorgienne“ /ველოვანება აზნაურობითი გინა ქართულისა ენისა თვთმასწავლებელი/, Paris, 1834.

ტექსტის ქვეშ, ფურცლის ქვემო კიდედთან, პატარა ასოებით მიწერილია: „რამე ხომ არ იცით ჩემი მეგობრის, პ.მელიქიშვილის (ოდესა), შესახებ, რომელმაც დაახლოებით 2 თვის წინ მოსკოვში ოპერაცია გაიკეთა? მისგან არავითარი ცნობა არა მაქვს“⁸⁷.

მართალია, შეპირებული გამოკვლევა ქართული ხელნაწერების შესახებ შუხართმა დათქმული დროისთვის თითქოსდა დაასრულა, მაგრამ, ჩანს, მას კიდევ დარჩა რაღაც სათქმელი, რადგან, ჯერ ერთი, მას გამოკვლევა თავის სიცოცხლეში არ დაუბეჭდავს, რასაც არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდა, დასრულებული რომ ყოფილიყო; მეორეც, სიკვდილამდე ხუთი დღით ადრე, როცა იგი თავის ქალადებს ათვალეიერებდა, ხელთ მოხვდა „ცნობები ქართული ხელნაწერებიდან“, რომელიც თითქმის ოცდაათ წელს უჯრაში ედო, და მაშინვე აკაკი შანიძეს გამოუგზავნა თბილისში, მისივე სიტყვებით, „ვითარცა მოწმე მისი ინტერესისა მისთვის ისეთი სიმპათიური და საინტერესო ენისადმი, როგორც ქართულია“. ეს გამოკვლევა ა.შანიძემ მომდევნო წელს უცვლელად, გერმანულად, გამოაქვეყნა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VIII ტომში. შუხართის გამოგზავნილ ხელნაწერს, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო არქივშია დაცული, ბოლოში ავტორის ხელით მიწერილი აქვს, დაუმთავრებელიაო.

ქართველ ნაცნობთაგან შუხართს ყველაზე ახლო ურთიერთობა პეტრე მელიქიშვილთან ჰქონდა. 1895 წელს, როდესაც მელიქიშვილი ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით ავსტრიაში იმყოფებოდა, სწორედ იგი ამეცადინებდა გრაცელ პროფესორს ქართულში. მათი მეგობრობა შემდგომაც გრძელდებოდა.

№10

„გრაცი, 1 ნოემბერი 1897

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ თანაგრძნობისთვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩემ მიმართ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დასვენება, სიმშვიდე მჭირდება, კაცმა რომ თქვას, იმდენად, რომ ლაპარაკი და, საერთოდ, რეგლამენტირებული მუშაობა ძალიან მღლის. ამიტომ ამ სემესტრისთვის სამინისტროდან გამოვითხოვე და მივიღე კიდევ შვებულება.

⁸⁷ მელიქიშვილი მართლაც აპირებდა ოპერაციის გაკეთებას, მაგრამ ჩაეშალა. მოგვიანებით, ერთი თვის შემდეგ, იგი შუხართს სწერდა: „მოსკოვში გავემგზავრე, რათა იქ ოპერაცია გამეკეთებინა, მაგრამ ექიმი თვითონ გახდა ავად, რის გამოც ვერ შეძლო ჩემი მკურნალობა“ (9.IV.1897).

ჩემი ნევრასთენია შესაძლოა ჩემი ბავშვობისას ან სიჭაბუკისას ავიკიდე შეთავსებითი სამუშაოებისგან, მაგრამ ამჟამად, ათეული წლების შემდეგ, ისე მწვავია, რომ გადაღლა მასთან შედარებით არაფერია. მეტწილად ისე დაქანცული ვარ, რომ ბევრი მუშაობა აღარ შემიძლია – დღეების, კვირების, თვეების განმავლობაში მხოლოდ იმდენს ვმოდრაობ, რამდენის თავიც მაქვს. ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, რომ დავისვენო მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენის მოთხოვნილებასაც ვგრძნობ. ვწვები მეტწილად 9 საათისთვის და ა.შ. მოკლედ, მე ვმეცადინებო, კაცმა რომ თქვას (თუკი რაიმე სამუშაო სპეციალობის მიხედვით არ მაიძულებს), მხოლოდ თავისუფალ დროს. ამის შედეგად მიძნელდება ჩემი სამუშაოს მოწესრიგება, აგრეთვე ახლო მომავლისთვის რაიმე განსაზღვრული გეგმის შედგენაც.

უკვე მრავალი წელია თავს ვიკავებ ყოველგვარი ლიტერატურული დაპირებებისაგან. თქვენს „Очерки“-სთან⁸⁸ დაკავშირებით შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ ჩემი დიდი სურვილია, მასზე Liter. Centralblatt-ში გამოსხაურება დავბეჭდო. მას რეფერატის სახე ექნება, რადგან ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ, კაცმა რომ თქვას, ნაკლები გამეგება – ჩემი მეცნიერული ინტერესი ქართულში მიმართულია ენისკენ, კერძოდ, იმ მიზნით, რომ შემადლებინოს ენათა შედარება. მე მგონია, ეს ადრე უკვე აგისხენით, ამიტომ საფუძვლიანი და მრავალმხრივი მეცადინეობა ქართულში მე არ შემიძლია, რადგან მოვიკოჭლებ სპარსულისა და სომხურის ცოდნაში და სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩემი საქმიანობა ამ ენებსაც დაფუკავშირო. ქართული ხელნაწერების ფლობამ ერთგვარად გამომიყვანა იმ სფეროდან, – ვითარება მაიძულებს, – რომელიც თავდაპირველად ავირჩიე. მაგალითად, თქვენი საქმიანობა ქართულ პალეოგრაფიაში სტიმულს მაძლევს. ნამდვილი ლიტერატურული ისტორიული ჩემთვის მუდამ ერთგვარად არაძირითადია, შორეული, ანუ ისე ვგრძნობ თავს შიგ, როგორც დილეტანტი. როცა ცაგარლის ნაშრომებზე ვწერდი რეცენზიას⁸⁹, ახლა კი თქვენსაზე ვაპირებ (არ გპირდებით!), მე სურვილი მა მოძრავებს, ქართული ფილოლოგიის შესასწავლად, საზოგადოდ, დასავლეთევროპელები წავაქეზო. თქვენს წიგნში არის ზოგიერთი ნაწილი, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან ახლობელია, თუმცა ამაზე სავარაუდო რეცენზიაში დეტალურად არ შევჩერდები, მაგრამ ამ განსახილველ

⁸⁸ იგულისხმება ა.ხახანაშვილის კაპიტალური ნაშრომი „Очерки по истории грузинской словесности“.

⁸⁹ იგულისხმება შუხართის რეცენზია ა.ცაგარლის ნაშრომზე: „Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, СПб., 1889“: Lit.Centralblatt, 1895, გვ. 1331-1333.

პუნქტებზე მსჯელობა აუცილებლად იქნება ჩემს ნაშრომებში ქართული ხელნაწერების შესახებ.

გულითადი მოკითხვით თქვენი ერთგული

ჰ. შუხარტი“.

შუხარტის უჩვეულოდ გრძელვადიანი შვებულებების შესახებ საგანგებოდ უნდა ითქვას. მას ლექციების კითხვა; საერთოდ, ეზარებოდა. ეს თვისება მან განსაკუთრებით მაშინ გამოავლინა, როცა 40 წელს გადააბიჯა. შუხარტს უფრო სემინარული მუშაობა მოსწონდა სტუდენტებთან. თუკი თავს უქეიფოდ გრძნობდა, ლექციის ჩატარებაზე უარს ამბობდა და აცდენდა. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფობას იმიზეზებდა და ხანგრძლივ შვებულებას იღებდა ერთი ან ორი სემესტრით (!!). პენსიაზეც ნაადრევად გავიდა 1900 წელს, როცა ჯერ სამოცი წლისაც კი არ იყო, რაც, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო შემთხვევაა ევროპული უნივერსიტეტების პრაქტიკაში. იქ, პირიქით, ჩვეულებრივ, აქტიურ პროფესორად დარჩენას ლამობენ რაც შეიძლება დიდხანს.

№11

„გრაცი, 27 დეკემბერი 97

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

თქვენს უკანასკნელ წერილზე ნამდვილად გიპასუხეთ, მაგრამ ის წერილი, ჩანს, დაიკარგა.

თქვენს შეკითხვაზე ისეთი გერმანული უნივერსიტეტის შესახებ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დაუსწრებლად (in absentia) პრომოცია, აგრეთვე, რა პირობებია საამისოდ საჭირო, ძნელია პასუხის გაცემა, განსაკუთრებით მაშინ, თუკი გერმანიაში არ იმყოფები. დაუსწრებელი პრომოციის შესახებ ვერაფერი ვიპოვე უნივერსიტეტების ცნობილ გზამკვლევ „მინენვას“ მეხუთე გამოცემაში, სადაც ცალკეულ უნივერსიტეტებში პრომოციების შესახებაა ცნობები, ამიტომ გამომცემელს ვკითხავ რჩევას, მანამდე კი ერთადერთ საშუალებას ვხედავ: ყველა უნივერსიტეტს მისწერეთ და პრომოციის პირობები გამოაგზავნინეთ, რაც მეტად დამლელია და, ალბათ, საყოველთაო ყურადღებასაც მიიპყრობს. რამდენიმე წლის წინ მე, საერთოდ, ვთვლიდი, რომ გერმანიაში დაუსწრებელ პრომოციას გააუქმებდნენ, მაგრამ იმ კითხვაზე, რითაც მე მომმართეთ, რომ თქვენთვის პასუხი გამეცა, მივწერე ლაიფციგში და მივიღე განმარტება, რომ სწორედ იქ ჯერ კიდევაა შემორჩენილი პრომოციის ეს სახე.

მას შემდეგ, რაც ძალიან ცუდი შემოდგომა მქონდა, უკანას-

კნელ 1½ თვეში საკმაოდ კარგად ვგრძნობდი თავს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჩემი ჯანმრთელობა კვლავ ნაკლებად სასუგეშო გახდა.

როგორც უკვე მოგწერეთ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ამ სემესტრში შვებულება ავიღე. მე ახლა დაკავებული ვარ ორი კორექტურითა და ერთი სტატიით, რომელიც კარგა ხნის წინ მოვხაზე (იგი რლმანულს ეხება) და, როგორც კი ამ სამუშაოს დავამთავრებ, ვიმედოვნებ, კვლავ მოვკიდო ხელი ქართულს, შემდეგ მინდა მივხედო ერთ ჩემს ნაშრომს ქართული ხელნაწერების შესახებ, რომელიც დიდი ხანია თითქმის ბოლომდეა მიყვანილი და მინდა, რომ, ბოლოსდაბოლოს, დავასრულო⁹⁰, შემდეგ რეცენზია დავწერო თქვენს „ლიტერატურის ისტორიაზე“ და სერიოზულად ჩაფუჯდე ფრ.მიულერის სტატიას ქართული ანბანის წარმომავლობის შესახებ⁹¹. თქვენ არ შეგიძლიათ წარმოდგენა, როგორ დაქვეითებულია ჩემი სამუშაო ძალა. ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება აღარ შემიძლია და წინ კუს ნაბიჯით მივდივარ.

მობარული ვარ, რომ თქვენ ქართული ენის შესახებ დაგინწყიათ წერა, და იმედი მაქვს, რომ განსასჯელად რაიმეს გამომიგზავნით.

გულითადი მოკითხვით თქვენი ერთგული

ჰუგო შუხართი“.

1897 წელი უკანასკნელ დღეებს ითვლის. ამის შემდეგ მომდევნო 5 წლის მანძილზე არც შუხართისა და არც ხახანაშვილის არქივებში მათი მიმოწერის კვალი არ ჩანს. შეიძლება დამთხვევაა და რაღაც მიზეზით წერილები არ შემორჩა. ძნელი საფიქრებელია, რომ მათ შორის ურთიერთობა ასე მოულოდნელად, უმიზეზოდ შეწყვეტილიყო, მათ ხომ ერთობლივი, თანაც მნიშვნელოვანი, მეტად საჭირო საქმე წამოიწყეს! ასეთ თუ ისე, 1902 წლის შემოდგომის მიწურულამდე მათი ურთიერთობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არა მაქვს. ერთი კია: როგორც ხახანაშვილი მოგვიანებით შენიშნავს, 1902 წლის ოქტომბერში მას მიუწერია წერილი შუხართისთვის, რომელსაც, ჩანს, ადრესატამდე არ მიუღწევია. რაკი ეს წერილი დაიკარგა, შეიძლება სხვებსაც იგივე ბედი ეწიათ. ყოველ შემთხვევაში, ხახანაშვილი რომ ნამდვილად ფიქრობდა თავის ავსტრიელ კოლეგასა და მის დამსახურებაზე და დიდადაც რომ აფასებდა მას, ეს აშკარაა. სწორედ მისი მეცადინეობითა და წარდგინებით აირჩიეს

⁹⁰ ივარაუდება „ცნობები ქართული ხელნაწერებიდან“, რომლის დაუსრულებელი ხელნაწერი შუხართმა ძალზე დაგვიანებით, 30 წლის შემდეგ, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გაუგზავნა თბილისში ა.შანიძეს.

⁹¹ ფ.მიულერის გამოკვლევა „ქართული ანბანის წარმომავლობის შესახებ“ 1897 წელს დაიბეჭდა ვენაში (მანამდე მეცნ. აკადემიას მოხსენდა).

შუხართი მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის საპატიო წევრად. არ უნდა ვიფიქროთ, რომ შუხართს მოსკოვში ხახანაშვილის გარდა გულშემატკივარი და დამფასებელი სხვა არ ჰყავდა, ბოლოსდაბოლოს, მას საქმიანი მიმონერა ჰქონდა ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებთანაც – გრეგორ ხალათიანთან, ლევონ მსერიანცთან, ვსევოლოდ მილერთან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხახანაშვილის თავგამოდებამ გამოიღო ნაყოფი და შუხართმა საჭიროდ ჩათვალა, კოლეგის ეს გარჯა უყურადღებოდ არ დაეტოვებინა და შეხშიანებოდა. გავეცნოთ ჩემს ხელთ არსებული წერილებიდან (შუხართისა ხახანაშვილისადმი) უკანასკნელს:

№ 12

„გრაცი, ელიზაბეთშტრასე 6
 23 ნოემბერი 1902

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

ეს-ესაა ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორს მადლობა შევუთვალე იმ მხარდაჭერისთვის, რაც მან ჩემს საპატიო წევრად არჩევისას გამოავლინა. ამასთან დაკავშირებით თქვენთვისაც მინდოდა ორიოდე სტრიქონი მომეწერა. ვშიშობ, თქვენ მე უმადურად ჩამთვალეთ, რადგან თქვენი „ლიტერატურის ისტორიის“ შესახებ არავითარი რეცენზია არ დამიწერია. გამოხმაურებას ნამდვილად ვაპირებდი, მაგრამ, როგორც ადრე მოგწერეთ, ჩემი ძალები საიმისოდ სუსტია, რომ ჩემს ყველა კეთილ განზრახვას ფრთები შევასხა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ჩემი სპეციალობა ძალზე მიშლის ხელს, ჩემს ძალებს ვუნანილებ რომანულს, ბასკურსა და ზოგიერთ სხვა ენასაც. უკვე ორი წელია, პენსიაზე ვარ⁹² და განზრახული მაქვს, ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დრო – არ ვიცი, მოკლე თუ გრძელი – უწინარეს ყოვლისა, მივუძღვნა კავკასიური ენების შესწავლას. ცხადია, ახლაც ექნება ადგილი პაუზებს. შარშან მ თვით ვიყავი სამხრეთ იტალიაში, ახლა კი ვფიქრობ დეკემბრის შუა რიცხვებში რამდენიმე თვით ეგვიპტეში გამგზავრებას. სწორედ ამიტომ ვერ მომიხერხდა თქვენთვის ორი ვრცელი რეცენზიის (ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულისა“ და აჭარიანის „Étude sur la langue laze“-ს შესახებ) გამოგზავნა, რომლებსაც WZ⁹³-ს უახლოეს ნომერში იხილავთ.

⁹² შუხართი ვადაზე ადრე გავიდა პენსიაზე, 58 წლისა, რაც ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში მეტად იშვიათი მოვლენაა.

⁹³ ვენაში გამომავალი ჟურნალი „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“. ამ ჟურნალის 1902 წლის № 16-ში დაბეჭდილია შუხართის სამი წერილი: ზემოაღნიშნული ორი რეცენზია და გამოკვლევა ქართული წ და ჭ ბგერების შესახებ.

ჩემი განზრახვაა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი, რაც კი გარკვეული დროიდან ქართველური და სხვა კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ ქართულად ან რუსულად გამოიცა, გამონვლილვით დავამუშაო. ცხადია, ჩვენს ჟურნალებს საამისოდ ადგილი არა აქვთ, ამიტომ მე შემიძლია მხოლოდ ისინი მივიღო მხედველობაში, რომელთა სტამბებსაც ქართული შრიფტი აქვთ.

ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ, თუ რამემ ხელი არ შემიშალა, ვფიქრობ, განვაახლო დიდი ხნის წინ დანყებული სამუშაო ქართული გრამატიკის შესახებ. ამ საქმეში დიდ სარგებლობას მომიტანდა გრამატიკა, რომელიც პეტერბურგის სააზიო მუზეუმშია⁹⁴. განვლილ ზაფხულში დახმარების აღმოსაჩენად თხოვნით მივმართე კარლ ზალემანს⁹⁵, ვინც ადრე მასარგებლა იმით, მაგრამ მისგან პასუხი არ მიმიღია. ორიენტალისტთა ჰამბურგის კონგრესზე მას ლ. ფონ შროედერის⁹⁶ მეშვეობით შევახსენე ამის შესახებ, თვითონაც მივწერე ხელმეორედ – მაგრამ, თითქოს დამუნჯდაო, მისგან არაფერი ისმის. ჩემთვის ეს გაუგებარია, რადგან სხვა დროს ჩემ მიმართ იგი მეტად თავაზიანი იყო. ჩემთვის მეტად ძნელი იქნება მომავალ ზაფხულში რომ კიდევ შევახსენო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბატონები პეტერბურგიდან ზაფხულში, ჩვეულებრივ, ქალაქიდან გადაიან.

საუკეთესო მოკითხვითა და სურვილებით
 თქვენი ერთგული

ჰ. შუხართი“.

28 ნოემბერს ხახანაშვილი გრაცში გზავნის რუსულად დანერილი ბარათს. უნდა აღინიშნოს, რომ შუხართის ყველა წერილი ხახანაშვილისადმი გერმანულ ენაზეა, ასევე გერმანულადაა მსჯელობა ხახანაშვილის მიერ შედგენილ სავარჯიშოებში.

№ 13

„28 ნოემბერი 1902 წ.“

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ჩემი წინადადებით ლაზარევის ინსტიტუტის საპატიო წევრად თქვენს არჩევასთან დაკავშირებით ოქტომბერში გამოგიგზავნეთ წერილი, რომელმაც, ჩანს, თქვემანდე ვერ მოაღწია. მოკლე ხანში

⁹⁴ ივარაუდება მოსე ჯანაშვილის „ქართული გრამატიკის“ ხელნაწერი.

⁹⁵ კარლ გუსტავ ჰერმან ზალემანი (1849-1916) – ცნობილი ორიენტალისტი, ირანისტი, აკადემიკოსი, პეტერბურგის სააზიო მუზეუმის დირექტორი.

⁹⁶ ლეოპოლდ ფონ შროედერი (1851-1920) – ვენელი ორიენტალისტი.

თქვენ ისე ბევრი გააკეთეთ ქართული და კავკასიური ენების შესწავლისათვის, რომ მე მუდამ დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს თქვენს ნაშრომებს ქართველოლოგიის სფეროში. მთელი გულით გისურვებთ, არ მოგკლებოდეთ ძალა და ჯანმრთელობა, რათა გააგრძელოთ თქვენი სამეცნიერო საქმიანობა და სხვების დაქვებაც კავკასიოლოგიაში სამუშაოდ. ერთს უკვე გადაედო თქვენი მადლი – ესაა პროფესორი ასბოტი⁹⁷, რომელმაც ქართულის შესწავლა დაიწყო. უნდა გავალღვოთ ევროპელების გულგრილობა ქართველოლოგიის მიმართ. გთხოვთ, შემატყობინოთ თქვენი მისამართი.

მონივნებითა და პატივისცემით

ა.ხახანაშვილი.“

⁹⁷ ოსკარ ასბოტი (1852-1920) – ბუდაპეშტელი სლავისტი. სხვათა შორის, ამ დროს ასბოტი უკვე იცნობდა შუხარტს, რომლის არქივში შემონახულია ასბოტის მიერ 1901-1917 წლებში გრაცში გაგზავნილი 25 წერილი, რომლებიც ქართულს ეხება.

ფილიპე გოგიჩაიშვილი

ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872-1950) იყო ევროპული განათლების მქონე მეცნიერი, გამოჩენილი ეკონომისტი, საქართველოში ეკონომიკური აზროვნების ერთერთი ფუძემდებელი, ამავე დროს პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწეც. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი ივანე ჯავახიშვილის ირგვლივ შემოკრებილ იმ სახელოვან ქართველ მამულიშვილთა შორის მოიხსენიება, ვინც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში ცხოველი მონაწილეობა მიიღო და მისი ერთერთი პირველი პროფესორიც გახდა.

მას შემდეგ, რაც ზესტაფონში შავი ქვის მრეწველის, საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის, ნიკო ლოლობერიძის, კანტორაში დაყო ორიოდე წელს, ლოლობერიძის ერთერთმა თანამშრომელმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პეტრე უმიკაშვილმა გამოიჩინა ფილიპესადამი მზრუნველობა და მისი ხელშეწყობით, აგრეთვე ნიკო ლოლობერიძისა და ცნობილი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, დავით სარაჯიშვილის, მატერიალური შემწეობით, მას საშუალება მიეცა, 1897 წელს გერმანიაში გამგზავრებულიყო სასწავლებლად. ჯერ მიუნხენის, მოგვიანებით კი ლაიფციგის უნივერსიტეტებში ფ.გოგიჩაიშვილმა შესაშური სიბეჯითის წყალობით დიდ წარმატებას მიაღწია, კოლეგებს შორის მოიპოვა დამსახურებული აღიარება და 1901 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ეკონომიკური განყოფილება დოქტორის ხარისხით. ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში იგი პარიზში საქმიანობდა, 1902 წელს კი დაბრუნდა საქართველოში და აქ გააგრძელა ნაყოფიერი მუშაობა. აღსანიშნავია, რომ, როცა ილიამ „ივერიის“ რედაქტორობას თავი დაანება, გაზეთი ფილიპე გოგიჩაიშვილს გადასცა (1905-1906 წ.წ.).

ქვემოთ საუბარი, ძირითადად, იქნება ფილიპე გოგიჩაიშვილის ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში, ყოფნის პერიოდზე, რაც ეფუძნება მის მიმონერას ჰუგო შუხართთან.

გერმანიის მიწაზე ფეხდადგმულ ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელმაც მაშინვე ნოე ჟორდანიას მიაკითხა მიუნხენში, უპირველეს ნაცნობად ჟორდანიამ სწორედ ჰუგო შუხართი შეურჩია, რადგან დარწმუნებული იყო, გრაცელი პროფესორი კეთილი მეგზური იქნებოდა ახალბედა ქართველისათვის სამეცნიერო თუ ცხოვრებისეულ საკითხებში.

1897 წლის 25 მარტს ნოე ჟორდანია მიუნხენიდან სწერდა ჰუგო შუხართს: „თუ თქვენ რაიმე გჭირდებათ ქართული ენის შესახებ,

მისწერეთ ჩემს თანამემამულეს, ბატონ ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელიც სამი დღის წინ ჩამოვიდა. მისი მისამართი ზემოთაა მითითებული. თქვენ შეგიძლიათ მას ქართულად მისწეროთ, რადგან მან ჯერ არ იცის გერმანული ენა“.

აქედან ჩანს, რომ ფილიპე გოგიჩაიშვილი მიუნხენში 22 მარტს ჩასულა და მას გერმანული არ სცოდნია. ისიცაა აღსანიშნავი, რომ გოგიჩაიშვილს ის ბინა დაუქირავებია, რომელშიც მანამდე ნოე ჟორდანიას ცხოვრობდა. 26 მარტს ნოე ჟორდანიას ტოვებს გერმანიას და ლონდონს მიემგზავრება, მის ბინაში გოგიჩაიშვილი რჩება. ოთხ დღეს ისინი ერთ ჭერქვეშ იყვნენ, ახლა მათი გზები გაიყრება.

შუხართმა წერილი მიიღო და არ დაუხანებია, მსწრაფლ გაგზავნა წერილი ბავარიის დედაქალაქში ახლად ჩასულ ქართველთან. აბა, ამისთანა მომენტს როგორ გაუშვებდა ხელიდან! 31 მარტს (ყურადღება მიაქციეთ, ჯერ ერთი კვირაც არაა გასული, რაც ჟორდანიამ წერილი მისწერა შუხართს) გოგიჩაიშვილმა პასუხი გაგზავნა გრაცში.

ჰუგო შუხართის არქივში შემონახულია ფილიპე გოგიჩაიშვილის 24 წერილი და 3 სადარბაზო ბარათი (უკანასკნელები – საახალწლო მისალოცი ტექსტებით). მიმოწერა მოიცავს პერიოდს 1897 წლიდან 1902 წლის ჩათვლით. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ წერილების გაცნობა, რადგან მასში ბევრ საგულისხმო ცნობას ამოიკითხავს იმდროინდელი საქართველოსა თუ ევროპის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ. გავეცნოთ მათ ქრონოლოგიურად. პირველი წერილის პირველი ნახევარი ქართულადაა დაწერილი, მეორე – ფრანგულად, მეორე-მეოთხე წერილები – ფრანგულად, დანარჩენები – გერმანულად. თუმცა ზოგიერთ მათგანში ქართული ფრაგმენტებიც ურევია.

№1

„მიუნხენი, ციბლანდშტრასე 18a/II
 31 მარტს 1897

დიდად პატივცემულო ბატონო!

მივიღე თქვენი ბარათი, რისთვისაც დიდს მადლობას გიძღვნი. სულ 10 დღეა მას შემდეგ, რაც მე მიუნხენში მოვედი. ჯერ გერმანული ენა არ ვიცი. ამიტომ, რასაკვირველია, პირველი დრო ენის შესწავლას უნდა მოვანდომო. ცოტ-ცოტა კი მესმის, ასე რომ, ორ-სამ თვეში ვფიქრობ საკმაოდ გავვარჯიშდე. შემდეგ მინდა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას მივჰყო ხელი. ჯერჯერობით არ ვიცი, თუ რამდენ ხანს დავრჩები სულ გერმანიაში.

დიდად და დიდად გამადლობთ თქვენი განუსაზღვრელი გულ-

თბილობისათვის. თუ რამე საჭიროება მექნება, ნებას მივსცემ ჩემს თავს, დაურიდებლად მოგმართოთ დახმარებისათვის და წინდანიწვე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ვითარცა გრძნობა-გონებით ფრიად განვითარებული ადამიანი, საჭირო დახმარებას აღმოგიჩინებ.

თქვენი⁹⁸ რჩევები და მითითებები ყოველთვის ძვირფასი იქნება ჩემთვის და მე არც კი ვიცი, როგორ გადაგიხადოთ უღრმესი მადლობა ყოველივე ამისთვის. ნება მიბოძეთ, ძვირფასო პროფესორო, გამოვხატო გულწრფელი მადლიერება ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით, როგორც ქართველმა, თქვენი მეცნიერული ნაშრომებისთვის ქართული ენის შესახებ, რასაც თქვენი შეუდარებელი მზრუნველობის მეოხებით გაეცნო ევროპული მეცნიერება.

ძვირფასო ბატონო, მიიღეთ ჩვენგან ჩვენი მოკრძალებული პატივისცემის დადასტურება.

ფ.გოგიჩაიშვილი⁹⁹.

№2

„ციბლანდტშტრასე 18a/II
 მიუნხენი, 22 აპრილი 1897

ძვირფასო პროფესორო,

მოხარული ვარ თქვენი წერილის მიღებით. მე უკვე მივწერე ბატონ ნ.ლოლობერიძეს იმ ყურადღებასა და კეთილ გრძნობებზე, რაც თქვენ გამოიჩინეთ მისი საჩუქრის – ჩუბინაშვილის ლექსიკონის – მიღებისას. გასულ წელს ბატონი ლოლობერიძე რამდენიმე თვით იმყოფებოდა ავსტრიაში. ჩამოვიდა რა ბათუმში, ძალიან წუხდა, რომ არ მიეცა თქვენი ნახვის საშუალება. ამჟამად იგი ცხოვრობს ბათუმში. მისთვის კორესპონდენციების გაგზავნა შეიძლება იმ მისამართზე, რომელზეც აღნიშნული იქნება, უბრალოდ, ამ ქალაქის სახელი.

როდესაც მე გავლით ვიყავი ვენაში, ორმა სომეხმა, რომლებიც იქ გავიცანი, მთხოვეს, მიმეწოდებინა რომელიმე კრებული ქართული ხალხური სიმღერებისა, რადგან მათ სურდათ, რომ ეს სიმღერები გერმანულ ენაზე ეთარგმნათ აკადემიური ყურნალისათვის, რომელიც გამოდის პროფესორ მიულერის⁹⁹ ხელმძღვანელობით („Wiener

⁹⁸ აქამდე წერილი ქართულადაა დანერილი, აქედან კი ფრანგულად გრძელდება.

⁹⁹ ფრიდრიხ მიულერი (1834-1898) – ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი. გამოქვეყნებული აქვს გამოკვლევები ქართული ანბანისა და ქართული გრამატიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“). ამის გამო მე მივწერე ბათუმში, საიდანაც გამომიგზავნეს ფშავურ სიმღერათა კრებული. ეს წიგნი კი გავუგზავნე ზემოხსენებულ სომხებს ვენაში, თუმცა ვეჭვობ, რომ მათი თარგმანი კარგი გამოვიდეს, რადგან სიმღერები, საერთოდ, ძნელად ითარგმნება, ქართული სიმღერები კი – განსაკუთრებით. გარდა ამისა, ერთერთმა სომეხმა, იცის რა მხოლოდ მშობლიური ენა, თავდაპირველად ტექსტი სომხურ ენაზე უნდა თარგმნოს, საიდანაც მეორე გერმანულად გადათარგმნის. ძვირფასო პროფესორო, ამას გწერთ ყოველი შემთხვევისთვის, თუ თქვენ ითანამშრომლებთ ამ ჟურნალთან და ეს რამენაირად დაგაინტერესებთ.

იმედი მაქვს, მომწერთ, თუ გადაწყვეტთ გოთას¹⁰⁰ გავლით მიუხეხენში შემოვლას. ამიტომაც დიდი სიხარულით ველოდები თქვენთან შეხვედრას და თქვენს გაცნობას პირადად.

ძვირფასო პროფესორო, მიიღეთ თქვენდამი ჩემი გულწრფელი სალამი.

ფ.გოგიჩაიშვილი“.

უნდა ითქვას, რომ შუხართს თბილისიდან მუდმივად უგზავნიდნენ როგორც მის მიერ შეკვეთილ ლიტერატურას, ასევე უსასყიდლოდ – სხვადასხვა სახის ლექსიკონსა თუ მისთვის აუცილებელ წიგნს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ნიკოლოზ ბერიძე და დავით სარაჯიშვილი. უკანასკნელი ორი საკუთარი შეხედულებისამებრ ამარაგებდა მეცნიერს იშვიათი და ძვირფასი გამოცემებით.

№3

„მიუხენი, ციბლანდტშტრასე 18a/II
 3 მაისი 1897

ძვირფასო პროფესორო,

ულრმეს მადლობას გიხდით თქვენი წერილისთვის, განსაკუთრებით კი თქვენი ნაშრომისთვის „Zur Geographie und Statistik der khartwelischen (südkaukasischen) Sprachen“¹⁰¹, რომელიც გინდოდათ ჩემთვის გეჩუქებინათ. მართალია, მე ვერ კიდევ ისე კარგად არ ვიცი

¹⁰⁰ გოთა შუხართის მშობლიური ქალაქია, სადაც ის ყოველწლიურად ჩადიოდა მშობლების მოსანახულებლად.

¹⁰¹ ეს ნაშრომი – „ქართველური (სამხრეთკავკასიური) ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“ – ითარგმნა რუსულად და დაიბეჭდა თბილისშიც ლეოლოპატინსკის ხელშეწყობით მისივე რედაქტორობით გამოცემაში ჟურნალში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, №26, 1899.

გერმანული, რომ ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყოს თქვენს ნაშრომში, მაგრამ, ძვირფასო პროფესორო, მე მას იმდენად ვაფასებ, რომ ვერ დავუთმობ ბატონ ჟორდანიას.

ის სომეხი, რომელმაც ქართული ენა იცის, თბილისიდანაა, ამჟამად კი სწავლობს ვენის უნივერსიტეტში. მეორეს კი, როგორც თვითონ მითხრა, ურთიერთობა აქვს სხვადასხვა გერმანულ და ფრანგულ გაზეთთან. მე მათ უკვე გავუგზავნე ფშავური სიმღერები.

ამჟამად მე დარწმუნებით არ შემიძლია თქმა, რამდენ ხანს დავჩები მიუნხენში, თუმცა ვფიქრობ, რომ აქ სექტემბრამდე ვიქნები. ყოველი შემთხვევისთვის, გაცნობებთ ბატონ ჟორდანიას მისამართს:

London, 334, King street, Hammersmith, W.

ძვირფასო პროფესორო, თუ დაგჭირდებათ რომელიმე ქართული წიგნი ან რაიმე ცნობა ქართული წყაროებიდან, მე თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ თქვენს სამსახურში მიგულვებთ.

გიძღვნით მოკრძალებულ სალამს

ფ.გოგიჩაიშვილი

P.S. თქვენ მართალი ბრძანდებით: ფრანგულად დაწერილი ჩემი სახელი გერმანულად სხვანაირად გამოითქმება. თვით გერმანულებსაც უჭირთ მისი წარმოთქმა. ამიტომ, როცა ფრანგულად მოგწერთ, ფრანგული წარმოთქმის შესაბამისად დავწერ“.

ჩანს, შუხართის ნაშრომი ნოე ჟორდანიასთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ ფილიპე გოგიჩაიშვილი მას ვერ შეეღია, მითუმეტეს, რომ გამოკვლევაში მისთვის საინტერესო და ამავედროულად საჭირო ცნობები იყო მოყვანილი. თანაც, ჟორდანიას უკვე აღარაა მიუნხენში – იგი ლონდონში ცხოვრობს.

№4

„მიუნხენი, ციბლანდშტრასე 18a/II
 12 ივნისი 1897

ძვირფასო პროფესორო,

ბატონმა ნ.ლოლობერიძემ მიიღო თქვენი ნაშრომის „Zur Geographie und Statistik...“ ეგზემპლარი, რომელიც თქვენ გაუგზავნეთ, და მე ვალდებული ვარ, შეგატყობინოთ, რომ ნ.ლოლობერიძე აღფრთოვანებულია თქვენი თავაზიანობით და გულწრფელ მადლობას გითვლით.

ვიმედოვნებ, ძვირფასო პროფესორო, რომ თავს კარგად გრძნობთ.

გიძღვნიტ გულითად სალამს

ფ.გოგიჩაიშვილი“.

ეტყობა, შუხართი თავის ნაშრომებს ქართულის შესახებ სისტემატურად უგზავნიდა არა მარტო ევროპაში მყოფ ქართველებს, არამედ მის თბილისელ ნაცნობებსაც (ნიკო ლოლობერიძეს, დავით სარაჯიშვილს, მოსე ჯანაშვილს, არტურ ლაისტს, ლეო ლოპატინსკის...), ბუნებრივია, არც რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში გაფანტულ ქართველ მეცნიერებსაც ივინყებდა (ნიკო მარს, ალექსანდრე ხახანაშვილს, პეტრე მელიქიშვილს...)

№5

„მიუნხენი,
 20 ივნისი 1897 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ, მაპატიოთ ის შეცდომები, რომლებიც ამ წერილში მომდის. გერმანულად ლაპარაკი ხომ ძნელია, კიდევ უფრო რთულია წერა. მას შემდეგ, რაც თქვენგან გერმანულად დაწერილი წერილი მივიღე, გადავწყვიტე, გერმანულად მოგწეროთ, ოღონდ ვშიშობ, ვაითუ ჩემი გერმანული იმდენად კარგი ვერ გამოდგეს, რომ თქვენ ყველაფრის გაგება შეძლოთ.

მე პირადად არაფერი ვიცი ბატონი ლოლობერიძის სამოგზაურო გეგმის შესახებ. ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ამ ზაფხულს იგი ევროპაში მოდის, სახელდობრ, როგორც მე ვფიქრობ, ავსტრიაში, მაგრამ რამდენ ხანს სურს მას იქ დარჩენა, ამის შესახებ არაფერს მწერს.

აქ რომ ბრძანდებოდით, მე თქვენ გითხარით, რომ ბატონი ლაისტის ბათუმში იმყოფებოდა. რამდენიმე დღის წინ კი წერილი მივიღე, რომელშიც მაცნობებენ, რომ იგი ბათუმიდან თბილისში გადაბარგდა.

რაც შემეხება მე, პატივცემულო ბატონო პროფესორო, დაბეჯითებით არ შემიძლია თქმა, მექნება თუ არა საშუალება გრაცში ჩამოსვლისა. მე ვიმედოვნებ მხოლოდ, რომ ამის შესაძლებლობა ამ ზაფხულს მომეცემა. რასაკვირველია, მეტად მოხარული და კმაყოფილი ვიქნები, თუკი ეს მომიხერხდება, რადგან ამით თქვენი ნახვის სიამოვნება მომეცემა.

ულრმესი ყურადღებით
 თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

20 ივნისის შემდეგ ორ თვეზე მეტი გავიდა. გოგიჩაიშვილი არ

შეხმიანება შუხართს. 31 აგვისტოს შუხართი გრაცში სამკურნალოდ ჩასულ ნიკო ლოლობერიძეს წერილობით ეკითხება, ხომ არ იცი გოგირაიშვილის ასავალ-დასავალიო (საქმე ისაა, შუხართი ინფორმირებული იყო, რომ გოგირაიშვილი მიუნხენის დატოვებასა და ლაიფციგში გადასვლას აპირებდა, მაგრამ როდის, ზუსტად არ იცოდა). ლოლობერიძემ შუხართს გოგირაიშვილის ადგილსამყოფელი დაუდგინა და 5 სექტემბერს აცნობა კიდევ, გოგირაიშვილი ამჟამად ჯერ კიდევ მიუნხენში უნდა იყოსო. 11 სექტემბერს შუხართმა მორიგი წერილი გაგზავნა მიუნხენში, რომელშიც, ტრადიციისამებრ, ეტყობა, თავის შერყეულ ჯანმრთელობაზეც ჩამოაგდო საუბარი.

№6

„მიუნხენი, შრანდლოფშტრასე 40/II
 16 სექტემბერი 97

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

დიდი სიხარულით მივიღე თქვენი წერილი, ამ თვის 11 რიცხვით დათარიღებული, და ამისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ.

მიუნხენში 10 ოქტომბრამდე ვრჩები, შემდეგ კი ლაიფციგში მივემგზავრები. საერთოდ, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თქვენს რეკომენდაციებს თქვენს იქაურ ნაცნობებთან და ამით თქვენგან მეტისმეტად დავალებული ვიქნებოდი, მით უფრო, რომ უკვე ახლა მაქვს ერთი გეგმა, ლაიფციგში ჩემი ყოფნის დროს შესასრულებელი, და საამისოდ თქვენს რეკომენდაციას ვერაფერი შეეძრება. სახელდობრ, მინდა, ლაიფციგში, სხვათა შორის, სარედაქციო მუშაობას გავეცნო და, საზოგადოდ, გაზეთის გამოცემისთვის საჭირო სხვადასხვაგვარი ცოდნა და გამოცდილება მივიღო. ამ მიზნით ლაიფციგში გავეცანი რომელიღაც რედაქციის მუშაობას, დავაკვირდი იქაურ საქმიანობასა და ორგანიზაციას და ამით ძალიან მოვიგე. ალბათ, თქვენ პირადად იცნობთ რომელიმე რედაქტორს, რომელთანაც მე რეკომენდაციას მომცემთ, ანდა იქნებ თქვენი ნაცნობების მეშვეობით შესაძლებელი გახდეს, რომ რედაქციაში თავისუფლად შესვლის საშუალება მომეცეს.

ამას გწერთ და იმავდროულად ძალიან გთხოვთ, მომიტევოთ, რადგან ასე უცერემონიოდ გრჯით და ბოროტად ვიყენებ თქვენს კეთილგანწყობასა და დიდსულოვნებას.

ახლა ნება მომეცით, ძვირფასო ბატონო პროფესორო, რამდენიმე სიტყვა ქართულად მოგწეროთ.

«ძალიან უსიამოვნო ამბავია, რომ თქვენს ავათ-მყოფობას კიდევ არ გაუვლია და მის თქვენზე ზედ-მოქმედებას კიდევა ჰგრძნობთ. ბ. ლოლობერიძეც ნერვებით არის ავათ. როგორც მისი

წერილიდან ჩანს, წამლობა მას Maria-Grün-ში უხდება და თავს თანდათან უკეთესადაა ჰგრძნობს. თქვენ უთუოდ მანდაური წამლობა არ გისინჯავთ ან, შეიძლება, თქვენი ავადმყოფობა უფრო განსხვავებული და სხვა ხასიათისაა.

ბ.ლოლობერიძის წერილიდანვე გავიგე, რომ თქვენ გოთაში დედის ავადმყოფობის გამო წაბრძანებულხართ. გისურვებთ გულწრფელად, რომ ეს ავადმყოფობა სრულიად უბრალო და უმნიშვნელო იყვეს და დედა თქვენი მოკლე ხანში ისევ კვლავინდებურად მხნე და ჯანმრთელი გახდეს.

არ ვიცი, თუ თქვენ რამდენ ხანს დარჩებით გოთაში და ეს წერილი მოგისწრებთ მანდ თუ არა. ყოველს შემთხვევაში ვიმედოვნებ, რომ არ დაიკარგება. ამასთანავე გიგზავნით „ივერიიდან“ ამოღებულ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას¹⁰² თქვენი შრომის შესახებ. თუ საკმარისი და სრული არაა, ამაზე ავტორს ნუ დაემდურებით, რადგან на нет и суда нет-ო, ამბობენ რუსები.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დავშთები თქვენდამი პატივისცემით და ერთგულებით

ფ.გოგიჩაიშვილი».

№7

„მიუნხენი, შრანდოლფშტრასე 40/II
5 ოქტომბერი 97

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი 22 სექტემბრის წერილი დიდი სიხარულით მივიღე და უღრმეს მადლობას მოგახსენებთ რეკომენდაციებისთვის თქვენი ნაცნობების, ბატონი პროფესორების – დოქტორ ე.ვინდიშისა და ა.ლესკინის¹⁰³ – მიმართ. ლაიფციგში ჩასვლის შემდეგ ამ ბატონებს მოვინახულე. თუ ბატონი პროფესორი დოქტორი ე.ზივერსი¹⁰⁴, სხვათა შორის, ქართული ენის ბგერათა ფიზიოლოგიას იკვლევს, მე ჩემი შესაძლებლობით დიდი სიამოვნებით შევიტანდი წვლილს.

¹⁰² იგულისხმება მოსე ჯანაშვილის მოკლე რეცენზია შუხართის ნაშრომზე „ქართველურ ენათა გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა (№82, 30.IV.1897).

¹⁰³ ერნსტ ვინდიში (1844-1918) და აუგუსტ ლესკინი (1840-1916) – ლაიფციგელი პროფესორები, შუხართის კოლეგები, ენათმეცნიერები. ლესკინი, სხვათა შორის, ქართულითაც იყო დაინტერესებული.

¹⁰⁴ ედუარდ ზივერსი (1850-1932) – ცნობილი ფონეტიკოსი, ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი. ზივერსმა ქართული ბგერებსაც მიაპყრო ყურადღება და ამ სფეროს ჯერ ვიღაც თბილისელი სომხის, მერმე კი ნოე ჟორდანიას მეტყველების საფუძველზე იკვლევდა.

ჩემი უდიდესი სურვილი იქნებოდა, აქ სარედაქციო მუშაობას გავცნობოდი, მაგრამ საკმარისად კარგად ვერ გავიგებდი და ვერც ვილაპარაკებდი და მხოლოდ ახლა ვინცებ გერმანულში, ასე თუ ისე, რამდენადმე გარკვევას. რამდენადაც ვიცი, ნ. ჟორდანიას ნაკლებად ჰქონდა შესაძლებლობა ჰ. ჰირტის¹⁰⁵ რედაქციის მონახულებისა, რადგან უნივერსიტეტში ლექციები უმეტესად იმ დროს ტარდებოდა, როცა რედაქციის დასათვალისწინებლად შეშვება იყო ნებადართული.

რაც შეეხება „ივერიის“ აბონემენტს უცხოეთისათვის, მე არ შემიძლია ზუსტად გითხრათ პირობების შესახებ, მაგრამ, თუ თქვენ ნებას მომცემთ, წერილის საშუალებით ამის თაობაზე საქართველოში გავიკითხავ და მაშინვე გაცნობებთ. მე თვითონ მომდის „ივერია“ და თქვენთვის მისი სისტემატურად გამოგზავნით ჩემს თავს დიდ სიამოვნებას მივანიჭებ.

სამწუხაროდ, ჩემთვის სავსებით შეუძლებელი იყო, პატივცემულო ბატონო პროფესორო, თქვენთვის უფრო ადრე რომ მომეწერა და თქვენი თავაზიანობისა და ყურადღების გამო მადლობა გადამეხადა, რადგან უკანასკნელ ხანს თავს შეუძლოდ ვგრძნობდი.

გისურვებთ სრულ ჯანმრთელობას და მოგესალმებით ულრმესი პატივისცემით

ფ. გოგიჩაიშვილი“.

№8

„ლაიფციგი, ელიზენშტრასე 40/II
 20 ოქტომბერი 97

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მე ახლა ლაიფციგში ვარ და თქვენი საფოსტო ბარათი მიუნხენიდან აქ გამომიგზავნეს. ბატონი პროფესორები, რომლებთანაც რეკომენდაცია მომეცით, ჯერ არ მომიძებნია და ვფიქრობ, ამას ამ დღეებში გავაკეთებ.

გისურვებთ სრულიად გამოჯანმრთელებას და მოგესალმებით გულითადად

ფ. გოგიჩაიშვილი“.

¹⁰⁵ ჰერმან ჰირტი (1865-1936) გერმანელი ენათმეცნიერი, ა. ლესკინის მოწაფე, რომელიც 1896 წლიდან ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. ლესკინიც, ყოველ შემთხვევაში, 1872-1912 წლებში ლაიფციგში ცხოვრობდა და მიუნხენში არაფერი ესაქმებოდა. ამიტომ აქ შეიძლება გეორგ ჰირტი (1841-1916) იგულისხმებოდეს, გერმანელი პუბლიცისტი, რომელიც ერთხანს აუგსბურგში საქმიანობდა, 80-იანი წლების დასაწყისიდან კი მიუნხენში მოღვაწეობდა და შუხართთან მიმოწერაც ჰქონდა.

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მივიღე თქვენი საფოსტო ბარათი. ბატონი პროფესორები, რომლებთანაც თქვენ რეკომენდაცია მომეცით, უკვე მოვინახულე. მათ ძალიან მეგობრულად მიმიღეს. ამისთვის დიდად, დიდად გმადლობთ. ბატონმა პროფესორმა ვინდიშმა თავისი ბარათი გამატანა „Leipziger Zeitung“-ის რედაქტორთან. ბატონ პროფესორ ლესკინს არავითარი ურთიერთობა არა აქვს აქაურ პრესასთან და ამიტომ, – როგორც მან მითხრა, – ამ მიმართულებით დახმარების განწვევა არ შეუძლია. ხანდახან „Leipziger Zeitung“-ის რედაქციაში მივდივარ, მაგრამ ეს გაზეთი ნაკლებად მნიშვნელოვანია და, თანაც, ოფიციალური. მნიშვნელოვანი გაზეთი აქ მხოლოდ ორია: „Leipz. neueste Nachrichten“ და „Leipz. Tageblatt“, მაგრამ ბატონ პროფესორ ვინდიშს ამ გაზეთების რედაქტორებთან არა აქვს პირადი ნაცნობობა და ამიტომ არ შეეძლო ჩემთვის რეკომენდაციების მოცემა. ლაიფციგი ნამდვილად შრომისმოყვარე ქალაქია. ვისაც სერიოზულად სურს მუშაობა, მისთვის აქ ყოფნა ძალზე მოსახერხებელია.

არ¹⁰⁶ ვიცი ნამდვილად, ამჟამად გრაცში ბრძანდებით თუ არა. ამწერილსა და გაზეთსაც მაინც გრაცში ვგზავნი და მგონია არ დაიკარგოს. ვიმედოვნებ, რომ ჰაერის გამოცვლამ გარგოთ და ახლა თავს ჯანმრთელობის მხრივ ბევრად უკეთესად ჰგრძნობთ.

დავშთები თქვენი მარად ღრმად პატივისმცემელი და მადლიერი ფ.გოგირაიშვილი“.

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

სიტყვა „ზედა-გორა“ ნიშნავს მწვერვალს (გორა = Hügel, холм), „ებლაუჭებოდა“ მომდინარეობს „ბლაუჭი“-დან და ნიშნავს მოჭიდებას, s'accrocher, цепляться. ალბათ, ტექსტში ლაპარაკია ჩხუბზე, რომლის დროსაც ბევრი ადამიანი დაეცა და, ასე ვთქვათ, გროვა შექმნეს. ასე რომ, წინადადება: ისეთი ზედა-გორა გაიმართა, რომ გარჩევა არ იყო, ვინ ვის ებლაუჭებოდა და ვინ ვისა – შეიძლება ასე გადაითარგმნოს: Es ist ein solcher Haufen (möglich – Gipfel) gebildet gewesen, dass man nicht unterscheiden konnte, an wem man sich an-

¹⁰⁶ ამ სიტყვიდან ბოლომდე წერილი ქართულად გრძელდება.

klammerte.

ბატონ პროფესორ ე. ზივერსს ამ დღეებში მივაკითხავ.
გულითადი მოკითხვით
თქვენი მარად ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

№ 11

„ელიზენშტრასე 40.II
ლაიფციგი, 5.II.98

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი სურათი მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი ამბით არ შემინუსხებიხართ. რაკილა ვიცი, რომ მეტად დაკავებული ხართ, არ მინდოდა, ჩემი წერილებით თქვენთვის დრო წამერთვა.

დეკემბრის ბოლოს წერილი გავუგზავნე პროფ. ზივერსს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. საფიქრებელია, რომ იმხანად იგი ლაიფციგში არ იმყოფებოდა, შემდეგ კი, ალბათ, დრო არ ჰქონდა. უხერხულად ჩავთვალე, პროფესორისთვის მეორეჯერ რომ მიმეწერა ან პირადად მომენახულებინა იგი, რადგან მისი სურვილის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცოდი.

როგორც თქვენ მწერთ, ამჟამად „ივერიას“ უშუალოდ რედაქციისგან ღებულობთ.

რაკი თქვენ, ბატონო პროფესორო, ერთერთ წერილში სურვილი გამოთქვით, „ივერიის“ აბონემენტის პირობების შესახებ გცოდნოდათ, ამის შესახებ საქართველოში მივწერე. ჩანს, ამის შედეგია, რომ თქვენთვის გაზეთის გამოგზავნა დაიწყეს.

ყოველ შემთხვევაში, გიგზავნით „ივერიის“ საუკეთესო ნომრებს და ამას კვლავ გავაგრძელებ, – ცხადია, დიდი სიამოვნებით, – სანამ თქვენგან მათი მოწოდების შეწყვეტის შესახებ მითითება არ მივიღებ.

ვფიქრობ, გერმანიაში კიდევ რამდენიმე ხანს დავრჩები, კერძოდ, მომავალ სემესტრს ლაიფციგში გავატარებ. მე აქ განსაკუთრებულად მომწონს.

მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, ბატონო პროფესორო, მაცნობოთ ვენაში იმ სტამბის სახელი, სადაც ქართული შრიფტი აქვთ. ჩემი ერთი მეგობარი შემეკითხა ამის შესახებ, მაგრამ რა მიზნით აინტერესებს ეს, არ ვიცი.

გულითადი მოკითხვით

მარად თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

№ 12

„ლაიფციგი, 22.II.98

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

დაახლოებით სამი კვირაა, რაც მოგწერეთ. ვიმედოვნებ, რომ თავს კარგად და ჯანმრთელად გრძნობთ.

ერთი კვირის წინ ბატონ პროფესორ ზივერსთან ვიყავი. მან ბგერები მოისმინა და ჩაიწერა. განსაკუთრებით უცნაური ეჩვენა მას „ყ“. მან სურვილი გამოთქვა, კვლავ მომისმინოს, როგორც კი თავისუფალ დროს გამოძებნის, რაზეც მე, ჩემი მხრივ, სიამოვნებით დავთანხმდი.

გულითადი მოკითხვით

თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

№ 13*

ენწერილი ქართულადაა დაწერილი.

„ლაიფციგი

ფრიდრიხ-აუგუსტ-შტრასე 15/II

ფრიად პატივცემულო ბატონო!

მივიღე თქვენი ღია წერილი, რომელმაც დიდად მასიამოვნა, რადგან თქვენ მატყობინებდით, რომ გოთადან აქ, ლეიპციგშიაც, გამოივლით. ვიმედოვნებ, რომ, თუ დრომ ნება მოგცათ, მოზრძანდებით და რომ ამის გამო მე მექნება დიდი სიამოვნება თქვენი ნახვისა.

მაშ ნახვამდის.

თქვენი მარად ღრმად პატივისმცემელი

ფ.გოგიჩაიშვილი

16.IV.98“.

№ 14

„ლაიფციგი

25.IV.98

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

რაკი თქვენ გაინტერესებთ უმნიშვნელოვანესი რუსული ჟურნალები და გაზეთები, ასეთებად მივიჩნევ შემდეგ გამოცემებს:

ჟურნალები:

Русское Богатство

Наблюдатель
 Русская Мысль (მოსკოვში)
 Северный Вестник
 Мир Божий
 Вестник Европы

გაზეთები:

Новое Время
 Новости
 Свет
 Гражданин
 Неделя
 Биржевые Ведомости
 С-Петербургские Ведомости
 Русские Ведомости (მოსკოვში)
 Московские Ведомости (მოსკოვში)¹⁰⁷

მინდოდა თქვენთვის სხვებიც დამესახელებინა, როგორებიცაა, მაგალითად, Родинан Сын Отечества... და ა.შ., მაგრამ ამათ და მსგავსთ რუსეთში ან სულ არა აქვთ გავლენა, ან მეტად უმნიშვნელონი არიან.

მე, ცხადია, მეტად გავიხარებ იმით, თუ თქვენს ნაშრომს მივიღებ, და გთხოვთ, თუკი ეს არ გაგრჯით, იგი გამომიგზავნოთ. თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

ამ წერილიდან ჩანს, რომ გოგიჩაიშვილი საკმაოდ კარგად იცნობს რუსულ პრესას, ისე რომ, ჟურნალ-გაზეთების წონისა და გავლენიანობის შეფასებაც ძალუძს.

№ 15

„ლაიფციგი
 ფრიდრიხ-აუგუსტმტრასე 15/II
 16.VIII.98

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს მე არ შემეძლო გამეგრძელებინა თქვენთვის „ივერიის“ ეგზემპლარების გამოგზავნა, რადგან რამდენიმე კვირაა, რაც გაზეთს აღარ ვღებულობ და არც ვიცი – რატომ. ალბათ, მალე მათ კვლავ რეგულარულად მივიღებ და ასევე რეგულარულად გამოგიგზავნით.

მივიღე თქვენი ბარათი გოთადან. იენაში მართლაც სწავლობს

¹⁰⁷ მითითებული სამი გამოცემის გარდა ყველა პეტერბურგში გამოდის, რაც წერილში თავისებურადაა აღნიშნული.

აღმოსავლურ ენებს ერთი ჩემი თანამემამულე (კონსტანტინე თუმა-ნიშვილი). იგი უკვე ორი წელია, რაც იქაა და ამ ზაფხულს სამშობლოში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ამჟამად არ ვიცი, იგი უკვე გაემგზავრა თუ ჯერ კიდევ იენაშია. ჩემი მხრივ, მე ვფიქრობ, ამ ზამთარს კვლავ ლაიფციგში დავრჩები.

თქვენ, ალბათ, ბადენ-ბადენში ისიამოვნებთ წყაროებით და გულითადად გისურვებთ კარგ დასვენებას. ბატონი ლოლობერიძეც იმყოფებოდა ერთ გერმანულ კურორტზე (კისინგენში). მან იქიდან მომწერა რამდენიმე კვირის წინ. ახლა ის შვეიცარიაში უნდა იყოს.

თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

№ 16

ესაა საფოსტო ბარათი:

„ბატონ პროფესორ-დოქტორს ჰუგო შუხარტს
გრაცი, ელიზაბეთშტრასე 6
18.XI.98, ლაიფციგი

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

გულითად მადლობას გიხდით თქვენი ბარათისთვის. რა სამწუხაროა, რომ არ ვიცოდი, თუ ამ ცოტა ხნის წინ ლაიფციგში ბრძანდებოდით. იმ დროს – და, საერთოდ, მთელ ზაფხულს – მე აქ ვიყავი და დიდად გავიხარებდი თქვენი ნახვით.

ვიმედოვნებ, კარგად დაისვენეთ და ჯანმრთელად ბრძანდებით.

ერთი¹⁰⁸ აქაური სტუდენტი, ანუ, უკეთ, დოქტორი (ფილოლოგი) შევაგულიანე, რომ ქართული ენის შესწავლა დაეწყო. დაიწყო კიდევ. სწავლობს ცოტ-ცოტას ჩემი დახმარებით. ძნელი ენა ყოფილაო – ამბობს. განსაკუთრებით „ყ“-ს გამოთქმა უჭირს...

გულითადი მოკითხვით

თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

№ 17

„ლაიფციგი, ფრიდრიხ-აუგუსტშტრასე 15/II
28 მარტი 1899

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი წერილი მივიღე და ამისთვის დიდ მადლობას მოგახ-

¹⁰⁸ ეს აბზაცი ქართულადაა დანერილი.

სენებთ. რაკი ჩემი გეგმების შესახებ მეკითხებით, თავს ნებას მივცემ, გაგაცნოთ, და ვიმედოვნებ, რომ თქვენ, ღრმად პატივცემულ ბატონო პროფესორო, რჩევა-დარიგებით, ამასთანავე, დახმარებასაც გამინწევთ.

ახლა გადავწყვიტე, რომ აქ, ლაიფციგში, მომავალი წლის გაზაფხულამდე დავრჩე. მანამდე კი მინდა, დისერტაცია დავწერო და 1900 წლის ზაფხულში გამოცდა ჩავაბარო. ჩემი პროფესორის წინადადებით ისეთი თემა ავირჩიე, რომლის დამუშავებაც აქ, ლაიფციგში, საკმაოდ ძნელია – კერძოდ, საქართველოს მრეწველობის შესახებ¹⁰⁹. დღემდე არავითარი მასალები არა მაქვს და არც ის ვიცი, შემდგომში მაინც შეეძლებ თუ არა მათს მოპოვებას აქ. თუმცა საქართველოში მივწერე და მასალების გამოგზავნა ვთხოვე, მაინც ყოველთვის დადგება საკითხი, თუ რანაირად მოგვარდება ეს საქმე. ისიც აუცილებელია, რომ იმ საკითხებსაც გავეცნო, რაც ევროპულ ენებზე საქართველოს შესახებაა დაწერილი. დიდად მადლობელი დაგრჩებოდით, თუ ზოგიერთ ასეთ ნაშრომზე მიმითითებდით. ზოგიერთ რამეს, უმეტესად სამოგზაურო აღწერილობას, როგორებიცაა, მაგალითად, გამბას¹¹⁰, გიულდენშტედტის¹¹¹, კლაპროთის¹¹², ჰაქსტჰაუზენის¹¹³, ბოდენშტედტის¹¹⁴ ნაშრომები, მე უკვე ვიცნობ, მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა. ამას გარდა, ამ ნაშრომებში ძალზე ცოტა რამ ვიპოვე ჩემი თემისთვის. თქვენთვის, რა თქმა უნდა, მთელი ლიტერატურა ცნობილია და, ამასთანავე, ადვილიცაა, მე რომ იმ ნაშრომებზე მიმითითოთ, რომელთაც ჩემი მიზნისთვის გამოვიყენებდი. იქნებ გქონდეთ, ბატონო პროფესორო, რაიმე რუსულ ან სხვა ენებზე, რასაც საქართველოს ეკო-

¹⁰⁹ ფ.გოგიჩაიშვილის სადისერტაციო თემა იყო „ხელოსნობა საქართველოში“.

¹¹⁰ ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833) – ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის კონსული თბილისში. გარდაიცვალა თბილისში.

¹¹¹ იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) – გერმანელი მეცნიერი და მოგზაური. 70-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში.

¹¹² ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთი (1783-1835) – გერმანელი ლინგვისტი, ორიენტალისტი. 1808 წელს იმყოფებოდა საქართველოში. შედგენილი აქვს ფრანგულ-ქართული და ქართულ-ფრანგული ლექსიკონები და ქართული გრამატიკა.

¹¹³ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი (1792-1866) – გერმანელი ბარონი, აგრარულ საკითხთა მკვლევარი. 1843 წელს იმოგზაურა რუსეთის იმპერიაში და 1856 წელს ლაიფციგში ორ ნაწილად გამოაქვეყნა წიგნი: „ამიერკავკასია. შენიშვნები ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოციალურ ურთიერთობათა შესახებ ზოგიერთ ხალხში, რომლებიც ცხოვრობენ შავსა და კასპის ზღვებს შორის“, სადაც საქართველოზეცაა საუბარი.

¹¹⁴ ფრიდრიხ ბოდენშტედტი (1819-1892) – გერმანელი მწერალი და მთარგმნელი. 1844 წელს ჩამოვიდა საქართველოში და თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულ ენას.

ნომიკურ მდგომარეობასთან ექნებოდა კავშირი? შეიძლება ასეთ შემთხვევაში იმედი მქონდეს, რომ ამგვარ ლიტერატურას რამდენიმე ხნით თქვენგან მივიღებ დასამუშავებლად? მე არც კი მინდა შეგახსენოთ, რომ, საერთოდ, თქვენი რჩევა-დარიგება ჩემს სამუშაოსთან დაკავშირებით ჩემთვის მეტად ფასეული იქნება და ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, ამგვარი რჩევა რომ გთხოვოთ. ჩემს შრომაში რაღაც უნდა ვთქვა აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიასა და სტატისტიკაზე და ამასთან დაკავშირებით დიდ სამსახურს გამინევს პეტერმანის უწყებებში (Petermanns Mitteilungen) დაბეჭდილი თქვენი დიდი მნიშვნელობის მქონე სტატია¹¹⁵.

რაც შეეხება თქვენს სურვილს ჩემთან ურთიერთობის გაგრძელებაზე, ამის თაობაზე უნდა ვთქვა, რომ ამ ურთიერთობას მე უმალეს პატივად ვთვლი და კვლავაც ჩავთვლი და დიდი სიამოვნებით ვისურვებდი ამ კავშირის გაგრძელებას, მიუხედავად იმისა, გერმანიაში ვიქნები თუ სხვაგან.

რაკი თქვენ ამჟამად გოთაში იმყოფებით, „ივერიას“ ახლანდელ მისამართზე გიგზავნით, სანამ თქვენგან სხვა ცნობას არ მივიღებ.

გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობას და დავშთები თქვენდამი საუკეთესო სურვილებით

თქვენი ფ.გოგიჩაიშვილი“.

№ 18

„ლაიფციგი, ფრიდრიხ-აუგუსტშტრასე 15/II
 2 მაისი 1899

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მივიღე თქვენი წერილი და საფოსტო ბარათი და დიდად გმადლობთ რჩევისთვის, რომელსაც იქ მაძლევთ. რამდენიმე საკითხი უკვე ვიპოვე ჰირზემანთან. Bibliographica caucasica-ს შოვნა აქამდის ვერ მოვახერხე. რადგან მე ნაშრომის არც ავტორი ვიცოდი და არც გამოცემის წელი, ნიგნების მაღაზიაში, მიუხედავად ბევრი ძებნისა, ვერ ვიპოვე.

„კრებულის“¹¹⁶ დაარსების დროს აკაკის განზრახვა ჰქონდა, რომ ამ ჟურნალში უმთავრესად თავისი ნაშრომები ებეჭდა, როგორც ძველი, ისე ახალი. ამ სახით „კრებული“ უნდა ყოფილიყო აკაკის ჟურნალი, ე.ი. ჟურნალი, შემცველი უმთავრესად აკაკის ნაწერებისა. მხოლოდ „კრებულის“ ერთ ნაწილში უნდა ებეჭდა

¹¹⁵ იგულისხმება შუხართის ნაშრომი „ქართველური ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“

¹¹⁶ ეს აბზაცი ქართულადაა დანერგილი.

გამომცემელს აგრეთვე სახალხო ზეპირ-სიტყვაობაც – ლეგენდები, ზღაპრები და სხვ.

ამ პროგრამის შესაბამისად გამოდიოდა „კრებული“ აქამდე. სინამდვილეში კი იგი მეტწილად შეიცავს აკაკი წერეთლის ძველ თხზულებებს, მაგრამ ამასთან ერთად აგრეთვე ახალსაც, ანუ იმათ, რომლებსაც იგი შიგადაშიგ წერს – ლექსებს, მოთხრობებს, პატარა წერილებს და ა.შ. უკანასკნელ ხანს, როგორც ჩანს, მან ხალხური სიმღერებისთვის, ლეგენდებისთვის და ა.შ. განკუთვნილი ნაწილი გააფრთოვა, რაკი ახლა „კრებულში“ გამოჩნდა ჯანაშვილისა და სხვათა ისტორიული ხასიათის წერილები. უფრო ახლოს „კრებულს“ არ ვიცნობ, რადგან აქ მას არ ვღებულობ. ჩემთვის უცნობია ალბომიც, რომელიც ხელისმომწერლებს უნდა დაუბრუნდეს.

რაკი თქვენ, ბატონო პროფესორო, გრაცში ბრუნდებით, დღე-იდან „ივერიას“ კვლავ იქ გამოგიგზავნით.

თუ თქვენ გაინტერესებთ ანტაგონიზმი სომხებსა და ქართველებს შორის, ამის შესახებ ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ილია ჭავჭავაძის ამასწინდელი სტატიებიდან, რომლებიც „ივერიის“ უკანასკნელ ნომრებშია დაბეჭდილი.

გულითადი მოკითხვით

თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“

№19

„ლაიფციგი, ფრიდრიხ-აუგუსტშტრასე 15/II

12 იანვარი 1900

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი წერილი მივიღე და ამისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუკი კავკასიაში მოგზაურობას გადაწყვეტდით. ბატონო პროფესორო, როცა თქვენს სპეციალობასთან დაკავშირებული აკადემიური საქმიანობისგან თავისუფალი იქნებით, უფრო მეტი დრო დაგრჩებათ დასასვენებლად და დროსაც გამონახავთ, რომ ასეთი მოგზაურობა განახორციელოთ. ამასთან, გზა სულაც არაა ისე გრძელი და მძიმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ სამოგზაუროდ გაზაფხულს ან შემოდგომას შეარჩევდით, რადგან აქ ზაფხულის სიცხე გამთანგველია. იმედს არ ვკარგავ, რომ თქვენ შეძლებთ საქართველოს მონახულებას.

მე ერთხანს კიდევ უნდა დავრჩე გერმანიაში. ვფიქრობდი, რომ 1900 წლის აგვისტოსთვის დავამთავრებდი საქმეებს, მაგრამ, როგორც ვატყობ, ზამთრის სემესტრის დასაწყისამდე ეს შეუძლებელი

იქნება, რაც ჩემთვის, ერთი მხრივ, არაა მთლად სასიამოვნო, რადგან ამ შემთხვევაში პარიზის გამოფენის დათვალიერების შესაძლებლობას ხელიდან გავუშვებ.

რაც შეეხება თქვენთვის საინტერესო წარწერას „ქთავ-ქლის: შვილი დავითასია“, ჩემი აზრით, იგი თასის მფლობელი ჩანს: ქთავქლის: შვილი [ქთავქლი(ს) შვილი] უნდა იყოს გვარი (როგორც ხახანაშვილი, ბერიკაშვილი, ანდრონიკაშვილი, მელიქიშვილი და მსგ.). დავითა (დავით, დავითი) არის სახელი. სწორია დავით და არა დავითა, მაგრამ ხალხში ხშირად იხმარება მეორე ფორმა (ა-თი). მთლიან წინადადებას ახლა ასე დავწერდი: დავით ქთავქლი(ს)-შვილისაა (-შვილ-ისა-ა /ა=არის, ist/). ასე რომ, სიტყვასიტყვით იქნება: (der Becher) ist des Davitha (David) Khthawkhlishwili“ ანდა: gehört dem David Khthawkhlishwili. თუმცა აქამდე გვარი ქთავქლიშვილი არ გამოგონია, მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ ასეთი გვარი არსებობს. როგორც ნივთიდან ჩანს, წელი მითითებული არაა.

ერთ ჩემ თანამემამულეს წლინახევრის წინ უნდოდა თქვენი ნაშრომის („Zur Geogr. und Stat.“) ქართულად თარგმნა, მაგრამ შემდგომ მე ველარ შევიტყვე, რა ქნა მან, და არც ის ვიცი, რატომ გაუგრძელდა ეს საქმე ასე დიდხანს.

გულითადი მოკითხვით
 თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

როგორც ზემოთ ითქვა, შუხართი საქართველოში ჩამოსვლას თავდაპირველად, ჩანს, 1895 წლისთვის გეგმავდა, მაგრამ კავკასიაში სამოგზაურო სტიპენდია უნივერსიტეტმა სხვას, გუსტავ მაიერს, არგუნა. სხვადასხვა მიზეზის გამო მაიერს არ მოუხერხდა ჩანაფიქრის განხორციელება და მას შემდეგ, რაც 1900 წელს იგი გარდაიცვალა, ეტყობა შუხართს კვლავ გაუჩნდა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი და შანსიც. ალბათ, სწორედ ამიტომ აწვდიდა ცნობებს მოსალოდნელი მოგზაურობის შესახებ გოგიჩაიშვილი. ყოველ შემთხვევაში მან, ეტყობა, დაინტერესება შენიშნა შუხართის მხრიდან. ეს რომ უბრალო შეთავაზება ყოფილიყო, როგორც ამას ხშირად აკეთებდნენ ნიკო ლოლობერიძე, დავით სარაჯიშვილი და სხვანი, გოგიჩაიშვილი ამდენ ცნობას არ მიაყოლებდა. ჩანს, შუხართმა რაღაც გაიკითხა, ნიადაგი მოსინჯა, თანაც დამლელ გზაზე დაინყო ნუნუნნი. მეორე მხრივ, აკაკი შანიძისადმი 1927 წლის 16 თებერვალს გამოგზავნილ წერილში იხსენებს, რომ მას ერთხელ სერიოზულად ჰქონდა გადანყვეტილი საქართველოში გამგზავრება, საამისოდ გარკვეული ნაბიჯებიც კი გადადგა, მაგრამ კონკურენტი გამოუჩნდა და სამოგზაურო სტიპენდიის მისაღებად გამართულ კონკურსში

უპირატესობა სხვას დარჩა¹¹⁷.

ქართული წარწერის წინაისტორია კი ასეთია: 1900 წლის 8 იანვარს დანიელმა ენათმეცნიერმა ვილჰელმ ტომსენმა (1842-1927¹¹⁸) შუხართს კოპენჰაგენიდან წერილი გაუგზავნა, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, გრაცელ პროფესორს ვერცხლის თასზე შესრულებული ერთი ქართული წარწერის შესახებ სთხოვდა განმარტებას. შუხართმა დასმულ შეკითხვაზე კომპეტენტური პასუხის გასაცემად დაუყოვნებლივ მიმართა ლაიფციგში ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელმაც ოპერატიულად გაგზავნა გრაცში პასუხი.

№20

„ლაიფციგი, ფრიდრიხ-აუგუსტშტრასე 15/II
5 მარტი 1900

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თავს ნებას ვაძლევ, ერთი კითხვით მოგმართოთ, და უმორჩილესად გთხოვთ, მომიტევოთ ამის გამო. მე მინდა, სახელდობრ, ვიცოდე, როგორ უნდა ითარგმნოს გერმანულად ან რუსულად ქართული სიტყვა ლაფანი (ხის სახელია). მართალია, აქაურ ბიბლიოთეკაში არის ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, რომელიც გადავათვალიერე, მაგრამ აქ ეს სიტყვა თარგმნილია როგორც Linde (липа), რაც აშკარად მცდარი თარგმანია, რადგან Linde-ს ქართულად ჰქვია ცაცხვი და არა ლაფანი. თუ თქვენ ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი გაქვთ, მინდოდა მეთხოვა, რომ მასში ეს სიტყვა მოგეძებნათ და გეცნობებინათ ჩემთვის, რა სიტყვითაა იქ ლაფანი თარგმნილი. ალბათ, ამ ლექსიკონში სწორი თარგმანი იქნება მოცემული. მართალია, მე შემეძლო, ამის შესახებ შინ მიმეწერა და იქიდან გამერკვია საკითხი, მაგრამ ამას დიდი ხანი დასჭირდებოდა, მაშინ როდესაც მე მსურდა, ახლა მცოდნოდა ამის შესახებ. ამისთვის კიდევ ერთხელ გთხოვთ მოტყუებას.

ამას გარდა, მინდა ბოდიში მოგიხადოთ, რომ „ივერიის“ გამოგზავნა წელს მხოლოდ ერთი კვირის წინ დავინყე. ამის მიზეზი ისაა, რომ გაზეთს, რედაქციის წყალობით, აქამდე არ ვღებულობდი, რაც, ჩვეულებრივ, წლის დასაწყისში ხდება ხოლმე.

უღრმესი ყურადღებით

თქვენი ფ.გოგიჩაიშვილი“.

¹¹⁷ ამ საკითხის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. აქვე, გვ. 33-41.

¹¹⁸ საინტერესო დამთხვევაა: შუხართიც ზუსტად ამ წლებში ცხოვრობდა!

„ლაიფციგი, ფრიდრიხ-აუგუსტშტრასე 15/II
29 აგვისტო 1900

დიდად პატივცემულ ბატონო პროფესორო!

პატიება უნდა გთხოვოთ, რადგან თქვენს წინა წერილზე აქამდე ვერ გიპასუხეთ. მე მივწერე საქართველოში და ჩემს ზოგიერთ ნაცნობს ვთხოვე, გამოეგზავნათ გავრცელებული ბადეების ნახატები.

სულ ველოდი პასუხს, მაგრამ საქართველოდან არაფერი მიმიღია და ამ ცდაში საკმარისი დრო გავიდა. ამჟამად მე მხოლოდ ის შემიძლია გაცნობოთ, რაც ჩემთვის ამ საკითხის შესახებ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე არის ცნობილი.

წერილს თანდართულ ფურცელზე ვცაადე, თქვენთვის ორი ბადე დამეხატა. წინდანი უნდა გაცნობოთ, რომ ძალზე ცუდი მხატვარი ვარ. პირველი ორი ფიგურა სასროლ ბადეს წარმოადგენს. ბადის ერთი ბოლო ღიაა, ძალიან ფართო, და ზედ ტყვიის ბურთულებია დამაგრებული, რაც სურათზე მუქი წერტილებითაა გამოხატული. თევზაობისას მეთევზე ბადეს მარცხენა ხელზე შლის და ასე გაშლილს მარჯვენა ხელით მდინარეში ისე ისვრის, რომ მეორე ბოლოს წვერზე მიბმული თოკი ხელში უჭირავს. ტყვიის ბურთულების სიმძიმის გამო ბადე მაშინვე იძირება წყალში, მეთევზე შემდეგ თანდათან ნელა ეწევა მას თავისკენ და ბოლოს ბადეს წყლიდან ამოიღებს. ბადის გამოწვევისას ტყვიისბურთულებიანი ბოლო სიგანეში ისე ვიწროვდება, რომ ბადეში მოხვედრილ თევზებს გარეთ გამოსვლა არ შეუძლიათ. ამგვარად, ბადე საკმაოდ მარტივად არის გაკეთებული, მაგრამ მისი გამოყენება დიდ მოხერხებულობასა და გამოცდილებას მოითხოვს.

მეორე (ფიგურა №2) ბევრად მარტივია. იგი ჩანგლის ფორმის ჯოხზე არის დამაგრებული, რათა მოწამლული ანდა დარეტიანებული თევზები მისი დახმარებით წყლიდან ამოიყვანოს. მოსაწამლავად იყენებენ დარიშხანს, რომელიც, ხორბლის ცომთან შერეული, პატარა ნაჭრებად წყალში უნდა ჩაიყაროს, რასაც თევზები ჭამენ. ეს, საერთოდ, აკრძალულია, მაგრამ ზოგან მას მაინც მისდევენ. დარეტიანება ხორციელდება ლაფნის ხის ფოთლებით (*Pterocarya caucasica* Kunth, როგორც თქვენ ერთ დროს მაცნობეთ). ეს ფოთლები იფლითება და დიდი რაოდენობით იყრება მდინარეში. შემდეგ წყალს ურევვენ ჯოხებით და ასე ამღვრევენ. თავისთავად გასაგებია, რომ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მრავალი ადამიანის ძალისხმევით და, თანაც, დამდგარ წყლში. ამ ხერხით დარეტიანებული თევზების ხელით დაჭერაც კი შეიძლება, მაგრამ ბადით უფრო ადვილია და




Fig. 1.




Fig. 2.



Fig. 3

სწრაფად ხდება.

არსებობს სხვა სახის ბადეებიც, რომლებიც მდინარეში უნდა დაიჭიმოს. ეს - რაც შეეხება ბადეებს.

აქ მინდა აგრეთვე ფაცერიც (შდრ. დასტურლამალი, გვ. 185). მოვიხსენიო. ესაა მოწნული საგანი, გრძელი და ერთ ბოლოში კალათის მსგავსი, რომელიც მდინარეში, კერძოდ, მდინარის ისეთ ადგილებში უნდა დაიდგას, სადაც წყალი ზემოდან სწრაფი ნაკადით მოედინება.

ამას გარდა, თევზებს იჭერენ ჩანგლით (ჰარპუნი? – ნახე ფიგურა №3). ამ ხელსაწყოს აქვს რკინის სამი წვერი და ხის ტარი. მეთევზე ის ხელში უჭირავს და წყალს მდინარის ნაპირიდან აკვირდება. კერძოდ, იქ, სადაც წყალი წყნარია. როცა ის მცურავ თევზს შეამჩნევს, მისკენ ჩანგალს მიმართავს. ცხადია, მის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული, მოარტყამს თუ არა ჩანგალს თევზს. არიან მეთევზეები, რომლებსაც შეუძლიათ, ძალიან პატარა თევზებსაც კი მოახვედრონ ჩანგალი. რაც შეეხება ანკესს, მასზე საუბარი ზედმეტად მიმარჩნია.

ეს არის ყველაფერი, რაც მე შემიძლია გაცნობოთ სათევზაო აღჭურვილობების შესახებ.

მე, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მცირე გამოცდილება მაქვს, მაგრამ, როცა სამშობლოში დავბრუნდები, ვეცდები, თქვენთვის სასურველი ცნობები შევკრიბო და შესაბამისი ნახატებიც გამოგიგზავნოთ.

ვფიქრობ, რომ იანვარში ან თებერვალში ჩემს სამშობლოში დავბრუნდები. დისერტაციას, რომელიც უკვე მზად მაქვს და რომლის მიღებაც საბჭოსგან გარანტირებულია, ზამთრის სემესტრის დასაწყისში წარვადგენ.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას არ გაძლევთ, საქართველოში იმოგზაუროთ. ამის მიუხედავად, იმედს მთლად არ ვკარგავ – მე ჯერ კიდევ მწამს, რომ ერთხელ საქართველოშიც მოგესალმებით.

ერთი კვირის შემდეგ პარიზში მივემგზავრები მსოფლიო გამოფენაზე, სადაც რამდენიმე კვირას დავრჩები. თქვენც ხომ არ აპირებთ იქ ჩასვლას, ბატონო პროფესორო?

თქვენ, სხვათა შორის, მწერთ: „აღბათ, შემთხვევითი არაა, რომ «მოამბეში» ქართულის შესახებ ჩემი ნაშრომების თაობაზე არაფერია ნახსენები“, მაგრამ უნდა დაგარწმუნოთ, რომ მხედველობაში არმიღების მიზეზი არავითარ შემთხვევაში არაა თქვენ მიერ გამოთქმული რომელიმე მეცნიერული შეხედულება, ამის მიზეზია მხოლოდდამხოლოდ ჩვენთვის, ქართველთათვის, დამახასიათებელი თავისებური გულგრილობა.

საუკეთესო სურვილებით
თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

№22

„ლაიფციგი, ფრიდრიხ-აუგუსტშტრასე 15/II
 18 მარტი 1901

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, ერთი შეკითხვით მოგმართოთ, და წინასწარ გთხოვთ, რომ მომიტყევოთ. რამდენადაც ვიცი, პარიზსა და ვენაში არის ფირმა, ალბათ, ასოების ჩამომსხმელი, რომელსაც, სხვათა შორის, ქართული შრიფტიც უნდა ჰქონდეს. თუ ეს მართალია და თქვენთვისაც ცნობილია, დიდად მადლობელი დაგრჩებოდით, თუკი ამ ფირმის სახელწოდებას მაცნობებდით.

სამეცნიერო ხარისხი უკვე მივიღე და აპრილის ბოლოს განზრახული მაქვს, პარიზში გავემგზავრო, შემდეგ კი, ალბათ, ლონდონსაც ვენევი.

გულითადი მოკითხვით
 თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

№23

მისამართი: თბილისი, კავკასიის სოფლის მეურნეობის
 საიმპერატორო საზოგადოება
 (Императорское Кавказское Общество сельского хозяйства)
 თბილისი, 7 მაისი 1902 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ცოტა ხნის წინ მივიღე თქვენი ძვირფასი წერილი, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. მე მხოლოდ ის მანუხებს, რომ თქვენი ჯანმრთელობით მთლად კმაყოფილი არა ხართ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ შესაძლებლობას მონახავდით, რათა ჩვენთან ჩამობრძანებულიყავით და ჩვენს ქვეყანას გასცნობოდით. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ თქვენ, ადრე თუ გვიან, შეძლებთ საქართველოს მონახულებას. ორ თვეზე მეტია, რაც უცხოეთიდან სამშობლოში დავბრუნდი. მხოლოდ მე რომ მეხებოდეს, რა თქმა უნდა, ვამჯობინებდი, სამუდამოდ ევროპაში დავრჩენილიყავი. ჩემი „საქმიანობის“ შესახებ ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. ცოტა ხნის წინ აქ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან დააარსეს აგრარული სტატისტიკური ბიურო, რომლის ხელმძღვანელიც მე ვარ.

ახლა თქვენი შეკითხვის შესახებ. „მთელ ჯარში არ მოიძებნებოდა მაიფერზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი“. თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით: ზმნა „მოიძებნებოდა“ მომდინარეობს „ძებნა“-დან. ძებნა ნიშნავს: suchen. მე ვძებნი ანუ ვეძებ (ich suche), ვძებნე

ანუ ვეძიე (ich habe gesucht), ვძებნიდი ანუ ვეძებდი (ich suchte) და ა.შ. მაგრამ „მოძებნა“ ზმნას აქვს პოვნის (finden, entdecken) მნიშვნელობაც. ასევეა რუსულშიც: отыскать მომდინარეობს искать (suchen) ფორმიდან და ნიშნავს: finden, entdecken. მო ზმნისწინს ქართულში, საერთოდ, ის მნიშვნელობა აქვს, რომ საგანი თუ მოქმედება, რომელიც ამ ზმნისწინიანი ზმნით არის გამოხატული, სუბიექტს უახლოვდება და დასრულებულია – მოქმედება დროზეა დამთავრებული. სიტყვა მოძებნა-ს აზრი ისაა, რომ კაცი ძებნის მიზნამდე, ანუ პოვნამდე, მიდის. მოკლედ, მოძებნა-ს მნიშვნელობაა ძებნის შედეგად ანდა ძებნის გზით პოვნა, აღმოჩენა.

მაგრამ ამ ზმნის ზოგიერთ ფორმასთან ეს აზრი, ერთი შეხედვით, ნათელი არაა. მე ამას იმით ვხსნი, რომ ძებნა (suchen) ზოგიერთ დროში, მოქმედების დასრულება რომ გამოხატოს, მო ზმნისწინს დაირთავს და ამიტომ ზუსტად ისეთივე ფორმა აქვს, როგორიც მოძებნას. მაგალითად, ძებნა – ნამყო: მოვძებნე, მომავალი: მოვძებნი. მოძებნა ზმნისთვის კი ნამყო და მომავალი შესაბამისად იქნება მოვძებნე და მოვძებნი. ამიტომ აქ აზრი უნდა გამოვიტანოთ ფრაზიდან გამომდინარე. მაგალითები: სახლში წიგნი დამეკარგა, ყველა კუთხეებში მოვძებნე, მაგრამ ვერ ვიპოვე (Im Hause verlor ich mein Buch, in allen Ecken habe ich gesucht, aber nicht gefunden). საპირისპიროდ: მოვძებნე ისეთი კაცი, რომელიც თავდებობას გამიწევს [Ich habe (nach Suchen) einen Mann gefunden, der mir Bürgschaft leisten wird]. – მოვძებნი და, თუ ვიპოვე, მოგიტან (Ich werde suchen und, wenn ich's finde, bringe Dir mit). საპირისპიროდ: ჩემი მოვალე მემალემა, მაგრამ, სადაც უნდა იყოს, მოვძებნი მაინც უეჭველად (Mein Schuldner verbirgt sich von mir, aber wo er auch sein mag, werde ich ihn immerhin unbedingt finden). „მოვძებნი“ აქ არის მომავალი მოძებნისა (отыскать). ამიტომ სიტყვები „არ მოიძებნებოდა“ არ უნდა თარგმნილიყო როგორც wurde nicht gesucht, როგორც თქვენ სიტყვათა წყობის მიხედვით ივარაუდეთ. ეს ასეც იქნებოდა, რომ ყოფილიყო: არ იძებნებოდა (ძებნა-დან). მე ვიძებნებდი, შენ იძებნებდი, ის იძებნებდა, ის იძებნებოდა (ich werde gesucht, du w. gesucht, er w. gesucht, er wurde gesucht). ფორმა მოვიძებნების¹¹⁹ აზრი, საპირისპიროდ, არის: ich werde nach dem Suchen gefunden, ich werde, wenn man mich sucht, gefunden, man kann mich finden; უბრალოდ: ich befinde mich, ich existiere, ich bin vorhanden, ich bin. მაგალითად: მეგობარს არ ეგონა, თუ მე კიდევ ქვეყანაზე მოვიძებნებოდი [Mein Freund glaubte nicht, dass ich noch auf der Welt war (dass ich noch auf der Welt existiere)]. ამიტომ „არ მოიძებნებოდა“ უნდა ითარგმნოს როგორც „es gab nicht“.

¹¹⁹ დედანშია „არ მოვიძებნები“, სადაც არ უადგილოა.

თქვენ მეკითხებით: მთელ ჯარში არ მოიძებნებოდა... არ ნა-
 ნილაკის ნაცვლად აქ ვერ ხომ არ უნდა იყოსო. არა! „არ მოიძებნე-
 ბოდა“ – ესაა კატეგორიულად ნათქვამი – ასეთი, უბრალოდ, არავინ
 იყო. ასეთი კატეგორიული ტონის შეცვლის გარეშე ჩვენ არ შეგ-
 ვიძლია, რომ არ შეეცვალოთ ვერ ნაწილაკით. თუ ჩვენ ვიტყვით „ვერ
 მოიძებნებოდა“, ეს იქნებოდა *man könnte nicht finden, es könnte sich
 nicht finden*. ამ შემთხვევაში ფრაზის ნიუანსი შეიცვლებოდა: მთელ
 ჯარში ვერ ნახავდით მაიფერზე ახალგაზრდა პოლკოვნიკს, თუმცა
 ასეთი, ალბათ, ნამდვილად არსებობდა. აქ ვერ იმაზე მიუთითებს,
 რომ მაიფერზე ახალგაზრდა პოლკოვნიკის არყოფნის კონსტატი-
 რება ეყრდნობა უშედეგო ძებნას: რომ მოეძებნათ, მაინც ვერ იპო-
 ვიდნენ. „არ მოიძებნებოდა“ კი, პირიქით, კატეგორიულად უარყოფს
 ამას და აღნიშნავს, რომ იქ ახალგაზრდა ლეიტენანტი საერთოდ არ
 იყო და ყოველგვარი ძებნა ამ მიმართულებით თავიდანვე უიშეოდ
 და უაზრო იქნებოდა.

ზმნები ძველ ქართულში, ბატონო პროფესორო, ძალიან რთუ-
 ლია. მე ვფიქრობ, იქ თავისებური ზმნები გაცილებით მეტია, ვიდრე
 ჩვეულებრივნი¹²⁰. მაგრამ ენათმეცნიერებისთვის ისინი, ვფიქრობ,
 ძალზე საინტერესოა და მათი მეცნიერული კვლევა, ალბათ, ღირს
 იმად, რომ მკვლევარი გაისარჯოს. სასურველი იქნებოდა, რომ თქვენ
 საამისოდ საჭირო დრო და მოცალეობა გამოგენახათ.

ცოტა ხნის წინ აქ გამოვიდა სილ. ხუნდაძის „ლიტერატურული
 ქართული“. მალე გაახლებთ მარრის წიგნთან ერთად, რაც თქვენ-
 თვის აგრეთვე საინტერესო უნდა იყოს. მე ველოდები ამ წიგნს ს.პე-
 ტერბურგიდან, რომ ორივე ერთად გამოვგზავნო.

საუკეთესო სურვილებით
 თქვენი ერთგული

ფ.გოგიჩაიშვილი“.

აქ კვლავ არის საუბარი შუხართის ჩამოსვლაზე საქართველოში,
 თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იმჟამად, ჩანს, ეს
 შეუძლებელი ყოფილა. მაინც მგონია, რომ შუხართი თვითონაც ინ-
 ვევედა ამ მოგზაურობის პროვოცირებას, თორემ ასე გამუდმებით
 არ იქნებოდა მის ჩამოსვლაზე ლაპარაკი არა მარტო გოგიჩაიშვილის,
 არამედ გრაცელი პროფესორის სხვა ქართველი ნაცნობების წერი-
 ლებშიც.

ახლა შუხართი უკვე პენსიაზეა, იმდენად დაკავებული აღარაა
 და არც საუნივერსიტეტო მოვალეობები ანუხებს მაინცდამაინც. რა
 თქმა უნდა, მას არ გაუწყვეტია კავშირი უნივერსიტეტთან. სავალ-

¹²⁰ რა თქმა უნდა, აქ ფ.გოგიჩაიშვილი აჭარბებს.

დებულო ლექციების კითხვას დაანება თავი, თორემ სემინარებს კვლავინდებურად ატარებდა და არც მონაფეები აკლდა.

აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: 1901 წლის 18 მარტის შემდეგ, როცა გოგიჩაიშვილმა შუხართს ლაიფციგიდან გაუგზავნა წერილი, ეტყობა, მათ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მიმონერა არ ჰქონიათ. როგორც წინა წერილიდან ჩანს, გოგიჩაიშვილი აპრილის ბოლოს პარიზში აპირებდა გამგზავრებას, იქიდან კი - ლონდონში. მოგვიანებით, მიახლოებით 1902 წლის მარტში, იგი საქართველოში დაბრუნდა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა. ამ დროს შუხართმა გოგიჩაიშვილის ახალი მისამართი არ იცოდა და ამის გამო წერილებსაც ვერ უგზავნიდა. შეიძლება არც იცოდა, გოგიჩაიშვილი საქართველოში იმყოფებოდა თუ არა, თორემ მისი ადრესის დადგენა არ გაუჭირდებოდა: თბილისში მას არაერთი ისეთი ნაცნობი ჰყავდა, რომლებიც მას ამ საკითხს მსწრაფლ მოუგვარებდნენ. 1902 წლის 25 მარტს შუხართმა მიუნხენში მცხოვრები ქართველებისგან მიიღო საფოსტო ბარათი აკაკი წერეთლის პორტრეტით. სურათის ქვეშ ქართულად წერია: „მონყალეო ხელმწიფევი! მიუნხენის ქართველობა გითვლის უღრმეს მადლობას თქვენი მოღვაწეობისათვის ჩვენი ხალხისათვის და გისურვებს ყოველივე სიკეთეს მრავალ წელს. ეს სურათი ჩვენი გამოცემულია“¹²¹. როგორც ჩანს, შუხართმა მაშინვე მისწერა მიუნხენში საპასუხო წერილი, რომელშიც სთხოვდა ადრესანტებს, მისთვის ეცნობებინათ მიუნხენელი ქართველების ვინაობა და, აგრეთვე, თუ ჰქონდათ რაიმე ინფორმაცია ფილიპე გოგიჩაიშვილის ადგილსამყოფელის შესახებ. პასუხმა არ დააყოვნა და მპარილს მიუნხენელმა ქართველებმა შუხართს თავიანთი თავი უფრო დანწერილებით გააცნეს, ბოლოს კი ფილიპე გოგიჩაიშვილის ადრესიც აცნობეს: ტფილისი, „კვალის“ რედაქცია. სწორედ ამ წერილის მიღების შემდეგ დაუკავშირდა შუხართი გოგიჩაიშვილს და მისთვის საინტერესო წინადადებაზე განმარტება სთხოვა. როგორც ზემომოყვანილი წერილიდან ჩანს, გოგიჩაიშვილმა არ დაიბარა და ვრცელი კომენტარი შესთავაზა გრაცელ პროფესორს. 20 დღის შემდეგ გოგიჩაიშვილი კიდევ ერთ, როგორც ჩანს, საბოლოო წერილს, უფრო სწორად, ლია ბარათს, აგზავნის გრაცში, რადგან ამის შემდეგ დანერილი თარიღიანი წერილი გოგიჩაიშვილისა შუხართის არქივში აღარ მოიპოვება.

№24

ესაა ლია ბარათი. მეორე გვერდზე ახალუხში გამონყოფილი კა-

¹²¹ მიუნხენელი ქართველების შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 234-238.

ცის ფოტოა, რომელსაც ახლავს წარწერა: **Грузин - гурнец**

„ბატონ პროფესორ ჰუგო შუხართს
 გრაცი, ელიზაბეთშტრასენ
 ავსტრია
 თბილისი, 27 მაისი 1902

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

დღეს გიგზავნით ფოსტით მარრის „Разыскания“-სა (შავთელისა და სხვათა შესახებ) და ს.ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულს“, რომელიც ბატონმა ნ.ლოლობერიძემ თქვენთვის გადმომცა. სწორედ მან მოისურვა, რათა თავისი ეგზემპლარი გამოგვეგზავნა თქვენთვის. იგი გითვლით გულითად მოკითხვას და იმედოვნებს, რომ ოდესმე ჩვენთან მიეცემა საშუალება, რათა თქვენ პირადად მოგესალმოდეთ. უღრმესი ყურადღებით

თქვენი ერთგული
 ფ.გოგიჩაიშვილი“.

ამ წერილების გარდა, შუხართის არქივში შემონახულია ფილიპე გოგიჩაიშვილის სამი სადარბაზო ბარათი. თითოეულ მათგანზე გერმანულად დაბეჭდილია Philipp Gogitschaischwili, რის ქვეშაც ქართულად მინერილია მისალმოცი ტექსტი:

№25*

„მოგილოცავსთ ახალ-წელიწადს და ისურვებს თქვენს ჯანმრთელად სიცოცხლეს მრავალ-მრავალ ჟამიერ“.

№26*

„მოგილოცავსთ ახალ წელიწადს და ისურვებს სულით და გულით თქვენს სიცოცხლეს მრავალ ჟამიერ“.

№27*

„მოგილოცავსთ ახალს წელიწადს და საუკუნეს და ისურვებს სულითა და გულით, ჯანმრთელად და მხნედ ბრძანებულებით მრავალსა წელსა“.

არცერთ ბარათზე არაა მითითებული გაგზავნის დრო, მაგრამ უკანასკნელი ბარათის დათარიღება მაინც შეიძლება: რაკი ახალი საუკუნის დადგომაზეა ლაპარაკი, იგი, ცხადია, 1900 წლის ბოლო დღეებში უნდა იყოს დანერილი.

ნიკო ლოლობერიძე

ნიკო ლოლობერიძე (1838-1911) იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. 1861 წელს მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, იყო ქართველ სტუდენტთა წრის ხელმძღვანელი, მონაწილეობდა 1861 წლის სტუდენტთა არეულობაში, მიიღო ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იყო „საქართველოს მოამბის“ გამომცემის ერთერთი ორგანიზატორი და გაზეთის ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი, აგრეთვე გაზეთ „დროების“ ერთერთი დამაარსებელი, მისი უშუალო მხარდაჭერით დაარსდა ჟურნალი „კრებული“. ნ.ლოლობერიძე 1868 წელს შევიდა სახელმწიფო სამსახურში. 1879 წელს აირჩიეს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორად. 80-იან წლებში ხელი მოჰკიდა ჭიათურის შავი ქვის წარმოების საქმეს. შემდეგ გ.ბაქრაძესთან, ვ.თულაშვილსა და ს.მელიქიშვილთან ერთად დააარსა ქართული სტამბა, რომლისთვისაც ვენაში ჩამოასხმევინა ახალი შრიფტი, ე.წ. „ვენური“. ნიკო ლოლობერიძემ დიდძალი თანხა მოახმარა საზოგადო საქმეებს. 66000 მანეთი ანდერძით დაუტოვა ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, 1894 წელს მისი უშუალო დახმარებით დაარსდა ყოველთვიური ჟურნალი „მოამბე“. 1897 წლის ბოლოს ნიკო ლოლობერიძემ ხელი აიღო შავი ქვის წარმოებაზე და თავისი საქმეების ლიკვიდაცია მოახდინა.

ნიკო ლოლობერიძე და დ.სარაჯიშვილი აფინანსებდნენ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც უცხოეთში მიდიოდნენ სასწავლებლად. მაგალითად, 5 წლის განმავლობაში ისინი ეხმარებოდნენ ფილიპე გოგიჩაიშვილს. ნიკო ლოლობერიძე ნაწილობრივ აფინანსებდა ალექსანდრე ბეშკენაძის სწავლას გრაცის უნივერსიტეტში.

ნიკო ლოლობერიძემ შუხართისთვის დახმარების ხელის განევა, ჩანს, უკვე 1895 წლის ბოლოს განიზრახა, ალბათ, მას შემდეგ, რაც შემოდგომის დასაწყისში თბილისში შუხართის „Über das Georgische“ გამოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, 1896 წლის პირველ დღეებში იგი მზადაა, შუხართს საჭირო ნივნები გაუზზავნოს.

რაკი ლოლობერიძე ხშირად დადიოდა უცხოეთში (გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში...), გადაწყვიტა, პირადად გაეცნო შუხართი. საამისო სურვილი, ჩანს, ორივე მხარეს ჰქონდა და უკვე შემზადებულიც იყო ნიადაგი მათი შეხვედრისათვის, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოლობერიძე ჯიქურ არ მი-

მართავდა შუხართს, თუ ჩემი ნახვა გასურს, შევხვდეთო. არც შუხართი მისცემდა ამგვარი უცერემონიო მოქცევის საშუალებას და ვერც თვითონ ნიკო გაბედავდა ამას. ფვიქრობ, ლაისტის მეშვეობით მათი შეხვედრა უკვე შეთანხმებული იყო და ამის ინიციატივა შუხართისგან მოდიოდა. ლოლობერიძემ, ეტყობა, იმდენად მოაწონა თავი შუხართს ყურადღებითა და უანგარო დახმარებით, რომ ამ უკანასკნელმა თვითონ მოისურვა ნიკოსთან შეხვედრა. აკი პირდაპირ წერს ლოლობერიძე: ლაისტი მაცნობებს, რომ თქვენ ჩემი ნახვა გნებავთო. გავიხსენოთ, რომ ალფონს მილიხს, რომლისგანაც შუხართმა ძვირფასი ხელნაწერები იყიდა და ვისთანაც თვეების განმავლობაში ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა, ეს ბედნიერება – შუხართს შეხვედროდა და პირდად გასცნობოდა – არ ეღირსა, მიუხედავად არაერთგზისი შეთავაზებისა.

ლოლობერიძემ შუხართის გაცნობა შვეიცარიაში თავისი მორიგი ყოფნისას გადანყვიტა და წერილი გაუგზავნა შუხართს.

№ 1*

„Clarens, 9 სექტემბერს 1896 წ.

ბატონო ლუგო,

მე მომივიდა ბათუმიდამ არტურ ლეისტისგან წერილი, რომლითაც მაცნობებს, რომ თქვენ გნებავთ ჩემი ნახვა. დიდათ გამადლობთ ყურადღებისათვის. რასაკვირველია, თქვენი ნახვა და გაცნობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება. მე ახლა Clarens-ში ვარ შვეიცარიაში, სადაც მოვედი 3-ს სექტემბერს კალტენლეუტგებენიდამ. აქ ვაპირებ რაოდენიმე ხანს დავრჩე, ასე 7-10 დღემდის, შემდეგ აქედამ ვენაში წავალ, ხოლო ვენიდამ საქართველოში გავემგზავრები.

როგორც ლეისტი იწერება, ესლა თქვენ გოთაში უნდა ბრძანდებოდეთ. ამისთვის ამ წერილს გოთას ქალაქში გიგზავნიოთ.

ჩემის აზრით, ჩვენი ერთი ერთმანეთის ნახვა ადვილათ უნდა მოხერხდეს ვენაში. დამინიშნეთ ვენაში დრო და ადგილი და იქ გაიხლებით, როდესაც ინებებთ. თუ რაიმე მიზეზისა გამო ვენაში ვერ გაჩერდებით, მაშინ მე გაიხლებით გრაცში, სადაც თქვენ სცხოვრებთ. თუ ეს წერილი მალე მოგივიდათ, გთხოვთ პასუხი მიბოძოთ შემდეგი ადრესით: N.Gogobéridzé. Hôtel Ketterer. Clarens. Suisse. კარგს ინებებთ, თუ წერილს ვენაშიაც გამომიგზავნით poste-restante.

მე ესლა სრულიად თავისუფალი ვარ. ამისთვის მიბრძანეთ, რომელი დრო შეყრისა ვენაში თქვენთვის უფრო ადვილი და მოხერხებული იქმნება, და მე იმ დროს გაიხლებით იმ ადგილას, სადაც

დამინიშნავთ.

დავშთები თქვენი მარად ერთგული და ღრმად პატივისმცემელი ნიკოლოზ ლოლობერიძე“.

26 სექტემბერს ნ.ლოლობერიძე კვლავ უგზავნის წერილს შუხართს:

№2*

„Clarens. 26 სექტემბერს 1896 წ.

მონყალეო ბატონო ბატონო ლუგო,

ამას წინათ არტურ ლეისტისგან მივიღე წერილი ბათუმიდამ, რომ თქვენ გნებავთ ჩემი ნახვა. 9-ს ამ თვეს მე თქვენ წერილი მოგწერეთ გოთაში, მაგრამ მისი პასუხი მე აქამდის არ მიმიღია. როგორც სჩანს, ჩემი წერილი დაკარგულა და თქვენ არ მოგსვლიათ. ამისათვის ამ მეორე წერილსა გწერთ.

მე ჯერ კიდევ შვეიცარიაში ვარ, მაგრამ ამ ერთი კვირის განმავლობაში ვაპირებ ვენაში წასვლას, სადაც რაოდენიმე დღეს დავრჩები, ხოლო შემდეგ იქიდაძე სახლში წავალ – საქართველოში.

უმორჩილესად გთხოვთ მომწეროთ წერილი ვენაში poste-restante და დამინიშნოთ, თუ ჩემი ნახვა გნებავთ, დრო და ადგილი, სადაც თქვენი ნახვა შესაძლებელი იქმნება ვენაში ან მისს ახლო ადგილებში. მე ძალიან მოხარული ვიქმნები თქვენი გაცნობისა და ამისათვის დიდი სიამოვნებით გიახლებით იმ ალაგას, სადაც დამინიშნავთ. ვენაში მე ვაპირებ დადგომას Hotel Continental-ში.

როგორც ლეისტი იწერება, თქვენ ახლა გოთაში უნდა ბრძანდებოდეთ დედათქვენთან; მაგრამ რადგანაც ჩემი პირველი წერილი, გოთაში გამოგზავნილი, არ მიგიღიათ, შეიძლება ეხლა იქ არ ბრძანდებოდეთ, არამედ გრაცში. ამისთვის ერთს ამისთანა წერილს გიგზავნით გოთას, ხოლო მეორეს – გრაცს.

ჩემი აქაური ადრესი არის შემდეგი: N.Gogobéridzé. Hôtel Ketterer. Clarens. Suisse.

დავშთები თქვენი ერთგული და მორჩილი მოსამსახურე ნიკოლოზ ლოლობერიძე“.

ლოლობერიძე ტყუილად წუხს: შუხართმა მიიღო მისი 9 სექტემბერს გაგზავნილი წერილი, იგი არ დაკარგულა, როგორც ლოლობერიძე ვარაუდობდა. შუხართს მიუვიდა, ასევე, 26 სექტემბერს გაგზავნილი ორივე წერილი – გოთაშიც და გრაცშიც: მის არქივში სამივე წერილია დაცული.

9 ოქტომბერს ლოლობერიძე კიდევ ერთ წერილს აგზავნის გრაცში:

№3*

„ვენა, Hôtel Continental.
 9 ოქტომბერს 1896 წ.

მონყალეო ხელმწიფეო

მე მივიღე ორივე თქვენი წერილი. ამ თვის დამლევამდის მე არ შემიძლია აქ დავრჩე და დღეს ბათუმს მივიდვიარ. ამგვარათ მე წელს აღარ მექმნება ბედნიერება თქვენის ნახვისა. იმედი მაქვს, რომ შემდგომს დროში ველირსები თქვენს გაცნობას.

თქვენი ერთგული და ღრმად პატივისმცემელი

ნ.ლოლობერიძე“.

მართლაც, ჩანს, იმ წელს მათს შეხვედრას განხორციელება არ ენერა. საყურადღებოა, რომ შუხართმა ორივე წერილის პასუხი გაუგზავნა ლოლობერიძეს. ეტყობა, პირველ მათგანს რაღაც მიზეზით დაავიანდა ადრესატამდე მისვლა. ეს შეხვედრა მხოლოდ მომდევნო წელს, 1897-ში, შედგა. როგორც ალექსანდრე ბეშქენაძის წერილიდან ჩანს, ლოლობერიძემ გრაცში მოინახულა შუხართი. ამაზე მიგვანიშნებს მომდევნო წერილიც: დაუჯერებელია, ლოლობერიძეს გრაცის სანატორიუმში მკურნალობის კურსი ჩაეტარებინა და იქ შუხართს არ შეხვედროდა. გავიხსენოთ, როგორი დაჟინებით ცდილობდა იგი მასთან შეხვედრას. აბა, ასეთ ხელსაყრელ მომენტს როგორ გაუშვებდა იგი ხელიდან?!

№4

„სანატორიუმი „Maria Grün“, გრაცი
 5 სექტემბერი 1897

ძვირფასო ბატონო პროფესორო

პატივი მქონდა, მიმელო თქვენი კეთილმოსურნე წერილი გასული თვის 31 რიცხვისა. ძალიან კმაყოფილი ვარ სიახლეებით. მიხარია, რომ დედათქვენის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა და რომ თქვენ გადანყვიტეთ ვისბადენში გამგზავრება, სადაც დაისვენებთ თქვენი სამუშაოსაგან.

ამჟამად ვიმყოფები თქვენს ლამაზ და „მწვანე შტაიერმარკში“. სანატორიუმში მკურნალობა ჩემთვის ძალიან სასარგებლო გამოდგა. სავარაუდოდ, 2 კვირაში გავემზავრები ტფილისში, სადაც ჩემთვის ბინაა გამზადებული და სადაც ვფიქრობ დარჩენას.

ბატონი გოგიჩაიშვილი ამ მომენტისთვის მიუხეხენში უნდა იმყოფებოდეს. ლაიფციგში გამგზავრებას ოქტომბრის დასაწყისში ვაპირებ.

თქვენი ერთგული და ღრმად პატივისმცემელი

ნ.ლოლობერიძე“.

ეტყობა, ნიკო ლოლობერიძესა და შუხართს შორის საუკუნის მიწურულს გულითადი ურთიერთობა დამყარდა. ჩანს, მიმოწერა ინტენსიური არ ყოფილა, რადგან შუხართის არქივში ლოლობერიძის მხოლოდ ოთხი წერილია შემონახული (ყველა ევროპაში მისი ვიზიტის დროს შვეიცარიიდან და ავსტრიიდან არის გაგზავნილი და არცერთი – საქართველოდან), მაგრამ ლოლობერიძის მეგობრები და ნაცნობები საქართველოდან შუხართს სისტემატურად სწერდნენ ქართველი ქველმოქმედის შესახებ. ეს სიახლოვე, ალბათ, იქიდან დაიწყო, რომ ნიკო ლოლობერიძე უშურველად უგზავნიდა შუხართს მისთვის საჭირო ყოველგვარ წიგნს, რაც გრაცელ პროფესორს ქართულში გასანაფავად სჭირდებოდა, რაკი ესმოდა, რომ ამგვარი უანგარო დახმარება საბოლოოდ ქართული ენის კვლევის საქმეს წაადგებოდა. ასეთი სახელგანთქმული, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის ყოველი ნაშრომი ჩვენი ენის შესახებ ხელს შეუწყობდა ევროპელ მკვლევართა უფრო მეტად დაინტერესებას ჯერ კიდევ სათანადოდ არშესწავლილი, მათი სიტყვებით, „ერთობ თავისებური ეგზოტიკური კავკასიური ენის“ მიმართ. თუკი რომელიმე საჭირო წიგნის შოვნა გაჭირდებიდა, ლოლობერიძე მას თავის ბიბლიოთეკას აკლებდა და გრაცში აგზავნიდა. ამგვარად იგი არაერთ ძვირფას გამოცემას შეეღია. მეცენატი იყო და იცოდა, რა ნაბიჯები უნდა გადაედგა!

ქვემოთ გავეცნოთ ამონარიდებს სხვადასხვა ავტორის მიერ შუხართისადმი გაგზავნილი წერილებიდან, სადაც ნიკო ლოლობერიძე ლაპარაკობს.

ამ მხრივ განსაკუთრებით არტურ ლაისტი გამოირჩევა. იგი ხომ ის პიროვნება იყო, ვინც პირველმა გაუმართა ხელი გრაცელ პროფესორს გულისხმიერი რჩევითა და სათანადო ლიტერატურით და შესაფერისი კორესპონდენტებიც გამოუძებნა, რომლებიც შუხართს შემდგომში დახმარებას არ აკლებდნენ.

არტურ ლაისტის წერილებიდან:

„ერთ ჩემს მეგობარს უნდა, ზოგიერთი ქართული წიგნი გამოგიგზავნოთ, და სურს გაიგოს, სასურველი თუ იქნებოდა თქვენთვის, მაგალითად, საუკეთესო თანამედროვე ქართველი პოეტების თხზულებების გამოგზავნა? გაქვთ თქვენ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალში? მისი თარგმანი მე გამოვაქვეყნე დრეზდენში, ე.პირსონის გამომცემლობაში. მაცნობეთ, გეთაყვა, რომელ წიგნებს ისურვებდით, და ჩემი მეგობარი მაშინვე გამოგიგზავნით მათ“ (8.I.1896).

არტურ ლაისტის ეს მეგობარი რომ ნიკო ლოლობერიძეა, ჩანს მომდევნო წერილიდან:

„სია თქვენი წიგნებისა მაშინვე ჩემს მეგობარს, ბატონ ნიკოლოზ ლოლობერიძეს, გადავეცი და მან უკვე მისწერა თბილისში¹²², რათა ჯერ, მისი აზრით, თქვენთვის ყველაზე აუცილებელი წიგნები მოიძიოს, სხვებს კი მოგვიანებით მიიღებთ გამგზავნი ფირმის მეშვეობით. ვფიქრობ, ეს გზავნილი თქვენს ბიბლიოთეკას ერთგვარად შეავსებდა. ბერლინში ამჟამად სწავლობს ერთი ახალგაზრდა ქართველი ბატონი – ნოე ჟორდანიას. მას, ალბათ, შეუძლია დახმარება გაგინოთ ქართულ ენაში მეცადინეობისას. თუკი თქვენ ისურვებდით, მაშინ ბატონი ლოლობერიძე დაავალებდა მას, სააღდგომო არდადეგების დროს მოენახულებინეთ გრაცში“ (3.III.1896).

საგულისხმოა ტონი წერილისა: ლოლობერიძე დაავალებდა ჟორდანიას, ჩასულიყო გრაცში! იქნებ ჟორდანიას სხვა გეგმები ჰქონდა! შუხართს რომ ამ შეთავაზებაზე თანხმობა განეცხადებინა, მაშინ ლოლობერიძე ხომ ვეღარ გადათქვამდა მიცემულ პირობას! აქედან ჩანს, რომ ლოლობერიძეს დიდი გავლენა ჰქონდა ჟორდანიასზე. შეიძლება, სულაც, ლოლობერიძემ დააფინანსა, ნაწილობრივ მაინც, ჟორდანიას მივლინება ევროპაში სწავლის გასაგრძელებლად (როგორც, მაგალითად, ბეშქენაძის მივლინება გრაცის უნივერსიტეტში საკმარისად დიდი ხნით – დაახლოებით 4 წლით!).

„ბატონი ლოლობერიძე ორი თვეა, ვენაში იმყოფება, მაგრამ იქიდან მალე მიდის შვეიცარიაში. მან წერილობით დამავალა, თავისი ბიბლიოთეკიდან თქვენთვის ლექსიკონი გამომეგზავნა“ (30.VII.1896).

„ვჩქარობ გაცნობით, რომ ბატონ ლოლობერიძეს დღესვე მივწერ. მას ჩემთან, პირიქით, ხშირად გამოუთქვამს სურვილი თქვენი გაცნობისა და ვიმედოვნებ, თქვენ მისი საზოგადოებით კმაყოფილი დარჩებით. იგი განათლებული კაცია ნაღდი ქართული ყაიდისა (ფილოლოგი, გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი თბილისში, ამჟამად მარგანეცის საბადოს მფლობელი). რადგან მე ჯერ ბატონი უმიკაშვილისაგან¹²³ (რომელიც მისი საქმეთა მწარმოებელია) უნდა შევიტყო, ბატონი ლოლობერიძე ჯერ კიდევ ვენაში იმყოფება თუ არა, მის ადრესს ქვემოთ მიგიითითებთ... ჩემს წერილს თქვენ, ალბათ, უკვე გოთაში ნახავთ, ისე რომ, მაშინვე შეძლებთ ბატონ ლოლობერიძესთან შეთანხმებას, თუკი მას ამასობაში თქვენთვის არ ექნება წერილი გამოგზავნილი. ვენიდან იგი გერმანიაში ან შვეიცარიაში მიემგზავრება“ (28.VIII.1896).

¹²² იმჟამად არტურ ლაისტი ბათუმში ცხოვრობდა.

¹²³ პეტრე უმიკაშვილი (1838-1904) – პედაგოგი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1894-98 წლებში მუშაობდა შავი ქვის წარმოებაში ზესტაფონსა და ბათუმში.

„მიუხედავად ჩემი მცდელობისა, თქვენი შეხვედრა ბატონ ლო-
ლობერიძესთან ვერ განხორციელდა, რის გამოც იგი გულწრფელად
წუხს. თქვენ ჯერ კიდევ გოთაში იმყოფებით, როცა იგი ვენის
გავლით უკვე შინისკენ გამოემგზავრა“ (21.I.1897)

ნოე ჟორდანიას წერილიდან:

„ბატონმა ნიკოლოზ ლობობერიძემ თქვენთვის გადმოსაცემად
გამომიგზავნა ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსი-
კონი“. წიგნს დღეს გიგზავნით“ (25.III.1897).

პეტრე მელიქიშვილის წერილიდან:

„ჯერჯერობით გაცნობებთ იმათ მისამართებს, ვინც დაინტე-
რესებულია ენით“ (3.IX.1895). ამ სიტყვებს მოსდევს სია, რომელშიც
მელიქიშვილი თედო ჟორდანიას, გიორგი წერეთლის, იონა მეუნარ-
გიას, გრიგოლ წერეთლის, პეტრე უმიკაშვილისა და ილია ჭყონიას
გვერდით ასახელებს ნიკოლოზ ლობობერიძესაც.

ალექსანდრე ბეშკენაძის წერილებიდან:

„ეს ერთი კვირა იქმნება, ნიცციდან ბატონ ნიკოლოზ ლობობე-
რიძისგან წერილი მივიღე. ხომ გახსოვთ ბატონი ლობობერიძე, რო-
მელიც თქვენ აქ, გრაცში, 1897 წელს გაგიცვნიათ. იგი წერილში
მწერს: „ძლიერ მოხარული ვარ, რომ გრაცში მაგისთანა პატიოსანი
მაცნობი ადამიანი გყავთ, როგორც ბატონი პროფესორი შუხარდტი
ბრძანდებო“ და ამასთანავე მოგიკითხავთ თქვენ დიდის პატი-
ვისცემით“ (13.I.1906).

„როგორც ბატონი ლობობერიძე, ისე ბატონი პროფესორი თა-
ყაიშვილი, ყოფილი დირექტორი ჩვენი გიმნაზიისა, მირჩევენ და მო-
ითხოვენ, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც მე გრაცში ორი წელი გავატარე
და გერმანული ვისწავლე, რუსეთში უნდა დავბრუნდე და იქ პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტში პროფ. მარრის ხელმძღვანელობით... სომ-
ხურისა და ქართულის შესწავლა დავიწყო. ორივე ბატონი გამუდ-
მებით მწერს, რომ ორი წლის წინ გრაცში მხოლოდდამხოლოდ იმი-
ტომ გამომგზავნეს, რომ გერმანულში გავწაფულიყავი, რისი ცოდ-
ნაც ყველასთვის, განსაკუთრებით კი მომავალი ფილოლოგისთვის...
აუცილებელია... ისინი აგრეთვე მწერენ, რომ არსად შეიძლება ქარ-
თული ფილოლოგიის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის
ისე საფუძვლიანად და სერიოზულად შესწავლა, როგორც პეტერ-
ბურგში... ბატონი ლობობერიძისგან ამჟამად მე ჩემი სტიპენდიის
ერთ ნაწილს ვლებულობ, რის გამოც გარკვეულწილად თავს მორა-
ლურად ვაღებულებ ვგრძნობ, მას ანგარიში გაუწიო და, თუ აუ-
ცილებელი იქნება, მის რჩევას დავყვე“ (12.I.1908).

ამ სტრიქონებიდან კარგად ჩანს, როგორ ზრუნავდა ნიკოლოზ
ლობობერიძე, ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდებისთვის
შესაძლებლობა მიეცა, ევროპული განათლება მიეღოთ, რათა შემდ-

გომში სამშობლოს გამოსდგომოდნენ. თავის ჩანაფიქრს ლოლობე-რიძე ჭკვიანურად ახორციელებდა. რად ღირს, მაგალითად, მისი გა-დანყვეტილება, ბეშქენაძე მაინცდამაინც გრაცში გაეგზავნა და არა, ვთქვათ, ლაიფციგში, ბერლინში ან მიუნხენში. ამით მან, ერთი მხრივ, უფრო წყნარი მუშაობის საშუალება შეუქმნა ბეშქენაძეს, რადგან ზემოჩამოთვლილ ქალაქებში ქართველები შედარებით მრავლად იყვნენ და, ერთგვარად, ხელს შეუშლიდნენ მეცადინეო-ბაში, მეორე მხრივ, მას მკაცრი მეთვალყურე ეყოლებოდა შუხართის სახით, მესამე, მან მშვენიერი შესაძლებლობა მისცა თვით შუხართს, რომ გვერდით ჰყოლოდა ქართველი კაცი, რომელიც მას ქართულის შესწავლაში დახმარებას გაუწევდა. ლოლობერიძეს კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა ქართულით დაინტერესება ისეთი საქვეყნოდ აღიარებული, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერისა, როგორც ჰუგო შუხართი იყო.

ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილებიდან:

„მე უკვე მივწერე ბატონ ნ.ლოლობერიძეს იმ ყურადღებასა და კეთილ გრძნობებზე, რაც თქვენ გამოიჩინეთ მისი საჩუქრის – ჩუბინაშვილის ლექსიკონის – მიღებისას. გასულ წელს ბატონი ლოლობერიძე რამდენიმე თვით იმყოფებოდა ავსტრიაში. ჩამოვიდა რა ბათუმში, იგი ძალიან წუხდა, რომ არ მიეცა თქვენი ნახვის სა-შუალება“ (22.IV.1897).

„ბატონმა ნ.ლოლობერიძემ მიიღო თქვენი ნაშრომის „Zur Geographie und Statistik...“ ეგზემპლარი, რომელიც თქვენ გაუგზავნეთ, და მე ვალდებული ვარ შეგატყობინოთ, რომ ნ.ლოლობერიძე აღფრ-თოვანებულია თქვენი თავაზიანობით და გულწრფელ მადლობას გიხდით“ (12.VI.1897).

„ბატონი ლოლობერიძეც ნერვებით არის ავად. როგორც მისი წერილიდან ჩანს, წამლობა მას მარია-გრიუნში უხდება და თავს თან-დათან უკეთესადა ჰგრძნობს... ბატონ ლოლობერიძის წერილიდან გავიგე, რომ თქვენ გოთაში დედის ავადმყოფობის გამო ნაბრძა-ნებულხართ“ (16.IX.1897).

„დღეს გიგზავნით ფოსტით მარრის „Разыскания“-სა (შავ-თელისა და სხვათა შესახებ) და ს.ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულს“, რომელიც ბატონმა ლოლობერიძემ თქვენთვის გად-მომცა. სწორედ მან მოისურვა, რათა მისი ეგზემპლარი გამო-მეგზავნა თქვენთვის. იგი გითვლით საუკეთესო მოკითხვას და იმედოვნებს, რომ ოდესმე ჩვენთან მიეცემა საშუალება, რომ პირადად მოგესალმოთ“ (27.V.1902).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ილია ჭავჭავაძე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის იდეა ჩაისახა ქართველ მამულიშვილთა ვინრო წრეში. 1878 წლის 30 იანვარს გ.ორბელიანის თავმჯდომარეობით გამართულ კრებაზე წაიკითხეს წესდების პროექტი, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში წარადგინეს დ.ყიფიანმა, ი.ჭავჭავაძემ და ბ.ლოლობერიძემ.

საზოგადოების პირველი (დამფუძნებელი) კრება გაიმართა 1879 წლის 15 მაისს. პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დ.ყიფიანი, მოადგილედ – ი.ჭავჭავაძე. 1882-85 წლებში თავმჯდომარე იყო ი.მუხრანსკი, 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად თავკაცობდა ილია ჭავჭავაძე. საზოგადოების სასარგებლოდ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებანი. ძმებმა ზუბალაშვილებმა და დ.სარაჯიშვილმა დიდძალი თანხა შეიტანეს საზოგადოების საღაროში, თბილისის საადგილმამულო და ქუთაისის ბანკებმაც მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაუწიეს საზოგადოებას.

საზოგადოების საქმიანობიდან აღსანიშნავია ზრუნვა სკოლების დაარსებაზე, სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებაზე, მან თავი მოუყარა მრავალ ქართული ხელნაწერს ეკლესია-მონასტრებისა და კერძო პირებისაგან, შექმნა ძვირფასი მანუსკრიპტების მდიდარი ფონდი, საზოგადოების ინიციატივით დაარსდა დიდუბის პანთეონი, განჯიდან გადმოსვენეს ნ.ბარათაშვილის ნეშტი...

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იმაზეც იზრუნა, რომ ქართული კულტურის საუკეთესო ნიმუშები და ქართველ მეცნიერთა მიღწევები უცხოელთათვის გაეცნო, ხელი შეეწყო ქართულით დაინტერესებული უცხოელი მკვლევრებისათვის და მათთვის ევროპაში ძნელად საშოვნი საჭირო ლიტერატურით მოემარაგებინა. ხშირად ეს სრულიად უანგაროდ ხდებოდა.

გავეცნოთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ჰუგო შუხართის ურთიერთობას XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ წლებში, თვალი მივადევნოთ ქართველ მამულიშვილთა საქმიანობას კულტურულ ფრონტზე, სამეცნიერო სფეროში, ვნახოთ, თუ როგორი თავგამოდებით ცდილობდნენ, თავიანთი ქვეყნის სახელი ღირსეულად წარმოეჩინათ ევროპულ სარბიელზე.

აქ წარმოდგენილი წერილების ნაწილი დაცულია გრაციის უნივერსიტეტში, ჰუგო შუხართის არქივში, ნაწილი კი თბილისში, სხვადასხვა არქივში მოვიძიე. დიდად დამეხმარა შ.გოზალიშვილის წიგნი „ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“ (1973), რომელშიც თბილისში დაცული შუხართის წერილების ნაწილის ასლებია გადმოღებული. ჰუგო შუხართსა და წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამდივნოს შორის მიმოწერის სრული სურათი რომ გვექონდეს, შ.გოზალიშვილის მიერ მოპოვებულ მასალებსაც მოვიშველიებ, ოღონდ ორიგინალთან უფრო მიახლოებული თარგმანით. საერთოდ კი შევეცადე, შ.გოზალიშვილისეულ თარგმანში ნაკლებად/ჩავრეულებიყავი, რაკი მის გამოკვლევას ვეყრდნობი.

წარმოდგენილი მასალა, ძირითადად, მოიცავს 1895-97 წლებს. ამ პერიოდში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივანი იყო დავით კარიჭაშვილი (1862-1927) – მწერალი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორი და ამ საზოგადოების ხელნაწერთა კატალოგის შემდგენელი.

ჰუგო შუხართი წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წერილებს მეტწილად ფრანგულად სწერდა, რადგან, როგორც ერთერთ წერილში არტურ ლაისტმა აცნობა, ჯობდა, საზოგადოების გამგეობისათვის ფრანგულად მიენერა, რაკი იქ გერმანული არავინ იცოდა. საგულისხმოა, რომ მოსე ჯანაშვილს, ალექსანდრე ხახანაშვილს, ნიკო მარსს, აკაკი შანიძეს და სხვებსაც შუხართი გერმანულად სწერდა. ბუნებრივია, არტურ ლაისტსა და გერმანულუნივერსიტეტიდამთავრებულ ლეო ლოპატინსკისთან სასაუბროდ მშობლიურ გერმანულს იყენებდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ შუხართი ჩიქორთული ქართულით დაწერილ წერილებს აგზავნიდა თბილისში, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა, უფრო კი მის გერმანულ თუ ფრანგულ წერილებში გამოერევა ხოლმე ქართულად დაწერილი ცალკეული სიტყვები, ფრაზები და აბზაცებიც კი. თავის წერილებში შუხართი ქართულ საკუთარ სახელებსა და ამა თუ იმ ქართული წიგნისა თუ ჟურნალის დასახელებას ორიგინალის ენაზე წერდა. ასეთ შემთხვევაში ქართული ფრაგმენტებს კუთხოვან ბრჭყალებში ვსვამ.

ჰუგო შუხართი ილია ჭავჭავაძეს პირადად არ იცნობდა. წერილები ილიას გრაციიდან ეგზავნება, როგორც ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს. ამიტომ ჩავთვალე, რომ უპრიანი იქნებოდა ილიასათვის გამოგზავნილი წერილების სწორედ ამ განყოფილებაში მოთავსება.

შემონახული წერილებიდან ქრონოლოგიურად პირველი წერა-კითხვის გამგეობის თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძის, სახელზეა გაგზავნილი.

№1

„გრაცი, 11 ივნისი 1895
 ელიზაბეთშტრასე 6

ბატონო!

იქნებ სიკეთე მიყოთ და მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა მიშოვოთ „ივერიის“ ის ნომრები (1884-1885...?), რომლებშიც მოთავსებულია ბ.ჩუბინაშვილის წერილი: «ეტიმოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა (იხ. ქართ. ღრამმ. 1887 წ. XV)».

ამავე დროს ძალიან მსურს ვიცოდე, თუ არის ამ ჟურნალში სხვა წერილები, რომლებიც ქართულ ენათმეცნიერებას ეხება.

გთხოვთ მაპატიოთ შეწუხებისთვის. მე ძალიან დაინტერესებული ვარ ქართული ენით. «ეხლა დავინწყებ კითხვასა თქვენს წერილისა: „ვლადიკავკასიიდან ტფილისამდე“, მაგრამ ძალიან ძნელია ჩემთვის. თქვენი აღმატებულების პატივისმცემელი»

დოქტ. ჰუგო შუხარტი
 გრაციის უნივერსიტეტის პროფესორი,
 ვენის სამეფო აკადემიის წევრი,
 საფრანგეთის ინსტიტუტის კორესპონდენტი და ა.შ.“

№2

„გოთა, 25 ოქტომბერი, 1895

ბატონო!

ეს-ეს არის ბატონმა ხახანაშვილმა მომწერა, რომ შესაძლოა თქვენგან მივიღო მისი წიგნის – „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ – პირველი ტომი და «ივერიის» ის ნომრები, რომლებშიც მოთავსებულია მისი წერილი «კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში».

იქნებ კეთილინებოთ, გადმომიგზავნოთ ეს ორი რამ და, თანაც, მაუწყოთ მათი ფასი და გადმოგზავნის ხარჯები, რითაც უსაზღვროდ ვიქნები თქვენგან დავალებული. გთხოვთ მიიღოთ, ჩემო თავადო, თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა.

დოქტ. ჰუგო შუხარტი
 გრაციის (ავსტრია) უნივერსიტეტის პროფესორი,
 ელიზაბეთშტრასე 6“

ამ წერილის პასუხად 1895 წლის 16 ნოემბერს ილიამ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა შუხართს გრაცში:

№3

„Тифлис
 16 ноября 1895 г.

Милостивый государь,

Имею честь препроводить 1-ый выпуск Очерков по истории грузинской словесности и те нумера газеты «Иверия», в коих напечатаны: «კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში». Прошу о стоимости присылаемого не беспокоиться, ибо одно удовольствие, что Вы занимаетесь грузинскою литературою, вознаграждает нас вполне.

Примите уверение в моем глубочайшем уважении

Илья Чавчавадзе“.

ილიას კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა შედეგს მოუტანდა მის ერს ამგვარი კეთილი დამოკიდებულება და უანგარო ზრუნვა ქართველი ერის ბედითა და მისი კულტურით დაინტერესებულ მოღვაწეთა შემოსამტკიცებლად, მას კარგად ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა შუხართის დონის მკვლევართა დაინტერესებას ქართული ენით და მათთვის ხელის შეწყობას. ამიტომ იყო, რომ ჰუგო შუხართს ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობის დროს სისტემატურად აწვდიდნენ მისთვის საჭირო წიგნებს ქართული ენის შესახებ და დიდძალ ნიმუშებს ქართული ლიტერატურისას, რის მიმართაც სახელგანთქმული ავსტრიელი მეცნიერი მეტად დიდ ინტერესს იჩენდა. ამაზე მეტყველებს მისი არქივი, სადაც უამრავი წიგნი არის შემონახული ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ, ხშირად ზოგიერთი გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარიც კი, რასაც გრაცელ პროფესორს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები თუ მეცნიერები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უგზავნიდნენ.

№4

„გოთა, 26 ოქტომბერი 95

ბატონებო!

მოგმართავთ რა არტურ ლაისტის (ბათუმიდან) რეკომენდაციით, რომელსაც თქვენთვის ჩემი ინტერესები უნდა გაეცნო, თავს ნებას ვაძლევ, გთხოვოთ, რომ გადმოგიგზავნოთ ანგარიში და თქვენი გამოცემების სია. რადგან ამჯერად დანამდვილებით არ ვიცი, თუ რა წიგნები გაქვთ გამოცემული თქვენ ან სხვა საზოგადოებას («ქართველთა ამხანაგობა»), მე ალგინიშნავთ მათ, რომლებიც განსა-

კუთრებით მაინტერესებს და რომელთა მიღებაც მსურს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

«ქუთათელაღე¹²⁴, ა. – პირველ-დანყებითი ქართული გრამატიკა, 1888 ან 1889

გვარანაძე, კ. – ხალხული მესხური ლექსები, ახალ-სენაკი, 1894

? – ფშავეური ლექსები

ჭიჭინაძე – ქართველთ მაჰმადიანთ სახალხო ლექსები, 1891

ლონლაძე, ს. – ნიმუში ქართველთა ერის პოეზიისა, 1892

ვეფხისტყაოსანი (საუკეთესო გამოცემა)

გაბაშვილი, ე. – სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდან, 1888

სანდალა – წერილები ქართულს მწერლობაზე, 1888

თაყაიშვილი, ე. – სამი ისტორიული ხრონიკა, 1890

ვიქტორ ჰიუგო – უკანასკნელი დღე სიკვდ. დასასჯ., 1891»

Ахпателов М. – Самоучитель русского языка с помощью груз.

ЯЗЫКА

Насидзе – Учебник груз. языка для русских, 2. изд., 1894.

ამ წიგნებს ან ზოგიერთ მათგანს, რომელიც კი მოგეპოვებათ, რომ გამომიგზავნით, გთხოვთ მიყოთ სიკეთე და მაცნობოთ მათი ფასი და გადმოგზავნის ხარჯები, რათა დაუყოვნებლივ გაგისწოროთ ანგარიში.

შეგიძლიათ მომწეროთ რუსულად ან ქართულად.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონებო, თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა

დოქტორი ჰუგო შუხართი,

ვენის სამეფო აკადემიის წევრი,

საფრანგეთის ინსტიტუტის კორესპონდენტი და ა.შ.

ჩემი ადრესია: გრაცი, ელიზაბეთშტრასე, 6“.

წიგნების სია შუხართს ქართულად დაუწერია და სათაურების გადმონერისას შეცდომები მოსვლია.

№5*

„1 გიორგობისთვეს 1895 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო შუხართ!

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა, რომელიც დიდად აფასებს თქვენს შრომას ქართულის ენისათვის, ფრიად ბედნიერად ჩათვლის თავის თავს, თუ როგორმე დაგეხმარებათ ქართულის ენის შესწავლაში და მის მეცნიერულად გამო-

¹²⁴ ავტორისეული მართლწერა ყველგან დაცულია.

კვლევაში. ამ აზრით იგი მოვალედ თვლის თავის თავს, მოგანოდთ როგორც ყოველნაირი ქართული წიგნი, რომელიც კი თქვენის შრომისთვის საჭირო იქნება, აგრეთვე ყოველნაირი თქვენთვის გამოსადეგი ცნობა.

ამხანად გამგეობა გიგზავნით თქვენ მიერ დაბარებულს წიგნებს, რომლებიც კი მოიპოვებიან საზოგადოების წიგნის მალაზიაში, ამ მალაზიის წიგნების კატალოგს, საზოგადოების მოქმედების ანგარიშებსა და ზოგიერთს საზოგადოების და სხვათა მიერ გამოცემულს წიგნებს, რომლებიც თქვენთვის არ იქმნებიან გამოუსადეგარნი.

გთხოვთ უმორჩილესად ამ წიგნების მიღება გვაუწყოთ. აი მათი სია (იხილეთ გასულის წიგნების ანგარიში №282)

თავმჯდომარე საზოგადოებისა
მდივანი “.

ჯერ ერთი, აქ არაა თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერები, მეორე, როგორც შ.გოზალიშვილი აღნიშნავს, ამ წერილზე დართულია „ფოსტის ორი ქვითარი ავსტრიაში, ქ.გრაძში, ჰუფო შუხართის სახელზე 1895 წლის 1 ნოემბერს გაგზავნილი წიგნების ამანათებისა“¹²⁵, მაგრამ მის გამოცემაში არაა ბოლო წინადადება: „აი მათი სია (იხილეთ გასული წიგნების ანგარიში №282)“. სამაგიეროდ წერილის დედანი და შუხართისთვის შეთავაზებული ლიტერატურის სიაც დაცულია გრაძში, შუხართის არქივში. სწორედ ამ სიას ახლავს საზოგადოების თავკაცების ხელმოწერები. აი, ხსენებული სია:

1. პირველი დაწყებითი ქართული გრამმატიკა არ.ქუთათელაძისა
2. ფშავური ლექსები, შეკრებილი დავით ხიზანიშვილის მიერ
3. ქართველთ მაჰმადიანთ სახალხო ლექსები
4. ნიმუშები ქართველთა ერის პოეზიისა
5. ქართული ანდაზები
6. ქართული გამოცანები
7. სვანური ზღაპრები
8. ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა
9. სამი ისტორიული ხრონიკა ექ.თაყაიშვილისა
10. ახალი ვარიანტი წმ.ნინოს ცხოვრებისა, მისივე
11. უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა
12. Учебник грузинского языка для русских М.Насидзе
13. ვისრამიანი
14. ქილილა და დამანა
15. ახალი ქართული გრამმატიკა დ.ყიფიანისა
16. დედა-ენა ი.გოგებაშვილისა

¹²⁵ შ.გოზალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

17. Русское слово, ч. I, მისივე
18. იგივე, II ნაწილი, მისივე
19. Руководство для учителей и учительниц, მისივე
20. ლექსები ნ.ბარათაშვილისა
21. თხზულებანი რ.ერისთავისა
22. დავითიანი, თქმული დავით გურამიშვილის მიერ
23. ქართული ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა
24. Опыт русско-грузинского словаря К.Багаева
25. მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა
26. ბუნების კარი ი.გოგებაშვილისა

საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე
მდივანი დ.კარიჭაშვილი“.

№6*

ეს წერილი ქართულად არის დაწერილი, მხოლოდ ხელმოწერა ტიტულებითურთ და უკანასკნელი აბზაცია ფრანგულად.

« გრაცი, ელიზაბეთშტრასენ
27 გიორგობისთვეს 1895

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის
საზოგადოების გამგეობასა

დიდად პატივცემულნო ბატონნო!

ცოტა დღის წინათ თქვენი წერილი მივიღე და გუშინ წიგნები, რომელნი ჩემთვის დაგენიშნათ. დიდად გმადლობთ ყოველისათვის. ქართულად წერა მინდომია, და, რა საკვირველია, ვერ ვიტყვი, თუ არა ცუდად და მოკლედ, რა მოვალედ ვთვლი ჩემს თავს ვსთქვა, რადგანაც დიდი ხანი არ არის, რაც დავინყე ქართულის ენის შესწავლასა (პროფ. მელიქიშვილთან სწავლოდა არა შარშან – როგორც თქმულია „ივერია“-ში №202 – მაგრამ ამ წლისა მაისი და ივნისის-თვეში.

წარმოგ ზავნილნი წიგნები ჩემთვის იქნება ფრიად სასარგებლო და იმედი მაქვს, რომ თავის დროს გერმანულს ენისა ზედ შემძილება გამოცემა განხილვისა ქართულის აწინდელის ლიტერატურისასა.

ღავშთები თქვენი უმორჩილესი მონა »

ჰ.შუხართი
ვენის სამეფო აკადემიის წევრი,
საფრანგეთის ინსტიტუტის კორესპონდენტი,
უნგრეთის მეცნ. აკადემიის უცხოელი წევრი,

რუმინეთის აკადემიის საპატიო წევრი,
 ბოლონიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და ა.შ.

არ ვიცი, ბატონებო, გაიგებთ თუ არა ამ ჟარგონს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში თქვენ დაინახავთ თქვენდამი ჩემს კეთილგანწყობას. რაკი ძალიან ვჩქარობ, – რადგან არ მინდა გალოდინოთ, – ნება მიბოძეთ, მოგმართოთ თხოვნით ფრანგულ ენაზე: შეგიძლიათ მაცნობოთ, არსებობს თუ არა ამჟამად გორის მონასტერში პატრი ჯიროლამოს მიერ იტალიურ ენაზე შედგენილი გრამატიკა, აგრეთვე ხომ არ არის იქ იტალიელი მისიონერების სხვა შრომები ქართული ენის შესახებ?“

№7*

ეს წერილიც ქართულადაა დაწერილი. იგი პასუხია 1 ნოემბერს თბილისიდან გაგზავნილი წერილისა. 27 ნოემბერს გაგზავნილი წერილი შუხართს, ცხადია, ჯერ არ მიუღია.

«8 დეკემბრისთვის 1895
 ქ.გრაცი

მონყალეო ხელმწიფევ!

გუშინ მივიღე თქვენი წერილი და დღეს დაბარებული წიგნები. დიდად გმადლობთ ამისათვის. დავშთები მარად-ჟამ ქვენი (sic!) პატივისმცემელი»

ჰუგო შუხართი“.

შუხართის 27 ნოემბრის წერილის პასუხად დ.კარიჭაშვილმა მიმართა საზოგადოების წარმომადგენელს, მისი სიტყვებით, „თავისს აგენტს გორში“ – იოსებ სააკოვს, გაერკვია შუხართისთვის საინტერესო საკითხი:

№8

„მონყალეო ხელმწიფევ იოსებ გიორგის ძევ!

გრაციის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰუგო შუხარტმა, რომელიც სწავლობს და იკვლევს ქართულს ენას, მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობას თხოვნით, რომ შეატყობინოს მას: მოიპოვება თუ არა ამჟამად გორის კათოლიკეთა ეკლესიაში ქართული გრამატიკა, შედგენილი იტალიურს ენაზედ მამა ჯიროლამო და ნორჩის მიერ (P.Girolamo da Norcia), ან რომელიმე სხვა ნაწერები იტალიელის მისიონერებისა ქართულის ენის შესახებ. რადგანაც საზოგადოების გამგეობა მოვალედ ხდის თავის თავს, დახმარება გაუწიოს ხსენებულს მეცნიერს ქართულის ენის შესწავლასა

და გამოკვლევაში, ამიტომ უმორჩილესად გთხოვს თქვენ, მოიკითხოთ ზემო-ხსენებულს ეკლესიაში დასახელებული გრამატიკა და სხვა ნაწერი და გვაცნობოთ, თუ აღმოჩნდებიან.

საზოგადოების მდივანი “

როგორც ჩანს, სააკოვმა დროულად ვერ შეასრულა კარიჭაშვილის თხოვნა, ნაუყრუა. შუხართი ამაოდ ელოდა პასუხს. მაშინ მან მოსე ჯანაშვილი ჩარია ამ საქმის მოსაგვარებლად. 1896 წლის 8 იანვარს შუხართი გოთადან, თავისი მშობლიური ქალაქიდან, სადაც დედის მოსანახულებლად იყო ჩასული, ახლა უკვე მოსე ჯანაშვილს უგზავნის წერილს, რომელშიც, სხვათა შორის, წერს:

„მე არ ვარ მთლად დარწმუნებული, ჩემს წერილში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიმართ დავუსვი თუ არა მათ კითხვა: აქვს თუ არა გორის კათოლიკურ ეკლესიას ბიბლიოთეკა და არის თუ არა იქ ხელნაწერი გრამატიკა გასული საუკუნის ერთი იტალიელი მისიონერისა. თუ თქვენ, როგორც მე ვვარაუდობ, ამ საზოგადოების წევრი ხართ, მაშინ გთხოვდით, ეს საქმე შეგეხსენებინათ მათთვის“.

პასუხის მიღებას კარგა ხანი დასჭირდა. ეტყობა, ჯანაშვილმა ენერგიულად იმოქმედა და გოთადან წერილის გამოგზავნიდან ორი თვის თავზე თბილისიდან საპასუხო წერილი იგზავნება გრაცში:

№9*

„7 მარტს 1896 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო შუხართ!

თქვენის წერილისა გამო 27 გიორგობისთვისგან 1895 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ სთხოვა თავის აგენტს გორში, რომ მოეკითხა იქაურს კათოლიკეთა ტაძარში ჯიოროლამო და ნორჩიას ქართული გრამატიკა. საზოგადოების აგენტმა ახლა შეატყობინა გამგეობას, რომ ხსენებულის ტაძრის წიგნთსაცავში არა ჩანს ეს წიგნო.

გაუწყებთ რა ამას, დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი საზოგადოების მდივანი

დ. კარიჭაშვილი“.

№10*

„22 მარტს 1896 წ. ქ. ტფილისი

დიდად პატივცემულო ბატონო შუხართ!

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობის

გადაწყვეტილებით დღეს, 22 მარტს, გამოგეგზავნათ ფოსტით წიგნები ამასთანავე წარმოგზავნილის სიით, რიცხვით 24. გთხოვთ უმორჩილესად ამ წიგნების მიღება გვაცნობოთ.

საზოგადოების მდივანი “

წერილს ახლავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მალაზიის ანგარიში (№ 114), რომელშიც გაგზავნილი წიგნების სიაა მოცემული:

„თხზ. ყაზბეგისა (I, II, III, IV); თხზ. აკაკისა I, იგივე II; თხზ. ილ.ჭავჭავ. (I, III, IV); საქართველოს ისტორია ვახუშტი.; საქართველოს ისტორია ბაქრ.; თხზ. რ.ერისთავისა I, თხზ. გ.ერისთავისა; ჰამლეტი, ოტელო; მაკბეტი; რიჩარდ მესამე; მეფე ლირი; თხზ. ან.ფურცელაძე.; ლექსები ნ.ბარათაშვილი.; ლექსები გრ.ორბელ.; ლექსები ალ.ჭავჭავაძე.; რამდენიმე მოთხრ. ნინ.“

შუხართის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი გრაციდან 1896 წლის 8 მაისს გამოგზავნილი წერილი სამადლობელი პასუხია მარტის თვეში თბილისიდან ავსტრიაში გადაგზავნილი წერილისა და 24 წიგნისათვის.

№ 11

„გრაცი, 8 მაისი 1896

ბატონებო,

ნეაპოლში ერთი თვით ყოფნის შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, დამხვდა ქართული წიგნების დიდი შეკვრა, რასაც თქვენ უნდა გიმადლოდეთ. გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი კეთილგანწყობილების ხელახლა დადასტურებისათვის და ვეცდები, ღირსეულად დავაფასო.

Torre del Greco-ში აღმოვაჩინე ქართულ ხელნაწერთა დიდი რაოდენობა, ყველა კაპუცინ პატრი ბერნარდო ნეაპოლელის (მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი) ხელით დაწერილი. გიგზავნით ბანდეროლით გერმანული გაზეთის იმ ნომერს, რომელშიაც დანვრილებით ვლაპარაკობ ამ აღმოჩენის შესახებ¹²⁶.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონებო, თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა.

გწერთ ფრანგულად,

რადგან ძალიან ვჩქარობ

ჰ.შუხართი“.

¹²⁶ შუხართს მხედველობაში აქვს სტატია „ქართული ხელნაწერები Torre del Greco-ში“: დამატება გაზეთისა „Allgemeine Zeitung“, № 101, 1896.

ჩემო ბატონო!

გმადლობთ ჩუბინაშვილის «„ეტნოგრაფიული განხილვისა“ და სხვ.» გადმოგზავნისთვის და ბოდიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისათვის.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო, თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა.

პ. შუხართი“

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დროდადრო შუხართს მისთვის საჭირო ქართული წიგნებით ამარაგებდა. ნაწილს თვითონ შუხართის მოთხოვნის საფუძველზე აგზავნიდნენ გრაცში, ნაწილი კი თვით გამგეობის შეხედულებით იყო შერჩეული. შუხართს ძალზე ბევრი ქართული წიგნი დაუგროვდა ბიბლიოთეკაში. მას არც კერძო პირები, განსაკუთრებით კოლეგები და ნაცნობები, აკლებდნენ ყურადღებას და, მათი ფიქრით, სანტერესო წიგნებს აახლებდნენ ხოლმე. გარდა თბილისიდან გაგზავნილი ბანდეროლებისა, მას საჩუქრად მისდიოდა მოსკოვიდან, პეტერბურგიდან და ოდესიდან იქ მოღვაწე ქართველ სწავლულთა ავტორისეული ეგზემპლარები. ასე, მაგალითად, ა. ცაგარელი და ა. ხახანაშვილი პირადად უგზავნიდნენ საკუთარ ნაშრომებს ქართულით დაინტერესებულ ლინგვისტს. ასევე იქცეოდნენ მოგვიანებით ნიკო მარრი, აკაკი შანიძე და სხვანი. მაგრამ ლიტერატურის ძირითადი ნაწილი შუხართს მაინც თბილისიდან მისდიოდა.

ზოგი გამოცემა იმხანად წიგნის მაღაზიებში აღარ მოიპოვებოდა და თბილისელი მზრუნველები ბუკინისტების დახმარებით ცდილობდნენ საჭირო წიგნების შოვნას თბილისსა თუ პეტერბურგში, რომ, შეძლებისდაგვარად, შეენყობოთ ხელი გრაცელი პროფესორისათვის. ასეთი ყურადღების ნყალობით შუხართს ქართული წიგნები არ აკლდა. ამით აიხსნება, რომ მის ბიბლიოთეკაში ამა თუ იმ გამოცემის რამდენიმე ერთნაირ ეგზემპლარსაც იპოვის კაცი.

12 ოქტომბერს გრაცში ახალი ბანდეროლი გაიგზავნა (5 წიგნი), რომელსაც მალე წერილიც მიჰყვა იაკობ გოგებაშვილისა და კარიჭაშვილის ხელმოწერით.

№ 13*

„16 ღვინობისთვის [1896 წ.],
ქ. ტფილისი

მონყალეო ხელმწიფეე ბატონო შუხართ!

რადგან წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ შეიტყო, რომ თქვენთვის საჭირო ყოფილა ქართული დაბადება და გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ამიტომ ეს წიგნები გამოგიგზავნათ მან ფოსტით 12-ს ამ თვისა. გამგეობას სურდა გამოეგზავნა თქვენთვის აგრეთვე ვახუშტის გეოგრაფია, რომელსაც დართული აქვს საქართველოს ქარტები, მაგრამ რადგან ეს წიგნი ამჟამად საზოგადოების მალაზიაში აღარ მოიპოვება, იგი გამოგიგზავნებთ მაშინ, როდესაც მივიღებთ პეტერბურლითგან.

გთხოვთ უმორჩილესად წიგნების მიღება გვაცნობოთ.

ამას გარდა გამგეობა გთხოვთ უმორჩილესად, გამოგიგზავნოთ ქართული სია იმ წიგნებისა, რომლებიც აღმოჩენილან Torre del Greco-ში.

საზოგადოების თავმჯდომარის
 მაგიერი

იაკობ გოგებაშვილი

საზოგადოების მდივანი

დ.კარიჭაშვილი“.

ამ წერილს თარიღი სრულად არ აწერია. 189... წ. —

ასეა დედანში. როგორც ჩანს, დ.კარიჭაშვილს დავიწყებია სათანადო ციფრის ჩაწერა დაბეჭდილ ბლანკზე. მაგრამ წლის დადგენა ძნელი არაა. შუხართის მიერ საზოგადოების გამგეობის სახელზე გრაციიდან 1896 წლის 8 მაისსა და 7 ნოემბერს გამოგზავნილი წერილების საფუძველზე ადვილი დასადგენია, რომ აღნიშნული წერილიც 1896 წელსაა დაწერილი.

№ 14

„გრაცია, 7 ნოემბერი 1896

ბატონებო,

ეს-ესაა მივიღე თქვენგან გამოგზავნილი ოთხი ტომი და გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი და ვჩქარობ, რომ გადაგიხადოთ გულწრფელი მადლობა.

რაც შეეხება ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ვახუშტის ნაშრომს, მე იგი უკვე რამდენიმე წელია რაც მაქვს. მაგრამ, რადგან იქ ბევრი ტოპონიმი აკლია, ზოგს კი განსხვავებული ფორმა აქვს, მე ვთხოვე ბ-ნ ა.ლაისტს, გამოეგზავნა ჩემთვის «კარტა საქართველოსი», გამოქვეყნებული ბ-ნ გოგებაშვილის მიერ (უკანასკნელი გამოცემა), რომელიც ორი თუ სამი «აბაზი» ღირს, უფრო დიდი, ვიდრე ეს «ბუნების კარშია».

ბოდიშს ვიხდი, რომ ამჯერად ვერ გწერთ ქართულად, როგორც წარსულ ზაფხულში. ძალიან ვჩქარობ, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ვიკვლევ ქართულ მასალებს: მე გამომიგზავნეს ოთხი ქართული

ხელნაწერი, დანერილი პერგამენტზე «ხუცური» ასოებით, ეკუთვნის გარდასულ ეპოქებს: მათგან ორი ლიტურგიკული წიგნია, ერთი დავითნი და ერთი ც მ. სიმონის ცხოვრება. მთხოვეს, რომ ისინი შევამოწმო და მიახლოებით მაინც შევაფასო მათი ლირებულება, რადგან მათს ყიდვას აპირებენ. ეს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. გარდა ამისა, წასაკითხი მაქვს კორექტურები პატარა სტატიისა ქართული გრამატიკის ისტორიის შესახებ და ბევრად უფრო ვრცელი ნარკვევისა „ქართველურ ენათა გეოგრაფიასა და სტატისტიკაზე“, რომელიც შედგენილია უმთავრესად ბ-ნ კონდრატენკოს ეთნოგრაფიული ატლასის მიხედვით. აი, ამ შრომისათვის მჭირდებოდა ტოპონიმთა ქართული ფორმები; თუ თქვენ კეთილინებედით და გამომიგზავნიდით ბ-ნ გოგებაშვილის რუკას, მე კიდევ მექნებოდა დრო, გამომეყენებინა იგი დანართისათვის.

ბ-ნ ჰარასოვიცს – წიგნის გამომცემელს ლაიფციგში, მეტად ჭკვიანსა და აქტიურ კაცს, ძალიან სურს თქვენთან ურთიერთობის გაგრძელება, მაგრამ იგი გთხოვთ, მისწეროთ მას ფრანგულ ან რუსულ ენაზე, რადგან მან არ იცის ქართული...

რამდენიმე დღის წინ ბედნიერება მქონდა, მიუნხენში ორიოდე საათი გამეტარებინა თქვენს თანამემამულე ნოე ყორდანასთან.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონებო, თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა.

ჰ. შუხართი“

მცირე ხნით გადავუხვიოთ თემას და ვნახოთ, როგორ გამოეხმაურა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა შუხართის შუამავლობას. გამგეობამ სწორად განსაჯა, რომ ოტო ჰარასოვიცთან, ცნობილ ლაიფციგელ წიგნებით მოვაჭრესა და ანტიკვართან, საჭირო იყო თანამშრომლობა, რადგან, ძირითადად, ოტო ჰარასოვიცი ამარაგებდა ევროპაში ქართულით დაინტერესებულ პირებს საქართველოში (იშვიათად – რუსეთშიც) გამოცემული მათის აუცილებელი წიგნებით. ამიტომ მასთან თანამშრომლობა საზოგადოებისთვისაც სასარგებლო უნდა ყოფილიყო. ეტყობა, ეს კავშირი დამყარდა კიდევ. ყოველ შემთხვევაში, 1897 წლის 29 აპრილს ოტო ჰარასოვიცმა სთხოვა საზოგადოებას, მისთვის შემდეგი წიგნები მიეწოდებინათ:

- ა. ყაზბეგის თხზულებები, 1891-92
- ი. ჭავჭავაძის თხზულებები, 1892-93
- აღნიაშვილის ზღაპრები, 1891
- ა. ფურცელაძე, 1892
- ანტონის გრამატიკა
- ყიფიანის გრამატიკა, 1882
- რაფ. ერისთავის თხზულებები, 1884.

ჰარასოვიცის წერილი დაწერილია ფრანგულად და მიმართულია დავით კარიჭაშვილისადმი. პასუხსა და ნიგნების საფასურის ანგარიშს დ. კარიჭაშვილი ჰარასოვიცს დროულად უგზავნის.

ახლა კვლავ შუხართისა და წერა-კითხვის საზოგადოების მიმართ წერას მივუბრუნდეთ.

№ 15

„გრაცი, 28 თებერვალი 1897

ბატონებო,

იქნებ მეტიმეტი კადნიერებაა, კვლავ გთხოვოთ ერთი დახმარება? თუ შეგიძლიათ, სიკეთე მიყავით და გამომიგზავნეთ:

«გვარანაძე, მესხური ლექსები, ახალსენაკი, 1894

ჭიჭინაძე, ქართვ. მაჰმად. ლოცვები, ტფ. 1891»

(იმავე ავტორის «ლექსები», რომლის 1 ნომერი მაქვს, შემდეგი კი - არა)

«მოხევეების» ხალხური სიმღერების კოლექცია, გამოცემული ტფილისში, 1886.

ვიმედოვნებ, რომ ცოტა ხანში შევძლებ, გამოგიგზავნოთ ნარკვევი ქართველურ ენათა გეოგრაფიაზე, რომელიც კარგა ხანია, რაც აწყობილია, მაგრამ გამოქვეყნდება მხოლოდ „სამეცნიერო მიმომხილველის“ მარტ-აპრილის ნომერებში.

გარდა ამისა, მე ვამზადებ ცნობებს ქართულ ხელნაწერებზე, რომლებიც ჩემს ხელთაა (ამათგან სამი «ასო-მთავრ.»)“. თუ თქვენ გაქვთ ჩემთვის განკუთვნილი ერთი ან ორი ლიტურგიკული ნიგნი, დაბეჭდილი «ხუცურით», ძალიან დამავალბდით; მე იმით რამდენადმე ვისარგებლებდი ჩემი იმ ნარკვევისათვის, რომელთა შესახებ ეს-ესაა მოგახსენეთ.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონებო, თქვენდამი ჩემი უდიდესი პატივისცემა და გულწრფელი მადლობა.

ჰუგო შუხართი“.

აქ ნახსენებ ქართულ ხელნაწერებზე ღირს საგანგებოდ შეჩერება. შუხართი მათ შესახებ წინა წერილშიც საუბრობს. საქმე ეხება შემდეგ: 1896 წლის ოქტომბერში ავსტრიელმა მხატვარმა, ალფონს ლეოპოლდ მილიხმა, ვენის კარის ბიბლიოთეკას 4 ქართული ხელნაწერი შესთავაზა შესასყიდად. ბიბლიოთეკის მაშინდელმა დირექტორმა, ჰაინრიხ ფონ ცაისბერგმა, რომელიც მეტად ფროთხილი კაცი იყო, შემთხვევითობისგან თავი დაიზღვია და წინდახედული ნაბიჯი გადადგა: ხელნაწერები შესამონმებლად, მათი შინაარსისა და ღირებულების დასადგენად იმხანად ავსტრიაში ქართულის საუკეთესო

მცოდნეს, ჰუგო შუხართს, გაუგზავნა. შუხართმა ა. ცაგარლის კატალოგის მიხედვით მალე გაარკვია, რომ ბიბლიოთეკისთვის შეთავაზებული ხელნაწერები სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის კუთვნილება იყო, ასე რომ, მფლობელს ხელნაწერები არაკანონიერი გზით უნდა ჰქონოდა ხელთ ჩაგდებული. შუხართის დასკვნის საფუძველზე ცაისბერგმა ხელნაწერების შექმნაზე უარი განაცხადა: მოპარულ წიგნებს ჩემი ბიბლიოთეკის თაროებზე ვერ დავაწყობო. მაშინ მილიხმა ხმა გაავრცელა: რადგან თქვენ არ გასურთ შექმნა, ხომ არ ვიზარალებ, ხელნაწერებს საზღვარს გარეთ გავიტან და გერმანიაში ან საფრანგეთში გავყიდო, მაგრამ, რაკი ქურდობაში, უფრო სწორად, მოპარული ხელნაწერების გაყიდვის მცდელობაში, დაიჭირეს, რაც დიდ უსიამოვნებას უქადდა, შეშინდა და ცდილობდა, საქმე რაც შეიძლება სწრაფად მოეგვარებინა და ხელნაწერები რამენაირად დროულად გაესაღებინა. შუხართმა ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და, რაკი იმხანად უკვე დაინტერესებული იყო ქართულით და რამდენიმე გამოკვლევაც ჰქონდა დაბეჭდილი ქართულის შესახებ, თანაც მისმა უტყუარმა ალლომ უკარნახა, რომ საქმე მეტად ძველ და ძვირფას ხელნაწერებთან ჰქონდა (ხანმეტი ლექციონარი ხომ VII საუკუნითაა დათარიღებული!), თვითონ მოინდომა მათი შექმნა და 1897 წლის 12 თებერვალს ზემოხსენებული 4 ძველი ქართული ხელნაწერი 420 ავსტრიულ გულდენად იყიდა, სამი თვის შემდეგ კი კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი, გრაგნილის ფორმისა, რომელსაც მილიხი ვითომდა ბერლინში უპირებდა გაჩუქებას, 25 გულდენად გამოსტყუა. შუხართი ინტენსიურად შეუდგა ქართული ხელნაწერების შესწავლას და იმავე წელს გამოკვლევა, ძირითადად, დაასრულა, თუმცა, როგორც თვითონ თვლიდა, მთლად ბოლომდე ვერ მიიყვანა და რატომღაც დიდი ხნით გადადო გვერდზე. მხოლოდ სიკვდილამდე 4 დღით ადრე, თავისი ნაწერების გადათვალიერებისას, მას ხელში მოხვდა 30 წლის წინანდელი ნაშრომი სინური წარმოშობის ხელნაწერების შესახებ და, მისივე სიტყვებით, „ვითარცა მოწმე მისი ინტერესისა მისთვის ისეთი სიმპათიური და საინტერესო ენისადმი, როგორიც ქართულია“, აკაკი შანიძეს გამოუგზავნა თბილისში, რომელმაც ავსტრიელი სწავლულის ვრცელი გამოკვლევა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VIII ტომში გამოაქვეყნა 1928 წელს. სამწუხაროდ, ჰუგო შუხართი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო.

№ 16*

1897 წლის 5 აპრილს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით საზოგადოების მდივანი დ. კარიჭაშვილი იმავე წლის 28 თებერვლის წერილის პასუხად

შუხაროს სწერდა:

„5 აპრილს, 1897 წ., ქ. ტფილისი

მონყალეო ხელმწიფე ბატონო შუხართ!

თანახმად თქვენის წერილისა 22 თებერვლითგან ამ წლისა, ნე-რა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობის განკარ-გულებით გამოგეგზანათ 1 აპრილს შეკვეთილის ბანდეროლით წიგ-ნები – „მესხური ლექსები“ და „ქართველთა მაჰმადიანთ ლოცვები“.

ამ წიგნების გამოგზავნის დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ უკანასკნელი წიგნი მაღაზიაში აღარსად იშოვებოდა და შემთხვევას ველოდით, რომ სადმე ბაზარში გვეყიდნა ბუკინისტისაგან.

„მაჰმადიანთ ქართველთა ლექსების“ მეორე ნომერი ჯერ არ და-ბეჭდილა, ხოლო „მოხვევების ლექსები“ სულ აღარსად იშოვება.

რაიცა შეეხება სალიტურგიო წიგნის გამოგზავნას, ვეცდებით ისიც მალე გაახლოთ.

დავშთები თქვენი დიდად პატივისმცემელი
 საზოგადოების მდივანი

დ. კარიჭაშვილი“.

№ 17

„გოთა, 1 მაისი 1897

ბატონებო,

ვჩქარობ, დაგიდასტუროთ იმ სამი ბროშურის მიღება, რომელთა გადმოგზავნა თქვენ ჩემი თხოვნით ინებეთ:

«მესხური ლექსები, ქართვ. მაჰმადიანთა ლოცვები, წიგნების კატალოგი» თქვენი საზოგადოებისა. გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულ-წრფელი მადლობა.

ეს-ეს არის გამოგიგზავნეთ ჩემი ნარკვევი ქართველურ ენათა გეოგრაფიასა და სტატისტიკაზე და გთხოვთ, განსაჯოთ ლმობიერად იმ თვალსაზრისით, რომ მასში შემჩნეული ყველა ხარვეზი მხოლოდ მე არ უნდა დამბრალდეს.

გამსჭვალული ვარ, ბატონებო, თქვენდამი უდიდესი პატივის-ცემით.

თქვენი უერთგულესი

ჰუგო შუხართი“.

№ 18

ესაა ერთადერთი გერმანულად დაწერილი წერილი.

„გრაცი, 1 ნოემბერი 1897

დიდად პატივცემულო ბატონებო!

რამდენიმე თვის წინ წერილთან ერთად ბანდეროლით გამოგიზავნეთ ჩემი სტატია, რომელიც რუსული მისამართით გეგზავნებათ ხელახლა. მე მხოლოდ მსურდა მცოდნოდა, როგორ მოხდა, რომ ვერ იქნა გაგებული ფრანგული მისამართი.

ულრმესი პატივისცემით
 თქვენი უერთგულესი

ჰუგო შუხართი“.

1897 წელს შუხართმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გამოუგზავნა თავისი სტატია, რომელიც მას, როგორც ჩანს, უკანვე დაუბრუნდა. 1 ნოემბერს თბილისში გაგზავნილ წერილში შუხართი საზოგადოების გამგეობას ამ გაუგებრობის მიზეზს ეკითხება. პროფესორმა პასუხად კარიჭაშვილის ხელმოწერით 5 ნოემბერს გაგზავნილი წერილი მიიღო:

№ 19*

„5 გიორგობ. 1897, ქ. ტფილისი

ბატონო შუხართ!

პასუხად თქვენის წერილისა 1 გიორგ. ამ წლისა (ახალის სტილით) მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი. ჩვენ ვიკითხეთ ფოსტაში მიზეზი თქვენგან გამოგზავნილის ბანდეროლის უკან დაბრუნებისა და აღმოჩნდა, რომ ფოსტის მოხელე ფრანგულის ენის ცუდად ცოდნის გამო ვერ მიხვედრილა. ამიტომ გთხოვთ კვლავ ამ ადრესით ინებოთ გამოგზავნა:

Société pour la propagation de l'instruction primaire parmi les géorgiens.
 Rue de Palais, caravanseraïl de la Noblesse géorgienne № 125.

თქვენი ღრმად პატივისცემელი

დ. კარიჭაშვილი“.

ეს სტატია, ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო „Zur Geographie und Statistik der khartwelischen (südkaucasischen) Sprachen“ („ქართველური /სამხრეთკავკასიური/ ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“). ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა 1897 წლის 21 ნოემბერს ლეოლოპატინსკის მიერ გრაცში გაგზავნილი წერილი, სადაც ის შუხართს სთხოვს ნებართვას, აღნიშნული გამოკვლევა ან მისი გარკვეული ნაწილი გადათარგმნოს და რუსულად დაბეჭდოს თავის ჟურნალში. სწორედ ამ პერიოდისთვის იყო გაგზავნილი შუხართის მიერ რალაცნიგნი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი.

ამ წერილის შემდეგ, როგორც ჩანს, ადრესატებს შორის მიმოწერის ინტენსივობა ერთგვარად შენელდა. შესაძლოა, ერთი-ორი

წერილი სადღაც დაიკარგა და არქივებს აღარ შემორჩა, მაგრამ ბევრი რომ ყოფილიყო, რამდენიმე მაინც იქნებოდა დღეს თავის ადგილზე. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად შუხართის არქივში XX ს. პირველ წლებში წერა-კითხვის საზოგადოების სახელით თბილისიდან 1904 წლის თებერვალსა თუ მარტში გრაცში გაგზავნილი მხოლოდ ერთი ბარათია დაცული (გერმანულ ენაზე). სამწუხაროდ, მას ხელს არავინ აწერს და, ამდენად, ავტორის ვინაობის დადგენაჭირს.

№20

„თბილისი, 16 თებერვალი/29 მარტი¹²⁷, 1904

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ამასთან ერთად გიგზავნით ნ.მარრის ერთი შენიშვნის ასლს ქართული ენის შესახებ („ივერიიდან“), რომელიც თქვენ, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, გინებებიათ. სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო, „ივერიის“ სათანადო ნომერი თქვენთვის გამოგვეგზავნა, რადგან იგი ბიბლიოთეკების გარდა აღარსად იშოვება.

უდიდესი ყურადღებით“

უნდა აღინიშნოს, რომ შუხართის არქივში დაცულია დიდი ფორმატის ორ ფურცელზე გადაწერილი ხსენებული სტატია ნ.მარრისა.

ცხადია, მხოლოდ ათიოდე წერილით არ ამოიწურება გამოჩენილი ლინგვისტის კორექსპონდენცია თბილისში. სხვათა შორის, არც მხოლოდ ილია ჭავჭავაძესა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სწერდა ჰუგო შუხართი საქართველოს დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში. თბილისსა თუ ბათუმში მას არაერთი წერილი გაუგზავნია არტურ ლაისტისათვის, ასევე, მისი ადრესატები იყვნენ ლეო ლოპატინსკი, მოსე ჯანაშვილი, კარლ ჰანი¹²⁸, მოგვიანებით აკაკი შანიძე და სხვა ავტორებიც, რომლებიც გრაცელ პროფესორს სხვადასხვა ასპექტით უშუქებდნენ ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის მისთვის საყურადღებო საკითხებს.

¹²⁷ წერილის დამწერს შეშლია: ან ორივეგან თებერვალი უნდა იყოს დაწერილი, ანდა მარტი.

¹²⁸ კარლ ჰანი (1848-1925) – კავკასიოლოგი, თბილისის I გიმნაზიაში, ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა გერმანულ, ბერძნულ და ლათინურ ენებს.

ალექსანდრე ცაგარელი

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პეტერბურგის უნივერსიტეტის (შემდგომ კი აგრეთვე ახალდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის) პროფესორს, ალექსანდრე ცაგარელს (1844-1929) ხშირად უხდებოდა უცხოეთში ყოფნა. ჯერ იყო და, 1868 წლის შემდგომიდან ა.ცაგარელი მიუხეხინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტი იყო, მომდევნო წელს იგი ტიუბინგენის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც ერთ წელს დაყო, შემდეგ კი ვენის უნივერსიტეტს მიაშურა, რათა ფრიდრიხ მიულერის ლექციები მოესმინა შედარებით ენათმეცნიერებაში, იმავდროულად იქვე მხითარისტების კონგრეგაციაშიც დადიოდა და ხვეწდა თავის ცოდნას სომხურში. როცა ა.ცაგარელმა პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფესორის ადგილი დაიკავა, მას არაერთხელ მიეცა საშუალება, სამეცნიერო მივლინებებით სწვეოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანას და იქაურ ბიბლიოთეკებში ქართული სიძველეები მოეძია და ეკვლია. ასე მაგალითად, 1890 წელს იგი ოთხ თვეს მუშაობდა რომში, ვენეციასა და კრაკოვში, 1891 წელს ბრიტანეთის მუზეუმს ეწვია, მომდევნო წელს ექვსი თვის განმავლობაში რომსა და ვენეციაში ეცნობოდა ქართულ ხელნაწერებსა და ისტორიულ დოკუმენტებს, სამი წლის შემდეგ მესამედ გაემგზავრა იტალიას და ვატიკანში მიაკვლია ქართულ ოთხთავს, რომელიც X საუკუნით დაათარილა. 1883 წელს მან რვათვიანი მივლინების დროს მოიარა სინა, იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, ათონი და იქაური ქართული ხელნაწერები აღწერა. ამას გარდა, მას სისტემატურად უხდებოდა საერთაშორისო კონგრესებში მონაწილეობა. მაგალითად, იგი იყო ორიენტალისტთა III (1876, პეტერბურგი), VIII (1889, სტოკჰოლმი), IX (1891, ლონდონი) კონგრესების, ასევე, ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ყრილობების მონაწილე რუსეთში და საზღვარგარეთ. ამგვარ თავყრილობებზე ცაგარელმა არაერთ ცნობილ მკვლევართან დაამყარა მეცნიერული კავშირები. ბუნებრივია, იგი მჭიდრო ურთიერთობას ისეთ პირებთან უფრო ესწრაფოდა, რომლებიც ქართული ენითა და ლიტერატურით იყვნენ დაინტერესებულნი.

ამ მხრივ საყურადღებოა ა.ცაგარლის ურთიერთობა ჰუგო შუხართთან. ამ უკანასკნელმა, თავისი მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე, კონტაქტები დაამყარა არა მარტო თბილისელ სწავლულებსა და საზოგადო მოღვაწეებთან, არამედ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწე მეცნიერებთანაც. კერძოდ, მოსკოვში მას კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ხახანაშვილთან, ოდესაში – პეტრე

მელიქიშვილთან (რომელიც, მართალია, ენის სპეციალისტი არ იყო, მაგრამ ქართველ მეცნიერთაგან ყველაზე ახლოს იყო შუხართთან და დიდი მონდომებით ეხმარებოდა მას ქართულის შესწავლაში), პეტერბურგში – ალექსანდრე ცაგარელსა და ნიკო მარრთან.

რაკი ა. ცაგარელს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად უხდებოდა ევროპაში, კერძოდ, ავსტრიაშიც, ყოფნა, საფიქრებელია, იგი მალე გაეცნო შუხართსაც (რომელიც შანსს არ გაუშვებდა ხელიდან, ევროპაში ვინმე ქართველი ენახა და მას არ გამოლაპარაკებოდა ქართულში ცოდნის გაღრმავების მიზნით) და მათ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა დაამყარეს. საუკუნის მიწურულს ა. ცაგარელმა გრაცშიც ჩააკითხა სახელოვან კოლეგას (არ არის გამორიცხული, რომ იგი იქადრეც იყო ნამყოფი). სხვათა შორის, სინას მონასტრიდან გამოტანილი და ვენაში გასაყიდად შეთავაზებული ძველი ქართული ხელნაწერების რაობა, რისი გარკვევაც შუხართს ვენის კარის ბიბლიოთეკის დირექციამ დაავალა (1896 წლის ოქტომბერში), გრაცელმა პროფესორმა სწორედ ა. ცაგარლის აღწერილობის მიხედვით დაადგინა.

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში შემონახულია ალექსანდრე ცაგარლის ორი წერილი შუხართისადმი, ორივე 1895 წლითაა დათარიღებული და, როგორც ერთერთი წერილიდან ჩანს, ა. ცაგარელი, ეტყობა, შუხართის ადრინდელი თხოვნის საფუძველზე, წერილებს რუსულად წერს და არა გერმანულად.

გავეცნოთ ამ წერილებს.

№1

„ს. პეტერბურგი, 28 აპრილი 1895
 ფონტანკა 24

ღრმად პატივცემულო კოლეგავ!

თქვენი სურვილის თანახმად¹²⁹, ამ წერილს რუსულად გწერთ. თუ გაგება გაგიჭირდებათ, მაშინ გერმანულად მოგწერთ. გიგზავნით Сведения-ს II ნაკვეთს. Сведения-ს ამ სამი ნაკვეთიდან¹³⁰ დაინახავთ, თუ ჯერ კიდევ რამდენი უცნობი და საინტერესო მასალა გვაქვს ქართულ ლიტერატურაში. მეტად სამწუხაროა, რომ ისინი ნაკლებადაა

¹²⁹ როგორც შუხართის ბიოგრაფები აღნიშნავენ, 1899 წლამდე გრაცელი პროფესორი ცდილობდა, წერილი იმ ქვეყნის ენაზე დაენერა, სადაც მას აგზავნიდა. მაგრამ შემდეგ შეატყო, რომ ამაზე დიდი დრო ეხარჯებოდა, და ამ „ახირებას“ თავი დაანება.

¹³⁰ იგულისხმება ა. ცაგარლის წიგნები „Сведения о памятниках грузинской письменности“.

ცნობილი დასავლეთევროპელებისათვის, უმთავრესად იმის გამო, რომ ქართული ენაცა და რუსულიც, რომელზეც ჩვენ, ჩვეულებრივ, ვბჭდავთ ჩვენს ნაშრომებს, არ არის ადვილად გასაგები დასავლეთევროპელთათვის. ამიტომ თქვენი მონდომება, გაეცნოთ ქართულ ენასა და ლიტერატურას და გააცნოთ იგი ევროპულ სამყაროს, იმსახურებს დიდ ქებასა და მადლობას როგორც, საერთოდ, სწავლულების, ასევე ქართული საზოგადოების მხრიდანაც. ადრე (30-იან წლებში) საფრანგეთსა და იტალიაში მეტად ბეჯითად მუშაობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, ახლა ინგლისშიც დაიწყეს ამ საკითხების შესწავლა, გერმანიაში კი ჯერ კიდევ ნაკლებად მუშაობენ ამ მიმართულებით.

თქვენ იცით, რომ ამასწინათ გამოვიდა წიგნი "Die Sprachen kaukasischen Stammes" რ. ფონ ერკერტისა (ვენა, 1895). მასში ბევრია შეცდომა, რადგან ავტორი თვითონ არ იცნობს ამ ენებს, მასალა კი მიიღო ამ სერიოზულ და სპეციალურ საქმეში მოუმზადებელი პირებისაგან.

პეტერბურგში არის წიგნებით მოვაჭრე რიკერი (Buchhandler Karl Ricker, St. Petersburg, Perspektiv von Nevsky № 14), რომლის მეშვეობითაც შეიძლება ჩუბინაშვილის ქრესტომათიისა და ლექსიკონის, აგრეთვე ქართული ენის შესახებ სხვა წიგნების შოვნა. ჩუბინაშვილის ლექსიკონებს თავში ახლავს ქართული გრამატიკაც. ახალი რუსულ-ქართული სასაუბრო არ გამოსულა, მაგრამ არის სახელმძღვანელო რუსებისთვის ქართული ენის შესასწავლად, შედგენილი ბატონ იაკობ გოგებაშვილის მიერ, გამოცემული თბილისში. შევეცდები, რიკერის დახმარებით ვიშოვო იგი.

განსხვავება კ და ქ, ტ და თ, პ და ფ, ც და წ, ჩ და ჭ ბგერებს შორის არსებობს სომხურშიც.

ამ წერილით გპასუხობთ თქვენს თავაზიან წერილებზე გადადან (29 აპრ.) და გრაციდან (5 მაისი, 1895).

თქვენი ერთგული და

თქვენთვის სამსახურისათვის მზადმყოფი

ა. ცაგარელი.

P.S. ჩემს გვარს გერმანულად ვწერ Z(ც)-თი, ფრანგულად კი Ts(ც)-თი. ქართული ლ გერმანულ I-ზე მაგარია და ახლოსაა რუსულ И-სთან, რომელიც II-ს შეესატყვისება"

№2

„ღრმად პატივცემულო კოლეგავ!

მომიტევთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ: კავკასიაში ვიყავი და გვიან დავბრუნდი. მივიღე თქვენი ნაშრომი ქართული ენის შესახებ

და სიამოვნებით ნავიკითხე. როგორც ქართველოლოგს და როგორც ქართველს, არ შემიძლია არ მიხაროდეს, რომ თქვენ ამ საქმეს მოჰკიდეთ ხელი და, როგორც ჩანს, კარგადაც გარჯილხართ. ზოგი რამ თქვენ მიერ გამოთქმული აზრებიდან შეიძლება საკამათოც იყოს, მაგრამ ბევრი სწორია, მათში ბევრია მახვილგონივრული და გამონვლილვითი ანალიზი. შეიძლება მე რაიმე დავწერო მათ შესახებ. ბატონი სარაჯიშვილი ამ ცოტა ხნის წინ იყო აქ. მას თქვენ კარგად ახსოვხართ ჰალედან. იგი დიდად მოხარული იყო, რომ თქვენ ქართულ ენას მოჰკიდეთ ხელი, და იმედოვნებს, რომ მოგინახულებთ. ქართული გაზეთები ქებითა და მადლობით მოიხსენიებენ თქვენს ნაშრომებს.

იცნობთ თუ არა შემდეგს გამოცემებს:

1. The Kingdom of Georgia, by Oliver Wardrop, London 1888.
2. Georgian Folk Tales, translated by Marjory Wardrop, London, 1894.
3. The Book of Wisdom and Lies, transl. with notes, by Oliver Wardrop, London, 1894. ამ წიგნის რუსული თარგმანი (Книга мудрости и лжи) მე მგონი გამოგიგზავნეთ.
4. Der Mann im Tigerfelle, von Schota Rustaweli. Aus dem Georgischen übersetzt von Arthur Leist, Dresden-Leipzig, 1889-1890.
5. Di una Grammatica inedita della Lingua Georgiana, scritta da un cappuccino d'italia. Note di E. Teza, Venezia, 1894.
6. Ist die Ähnlichkeit des Glagolitischen mit dem Grusunischen Alphabet Zufall? von Dr. R. Abicht... Lector der polnischen und russischen Sprache an der Universität Breslau, Leipzig, Verlag von Raimund Gerhard, 1895.

ვისურვებთ წარმატებას და მზად ვარ თქვენი სამსახურისთვის.

ა. ცაგარელი.

18/30 დეკ. 1895

ს. პეტერბურგი, ფონტანკა 24

P.S. თუ გაქვთ ცალკე ამონაბეჭდები თქვენი სტატიებისა, ხომ ვერ გამომიგზავნიდით მათ?"

1898 წლის 16 ივნისს ჰუგო შუხართი თავის ნეაპოლელ კოლეგას, ლიტერატურის ისტორიკოს ბონავენტურა ცუმბინის (1836-1916), წერილს უგზავნის იტალიაში:

„პროფ. ალექსანდრე ცაგარელი, წარმოშობით ქართველი, პეტერბურგიდანაა და ქართული და სომხური ენების კათედრა უჭირავს იქაურ უნივერსიტეტში. რამდენიმე დღის წინ იგი გრაცში მენვია, ამჟამად კი რომშია, რათა ვატიკანში იმუშაოს. მე მას შევთავაზე, რომ მოინახულოს ნეაპოლი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ არ იცნობს, და შესაძლებლობის შემთხვევაში დაათვალიეროს ქართული ხელნაწერები Torre del Greco-ში, რათა გადანიშნოს, რომელია მათგან

გამოქვეყნების ღირსი. საფიქრებელია, რომ მას ცოტაოდენი დაბრკოლება შეხვდება გზაში, რადგან ნეაპოლში მას სრულებით არ იცნობენ, ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ, იგი თქვენ ჩაგაბაროთ, არა იმიტომ, რომ თქვენ ზედმეტად გაგსარჯოთ, არამედ იმიტომ, რომ სწორ გზაზე დააყენოთ, რაც მას დასახულ მიზანთან მიიყვანს. ვიმედოვნებ, რომ კარგად ხართ და გულითადად მოგესალმებით.

ჰუგო შუხართი“.

ამ წერილიდან კარგად ჩანს, თავის მხრივ, როგორ ცდილობდა შუხართი, შემწეობა აღმოეჩინა ქართველი სწავლულებისათვის.

1895 წლის 1 აგვისტოს ოლივერ უორდროპი, რომელიც იმხანად ბრიტანეთის საკონსულოში მუშაობდა ქერჩში, შუხართს სწერდა: „დაახლოებით ორი კვირის წინ კისლოვოდსკში მიმავალმა ცაგარელმა გზად ჩვენთან, ქერჩში, შემოიარა და სამ დღეს დარჩა. ის, როგორც ყველა მისი თანამემამულე, გახარებულია, როცა ხედავს, რომ თქვენ სერიოზულად ხართ დაკავებული მათი ენით“. უნდა აღინიშნოს, რომ 1895 წლის ივლისის ბოლოსთვის ა.ცაგარელს ჯერ კიდევ არ ექნებოდა ხელთ შუხართის პირველი გამოკვლევა ქართული ენის შესახებ, მაგრამ მან, ალბათ, უკვე იცოდა, რომ შუხართი ქართულით იყო დაინტერესებული და გამოკვლევასაც წერდა მის შესახებ. ა.ცაგარლის მისამართი შუხართს ა.ლაისტმა აცნობა 1895 წლის 2 სექტემბრის წერილში: ქართული ენის შესახებ ცნობები შეგიძლიათ შემდეგი ბატონებისგან მიიღოთ, და იქვე დაუსახელა მხოლოდ ა.ცაგარელი და ა.ხახანაშვილი და მათი მისამართებიც.

კაცი იფიქრებდა, შუხართი სწორედ ამ გზით დაუკავშირდა პირველად ცაგარელსო. მაგრამ ასე არაა საქმე. როგორც ზემომოყვანილი წერილებიდან ჩანს, ამ დროს ცაგარელი და შუხართი უკვე იცნობენ ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, 1895 წლის აპრილამდე მათ მოასწრეს ერთმანეთთან წერილებით დაკავშირება. არა მგონია, ამ ორი სახელოვანი მკვლევრის ურთიერთობა მხოლოდ ზემომოყვანილი 2 წერილით შემოიფარგლებოდეს. სხვები რაღაც მიზეზის გამო აღარაა შემონახული. სხვა მასალებიდან ჩანს, რომ მათ ერთმანეთთან შეიძლება ინტენსიური არა, მაგრამ არცთუ იშვიათი მეცნიერული კონტაქტები ჰქონდათ. საყურადღებოა, რომ შუხართის კოლეგასა და მეგობართან, ფრიდრიხ მიულერთან, ცაგარელს იმ დროისათვის დაახლოებით 35 წლის ნაცნობობა ჰქონდა. ალბათ, ქართულით დაინტერესების პირველი ტალღის დროს, 1887-88 წლებში, შუხართს არავინ მიუთითა ცაგარელზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი იმხანად უკვე თხუთმეტი წელი იყო, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. ახლა კი, 7 წლის

შემდეგ, ა. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართულ-სომხური სიტყვიერების პროფესორია და სახელიც აქვს მოხვეჭილი.

1895 წლის 28 სექტემბერს ფრიდრიხ მიულერი სწერდა შუხართს: „მე მაქვს ჩუბინაშვილის გრამატიკა. ვფიქრობ, რომ ის 1872 წელს მივიღე თვით ჩუბინაშვილისაგან ცაგარლის მეშვეობით“. ფრიდრიხ მიულერს არ უნდა ეშლებოდეს თარიღი. თუ გავიხსენებთ, რომ ტიუბინგენის შემდეგ 70-იანი წლების დასაწყისში ა. ცაგარელმა სპეციალურად ფრ. მიულერის ლექციების მოსასმენად მიაშურა ვენის უნივერსიტეტს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროფესორსა და სტუდენტს იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონიათ, რომ სწორედ ცაგარელი დახმარებია მიულერს პეტერბურგიდან ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიღებაში.

შუხართის სამუშაო რვეულებში დაკონსპექტებულია ალექსანდრე ცაგარლის არაერთი შრომა, მაგალითად: „Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб., 1872; Сведения о памятниках грузинской письменности“ (I და II ტომები)...

1904 წლის 4 სექტემბერს ა. ლაისტი სწერდა შუხართს: „ამჟამად პროფესორი ცაგარელი აქ იმყოფება. იგი და ბატონი დავით სარაჯიშვილი გულითად მოკითხვას გითვლიან. დღეს სადილობისას თქვენი სადღეგრძელო შევსვით და ბატონმა სარაჯიშვილმა წუხილი გამოთქვა, რომ თქვენ აქამდე ვერ მოახერხეთ კავკასიაში ჩამოსვლა. ვიმედოვნებთ, ერთხელ მაინც მოინახულებთ კოლხეთის ზღაპრულ საყაროს“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აქ წარმოდგენილ წერილთაგან უკანასკნელის დაწერიდან ცხრა წლის შემდეგაც სახელოვანი მკვლევრები ერთმანეთისთვის უცხოდ არ ქცეულან.

ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ამონარიდი შუხართის წერილიდან მოსე ჯანაშვილისადმი, სადაც ალექსანდრე ცაგარელზეცაა ჩამოგდებული სიტყვა:

„დიდად ვწუხვარ, რომ თქვენი სრავნით. გრამმ.-ის შესახებ ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი. ალბათ, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ცაგარელი, როგორც ჩანს, კარგა ხანია პეტერბურგიდან შორსაა (კერძოდ, კავკასიაში). რადგან მას, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოსი არაა, ამ საქმეში გადაწყვეტი სიტყვის თქმა შეეძლება (ხაზი ჩემია - ვ. ი.). აკადემიის წევრებს შორის ცოტა იქნება ისეთი, რომელთაც, საერთოდ, ქართულისა რამე გაეგებათ (8. I. 1896).

ნიკო მარრი

შუხართის ნაცნობებს შორის არიან არა მხოლოდ ის ქართველები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, არამედ ისინიც, ვინც საქართველოდან მოშორებით, უპირატესად რუსეთში, ეწეოდა სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობას. ასეთთა შორის შეიძლება დავასახელოთ პეტრე მელიქიშვილი ოდესაში, ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარრი პეტერბურგში, ალექსანდრე ხახანაშვილი მოსკოვში... სტუდენტებიდან შუხართს ქართულის დაუფლებაში სხვადასხვა სახის დახმარებას უწევდნენ ფილიპე გოგიჩაიშვილი მიუნხენიდან და ლაიფციგიდან, ნოე ჟორდანიას ბერლინიდან და მიუნხენიდან, ალექსანდრე ბეშკენაძე თვით გრაცში.

გავეცნოთ ნიკო მარრის მიერ შუხართისადმი გაგზავნილ უცნობ წერილებს, რომლებიც, ჩანს, XIX-XX საუკუნეებს მიჯნაზე ამ ორი ბუმბერაზი მკვლევრის მეცნიერული ურთიერთობის ანარეკლს წარმოადგენს. სამივე წერილი გერმანულადაა დაწერილი.

№1

„ს.პეტერბურგი,
 რაზიეზჟაია, 46

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ*!

ბორჯიას მუზეუმის ხელნაწერებში არაფერი იყო ჩემთვის საინტერესო და ამის შესახებ ჩემს უბის წიგნაკში მაშინვე მოკლე ჩანაწერი გავაკეთე.

ქართული ხელნაწერების რაოდენობა ხელნაწერების მიხედვით არის 16, მაგრამ ადგილზე მხოლოდ 15 ვნახე, რომელთაგან ზოგიერთი, სახელდობრ, №№ 10, 13 და 14, ნაბეჭდი გამოცემებია.

ძველი სრულებით არაფერია, გარდა № 11-ისა, რომელიც უსათაუროა, შეიცავს ჰომილიებს და მსგავსთ, იოანე ოქროპირისა უნდა იყოს, ნაწერი ნუსხურია, ეტრატზე in 4, დეფექტური.

ასომთავრულით არაფერია, მომცრო ხუცურით ნაწერია მხოლოდ №8 (ჰომილიები), №9 (ლოცვანი, დეფექტური) და № 11 (v. supr). დანარჩენი მხედრულია: № 15 ისტორიული თხზულებაა, სხვები საეკლესიო თხზულებებია¹³¹, მეტწილად ლოცვები.

* იმედი მაქვს, მომიტევენთ ჩემი გერმანულისთვის.

¹³¹ მათ შორის Thomas a. Rempis 4 წიგნად, თარგმნილი Prop. de fide-ს სკოლაში; №3 და №4 არის ნაწყვეტი იმავე ყაიდისა (ლოცვანი), №3 დათარიღებულია 1759 წლით (ნ.მარრის შენიშვნა).

№10 ქართული გრამატიკა: ესაა დოდაშვილის მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, ტფილისი, 1830 (ცხადია, ნაბეჭდი).

ვეჭვობ, რომ აქ თქვენთვის რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ უფრო დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით: მისიონერობის ისტორიისთვის საქართველოში, ალბათ, იხმარებოდა ლოცვანები, რომლებიც უმეტესად, როგორც მე შევამჩნიე, თვით მისიონერების მიერაა შემუშავებული.

ულრმესი ყურადღებით თქვენი ერთგული მსახური

ნ.მარრი“.

1991 წელს გამოქვეყნდა მეტად საინტერესო წიგნი „ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა“ (გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს რ.კავილაძემ და მ.მამაცაშვილმა), რომელშიც, პირად წერილებზე დაყრდნობით, თვალნათლივ ჩანს ნიკო მარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მომენტები. ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიწერილ წერილებში ზოგჯერ ჩვენთვის საინტერესო საკითხების განმარტებასაც ვპოულობთ. ქვემოთ არაერთგზის დავეყრდნობით მათ.

პეტერბურგის უნივერსიტეტმა ნიკო მარრი 1896 წლის ზაფხულის დასაწყისში მიაღწინა ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, იტალიაში, ავსტრიაში და გერმანიაში, რათა იქაურ ბიბლიოთეკებში მისთვის საჭირო მასალებს გასცნობოდა. ძირითადი მიზანი მაინც სომხური ხელნაწერების შესწავლა იყო, რაც მას სამაგისტრო დისერტაციის დასამთავრებლად სჭირდებოდა („წრეულს სამძღვარ გარეთ ვემზადები – გერმანიაში და ორი-სამი კვირით რომში. სომხური ზღაპრებისთვის მინდა ცოტა რამ გამოვიკვლიო ჩემ დისერტაციის დასამთავრებლად“ – სწერდა იგი ე.თაყაიშვილს 1896 წლის თებერვალში¹³²). ვენეციისა და რომის ბიბლიოთეკებში ნ.მარრი ინტენსიურად მუშაობდა, მაგრამ რომში იგი სერიოზულად გახდა ავად, ისე რომ ლაიფციგში წასვლა ველარ შეძლო. ამის შესახებ 1897 წლის მარტში იგი სწერდა ექვთიმე თაყაიშვილს, თავის უახლოეს მეგობარს:

„სამზღვარ გარეთ მგზავრობაში მძიმედ დავსწრულდი და კიდევ მშვიდობა არ უთხარი აქაურობას... რომში სირიული ერთი ხელნაწერისთვის ვიყავი, მაგრამ გადავათვალე იერე აგრეთვე ქართული და სომხური ხელნაწერები Propaganda de fide სკოლის¹³³. ქართული

¹³² ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა, გამოსცეს რ.კავილაძემ და მ.მამაცაშვილმა, 1991, გვ. 129.

¹³³ Propaganda de fide – Congregatia de propaganda de fide – 1662 წელს რომში პაპ გრიგოლ XV-ის მიერ დაფუძნებული მისიონერთა ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო კათოლიკობის გავრცელება წარმართულ ქვეყნებში და, საერთოდ, ერეტიკულ მიმდინარეობათა მოსპობა. „Propaganda de fide“ იყო უმაღლესი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა ყველა კათოლიკურ მისიას.

ხელნაწერები თითქმის ყველა უმნიშვნელოა: ხელნაწერებში ორი დაბეჭდილი წიგნიც ჩაურიცხავთ, მათ შორის დოდაევის ღრამმატიკა¹³⁴.

მეორე წერილს თარიღი არ აწერია, მაგრამ იგი 1897 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, 1899 წლის 27 იანვრამდე, რადგან, ერთი მხრივ, მასში მოხსენიებულია შუხართის ნაშრომი „ქართველური ენათმეცნიერება“, რომელიც 1896-97 წლებში სამ ნაკვეთად გამოქვეყნდა ვენაში¹³⁵, ჩვენს შემთხვევაში კი მესამე ნაწილი იგულისხმება, 1897 წელს დაბეჭდილი, ხოლო მეორე მხრივ, 1899 წლის 27 იანვარს ე.თაყაიშვილისადმი გაგზავნილ წერილს ნ.მარრი თავის ახალ მისამართს აწერს: იგი ვასილის კუნძულზე გადასულა საცხოვრებლად, მანამდე კი რაზიფუჯიას 46-ში იყო დაბინავებული.

№2

„ღრმად პატივცემულო კოლეგავ

თქვენი „ქართველური ენათმეცნიერება“ ადრევე ნავიკითხე WZ-ში¹³⁶ და, უნდა გითხრათ, დიდი სიამოვნებითაც. ახლა თქვენგან ცალკე ამონაბეჭდიც მივიღე, რისთვისაც გულითად მადლობას გიხდით. მე მინდოდა, თუ ნებას დამრთავდით, მხოლოდ ორი შენიშვნა გამეკეთებინა: 1) (გვ. 173) თქვენ წერთ: „ავანგისტვის აქ გვაქვს ავანი... თურქულია იგი თუ სპარსული (საიდანაც ნასესხებია სიტყვა), იმის მიხედვით გადაწყდება, რომელი ფორმაა უფრო ძველი“. საეჭვო არაა, რომ, რამდენადაც მე ვიცი, უფრო ძველი ფორმაა ავანი, resp. (ჰ)ავანი და არა ავანგი, რადგან სიტყვაში ავანი = (ჰ)ავანი ჩვენ გვაქვს ირანული სიტყვა (*hāvana*, ფეჰლ. *hāvanan*, ახალსპარს. *hāvan*), რომელიც სპარსულიდანაა ნასესხები ან უშუალოდ, ანდა სომხურის მეშვეობით. სომხური ფორმა ჟღერს, როგორც *havan*, დიალექტში – *avan*. მაგრამ საიდანაა გპარალელურ ფორმებში, ამაზე დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შემიძლია. ალბათ, ის მოგვიანო დიალექტური განვითარებაა (ნ-ს ნაცვლად ნგ) ქართულ ენაშიც. ხალხურ სომხურშიც (სულ მცირე შუა საუკუნ.) შეიძლებოდა *havang* ყოფილიყო *havan*-ის მაგივრად (მრავლობითი მხოლოობითის ნაცვლად) და ქართულმა *havang*-მა, ალბათ, შემოგვიწინა ეს ფორმა. ამრიგად, იგი სომხურიდან ნასესხები სიტყვაა. ცხადია, თურქულსა და სპარსულთან ამ სიტყვას არაფერი აქვს საერთო.

¹³⁴ ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა, გვ. 133.

¹³⁵ Khartwelische Sprachwissenschaft, I, II: Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, X, 1896; III — იქვე, XI, 1897.

¹³⁶ ვენაში გამოშვებული ჟურნალი „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“.

2) გვ. 176: თქვენი კითხვა სძე=რძე და მსგავსთა შესახებ ჩემთვის სულ სხვა რამეა, ვიდრე გავრჯი გავსარჯე-ს გვერდით. პერფექტ გავსარჯე-ს თქვენ ხსნით ვ-სრჯი-დან, ამის შესაბამისად პრეზენტში ზმნამ დაკარგა ს: ვრჯი (ან რ: ვსჯი). ვსჯი და ვრჯი, ვფიქრობ, უნდა წარმოადგენდეს ორ პარალელურ ფორმას: რ აქ ს-ს ეკვივალენცია. პერფექტ გავსარჯე-ში ძირისეულ ს-ს შეესაბამება არა ს, არამედ რ. პერფექტი გავსარჯე არის ზმნური დენომინატივი, როგორც, მაგალითად, გავაგრძე გრძელი-დან, გავანათე ნათელი-დან, გავსარჯე სარჯელი-დან და მსგ. მაგრამ სარჯელი არის პრეფიქს სა-თი და სუფიქს ელ-ით რჯე ძირიდან წარმოები სახელი. ჩემი ახსნა რომ დაუჯერებელს არაფერს შეიცავს, ეს ნათელი იქნება, თუკი მხედველობაში მივიღებთ სარჯელის პარალელურ ფორმას – სასჯელს, საიდანაც ჩანს, რომ პირველი ს პრეფიქსია. ს ამგვარი მნიშვნელობისაა, შესაბამისად, სარჯელსა და გავსარჯეში.

ამ წერილთან ერთად გიგზავნით ჩემს უკანასკნელ სტატიას. უღრმესი ყურადღებით.

ნ.მარრი

პეტერბურგი, რაზიეზჟაია 46“.

№3

მესამე წერილს მარრი გურიიდან, ჩოხატაურიდან, უგზავნის შუხართს:

„1903.6.2/15

ჩოხატაური

ღრმად პატივცემულო კოლეგავ,

ძალიან გამიკვირდა, რომ ჩემი თეორია ქართული ენის ნათესაობისა სემიტურთან თქვენთვის უცნობი ყოფილა. ამის შესახებ მე ჩემს თითქმის ყველა ნაშრომში ვწერ. მიახლოებით ოცი წელია ვმუშაობ, რომ ეს საკითხი დეტალურად გავაშუქო და კვლევისას სომხურშიც აღმოვაჩინე ერთი ისეთი „ფუძე“, რომელიც ქართულს ენათესავება. მე ჯერ კიდევ ათი წლის წინ გავამზადე ქართული გრამატიკა და უკვე მეოთხე წელია, რაც იგი ჩემი ლექციების თემას წარმოადგენს. ჩემი მოგზაურობა სინაზე სწორედ ამან გამოიწვია, როგორც თქვენთვის უკანასკნელად გამოგზავნილ ნაშრომში Предварительный отчет о работе на Синае и в Иерусалиме და ა.შ., ვწერ. ზოგნი, მაგალითად, დოქტორი ლ.მსერიანცი¹³⁷ უკვე ახდენენ ჩემი თეორიის ციტირებას, თუმცა ყველა ასე არ იქცევა (მაგალითად,

¹³⁷ ლევონ მსერიანცი – მოსკოველი აღმოსავლეთმცოდნე, არმენისტი.

დოქტორი ი.კარსტი¹³⁸, რომელმაც ჩემი პირადი წერილებიდან, აგრეთვე ჩემი ნაშრომიდან „ვარდანის არაკების კრებული“ ძალიან კარგად იცოდა ჩემი თვალსაზრისი, მაგრამ თავისი ნაშრომის „ზედაპირულ ნაწილში“ მე არ მომიხსენიებს, როცა ის ცდილობს ქართულსა და სომხურში ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის (მაგალითად, მრავლობითის წარმოების) ნათესაობის დამტკიცებას (შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: „სრულიად მცდარად“, რადგან ვერ ამჩნევს ამ ფორმების ისტორიულ განვითარებას და ერთმანეთს ადარებს იმას, რისი შედარებაც, საერთოდ, არ შეიძლება).

მე ათასზე მეტი სემიტურ-ქართული ძირის იდენტიფიკაცია მოვახდინე, ყველა გრამატიკულ მოვლენა დეტალურად გავარკვიე, ამიტომ ვიკვლევდი არა მარტო სემიტურ სამწერლობო, არამედ ხალხურ ენასაც, სირიულსა და არაბულს, აგრეთვე ქართულ დიალექტებს. გრამატიკა, ვიმეორებ, უკვე მზადაა და იგი ლექციების მიხედვითაა ცნობილი. ახლა, როგორც კი სომხურ გრამატიკას მოვრჩები (ეს უკანასკნელი ერთ თვეში გამოვა), მისი დაბეჭდვა მინდა. აღნიშნული ნათესაობის შესახებ ამ ზამთარს არავის წაუკითხავს მოხსენება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩემს საუნივერსიტეტო ლექციებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო. თუ ეს დანვრილებით გაინტერესებთ, მე მზად ვარ, ყოველნაირი ინფორმაცია მოგაწოდოთ.

ჩემი მისამართი ამ ზაფხულისთვის ასეთია: „Kaukasus. Kutais' Gouvernement. Ozurgeth's Bezirk (Uyezd). Poststation Tschachatauri (Чахатаური). Prof. N.Marr“.

ნ.მარრი“.

ამ საკითხების შესახებ ნ.მარრი ჯერ კიდევ 1896 წლის თებერვალში წერდა ე.თაყაიშვილს: „სხვათა შორის, ქართული ენის და სომხურის პირვანდელი ნათესავობა აღმოვაჩინე, იმ დროის ნათესავობა, როცა სომხურ ენაში არიული ანუ ინდოევროპეული ელემენტი არ იყო შეტანილი. საზოგადოთ ქართული ენის ნათესავობა სემიტურ ენებთან ძალიან დანვრილებით გამოვიკვლიე და დავამტკიცე: თითქმის სიტყვა არ დამრჩენია, რომ მისი ძირი და შთამომავლობა არ

¹³⁸ იოზეფ კარსტი (დაბ. 1871 წ.) სტარასბურგელი ეთნოლოგი, აღმოსავლეთ-მცოდნე, არმენისტი იყო, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ „ვარდანის არაკების კრებულის“ შესახებ წერდა მარს: „Ваша работа является и остается внушительным трудом в области армянской филологии, являющимся, по моему мнению, образцом для всех последующих подобных работ“ (В.Миханкова, Н.Я.Марр, 1949, გვ. 95).

¹³⁹ იგულისხმება ნ.მარრის ნაშრომი, რომელიც მან მოგვიანებით დაბეჭდა: „Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическим, СПб.“, 1908.

გამერკვიოს. გრამატიკაც კარგად შემუშავებული მაქვს. მაგრამ უნივერსიტეტში ჯერ ვერ ვიკითხავ და დავბეჭდავ კი¹³⁹ როცა ერთხელ წავიკითხავ. ესეც იცოდე, რომ ეხლა თუმც ვამტიკიცებ ნათესაობას ქართული ენისას სემიტურ ენებთან, ქართულს სემიტურად არა ვრაცხ, არამედ ახალი ტერმინი შემომაქვს – „იაფეტური“. ადრე ამ ტერმინს ხმარობდენ არიული ენების დასასახელებლად, მაგრამ ახლა ამ აზრით მიტოვებულია და მე ვხმარობ ახალი აზრით: იაფეტური ენები არიან ქართული და კავკასიური საზოგადოთ (სვანური, მეგრული და სხვა), სომხური (არიული ელემენტის გამოყოფით) და რამოდენიმე სხვა, იაფეტურ ენათა შორის ისეთი განწყობილება(ა), როგორც სემიტურ ენათა ურთიერთ შორის, ხოლო მეორე მხრით იაფეტური ენები ნათესავი არიან სემიტურ ენათა, როგორც მაგალითად, სლოვენური გერმანულთა არიულ მოდგმაში¹⁴⁰.

როგორც ჩანს, შუხართი დაინტერესდა ნ.მარრის მიერ 1888 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილით, რომელშიც ქართული და სემიტური ენების ნათესაობის შესახებაა საუბარი, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მიმართა თხოვნით, რამენაირად მიეწოდებინათ მისთვის აღნიშნული სტატია. 1904 წლის 16 თებერვალს მას წერა-კითხვის საზოგადოებიდან გაუგზავნეს წერილი:

„დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ამასთან ერთად გიგზავნით ნ.მარრის ერთი შენიშვნის ასლს ქართული ენის შესახებ („ივერიიდან“), რომელიც თქვენ, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, გინებებიათ. სამწუხაროდ, „ივერიის“ სათანადო ნომრის თქვენთვის გამოგზავნა შეუძლებელი გახდა, რადგან იგი ბიბლიოთეკების გარდა აღარსად მოიპოვება“.

ეტყობა, ეს წერილი რაღაც ბანდეროლს მიაყოლეს, ალბათ, შუხართისთვის გაგზავნილ საჭირო წიგნებს, რაზეც მეტყველებს ფრაზა: „ამასთან ერთად გიგზავნით“. სხვათა შორის, შუხართის არქივში დაცულია დიდი ფორმატის ორი ფურცელი ნ.მარრის ხსენებული სტატიით, რომელიც, საფიქრებელია, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ რომელიღაც წევრის მიერ არის გადაწერილი. არქივში შემონახულია ნ.მარრის მოგვიანებით გამოქვეყნებული ნაშრომებიც.

1903 წლის ზაფხულისთვის ნ.მარრს წინასწარ ჰქონდა შედგენილი სამუშაო გეგმა. ჯერ კიდევ აპრილში იგი პეტერბურგიდან სწერდა ე.თაყაიშვილს: „წრეულს, რაც დავბრუნდი, წელი არ გამიმართავს და ზაფხულზე მინდა მოვისვენო, თუ მოსვენება შევძლე. 16-20 მაისს

¹⁴⁰ „ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა“, გვ. 128.

ვაპირობთ გამოგზავრებას ჩოხატაურში“ (14.IV.1903). 15 მაისს კი იგი ე.თაყაიშვილს უგზავნის იმ ტექსტს, რომელიც დაეგზავნა თბილისში გათვალისწინებული შეკრების მონაწილეებს: „საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ, მხარი დაუჭირა რა ჩემს აზრს სომხური და ქართული წარწერების კრებულის გამოცემის შესახებ,... დამავალა, ჩამოვაცალიბო თბილისში ან სადმე სხვაგან განსაკუთრებული კომიტეტი ადგილობრივ მეცნიერთაგან იმ მიზნით, რომ ვაცნობო ეს გადანყვეტილება და, ამასთან, დაიწყოს გადანერა სომხური და ქართული წარწერებისა, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, კავკასიაში მდებარეობს. რადგან ვაპირებთ, რომ ამ მიზნით შევკრიბოთ და გამოვაქვეყნოთ სომხური და ქართული წარწერები, დაგეგმილი გვაქვს, დამდეგი ზაფხულის დასაწყისში, დაახლოებით 9-15 ივნისს, თბილისში მოვანყოთ დაინტერესებულ პირთა სხდომა, რომლებიც არა მარტო თანაგრძნობით მოეკიდებიან კავკასიის ეპიგრაფიკული მასალების შესწავლას, არამედ თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულნი იქნებიან ამ საკითხზე სამუშაოდ“¹⁴¹. იქვე მითითებულია, პასუხი 25-მდე გამომიგზავნეთ შემდეგ ადრესზე: Почт. ст. Чахатаური, Кутаис. губ. Озургет. уезд. Проф. Ник. Як. Марру.

ნ.მარრი“.

ეს ჩანაფიქრი, მიუხედავად იმისა, რომ ნ.მარრმა 23 მაისიდან 10 ივნისამდე თბილისში ორი შეკრება მოაწყო, სხვადასახვა გარემოების გამო სრულად ვერ განორციელდა.

დეკემბრის მიწურულს კი ნ.მარრი კიდევ ერთხელ ახსენებს ქართულისა და სემიტურის ნათესაობას:

„ქართული გრამატიკა კისერზე მანვეს და გაის ხელს მივყოფ ბექდვას (ერთად სემიტურ ან სემურ ენათა თანა ტომობის ანუ ნათესაობის დამტკიცებითურთ)¹⁴², მაგრამ ქართული უფრო ვრცელი იქნება, ვიდრე ახლა გამოცემული სომხური“ (ს.პეტერბურგი, 23.XII.1903)¹⁴³.

შუხართისა და მარრის ურთიერთობა არც შემდეგ შეწყვეტილა, ცნობილია, რომ შუხართი მეტად მონდომებული იყო, ვაცნობოდა მარრის ნაშრომს ბასკური ენის წარმოშობის შესახებ, რადგან ბასკური მისთვის ერთერთი ყველაზე საყვარელი ენა იყო, თვითონაც არაერთი ნაშრომი ჰქონდა მიძღვნილი ამ ენისადმი და, რაკი დიდად აფასებდა ჩვენი თანამემამულის მეცნიერულ ავტორიტეტს, მოახერხა კიდევ, არ ვიცი, რა გზით, მარრის ჯერ კიდევ დაუბეჭდავი გამოკვლევის ხელში ჩაგდება გრაცში და ხელნაწერში ვაცნობა¹⁴⁴.

¹⁴¹ იქვე, გვ. 174.

¹⁴² იგულისხმება „Основные таблицы“, რომელიც მხოლოდ 1908 წელს გამოქვეყნდა.

¹⁴³ „ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა“, გვ. 180.

¹⁴⁴ В.Миханкова, Н.Я.Марр, გვ. 326.

ვასილ პეტრიაშვილი

„ჩემი სურვილი და ცდა სულ ის იყო, რომ როგორმე ვადმოვსულიყავი სამშობლოში და მანდ მემუშავა შეძლების დაგვარად“

(ვ.პეტრიაშვილი)

ვასილ პეტრიაშვილი (1845–1908) იყო თავისი დროის ცნობილი ქიმიკოსი, სამეცნიერო წრეებში აღიარებული და დაფასებული მკვლევარი. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1870) იგი იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, 1874 წ. მიიღო ქიმიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი, მომდევნო წელს – დოცენტის წოდება, 1877 წ. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1878 წ. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს. 1895 წ. ოდესის უნივერსიტეტში აღინიშნა ვ.პეტრიაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის თავი, 1900 წ. მას გადაუხადეს უნივერსიტეტში მოღვაწეობის 30 წლის იუბილე და მიანიჭეს დამსახურებული პროფესორის წოდება. 1905 წელს ვასილ პეტრიაშვილი აირჩიეს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, 1907 წელს კი – უნივერსიტეტის რექტორად. დაძაბული შრომის შედეგად იგი მეტისმეტად გადაიღალა და უცხოეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე გვიან იყო. მისი ჯანგატიხილი სხეული ველარ მოერია ავადმყოფობას და 1908 წლის 26 ივლისს სახელოვანი მეცნიერი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ჩეხეთის ქალაქ კარლსბადში, დღევანდელ კარლოვი-ვარიში. მას ყველა ძალიან აფასებდა. პეტრიაშვილის გარდაცვალების შემდეგ ერთი კოლეგა მასზე წერდა: „წყნარი, ჩუმი და წარმოსადეგი, როგორც მისი მშობლიური მთები, ერთერთი უკეთილშობილესი და უმნიკვლო უხალასესი შვილთაგანი მშვენიერი, პოეტური საქართველოსი, ის იყო ჩვენთვის სიფხიზლე გონებისა, ცოცხალი სინდისი და ნუგეში ჩვენს მძიმე და შავბნელ უდროობაში“¹⁴⁵.

1975 წელს ავსტრიაში პეტრიაშვილის წერილებს მივაკვლიე. მათ თბილისის სხვადასხვა არქივში მოძიებული მისი რამდენიმე წერილიც დაემატა და მასთან დაახლოებულ პირთა რამდენიმე პირადი წერილიც, რომლებიც ამ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის პიროვნების უკეთ შეცნობაში დაგვეხმარება.

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ჰუგო შუხართის არქივში, ვასილ პეტრიაშვილის სამი წერილია დაცული. ერთის ადრე-

¹⁴⁵ დ.იმნაძე, პროფ. ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი, 1945, გვ. 49.

სატი თვით შუხართია, დანარჩენი ორი კი პეტრიაშვილს პეტრე მელიქიშვილისათვის გაუგზავნია. როგორც ცნობილია, მელიქიშვილი და პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტში მუშაობდნენ და დიდი ხნის განმავლობაში უხდებოდათ გვერდიგვერდ ცხოვრება. ჩანს, ერთმანეთთან, როგორც მოსალოდნელი იყო და შეეფერებოდა მათი რანგის ადამიანებს, თბილი და გულითადი დამოკიდებულება ჰქონდათ. როდესაც რომელიმე მათგანი ოდესიდან სამეცნიერო მივლინებით თუ დასასვენებლად უცხოეთში მიემგზავრებოდა, ერთმანეთს წერილებსაც სწერდნენ ხშირად და თავიანთ ამბებს ატყობინებდნენ. სწორედ ამის მაჩვენებელი უნდა იყოს პეტრიაშვილის მიერ მელიქიშვილისთვის გაგზავნილი წერილები. როგორ აღმოჩნდა პეტრიაშვილის მიერ მისი მეგობრისადმი ევროპაში გაგზავნილი წერილები სრულიად სხვა პირის არქივში? ჩანს, ეს წერილები შუხართს მელიქიშვილმა დაუთმო თანამედროვე ქართულ ენასა და კალიგრაფიაში გასაწაფავად. ამაზე მიუთითებს შუხართის შენიშვნები წერილების არშიებზე და ბოლო წერილის თავისუფალ ფურცელზე ჩამოწერილი ქართული ანბანი, სადაც გადმოღებულია პეტრიაშვილის წერილიდან ამოკრეფილი ამ თუ იმ ასოს განსხვავებული მოხაზულობანი, გაანალიზებულია მისი ხელწერის თავისებურებანი. ჩანს, შუხართი პეტრიაშვილის წერილების საფუძველზე არკვევდა, როგორ წერდნენ ქართველები პრაქტიკულად ამა თუ იმ ასოს. მაგალითად, გადმოღებულია ლ-სა და ზ-ს ოთხნაირი, ხოლო თ-ს ხუთნაირი მოხაზულობა. შუხართს ნაბეჭდი ტექსტის წაკითხვა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მას საქართველოდან და რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან ხელით ნაწერი ბარათები მისდიოდა და, ალბათ, ზოგჯერ უჭირდა ამა თუ იმ ასოს ამოკითხვა. ამიტომ დაიხმარა მელიქიშვილი, რომელმაც გრაცელი პროფესორი პეტრიაშვილის წერილების საფუძველზე წაავარჯიშა სხვადასხვა ასოს მოხაზულობის ამოცნობაში. ბოლოს ეს წერილები შუხართს დარჩა. ვფიქრობ, მხოლოდ ამით უნდა აიხსნებოდეს ამ წერილების მოხვედრა შუხართის არქივში.

ამ მოსაზრებას ზოგიერთი ფაქტიც ამაგრებს: საიდან უნდა მოხვედრილიყო პეტრიაშვილის წერილები გრაცში? ბუნებრივია, მელიქიშვილი პეტრიაშვილის წერილს შუხართს არ გაუგზავნიდა (თანაც, ოდესიდან გრაცში!). რა თქმა უნდა, არც ჯიბით დაატარებდა. საქმე ისაა, რომ 1895 წლის მაის-ივნისში მელიქიშვილი ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გრაცში, სადაც, სხვათა შორის, შუხართსაც ამეცადინებდა ქართულში (ამის შესახებ იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი გაგზავნილ წერილში საგანგებოდ აღნიშნავდა, რადგან გაზეთმა „ივერიამ“ მცდარი ინფორმაცია გაავრცელა მელიქიშვილისა და შუხართის ერთად მუშაობის დროის შესახებ). მელი-

ქიშვილს გრაცში მიუვიდა ოდესაში მყოფი პეტრიაშვილის წერილები. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ეს წერილები ავსტრიაში. მეორე მხრივ, შუხართს, რა თქმა უნდა, უჭირდა სხვადასხვა ხელით, ზოგჯერ გაურკვეველთა, დაწერილი ბარათების გაშიფვრა. ამაში მას მელიქიშვილიც ავარჯიშებდა. მაგრამ მელიქიშვილის ხელწერა მან, საფიქრებელია, კარგად შეისწავლა, სხვებისას კი, ალბათ, გაჭირვებით კითხულობდა. ამიტომ მელიქიშვილმა გამოიყენა მის ხელთ არსებული წერილები ოდესელი თანამემამულისა და შუხართი პეტრიაშვილის წერილების ამოკითხვაშიც წაავარჯიშა.

ამიტომ, ვფიქრობ, ის ორი ბარათი, რომელთაც თარიღი არ აწერია, 1895 წელს უნდა იყოს დაწერილი. მელიქიშვილის მიერ შუხართისადმი გაგზავნილი წერილებიდან ცნობილია, რომ იგი სწორედ 1895 წელს იმყოფებოდა კარპატებში, მაქსვალდის ვილაში. ამის შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ მელიქიშვილის წერილს მოვიშველიებ. ჯერ კი პეტრიაშვილის წერილებს გავეცნოთ.

№ 1*

„ოდესსა, 7 ივნისი
 1895 წელს

საყვარელო ძმაო პეტრე,

დღეს ჩამოველი დაჩივამ და შენი წერილი დამხვდა და დღესვე გიგზავნი ფულს. არ ვიცი, რათ იცი მაგდენი ცერემონიები და ბოდის მოხდა და ან ისეთი რა დამავალე, რომ ბოდში ღირდეს, ამისთანა დავალებას არც მე გაკლებდი, როცა მე ვიყავი სამძღვარს გარეთ.

კატო¹⁴⁶ მგონია ივნისში ვერ მოახერხებს წამოსვლას, მგონი მხოლოდ ივლისის დამდეგში მოუხდეს და ამიტომ მგონია ვერ შეგხვდეს. დღეს კატომ გამომატანა შენთან წერილი და ამასაც დღესვე გიგზავნი.

აქ ახალი ანბავი არა არის რა; ზაფხული ჯერ კარგია, სიცხეები არ დაწყობილა და არც წვიმებია, კარგა გრილა, მაგრამ მგონია ამ ხანებში დაიწყოს სიცხეები.

ზილინსკი¹⁴⁷ თავის სახლობით ჩამოვიდა მოსკოვიდამ აგერ ორი კვირაა და ბევრი მიკითხვა შემოგიტვალეს.

შენ არაფერსა მწერ შესახებ იმისა, რაც კეკემ გადმოქცა, არ ვიცი გაუგზავნო თუ არა საჩლენო ფული და თუ უნდა გავუგზავნო, რამდენი არის საჭირო.

¹⁴⁶ კატო – ეკატერინე თავდგირიძე, ვასილ პეტრიაშვილის მეუღლე.

¹⁴⁷ ნიკოლოზ ზილინსკი (1861-1953) – ცნობილი ქიმიკოსი, აკადემიკოსი; დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ პ.მელიქიშვილი და ვ.პეტრიაშვილი.

ვერიგობმა¹⁴⁸ ბევრი მოკითხვა შემოგიტვალეს, დღეს ისინიც აქ არიან.

მშვიდობით, ნახვამდინ და თუ ღმერთი გნამს, რაც გჭირდეს შემატყობინე და მე ყველას სიხარულით აგისრულებ.

შენი ერთგული

ვასილ პეტრიაშვილი

მიიღე თუ არა გამოგზავნილი წიგნები?"

№2*

„24 აპრილი

საყვარელო ძმაო პეტრე!

დღეს გამოგიგზავნი ჩეკს ცალკე კონვერტით. თუმცა შენი წერილი პარასკევს მომივიდა, მაგრამ აქამდინ ვერ მოვახერხე გამოგზავნა, რადგან ცოტა შეუძლოთ ვიყავი, გაცვივდი და გარეთ არ გამოვდიოდი და ამისთვის ფულიც მიღებული არ მქონდა. დღეს 332 რუბლს გამოგიგზავნი. ეხლა შენი ნაცნობი პროფესორისთვის¹⁴⁹ ვერაფერ წიგნს ვერ გიგზავნი, რადგანაც სამწუხაროთ აქ ვერ ვიშოვნეთ უყდო ჭავჭავაძეს თხზულება. თბილისიდან გამოვიწერეთ და მოვა თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნი. ეხლა კი გამოგიგზავნი რომელსამე ნომერს მოამბისას. აქ ახალი ანბავი არა არის რა და ამისთვის ვერასა გწერ.

ეხლა ჩვენ ყველანი კარგათა ვართ, კატომ და ვერიგობმა ბევრი მოკითხვა შემოგიტვალეს. ამ დღეებში კატოც მოგწერს წერილსა.

შენი ვასილ პეტრიაშვილი“.

გრაცში დაცული მესამე წერილი პეტრიაშვილისა შუხართისადმია გაგზავნილი:

№3*

«ოდესსა, 24 ივლისი/5 აგვისტო

დიდად პატივცემულო კოლეგა!

ჩვენი მეგობარი პეტრე მელიქიშვილისგან მეც მარტო ეს სამი დღე არის, რაც წერილი მივიღე. ის ეხლა იმყოფება გალიციაში, კარპატის მთებში. აი მისი ადრესი: Zakopane (Galizien), Villa Maxwald. როგორც იწერება მელიქიშვილი, მალე აპირობს ოდესისკენ წამოსვლას. ორი კვირის შემდეგ წამოვა ზაკოპანედამ.

¹⁴⁸ ალექსანდრე ვერიგო – ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიკოსი.

¹⁴⁹ ივარაუდება ჰუგო შუხართი.

დავშთები მარადის თქვენი კეთილმოსურნე

ვასილ პეტრიაშვილი».

ამ წერილებში აღწერილ ამბებს ერთგვარად შუქს ჰყვანს პეტრე მელიქიშვილის მიერ 1895 წლის ზაფხულში შუხართისადმი გაგზავნილი ვრცელი წერილი, საიდანაც გავეცნოთ ამონარიდს: „...როცა გრაცი დავტოვე, მსურდა, რამდენიმე დღით ზიმერინგში დავრჩენილიყავი, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა. ყველაფერი სავსე იყო – სასტუმროები, კერძო ბინები და ა.შ. ...მოულოდნელად გადავწყვიტე, რომ კარპატებში გავმგზავრებულიყავი... ისეთი საშინელი თავის ტკივილები მქონდა, რომ აბსოლუტურად არ მქონდა თავი, რაიმე ახალი წამომეწყო. ასე დავრჩი ზაკოპანეში 2 კვირას. ამის შემდეგ ფიქრობდი, რომ რამდენიმე დღით კიდევ დავრჩებოდი და შემდეგ ოდესაში გავემგზავრებოდი. მაგრამ აქ დადგა ფულის საკითხი. მე კოლეგა პეტრიაშვილს წერილიც ვერ გავუგზავნე, სრულიად დამავინწყდა, და ამის გამო იძულებული გავხდი, აქ დავრჩენილიყოყავი და დავლოდებოდი პეტრიაშვილის წერილს. გუშინ ფული მივიღე. პეტრიაშვილი კი მწერს, რომ ოდესაში ძალიან ცხელა, და მირჩევს, კიდევ რამდენიმე დღით დავრჩე აქ, რადგან ასეთი სიცხის დროს ოდესაში არ ღირს გამგზავრება. მე გადავწყვიტე, კიდევ 5-6 დღით დავრჩე აქ, 12-13 აგვისტოს კი გავემგზავრები ოდესაში“.

1896 წელს ვასილ პეტრიაშვილს ოდესის უნივერსიტეტში სამსახურის ვადა ეწურებოდა და თბილისელმა ნაცნობ-მეგობრებმა და საქმეში ჩახედულმა ხალხმა შესთავაზეს (იცოდნენ რა ოდესელი პროფესორის დიდი სურვილი, დაბრუნებულიყო სამშობლოში და იქ გაეგრძელებინა საქმიანობა), სათავეში ჩასდგომოდა სათავადაზნაურო სკოლას, რომლის გახსნაც 1896 წლის შემოდგომისთვის იყო განზრახული. რაკი იმხანად პეტრიაშვილი ოდესაში ცხოვრობდა, ორგანიზატორებმა გააცნეს თავიანთი გადაწყვეტილება და სთხოვეს, დათანხმებულიყო შეთავაზებაზე.

ერთერთი პირველთაგანი, ვინც პეტრიაშვილს ამის შესახებ შეატყობინა და საქმის ვითარება გააცნო, ზაქარია ერისთავი¹⁵⁰ იყო. პეტრიაშვილის პასუხმა არ დააყოვნა:

„ოდესსა, 11 აგვისტო [1895]

საყვარელო ძმაო ზაქარია,

გუშინ მივიღე შენი წერილი, რომლითაც მატყობინებ, რომ უკვე შეგიდგენიათ სასწავლებელის წესდებები და ხარჯიც ავირიცხავთ

¹⁵⁰ ზაქარია გიორგის („ატამანის“) ძე ერისთავი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი.

და შემდეგ შემოდგომისთვის უკვე აპირობთ სასწავლებელის გახსნასა და ამასთან იმასაც მწერ, რომ მე ვიკისრო ამ სასწავლებელის ხელმძღვანელობა.

მე დიდის სიხარულით ვიკისრებ მაგ საქმეს და ჩემის მხრით ეს მსხვერპლის შეწირვა კი არ იქნება, არამედ ჩემი გულითადი სურვილის აღსრულება.

ვსწუხვარ, რომ არ ვიცოდი, თუ თქვენ ეხლა სასწავლებელის ტიპის ამორჩევაზე და ვანდემუმის შედგენაზე მუშაობდით; მე ხომ უეჭველათ მოვიდოდი და იქნება მეშველნა.

არ ვიცი მამულს რა შემოსავალი აქვს და 10 ათასი მანეთი წლიური ხარჯი კი მგონია ცოტა უნდა იყოს; არც ის ვიცი, რა საგნებს ასწავლიან და რამდენი მასწავლებელი იქნება. არის რამე ხელშესაწყობი კაბინეტი და საჭიროა თუ არა რამე იარაღების მოპოვება. რასაკვირველია, ამას ყველაფერს მხედველობაში იქონიებდით ხარჯის აღნუსხვის დროს. კარგი კი იქნება და საინტერესო ჩემთვის, თუ, რასაკვირველია, შესაძლებელია, გამომიგზავნო უფრო დანვრილებითი ცნობები. მე თითონ ვაპირებდი სასწავლებელის პროგრამის შედგენას და ამისთვის მასალას ვაგროვებდი.

ერთი სიტყვით მე დიდის სიხარულით და კმაყოფილებით მოვკიდებ ხელს მაგ საქმეს; იმედი მაქვს, თუ პროგრამას რამე ნაკლებუფავანება დააჩნდა, გასწორებაც შეიძლება შენივე შემწეობით.

ეს კი არ ვიცი, ამ სასწავლებელს ექნება რამე კავშირი მმართველობასთან თუ არა და აი ამას რისთვის ვკითხულობ: მე აქ 25 წლის სამსახურს ვათავებ მომავალს იანვარში (1896 წელს) და თავს დავანებებ სამსახურს, რომლისთვისაც მომცემენ ნახევარ პენსიას, მაგრამ იმ პირობით, თუ მე რამე სახელმწიფო სამსახურს არ ავიღებ და თუ რამე სამსახური ავიღე, მაშინ პენსია დამეკარგება; ვისაც არ უნდა, რომ პენსია დაეკარგოს, იმან 30 წელიწადი უნდა იმსახუროს უნივერსიტეტში.

თუ სასწავლებელი მართლა შემდეგ 1896 წლის შემოდგომით გაიხსნება, მე მაშინ ასე...

/წერილს დასასრული აკლია/

/გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ვ.პეტრიაშვილის ფონდი/

როგორც ჩანს, ამ საქმეს იმხანად თავი ვერ მოაბეს. უფრო კი საფიქრებელია, რომ პეტრიაშვილმა ვერ დათმო ოდესის უნივერსიტეტი, რადგან ასეთ შემთხვევაში პენსიას კარგავდა, და გადაწყვიტა, იქ კიდევ ხუთ წელიწადს დარჩენილიყო, რის შემდეგაც მას მოქმედების თავისუფლება მიეცემოდა. ამის შესახებ ქვემოთ სხვა წერილიდან შევიტყობთ. ახლა კი ოდესის უნივერსიტეტის ქართველ

სტუდენტთა ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, იასონ მოსევილის¹⁵¹, წერილს გავეცნოთ იაკობ გოგებაშვილისადმი:

„მონყალეო ხელმწიფეე იაკობ სიმონის ძეე!

თქვენი მუდმივი თანაგრძნობა ყოველ სასარგებლო საქმეში გვაბედინებს მოგმართოთ შემწეობისთვის ჩვენ მიერ განზრახულის საქმის განსახორციელებლათ. ჩვენ უკვე გვქონდა გამოცხადებული („ივერია“, № 106, 1900 წ.), რომ ამ წლის გასულს ოდესსის უნივერსიტეტის პროფესორს ვ.მ.პეტრიაშვილს უსრულდება 30 წელი სამსახურისა, რომლის შემდეგაც ის უნივერსიტეტს თავს ანებებს და სამშობლოში ბრუნდება სამოღვაწეოთ. ვ.მ.პეტრიაშვილის მოღვაწეობის აღსანიშნავათ ოდესსელმა ქართველმა სტუდენტობამ განიზრახა მის სახელზე სტიპენდიის დაარსება ოდესსის უნივერსიტეტში უღარიბესის და საიმედო ქართველი სტუდენტების სასარგებლოთ.

ვაგროვებთ რა თანხას ამ მიზნის მისაღწევათ, გთხოვთ აღმოგვიჩინოთ ნივთიერი შემწეობა და მით მოგვცეთ საშუალება განზრახული საქმე სისრულეში მოვიყვანოთ.

თქვენი შემოწირულება კეთილინებეთ გადასცეთ „ივერიის“ რედაქციას, სადაც მიიღებთან შემოწირულებანი აღნიშნულის სტიპენდიის სასარგებლოთ.

ამხანაგების მინდობილობით

სტუდ. ი. მოსევილი

ოდესსა, 14 ოქტომბერი, 1900 წ.“

/ხელნაწ. ინსტ., ი. გოგებაშვილის ფონდი, № 411/

ამ წერილიდან ჩანს, რომ ხუთი წლის შემდეგ კვლავ დადგა დღის წესრიგში ვასილ პეტრიაშვილის საქართველოში ჩამოყვანის საკითხი, ხოლო ოდესის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტობამ ღვაწლმოსილი პროფესორის სახელობის სტიპენდიის დანესება განიზრახა და შემწეობა ქართველ მოღვაწეებს სთხოვა. მაგრამ პეტრიაშვილი ვერც ამჯერად ჩამოვიდა საქართველოში. მისთვის ძნელი შეიქნა ოდესის უნივერსიტეტის მიტოვება, სადაც მან ქიმიის გარკვეული დარგების განვითარებას დიდი ძალები შეაღია და თავისი მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობით სტუდენტთა და კოლეგათა უსაზღვრო სიყვარული მოიპოვა. ოდესელებიც ვერ ელეოდნენ, ჩანს, სახელოვან პროფესორს.

გადის კიდევ ოთხი წელი...

ვასილ პეტრიაშვილი პარიზიდან სწერს ზაქარია ერისთავს:

¹⁵¹ იასონ მოსევილი (1876-1968) – შემდეგში ცნობილი ქიმიკოსი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი.

„პარიჟი, 2/14 აპრილს

დაუვინყარო ძმაო და მეგობარო ზაქარია!

ეს-ეს არის ვაპირებდი შენთან წერილის მოწერას, რომ შენგან ტელეგრამმა მომივიდა გუშინ 500 მანეთის შესახებ. დიდი მადლობელი ვარ, რომ ამდენათ ფიქრობ ჩემ საქმეზე და თუ ცოცხალი დავრჩი, როგორმე გადავიხდი ამდენს შენუხებას. ახლა გთხოვ, რომ აღარ გამოგ ზავნო ის დაპირებული ფული, რადგანაც მე სხვანაირათ მოვანყე ჩემი საქმეები. რადგანაც შენგან დიდი ხანი არაფერი ანბავი არ მომივიდა, მე ვიფიქრე ალბათ შენთვის შეუძლებელია იმ ფულების გამოგ ზავნა და ამისთვის სხვა ნაკადულს მივმართე, ესე იგი ვისესხე სარგებლით. როგორც შენი ტელეგრამიდან სჩანს და აგრეთვე მელიქოვთან მიწერ-მოწერით, მე მივხვდი, რომ შენი სიჩუმე სულ ჩემი ბრალი ყოფილა, რადგანაც დროზე არ შეგატყობინე ჩემი ადრესი. მე იმიტომ ავჩქარდი ესე და შენ გამოგ ზავნას აღარ მოუცადე, რომ ამ თვის გასულს უეჭველათ მომიხდებოდა აქედგან წასვლა და მეშინოდა უფულოთ არ დავრჩენილიყავი უკანასკნელ წამამდის. რაც მოხდა – მოხდა, ამას აღარა ეშველება რა და კიდევ დიდ მადლობას გიძღვნი და ამასთან ბოდიშსაც, რომ ტყუილ-უბრალოთ შეგანუხე.

ჩემი მომავალი პლანები ისევ ის რჩება, როგორც წინათ მოგწერე: აქედამ პირველ მაისის რიცხვებში წავალთ შამპანიაში იქაური პოდვალეების დასათვარიელებლათ და შემდეგ ლონდონში და იქიდან გოლლანდიით და ბელლიით დავბრუნდებით კისსინგენში/ზავარია წყლებზე, სადაც ექვს კვირას დავრჩებით და შემდეგ, ერთი თვის შესვენებისა დავბრუნდებით რუსეთში აგვისტოს დამდეგს.

თუ მოგიხდეს წერილის მოწერა პირველი მაისის შემდეგ, ამ ადრესით მოიწერე:

Bad-Kissingen,
 Deutschland, poste restante.

მელიქოვი მწერდა, რომ ასი თუმანი შესწირე სტიპენდიისთვის ოდესის უნივერსიტეტში; ეს ალბათ დროებითი შეწირვა უნდა იყოს და არა წლოებითო; ამაზედ დანვრილებით მომწერე და შემატყობინე რა გაქვს სახეში; მე მგონი, რომ სჯობდეს ეს ფული მიეცეს ვისმეს უნივერსიტეტში კურს შესრულებულებს, რომ სადმე სამზღვარ გარეთ გავითარდეს ისტორიის შესწავლის წყაროებში, მაგრამ ეს შენი ნებაა, როგორც გერჩიოს, ისე მოიქეცი; მხოლოდ თუ დრო გქონდეს, შემატყობინე ან აქ (აპრილის გასვლამდის) და ან კისსინგენში. პატივცემულს და დაუვინყარს ბატონს გიორგის ჩემსა და ჩემი ცოლის მაგიერ გულითადი მოკითხვა მოახსენეთ, აგრეთვე ასიკოს და შენ მეუღლეს. ნუ დაგვივინყებ.

შენი ვასილ პეტრიაშვილი¹⁵²
 /გ.ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის
 სახელმწიფო მუზეუმის არქივი,
 ვ.პეტრიაშვილის ფონდი, №7931-ბ/

წერილს არ აწერია სრული თარიღი. მომდევნო წერილის გათვალისწინებით ადვილი დასადგენია, რომ იგი 1904 წელს არის დაწერილი.

ჩანს, საქართველოში მტკიცედ გადაწყვიტეს, სათავადაზნაურო სკოლას მაინცდამაინც ვასილ პატრიაშვილი ჩაუყენონ სათავეში. იცინან, იგი უნარიანი ხელმძღვანელია, პრინციპული, შეუვალი პიროვნება. ამას მისი ოდესელი კოლეგების შეხედულებაც ადასტურებს. მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწროთ და გავიხსენოთ, რომ ერთი წლის შემდეგ პეტრიაშვილს ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად ირჩევენ, ხოლო კიდევ ორი წლის შემდეგ – უნივერსიტეტის რექტორად! მაგრამ თბილისში, ცხადია, ამას ვერ იწინასწარმეტყველებდნენ. იქ დაჟინებით ცდილობენ პატრიაშვილის გადმობირებას და დედაქალაქში ჩამოყვანას. მისი კეთილისმსურველები ერთიმეორის მიყოლებით უგზავნიან დეპეშებს და სთხოვენ, დასთანხმდეს მათს შეთავაზებას. ჩანს, განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილი აქტიურობდა. მრავალმხრივ საინტერესოა პეტრიაშვილის პასუხი დიდი იაკობის დეპეშაზე.

„11/24 ივლისი 1904წ.

ბად-კისინგენი

საყვარელო ძმაო იაკობ!

გუშინ-წინ მივიღე შენი და კნეინა ორბელიანის¹⁵² ტელეგრამები და არ დაგიმალავ, რომ პირველ წამში ძალიან გამახარა და ამაღლევა თქვენმა და საზოგადოთ კომიტეტის ნდობამ. მას აქეთ, რაც მე ცხოვრებაში გამოვედი, ჩემი სურვილი და ცდა სულ ის იყო, რომ როგორმე გადმოვსულიყავი სამშობლოში და მანდ მემუშავა შეძლების დაგვარათ. სიბერის დროს ეს ცდა და სურვილი უფრო გაძლიერდა, გაორკეცდა, მაგრამ სამწუხაროთ ვერასგზით ვერ მოხერხდა შესაფერი შრომის შოვნა. რადგანაც თქვენი ტელეგრამები მისრულებენ ამ მთელი ჩემი ცხოვრების წადილს, ამისთვის რასაკვირველია პირველ წამში, როგორცა ვსთქვი, ძალიან გამეხარდა. მაგრამ შემდეგ, როცა დავფიქრდი და ავწონ-დავწონე, ბევრი შავი ფიქრები წამომიდგნენ წინ და ამისთვის გადაწყვეტილი ვერა მოვიწერე რა. აი ეხლა შენ განდობ ჩემ ფიქრებს და ამასთან გთხოვ

¹⁵² უნდა იგულისხმებოდეს კნეინა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941), საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი.

დანვრილებითი ცნობები მომანოდო ზოგიერთ კითხვებზე, რომელთა გათვალისწინება ჩემთვის ძალიან საჭიროა ამ საქმის გადანვეტისათვის.

1) სამწუხაროთ აქამდის კარგათ გამორკვეული არა მაქვს, რა დანიშნულება აქვს თავად-აზნაურობის შკოლას, რა მიზანი აქვს და რას ელტვის და ასრულებს თუ არა თავის მიზანს? ამ შკოლის პროგრამის ცნობა არა მაქვს, და რასაც კი თვალთ ვხედავ, სანუგეშოს არას გვიჩვენებს. ეს შკოლა (ეს მხოლოდ ჩემი საკუთარი შენიშვნაა) არც ხეირიან სწავლას და ცოდნას აძლევს თავის მოწაფეს, არც მამულის სიყვარულს უნერგავს და არც ქართველს ქართველათა წრეთნის. ეს კი არ ვიცი თუ რა, ან ვინ არის ამის მიზეზი: შკოლის პროგრამა თუ მისი მასრულებელი? სამწუხაროთ, ვისაც კი მე შევხვდი ამ შკოლიდან გამოსულს, ვერავის ვერ დავატყე ქართველობის საკუთარი ბეჭედი. იქნება ვსცდებოდე ამაში, მაგრამ ჩემის ფიქრით გამოდის თითქმის იგივე რუსული გიმნაზია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გემნაზია თუ ცოდნას არ აძლევს, უფლებას მაინც აძლევს, ჩვენი შკოლა კი ორივეს მოკლებულია. ჩვენი სკოლის მასწავლებელი იძულებულია უფლების მოსაპოვებლად გიმნაზიას მიჰმართოს, სადაც ის ვერადროს ხეირიანათ ვერ გაათავებს დასამთავრებელ გამოცდას და ყოველთვის გიმნაზიელს უკან ჩამორჩება და ეს იმიტომ კი არა, რომ ის გიმნაზიელზე უფიცო და უმეცარია, არა მარტო იმიტომ, რომ გიმნაზიელს მასწავლებლებიც და უმფროსებიც დიდის ხნის განმავლობით იცნობენ და რაკი ბოლომდის მიიყვანეს, უფლებასაც მისცემენ. ჩვენი სკოლის შეგირდს კი არავინ იცნობს და ამისთვის უფრო დაუნდობლათ ეკიდებიან და ყოველ შეცდომას უფიცობათ სთვლიან. ამასთან გამოცდის პირობებიც სხვა და სხვა არის; ჩვენი შკოლის შეგირდმა მრავალ საგნებში უნდა გასცეს პასუხი და ისიც სრულიად უცხო გარემოებაში, უცხო მასწავლებლებს და გემნაზიელმა კი მხოლოდ რამდენსამე საგანში და ისიც თითქმის თავის სახლში და თავის მასწავლებლებს – ამ სხვადასხვა პირობების გამო ჩვენი შკოლის შეგირდი ყოველთვის უკან ჩამორჩება გიმნაზიელებს. ამით მე ის მინდა ვსთქვა, რომ გარემოების მოწყალებით, ჩვენი შკოლა სამუდამოთ განწირულია უკან-ჩამორჩომას უფლების ძიებაში, მისი მოწაფენი უფლებას იშვიათათ მიიღებენ და ისიც დიდის ჭაპანწყვეტით. რაც უნდა ენერგიული და გამოცდილი მმართველი ჰყვანდეს შკოლას, ის ვერას გახდება და ამისთვის მისი შრომა ამ მხრით ყოველთვის უნაყოფო დარჩება; ესევე ითქმის მასწავლებლებზედაც. საზოგადოდ კი, ყმანვილების დედ-მამა, რომ ნახავს ამისთანა შედეგს, რასაკვირველია ზედამხედველის და მასწავლებლების უვარგისობას მიანერს და რასაკვირველია ესენი საზოგადოთ საძრახელნი გახდებიან. უეჭველია, მეც ეგ ბედი მომელის,

თუ მაგ შკოლის წინამძღოლობა მივიღე. იქნება მე ამ მხრით შემცდარი ვიყო და ჩემი შიში უფიცობის შიში იყოს, მაგრამ სხვა უკეთესი მხარე ამ საქმისა როგორღაც ვერ წამომიდგენია. იქნება შკოლას უფლების მოპოვების მიზანი არც კი აქვს სახეში, არამედ მხოლოდ ქართველათ გაზდა და განრთვნა, მაგრამ თუ შკოლას უფლებების მოპოვება არა სურს, მაშინ არც გიმნაზიის პროგრამას მიიღებდა და უფრო იმას ასწავლიდა, რაც ცხოვრებისათვის უფრო გამოსადეგია. რადგანაც ჩვენი შკოლა თითქმის რუსული გიმნაზიაა, მაშასადამე უფლების მოპოვებასაც ელტვის. თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენი შკოლა სრულიად არ ასრულებს თავის დანიშნულებას, გარემოების მიზეზით სრულიად უსარგებლო და უნაყოფო რჩება. სამწუხაროთ, ფაქტებიც ამას გვიმტკიცებენ: როგორც გაზეთებში წავიკითხე, წრეულს მართო ერთს მიუღია გიმნაზიის ატესტატი. სხვები? მათ რა მოეღიბა, აქვს თუ არა საზოგადოებას შეძლება, რომ ეგრე გარეთ დარჩენილი ყმაწვილები სადმე სამძღვარგარეთ გაგზავნოს სწავლის გასაგრძელებლათ? ერთი სიტყვით, გარეგანი შეხედულებით, ვინც დაახლოვებით ვერ იცნობს შკოლას, ყველას თითქმის ისეთი შეხედულება აქვს, რომ სათავადაზნაურო შკოლაზე ტყუილ უბრალოთ იხარჯება დიდძალი ფული და სარგებლობა კი არა სჩანს. იქნება ეს შეცდომა იყოს, შენი ჰაზრი და შეხედულობა შემატყობინე. შემატყობინე ისიც, შესაძლებელია თუ არა, როგორმე და რითმე ამ ანორმალური (თუ მართალია ჩვენი შეხედულობა) მდგომარეობის გამოსწორება? რა აზრს ადგია კომიტეტი და თითონ თავადაზნაურობა? – ნუთუ კმაყოფილია შკოლის ამ გვარი მდგომარეობით?

2) ჩემთვის ძალიან საჭიროა ვიცოდე რა დამოკიდებულება არის შკოლის და სამინისტროს შორის, როგორც კერძო შკოლა, უეჭველია, სამინისტრო ჩინოვნიკების კონტროლის ქვეშ არის. ეს თუ ასეა, მაშინ ჩემთვის ეს სრულებით მოუხერხებელია. მე ამ მდგომარეობას სრულიად მიჩვეული არა ვარ. და სიბერის დროს ძნელია ამას მივეჩვიო. მე ისე გავატარე ჩემი ცხოვრება, რომ რუსის ჩინოვნიკებთან არავითარი საქმე არა მქონია. და ჩემს მოქმედებაში ყოველთვის თავისუფალი ვიყავი. სამწუხაროთ რუსის ჩინოვნიკებს ძალიან კარგათ ვიცნობ, მეტადრე საერო განათლების უწყებისას. მათთან გულახდილათ, სინდისიანათ მუშაობა ძნელია, უნდა ხან ერთს ეხვეწო, ხან მეორეს – უამისოთ საქმე წახდება, მაგრამ ჩემთვის კი შეუძლებელია ორპირობა და ორგულობა, ერთი სიტყვით, თუ შკოლას რამე დამოკიდებულება აქვს სამინისტროსთან, მე იქ არ შემიძლიან სამსახური.*

* იმედი მაქვს, რომ ჩემთან ვერ გაბედავენ ჩინოვნიკები თავიანთი ცრუ პედგოგობის გამოაშკარავებას და თუ გამოაშკარავენ, პასუხს მიიღებენ, მაგრამ ეს შექმნის აუტანელ დამოკიდებულებას, რაც საქმეს ბევრათ ავნებს.

3) ამასთან საჭიროა ვიცოდეთ, რა დამოკიდებულება არის პედაგოგიური რჩევის და კომიტეტის შორის? არის რამე ისე განსაზღვრული და გამორკვეული, რომ ერთი მეორის საქმეში არ ჩაერევას, თუ ორივეს ნებართვა აქვთ შემთხვევის და გარემოებისდა მიხედვით ერთი ერთმანეთს ხელი შეუშალოს და რომელისამე განკარგულება ან გადანყვეტილება ჩაშალოს. სამწუხაროთ კერძო სკოლების არსებობაში ამ ორთა დანესებულებათა შორის ხშირათ თანხმობა არ სუფევს და კომიტეტი ყოველთვის იმ ტენდენციას მისდევს, რომ იგი უმფროსია და ბძანებელია პედაგოგიური სოვეტისა და ამის გამო ხშირი უთანხმოება და ურთიერთაშორისი სიძულილი ჩნდება, რაც სკოლას არავითარ ხეირს არ მისცემს.

4) ერთ დიდ დაბრკოლებას მე იმაშიაც ვხედავ, რომ მე ჩემი პედაგოგიური მოქმედება უნივერსიტეტს შევსწირე, მაშასადამე მოზდილ თაობას. ყმანვილების და ბავშვების აღზრდაში და განვრთნაში მე სრულიად გამოუცდელი ვარ და ამისათვის მეშინიან ვაი თუ ვერ ვივარგო თქვენი სკოლის წინამძღოლათ. რასაკვირველია ყველაფრის შესწავლა შეიძლება, მაგრამ ვაი თუ ხანმა მიმტყუნოს და შესწავლული ვერ გამოვიყენო.

როგორც ვხედავ, ჩემო იაკობ, მე თქვენი სკოლისთვის გამოსადეგი არა ვარ და იქნება სჯობდეს სხვა უფრო გამოსადეგი მოძებნო. შენგან მოველი პასუხს. თუ აგვისტოს დამდეგამდინ მოინერო, აქ მომწერე და თუ შემდეგ, მაშინ ოდესსაში.

მუდამ შენ ერთგული

ვ.პეტრიაშვილი“.

რაკი დასაწერი ადგილი აღარ დარჩა, პეტრიაშვილს პირველ გვერდზე დამატებით ირიბად მიუწერია: „რაც უნდა იყოს, მომიხდება თუ არა მანდ გადმოსვლა, მაინც დიდს მადლობას უძღვნი თქვენ კომიტეტსაც და საზოგადოებასაც, რომლებიც ყოველთვის ფიქრობენ რამე ადგილი მიშოვონ სამშობლოში. ჩემის მხრით რასაკვირველია მხოლოდ იმისთანა შრომის კისვრა შემიძლიან, სადაც რამე სარგებლობის მოტანა შემიძლიან და სადაც საზოგადოების მოლოდინის შესრულებას შევიძლებ“.

/ხელნან. ინსტიტუტის არქივი, ი.გოგებაშვილის ფონდი, №440/

იასონ მოსეშვილი დაჟინებით ცდილობს პეტრიაშვილის სახელობის სტიპენდიისთვის მყარი ფონდის შექმნას, მაგრამ წინ არაერთი უაზრო დაბრკოლება ელობება. ამ დროს პეტრიაშვილი უნივერსიტეტის ერთერთი ხელმძღვანელთაგანია, მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლის. ვერავინ გრძნობს, რომ პეტრიაშვილს მხოლოდ წლინახევრის სიცოცხლეა დარჩა...

ოდესაში მყოფი ი.მოსეშვილი შესაშური შეუპოვრობით ცდი-

ლობს, რამენაირად თბილისშიც აიყოლოს პეტრიაშვილის გულშემატკივრები, რათა უფრო გაბედულად იმოქმედონ.

„ოდესსა, 31 იანვარს 1907 წ.

ძმავ სევით!

ერთხელ კიდევ მინდა შეგანუხო ვ. პეტრიაშვილის სტიპენდიის ფონდის შესახებ. აქ ყოფნის დროს პეტრე სურგულაძესაც დავაბარე – ალბათ გადმოგცემდა ჩემს თხოვნას. „ივერიის“ ძველმა რედაქციამ ჩვენი ინიციატივით შეგროვილი ფული არ გამოგვიგზავნა რაღაც გაუგებარი მოსაზრებით. „ჩვენ ოდესსელ ქართველ სტუდენტებს არ ვიცნობთ“, ეთქვათ მაშინ შენთვის, როგორც შენ ამ ორიოდე წლის წინათ მწერდი. სხვებმა ყველამ გვცნო ამ ფონდის პატრონათ და გამოგვიგზავნა შეგროვილი ფული. სხვათა შორის, „ივერიის“ რედაქციამაც სარაჯიშვილის* რედაქტორობის დროს. ძველმა გამგებმა-კი არ ინებეს და „წერა-კითხვის საზოგადოებაში“ შეინახეს ჩვენი ფული უსარგებლოთ. დანარჩენი თანხა მე აქ მაქვს შეტანილი საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში და პროცენტები ემატება. მინდა, თბილისში დარჩენილი ფულიც მოვუმატო, და ეგებ ოდესმე გაიზარდოს იმდენათ, რომ ერთი პატარა სტიპენდია მაინც შედგეს პროცენტებიდგან. ქართველი ღარიბი სტუდენტების რიცხვი თანდათან მატულობს, არსაიდან არავითარი საშვალეუბა არ არის, რომ დაეხმაროს კაცი და მაგ დალოცვილები-კი, რაღაც ფორმალური მოსაზრებით, ჩვენს საკუთარ ფულს არ გვანებებენ. გაისარჯე, სევით, ერთხელ კიდევ, მიდი ყველა იმ პირებთან, ვისთანაც საჭიროა, და გადაეცი ჩემი თხოვნა, რომ აღნიშნული ფული რაც შეიძლება მალე გამომიგზავნონ. თუ კიდევ უარი სთქვეს, მე იძულებული ვიქნები, გაზეთის საშვალეებით მოვითხოვო ეს ფული და სანყენათ ნუ მიიღებენ...

შენ რასა იქ, როგორ მოეწყვეთ ახალ შენობაში, როგორ მიდის მეცადინეობა ან საზოგადოთ რა ამბებია მაქვთ? ოდესსაში არაფერი სანუგეშო არ ხდება. მძვინვარებს „რუსის ხალხის კავშირი“ და ყველას სიცოცხლეს უმწარებს. ქუჩაში თავისუფლათ ვერ გაუვლია კაცს მათი ნყალობით. ვისაც აიუთვალთვალევენ (!), სცემენ უმოწყალოთ რეზინით და სადაც დასჭირდებათ, რევოლვერითაც მოქმედებენ. ამ დღეებში „ოლგეევსკაიაზე“ დასჭრეს სტუდენტი ადლერი, რომელიც ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა კიდევ კლინიკაში. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, დიდი აღელვება გამოიწვია უნივერსიტეტში და ეს სამი დღეა ლექციები არ არის. შეიძლება სრულიადაც შესწყდეს მეცადინეობა.

* ალექსანდრე სარაჯიშვილი (1851-1914) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, 1902-03 წლებში „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი.

არჩევნებმა ძალიან კარგად ჩაიარა: გავიდა 78 მემარცხენე და მხოლოდ 4 მემარჯვენე.

გისურვებ ყოველ კეთილს ოჯახით. გადაეცი მოკითხვა იურკა ფალავას, პეტრე სურგულაძეს და ყველა ნაცნობებს. საშა მდივანს ცალკე ვწერ წერილს. ველი შენს წერილს.

შენი იასონ მოსეშვილი“.

/ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. №481, საქმე №1048/

1908 წლის 27 ივლისს ვასილ პეტრიაშვილი კარლსბადში გარდაიცვალა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, როგორც იქნა, გადადგა გარკვეული ნაბიჯები პეტრიაშვილის სახელობის ფონდის შესაქმნელად, მაგრამ ეს ადრე გათვალისწინებული სასტიპენდიო ფონდი არ იყო, შეგროვებული თანხა უნდა მოხმარებოდა სკოლას ან რაიმე საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნას. ამის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის აღნიშნული საზოგადოების გამგეობის მდივნის ანგარიში:

„წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების გამგეობას

ამავე გამგეობის მდივანის
სამსონ ფირცხალავას

მოხსენება

გამგეობამ მიიღო პროფ. მელიქიშვილისაგან პროფ. ვ.პეტრიაშვილის სახელობაზე თანხის შესადგენად შეგროვილი ფული 615 მან და 500 მანეთიანი გირავნობის ფურცელი ხერსონის გუბერნიის საერობო ბანკისა (4,5%). ფული შემონირულია: პ.მელიქიშვილი – 100 მან., ექიმი ი.ბარდახი – 100, ბ.ნ. არლუთინსკი-დოლგორუკი – 100, ტფ. გუბ. მარშალნი და დეპუტატნი – 110, სოხუმელნი ქართველნი – 70, ი.გ.აბაშიძე – 25, ნ.თავდგირიძე – 25, ნეიდინგოვას ოჯახი – 15, ი.კარვაცკი – 10, ექიმი ნ.დოროშევსკი – 10, შავი ქვის მრეწველთა საბჭო – 25 მან, ქ.ქუთაისი – 25 მან. სულ – 615 მან. ხოლო გირავნობის ფურცელი შემოსწირა ლარისა ჩებოკსარევისამ.

ამგვარად, ვას.პეტრიაშვილის სახელობაზე „საზოგადოებაშია“ ამჟამად $615+500=1115$ მან. ეს ფული უნდა მოხმარდეს სკოლას ან სხვა რამე განმანათლებელ დაწესებულებას.

წინად იყო კიდევ პეტრიაშვილის სახელობაზე 263.11, მაგრამ 1906 წ. საზოგადო კრებამ ეს ფული მიუმატა სალიტერატურო ფონდს.

ს.ფირცხალავა
1908.IX.9“.

/ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. №481, საქმე №1048/

როგორც ჩანს, ამ კეთილშობილურ საქმეს პეტრე მელიქიშვილი ჩაუდგა სათავეში. ოდესაში მან მოიზიდა თანხები, რომელთაც წერაკითხვის საზოგადოებას უგზავნიდა თბილისში. მაგრამ, როცა შეატყო, რომ საზოგადოება შეგროვებულ ფულს დანიშნულებისამებრ არ უპირებდა გამოყენებას, იაკობ გოგებაშვილს მკაცრი ტონით დაწერილი ბარათი გაუგზავნა:

„1909.7.IV

ოდესა, უნივერსიტეტი

დიდად პატივცემულო იაკობ სიმონის ძე!

დროდადრო ვაგზავნი ფულს, რომელიც სხვადასხვა პირის მიერაა შენირული ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი. შემწირველები ფულს იძლეოდნენ მხოლოდ-დამხოლოდ პეტრიაშვილის სახელობის სახალხო სკოლისთვის. მე აქამდე არა მაქვს ცნობა იმის შესახებ, თუ რა გააკეთა საზოგადოებამ ამ მიზნის განსახორციელებლად. აქამდე მე მხოლოდ შეტყობინებას ვღებულობდი საზოგადოებისაგან, რომ ფული მიღებულია. უკანასკნელად 1908 წლის 18 ნოემბერს გამოვაგზავნე 100 მანეთი, რაც გაიღეს ა.ო. და ა.ი. ნემიროვსკებმა, მაგრამ რატომღაც დღემდე საზოგადოებისაგან არ მიმიღია დადასტურება ამ თანხის მიღების შესახებ. მე კი აუცილებლად უნდა მქონდეს ხელთ ეს დოკუმენტი, რათა ვაჩვენო შემწირველებს, რომ მათ მიერ გაღებული ფული დანიშნულებისამებრ არის ვაგზავნილი.

რადგან საზოგადოებისაგან არა მაქვს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს იგი პეტრიაშვილის სახელობის სკოლის დაარსების იდეისთვის ხორცშესხმას და რა ზომებია საამისოდ მიღებული, ამას გარდა, რაკი აქამდე არ მიმიღია ცნობა უკანასკნელი შენირულობის მიღების შესახებ, მე იძულებული ვარ, ამიერიდან უარი ვთქვა შენირულობის მიღებაზე.

მე შემთხვევით შევიტყვე, რომ საზოგადოება აპირებს, სხვა დანიშნულება მისცეს ამ თანხებს. ასეთ გადაწყვეტილებას მე არასწორად ვთვლი: საზოგადოებას უფლება არა აქვს, შემწირველის ნება შეცვალოს.

მეტად მადლობელი დაგრჩებით, თუ მაცნობებთ შემოწირული ფულის ბედისა და იმის შესახებაც, თუ რას აპირებს საზოგადოება პეტრიაშვილის სახელობის სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით.

გულწრფელად თქვენი ერთგული

პ.მელიქიშვილი⁴

/ხელნაწ. ინსტ., ი.გოგებაშვილის ფონდი, №387,
 წერილი რუსულადაა დაწერილი/.

ნოე ჟორდანიას

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას (1868-1953) ახალგაზრდობისას, 1893-97 წლებში, საზღვარგარეთ იმყოფებოდა ცოდნის გასაღრმავებლად. 1896 წელს იგი ბერლინში ცხოვრობდა. 1896 წლის 3 მარტს არტურ ლაისტი ბათუმიდან სწერდა ჰუგო შუხართს: „ბერლინში ამჟამად სწავლობს ერთი ახალგაზრდა ქართველი ბატონი ნოე ჟორდანიას, მისი ადრესია: Linienstrasse № 100/II. მას, ალბათ, შეუძლია, დაგეხმაროთ ქართულ ენაში მეცადინეობისას. თუკი თქვენ ამას ისურვებდით, მაშინ ბატონი ნიკოლოზ ლოლობერიძე დაავალებდა მას, სააღდგომო არადადეგების დროს მოენახულებინეთ გრაცში“.

როგორც ჩანს, ჰუგო შუხართი დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას, აუხსნა, რომ ქართული ენის მისთვის ძნელად გასაკრევე საკითხებში დახმარება სჭირდებოდა და ქართველ კონსულტანტებს ეძებდა. ავსტრიელი მეცნიერის დიდ ავტორიტეტთან ერთად მისმა პიროვნულმა ხიბლმაც შეუწყო, ალბათ, ხელი იმას, რომ მალე შუხართსა და ნოე ჟორდანიას შორის მეტად თბილი დამოკიდებულება დამყარდა და ისინი ერთმანეთს წერილების საშუალებით უზიარებდნენ აზრებს, მოგვიანებით კი, 1896 წლის შემოდგომაზე, პირადად რომ გასცნობოდა, შუხართმა, როგორც იქნა, მოიცალა და საგანგებოდ ჩააკითხა ჟორდანიას მიუხეხნში, სადაც ეს უკანასკნელი იმჟამად იმყოფებოდა.

ჰუგო შუხართის პირად არქივში შემონახულია ნოე ჟორდანიას 7 წერილი. წერილები მოიცავს პერიოდს 1896 წლის 13 მარტიდან 1897 წლის 25 მარტამდე. წერილები, ძირითადად, გერმანულადაა დაწერილი, თუმცა ზოგიერთ მათგანში (№№ 1, 2, 3) გარეულია ქართულად დაწერილი აბზაცებიც. ქართულ ფრაგმენტებში, რომლებიც კუთხოვან ბრჭყალებშია მოქცეული, დაცულია დედნისეული მართლწერა. მივყვეთ თანამიმდევრობით.

№ 1

„13.3.96

ბერლინი, ლინიენშტრასე 100/II

ღრმად პატივცემულო ბატონო,

ბათუმიდან მაცნობეს, რომ თქვენ ქართული ენის კვლევა დაიწყიათ. სწორედ იმ დროს, როცა თქვენთვის წერილის მოწერას

ვაპირებდი, მივიღე თქვენი ძვირფასი ბარათი. ჩვენ, ქართველებს, ძალიან გვახარებს, როდესაც ევროპელი სწავლულები თავიანთ ყურადღებას ჩვენკენ მომართავენ. მიუხედავად იმისა, რომ მე ფილოლოგი არა ვარ, როგორც მცოდნე ქართული ენისა და ლიტერატურისა, მზად ვარ, გემსახუროთ. «აქ, ბერლინში, მე დავრჩები ზაფხულის სემესტრის დასასრულამდე. მე ვსწავლობ „Staatwissenschaft“¹⁵³. აგვისტო და სექტემბრის თვეებში პროვინციები მსურს ვნახო და მაშინ გოტასაც¹⁵⁴ ჩამოუვლი. თქვენი პირადი ნახვა და გაცნობა ძრვილ სასიამოვნო იქნება. თუკი იმდენი ქართული იცით, რომ ამ ჩემს ნაწერს ნაიკითხავთ და გაიგებთ, ბევრი შეგისწავლიათ და ამ მხრით დიდი შრომა აღარ დაგჭირდებათ. მე მზად ვარ, დაგეხმაროთ ქართული ენის შესწავლაში. კარგია, ერთ თქვენ მიერ ქართულად დაწერილ წერილს მივიღებდე. მაშინ შემიძლია გავიგო, თუ რამდენად იცით ქართული.

დავუთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი»

ნოე ჟორდანია¹.

ისე ჩანს, თითქოს შუხართმა მისწერა ჟორდანიას, თუ გინდა, ქართულად მომწერე წერილიო. ასე მიმართა მან მოსე ჯანაშვილს და სხვებსაც. ჟორდანიას მომდევნო წერილი, პირველი აბზაცის გარდა, ქართულად არის დაწერილი.

№2

„22.3.96

ბერლინი, ლინიენშტრასე 100/II

ღრმად პატივცემულო ბატონო,

ძალიან მიხარია, რომ ჩემი ქართულად ნაწერი წერილი გაიგეთ. ასე რომ, დღეიდან მე თქვენ წერილებს მხოლოდ ქართულად მოგწერო.

«მართალი არ არის არც „ვწაულობ“ და არც „ვწავლობ“. უნდა იყოს „ვსწავლობ“, რადგანაც ზმნა (Werb) არის „სწავლა“. ანმყო: მე ვ-სწავლობ, შენ სწავლობ, ის სწავლობს და სხ. „ს“ მუდამ რჩება. ქართულად ორნაირად შეიძლება წერა: სტამბური და ხელნაწერი. მაგ., დრო – ეს სტამბურია, ძღ – ეს ხელნაწერია. შეცდომა არც ერთი არ არის. ხმა თ, ქ და ფ ძნელი გამოსათქმელია უცხოელისათვის. ფ არ არის დიდად ძნელი. ფ=ფ=ph. მაგ. Philosoph=философ=ფილოსოფოსი. თ შეიძლება th-თი გამოიხატოს. თ=th. თუმცა კარგად არ გამოვა. ქ-ს გამოხატვა ძნელია.

¹⁵³ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებები.

¹⁵⁴ იგულისხმება გოთა – შუხართის მშობლიური ქალაქი.

თუ ლეიპციგში წავედი, უთუოდ ვნახავ თქვენ მიერ ნაჩვენებ პროფესორს¹⁵⁵. „ძლიერ“ და „ძრიელ“ – ორივეს სწერენ. ლიტერატურაში, ჩემის აზრით, მართალი უნდა იყოს „ძლიერ“, რადგანაც ის წარმოდგება: „ძალა“, აქ „რ“ არ არის.

მე ვარ გურული (გურია). სასაუბრო ენა ერთი პროვინციის განსხვავდება მეორე პროვინციისგან. მაგრამ ეს განსხვავება წვრილმანია, როგორც, მაგალითად, აკცენტი. გურულს და კახელს კარგად ესმის ერთმანეთის ლაპარაკი. სალიტერატურო ენა ერთი და იგივეა.

ძლიერ კარგი იქნება უცხოელთათვის, ქართულ გრამატიკას თუ შეადგენთ. მგონი რომ მარი ბროსეს (Brosset) აქვს თავის „l' Histoire de la Géorgie“-ში ქართული გრამატიკის ფორმები ჩართული.

მე საზოგადოდ ცუდი ხელი (Handschrift) მაქვს და ამიტომ შეიძლება ამოკითხვა გაგიჭირდეთ. თუ რაიმე ქართული წიგნი ან ცნობა გასურთ, მომწერეთ და მე დავიბარებ საქართველოდან. თუ გრამატიკის კარგად მცოდნე ქართველთაგან მინერ-მონერა გასურთ იქონიოთ, მაცნობეთ და მე მოგცემთ მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის პროფესორის¹⁵⁶ ადრეს (!) და ის ყოველივე ცნობს მოგაწვდით.

დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ნოე ჟორდანიას.

ეტყობა, შუხართს თვალში მოხვდა წინა წერილში ჟორდანიას მიერ ნახმარი ფორმა „ძრიელ“ და ჰკითხა, „ძრიელ“ უფრო სწორია თუ „ძლიერო“. ჟორდანიას იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „ძლიერ“ უმჯობესია და ამ წერილში უკვე სწორედ ამგვარად ხმარობს ამ სიტყვას..

№3

„6.7.96

„ვერფშტრასე 11/III, ბერლინი
 ვისბადენი, მოკითხვამდე.

ღრმად პატივცემულო ბატონო,

სწორედ თქვენთვის ვაპირებდი მოწერას, თუ სად გავჩერდები არდადეგების დროს, რომ თქვენი ძვირფასი წერილი მივიღე. მე აქედან მივემგზავრები ამ თვის 13-ში, ასე რომ, დღეიდან 8 დღის შემდეგ. ორ დღეს დავრჩები ლაიფციგში, შემდეგ კი მივემგზავრები ვისბადენში, სადაც 5-6 კვირას დავყოფ. სექტემბერში, ალბათ, გინახულებთ გოთაში ან სადმე სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში.

¹⁵⁵ იგულისხმება გერმანელი ენათმეცნიერი ედუარდ ზივერსი.

¹⁵⁶ იგულისხმება პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი.

ლაიფციგში შემიძლია ბატონი პროფესორი ზივერსი მოვინახულო. ოღონდ უკეთესი იქნებოდა, თუ თქვენ მას ამის შესახებ წინასწარ მისწერდით. Мтиулетинцы და Аджарцы ქართულად, ცხადია, დიალექტზე ლაპარაკობენ, მაგრამ მათი დიალექტი მთლად უმნიშვნელოა და მას ყოველი ქართველი გაიგებს. ჩვენში მხოლოდ მეგრული და სვანური დიალექტებია ცოტა გაუგებარი დანარჩენი ქართველებისთვის, სხვა ყველა კი ქართულად ნაკლები გადახრით ლაპარაკობს. მაგალითად, გურიაში ამბობენ: ნევიდეთ, ქართლში: ნავიდეთ და ა.შ. Аджарцы არიან «აჭარელები ანუ აჭარნი»¹⁵⁷. Мтиулетинцы – მთიულნი ანუ მთიულები, საიდანაც ალ.ყაზბეგის მოთხრობები სწარმოებს. აჭარლებია მაჰმადიანები, მთიულნი – მართლმადიდებელი ქრისტიანები. აჭარა გაამახმადიანეს მე-XVII-XVIII საუკ. და 1879 წლამდე ეკუთვნოდა სათათრეთს.

თქვენი პატივისმცემელი

ნოე ჟორდანია.

P.S. „ივერიაში“ ერთი თქვენი წერილი იყო დაბეჭდილი იტალიიდან. სამწუხაროდ, „ივერია“ რვა თვით დაგვიხურეს.

იგივე».

№4

„22.9.96, მიუნხენი
 ციბლანდშტრასე 18^ა/II

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ორი დღის წინ მივიღე თქვენი ბარათი. ამჟამად მე ისე შორს ვიმყოფები გოთადან, რომ, სამწუხაროდ, საშუალება არა მაქვს, თქვენ რომ გეახლოთ. ამ თვის 15-მდე მე ვისბადენსა და ტაუნუსში დავრჩი და ყოველ დღე ველოდი თქვენგან ცნობას. რაკი თქვენგან არაფერი ისმოდა, ვიფიქრე, რომ თქვენ, ალბათ, აღარ გქონდათ დრო და ამ თვის 16-ში აქ ჩამოვედი. აქ გაზაფხულამდე დავრჩები. ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი გაცნობის პატივი არ მხვდა წილად.

საუკეთესო მოკითხვითა და ღრმა პატივისცემით

ნოე ჟორდანია“.

№5

„16 ოქტომბერი 96
 მიუნხენი, ციბლანდშტრასე 18^ა/II

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

¹⁵⁷ ნახ. „A travers le Caucasic“ par Emil Levier, 1894, Lausann (ავტორის შენიშვნა).

ძალიან გავიხარებდი, თუკი თქვენი მოგზაურობისას მიუნ-ხენსაც მოინახულებდით. მაგრამ თუ თქვენი აქ ჩამობრძანება მხოლოდ სააღდგომოდ არის გათვალისწინებული, მე ვეღარ შეგხვდებოდით, რადგან მარტში ინგლისში ვაპირებ გამგზავრებას. ჩემთვის მეტისმეტად სასურველია, რამდენიმე რეკომენდაცია მქონდეს თქვენი აქაური ნაცნობებისადმი, განსაკუთრებით კი ბატონ დოქტორ გეორგ ჰირტთან¹⁵⁸. მე მინდოდა გავცნობოდი გაზეთ „N. Münch. Nachrichten“-ის რედაქციის მონყობილობას, უმთავრესად მის ტექნიკურ მხარეს – ქალაქის დამზადების პროცესს. ეს ჩემთვის ძალზე საინტერესო იქნებოდა. ამას ჩემთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან კავკასიაში დაბრუნების შემდეგ ჩვენს ტრადიციულ რედაქციებს ევროპულ ყაიდაზე გავუკეთებდი რეორგანიზაციას.

აქედან საკმაოდ ძნელია ჩვენი მთის ხალხის ყოფის კვლევა. მათი სამეურნეო არსებობის საკითხები აქამდე არაა საფუძვლიანად გამოკვლეული. ეთნოგრაფიის სფეროდან (ნეს-ჩვეულებანი და სამართლებრივი დამოკიდებულებანი ერთმანეთთან), სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენთან უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ იქნა შესწავლილი, მაგრამ ეს ყველაფერი სხვადასხვა გაზეთსა და საჟურნალო მიმოხილვაში არის გაფანტული და ამიტომ ევროპელთათვის მიუწვდომელია. ჰაქსტჰაუზენის გამოკვლევა ნახევრად ფანტასტიკურია, მხოლოდ კოვალევსკის ნიგნს „სამართალი და ადათები კავკასიაში“ (რუსულ ენაზე) აქვს მოპოვებული გარკვეული ავტორიტეტი.

ბატონი ნ.ლოლობერიძე ათი დღის წინ იყო ვენაში, ახლა ბათუმში უნდა იმყოფებოდეს. „ივერია“ დროებით დახურეს მ თვის ვადით, ასე რომ, მარტამდე არ გამოვა.

საუკეთესო მოკითხვითა და ღრმა პატივისცემით

ნოე ჟორდანიას.

1896 წლის 7 ნოემბერს შუხართმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გრაციიდან ვრცელი წერილი გამოუგზავნა, რომელშიც, სხვათა შორის, წერდა: „ორიოდე დღის წინ ბედნიერება მქონდა, რამდენიმე საათი გამეტარებინა თქვენს თანამემამულე ბატონ ნოე ჟორდანიასთან მიუნხენში“.

როგორც ჩანს, შუხართი იმდენად იყო მონადინებული, ჟორდანიას პირადად გასცნობოდა, რომ წინასწარ დაგეგმილი მოგზაურობის ვადა შეცვალა და მიუნხენში გაცილებით ადრე ჩავიდა, ვიდრე გათვალისწინებული ჰქონდა. მან თითქმის ნახევარი წლით გადმოიტანა წინ მისთვის ესოდენ სასურველი შეხვედრა ახალგაზრდა

¹⁵⁸ გეორგ ჰირტი (1841-1916) – გერმანელი პუბლიცისტი.

ქართველთან. უნდა ითქვას, რომ მას მანამდეც და მოგვიანებითაც ყოველთვის არ მოუხერხდა საქართველოდან ევროპაში ჩამოსულ ნაცნობებთან დაგეგმილი შეხვედრების განხორციელება.

№6

ესაა საფოსტო ბარათი

„ბატონ პროფესორ დოქტორ ჰუგო შუხაროს
 გრაცი (ავსტრია), ელიზაბეთშტრასე
 12.12.96 ციბლანდშტრასე 18^a/II

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

სიტყვა „ღრმა“*, მართალია, არსებობს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არ ვიცი, რას ნიშნავს. თუ არ ვცდები, „ორშას“ ხმარობენ ქართლსა და კახეთში და იარაღი უნდა იყოს, მაგრამ რანაირი, ამაზე წარმოდგენა არა მაქვს. თუ თქვენ ეს გაინტერესებთ, მაშინ საქართველოში გავიკითხავ. ალბათ, შეგიძლიათ მაცნობოთ, რომელ ლექსიკონშია „ორშა“ შეტანილი, როდის და ვის მიერაა იგი შედგენილი და რა მიზნისთვის. ვფიქრობ, ჩვენში ის უცნობია.

საუკეთესო მოკითხვით

თქვენი ერთგული

ნოე ყორდანია*.

არშიაზე მიწერილია: „ვიმედოვნებ, თავს ძალიან კარგად გრძნობთ“.

№7

25.3.97

მიუნხენი, ციბლანდშტრასე 18^a/II

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ბატონმა ნიკოლოზ ლოლობერიძემ თქვენთვის გადმოსაცემად გამომიგზავნა ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი. წიგნს დღეს გიგზავნი და ამ შემთხვევას ვიყენებ იმისთვის, რომ გამოგეთხოვოთ და მადლობა მოგახსენოთ. ხვალ ლონდონს მივემგზავრები. ვიმედოვნებ, რომ ოდესმე შეძლებთ ჩვენთან, საქართველოში, ჩამოსვლას. თუ თქვენ რაიმე გჭირდებათ ქართული ენის შესახებ, მისწერეთ ჩემს თანამემამულეს, ბატონ ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელიც სამი დღის წინ ჩამოვიდა აქ. მისი მისამართი ზემოთაა მითითებული. შეგიძლიათ მას ქართულად მისწეროთ, რადგან მან ჯერ კიდევ არ იცის გერმანული ენა.

* აქ, ალბათ, უნდა იგულისხმებოდეს ორშიმო - აყიროსაგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად (ქეგლ).

დიდი მოკითხვითა და ღრმა პატივისცემით

ნოე ჟორდანია.“

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ედუარდ ზივერსი (1850-1932), რომელიც ქართული ბგერებით იყო დაინტერესებული და მათს თავისებურებებს იკვლევდა, შუხართის რჩევით დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას და სთხოვა, დახმარებოდა მას ქართული ბგერების ბუნების შესწავლაში. შეთანხმების საფუძველზე ნოე ჟორდანიამ 1896 წლის ზაფხულში ეწვია ზივერსს ლაიფციგში. ნოე ჟორდანიამ პროფესორისთვის იყო ერთგვარი ცდის პირი ქართული ბგერების შესწავლისას, თუმცა ამ შეხვედრით ზივერსი, როგორც შუხართისადმი მიწერილი წერილიდან (2.VIII.1896) ჩანს, მაინცდამაინც კმაყოფილი ვერ დარჩენილა. სხვათა შორის, ნახევარი წლის შემდეგ, როცა ნოე ჟორდანიამ უკვე აღარ ცხოვრობდა მიუნხენში, ზივერსმა სხვა ქართველს მიაგნო ფონეტიკაში თავისი ცდების ჩასატარებლად. ეს იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872-1950), შემდგომში სახელოვანი ქართველი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც იმხანად მიუნხენში სწავლობდა. 1897 წლის 5 ოქტომბერს იგი სწერდა პუგო შუხართს: „თუ ბატონი პროფესორი დოქტორი ე. ზივერსი ქართული ენის ბგერათა ფიზიოლოგიას იკვლევს, მე ჩემის შესაძლებლობით დიდი სიამოვნებით შევიტანდი წვლილს“. 1898 წლის 22 თებერვალს კი ფ.გოგიჩაიშვილი ზივერსთან შეხვედრის შესახებ აცნობებდა შუხართს: „ერთი კვირის წინ ბატონ პროფესორ ზივერსთან ვიყავი. მან ბგერები მოისმინა და ჩაინერა. მათგან განსაკუთრებით უცნაური ერვენა „ყ“. მან სურვილი გამოთქვა, კვლავ მომისმინოს მე, როგორც კი თავისუფალ დროს გამოძებნის, რაზეც მე, ჩემი მხრივ, სიამოვნებით დავთანხმდი“.

ალექსანდრე ბეშკენაძე

განსაკუთრებული ყურადღება ქართული ენის მიმართ ჰუგო შუხართმა მას მერე გამოავლინა, რაც 1897 წლის დასაწყისში სინას მთიდან, წმ. ეკატერინეს მონასტრიდან, გატანილი და მოგვიანებით ვენაში გასაყიდად ჩატანილი ძველი ქართული ხელნაწერები შეიძინა და, ამრიგად, ისინი ევროპის სხვადასხვა ქალაქში გაფანტვისაგან გადაარჩინა. ამ შენაძენმა მისი ინტერესი ჩვენი ენისადმი უფრო გააღვივა, უფრო ინტენსიურად დაიწყო ქართულზე მუშაობა და ცდილობდა, ამ სფეროში ცოდნა გაეღრმავებინა. სახელგანთქმული ენათმეცნიერი ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდა, რათა როგორმე მისცემოდა საშუალება, ქართველი კონსულტანტების გარემოცვაში ემუშავა მისთვის ამ ეგზოტიკური ენის ლაბირინთებში გასარკვევად. ქართული ენის დაუფლებაში შუხართს ევროპაში სხვადასხვა მიზნით ჩასული ქართველები ეხმარებოდნენ, ძირითადად ინტელიგენციის წარმომადგენლები – მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. შუხართმა ბევრი ნაცნობი გაიჩინა საქართველოში, უპირატესად თბილისში, საიდანაც იგი მრავალგვარ დახმარებას იღებდა – მისთვის საჭირო ენათმეცნიერულ თუ ლიტერატურულ წიგნებს, ისტორიულ დოკუმენტებს, აგრეთვე მისთვის ამა თუ იმ სახით ბუნდოვანი საკითხის შესახებ – ახსნა-განმარტებას. შუხართმა კავშირი დაამყარა ქართველ სტუდენტებთანაც, რომლებიც იმხანად ევროპულ უნივერსიტეტებში ენაფეობდნენ სწავლას, და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მათთან. უფრო მეტიც: მან სთხოვა ქართველ მოღვაწეებს, დიდი ტრადიციების მქონე გრაცის უნივერსიტეტში გაეგზავნათ რომელიმე ნიჭიერი, იმედისმომცემი ახალგაზრდა, რომელსაც იგი განვრთნიდა ფილოლოგიურ მეცნიერებებში და ამავდროულად, თავის მხრივ, დაიხმარებდა ქართულის შესწავლაში (სხვათა შორის, შუხართთან ამგვარ თანამშრომლობაზე არაერთი სტუდენტი ოცნებობდა). ქართველმა ინტელიგენციამ ყურად იღო შუხართის თხოვნა და მას ალექსანდრე ბეშკენაძე შეურჩია, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა გიმნაზია. როგორც თვითონ ა.ბეშკენაძე იგონებს, ამ მამულიშვილურ საქმეში მას დაეხმარნენ ნიკო ცხვედაძე¹⁵⁹, იაკობ გოგებაშვილი, არტურ ლაისტი, ექვთიმე თაყაიშვილი¹⁶⁰ და მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი, რომლებმაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-

¹⁵⁹ ნიკო ცხვედაძე (1845-1911) – საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი.

¹⁶⁰ ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953) იმხანად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

ცელებელ საზოგადოებას სტიპენდია დაანიშნინეს შერჩეული კანდიდატისთვის. ამას გარდა, თავიანთი პირადი სახსრებით ბემკენაძეს მატერიალურ დახმარებას უწევდნენ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და ნიკოლოზ ლოლობერიძე. ბემკენაძემ დაახლოებით ხუთი წელი გაატარა გრაცში, სადაც თვით პუგო შუხართი ცხოვრობდა, რომელიც იმხანად უკვე პენსიაზე იყო გასული და ინტენსიურად იკვლევდა სხვადასხვა ენას (და არა მარტო ენას).

შუხართის არქივში დაცული წერილები ქართველი მოღვაწეებისა, მათ შორის ა. ბემკენაძისა, საინტერესო სურათს გვაძლევს იმდროინდელ ევროპასა თუ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, მაშინდელ ყოფასა თუ განათლების სისტემაზე.

ჯერ ორიოდე სიტყვით გავეცნოთ ალექსანდრე ბემკენაძის პიროვნებას.

ალექსანდრე ბემკენაძე დაიბადა 1884 წელს თბილისში. 1905 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია. მისი ერთერთი მასწავლებელი ექვთიმე თაყაიშვილიც იყო, რომელიც შემდგომში არაერთგზის დახმარებია რჩევა-დარიგებითა თუ მატერიალურად. 1905 წელს ქართველმა მოღვაწეებმა ალექსანდრე ბემკენაძეზე შეაჩერეს არჩევანი და მიავლინეს გრაცში, სადაც XVI საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის რომანულ-გერმანულ განყოფილებაზე ჩაირიცხა. იმავდროულად იგი სლავურ ფილოლოგიასაც ეუფლებოდა და 1908 წელს ბელგრადში სწავლობდა სერბიულ ენას. 1909 წლის ზაფხულში ბემკენაძე საფრანგეთში, ლიონში, ცოდნას იღრმავებს ფრანგულ ენაში, იმავე წელს ესპანეთში, ბარსელონაში, მონაწილეობას ღებულობს ესპერანტისტთა VI მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. 1910 წლიდან ბემკენაძემ პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე (ისტორიის განყოფილებაზე) გააგრძელა სწავლა. სხვათა შორის, მასზე მზრუნველებმა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სპეციალურად მიავლინეს, რათა ნიკო მარრის ხელმძღვანელობით განაფულიყო ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში. ბემკენაძემ პეტერბურგის უნივერსიტეტი 1916 წელს დაამთავრა, იქვე დარჩა სამუშაოდ და სხვადასხვა დაწესებულებაში ძირითადად პედაგოგურ საქმიანობას ეწეოდა. 1920 ბემკენაძე დაბრუნდა საქართველოში და აქაც გააგრძელა პედაგოგიური მოღვაწეობა – საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდა ისტორიას, რუსულ ენასა და ლიტერატურას, გერმანულ, ფრანგულ და ლათინურ ენებს, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას, ეწეოდა მთარგმნელობითს საქმიანობას... 1929 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენის კათედრაზე, მიჰყავდა კურსები გერმანულსა და ლათინურ ენებში, სერბიულ

ენას ასწავლიდა ასპირანტებს... მშობლიური ენის გარდა, ა.ბეშქენაძე კარგად ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, სერბიულ, ლათინურ და ბერძნულ ენებს, იცოდა აგრეთვე ინგლისური და იტალიური. 1946 წელს ა.ბეშქენაძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება, 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1960 წელს კი გავიდა პენსიაზე.

ალექსანდრე ბეშქენაძე გარდაიცვალა თბილისში 1965 წლის 3 ოქტომბერს.

ახლა გავეცნოთ მასალებს ჰუგო შუხართისა და ალექსანდრე ბეშქენაძის ურთიერთობიდან. ესაა, ძირითადად, ბეშქენაძის გაგზავნილი წერილები, რომლებიც გრაცშია დაცული, ჰუგო შუხართის არქივში. შიგადაშიგ სხვა წერილებსაც მოვიშველიებ.

№1*

«მარად პატივცემულო ბატონო პროფესსორ¹⁶¹!

დღეს მივიღე თქვენი წერილი და დიდად გამაღლობთ ყურადღებისთვის! გავიგე, რასაც თქვენ მე წერილში მწერდით. უნდა მოგახსენოთ, რომ მე საჭირო, პირველ-დანყებითი წიგნები გერმანულს ენაზედ არა მაქვს თანა. არც გერმანულ-რუსული ვოკაბულარიუმი მაქვს და თუ თქვენ მათხოვებთ, ძალიან მადლობელი დაგრჩებით. ამასთანავე ყოველს თქვენს რჩევას ენის შესწავლის შესახებ დიდის სიხარულით და მადლობით მივიღებ.

დავშთები თქვენი პატივის მცემელი

ალექსანდრე ბეშქენაძე
 გრაცი. 20-ს დეკემბერს, 1905 წ.»

ბეშქენაძე ეს-ესაა ჩავიდა გრაცში. იქ არავის იცნობს. ჯიბეში არტურ ლაისტის სარეკომენდაციო ბარათი უდევს, რომელშიც საქართველოში დასახლებული გერმანელი მწერალი შუხართის სთხოვს, ყურადღება არ მოაკლოს და დახმარება გაუწიოს ქართველი მეცენატების მიერ გრაცში გასაგზავნად შერჩეულ ჭაბუკს. შუხართს ბეშქენაძის მიმართ გარკვეული ინტერესი აქვს – მისგან ელის დახმარებას ქართული ენის შესწავლისას წარმოჩენილი სიძნელეების დაძლევაში. როგორც იქნა, ისეთი ქართველი მოიხელთა გრაცში, რომელიც რამდენიმე წელიწადს დარჩება იქაურ უნივერსიტეტში განათლების მისაღებად. მასთან კონტაქტი კი ბევრ სასიკეთოს ჰპირდება. ამიტომ არ დაახანა და ბეშქენაძეს სახლშიც კი მიაკითხა.

ექვსი დღის შემდეგ ბეშქენაძე მეორე წერილს უგზავნის შუხართს.

¹⁶¹ ქართული წერილების სტილი და მართლწერა დაცულია.

№2*

«მოგილოცავთ შობას
უფლისა ჩვენისა ღმერთისა იესო ქრისტესი
გრაცი, 26 დეკემბერი, 1905 წ.

მარად პატივცემულო ბატონო პროფესსორო!

მივიღე თქვენი მეორე წერილი და დიდად გმადლობთ. გავიგე, რასაც მწერთ წერილში. დღეს თქვენ თვითონ ბრძანებულხართ ჩემს სახლში და ძლიერ ვწუხვარ, რომ არ დაგიხვდით. უნდა მოგახსენოთ ახალი ამბავი, ბ.პროფესსორო. თურმე აქ, გრაცში ორი ქართველი სტუდენტი ყოფილა: გიორგი სვანიძე და პავლე უზნაძე¹⁶². მესამე კი მე გახლავართ. მათ თურმე წაეკითხათ თქვენ მიერ დაბეჭდილი ანონსი გაზეთში, და თვითონ მომნახეს მე. ეს ჩემთვის ძრიელ სასიხარულოა, რადგანაც ცოტა-ოდენს მაინც მიშველიან, დამეხმარებიან გერმანული ენის შესწავლაში.

ძალიან დიდად გმადლობთ, ბ. პროფ. მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები, რომლებსთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. ვცდილობ, რაც შეიძლება, შევისწავლო ნემენცური ენა. უნდა მოგახსენოთ, რომ გერმანულ-რუსული ლექსიკონი ერთობ გამომადლა – რაც შეეხება ჩემს ბინას, მე კმაყოფილი ვარ ჯერ-ჯერობით, მერე-კი ვნახოთ. ძალიან მოხარული ვარ, რომ ისეთი პირი, როგორიც თქვენა ბრძანდებით, ჩემთვის ზრუნავთ. ვიყავი პრ. მურკოსთან¹⁶³, ძალიან ესიამოვნა ჩემი მისვლა, დიდხანს ვისაუბრეთ, ვილაპარაკეთ რუსულს ენაზედ.

თქვენი პატივისმცემელი

ალექსანდრე ბეშკენაძე».

№3*

«გრაცი
31 დეკემბერი, 1905 წ.

ბატონო პროფესსორო!

დღეს მივიღე თქვენი წერილი და დიდად მესიამოვნა, რომ მე

¹⁶² არტურ ლაისტი სწერდა შუხართს: ბეშკენაძეს გრაცში იმიტომ ვაგზავნით, რომ მანდ უფრო დანყნარებით, ხელისშეუშლელად, დამოუკიდებლად შეისწავლის გერმანულს, ვიდრე გერმანიის საიმპერიო უნივერსიტეტებში, რადგან იქაურ ქალაქებში ბევრი რუსი და ქართველი ცხოვრობსო. ამ წერილიდან კი ჩანს, რომ ამ მხრივ გრაცი არ ყოფილა მთლად საიმედო, რადგან აქაც ყოფილა ორი სხვა სტუდენტი საქართველოდან. სხვათა შორის, გრაცში მანამდეც სწავლობდნენ ქართველი სტუდენტები. იხ. პ.მელიქიშვილის №5 წერილი (აქვე გვ. 51).

¹⁶³ მათიას მურკო (1861-1952) – სლავისტი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი.

თქვენ გახსოვართ. მე თვითონ წავიკითხე და ყველაფერი, რაც ეწერა, გავიგე. ვცდილობ, რაც შეძლება, ჩქარა შევისწავლო ნემენცური ენა და თუ ღმერთი შემეწია, მე მგონია, რომ „Assiduis longusque labor dura omnia vinit“¹⁶⁴ – ცოტა ოდენს მეხმარებიან ჩემი ახლად მოპოვებული ამხანაგები ნემენცურ ენაში, მაგრამ თუ თქვენც, როდესაც დრო გექნებათ, მომეშველებით, ერთი სიტყვით, ჩემი საქმე გაკეთებული იქმნება. ესლა მე ვსწავლობ გერმანულ ენას ბერლიცის მეთოდით და ვგონებ, რომ ეს მეთოდი ყველაზე უმჯობესია და ამიტომაც ყველგან არის იგი მიღებული.

ამ დღეებში განახავთ, ბ. პროფესსორო

Prosit Neujahr!¹⁶⁵

ალექსანდრე ბეშკენაძე“.

არქივში დაცულია ბეშკენაძის ორი სავიზიტო ბარათი, რომელთა ერთ მხარეზე დაბეჭდილია:

Alexander Beschkenadse

Graz

უკანა მხარეს კი ერთზე გერმანული ნაწერია, მეორეზე – ქართული. ორივე ბარათზე საახალწლო მილოცვაა 1906 წლისთვის, ე.ი. 1905 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში უნდა იყოს დაწერილი.

№4

«მარად პატივცემულო ბატონო პროფესსორო!

საახალწლოდ მიიღეთ ჩემგან გულითადი მოლოცვა. ვისურვებდი, ახალ, 1906 წელსაც, შემენარჩუნებინოს თქვენი კეთილგანწყობა

მადლიერი და თქვენდამი ერთგული».

№5*

«მარად პატივცემულო ბატონო პროფესსორო!

მოგილოცავთ ახალ წელიწადს, 1906 წ. სულითა და გულით ვისურვებ დასწრებოდეთ მრავალს».

№6*

«გრაცი, 13 იანვარს, 1906

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესსორო!

რამდენიმე დღე იქმნება, მივიღე თქვენი წერილი. ბოდიშს

¹⁶⁴ დაუთინებული და ხანგრძლივი მუშაობა ამარცხებს ყოველგვარ წვალეზას (ლათ.).

¹⁶⁵ გილოცავთ ახალ წელს!

ვითხოვ თქვენს წინაშე, რომ პასუხის გამოგზავნა დაგიგვიანეთ. არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ თქვენ მადლობა, ეგრე ცდილობთ ჩემთვის. ძლიერ გამეხარდა, რომ თქვენის მეშვეობით, ბ. პრ. ბაუერს¹⁶⁶ ნება დაურთვია ჩემთვის მისს ლექციებზე უფასოდ ვიარო. რასაკვირველია, არც ეს იქმნება ჩემთვის ურიგო. მე-კი ეხლა გერმანულენის შესწავლაში ვარ გართული, სულით და გულით მინდა შევისწავლო ეს ენა და ვნახოთ, შეიძლება ღმერთი შემეწიოს. ეს ერთი კვირა იქმნება, ნიცციდან ბ. ნიკოლოზ ლოლობერიძესგან წერილი მივიღე. ხომ გახსოვთ ბ.ლოლობერიძე, რომელიც თქვენ აქ, გრაცში, 1897 წელს გაგიცვნიათ, წერილში მე მწერს იგი: „ძლიერ მოხარული ვარ, რომ გრაცში მაგისტანა პატიოსანი ნაცნობი ადამიანი გყავთ, როგორიც ბ. პრ. შუხარდტი ბრძანდებოა“ და ამასთანავე მოგიკითხავთ თქვენ დიდის პატივისცემით. თფილისიდან აქამდისინ არაფერი წერილი მიმიღია და დარდით არ ვიცი, რა ვქნა.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

ალექსანდრე ბეშკენაძე».

აქამდე ბეშკენაძის ყველა წერილი შუხართისადმი ქართულად იყო დაწერილი.

გრაცში ჩამოსვლის შემდეგ უკვე ორი წელი გავიდა. ეტყობა, ბეშკენაძე საკმარისად გაინაფა გერმანულში და 1908 წლის 12 იანვრიდან წერილები უკვე გერმანულადაა დაწერილი. სამწუხაროდ, 1906 წლის 13 იანვრიდან 1908 წლის 12 იანვრამდე (ზუსტად 2 წელიწადს) შუხართის არქივში ბეშკენაძისა და შუხართის მიმონერის არავითარი კვალი არაა შემორჩენილი. შეიძლება კაცმა იფიქროს: ორივე გრაცში ცხოვრობდა, ერთსა და იმავე უნივერსიტეტში უხდებოდათ ყოფნა და წერილების წერა რაღად დასჭირდებოდათო, მაგრამ მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. ჯერ ერთი, სწორედ გრაცში ჩასვლის დღიდან, ანუ დეკემბრის შუა რიცხვებიდან, 12 იანვრამდე – სამი კვირის მანძილზე – ბეშკენაძემ შუხართს 4 წერილი გაუგზავნა, ამასთან, გავიხსენოთ, რომ შუხართი ამ დროს პენსიაზე გასული, ძირითადად შინ მუშაობს, უნივერსიტეტში ლექციების კითხვა კი, საერთოდ, ეზარებოდა. ალბათ, ბეშკენაძეს ერიდება, შინ მიაკითხოს პროფესორს და ძვირფასი დრო წაართვას (ამის შესახებ

¹⁶⁶ ადოლფ ბაუერი (1855–1919) – ისტორიკოსი. ბაუერი 1910 წლამდე გრაცში ცხოვრობდა, მოგვიანებით ვენაში დასახლდა. შუხართი დაახლოებული იყო ბაუერსა და მისი ოჯახის წევრებთან და რეგულარული მიმონერა ჰქონდა მათთან. ალბათ, შუხართმა სთხოვა პროფესორს: ახალგაზრდა ქართველი სტუდენტი ხელმოკლედ არის და იქნებ ნება დართო, უფასოდ დაესწროს თქვენს ლექციებსო. ჩანს, ადოლფ ბაუერმა არ გაანზილა შუხართი და თხოვნა შეუსრულა.

იგი მოგვიანებით №8 წერილში წერს), ამიტომ არჩევს იმხანად მიღებულ ფორმას: ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობასა თუ აზრების გაზიარებას წერილების საშუალებით. არა მგონია, ახალბედა სტუდენტს ორი წლის მანძილზე არცერთი წერილი არ გაეგზავნოს შუხართისთვის. სხვას თუ არა, მისალოც მოკლე ბარათებს მაინც მისწერდა (საშობაო, საახალწლო თუ სააღდგომო მილოცვებს; ვფიქრობ, დაბადების დღის მილოცვაც არ უნდა დავიწყებოდა...), ამასთან, მას არაერთი საკითხის მოსაგვარებლად აუცილებლად დასჭირდებოდა შუხართისგან რჩევა-დარიგების მიღება, წიგნები (რომლებითაც შუხართი დაუზარებლად ამარაგებდა მას) და, ალბათ, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სხვა სახის დახმარებაც...

ჩემს ხელთ არსებული მომდევნო წერილი ბეშქენაძისა, როგორც აღინიშნა, 1908 წლის იანვრითაა დათარიღებული. განვლილი 2 წლის განმავლობაში, ჩანს, მან თავი ვერ მოაწონა შუხართს და ვერ გაუმართლა მას იმედები. შუხართმა ამის შესახებ არტურ ლაისტს აცნობა საქართველოში. თბილისში იმსჯელეს ამ საკითხზე და გადაწყვიტეს, ბეშქენაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში გადაეყვანათ, თუმცა ამაზე თბილისელ მეცენატებს, ეტყობა, საერთო აზრი არა ჰქონიათ. ყოველ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება ბეშქენაძეს შეატყობინეს. მან, თავის მხრივ, დააჯერა მზრუნველები, რომ საქმისთვის მისი გრაცში დარჩენა ჯობდა, და კიდევ წლინახევრით გაიხანგრძლივა ავსტრიაში ყოფნა. ამ ამბებში უკეთ გასარკვევად ჯობს, მცირე ხნით უკან დავიხიოთ და გავეცნოთ არტურ ლაისტის წერილების ფრაგმენტებს შუხართისადმი.

1905 წლის 6 დეკემბერს არტურ ლაიტი წერილს უგზავნის შუხართს, რომელშიც, სხვათა შორის, ბეშქენაძეზეცაა საუბარი:

№7

„დიდად პატივცემულო პროფესორო, ამ სტრიქონების გადმომცემს, ბატონ ალექსანდრე ბეშქენაძეს, აქაური ქართული გიმნაზიის აბიტურიენტს, განზრახული აქვს ქართულ ფილოლოგიაში დასპეციალება. თავდაპირველად გერმანული ენა რომ შეისწავლოს გვარიანად, მისმა მზრუნველებმა გადაწყვიტეს, იგი რამდენიმე ხნით გრაცში გამოგზავნონ, სადაც იგი უფრო მშვიდ ვითარებაში შეძლებს დამოუკიდებლად მეცადინეობას, ვიდრე გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქებში, სადაც რუსები და ქართველები მრავლად არიან.

რაკი მე ახალგაზრდა კაცის წარმატებით განსაკუთრებულად დაინტერესებული ვარ, მას მითითება მივეცი, როგორ უნდა მოემზადოს თავისი მომავალი მეცადინეობისათვის. მას თან მოაქვს გარკვეული რაოდენობა ქართული წიგნებისა, რაც მის მომავალ

სპეციალობას შეეხება, და, რათა დროულად გაეცნოს ბიზანტიის ისტორიასა და ლიტერატურას, ვურჩიე, მიაკითხოს გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რომ ჯერჯერობით შესაბამისი შრომები ფრანგულად წაიკითხოს და იმავდროულად ბერძნულშიც გაიუმჯობესოს ცოდნა.

იმედი მაქვს, თქვენთვის სასიამოვნო იქნება, ქართველი გყავდეთ თქვენს სიახლოვეს და თქვენი მრავალი პატივისმცემლის სახელით მოგმართავთ მეგობრული თხოვნით, ახალგაზრდა კაცს თქვენი ძვირფასი რჩევა-დარიგება და მითითება არ მოაკლოთ.

აქ რაც ხდება და რა მძიმე მდგომარეობაში ვცხოვრობთ, ამის შესახებ იგი თქვენ თვითონ მოგიყვებათ“.

ორი წლის შემდეგ, 1907 წლის 22 ოქტომბერს, ა.ლაისტი შუხართისადმი მიწერილ წერილში კვლავ ახსენებს ბეშქენაძეს:

№8

„...მე დიდი ხნის წინ გიპასუხებდით, მაგრამ, რადგან ჩემთვის აუცილებელი იყო, ბეშქენაძისთვის რალაც გამეკეთებინა, პასუხის გამოგზავნას დღითიდღე უკან ვწევდი. ალბათ, მას თვიურ სტიპენდიად 15-20 რუბლს დაუნიშნავენ, ისე რომ, არ გაუჭირდება. საით უნდა მიმართოს მან თავისი წერილობითი თხოვნა, მე მას მაშინვე მივწერე და ვიმედოვნებ, რომ საქმე მოკლე ხანში მოგვარდება“.

ერთი თვის შემდეგ, 21 დეკემბერს, ბეშქენაძის შესახებ ლაისტმა კვლავ ჩამოაგდო სიტყვა:

№9

„დიდი მადლობა თქვენი თავაზიანი ცნობისათვის ბეშქენაძის შესახებ. ჩანს, ახალგაზრდა კაცს მართლაც არ სურს, იმ მიმართულებით წავიდეს, რაც მას ჩვენ განვუსაზღვრეთ. თავის წერილებში იგი თითქმის არაფერს წერს მეცადინეობის შესახებ და ორი წელია, იმას ვერ ახერხებს, რაიმე დაწეროს ქართული გაზეთისთვის. მე მას მოვთხოვე, ერთხელ მაინც დაეწერა გრაცსა და იქაურ ცხოვრებაზე, მაგრამ მან ესეც არ გააკეთა. მას, როგორც ჩანს, არა აქვს არავითარი მიდრეკილება და არავითარი განწყობა მწერლობისადმი. ცხადია, ჩემი მოვალეობაა, შევახურო იგი, რათა იქნებ რამენაირად სერიოზული ქართული შტუდიებისთვის წავახალისო. თქვენს წერილს საერთოდ არ ვახსენებ და დაუდევრობაზე მსუბუქად ვუსაყვედურებ“.

ეკვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „ჭუგო შუხარდს მიწერ-მონერა ჰქონდა ახლად განსვენებულს ქართველების მეგობართან არტურ ლეისტთან და სულ იმას სთხოვდა, ვინმე ქართველი მოსწავლე

გამოგზავნეთ გრაცში უმაღლესი სწავლის მისაღებად, რომ ქართული ენის კვლევის დროს გამომადგესო. მართლა და ლეისტმა და მე კიდევ გავგზავნეთ ერთი ჩემი ყოფილი მოწაფე კარგი ნიჭიერი ყმაწვილი ბეშკენაძე. მისთვის სტიპენდიის მიწოდება პატივცემულმა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ იკისრა. ბეშკენაძე ეხმარებოდა შუხარდს, მაგრამ შუხარდი არ იყო მაინცდამაინც კმაყოფილი ამ ახალგაზრდათი. ბეშკენაძე იყო გატაცებული ლიტერატურის და ფილოსოფიის შესწავლით, შუხარდს კი უნდოდა, ის ლინგვისტი გაეხადა. შუხარდი ლეისტს სწერდა: ბეშკენაძე საუცხოო ყმაწვილია, მაგრამ ჩემი ცდა, რომ მას ენათა მეცნიერება შეეყვარო, ამოდ რჩებაო. მე რომ ლინგვისტიკაზე ველაპარაკები, ის ფილოსოფიაზე და ლიტერატურაზე მიწყებს ბაასსო. ძალათ სულიერი მიმართულების შეცვლა, რასაკვირველია, ძნელია (ე.თაყაიშვილი, დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო: მნათობი, №2, 1990, გვ. 163).

ალექსანდრე ბეშკენაძის გრაცში გაგზავნის ერთერთი ინიციატორი რომ ექვთიმე თაყაიშვილი იყო, ჩანს მათი მიმოწერიდანაც. ექვთიმე თაყაიშვილის არქივში (ხელნაწ. ინსტიტუტის ე.თაყაიშვილის ფონდი, №1318) დაცულია ბეშკენაძის მიერ გამოგზავნილი რამდენიმე წერილი. გავეცნოთ მათ.

№ 10*

„16/3 ქრისტეშობისთვის 1907 წ.
ქ. გრაცი

ღრმად პატივცემულო ბატონო ექვთიმე სვიმონის ძე!

თქვენი წერილი, 4 ივნისს გამოგზავნილი, მე თავის დროზე მივიღე. უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის. თქვენგანით წერილის მიღება ჩემთვის ერთობ სასიამოვნო იყო და ყველაფერი შევისმინე, რასაც თქვენ იწერებით, მაგრამ დიდს ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე და იმედია კიდევ მომიტევენთ, რომ პასუხის გამოგზავნა ესე დამაგვიანდა. თქვენ მირჩევთ მე პეტერბურგის უნივერსიტეტში გადასვლას აღმოსავლეთის ფაკულტეტზე და იქ პროფ. მარრის ხელმძღვანელობით ქართული ენის, ისტორიის და ლიტერატურის შესწავლას. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძეც თქვენ აზრს თანაუგრძნობს და თავის წერილებში ყოველთვის ამას მირჩევს, რადგანაც, როგორც ის იწერება, ამ საგნების შესწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის გარდა სხვაგან სადმე შეუძლებელია და პეტერბურგში-კი აღმოსავლეთის ენების სწავლა ძლიერ კარგად არის დაყენებული. მეც ჩემის მხრივ უნდა მოგახსენოთ, მარად პატივცემულო ექვთიმე სვიმონის ძე, რომ მე ქარ-

თული ენა, მისი მდიდარი ისტორიული წარსული, ლიტერატურა ძლიერ მაინტერესებს და დიდის სიამოვნებითაც შეუდგებოდი ამ საგნების შესწავლას აქამდისინაც, მე თვითონ არა ერთხელ მომსვლია ეს ფიქრად, მაგრამ რას იზამს ადამიანი, რომ ეხლა მთელ რუსეთში ამისთანა მდგომარეობაა და უმაღლეს სასწავლებლებში-კი ამისთანა უწესრიგობა სუფევს. შესაძლებელია, რომ ამისთანა არა ნორმალურმა მდგომარეობამ დიდ ხანს გასტანოს და მე-კი გრაცის უნივერსიტეტს თავი რომ დავანებო და პეტერბურგშიაც რამდენიმე წელიწადი ტყუილუბრალოდ დავკარგო – რა მეშველება მაშინ? ამ მხრით მე ეს საკითხი სერიოზულად მიმაჩნია და მგონი, რომ ეჯობინება, თუ ჩვენ საქმეს ავწონდავწონით და ისე მოვიქცევით. ამას წინეთ ნიკოლოზ ბესარიონის ძე იწერებოდა, შარშანდელ აკადემიურ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში მშვიდობიანად ჩაუვლია და მოსწავლე ახალგაზრდობასაც სწავლისთვის ხელი მოუკიდია. ეს, რასაკვირველია, სასიამოვნო მოვლენაა, თუ მართალია. პოლიტიკამ და სხვა იდეალებმა რუსეთის მოსწავლე ახალგაზრდობა ისე გაიტაცა, რომ ყველაფერი დაავიწყა ქვეყნიერობის ზურგზე. რაც პირველი მიზანი უნდა ყოფილიყო მათი, ე.ი. სწავლის შექმნა და მეცნიერების შეთვისება – ამ მიზანმა მეორე და მესამე ხარისხოვანი ადგილი დაიჭირა მათ ცხოვრებაში. ნიკოლოზ ბესარიონის ძე იწერებოდა სხვათა შორის, რომ მე პეტერბურგში მატერიალურის მხრით უფრო უზრუნველყოფილი ვიქმნები, რადგანაც აღმოსავლეთის ფაკულტეტზე ადვილი ყოფილა სტიპენდიის მიღება ან თვით პეტერბურგის უნივერსიტეტისგანით, ან კავკასიის მთავრობისგანით და ან კიდევ შეძლებულ კერძო პირებისგანით. თუ თქვენის აზრით ამ მოკლე მომავალში პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა ცოტა მაინც გაუმჯობესდება და უმაღლეს სასწავლებლებში ნორმალური სწავლა დაიწყება – შემატყობინეთ და მაშინ იმედი მექმნება და პეტერბურგის უნივერსიტეტში შესასვლელად გამოვემგზავრები კიდევ. ბატონი ლოლობერიძე მირჩევს მე ჩემს სურვილისამებრ კიდევ ორ სემესტრს საზღვარ-გარეთ დარჩომას გერმანულ ენის საფუძვლიანათ შესწავლისთვის და ზაფხულის დამდეგს ტფილისში წასვლას. მე თვითონ ვხედავ, რომ სხვა არაფერი საშვალეა არაა პეტერბურგის გარდა და თუ საზღვარგარეთ დავრჩები, ვერაფერი გრუზინოლოგი გამოვალ. გერმანული ენა მე ეხლა გვარიანად ვიცი, ფრანგული ენაც ესე რომ ვიცოდე – რა მიშავს. ფრანგული ენა-კი ჩემთვის ერთობ საჭირო იქმნება შემდეგში მ.ბროსეს გადაკითხვის და შესწავლის დროს. მე ერთი აზრი დამებადა ამის შესახებ, რას ბრძანებთ თქვენ ამაზე: შემიძლია გრაცში დავრჩე ზამთრის სემესტრის ბოლომდის, ე.ი. მარტამდის. მარტში-კი საზღვარგარეთ გავემგზავრო, საფრანგეთში, მაგალითად ქ.ნანსიში, იქ დავყო ზაფხულის

დამდეგამდის და მერე-კი საქართველოში გამოვემგზავრო გერმანულ და ფრანგულ ენების უკვე მცოდინარე. ფრანგული ენა მე უკვე ვიცი, სამ-ოთხ თვეს განმავლობაში საფრანგეთში ფრანგულს უფრო კარგად შევისწავლი და საფუძვლიანად შესწავლა-კი მერეც შემეძლება პეტერბურგში. გთხოვთ ამის შესახებ არტურ ადოლფის ძეს ლეისტს მოელაპარაკოთ და თქვენი აზრი შემატყობინოთ¹⁶⁷. კიდევ ვიხდი ბოდის პასუხის ესე დაგვიანებისთვის. იმედია არ დაივწყებთ თქვენს ყოფილ მოსწავლეს და რჩევა-დარიგებას არ მოაკლებთ. ისე რომ თქვენგნით წერილის მოლოდინე ვიქმნები.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

ალექსანდრე ბეშკენაძე.

ბოლო გვერდის მინდორზე მიწერილია: ჩემი ადრესია:

Graz, Gartengasse, 20.

ახლა კვლავ ბეშკენაძის წერილებს დავუბრუნდეთ:

№ 11

„გრაცი, 12 იანვარი 1908

ღრმად პატივცემულო ბატონო ჰოფრატი¹⁶⁸!

უწინარეს ყოვლისა, ათასჯერ მინდა, პატიება გთხოვოთ, რომ ასე დიდი ხანია, თქვენთვის არ მიპასუხია. მე მაინც იმედი მაქვს, მომიტევენ, როგორც კი თქვენთვის საქმის ვითარება გახდება ცნობილი. სახელდობრ, თბილისიდან ბატონ ა.ლაისტისგან წერილი უნდა მიმეღო, პასუხი გარკვეულ საკითხებზე, რომლებიც მე მეხება, და მისი აზრი მინდოდა თქვენთვის წერილობით გამეცნო. მაგრამ, რადგან ეს წერილი დღემდის არ მოსულა, აღარ მინდა დაველოდო. მე თქვენი მეტად მადლობელი ვარ, ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო, რადგან ჩემზე ასე ზრუნავთ და ჩემ მიმართ ინტერესს იჩენთ. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ მუდმივად მეხმარებოდით, რასაც თქვენგან ჩემს დაფასებად მივიჩნევ. ჩემს ამ წერილში სრულიად გულახდილი ვიქნები, მე თქვენ, ასე ვთქვათ, აღსარებას გეტყვით. ჩემთვის მეტისმეტად სასიამოვნოა, რომ

¹⁶⁷ წლინახვერის შემდეგ, 1909 წლის ზაფხულში, ბეშკენაძემ მართლაც მოახერხა საფრანგეთში ფრანგული ენისა და ლიტერატურის კურსების მოსმენა, ოღონდ ნანსის ნაცვლად იგი ლიონში იმყოფებოდა.

¹⁶⁸ ჰოფრატი მაღალი ჩინია, კარის მრჩეველს ნიშავს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ავსტრიაში სამეფო კარი აღარ არსებობს, ეს ჩინი არ გაუქმებულა და გარკვეული დამსახურებისთვის არაერთი ჩინოვნიკი დღესაც ღებულობს ამ ტიტულს. XIX საუკუნის მიწურულს ამ ტიტულის მინიჭებისთვის სრულიადაც არ იყო სავალდებულო მაინცდამაინც სამეფო კარის აპარატში სამსახური.

თქვენ ჩემდამი ასე დიდ ყურადღებას იჩენთ. მე ამით ვამაყობ. ამჟამად, უპირველეს ყოვლისა, მინდოდა, ჩემი სამუშაოს შესახებ მომეწერა. თავისთავად ცხადია, მე, როგორც მკვიდრმა ქართველმა, საკმარისად კარგად ვიცი ჩემი დედაენა და მისი ლიტერატურა, მაგრამ ნაკლებად – მისი გრამატიკა. ჩემი ცოდნა ამ სფეროში არაა ისე ფართო, რომ ყოველგვარი მომზადების გარეშე შემეძლოს ენათმეცნიერული სტატიის დანერა ქართული გრამატიკის შესახებ. მართალია, მე ქართული გიმნაზია დავამთავრე, მაგრამ არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ იქ სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ამ მიზეზით ყველა საგანი რუსულად გვეკონდა ნასწავლი გარდა ქართულისა, რის გაკვეთილებიც კვირაში მხოლოდ ორჯერ გვიტარდებოდა თითქმის ყველა კლასში გიმნაზიის დაბალ და მაღალ საფეხურებზე. ქართული გრამატიკა მხოლოდ მეორე მოსამზადებელ კლასში ისწავლებოდა, შემდგომ, ბუნებრივია, დავინყებას ეძლეოდა და აღარასოდეს განახლებულა. ამდენად, სულაც არაა გასაოცარი, რომ სკოლაში ამგვარ პირობებში ქართულ გრამატიკაში დიდი ცოდნა არ მიმიღია და არც შემეძლო მიმეღო სურვილის შემთხვევაში. გულახდილად უნდა ვთქვა, მე ჩემი სამუშაო კარგა ხნის წინ დავინყე. როგორც გახსოვთ, ჩემთვის თემატ ავირჩიე: „დამხმარე ზმნების შესახებ ქართულში“, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე დაწყებული შრომა შემდეგ აღარ გაგრძელებულა, რადგან შესაფერისი ცოდნა და საჭირო წიგნები მაკლდა. ამ მიზნით მე მჭირდებოდა არა მხოლოდ სხვადასხვა სახელმძღვანელო, არამედ გამოკვლევებიც ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რაც საკითხში გამარკვევდა და ჩემი ნაშრომისთვის მეტად სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მე [ბოლოს] მხოლოდ ჩემი თავის იმედი უნდა მქონოდა და სხვისი დახმარების გარეშე სიბნელიდან ვერ გამოვიდოდი ხელის ფათურით. ესაა საქმის ნამდვილი ვითარება, ღრმად პატივცემულო ბატონო ჰოფრატო, და ახლა, ვხედავ, ჩემით უკმაყოფილო ხართ. თქვენ, ალბათ, ფიქრობთ კიდეც, თითქოს მე ეს სრულიად არ მენაღვლება და თქვენი დავალებაც და თხოვნაც ყურადღების გარეშე დავტოვე. მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც აგიხსენით, თუ როგორაა საქმე, თქვენ ოდნავ მაინც გამიგებთ და თქვენს შეხედულებას ჩემზე უკეთესობისკენ შეცვლით. როგორც ბატონი ნ. ლოლობერიძე, ასევე ბატონი პროფესორი თაყაიშვილი, ყოფილი დირექტორი ჩვენი გიმნაზიისა, მირჩევენ და მოითხოვენ, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც მე ორი წელი გავატარე გრაცში და გერმანული ვისწავლე, რუსეთში უნდა დავბრუნდე და იქ პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფ. მარრის ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად ქართული და სომხური ენების ერთერთი საუკეთესო მცოდნედ ითვლება, სომხურისა და ქართულის შესწავლა დავინყო.

ორივე ბატონი გამუდმებით მწერს, რომ ორი წლის წინ გრაცში მხოლოდამხოლოდ იმიტომ გამომგზავნეს, რათა გერმანულში გავწაფულიყავი, რისი ცოდნაც ყველასთვის, განსაკუთრებით კი მომავალი ფილოლოგისთვის, როგორც თქვენ მე მინოდებთ, უცილობლად სავალდებულო, რომ უკვე მაშინ იყო გათვალისწინებული, ამ დროის გასვლის შემდეგ შინ დავბრუნებულიყავი, რათა პეტერბურგში გავვეგზავნე სწავლის გასაგრძელებლად. ისინი აგრეთვე მწერენ, რომ არსად შეიძლება ქართული ფილოლოგიის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის ისე საფუძვლიანად და სერიოზულად შესწავლა, როგორც პეტერბურგში, სადაც უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი საყოველთაოდ არის ცნობილი და კარგი სპეციალისტები ჰყავს. მაშასადამე, მე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა გადამენწყვიტა – ის იმედები, რასაც ჩემზე ამყარებდნენ, გამემართლებინა, თუკი მომავალში ამ დისციპლინების მიმართ დიდ ინტერესს გამოვიჩენდი. ბატონი ლაისტი ადრე ამის წინააღმდეგი იყო, სახელდობრ, მას ეგონა, ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუკი მე უცხოეთში დავრჩებოდი და უმაღლეს განათლებას გერმანიაში მივიღებდი. ახლა კი ბატონი ლოლობერიძე მწერს, რომ ბატონმა ა. ლაისტმა შეხედულება შეიცვალა და იმ აზრისაა, რომ პეტერბურგში გავემგზავრო და ჩემი სწავლა იქ გავაგრძელო, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ჩემი მომავალი და კარიერა შეიძლება შეიცვალოს. მე კარგა ხანია ბატონ ლაისტს მივწერე ბატონი ლოლობერიძის ამ გეგმასა და წინადადებაზე, ვთხოვე მას, რჩევა მოეცა, მაგრამ ამ საქმის შესახებ დღემდის არავითარი პასუხი არ მიმიღია. ამას გარდა, იგი მწერს, რომ არ უნდა დავივიწყო ფრანგული და უნდა განვაახლო მეცადინეობა ამ სფეროში; ჯერჯერობით შემიძლია, რომ დავრჩე გრაცში, გაზაფხულის მინურულს კი შინისკენ უნდა გამოვემგზავრო, სადაც შედგება შეხვედრა მისი, მ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორების – მარრისა და ჯავახიშვილის – და ბატონ ლაისტის მონაწილეობით. ამ შეხვედრაზე ჩემს საკითხს განიხილავენ და საქმეს საბოლოოდ მოაგვარებენ. ქართული ენა და ფილოლოგია მე ძალიან მაინტერესებს, ამ დისციპლინებში სიამოვნებით ვიმეცადინებ, მეორე მხრივ კი, მინდოდა გერმანული უნივერსიტეტი დამემთავრებინა და უკვე დაწყებული საქმე ამით ბოლომდე მიმეყვანა. მე თვითონ არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. მხოლოდ ერთი მინდა აღვნიშნო: ბატონი ლოლობერიძისგან ამჟამად მე ჩემი სტიპენდიის ერთ ნაწილს ვღებულობ, რის გამოც გარკვეულწილად თავს მორალურად ვალდებულად ვთვლი, მას ანგარიში გავუწიო და, თუ აუცილებელი იქნება, მის რჩევას დავყვე. უკვე წინა კვირაში ბატონი ლაისტისგან წერილი უნდა მიმეღო. ცნო-

ბისმოყვარეობა არ მასვენებს – მაინტერესებს, რას მომწერს იგი. მე თქვენთვის მცდარად არ გამიგია, როგორც თქვენ ვარაუდობთ, ღრმად პატივცემულო ბატონო ჰოფრატი – რატომ უნდა იყოს ჩემთვის არასასიამოვნო ჩემი სწავლის მიზნის გამომჟღავნება? ეს სრულიად გამორიცხულია. მერწმუნეთ, ეს სულაც არაა ასე. დარჩით ამის შემდეგაც ჩემ მიმართ კვლავ ისე კეთილად განწყობილი, როგორც ადრე იყავით. რასაც ახლა გწერთ, სულაც არაა ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის. მალე კიდევ ერთ წერილს მოგწერთ.

ულრმესი ყურადღებით

ა.ბეშქენაძე“.

№ 12

„გრაცი, 3 თებერვალი 1908

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მივიღე თქვენი მეორე წერილი. რასაც მწერთ, მე არ მიმაჩნია საყვედურად, როგორც თქვენ ვარაუდობთ, და, საერთოდ, არავითარი უფლება არა მაქვს, ის მტკიცებები საყვედურად რომ ჩავთვალო. მე არა ვარ თქვენზე გაბრაზებული, ეს იქნებოდა დიდი უმადურობა ჩემგან იმის სანაცვლოდ, რაც თქვენ მე გამიკეთეთ. დიდად გმადლობთ წიგნებისთვის და ათასჯერ გიხდით ბოდიშს, პატივცემულო ბატონო პროფესორო, რომ ისინი ასე დიდხანს მქონდა ჩემთან. უნდა ვაღიარო, ჩემი მორიდებულობა არის დამნაშავე, რომ დიდი ხანია ვერ მოგინახულეთ, ამას გარდა, ვფიქრობდი, ამჟამად ძალიან დაკავებული იქნებოდით და, ამასთან, საიმისო დრო არ გექნებოდათ, რომ ჩემთან გელაპარაკათ; არ მინდოდა თქვენი სამეცნიერო საქმიანობისთვის ხელის შეშლა. ძალიან ვწუხვარ, წიგნების დაბრუნება ისე რომ მომიხდა, რომ თქვენი სურვილები ვერ შევასრულე. თქვენ მწერთ, რომ სიამოვნებით გამინევთ ჩემს მეცადინეობაში ენათმეცნიერულ ხელმძღვანელობას, თუკი მე ამას ვისურვებდი. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის ძალიან კარგი იქნებოდა. ამას გარდა, მე არ ვიცოდი, თუ თქვენ სხვა წიგნებიც გქონდათ ქართული ენისა და მისი დიალექტების შესახებ. ჩემი სასწავლო გეგმების შესახებ მე თვითონ არ ვიცი გარკვევით არაფერი. მე ყოველმხრივ დამოკიდებული ვარ სხვებზე და იმ პირებს, რომლებმაც მე გრაცში გამომგზავნეს, ამ საქმესთან დაკავშირებით საერთო აზრი არა აქვთ. ერთნი ასე ფიქრობენ, მეორენი – ისე. ამასობაში მე არ ვიცი, ვის რჩევას უნდა მივყვე. დღედაღამ ამაზე ვფიქრობ, მაგრამ ამ ფიქრებისგან დღემდე არაფერი გამოვიდა. არადა, უკვე დროა, გადაწყვეტილება მივიღო. ამასწინათ ბატონმა პროფესორმა

როდოკანაკისმა¹⁶⁹ მიიხრა, რომ თქვენ ჩემდამი კეთილად იყავით განწყობილი. მე თვითონ მინდოდა, თქვენთვის რჩევა და დახმარება მეთხოვა და, თუკი დრო გექნებოდათ, ამ კვირაშივე გინახულებდით. შეუძლებელია, ყველაფერი წერილობით მოგიტხროთ. ბატონი ნიკოლოზ ლოლობერიძე ამჟამად ნიცაში იმყოფება, სადაც მთელი ზამთრის გატარებას ფიქრობს. იგი მოკრძალებულ სალამს გითვლით.

ულრმესი ყურადღებით

ა.ბეშქენაძე*.

№13

მცირე ზომის ღია ბარათზე საახალწლო მილოცვაა:

„ბატონ პროფ. დოქტორ ჰუგო შუხაროს
 გრაცი, ფუქსგასე 25
 31 დეკემბერი 1909

ბედნიერ ახალწელს გისურვებთ, ღრმად პატივცემულ ბატონ
 ზო ჰოფრატო

ა.ბეშქენაძე*.

გავიდა ერთი წელი. ამასობაში ბეშქენაძემ დაამთავრა სწავლა გრაცში და 1910 წლის შემოდგომიდან უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია. როგორც ზემოთ აღინიშნა, გრაცში სწავლისას მას ქართველი მეცენატები ეხმარებოდნენ მატერიალურად. ყოველ შემთხვევაში, 1909 წლის ზაფხულში მისთვის მარიამ ჯამბაკურორბელიანს გაუგზავნია ფული*. ახლა მას ექვთიმე თაყაიშვილი უფრო სჭირდება, ვისგანაც შემწეობას ელის, რადგან ეს უკანასკნელი კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა და, როგორც ბეშქენაძე ფიქრობს, ხელენიფება კომისიის წევრებზე ზეგავლენის მოხდენა, რათა მის ყოფილ მონაფეს ხელი გაუმართოს შორეულ პეტერბურგში.

¹⁶⁹ ნიკოლაუს როდოკანაკისი (1876–1945) – ორიენტალისტი. ჩანს, უფრო არაბულის სპეციალისტი იყო, რადგან შუხაროს მეტწილად არაბულის შესახებ სწერდა წერილებს. ეტყობა, იგი გრაციელი პროფესორია და შუხართთან თითქმის უკანასკნელ წლებამდე ჰქონდა მიმონერა. როდოკანაკისი, უნდა ვიფიქროთ, მეტად დაახლოებული იყო შუხართთან, რაკი შუხაროსის არქივში მისი 90 წერილია შემონახული, 1905-1926 წლებით დათარიღებული. საფიქრებელია, მან კარგად იცოდა შუხართის დამოკიდებულება ბეშქენაძის მიმართ.

* ამას ადასტურებს 1909 წლის 18 ივნისს ბეშქენაძის მიერ მ.ჯამბაკურორბელიანისადმი გრაციდან თბილისში გაგზავნილი წერილები: „Вместе с благодарностью за письмо и деньги посылаю Вам и всей семье сердечный привет. В скором времени напишу заказное письмо“.

№ 14*

 „პეტერბურგი
 12 იანვარს, 1911 წ.

ღრმად პატივცემულო ექვთიმე სიმონის ძე!

ამ წერილთან ერთად გიგზავნიტ ორ თხოვნას კავკასიის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებაში გადასაცემად. ერთი თხოვნა ჩემი გახლავთ, მეორე - კი აგრეთვე თქვენ მონაფედ ყოფილის ნოდარ ჯანდიერის. უწინარეს ყოვლისა ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე შეწუხებისთვის, მაგრამ არ ვიცოდით თხოვნები რომელ ადრესით გავგზავნა და რადგანაც თქვენ ამ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწე ბრძანდებით, გადავწყვიტეთ, თქვენთვის გამოგვეგზავნა ჩვენი თხოვნები. გთხოვთ უმორჩილესად, შეგვენიოთ თხოვნების გარჩევის დროს, სწავლის ფულის შეტანის ვადა თავდება, არც ეგზამენის დაჭერის უფლება გვექნება, თუ ფული დროზე არ შევიტანეთ. იმედია ჩვენ თხოვნას მხედველობაში მიიღებთ, მარად პატივცემულო ექვთიმე სვიმონის ძე, უკაცრავად გახლავართ თქვენთან შეწუხებისთვის, მიიღეთ მრავალი სალამი თქვენი

ალექსანდრე ბეშკენაძესგან.

СПетербург

Петерб. сторона

Александровский пр. №25, кв. 18".

№ 15*

„26 ივლისს 1911 წ.

ღრმად პატივცემულო ექვთიმე სიმონის ძე!

ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ ხელმეორედ განწუხებთ. გიგზავნიტ თხოვნას კავკასიელ სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოებაში გადასაცემად. იმედი მექმნება, რომ შემენევით და ყურადღებას არ მომაკლებთ როგორც თქვენ ყოფილ მონაფეს.

ფულის მხრივ ერთობ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფები და თუ ეხლაც უარი მითხრა საზოგადოებამ - ძალიან ცუდად იქმნება ჩემი საქმე: ვერც ეგზამენებს დავიჭერ და უნივერსიტეტის ვალიც მომიგროვდება. ამ შემთხვევაში არც-კი ვიცი ვის მივმართო ან როგორ ვუშველო თავს.

დავით ზახარაივიჩის¹⁷⁰ მოულოდნელად გარდაცვალების ამბავმა ძალიან დამალონა. პირადად ცნობა მქონდა და ყოველთვის ჩემი შემწე იყო.

¹⁷⁰ იგულისხმება დავით სარაჯიშვილი.

მე ამჟამად კიევის გუბერნიაში ვიმყოფები. განზრახვა მქონდა ტფილისში ჩამოვსულიყავ, რომ როგორმე ცოტაოდენი ფული მომეგროვებინა, მაგრამ აქა ვრჩები უფულობის გამო. ავვისტოს მეორე ნახევარში-კი სანკტ-პეტერბურგში გავემგზავრები. გიძღვნით მრავალ სალამს, მარად პატივცემულო ექვთიმე სიმონის ძე, გთხოვთ მომიტევოთ შენუხება, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექმნება, თუ მომიხერხებთ პატარა შემწეობის აღმოჩენებას. საზოგადოებაში თქვენ გავლენა გაქვთ და, ჩემის აზრით, საკმარისი იქმნება თქვენი გახსენება თხოვნების გარჩევის დროს, რომ მე პირადად მიცნობთ, როგორც ღირსს.

თქვენი ალექსანდრე ბეშკენაძე.

ჩემი ადრესი:

СПб. Петербургская сторона

Гулярная улица, д. № 24, кв. 75

Нодару Николаевичу Джандиери

с передачей Александру Георгиевичу Бешкенадзе"ю

№ 16*

„სტ.პეტერბურგი

28 თებერვალს 1912წ.

ღრმად პატივცემულო ექვთიმე სვიმონის ძე!

მოულოდნელად მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი 20 მან. გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა შემწეობისთვის და ყურადღებისთვის. თანაც ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ განუხებთ ხოლმე თხოვნებით საზოგადოებაში გადასაცემად, მაგრამ იმედია მაპატიებთ.

მე ეს უკვე მეოთხე სემესტრია, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გახლავართ ისტორიულ განყოფილებაზე და ვცდილობ, რამდენადაც ხელი მიწყობს, ფაკულტეტის ეგზამენების დროზე ჩაბარებას.

გისურვებთ, როგორც ჩემ ყოფილ მასწავლებელს, სულით და გულით ყოველ სიკეთეს. გიძღვნით მრავალ სალამს.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

ალექსანდრე ბეშკენაძე.

С-Петербург

Петерб. сторона

Александровский пр. №25, кв. 18“.

დასასრულ, რამდენიმე ცნობა ალექსანდრე ბეშკენაძის მოგონებებიდან ჰუგო შუხართზე, რომელიც ორმოცდაათიოდე წლის წინ გამოქვეყნდა: „საქართველო ჰუგო შუხარდტმა ჩვენთვის მარად

დაუფინყარი არტურ ლაისტის მეშვეობით გაიცნო. ლინგვისტი მიმონერის საშუალებით დაუახლოვდა ქართველ მოღვაწეებს და მწერლებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძესაც, რომლის დიდი პატივისმცემელი და დამფასებელი იყო. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაჟინებით ეპატიჟებოდა ჰუგო შუხარდტს საქართველოში. გრაცელ პროფესორს გადაწყვეტილი ჰქონდა სწევოდა იმ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ქვეყანას, რომელიც წიგნებით შეესწავლა მას, სურდა ადგილობრივ, საქართველოშივე დაეზუსტებინა და შეემონმეზინა საკუთარი მოსაზრებანი და დასკვნები ქართული ენის შესახებ, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მან ვერ შეძლო თავისი სურვილის განხორციელება...

საქართველოს და ქართველებს რომ კარგად იცნობდა ჰუგო შუხარდტი, ეს ნათელი ვახდა ამ სტრიქონების დამწერისთვის, როდესაც იგი 1905 წელს ქალაქ გრაცში ჩავიდა გრაცის უნივერსიტეტში სასწავლად. მას პროფესორ ლაისტის სარეკომენდაციო ბარათი ედო ჯიბეში, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, ჰუგო შუხარდტი მას მაინც დიდი სიხარულით მიიღებდა, რადგან მას შემთხვევა მიეცემოდა ცოცხალ ქართველს ქართულად დალაპარაკებოდა და მრავალი რამ საინტერესო გამოეკითხა მისთვის. ჰუგო შუხარდტს სხვა ევროპელ მეცნიერებთან ერთად, როგორც, მაგალითად, კარლ ლემან ჰაუპტს¹⁷¹ და რიჰარდ მეკელაინს,¹⁷² შეექმნა ამ დროსათვის ქართული ენის შემსწავლელი კერა. მას შეედგინა ქართული ენის შემსწავლელი სტუდენტების ჯგუფი, რომელსაც თვითონ ამეცადინებდა. ზოგიერთი მათგანი მან მე გამაცნო. ისინი ძველ ქართულზე ლაპარაკობდნენ და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შოთა რუსთაველის ეპოქის ადამიანებთან ვსაუბრობდი. ერთ-ერთმა მათგანმა მორიდებით მკითხა: „თქვენ მართლა ნამდვილი ქართველი ხართ თუ არაო“. ეს ეჭვი ძველი ქართულის მცოდნე ავსტრიელ სტუდენტს ჩემში ახალი თანადროული ქართულის მოსმენის საფუძველზე დაეზადა. ბოლოს ისე მოხდა, რომ მე მათგან ძველ ქართულს ვსწავლობდი, ხოლო ისინი ჩემგან ახალ ქართულს („მნათობი“, №1, 1958, გვ. 165).

ალბათ, საინტერესო უნდა იყოს ჰუგო შუხარდტის შეხედულება ცალექსანდრე ბემკენაძეზე. 1926 წლის ივნისში გრაცელი პროფესორი აკაკი შანიძეს სწერდა: „ქართულის თეორიული კვლევა დაახლოებით 40 წლის წინ დავიწყე, როცა 1895 წელს სტატია გამოვაქვეყნე ქართულისა და, ზოგადად, კავკასიური ზმნის პასივის შესახებ. გრაცში

¹⁷¹ კარლ ლემან-ჰაუპტი (1861-1938) – გერმანელი ორიენტალისტი, არმენოლოგი და ქართველოლოგი.

¹⁷² რიხარდ მეკელაინი (1880-1948) – გერმანელი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ქართველოლოგი და სლავისტი.

ხანგრძლივი დროით იმყოფებოდა პროფესორი მელიქიშვილი (მელიქოვი), ქიმიის პროფესორი ოდესიდან, და მისგან, ქიმიკოსისგან, ვისწავლე პრაქტიკულად ქართულის საფუძვლები. მან დამაკავშირა მის ბევრ თანამემუღესთან და აქედან დიდი სარგებლობა მივიღე. თუმცა ჩემი იმედი, თქვენი ენის შესწავლაში რომ სწრაფად წავსულიყავი წინ, გამიცრუვდა. ეს, მართალია, გაცილებით გვიან მოხდა, მე ვფიქრობ, 1904 წელს¹⁷³ – როცა თბილისიდან ჩვენს უნივერსიტეტში ახალგაზრდა კაცი, ალექსანდრე ბეშკენაძე ჩამოვიდა, როგორც ვთვლიდი, იმ მიზნით, რომ ის ჩემთან თეორიულად მომზადებულიყო ქართულში ან კავკასიურ შტუდიებში, ამასთან, მე მისი დახმარებით პრაქტიკულად გავვარჯიშდებოდი ქართულში. მაგრამ მალე შევატყვე, რომ იგი მისთვის განსაზღვრული საგნების მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდა. მან მალე მშვენივრად აითვისა გერმანული ენა, გატაცებით შეისწავლა ესპერანტო და სხვ. მისგან აბა რა უნდა გამოსულიყო?”

ამ ამბავს ექვთიმე თაყაიშვილიც იხსენებს შუხართის მონათხრობის მიხედვით: „ჩაგვაცვივდა შუხარდტი, „ვინმე ნიჭიერი ახალგაზრდა გამოგვიგზავნეთ ვენაში, რომ მოემზადოს და მერე ქართული ენის შესწავლაზე იმუშაოს!“ ჩვენც გავუგზავნეთ ერთი მართლაც ნიჭიერი ყმანვილი, გვარად ბეშკენაძე, სტიპენდიაც კი დაუნიშნეთ, მაგრამ ის თურმე ჩასვლისთანავე გაიტაცა ევროპულმა ფილოსოფიამ და ლიტერატურამ და ლინგვისტიკას აღარ გასდევნებია“ (ე.თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი“, №5, 1959, გვ. 178).

¹⁷³ შუხართი ცდება: ა.ბეშკენაძე გრაცში 1905 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ჩავიდა.

აკაკი შანიძე

„ზოგადი ენათმეცნიერება ბევრს დაკარგავს, თუკი კავკასიურ ენებს ევროპის უნივერსიტეტებში იმ ადგილს არ მიუჩენენ, რასაც ისინი იმსახურებენ“

ა.შანიძე

1918 წელს დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში გამოცდილ, გამობრძმედილ პროფესურას გვერდით შედარებით ახალგაზრდა თაობაც ედგა, რომელიც თავგამოდებით შეეჭიდა ახალგაზრდა კადრების გამოზრდის საქმეს და უფროს თაობასთან ერთად მოუხდა მძიმე უღლის ზიდვა ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ, რათა ახალდაარსებული უნივერსიტეტი თანდათან მომძლავრებულიყო, ფეხზე მყარად დამდგარიყო და გვერდში ღირსეულად ამოსდგომოდა იმ დროს სახელმძოვნილ ევროპულ უნივერსიტეტებს. ბუნებრივია, მათი საუკუნეებამოვლილი გამოცდილებაც უნდა გადმოელო, საამისოდ კი ერთერთი საშუალება მათთან მეცნიერული კონტაქტების დროულად დამყარება იყო.

არც დაუყოვნებიათ.

მოდით, ვნახოთ ქართული ენათმეცნიერების ერთერთი პირველი ნაბიჯები ევროპულ სარბიელზე. 1920 წელს აკაკი შანიძემ პირველმა ქართულ უნივერსიტეტში ქართულ ენაზე დაიცვა დისერტაცია. სამეცნიერო ხარისხმიღებულს, მეცნიერებათა დოქტორს, უფლება ჰქონდა, ერთგვარი მოკრძალებით, მაგრამ საკუთარი ღირსების დაცვით შეხმთანებოდა უფროს ევროპულ კოლეგებს. პირველ რიგში, ისეთი მეცნიერი უნდა შეერჩია, ვინც, რა თქმა უნდა, ქართულითაც იქნებოდა დაინტერესებული და, ცხადია, მეცნიერული წონაც უნდა ჰქონოდა. აკაკი შანიძემ არჩევანი ჰუგო შუხართზე შეაჩერა.

იმხანად მსოფლიო ენათმეცნიერულ სარბიელზე ჰუგო შუხართის სახელი ქუხდა. 1920 წლისთვის შუხართის დაბეჭდილ ნაშრომთა რაოდენობა 700-ს იყო გადაცილებული, ქართულის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომთა რიცხვი კი თითქმის ორ ათეულამდე აღწევდა. იგი იყო აღიარებული ლიდერი უცხოელ ენათმეცნიერთა იმ წრეში, ვინც ქართულის მიმართ ცხოველ ინტერესს იჩენდა.

1926 წელს ჰუგო შუხართი გრაციდან წერილს უგზავნის აკაკი შანიძეს. ეს არ არის მათი ურთიერთობის პირველი ფურცელი. ისინი უკვე კარგა ხანია ერთმანეთს დაუსწრებლად, სამეცნიერო ნაშრომებით იცნობენ. 1975 წელს აკაკი შანიძისგან მოვისმინე, შუხართს

მას მერე დავუკავშირდი, რაც დისერტაცია დავიცავი და ჩემი წიგნი „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ გავუგზავნეო. წიგნი 1920 წელს გამოვიდა, ამდენად, მათი ნაცნობობა 20-იანი წლებიდან იწყება. მოგვიანებით ა.შანიძემ დააზუსტა, პირველი ნაბიჯი მე თვითონ გადავდგი 1921 წლისთვის, როცა გრაცში ჩემი მონოგრაფია გავუგზავნე, და შუხართის სამადლობელი წერილის შემდეგ ჩვენ შორის საქმიანი მიმონერა დაიწყო. ეს თარიღი ოდნავ წინ უნდა გადმოვწიოთ: ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და სლავისტი, რიხარდ მეკელაინი (1880-1949) 1920 წლის 22 სექტემბერს წერდა შუხართს: „ბატონმა პროფესორმა შანიძემ თბილისიდან გამომიგზავნა თავისი ახალი ნაშრომები ქართული ფილოლოგიის სფეროდან და მთხოვა, თქვენთვის ორი ეგ ზემპლარი მომეწვდინა. დღეს ისინი შეკვეთილი ბანდეროლით გამომცემლობა „Der neue Orient“-ის მეშვეობით გამოგიგზავნეთ და მადლობელი დაგრჩებოდით, თუ ორიოდ სიტყვით მათს მიღებას დამიდასტურებდით, რათა შემდეგ ეს ბატონ შანიძეს ვაცნობო“. მაშასადამე, აკაკი შანიძეს მიახლოებით 1920 წლის შემოდგომის დასაწყისისთვის გაუგზავნია თავისი ნაშრომი შუხართისთვის.

თავის დროზე აღვნიშნე¹⁷⁴, რომ გრაცში, შუხართის არქივში, აკაკი შანიძის მხოლოდ სამი წერილია შემონახული, აქედან ორი შუხართის მიმართაა, ერთი კი შუხართის მომვლელისა და მზრუნველისადმი – ფრანც მაირჰუბერისადმი. მოგვიანებით თვით აკაკი შანიძის არქივში, რომელიც საქართველოს ცენტრალური არქივის ლიტერატურულ განყოფილებაშია დაცული, კიდევ რამდენიმე წერილი აღმოჩნდა: ზოგი შანიძისა, ზოგიც – შუხართისა. ვფიქრობ, ეს წერილები საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ ენათმეცნიერული თვალსაზრისით. საკითხის უფრო სრულყოფილად გაშუქების მიზნით ადრე გამოქვეყნებულ ორ წერილს კვლავ მოვუხმობ.

№1

„გრაცი, 4 ივნისი 1926

დიდად პატივცემულო ბატონო,

თქვენმა ორივე სტატიამ („უმლაუტი სვანურში“ და „ქართული ზმნის საქცევი“¹⁷⁵) მეტად დიდი სიხარული მომგვარა და გამაოცა კიდევ. უკვე კარგა ხანია, არაფერი მსმენია კავკასიის შესახებ. ახალ

¹⁷⁴ ვ.იმნაიშვილი, აკაკი შანიძისა და ჰუგო შუხართის ურთიერთობიდან, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, 1988.

¹⁷⁵ უმლაუტი სვანურში: არილი, 1925; ქართული ზმნის საქცევი: თსუ მოამბე, VI, 1926.

ურთიერთობებს დასაბამი მისცა თქვენმა უკანასკნელმა საჩუქარმა (უნივერსიტეტის გამოცემა 1920 წლისა)¹⁷⁶.

ქართულის თეორიული კვლევა დაახლოებით 40 წლის წინ და-
ვინწყე. როცა 1895 წელს სტატია გამოვაქვეყნე ქართულისა და, ზო-
გადად, კავკასიური ზმნის პასივის შესახებ¹⁷⁷, გრაცში ხანგრძლივი
დროით იმყოფებოდა პროფ. მელიქიშვილი (მელიქოვი), ქიმიის პრო-
ფესორი ოდესიდან, და მისგან, ქიმიკოსისგან, ვისწავლე პრაქ-
ტიკულად ქართულის საფუძვლები. მან დამაკავშირა მის ბევრ თანა-
მემამულესთან და აქედან დიდი სარგებლობა მივიღე¹⁷⁸. თუმცა ჩემი
იმედი, თქვენი ენის შესწავლაში რომ სწრაფად წავსულიყავი წინ,
გამიცრუვდა. ეს, მართალია, გაცილებით გვიან მოხდა, მე ვფიქრობ,
1904 წელს – როცა თბილისიდან ჩვენს უნივერსიტეტში ახალგაზრდა
კაცი, ალექსანდრე ბეშქენაძე, ჩამოვიდა¹⁷⁹, როგორც ვთვლიდი, იმ
მიზნით, რომ ის ჩემთან თეორიულად მომზადებულიყო ქართულში
ან კავკასიურ შტუდიებში, მე კი მისი დახმარებით პრაქტიკულად
გავვარჯიშდებოდი ქართულში. მაგრამ მალე შევატყვევე, რომ იგი
მისთვის განსაზღვრული საგნების მიმართ არავითარ ინტერესს არ
ჩინდა. მალე მან მშვენივრად აითვისა გერმანული ენა, გატაცებით
შეისწავალა ესპერანტო და სხვ. მაგრამ მისგან, აბა, რა უნდა გამო-
სულიყო?!¹⁸⁰

ჩემი ხანდაზმულობის გამო – უკვე 85 წლისა ვარ¹⁸¹ – მიძნელ-
დება ყოველდღიურად და, თანაც, გულდასმით მუშაობა, განსაკუთ-
რებით კი ლექსიკონების გამოყენება ჩემთვის თითქმის შეუძ-
ლებელი. მაგრამ ძალა შემწევს, ხელი შევუწყო კავკასიური ფილო-
ლოგიის კვლევის გამოცოცხლებას. მე ვფლობ მნიშვნელოვან მასა-

¹⁷⁶ იგულისხმება ა. შანიძის მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, 1920.

¹⁷⁷ იგულისხმება „ტრანზიტის პასიური ბუნების შესახებ კავკასიურ ენებში“ („Über den passiven Charakter Transitivs in den kaukasischen Sprachen, Sitzungsberichte der Wiener Akademie der Wiss., 133/1, Wien, 1895).

¹⁷⁸ პუგო შუხართის ქართველ ნაცნობებს შორის პეტრე მელიქიშვილი მისთვის, ალბათ, ყველაზე ახლობელი იყო. მათ რეგულარული მიმოწერა ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, 1904 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად მელიქიშვილი ოდესაში ცხოვრობდა, ქართულთან დაკავშირებულ საკითხებზე, პირველ ხანებში მაინც, სანამ სხვებს, უფრო კომპეტენტურ ინფორმატორებს, გაიცნობდა, შუხართი მელიქიშვილს მიმართავდა ხოლმე ან მისი მეშვეობით უკავშირდებოდა ამა თუ იმ საკითხის სპეციალისტებს საქართველოში. მათს ასეთ სიახლოვეს იმანაც შეუწყო ხელი, რომ მელიქიშვილი ხშირად მიდიოდა ზაფხულობით ევროპაში და გრაცშიც მოუხდა არაერთხელ ყოფნა.

¹⁷⁹ შუხართს მეხსიერება ღალატობს: ალექსანდრე ბეშქენაძე გრაცში 1905 წლის დეკემბერში ჩავიდა.

¹⁸⁰ შუხართისა და ბეშქენაძის ურთიერთობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 202-220.

¹⁸¹ შუხართს ემლება: თებერვალში მას 84 წელი შეუსრულდა.

ლებს გეორგიკაში, მათ შორის ათას წელზე მეტი ხნის ერთ ხელნაწერს, გაზეთებს, ჟურნალებს (მაგალითად, „მოამბეს“ სრულად) და ა.შ. გრაცის უნივერსიტეტი მემკვიდრეობით მიიღებს ამ ნივთებს, ისე როგორც ჩემს მთელ ბიბლიოთეკას და იმედი მაქვს, ამ მასალების დახმარებით ახალგაზრდები აღიგზნებიან იმ სამუშაოს გაგრძელების სურვილით, რის დასრულებაც მე ვერ შევძელი, ანდა, სულაც, ახალს წამოიწყებენ.

ახლა კი, როგორც გამოხატულება ჩემი მადლობისა, გთხოვთ, გადაათვალიეროთ ჩვენი აკადემიის შრომები, რომლებიც ბანდეროლით გამოგიგზავნეთ, თუმცა მასში კავკასიურის შესახებ არაფერია¹⁸².

შეიძლება ჩემი ნაწერი თქვენთვის ძალიან ძნელი გასარჩევი იყოს, ალბათ, შეცდომებიც იქნება გაპარული, რაკი ამჟამად ძალზე გადაღლილი ვარ. მე აღარ ძალმიძს ნაწერის ხელმეორედ გადაკითხვა ლუპით.

დიდი პატივისცემით

თქვენი ჰ. შუხართი“.

№2

„8.VII.1926

თბილისი, ლუნიხის ქ. 52

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

მივიღე 1926 წლის 4 ივნისით დათარიღებული თქვენი ძვირფასი წერილი და აგრეთვე სტატიაც („ინდივიდუალიზმი ენათა კვლევისას“). ორივემ დიდი სიხარული მომგვარა. მიხარია, რომ თქვენ ამ ასაკშიც ჯერ კიდევ მხნედ გრძნობთ თავს და სამეცნიერო მუშაობასაც ძველებურად ეწევი.

თქვენს აქაურ პატივისმცემლებსა და ნაცნობებს გაუკვირდათ, ხმა რომ მოგვანვდინეთ. განსაკუთრებით გაიხარა პროფ. მელიქი-შვილმა, ჩვენი უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა. ამჟამად იგი მხნედაა და ქიმიის კურსს კითხულობს უნივერსიტეტში. იგი დღესაც აქვეყნებს თავის ნაშრომებს. 1923 წელს აქ იზეიმეს მისი მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლის იუბილე და ამასთან დაკავშირებით მას „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ III ტომი მიეძღვნა.

რაც შეეხება კავკასიური და, განსაკუთრებით, ქართული ენის კვლევას, მინდა გაცნობოთ, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარ-

¹⁸² აკადემიის შრომებში დაბეჭდილია შუხართის სტატია: „ინდივიდუალიზმი ენათა კვლევისას“ („Der Individualismus in der Sprachforschung“, Sitzungsberichte der Wiener Akademie der Wiss., 202/4, Wien, 1925).

სების დღიდან (26.I.1918 ძველი სტილით) ამ მიმართულებით ცოტა როდია გაკეთებული. შეიძლება საქმის მცოდნე რამდენიმე ახალგაზრდა დავასახელოთ, რომლებიც ამ დარგში წარმატებით მუშაობენ. სხვათა შორის, აქ არის ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება, რომელიც ხელს უწყობს კავკასიური ენების კვლევას.

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ქართველური ენების შესწავლას ექცევა – მონდომებით იკვლევენ ძველ ქართულსა და ცოცხალ დიალექტებს ქართულისას, ერთი მხრივ, და მეგრულ-ჭანურსა და სვანურს, მეორე მხრივ. ძველი ქართულის კვლევას ახლას იხიცი უწყობს ხელს, რომ სამი წლის წინ პალიმფსესტებში აღმოჩნდა უძველესი ძეგლები (VI–VII სს.) ჩვენი ენისა (იხ. ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. II, გვ. 313 და შემდგ., გვ. 398 და შემდგ.). არც სხვა ენები დარჩენილა ყურადღების გარეშე – ხელი მოჰკიდეს აფხაზურისა და ბაცბურის (ანუ, შიფნერის მიხედვით – თუშური ენის) შესწავლას. დროთა განმავლობაში საფუძვლიანად იქნება შესწავლილი და გამოკვლეული კავკასიური ენების მთელი სამყარო. იმედი გვაქვს, მოკლე ხანში თუ არა, შემდგომ მაინც შევძლებთ კავკასიური ენათმეცნიერების ერთი გვარიანი სახელმძღვანელოს გამოცემას. ამასთან, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ უსაფუძვლო ფანტაზიებსა და დაუსაბუთებელ თეორიებს (როგორიცაა, მაგალითად, „იაფეტური“) ჩვენს ნაშრომში გვერდს ავუვლით.

უნივერსიტეტი გიგზავნით თავის ყველა გამოცემას, რაც ფილოლოგიას ეხება, მათ შორის „მოამბის“ ყველა გამოქვეყნებულ ტომს. „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ გიგზავნით თავის „წელიწადულს“ (I–II ტ.). მალე გამოვა „მიმომხილველის“ (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანოს) I ტომი და ისიც გამოგვეგზავნებათ.

თქვენ მიერ მოხსენიებული ბატონი ბეშკენაძე ამჟამად თბილისში იმყოფება. იგი დღემდის ერთერთი საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელია.

პროფ. პ.მელიქიშვილი და ჩვენი კავკასიოლოგები გულითად მოკითხვას გითვლიან და გისურვებენ კიდევ დიდხანს სიცოცხლეს. დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ა.შანიძე“.

№3

„1926. IX. 28

თბილისი (ლუნიბის ქ. 52)

დიდად პატივცემულ ბატონო პროფესორო,

ულრმესი მადლობა თქვენი „Sprachwissenschaft II“-ისთვის,

რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ მივიღე¹⁸³. დასახელებულ გამოცემას შენიშვნა ახლდა, წერილი მოჰყვებო, მაგრამ იგი დღემდე არ მოსულა. იქიდან მე, ალბათ, უფრო მეტს შევიტყობდი პალიმფსესტის ერთი გვერდის ფოტოს შესახებ, რომელიც თქვენ მოგვიანებით თავაზიანად გამომიგზავნეთ. ეს ფოტო წარმოადგენს სომხურ-ქართულ ხელნაწერს, რომელშიც, როგორც ფოტოდან ამკარად ჩანს, სომხური ტექსტი (იოანე 8, 13-15) უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე ქართული (ფსალ. 79, 11-16). ქართული ტექსტი თავადაც საკმარისად ძველია: პალეოგრაფიული ნიშნებით იგი IX საუკუნის ბოლოს ან X საუკუნის დასაწყისს უნდა მივაკუთვნოთ¹⁸⁴. სავარაუდოა, რომ ეს გვერდი ეკუთვნის ათასწლოვან ხელნაწერს, რაზეც თქვენ 1926 წლის 26 ივნისის წერილში მაცნობეთ¹⁸⁵. თუ ეს ნამდვილად ასეა და დასახელებული ხელნაწერი ფსალმუნის ტექსტს წარმოადგენს, მაშინ ის ძალზე ფასეულია, რადგან ფსალმუნთა შემცველი ძველი ხელნაწერები ქართულში ძალზე ცოტაა შემორჩენილი. ფსალმუნთა ძველი ქართული თარგმანების გამოცემისას, რაც დღის წესრიგში დგას, თქვენი ხელნაწერიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

იმედია, უნივერსიტეტის გამოცემები უკვე ხელთა გაქვთ.

ამ დღეებში კიდევ გამოგიგზავნით ახლად გამოცემული „მიმომხილველის“, ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანოს, I ტომს.

დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი

ა.შანიძე“.

№4

„გრაცი, 16 ოქტომბერი 1926

დიდად პატივცემულო ბატონო კოლეგავ!

რამდენიმე დღის წინ მივიღე თქვენი თავაზიანი წერილი მიმდინარე წლის 28 სექტემბრისა, საიდანაც დავასკვენი, რომ ჩემ მიერ გამოგზავნილი წერილი დაკარგულა.

¹⁸³ იგულისხმება შუხართის ნაშრომი „ქართველური ენათმეცნიერება“ („Khartwelische Sprachwissenschaft“, II, Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, 10, 1896).

¹⁸⁴ ეს პალიმფსესტი არის ფრაგმენტი გრაციის №2 ხელნაწერისა, კერძოდ, 141r გვერდი. №2 ხელნაწერი შეიცავს ფსალმუნის ტექსტს. ა.ცაგარელი მას VIII-IX საუკუნეებით ათარიღებდა, ა.შანიძემ კი იგი საბოლოოდ X საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლად მიიჩნია (იხ. ა.შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929, გვ. 344).

¹⁸⁵ ა.შანიძე ცდებოდა, შუხართს VII საუკუნის ხანმეტი ლექციონარი ჰქონდა მხედველობაში. იმ დროს ა.შანიძემ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს ხელნაწერი შუხართმა 30 წლის წინ იყიდა.

მე აღარ გავიმეორებ მასში გამოთქმულ სამადლობელ სიტყვებს დაგოცებას თქვენი საუცხოო გერმანულის გამო.

მდგომარეობა რომ თქვენთვის ნათელი გავხადო, საკმარისი იქნება გაცნობით, რომ ამა წლის 13 სექტემბრიდან ლოგინად ვარ ჩავარდნილი და ახლაც სხვის მეგობრულ ხელს ვიყენებ თქვენთვის წერილის მოსაწერად.

დანვრილებითს ცნობებს პალიმფსესტ-ფსალმუნის შესახებ იპოვით ცაგარლის ნაშრომში (Сведения, II, გვ. 54), სადაც არის №2 ხელნაწერის აღწერილობა. იქაური ნიმუშები ემთხვევა ჩემი ხელნაწერის მონაცემებს, მიუხედავად იმისა, რომ ცაგარელი ზოგიერთ განსხვავებას გვთავაზობს (ცაგარლის მიხედვით, ხელნაწერი VII-VIII საუკუნისა უნდა იყოს¹⁸⁶).

ეს ხელნაწერი და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ეკუთვნოდა სინას მთის მონასტერს და ისინი გასული საუკუნის ბოლოს ჩემს ხელთ მოხვდა. ამათგან ორი ლიტურგიკული წიგნია, შემდეგ იოვანე ოქროპირის ჟამისწირვა და სიმონ სალოსის ცხოვრება, დათარიღებული IX-X საუკუნით.

ერთმა ვენელმა მხატვარმა¹⁸⁷ ეს ხელნაწერები ვენაში მოიტანა და ისინი ვენის კარის ბიბლიოთეკას შესთავაზა შესასყიდად, მაგრამ ეს შეთავაზება უარყვეს ხელნაწერების საექვო წარმომავლობის გამო, მიუხედავად ამ საქმეში ჩახედული ყველა პირის დიდი უკმაყოფილებისა. ასე მოხვდნენ ისინი ჩემს ხელში.

რაკი მე მთელი ჩემი ბიბლიოთეკა ანდერძით გრაცის უნივერსიტეტს დავუტოვე, ხუთივე ხელნაწერი უკვე მას გადავეცი¹⁸⁸.

მინდა მოტყევა გთხოვოთ, რადგან ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო ახლა უნდა შევწყვიტო წერა და იმედი მაქვს, მოგვიანებით დანარჩენ ამბებსაც გაცნობებთ.

დიდი ყურადღებით, გულითადი სალმით, განსაკუთრებით მე-ლიქიშვილისადმი

ჰ. შუხართი“

¹⁸⁶ შუხართს მესხიერება ლალატობს: ა. ცაგარელი თავის გამოკვლევაში გარკვევით წერს, ხელნაწერი VIII-IX საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთო (А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае; Православный Палестинский Сборник, том IV, вып. I, СПб., 1888, გვ. 196).

¹⁸⁷ ეს მხატვარი არის ალფონს ლეოპოლდ მილიხი (1863-1929), რომელმაც შუხართს 4 ქართული ხელნაწერი 1897 წლის 12 იანვარს 420 გულდენად მიჰყიდა, ხოლო 28 მაისს კიდევ ერთი ხელნაწერი (გრაგნილი) 25 გულდენად დაუთმო.

¹⁸⁸ შუხართის არქივში შემონახულია გრაცის უნივერსიტეტის თანამშრომლის, პირველი კლასის ბიბლიოთეკარის, პაულ მიკორის, ხელწერილი: „ბატონ პოფრატ ჰუგო შუხართისგან, ანდერძის თანახმად, ჩავიბარე ხუთი ქართული ხელნაწერი მათი კუთვნილი კორესპონდენციითურთ. გრაცი, 7.9.1926. მიკორი“.

ამ დროს შუხართის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესებულია. მას ასოების გამოყვანა კარგად აღარ შეუძლია და სხვებს ანერინებს წერილებს, რადგან ხელი უკანკალებს. ეს კარგად ჩანს ხელმონერიდანაც.

ვენის კარის ბიბლიოთეკისთვის შესაძენად შეთავაზებულ ქართულ ხელნაწერებზე, მიუხედავად მათი მაცდუნებელი მიმზიდველობისა სიძველის გამო, ბიბლიოთეკის მაშინდელმა დირექტორმა, ჰაინრიხ ფონ ცაისბერგმა, უარი განაცხადა, რადგან ხელნაწერების წარმომავლობა აფიქრებდა: მან შუხართისგან შეიტყო, რომ ძველისძველი ხელნაწერები სინას მონასტრის კუთვნილება იყო, და დაასკვნა, რომ გადაამყიდველს ისინი არაკანონიერი გზით ჰქონდა ხელთ ჩაგდებული. ამის გამო ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ვატროსლავ იაგინმა ცაისბერგი გაკიცხა – ასეთი ხელნაწერების ხელიდან გაშვება როგორ შეიძლებოდაო¹⁸⁹.

№5

ეს წერილი სხვისი ხელითაა დაწერილი, ეტყობა, შუხართმა რომელიღაც მონაფე დაიხმარა.

„გრაცი, 16.II.1927

ძვირფასო ბატონო კოლეგავ!

დიდი ხანია გადანყვეტილი მაქვს, თქვენთვის ვრცელი წერილი გამომეგზავნა, მაგრამ ამაში ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობამ შემიშალა ხელი. 1926 წლის სექტემბრის დასაწყისიდან სანოლს ვარ მიჯაჭვული და ჩემი ოთახიდან გარეთ ვერ გავდივარ, რომ ჩემს წიგნებს შორის ვიტრიალო. ამასთან, ექიმის მეთვალყურეობაც მხოტავს, მას უნდა დავემორჩილო და, კაცმა რომ თქვას, არ შემიძლია ის ვაკეთო, რაზეც ვოცნებობ, თანაც, იძულებული ვარ, სხვისი დახმარებით ვისარგებლო. მაგრამ მაინც ყველაფერი უნდა გავაკეთო, რისი ძალაც შემწევს.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ კავკასიური ენათმეცნიერება, საზოგადოდ, მეცნიერულ ინტერესს იწვევს და მზრუნველობას საჭიროებს. ამან კი შეიძლება ჩვენს უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას შეუწყოს ხელი. აღმოსავლეთისაკენ მიმართული ჩემი კვლევა-ძიება თავდაპირველად კავკასიაში მოგზაურობით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ჩემი მეგობარი და მეზობელი გუსტავ მაიერი შემეცლია ამ იდეის ხორცშესხმაში და მოახერხა, თავისთვის დაენარჩუნებინა შესაბამისი სამოგზაურო სტი-

¹⁸⁹ სხენებულ ხელნაწერებთან დაკავშირებული პერიპეტეების შესახებ იხ.: ვ.იმნაიშვილი, სინას მთიდან გრაცამდის, 2001.

პენდია¹⁹⁰. მაგრამ იქ მძვინვრე ებიდემიის გამო მან ვერ გამოიყენა ეს შანსი. მე თვითონ იმხანად ბასკურით ვიყავი გატაცებული, მაგრამ ამან კვლავ კავკასიურთან მიმიყვანა ცნობილი შესატყვისობების გამო, რასაც, სხვათა შორის, მე გამოკვეთილად ვუსვამდი ხაზს.

ახლა, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იმის შესაძლებლობას ვარ მოკლებული, მეცნიერული კვლევა რომ გავაგრძელო.

ჩემი განზრახვაა, როგორც ჩემი სხვა ნიგნები, ასევე კავკასიური ენების შესახებ არსებული ლიტერატურა აქაური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ვუანდერძო. იმ პირების სიას გადავხედე, რომლებიც ამ სფეროთი არიან დაინტერესებული და ერთი მათგანი, დოქტორი გოში, ამ მიზნისთვის გამოსაძეგად ჩავთვალე. იგი რუსული ენის ლექტორია და ამავედროულად ზემოთ ნახსენები ბიბლიოთეკის თანამშრომელი. ცოტა ხნის წინ იგი ბიბლიოთეკის დირექტორთან, ბატონ სახელმწიფო მრჩეველ ფელინთან, ერთად ჩემთან იყო და გამოხატა თავისი კეთილგანწყობა, თავისი საქმიანობა ქართულის შესწავლას დაუკავშიროს. შემდგომი განვითარება საქმისა დამოკიდებული იქნება მასა და თქვენ შორის შესაძლო მიმონერაზე. იგი წლების განმავლობაში სამხედრო ტყვე იყო რუსეთში, ხოლო რუსულის ცოდნა ხომ წინასწარი პირობაა ყველა ჩვენი კავკასიური გეგმის განსახორციელებლად!

გთხოვთ, ამ საქმის შესახებ თქვენი შეხედულება მაცნობოთ.

თქვენ, მელიქიშვილს და სხვა მეგობრებს გულითადად მოგესალმებით

ჰუგო შუხართი.

კიდევ ერთი: საიდან იცით ასეთი კარგი გერმანული?"

№6

„6.III.927

თბილისი, ბარნოვის ქ., 52

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობამ თქვენს თბილისელ მეგობრებსა და პატივისცემლებს შორის დიდი წუხილი გამოიწვია. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მალე თქვენს ჩვეულებრივ საქმიანობას დაუბრუნდებით.

რაც შეეხება თქვენს წერილში (16.II.1927) წამოჭრილ კითხვას, მე სავსებით გეთანხმებით. კავკასიური ენათმეცნიერება, საზო-

¹⁹⁰ საქართველოში შუხართის ჩამოზრდასა და სავარაუდო თარიღისა და გუსტავ მაიერის შესახებ იხ. აქვე, გვ. 33-41.

გადოდ, მეცნიერული ინტერესების საფუძველზე, დაცვასა და ხელშეწყობას რომ საჭიროებს, აქ არანაკლებ ესმით, ვიდრე სადმე სხვაგან. მეტსაც ვიტყვოდი: ზოგადი ენათმეცნიერება, ისევე როგორც კულტურის ისტორია, ბევრს დაკარგავს, თუკი კავკასიურ ენებს ევროპის უნივერსიტეტებში იმ ადგილს არ მიუჩენენ, რასაც ისინი იმსახურებენ, თვით კავკასიური ენათმეცნიერება კი შეიძლება დაღუპვის საშიშროების წინაშე დადგეს.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ამ მიზნით ჩვენს უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა უნდა დამყარდეს. ჩვენ დიდი სიხარული მოგვგვარა იმან, რომ თქვენ მიერ ნახსენები დოქტორი გოში ქართული ენით სერიოზულადაა დაინტერესებული. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მზად ვართ, შეძლებისდაგვარად დახმარება გაგინიოთ. როგორც თქვენთვის კარგადაა ცნობილი, სპეციალისტი კარგად უნდა ერკვეოდეს არა მარტო ძველ, საშუალ და ახალ ქართულში, არამედ მათს მონათესავე ენებშიც, რაც დიდ დროსა და მონღომებას მოითხოვს, მით უფრო, რომ, ერთი მხრივ, ძველი და საშუალო ქართული ენის ძეგლები ხელნაწერებშია დაცული, მეორე მხრივ კი, ქართული დიალექტოლოგიის, ჭანურ-მეგრულისა და სვანურის კვლევა მხოლოდ ახლა იწყება.

არაქართველის მდგომარეობა იმიტაცაა მძიმე, რომ საჭირო დამხმარე საშუალებები (გრამატიკები და ლექსიკონი) გვაკლია. ჩვენ მეტად მოხარული ვიქნებით, თუკი დოქტორ გოშის სახით ახალ კოლეგას შევიძენთ¹⁹¹.

თუკი სხვა უნივერსიტეტებშიც გაჩნდა მსგავსი პერსპექტივა, აქ გამოიძებნება გერმანული ენის მცოდნე საჭირო სპეციალისტები. პროფ. მელიქიშვილი მაღლობას გიხდით მოკითხვისთვის და, თავის მხრივ, გულითადად მოგიკითხავთ.

იმის იმედით, რომ ჩემს წერილს უკვე გამოჯანმრთელებული მიიღებთ, დავუთები თქვენდამი საუკეთესო სურვილებით
თქვენი ერთგული

ა.შანიძე

P.S. ჩემი გერმანული სინამდვილეში არაა ისე კარგი, როგორც თქვენ გეჩვენებათ: ჩვეულებრივ, ჩემს წერილებს სხვას გადავუკითხებ ხოლმე. ჩემი ოთხთვიანი ყოფნის დროს კონენიგსბერგში 1910 წელს (ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების

¹⁹¹ ფრანც გოში (1884-1952) უნივერსიტეტში კლასიკურ ფილოლოგიას, არქეოლოგიასა და კულტურის ისტორიას სწავლობდა, შემდეგ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, 1933 წლიდან ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკას, ხოლო 1934 წელს ოფიციალურად დაინიშნა ბიბლიოთეკის დირექტორად. ფრანც გოში ბიბლიოთეკას 1945 წლამდე უძღვებოდა, სანამ პენსიაზე გავიდოდა.

შესწავლისას – მესამე სემესტრში) მე ვერ შევძელი გერმანულის ისე კარგად შესწავლა, რომ უშეცდომოდ ვწერო.

მალე გამოვა „უნივერსიტეტის მოამბის“ VII ტომი, რაც თქვენ აუცილებლად გამოგეგზავნებათ.

სხვათა შორის, ჩვენ არ გვაქვს ცნობა, მიიღეთ თუ არა უნივერსიტეტის გამოცემები, რაც ფილოლოგიას ეხება, რომლებიც მარშან ზაფხულში გამოგიგზავნეთ.

ა.შ.“

შუხართის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან მძიმდება. კარგა ხანია, წერილებს სხვებს აწერიწებს, რადგან ასოები თვითონ უკვე ვეღარ გამოჰყავს წესიერად, მაგრამ ამას ვერ ეგუება და უკანასკნელ ძალას იკრებს, რათა კალამი არ გააგდოს ხელიდან. ბოლო ორი ბარათი თვით მისი ხელითაა დაწერილი (თუკი „დაწერილს“ დავარქმევთ) და მეტისმეტად ძნელი გასაშიფრია. ცალკეული სიტყვების ამოკითხვა შეიძლება, მთლიანი ტექსტისა კი ძალზეჭირს.

№7

„გრაცი, მალვინას ვილა¹⁹²
 აღდგომა, 1927¹⁹³“

ძვირფასო და დიდად პატივცემულო კოლეგავ,

როგორც იქნა, ვახერხებ, რალაც მოგწეროთ დანვრილებით. რადგან გული მტკიოდა, რომ ჩემთვის ისეთი სიმპათიური და საინტერესო ენა, როგორც ქართულია, უნდა მიმეტოვებინა, უკანასკნელ დღეებში ჩემი ქალაქები გადავქექე და მათში ნაწილად „ცნობებს ქართული ხელნაწერებიდან“ (დიდი ფორმატის დაახლოებით 20-25 ფურცელზე¹⁹⁴), რომელიც, როგორც მოწმე ჩემი ინტერესისა, გუშინ დაზღვეული ბანდეროლით გამოგიგზავნეთ. მაგრამ ვერ შევძელი, რომ თავისთავად ეს პატარა ამოცანა კორექტულად და დამაკმაყოფილებლად შემესრულებინა – სამწუხაროდ, მე იძულებული ვარ, შევწყვიტო წერა. იმედია, თქვენ ხვდებით, რა არის ჩემთვის მთავარი: მე ვგულისხმობ დაგვიანებულ სამადლობელ სიტყვებს...

გულითადად მოგიკითხავთ თქვენ და თქვენს მეგობრებს

ჰ.შუხართი“.

¹⁹² მალვინა შუხართის დედას ერქვა, რომლის პატივსაცემადაც იმ სახლს, სადაც შუხართმა უკანასკნელი 20 წელი გაატარა, დედის სახელი უწოდა.

¹⁹³ 1927 წელს აღდგომა ავსტრიაში 17 აპრილს მოდიოდა.

¹⁹⁴ ხელნაწერი, მართლაც, ცალ გვერდზე ნაწერ დიდი ზომის 25 ფურცელს შეიცავს. ბოლოში, ეტიკობა, სიკვდილის წინა დღეებში შუხართს აკანკალებული ხელით, შავი მელნით, მიუწერია (ზუნებრივია, გერმანულად): „გრაცი, 18... დაუმთავრებელია. ჰ.შუხართი“.

ესაა ღია ბარათი. ტექსტი უკანა მხარეს წერია, წინაზე კი ადრესი და ა.შანიძის შენიშვნაა მიწერილი: „ეს უკანასკნელი წერილი უნდა იყოს, გამოგზავნილი 19.IV.927“.

ბარათზე შემორჩენილი საფოსტო დამლებიდან ჩანს, რომ იგი კიევში 22 აპრილს ჩასულა, თბილისში კი – 28 აპრილს. შუხართი ამ დროს უკვე აღარ ურევია ცოცხლებში – იგი 21 აპრილს გარდაიცვალა, თუმცა გონება ორი დღით ადრე, 19 აპრილს, დაკარგა და შემდეგ ცნობიერება არც დაჰბრუნებია. ამიტომ შეიძლება საეჭვო იყოს ამ ბარათის დაწერის თარიღი (ბარათზე არის დამლა: „გრაცი. 19.IV.27“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ იგი მაინცდამაინც 19 აპრილს დაიწერა: ხომ შესაძლებელია, იგი წინა დღეს იყოს დაწერილი?!). ერთი კი ცნობილია: სწორედ 19 აპრილს დაწერა მან უკანასკნელი წერილი – პატარა ბარათი – ერთი თავისი ახლობლის მიმართ, რომლის უკანასკნელი ფრაზაა: „ჩემი ინტერესები კვლავ ძველებურიაო“. იმედი ჰქონდა... მაგრამ ორი საათის შემდეგ აზროვნების უნარი წაერთვა. ასეა თუ ისე, თავისი ნაყოფიერი მეცნიერული ცხოვრების უკანასკნელი ფიქრები, ჩანს, მაინც ქართულს დასტრიალებდა. ერთი სიტყვით, ა.შანიძისადმი გამოგზავნილი ეს ბარათი ჰუგო შუხართის მიერ დაწერილი ერთერთი ბოლო ბარათია, თუ საერთოდ უკანასკნელი არა:

„ბატონ პროფესორ ა.შანიძეს

უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ძვირფასო კოლეგავ,

ათასჯერ გიხდით ბოდიშს იმის გამო, რომ ამ დღეებში გამოგზავნილი წერილი დაუსრულებელი იყო, თანაც რანაირი ხელით ნაწერი! როცა გამოკვლევა გამოგზავნე, საჭიროდ ჩავთვალე, მისთვის განმარტება დამერთო, თანაც, რაც შეიძლება ჩქარა, რათა ნაწერისთვის მცდარი ინტერპრეტაცია არ მიგეცათ. შეგიძლიათ, ეს ხელნაწერი გააკრიტიკოთ, როგორც გნებავთ და როგორც საჭიროდ ჩათვლით, ისე გამოიყენოთ. მინდა დავძინო, რომ, თუკი თქვენ არა გაქვთ ხელთ დადასტურება თბილისის უნივერსიტეტის გამოცემების მიღებისა გრაცში, აქ, უბრალოდ, რალაც გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე. მე, რა თქმა უნდა, უკვე დაგიდასტურეთ „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ I–VI ტომებისა და სხვა გამოცემების მიღება. მაგრამ ისინი ზაფხულში ჯერ კიდევ არ მქონდა მიღებული.

გულითადი მოკითხვით

თქვენი ჰ.შუხართი“.

დასასრულ, მინდა, ჰუგო შუხართის არქივში დაცული ერთი დეპეშაც მოვიხსენიო, რომელიც არქივის ქალაღებში აკაკი შანიძეს

მიენერება. ჰუგო შუხართი 1842 წლის 4 თებერვალს არის დაბადებული. 1927 წლის 3 თებერვალს მას თბილისიდან მისდის მისალოცი დეპეშა:

„გრაცი, პროფესორ ჰუგო შუხართს¹⁹⁵

გულითადი სურვილები 85-ე დაბადების დღისთვის თქვენი თბილისელი მეგობრებისა და თაყვანისმცემლებისაგან.

მელიქიშვილი, ჯანაშვილი, ჯავახიშვილი, შანიძე, ახვლედიანი, ყაუხჩიშვილი, თოფურია, ჩიქობავა“.

ამ დროს თბილისის უნივერსიტეტის რექტორია თედო ლლონტი (IX.1926-IX.1928). იგი დეპეშას არ აწერს ხელს, შუხართს მართლა მეგობრები და კოლეგები ულოცავენ. ამ სიაში პირველი პეტრე მელიქიშვილია, როგორც მისი ყველაზე ახლო მეგობარი, ვინც პირველმა გაავარჯიშა შუხართი ქართულში და პრაქტიკულად ეხმარებოდა ქართულის შესწავლაში ხანგრძლივი მივლინების დროს გრაცში. ამიტომ იყო, რომ შუხართისთვის სხვადასხვა დროს საქართველოდან გაგზავნილი მისალოცი ბარათების ხელმომწერთა სიას სათავეში ყოველთვის მელიქიშვილი ედგა. მართალია, აკაკი შანიძე სიის შუაშია მოქცეული, მაგრამ ამას ყურადღებას ნუ მივამჩნევთ. ვფიქრობ, დეპეშის შემდგენელი და გაგზავნის ინიციატორი სწორედ აკაკი შანიძე უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ XX საუკუნის პირველ წლებში საქართველოდან შუხართისათვის გაგზავნილი წერილების ინტენსივობა შემცირდა, ხოლო 1912 წელს ლეო ლოპატინსკის მიერ გაგზავნილი მონვევა საქართველოში, ვფიქრობ, სულაც, უკანასკნელი იყო (მანამდე 1906 წელს მოსე ჯანაშვილისა და 1909 წელს ალექსანდრე ბეშკენაძის წერილებით, ფაქტობრივად, დასრულდა ქართველი კოლეგების მიმონერა შუხართთან). აკი გაუკვირდა ჰუგო შუხართს აკაკი შანიძის შეხმთანება 1926 წელს: „უკვე კარგა ხანია, არაფერი მსმენია კავკასიის შესახებო“. ამდენად, 1912 წლის შემდეგ, ეტყობა, სწორედ აკაკი შანიძემ დაარღვია 14-წლიანი დუმილი და ჰუგო შუხართს შეახსენა ქართული. მცხოვანი მეცნიერი თბილისში სხვებს, ჩანს, უკვე აღარ ახსოვდათ. აკაკი შანიძე იყო ერთადერთი ქართველი (ჰუგო შუხართის არქივის მასალების მიხედვით), ვისაც შუხართთან XX საუკუნის 20-იან წლებში ურთიერთობა ჰქონდა, სწორედ ამიტომ იყო, რომ თავისი დაუმთავრებელი გამოკვლევა სიკვდილის წინ შუხართმა მაინცდამაინც აკაკი შანიძეს გამოუგზავნა თბილისში, მას ანდო. ეს მაფიქრებინებს, რომ ხსენებული დეპეშა სწორედ აკაკი შანიძის შედგენილია. სხვა გვარები, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, უბრალოდ, მიანერეს.

¹⁹⁵ მისამართი არ არის საჭირო: ჰუგო შუხართი გრაცში ცნობილი პიროვნებაა, ფოსტის მუშაკებს მისთვის დეპეშის მიწვდენა არ გაუჭირდებათ.

მიუნხენის, პარიზისა და ჟენევის ქართველობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი ქართველი ცნობილი მოღვაწე თუ სრულიად უცნობი ახალგაზრდა გამოჩნდა ევროპის დიდ ქალაქებში. საზოგადო მოღვაწეებსა თუ მრეწველებს სხვადასხვა ხასიათის საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი, ახალგაზრდები კი, უპირატესად, ევროპის ცნობილ უნივერსიტეტებში ცდილობდნენ ცოდნის გაღრმავებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გერმანიის იმპერიის უნივერსიტეტები იყო მოდაში (ბერლინი, მიუნხენი, ჰაიდელბერგი, კონიგსბერგი...). სხვადასხვა ქალაქში გაფანტული ქართველები თითქმის ერთნაირად იქცეოდნენ: ქმნიდნენ მცირერიცხოვან ჯგუფებს და ცდილობდნენ, ქართული წესი და ზნეობა შეენარჩუნებინათ, ქართული საქმეც ეკეთებინათ და არც იმ ქვეყნის ცხოვრებას ყოფილიყვნენ მონყვეტილები, მეცნიერების გარდა მათს ყოფასა და კულტურას გასცნობოდნენ, სადაც პატარა ქართული კოლონია შექმნეს და საქმიანობდნენ. უმეტესობა მწირი სტიპენდიის იმედად იყო, ამიტომ დიდ საქმეს ვერ ეჭიდებოდნენ. მაინც, შეძლებისდაგვარად, ცდილობდნენ, ისეთი დამფინანსებლები ეპოვათ, ძირითადად, საქართველოში, რომლებიც არ დაიზარებდნენ, სამშობლოს მონყვეტილი ახალგაზრდებისათვის კეთილ საქმეებში ხელი გაემართათ. თუკი ერთი-ორი მაინც გამოეხმაურებოდა მათს არაერთგზის თხოვნას, ესეც საქმე იყო. ამჟამად მინდა, რამდენიმე ამგვარი წრის საქმიანობის ზოგიერთი მხარის შესახებ მოგითხროთ.

1902 წლის დასაწყისში ბავარიის დედაქალაქ მიუნხენში ქართველმა სტუდენტებმა მცირერიცხოვანი წრე ჩამოაყალიბეს. სხვადასხვა პროფესიისანი იყვნენ, მაგრამ გული კი ერთნაირი, ქართული, ჰქონდათ. ალპების ძირშიც ვერ ივინყებდნენ თავიანთ სამშობლოს. კარგი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს, მოსამზადებელი სამუშაოც ჩაატარეს, ახლა ფული უნდა ეშოვათ რამენაირად. ამაზე იყო დამოკიდებული მათ მიერ ჩაფიქრებული საქმის წარმატება. მარტის დასაწყისში წრის გამგეობამ წერილი გაუგზავნა ცნობილ მეცნიერს, პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს, რომელიც იმხანად მოსკოვში მოღვაწეობდა (ქვემოთ ყველგან დაცულია წერილების სტილი):

„III. 1902
 ქ.მიუნხენი

ბატონო ალექსანდრე!

საზღვარ-გარეთ მყოფ ქართველებთან შეთანხმებით მიუნ-

ხენში დაარსდა წრე, რომელსაც მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხში თვითცნობიერების ამაღლებას. თავისი წადილის განხორციელების გზაზე ის აპირობს ეხლავე შემდეგს: ა) დაასურათოს ჩვენი მწერლების საუკეთესო თხზულებები და ბ) დაბეჭდოს ღია ბარათებზე (ფოსტის) ჩვენი მწერლები, მსახიობები, სხვა და სხვა მოღვაწეები, ძველი ნაშთები, შესანიშნავი ადგილები, როგორც ბუნების მხრით, ისე ისტორიულათაც.

წრეს დამზადებული აქვს აუარებელი მასალა, მარა ხელმოკლეობის გამო არ ძალუძს თავისი მიზნის განხორციელება; ამის გამო ის იძულებულია მიმართოს ჩვენი ხალხის ყველა გულშემატკივართ; მით მეტი სითამამით მოგმართავს თქვენ, რომ თქვენი ამ ნიადაგზე მოღვაწეობა ცნობილია ყველასთვის. ამის გამო ის დარწმუნებულია, რომ თქვენ წრფელი თანაგრძნობით გაამხნევეთ ახლათ დაარსებულ წრეს და ნივთიერი დახმარებით გაახორციელებიებთ ამ წმინდა საქმეს.

ამის ცოტათ თუ ბევრათ განხორციელებას სჭირდება პირველ ხანებში არა ნაკლებ 500 მან.: ამ ფულით წრეს შეეძლება გამოსცეს 50.000 ცალი ღია დასურათებული ბარათი.

წრემ დაადგინა, რაც შეიძლება იაფათ გამოუშვას ბარათები და სულ მოკლე ხანში; ეს კი დამოკიდებულია, როგორც პირადათ თქვენზე, ისე იმ პირებზედაც, რომელთაც მან მიმართა ამგვარი წინადადებით.

წრე უმორჩილესად გთხოვს თქვენ ნაცნობებსაც აუწყოთ მისი მიზანი და იმათაც აღმოაჩენიოთ შეძლებისდაგვარათ დახმარება.

ყოველ შემოწირულებას წრე აცნობებს საზოგადოებას გაზეთების საშუალებით, აგრეთვე ხარჯსაც დანვრილებით. აქედან აშკარაა, რომ ყოველი მისი ნაბიჯს საზოგადოება ადვილათ ადევნებს თვალყურს.

გამგეობა.

ადრესი: München (Германия)

Georgenstr. 62/III

Herrn Taras Momzelidse“.

17 მარტს (საქართველოში ამ დროს 4 მარტია) წრის გამგეობამ თბილისში მსგავსი წერილი გაუგზავნა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილების შინაარსი თითქმის იდენტურია, რაკი მათ შორის მაინც არის სხვაობა, მასაც უცვლელად მოვიყვან:

„ბატონო იაკობ!

საზღვარ-გარეთ მყოფ ქართველებთან შეთანხმებით მიუხენში დაარსდა წრე: წრეს მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს ჩვენ ხალხში

თვითცნობიერების ამალელებას. თავის წადილის თან-და-თანი განხორციელების გზაზე ის აპირობს ეხლავე შემდეგს: ა) დაასურათოს ჩვენი მწერლობის საუკეთესო თხზულებები და ბ) დაბეჭდოს ღია ბარათებზე ჩვენი მწერლები, მსახიობები, სხვა და სხვა მოღვაწეები, ძველი ნაშთები, შესანიშნავი ადგილები, როგორც ბუნების მხრით, ისე ისტორიულათაც.

ამ წრეს დამზადებული აქვს აუარებელი მასალა, ხელმოკლეობის გამო არ ძალუძს თავისი მიზნის განხორციელება. ამის გამო იძულებულია მიმართოს ჩვენი ხალხის ყველა გულშემატკივართ; მით უფრო თამამათ მოგმართავს თქვენ, ბატონო იაკობ, რომ მისი მიზანი თქვენი მოღვაწეობის საფუძვლათ გაქვთ დადებული. ამიტომ ის დარწმუნებულია, რომ თქვენ წრფელი თანაგრძნობით გაამხნევებთ ახლათ დაარსებულ წრეს და ნივთიერი დახმარებით გაახორციელებით ამ წმინდა საქმეს.

ამ საქმის ცოტათ თუ ბევრათ განხორციელებას სჭირდება პირველ ხანებში არა ნაკლები 500 მან.: ამ თანხით წრეს შეეძლება გამოსცეს 50.000 ცალი ღია დასურათებული ბარათი.

წრეს დადგენილი აქვს რაც შეიძლება იაფათ გამოუშვას ბარათები; ამის სისრულეში მოყვანა მას სურს სულ მოკლე ხანში; ეს კი დამოკიდებულია, როგორც პირადათ თქვენზე, ისე იმ პირებზე, რომელთაც მან მიმართა ამგვარი თხოვნით.

წრე უმორჩილესად გთხოვს, ბატონო იაკობ, თქვენ ნაცნობებსაც აუწყოთ მისი მიზანი და იმათაც აღმოაჩინოთ დახმარება.

ყოველგვარ შემონირულებას წრე აცნობებს საზოგადოებას; ასე რომ ყოველი მისი ნაბიჯს საზოგადოება ადვილათ ადევნებს თვალყურს.

გამგეობა.

ადრესი: München (Германия)

Georgenstrasse 62/III

An Herrn Taras Momzelidse

მიუნხენი, 17/4 მარტი, 1902 წ."

წრის წევრები მხოლოდ საქართველოში როდი აგზავნიდნენ წერილებს. რამდენიმე დღის შემდეგ მათ ავსტრიაშიც, კერძოდ გრაცში, გაგზავნეს ღია ბარათი. ადრესატი ჰუგო შუარტი იყო. მართალია, მიუნხენელი ქართველები პროფესორ შუხართს შემწეობას არ სთხოვენ, მაგრამ თავიანთი საქმიანობის შესახებ აცნობებენ ქართველების მიმართ კეთილგანწყობილ მკვლევარს. რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც ჰუგო შუხართი, ვისაც, შეიძლება ითქვას, უცხოელთაგან ყველაზე ადრე გააცნეს თავიანთი ნაღვანის (ვგულისხმობ აკაკის ნაბეჭდ სურათს – ამაზე ქვემოთ) პირველი ნიმუში?

საქმე ისაა, მიუნხენში XIX საუკუნის მიწურულს ცხოვრობდ-

ნენ ნოე ყორდანია და ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომლებთანაც შუხართს მიმონერა ჰქონდა და რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ სახელოვანი მეცნიერის გავლენასა და დამოკიდებულებას ქართველებისა და მათი ენის მიმართ. საფიქრებელია, რომ სწორედ მათგან იცოდნენ მიუნხენში დარჩენილმა ქართველებმა ჰუგო შუხართის პიროვნებისა და დამსახურების შესახებ. ასეა თუ ისე, 1902 წლის 25 მარტს ჰუგო შუხართმა გრაცში მიიღო ღია ბარათი, თეთრი ფერისა, რომელზეც აკაკი ნერეთლის ცნობილი სურათია დაბეჭდილი. ჭალარა პოეტი, იდაყვზე თავდაყრდნობილი, იცქირება ჩვენკენ. ესაა ამჟამად ძალზე პოპულარული სურათი პოეტისა, რომელიც წარმოადგენს ზაქარია ჭიჭინაძესთან გადაღებული ფოტოს ნაწილს (თავდაპირველ ფოტოს ნახევარი ჩამოჭრილი აქვს). სურათს ქვეშ აწერია „აკაკი“, ხოლო იქვე მისივე ლექსის სტრიქონებია:

„არა!...აჰყვავდეს იმედი!
 გულს ვერ გამიტეხს ჭალარა,
 გმირებს დაეძებს... უყივის
 ჩემი დაფი და ნალარა!“

ქვეშ კი მიწერილია:

„მონყალეო ხელმწიფე!“

მიუნხენის ქართველობა გითვლის უღრმეს მადლობას თქვენი მოღვაწეობისათვის ჩვენი ხალხისათვის და გისურვებს ყოველივე სიკეთეს მრავალ წელს. ეს სურათი ჩვენი გამოცემულია“.

ღია ბარათის კიდებზე წერია:

„აქაურმა ქართველებმა დააარსეს წრე. წრეს მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს ჩვენ ხალხში თვითცნობიერების ამაღლებას, ამიტომ იმან განიზრახა დაბეჭდოს ღია ბარათზე ჩვენი მწერლები და მოღვაწეები. აქაური ქართველების მონდობილობით

ტარასი მომცელიძე.

ვაშა! პატიოსანო მოხუცო.

გამგეობის ადრესი: An Herrn Taras Momzelidse
 München, Georgenstrasse 62/III“.

როგორც ჩანს, შუხართმა მაშინვე მისწერა საპასუხო წერილი მიუნხენში, რაზეც მას კვლავ მიუვიდა იქიდან ბარათი. რაკილა ეს წერილი ფარდას ხდის იმ საკითხს, თუ ვინ არიან „მიუნხენის ქართველობის“ წევრები, საჭიროდ მიმაჩნია ამ წერილის გამომზეურებაც;

„ბატონო ჰუგო!

მიუნხენის ქართველობა ბოდიშს იხთის თქვენ წინაშე პასუხის დაგვიანების გამო. თქვენმა საპასუხო წერილმა ის აღტაცებაში მოიყვანა. იმ თანაგრძნობის და ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ

იჩენთ საქართველოს ხალხისადმი, ჩვენ გიძღვნით გულითად მადლობას მისი სახელით. ჩვენ სიამოვნებით ვიღებთ ჩვენ თავზე დაუყოვნებლივ გიპასუხობთ თქვენ მიერ წამოყენებულ კითხვაზე.

თქვენ გაინტერესებთ მიუნხენის ქართველები; აი, იმათი გვარები: ტარასი მომცელიძე – მხატვარი (სწავლობს აკადემიაში); პარმენ კახიანი, პლატონ მოდებაძე და ირაკლი მჭედლიშვილი (სწავლობენ პოლიტექნიკუმში), რაჟდენ დათეშიძე (სწავლობს ლუდის გამობხთას – Brauerei). ფილიპე გოგიჩაიშვილის ადრესი შემდეგია: ტფილისი, „კვალის“ რედაქცია.

თქვენ მიერ ამოწერილი წინადადება „მოამბიდან“ ნიშნავს შემდეგს:

„Im ganzen Heer war nicht so ein junger Polkownik, wie der Meipher“
ამ წინადადებაში „არ მოიძებნებოდა“ „არ იყო“-ს ნიშნავს.
გისურვებთ ყველაფერ კარგს.

მიუნხენის ქართველობა.

8 აპრილს 1902“.

წერილის ბოლოს მოხსენიებული წინადადების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: შუხართს კარგად ვერ გაუგია „მოამბეში“ ამოკითხული წინადადება: „მთელ ჯარში არ მოიძებნებოდა მაიფერზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი!“ (უფრო სწორად, შუხართს ანუხებდა კითხვა: ხომ არ აჯობებდა არ მოიძებნებოდას ნაცვლად ვერ მოიძებნებოდა ყოფილიყო ფრაზაში), ამიტომ მან თხოვნით მიმართა მიუნხენში მცხოვრებ ქართველებს, აეხსნათ მისთვის აღნიშნული წინადადების ნიუანსი.

ამასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა ითქვას შემდეგი: როგორც კი შუხართმა მიუნხენელი ქართველებისაგან ფილიპე გოგიჩაიშვილის ადრესი გაიგო, ჩანს, არ დააყოვნა და ამ უკანასკნელს თბილისში იგივე სათხოვარი გაუგზავნა – აეხსნა მისთვის ზემოაღნიშნული წინადადების შინაარსი. უნდა აღინიშნოს, რომ ფილიპე გოგიჩაიშვილთან შუხართს კარგი ნაცნობობა ჰქონდა და მათ რამდენიმე წლის განმავლობაში ინტენსიური მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. ფილიპე გოგიჩაიშვილმა ამ საკითხზე ვრცელი განმარტებებით 1902 წლის 7 მაისს საპასუხო წერილი აახლა უფროს კოლეგას.

ახლა კი კვლავ იაკობ გოგებაშვილს მივუბრუნდეთ. მსგავსი ხასიათის წერილები მას მრავლად მოსდიოდა. სამაგალითოდ შეიძლება ორი მათგანი წარმოვადგინოთ. ჯერ „პარიზელ ქართველთა საზოგადოების“ წერილი ვნახოთ:

“SOCIETE GEORGIENE DE PARIS

პარიზი 20.I. 1908

ღრმად პატივცემულო ბატონო იაკობ,

პარიზში ქართველობის რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა: თუ გასულ სასწავლო წლის დამდეგს სამი ოთხი კაცი ობლათ ბინადრობდა, დღეს აქ სამოცამდე ქალი და კაცი ითვლება. საფუძვლიანათ ვფიქრობთ, რომ მომავალშიაც ეს სასურველი ემიგრაცია ჩვენი სტუდენტობისა საზოგადოთ საზღვარს-გარეთ და კერძოდ პარიზში, ეს მათი ხარბი დანაფება ევროპიულს განათლებაზე, კიდევ უფრო იმატებს. ეს სახარბიელო ზრდა ჩვენი მოსწავლეთა უცხოეთში, ბუნებრივია, განამტკიცებს პირდაპირს, სულიერ კავშირს ჩვენს სამშობლოსა და ევროპას შორის სწავლა-განათლების სფერაში. ამ რიგათ პირდაპირ, უშუამავლოთ გაიდება ხიდი აზროვნულ-გონებრივ ალებშიცემობაში ევროპასთან; ამ გზით ჩაიყრება ჩვენი სამშობლო ნიადაგში ევროპის სწავლა-მეცნიერების ცხოველმყოფელი თესლი. ყოველი ქართველი, ვისაც გული შესტკივა თავის სამშობლოს კულტურულ დაწინაურებაზე, უნდა ხალისით მიესალმოს ამ სასურველ მოვლენას და ჯანსაღი გონივრული ანგარიში გაუწიოს მას. ამრიგად, ფაკტი სანატრელი სწარმოებს, იგი თანდათანობითი ზრდაშია; საჭიროა მხოლოდ მისი კარგათ გამოყენება, საჭიროა და გონიერებაც მოითხოვს ამ ფაკტიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლიანობა გამოიწუროს. ამისთვის კი იბადება გადაუდებელი საჭიროება შემაერთებელი ორგანიზაციის შექმნისა. იბადება საჭიროება ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამის გასათვალისწინებლათ და მისთვის პასუხის გასაცემათ ქართულ საზოგადოების მოწყობისა უცხოეთში. პარიზში მყოფ ქართველებმა სწორედ ამ თვალთ შეხედეს საგანს და დაიარსეს ერთი მთლიანი საზოგადოება, რაც, მოკლეთ, გამოიწვია:

1. სხვადასხვა საერთო მოთხოვნილებათა გასაძლოლათ პარიზის ქართველობის ერთად შეყრის, შეჯგუფვის საჭიროებამ.
2. ჩვენი სამშობლოს სულიერი ცხოვრება-ვითარებასთან მუდმივ მონაწილეობასა და ურთიერთობაში ყოფნის აუცილებელ საჭიროების შეგნებამ.
3. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის საფრანგეთის დაწესებულებათა გასაცნობათ მუდმივი ხასიათის ორგანიზაციის არსებობის აუცილებელ საჭიროებამ, და
4. იმ, უმთავრესად, მოსაზრებამ, რომ აქ მომუშავე ქართველს ხელთ ქონდეს მისი ერის სულიერი ნაცხოვრის ავლადიდება საჭირო მუშაობის წარსამართავათ.

პრაკტიკულად, ყველა ეს გამოიხატება სამკითხველო-ბიბლიოთეკის დაარსებაში, ქართულისა და სხვა გაზეთების დაბარებაში. უმთავრესად ქართულისა და საქართველოს შესახებ უცხო ენებზე დაწერილი წიგნების შექმნაში, რეფერატების კითხვაში, ქართველე-

ბის ვინაობისა და რაობის პროპაგანდაში და საურთიერთო მატერიალურ დახმარებაში.

პარიზის ქართ. საზ. გამგეობა გაუწყებთ რა ქართულ საზოგადოების დაარსებას ზემოაღნიშნულ საფუძველზე, გთხოვსთ, როგორც გამორჩენილ ქართველ მოღვაწეს და ჩვენი ეროვნების ფხიზელ დარაჯს მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღოთ ჩვენი საზოგადოების ნივთიერ გაძლიერების საქმეში დასახულ მისწრაფებათა მისაღწევათ.

საზოგად. გამგეობის მინდობილობით

გამგეობის წევრი სპ.ჯეიდიძე (გვარი გაურკვეველია - ვ.ი.)

ადრესი: Mr. Gvelessiani

6, Rue Tournefort

Paris“.

ახლა შენევიდან გამოგზავნილი წერილს გავეცნოთ:

„დიდათ პატივცემულო და ღირსეულო მამულიშვილო!

ეს რამდენიმე თვეა, შენევაში დაარსდა „ქართველ სტუდენტთა ეროვნული ჯგუფი“, რომლის წევრები არიან გაერთიანებული განუსაზღვრელი სიყვარულით სამშობლოსადმი; ამიტომ ერთი და უმთავრესი მიზანი ამ ჯგუფის არის საქართველოს წასულ და აწმყოს შესწავლის საშვალეობით მოამზადოს სამშობლოსათვის მომუშავე ინტელიგენცია. მუშაობა უკვე დაიწყო, მაგრამ მის წაყოფიერებას აფერხებს წიგნთ-საცავის სიღარიბე, რომელიც ძლიერ საჭიროებს შევსებას; რადგანაც თვითონ ჯგუფს არ ძალუძს ამის მოწესრიგება სიღარიბის გამო, ამიტომ მან დაავალა თავის გამგეობას მიმართოს საქართველოში თქვენისთანა პატივცემულ პირებს დახმარების აღმოსაჩენათ. მოგმართავთ რა თქვენ ამგვარ თხოვნით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს იდეა მოიპოვებს თქვენში, როგორც ნამდვილ ქართველ ადამიანში ჯეროვან მფარველს და მექომავებს. ყოველნაირი დახმარება, როგორც ფულით, ისე წიგნებით დიდის მადლობით მიიღება.

თქვენი მარად პატივისცემელნი შენევის „ქართველ სტუდენტთა ეროვნული ჯგუფის“ გამგეობა

ლ.მელაძე

ი.რუხაძე

ვ.ციციშვილი

5 გიორგობისთვე 1911 წელი

ქ.შენევა

Genève - Suisse, Carl-Vogt №39

Cher M-me Rosset-Deruaz pour

Mr Cickieff“.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველმა სტუდენტებმა თავიანთი გაერთიანება შენივევაში მხოლოდ 1911 წლისთვის შექმნეს. ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინ, 1886 წლის მიწურულისთვის, შენიველმა ქართველმა სტუდენტებმა ქართული წიგნებით მომარგება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და ცნობილ ქველმოქმედს, გიორგი ქართველიშვილს¹⁶, სთხოვეს. თბილისში გულთან ახლოს მიიტანეს სტუდენტების თხოვნა და 1887 წლის იანვარში წერა-კითხვის საზოგადოებამ შეიქმარიაში 37 დასახელების წიგნი გაგზავნა:

„თანახმად მმართველობის განჩინებისა გეგზავნებათ თვითო ცალი ქვემოსხენებული წიგნები:

- 1) საქ. ისტორია, ვახუშტის, გამოც. 1885
- 2) ქილილა და დამანა, ვახტანგის გამოც. 1886
- 3) წითელი ფარანი, 1881
- 4) ვისრამიანი, 1884
- 5) მოძღვარი, ყაზბეგისა, 1885
- 6) განკიცხული, მისივე, 1884
- 7) საქართველოს მოკლე ისტორია, მ.ჯანაშვილისა, 1884
- 8) პონტოს მეფე მითრიდატ დიდი, დ.ბაქრაძისა, 1880
- 9) საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე, მისივე, 1880
- 10) მირიან მეფე და ნმ. წინო, მისივე, 1880
- 11) იგავ-არაკნი, თ. რ.ერისთავისა, 1881
- 12) ბაგრატ IV, დ.ბაქრაძისა, 1880
- 13) არითმეტიკული გამოცანები, დიდებულისა, 1880
- 14) რობინზონ კრუზო, დეფოსი, 1886
- 15) ლექსნი, ნ.ბარათაშვილისა, 1879
- 16) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, ლ.არდაზიანისა, 1878
- 17) დედა და შვილი, ი.ჭავჭავაძისა, 1884
- 18) თხზულებანი, რ.ერისთავისა, 1882
- 19) ლოცვები, ლ.ტურიაშვილისა, 1881
- 20) თამარ ბატონიშვილი, გრ.რჩეულოვისა, 1881
- 21) ქართული გამოცანები, შეკრებილი თ. რაფ.ერისთავის, 1879
- 22) არსენას ლექსი, 1881
- 23) სურამის ციხე, დ.ჭონქაძის, 1879
- 24) დავითიანი, დ.გურამიშვილის, 1881
- 25) დარიგება მასწავლებელთათვის, 1872
- 26) გლოვა ირაკლი მეორისა, 1877, სოლომონ მსაჯულისა

¹⁶ გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი (1827-1901) იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. სხვათა შორის, მისი ხარჯით გამოიცა ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ (1885) და „ვეფხისტყაოსანი“ ზიჩის ილუსტრაციებით (1888), 1883-85 წლებში კი იგი გაზ. „დროების“ გამომცემელი იყო.

- 27) ამბები ყრმათათვის, ანთ.ჯუღელისა, 1880
- 28) დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქრ.მამაცაშვილისა, 1881
- 29) წიგნი სიბრძნე სიცრუისა, სულხან-საბა ორბელ., 1881
- 30) თვალსაჩინო სწავლა, მიხ.ჭიჭინაძისა, 1878
- 31) ბანჯგვლიანი ფუტკარი, აღ.აბაზაძისა, 1879
- 32) არითმეტიკული გამოცანები, ივ.როსტომაშვილისა, 1876
- 33) ქართული ანდაზები, 1876
- 34) ზაფხული, ანთ. ჯუღელისა, 1881
- 35) ალი, ნ.ლომოურისა, 1883
- 36) პატარა ბიბლიოთეკა, გოგებაშვილის რედაქციით, 1878
- 37) ხატაური, თარგმ. ანასტ.თუმანიშვილისა, 1881

ამ წიგნებიდან ისტორია ვახუშტისა და მ.ჯანაშვილისა არის გამოგზავნილი თვით გამომცემლის გიორგი დავითის ძის ქართველი-შვილისგან, რომლის სახელზეც იყო წერილი შენეველ სტუდენტ-თაგან.

24 იანვ. 1887¹⁹⁷

ორი თვის შემდეგ შენევიდან საპასუხო წერილი მოდის:

„შენევი,
1887, 29(17) აპრილი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოებას“

საზოგადოებისაგან გამოგზავნილი (37) ოცდაჩვიდმეტი წიგნი მივიღეთ და მასთან წერილი.

თანახმად შენევეში მყოფი ქართველთ სტუდენტთ თხოვნისა, დიდს მადლობას მოგახსენებთ.

თეოდოტი სახოკია¹⁹⁷.

P.S. სრული იმედი გვაქვს, პატივცემული საზოგადოება შემდეგაც არ დაგვიწყნებს“.

იაკობ გოგებაშვილიცა და ალექსანდრე ხახანაშვილიც, შეძლებისდაგვარად, ხელს უმართავდნენ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს და არც სასარგებლო რჩევა-დარიგებას იშურებდნენ მათთვის. რაც შეეხება ჰუგო შუხარტს, როგორც ჩანს, მიუნხენელმა ქართველებმა ვერ შეჰბედეს სახელოვან მკვლევარს, ხელმოკლე სტუდენტთათვის პატრიოტულ წამოწყებაში მატერიალური შემწეობის აღმოჩენა ეთხოვათ, და მხოლოდ თავიანთი გეგმების გაცნობას დასჯერდნენ.

ერთსაც დავამატებდი: ზემოთ დასახელებული პირებიდან,

¹⁹⁷ თედო სახოკია (1868-1956) – ცნობილი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. იმხანად (1886 წლიდან) შენევის უნივერსიტეტის სტუდენტი.

თედო სახოკიას გარდა, თავი შემდგომ დიდად არავის გამოუჩენია. ერთადერთი, ვის კვალსაც მივაკვლიე, რაჟღერ დათეშიძეა, რომელიც, როგორც ზემოთ იყო, მითითებული, მიუნხენში ლუდის გამომხდას სწავლობდა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სწორედ იმ ხანებში მისგან ი.გოგებაშვილისადმი გამოგზავნილი წერილი:

„მიუნხენი, 16/VIII 02 წ.

მონყალეო ხელმწიფე!

კი მართალია არ გიცნობთ პირადათ, მარა თქვენი მოღვაწეობა ჩვენ სალიტერატურო-საისტორიო ასპარეზზე, მაძლევს მე ნებას მოგმართოთ შემდეგი თხოვნით:

როგორც „ივერიის“ 157 №-ში ამოიკითხავდით მე, რაჟღერ დათეშიძეს, აქაური ლუდის ხდის აკადემიის საბჭომ დამინიშნა საეგზამენიო შრომათ „ლუდის ხდა ოსეთში და ფშავ-ხევსურეთში“. იმედი მაქვს ჩვენი საზოგადოება ჩემ კითხვებზე გასცემს პასუხს და ამითი შევასრულებ ჩემ შრომას, მარა მე მინდა მოვათავსო ჩემ შრომაში მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული წინასიტყვაობა ოსებისა და ფშავ-ხევსურების შესახებ. აგრეთვე მათი ზნე და ჩვეულებები. უკაცრავათ კი ვარ, რომ ქართულ ენაში ვკოჭლობ, მარა უნდა მიიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ მე აგერ შვიდი წელიწადია, რაც ჩემ სამშობლოს მოშორებული ვარ: ხუთი წელიწადი ხარკოვში (კომერციულ სასწავლებელში) და ორი სამზღვარ გარეთ. გითხრათ მართალი, ახლა შეუდეგი ქართული ენის შესწავლას“.

იქნებ მოიპოვება წიგნი ან ქართულ ანდა რუსულ ენაზე სადაც ჩემი თხოვნის შესახებ რამე ეწეროს. თუ არის, გთხოვთ მაცნობოთ და გამოვიწერ.

იმედი მაქვს აღმომიჩინთ დახმარებას

პატივისცემით რ.დათეშიძე

Германия

An Herrn Rajden Dateschidze

München, Augustenstrasse 103/II“.

დაბეჯითებით არ შემიძლია თქმა, მაგრამ „პარიზელ ქართველთა საზოგადოების“ ადრესზე მითითებული გველესიანი შეიძლება იყოს გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (1870-1926), რომელმაც, „ქართული ენციკლოპედიის“ ცნობით, 1895 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი და სტუდენტობისას, 1890 წელს, დასვა საკითხი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, რაც გაიმეორა მოგვიანებით, 1915 წელსაც. 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობის გამო იგი ხელისუფლებისაგან იდევენბოდა და იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო საფრანგეთში, სადაც 1911 წლამდე დარჩა. ამიტომ სავსებით დასაშვებია, 1908 წელს სწორედ ის ყოფილიყო პარიზელ ქართველთა ერთერთი თავკაცი.

დამატება

ჰუგო შუხართს ქართული ენის მიმართ ცხოველი ინტერესის გამო ურთიერთობა მხოლოდ ქართველ მეცნიერებთან, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებთან როდი ჰქონდა. თუკი ვინმე რამენაირ შეხებას ამჟღავნებდა ქართულთან, თუკი რაიმე კუთხით შეიძლება მათგან გარკვეული სახის ინფორმაციის მიღება საქართველოს, ქართველებისა და მათი ენის შესახებ, ცდილობდა მათთან კონტაქტის დამყარებას. ბუნებრივია, მკვიდრი ქართველების შემდეგ ყველაზე მეტ ცნობას უპირველესად საქართველოში მცხოვრებ უცხოელთაგან მიიღებდა, შემდეგ კი იმ ევროპელთაგან, რომელთაც საშუალება მიეცათ, საქართველოში გაეტარებინათ გარკვეული დრო. ცხადია, ჰუგო შუხართი მათგან განსაკუთრებით ისეთ ხალხს შეარჩევდა, რომელთა კომპეტენციასაც ენდობოდა. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა მათგანისთვის თვალის მიდევნება. შუხართის არქივში არის მასალები, რომელთა საფუძვლიანად დამუშავება ჯერჯერობით ვერ მომიხერხდა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც ღირს, თუ გავეცნობით შუხართის მიმონერას ზოგიერთ ასეთ ადრესატთან. საქართველოსა და ქართველებთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის გარკვევასა თუ შეფასებაში ეს ხალხი, ერთგვარად მაინც, შედარებით ნეიტრალურები და ხშირად უფრო ობიექტურებიც არიან.

გარკვეული მიზეზების გამო წინამდებარე ნაშრომში არ მოხერხდა შუხართის არქივში დაცული ქართული მასალების სრულად წარმოდგენა. ალბათ, სხვა დროს გაშუქდება საქართველოსა და ქართულთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის საკითხები, რომლებიც ასახულია ოსკარ ასბოტის, ჰაინრიხ ჰიუბშმანის, კარლ კრუმბახერის, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის, აუგუსტ ლესკინის, უილიამ რიჩარდ მორფილის, უილიამ როჯერ პატონის, კ. შულცეს, ემილიო ტეცას, ალფრედო ტრომბეტის, ქრისტიან კორნელიუს ულენბეკის, კარლ ცინგმაისტერისა და სხვათა წერილებში.

ახლა კი საჭიროდ ჩავთვალე, მაინც წარმოვადგინო მცირე მასალა საქართველოში მცხოვრები თუ ევროპის მკვიდრი ზოგიერთი პიროვნების შესახებ, ვინც, ასე თუ ისე, რაღაც კუთხით ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან იყო დაკავშირებული.

არტურ ლაისტი

ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, თავისი დროის ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი არტურ ლაისტი (1852-1927) ჩვენთვის უცხოელად მხოლოდ პირობით შეიძლება ჩაითვალოს. თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მან საქართველოში გაატარა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მისი მეორე სამშობლო იყო. სანამ ქართულ მიწაზე დადგამდა ფეხს, იგი დაუკავშირდა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს და შემწეობის აღმოჩენა სთხოვა ქართული ენისა და მწერლობის შესასწავლად საჭირო ლიტერატურით მომარაგებაში. უკანასკნელი მძლავრი ბიძგი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას ცნობილმა გერმანელმა პოეტმა ფრიდრიხ ბოდენშტედტმა¹⁹⁸ მისცა, რომელსაც ლაისტი იტალიაში მოგზაურობისას შეხვდა. ბოდენშტედტი ერთხანს საქართველოში ცხოვრობდა და ახალგაზრდა მწერალს ურჩია, საქართველოში ჩასულიყო და თავისი თვალთ ეხილა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე შეფენილი ქვეყანა და მისი მცხოვრებნი. არტურ ლაისტი თბილისში პირველად 1884 წლის 1 ივნისს ჩამოვიდა, მეორეჯერ – მომდევნო წლის 5 აგვისტოს და ოთხ წელიწადს ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში, შემდეგ ცოტა ხნით (1889-92 წლებში) ევროპაში გაემგზავრა პირადი საქმეების მოსაგვარებლად, ხოლო 1892 წლიდან საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენში და სიცოცხლის ბოლომდე ქართული მიწის სურნელი არ მოჰკლებია. ლაისტი პრაქტიკულად მალე დაეუფლა ქართულ ენას (ი.მანსვეტაშვილის სიტყვებით, სულ ორ-სამ წელიწადში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული, თავისუფლად წერდა) და დღენიადაც ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების გვერდით ტრიალებდა. იგი განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძესთან მეგობრობდა და მისი ხშირი სტუმარი იყო, მეტადრე საგურამოში. ილია ჯერ კიდევ უცხოეთში მოღვაწე ლაისტს „შორეულ თავისიანს“ ეძახდა, მადლიერმა ქართველმა ხალხმა კი მას „ჩვენი აბო“ უწოდა და განსასვენებელი ადგილი დიდუბის პანთეონში მიუჩინა. ეს ერთგვარი პასუხი იყო არტურ ლაისტის სიკვდილის შემდეგ მის ქალაქებში შემორჩენილ ქართულად დაწერილ ნატვრაზე: „მაპატიე, ჩემო პატარა სამშობლოსნაცვალო – საქართველო, თუ ჩემი მწირი ღვანლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე

¹⁹⁸ ფრიდრიხ ბოდენშტედტი (1819-92) – გერმანელი მწერალი და მთარგმნელი, 1844 წელს ჩამოვიდა საქართველოში და ერთხანს თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულ ენას; ავტორი წიგნებისა „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთის წინააღმდეგ“ (1848) და „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (ტ.1-2, 1849-50)

დასაფლავებისა“.

ის ყურადღება, რაც ქართულის შესწავლისას იგრძნო საქართველოში, არტურ ლაისტმა, თავის მხრივ, შემდგომში სხვათა მიმართ გამოიჩინა. კერძოდ, მან დიდი გულისხმიერება გამოავლინა ჰუგო შუხართის მიმართ, როცა ეს უკანასკნელი ქართული ენით დაინტერესდა. არტურ ლაისტი იყო ის პიროვნება, ვინც პირველმა დააკვლიანა სახელგანთქმული ავსტრიელი მეცნიერი და დაუზარელ დახმარებას უწევდა მას სხვადასხვაგვარი რჩევა-დარიგებითა თუ საჭირო ნივნებით უანგაროდ მომარაგებით. ყველაზე ადრინდელი წერილები ჩვენი ქვეყნის შესახებ საქართველოში მყოფ თუ უცხოეთში მცხოვრებ ნაცნობთაგან შუხართს, ჩანს, სწორედ არტურ ლაისტისგან მისდიოდა.

შუხართი ქართული ენის შესწავლის აუცილებლობამდე მეცნიერულმა ინტერესებმა (კერძოდ, ბასკურისა და ქართულის ურთიერთმიმართების საკითხმა) მიიყვანა და იგი შეეცადა, საქართველოში მოენახა ისეთი პირი, ვინც მას ამ საქმეში სხვაზე უკეთეს დახმარებას გაუწევდა. მისი არჩევანი, ეტყობა, არტურ ლაისტზე შეჩერდა, რომელმაც შუხართს იმედი არ გაუცრუა, თვითონაც არ მოაკლო დახმარება და ქართველ მოღვაწეთაგანაც მრავლად გამოუნახა ღირსეული კორესპონდენტები, რომლებმაც, თავის მხრივ, შემდგომში უშუალო ნაცნობობა დაამყარეს გრაცელ პროფესორთან და არაერთხელ შეხვედრიან კიდევაც მას ავსტრიასა თუ გერმანიაში.

არტურ ლაისტისა და ჰუგო შუხართის მიმონერა მოიცავს თითქმის ოცნლიან პერიოდს – 1888 წლიდან 1907 წლამდე. ჩემს ხელთაა არტურ ლაისტის მიერ გრაცში გაგზავნილი 13 წერილი, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით ეხება ქართულ სინამდვილეს, საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მივყვეთ თანამიმდევრობით. ბუნებრივია, წერილები გერმანულადაა დანერვილი.

№1

„თბილისი, 24 თებერვალი 1888

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი ძვირფასი წერილის საპასუხოდ თავს ნებას ვაძლევ, გაცნობოთ, რომ თქვენს სურვილს მთლიანად მივესალმები და რამდენიმე წიგნს, რომლებიც თქვენ ქართული ენის პრაქტიკულად შესწავლის შესაძლებლობას მოგცემთ, ზეგ დაზღვეული ბანდეროლით გამოგიგზავნი.

ფილოლოგია საქართველოში ახლა ვითარდება და ამის გამო ქართული ენის კარგი გრამატიკა ჯერ კიდევ არ არსებობს. გიგზავნით პატარა პრაქტიკულ სახელმძღვანელოს, რომელიც რუსებისთვისაა განკუთვნილი, თქვენ კი, რაკი რუსული გესმით, გამოგადგებათ.

გიგზავნით აგრეთვე წიგნს, რომელიც ქართველებს ემსახურება რუსულის შესასწავლად და, ამასთან, წმინდა პრაქტიკული მიზნისთვის არ იქნება ღირებულებას მოკლებული. ამას გარდა, ჩემგან სხვა წიგნებსაც მიიღებთ და, თუ მოვახერხე, ახალ ქართულ-რუსულ ლექსიკონსაც გაახლებთ.

მომმართეთ, გეთაყვა, ხშირად და მე, პატივცემულო ბატონო, დიდი სიამოვნებით შეეკასრულებ თქვენს ნებისმიერ თხოვნას.

ბატონი დავით სარაჯიშვილი¹⁹⁹, რომელიც, როგორც თქვენ სწორად მიხვდით, ჩემი მასპინძელია, გულითად მადლობას გითვლით. ულრმესი ყურადღებით

არტურ ლაისტი

თბილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი“.

მოგვიანებით, 1903 წელს, დრეზდენში გამოცემულ წიგნში „ქართველი ხალხი“ არტურ ლაისტი ამ წერილში ნახსენებ საკითხებზე წერდა: „ჯერ კიდევ ღარიბულად გამოიყურება ქართული ენის კვლევის სფერო. ზოგიერთი ევროპელი მეცნიერი, რომელიც ამ ენაზე მუშაობს, თავის კვლევა-ძიებაში შორს ვერ წავიდა და ქართული ენის წესების დადგენაში ცოტა რამ გააკეთა. ჰუგო შუხართი, რომლისგანაც ბევრს ველოდით, ქართულ ენას მხოლოდ სხვათა შორის სწავლობდა, ისე რომ, ჭეშმარიტი მარცვალი ამ საქმისა, სახელდობრ, რთული ზმნა, ჯერ კიდევ შეუსწავლელი დარჩა (ა.ლაისტი, „საქართველოს გული“, თბ., 1963, გვ. 161).

№2

„თბილისი, 18 მაისი 1888

ლრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენს ძვირფას წერილში დაბეჯითებით მოითხოვთ, რათა ჩემგან გამოგზავნილი წიგნების სამაგიეროდ ლიტერატურული საჩუქარი მომიძღვნათ. კეთილი! მაშინ ნება მომეცით, თქვენი წიგნი „რომანული და კელტური“ გთხოვოთ. ამით დიდ სიხარულს მომანიჭებთ. მეც, ჩემდათავად, ზუსტად ასევე ამის შემდეგ ჩემს ყველა ნაშრომს გამოგიგზავნით.

ერთი კვირის წინ ბატონი მორფილი²⁰⁰, ოქსფორდიდან, იყო აქ.

¹⁹⁹ დავით სარაჯიშვილი (1848-1911) – ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მრეწველი, ქველმოქმედი. მან პირველმა დააბინავე არტურ ლაისტი უფასოდ თავის სახლში, რასაც გერმანელი მწერალი მრავალგზის იხსენებს თავის მოგონებებში (ა.ლაისტი, „საქართველოს გული“, თბილისი, 1963, გვ. 302).

²⁰⁰ უილიამ რიჩარდ მორფილი (1834-1909) – ინგლისელი სლავისტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც 1880 წლიდან სერიოზულად დაინტერესდა ქართული ენით და მისი შესწავლა დაიწყო. მორფილმა სიტყვა შეასრულა და „Academy“-ში მართლაც გამოაქვეყნა შეპირებული სტატიები.

რამდენიმე წელია, ის ქართულ ენას სწავლობს და ახლა უნდა, რომ ქართულ ლიტერატურასაც მოჰკიდოს ხელი. როგორც მან გამომშვიდობებისას მითხრა, საქართველოში ყოფნით მეტად კმაყოფილი დარჩა და აქმილებულ შთაბეჭდილებას „Academy“-ში, ხოლო სტატიას ქართული ლიტერატურის შესახებ „Westminster Review“-ში გამოაქვეყნებს.

ცოტა ხნის წინ შოთა რუსთაველის ეპოსის, „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი გამოცემა გამოვიდა 28 ილუსტრაციით²⁰¹. წიგნს მალე გამოვიგზავნით. ნახევარი წელია ამ მშვენიერი წიგნის თარგმანზე ვმუშაობ, მაგრამ კიდევ დიდხანს მომიხდება მასზე მუშაობა, რადგან 1550 სტროფიდან ჯერ მხოლოდ 300 ვთარგმნე²⁰².

უღრმესი ყურადღებით

თქვენი არტურ ლაისტი“.

№3

„ბათუმი, 2 სექტემბერი 1895

ღრმად პატივცემულო ბატონო,

რაკი რამდენიმე კვირით სოფელში ვიყავი, მხოლოდ ახლა მიხდება თქვენს მეგობრულ წერილზე პასუხის გაცემა.

მეტისმეტად მახარებს ის ამბავი, რომ მეცადინეობა ქართულ ენაში კვლავ განგიახლებიათ, და იმედი მაქვს, მალე დიდ სიამოვნებას მიიღებთ, როცა შეგეძლებათ, ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშების ორიგინალში გაცნობით დატკბეთ.

თქვენთვის სასურველი წიგნების შესაძენად ყველაზე უპრიანისა, თუ თბილისში მიმართავთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მისი მისამართი რუსულად ასეთია: „Обществу распространения грамотности“, Тифлис, Каравансерай Земельного Банка.

ცნობები ენობრივ საკითხებზე შეგიძლიათ შემდეგი ბატონებისგან მიიღოთ:

1) პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, სანკტ-პეტერბურგი, უნივერსიტეტი.

2) პროფესორი ხახანაშვილი, მოსკოვი, ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტი.

ჩემი რომანი „ნინო ვარიპანიძე“, რომლის თარგმანიც თქვენ ყოველთვიურ ჟურნალ „მოამბეში“ ნახეთ, გასულ წელს გამოიცა შტუტგარტის „Deutsche Romanbibliothek“-ში და, ვფიქრობ, ორიგინალი გა-

²⁰¹ იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. ქართველიშვილისეული მდიდრული გამოცემა მ. ზიჩის ილუსტრაციებით.

²⁰² ა. ლაისტი 3 წელიწადს მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ თარგმანზე და იგი 1890 წელს გამოსცა დრეზდენში.

მოგადგებათ თარგმანის კითხვისას.

ლაზების ენის შესახებ ერთ წიგნსაც კი არ ვიცნობ და ვწუხვარ, რომ ამ მიმართულებით არავითარი ცნობის მოწოდება არ შემიძლია. როცა თბილისში წიგნების შესახებ მისწერთ, კარგს იზამთ, თუ წერილს ფრანგულად დანერთ, რადგან ხსენებული საზოგადოების წევრთაგან არავინ იცის გერმანული. მე, ჩემი მხრივ, თავმჯდომარეს მივწერ და ვთხოვ, რათა თქვენი შეკვეთები დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს.

თქვენი არტურ ლაისტი
 ჩემი ადრესია: Batym (Batoum)
 Banque de Commerce de Tiflis
 Succursale de Batoum“

„მეცადინეობა ქართულ ენაში განგიახლებიათ“ – წერს ლაისტი. ქართულით შუხართის დაინტერესების პირველი ტალღა, როგორც ლაისტის წერილებიდან ჩანს, 80-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, 1888 წელზე მოდის. შემდეგ დაახლოებით 7-წლიანი პაუზაა, ხოლო 1895 წელს შუხართმა თავისი პირველი წიგნი დასტამბა ვენაში – „ქართული ენის შესახებ“.

№4

„ბათუმი, 8 იანვარი 1896

ღრმად პატივცემულო ბატონო!

გულითდი მადლობა თქვენი საინტერესო ნაშრომისთვის ქართული ენის შესახებ²⁰³ რომელზეც მე თავის დროზე გაზეთ „ივერიაში“ მოკლე რეცენზია დავბეჭდე. სხვა კავკასიურ გაზეთებშიც გამოქვეყნდა რეცენზიები, მათგან საუკეთესო და ვრცელი კი „Кавказ“-ში²⁰⁴. ერთ ჩემს მეგობარს უნდა, რომ ზოგიერთი წიგნით მოგამარაგოთ, და სურს გაიგოს, სასურველი იქნებოდა თქვენთვის, მაგალითად, საუკეთესო თანამედროვე ქართველი პოეტების თხზულებების გამოგზავნა? გაქვთ თქვენ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალში? მისი თარგმანი მე გამოვაქვეყნე დრეზდენში ე.პირსონის გამომცემლობაში. მაცნობეთ, გეთაყვა, რომელ წიგნებს ისურვებდით, და ჩემი მეგობარი მაშინვე გამოგიგზავნით მათ.

მიიღეთ ჩემგან გულითადი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები საახალწლოდ.

²⁰³ იგულისხმება ზემოთ ნახსენები „ქართული ენის შესახებ“ (Über das Georgische“), რომელიც 100 ეგზემპლარად დაიბეჭდა ვენაში 1895 წლის ზაფხულის მიწურულს.

²⁰⁴ იგულისხმება მოსე ჯანაშვილის რეცენზია („Кавказ“, №162, 1895)

ულრმესი ყურადღებთ

თქვენი არტურ ლაისტი
 Batoum
 Banque de Commerce de Tiflis
 Succursale de Batoum"

როგორც მომდევნო წერილიდან ჩანს, ეს მეგობარი არის ნიკო ლოლობერიძე (1839-1911), ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი.

№5

„ბათუმი, 3 მარტი 1896

ღრმად პატივცემულო ბატონო,

დიდი მადლობა თქვენი ორი მეგობრული წერილისთვის. სია თქვენი წიგნებისა მაშინვე ჩემს მეგობარს, ბატონ ნიკოლოზ ლოლობერიძეს, გადავეცი და მან უკვე მისწერა თბილისში, რათა, მისი აზრით, თქვენთვის ყველაზე აუცილებელი წიგნები მოიძიონ. სხვებს შემდეგ მიიღებთ გამგზავნი ფირმის მეშვეობით. ეს გზავნილი თქვენს ბიბლიოთეკას ერთგვარად შეავსებდა. ბერლინში ამჟამად სწავლობს ერთი ახალგაზრდა ქართველი ბატონი ნოე ჟორდანიას²⁰⁵, მისი ადრესია Linienstrasse, 100/II. მას, ალბათ, შეუძლია დაგეხმაროთ ქართულ ენაში მეცადინეობისას. თუკი თქვენ ამას ისურვებდით, მაშინ ბატონი ლოლობერიძე დაავალებდა მას, სააღდგომო არადადეგების დროს მოენახულებინეთ გრაცში.

ბევრმა ჩემმა ქართველმა მეგობარმა სასიამოვნო დავალება მომცა: ზაფხულის არდადეგების დროს აქ მოგიწვიოთ. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ გულითად და მეგობრულ მიღებაში.

წიგნების სიაში მე გამომრჩა ჩემი თარგმანები ქართველი პოეტებისა „Georgische Dichter“, ლაიფციგი, ვილჰელმ ფრიდრიხის გამომცემლობა, 1886 და აგრეთვე ერთი ლექსიკონი, რომელიც თქვენ ბატონმა სარაჯიშვილმა ექვსი თუ რვა წლის წინ ჩემი მეშვეობით გამოგიგზავნათ.

ამჟამად ბერლინში ჰარტის გამომცემლობაში გამოდის მსოფლიო ლიტერატურის ახალი ისტორია. ხომ არ შეგიძლიათ, რომ შემდეგ ენელს ყურადღება მიაქცევინოთ ქართული ლიტერატურის შესახებ დაშვებულ ხარვეზებზე, რომლებიც აქაურ ლიტერატურის

²⁰⁵ ნოე ჟორდანიას (1868-1953) – იმხანად სტუდენტი, შედგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, 1918-21 წლებში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე.

ისტორიის წიგნებშია დაშვებული?

შემძლება თუ არა, რომ თქვენთვის მოვიძიო ზოგიერთი ლაზური ზღაპარი, საგა და ა.შ., ნამდვილად არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დავაკლებ.

მიიღეთ ჩემგან საუკეთესო მოკითხვა.

ულრმესი ყურადღებით

თქვენი არტურ ლაისტი
Banque de Commerce de Tiflis
(Коммерческий Банк)
Batoum“

ქართველი კოლეგები და მეგობრები შუხარტს ხშირად იწვევდნენ საქართველოში. ერთხელ, მაგალითად, ლეო ლოპატინსკიმ ოფიციალურადაც კი დაპატიჟა თბილისში გასამართ კონგრესზე, მაგრამ გრაცელმა პროფესომ ვერა და ვერ მოაბა თავი საქართველოს მონახულებას. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დრო არ ჰქონდა.

№6

„ბათუმი, 30 ივლისი/11 აგვისტო 1896

ღრმად პატივცემულო ბატონო!

ულრმესი მადლობა თქვენი თავაზიანი წერილისა და ახალი წვლილისათვის ქართულ ფილოლოგიაში. უკანასკნელი ბატონ უმიკაშვილს²⁰⁶ გადავეცი, რომელიც მას „მომბეში“ განიხილავს.

ბატონი ცხვედაძე თბილისიდან გეკითხებათ, მიიღეთ თუ არა 24 წიგნი, რომლებიც იქიდან გამოგიგზავნის? ეს იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოგზავნილი ბანდეროლი და შეიცავდა ახალი დროის საუკეთესო პოეტურ ქმნილებებს.

ბატონი ლოლობერიძე ორი თვეა ვენაში იმყოფება, მაგრამ იქიდან მალე წავა შევიცარიაში. მან წერილობით დამავალა, თავისი ბიბლიოთეკიდან თქვენთვის ლექსიკონი გამოგიგზავნა, რასაც მოკლე ხანში შევასრულებ.

ამჟამად აქ საშინელი სიცხეა და, როცა ვფიქრობ, რომ თქვენ ახლა შტაიერმარკის²⁰⁷ მთებში იმყოფებით, მშურს თქვენი. ცოტა ხანში ჩემს ახალ ნაშრომს გამოგიგზავნით.

მიიღეთ ჩემგან გულითადი მოკითხვა.

²⁰⁶ პეტრე უმიკაშვილი (1838-1904) – პედაგოგი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე.

²⁰⁷ შტაიერმარკი, ანუ შტირია, ავსტრიის სამხრეთში მდებარე ერთერთი რეგიონია, რომლის დედაქალაქში, გრაცში, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შუხარტი.

თქვენი დიდი პატივისმცემელი

 არტურ ლაისტის
 Batum, Commerzbank

P.S. ბატონი უორდროპი და მისი და²⁰⁸, რომელმაც ცოტა ხნის წინ ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ თარგმნა, ამჟამად კახეთში იმყოფებიან“.

შეიძლება ვინმეს ბევრი ეჩვენოს ნიკო ცხვედაძის მიერ მითითებული რაოდენობა გრაცში გავზავნილი წიგნებისა, მაგრამ ეს სულაც არ იყო განსაკუთრებული შემთხვევა. შუხართისთვის სხვა დროსაც გაუგზავნათ ათეულობით ქართული წიგნი მის კეთილისმსურველებს. როგორც ჩანს, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ერთი წლით ადრე, 1895 წლის 1 ნოემბერს, წერა-კითხვის საზოგადოებამ კიდევ უფრო მეტი, 26 დასახელების წიგნი გაუგზავნა შუხართს.

№7

„ბათუმი, 29 აგვისტო, 1896

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

ეს-ესაა მივიღე თქვენი თავაზიანი წერილი ამ თვის 31-ისა²⁰⁹ და ვჩქარობ, გაცნობოთ, რომ ბატონ ლოლობერიძეს დღესვე მივწერ. ჩემთან საუბარში მას, პირიქით, ხშირად გამოუთქვამს სურვილი თქვენი გაცნობისა და ვიმედოვნებ, მისი საზოგადოებით ნასიამოვნები დარჩებით. იგი განათლებული კაცია ნაღდი ქართული ყაიდისა (ფილოლოგი, გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი თბილისში, ამჟამად მარგანეცის საბადოს მფლობელი). რადგან მე ჯერ ბატონ უმიკაშვილისგან, რომელიც მისი საქმეთა მწარმოებელია, უნდა შევიტყო, ბატონი ლოლობერიძე ჯერ კიდევ ვენაში იმყოფება თუ არა, მის ადრესს ქვემოთ გაცნობებთ.

თქვენს საფოსტო ქვითარს ხვალ თბილისში გავგზავნი. ალბათ, ჩემს წერილს თქვენ უკვე გოთაში ნახავთ, ისე რომ, თქვენ მაშინვე შეიძლებთ ბატონ ლოლობერიძესთან შეთანხმებას, თუკი მას ამასობაში არ ექნება გამოგზავნილი წერილი.

ვენიდან იგი მიემგზავრება გერმანიაში ან შვეიცარიაში.

²⁰⁸ იგულისხმებიან ინგლისელი ჯონ ოლივერ უორდროპი (1864-1948) და მისი და მარჯორი (1869-1909) – ქართული კულტურის დიდი მოამაგეები და პოპულარიზატორები.

²⁰⁹ გაუგებრობა არ გეგონოთ: აქ გასათვალისწინებელია სხვაობა ძველსა და ახალ სტილს შორის, რაც იმჟამად 12 დღეს შეადგენდა. როცა გრაცში 31 აგვისტო იყო, ბათუმში ჯერ კიდევ 19 აგვისტო იდგა. იმ დროისათვის მაინც საკმაოდ სწრაფად მისვლია წერილი ლაისტს.

გულითადი მოკითხვით

თქვენი არტურ ლაისტი
ბატონი ლოლობერიძის მისამართია:
Kaltenleutgeben (bei Wien)
bei Doctor Winternitz“.

№8

„ბათუმი, 21 ივნისი 1897

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

მიუხედავად ჩემი მცდელობისა, თქვენი შეხვედრა ბატონ ლო-
ლობერიძესთან არ შედგა, რის გამოც იგი გულწრფელად წუხს. თქვენ
ჯერ კიდევ გოთაში იმყოფებოდით, როცა იგი ვენის გავლით უკვე
შინისკენ გამოემგზავრა. წიგნებს, რომლებსაც თქვენ წერილში
ასახელებთ, მოკლე ხანში მიიღებთ, რადგან, როგორც შევიტყვე,
ისინი თბილისიდან უკვე გამოუგზავნიან. მალე ბათუმს და, ალბათ,
კავკასიასაც დავტოვებ, რადგან აქ ცხოვრება აღარ შემიძლია, გან-
საკუთრებით ბათუმის კლიმატი მვნებს. ჩემი მომავალი ადგილსამ-
ყოფელიდან ახალ ადრესს აუცილებლად გაცნობებთ. მანამდე კი გუ-
ლითადად მოგიკითხავთ.

ულრმესი ყურადღებით

თქვენი არატურ ლაისტი“

უნდა აღინიშნოს, რომ ჰუგო შუხართისა და ნიკო ლოლობერიძის
შეხვედრა მოგვიანებით მაინც შედგა გრაცში.

№9

„თბილისი, 6 ივნისი 1903

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

მალე მიიღებთ ჩემი გამომცემლის (E. Pirson's Verlag, Dresden) მიერ
გამოგზავნილ ჩემს ახალ წიგნს „ქართველი ხალხი“ და უზომოდ გა-
ვიხარებ, თუკი თქვენ მასზე მიუნხენის „Allgemeine Zeitung“-ის
დამატებაში დაბეჭდილ რეცენზიასაც გაეცნობოდით.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქართველი ხალხის ბუნების
შესწავლას მრავალი წლის მანძილზე ჩემი თავისუფალი დრო მიეუ-
ძღვენი და ახალგამოსული წიგნი შეიცავს, ერთგვარად, მთელ ჩემს
ცოდნასა და შეხედულებას, რაც მე წლების განმავლობაში ამ საინ-
ტერესო და სიმპათიური ხალხის შესახებ დამიგროვდა. მე რომ ამჟა-
მად ყველაზე საიმედო მცოდნე ვარ ქართული ლიტერატურისა და
მსგ., შემიძლია ნაღდად ვთქვა, მაგრამ ჩემი ნაშრომები ევროპაში

დღემდის მხოლოდ ზედაპირულად იყო განხილული. რაკი გერმანიიდან დიდად დაშორების გამო კორექტურას მე თვითონ ვერ მივხედე, სამწუხაროდ, წიგნში ბეჭდვითი შეცდომები გაიპარა, ზოგჯერ მეტად უხეშიც.

მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, შესაძლებლობის შემთხვევაში ხმა ამოგეღოთ, ორიოდ სიტყვა გეთქვათ სრულიად არასწორი სახელწოდების – „Grusien, Grusier, grusinisch“ – ხმარების საწინააღმდეგოდ. ყველა ევროპულ ენაში, სლავურის გარდა, დიდი ხანია იხმარება სახელწოდება „Georgien“, სიტყვა „Grusien“ კი, რომელსაც ზოგიერთი მწერალი ხმარობს, იწვევს მხოლოდ ცნების აღრევას. ასე მაგალითად, გერმანულ ტურისტებს ხშირად უკითხავთ ჩემთვის, Grusier და Georgier ორი სხვადასხვა ხალხია? Georgier-ის ყველაზე უკეთესი შესატყვისი იქნებოდა „Khartweler“.

იმ იმედით, რომ ჩემი წიგნი რამდენიმე სასიამოვნო საათს გაგატარებინებთ, გითვლით, დიდად პატივცემულო პროფესორო, გულითად მოკითხვას და ვრჩები თქვენდამი დიდი ყურადღებით აღსავსე.

თქვენი არტურ ლაისტი
 ადრესი: Kaukasische Pharmaceutische
 Handelsgesellschaft, Tiflis“

№ 10

„თბილისი, 9 ნოემბერი 1903

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

ნუ გამიბრაზდებით, რომ თქვენს თავაზიან წერილს ასე გვიან ვპასუხობ, მაგრამ ეს იმან გამოიწვია, რომ თქვენთვის სასურველი წიგნების შესახებ რაღაც განსაზღვრული ინფორმაციის მოწოდება მინდოდა.

ამ ხალხს რამდენჯერმე უნდა შეახსენო ერთხელ მიცემული დაპირების შესრულების შესახებ. შეეძლებ თუ არა თქვენთვის ჩუბინაშვილის ქრესტომათიის შოვნას, ჯერ არ ვიცი, მაგრამ შემპირდნენ, რომ მიშოვიან. „ივერიის“ რედაქტორსაც ვთხოვე, გაზეთი თქვენ რეგულარულად მოგანოდონ, რასაც იგი სიამოვნებით შემპირდა. ამ გაზეთის 1888 წლის № 86-ს, რომელშიც ნ. მარრის წერილია სემიტურთან ქართული ენის ნათესაობის შესახებ²¹⁰, ჯერჯერობით

²¹⁰ იგულისხმება ნიკო მარრის წერილი „ბუნება და თვისება ქართული ენისა (მცირე შენიშვნა)“. ამ წერილის შემცველი გაზეთი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ეტყობა, თბილისში ვერ იშოვეს, რადგან სამი თვის შემდეგ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ შუხაროს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „გვგზავნით ნ. მარრის

ექებენ და, ალბათ, თქვენთვის იშოვიან. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (რუსული ადრესი: Общество распространения грамотности между грузин, Tiflis, Караван-серай грузинского дворянства) თავმჯდომარეს²¹ ვთხოვე, რეგულარულად გამოგიგზავნონ თითო ეგზემპლარი ყოველი ენათმეცნიერული წიგნისა. ამის შესახებ მე მას დროდადრო შევახსენებ. დიდი მადლობა თქვენი რეცენზიისათვის ჩემი წიგნის შესახებ. თქვენს სტატიაში თქვენ მოიხსენიებთ ერთ წერილს გაზეთიდან „Hlidka“. მეტად მადლობელი დაგრჩებოდით, თუკი მაცნობებდით, ეს გაზეთი პრაჰაში გამოდის თუ სადმე სხვაგან. მაშინ შევძლებდი ჩემთვის შესაბამისი ნომრების გამონერას.

თუ რაიმე წიგნი გსურთ, მე ყოველთვის დიდი სიამოვნებით გავირჯები, რათა შემწეობა აღმოგიჩინოთ მათს შესაძენად, და გთხოვთ, ნებისმიერ დროს შემატყობინოთ თქვენი სურვილი. წერა-კითხვის საზოგადოება მზადაა, ყოველგვარი საჭირო წიგნი უსასყიდლოდ მოგანოდოთ, რაც სავსებით გასაგებია თქვენი დიდი დასახურების გამო ქართული ენის კვლევის საქმეში.

ბატონი დავით სარაჯიშვილი გულითადად მოგიკითხავთ და მეც ვამთავრებ ამ სტრიქონებს თქვენდამი უღრმესი ყურადღებით აღსავსე.

თქვენი არტურ ლაისტი“.

№ 11

„თბილისი, 14 სექტემბერი 1904

ღრმად პატივცემულო ბატონო!

ქართული დინგი არის ერთი ჩვეულებრივი მსხვილი ჯოხი, რითაც გლეხები სიმინდის ტაროსაგან მარცვლებს აცალკევენ. დინგი, კაცმა რომ თქვას, ჩვეულებრივ, ღორის ცხვირია და საფეკავი ხელსაწყოს ერთ ბოლოს მართლაც აქვს მსგავსება ღორის დინგთან.

ამჟამად ბატონი პროფესორი ცაგარელი აქ იმყოფება. იგი და ბატონი დავით სარაჯიშვილი გულითადად მოგესალმებიან, დღეს სადილობისას თქვენი სადღეგრძელო შევსვით და ბატონმა სარა-

ერთი შენიშვნის ასლს ქართული ენის შესახებ („ივერიიდან“), რომელიც თქვენ, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, გინებებიან. სამწუხაროდ, „ივერიის“ სათანადო ნომრის თქვენთვის გამოგზავნა შეუძლებელი გახდა, რადგან იგი ბიბლიოთეკების გარდა აღარსად მოიპოვება“. მართლაც, შუხარათის არქივში შემონახულია დიდი ფორმატის ქალაქის ორ გვერდზე „წერა-კითხვის საზოგადოების“ რომელიღაც წევრის მიერ გადმონერილი ხსენებული სტატია.

²¹ ამ პერიოდში წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო.

ჯიშვილმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ თქვენ აქამდე ვერ მოახერხეთ კავკასიაში ჩამოსვლა. ვიმედოვნებთ, ერთხელ მაინც მოინახულებთ კოლხეთის ზღაპრულ სამყაროს.

ცოტა ხნის წინ აქ იყო ბატონი მერცხაბერი²¹² მიუნხენიდან.
 საუკეთესო სურვილით

თქვენი არტურ ლაისტი“.

№ 12

„თბილისი, 6 დეკემბერი 1905

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ამ სტრიქონების გადმომცემს, ბატონ ალექსანდრე ბეშკენაძეს, აქაური ქართული გიმნაზიის აბიტურიენტს²¹³, განზრახული აქვს ქართულ ფილოლოგიაში დასპეციალება. თავდაპირველად გერმანული ენა რომ შეისწავლოს გვარიანად, მისმა მზრუნველებმა გადანყვიტეს, იგი რამდენიმე ხნით გრაცში გამოგზავნონ, სადაც უფრო მშვიდ ვითარებაში შეძლებს დამოუკიდებლად მეცადინეობას, ვიდრე გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქებში, სადაც რუსები და ქართველები მრავლად არიან.

რაკი მე ახალგაზრდა კაცის წარმატებით განსაკუთრებულად დაინტერესებული ვარ, მას მითითება მივეცი, როგორ უნდა მოემზადოს თავისი მომავალი მეცადინეობისათვის. მას თან მოაქვს გარკვეული რაოდენობა ქართული წიგნებისა, რაც მის მომავალ სპეციალობას შეეხება, და, რათა იგი დროულად გაეცნოს ბიზანტიის ისტორიასა და ლიტერატურას, ვურჩიე, მიაკითხოს გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რომ შესაბამისი შრომები ჯერჯერობით ფრანგულად წაიკითახოს და იმავდროულად ბერძნულშიც გაიუმჯობესოს ცოდნა.

იმედი მაქვს, თქვენთვის სასიამოვნო იქნება, ქართველი გყავდეთ თქვენს სიახლოვეს, და თქვენი მრავალი პატივისმცემლის სახელით მოგმართავთ მეგობრული თხოვნით, რათა ახალგაზრდა კაცს თქვენი ძვირფასი რჩევა-დარიგება და მითითება არ მოაკლოთ.

აქ რაც ხდება და რა მძიმე მდგომარეობაშიც ვცხოვრობთ, ამის შესახებ იგი თვითონ მოგიყვებათ.

გულითადი მოკითხვით და უღრმესი ყურადღებით

თქვენი არტურ ლაისტი“.

²¹² გოტფრიდ მერცხაბერი (1865-1926) – გერმანელი გეოლოგი და მწერალი, ავტორი წიგნისა „კავკასიის მაღალმთიანი რეგიონებიდან“.

²¹³ შემდგომში ალექსანდრე ბეშკენაძე რამდენიმე წელიწადს სწავლობდა გრაცის უნივერსიტეტში, მოგვიანებით კი გერმანულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა თბილისის უნივერსიტეტში.

„თბილისი, 22 ოქტომბერი 1907

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო,

მიიღეთ ჩემგან გულითადი მადლობა თქვენი მეგობრული სტრიქონებისთვის. მე დიდი ხნის წინ გიპასუხებდით, მაგრამ, რადგან ჩემთვის აუცილებელი იყო, ბეშქენაძისთვის რალაც გამეკეთებინა, პასუხის გამოგზავნას დღითიდღე უკან ვწევდი. ალბათ, მას თვითურს სტიპენდიად 15-20 რუბლს დაუნიშნავენ, ასე რომ, არ გაუჭირდება. თუ საით უნდა მიმართოს თავისი წერილობითი თხოვნა, მე მას დაუყოვნებლივ მივწერე და ვიმედოვნებ, რომ საქმე მოკლე ხანში მოგვარდება.

თავად ილია ჭავჭავაძის მოულოდნელმა სიკვდილმა ჩვენ ყველანი და მე, მისი დიდი ხნის მეგობარი, განსაკუთრებით შეგვძრა. მე იგი სწორედ მის მშვენიერ მამულში, საგურამოში, მოვინახულე, ორშაბათს მასთან ერთად გამოვემგზავრე თბილისში და, როცა ხუთშაბათს კვლავ უკან გაბრუნდა, იგი მოკლეს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სამწუხარო დღეები გადავიტანე. მისმა დაკრძალვამ მიიღო დიდებული დემონსტრაციის სახე და ამ სამგლოვიარო პროცესიას მინიმუმ ასი ათასი კაცი ესწრებოდა.

სიცოცხლე ქალაქში რამდენიმე საათის განმავლობაში თითქოს ჩაკედა, ყველა მალაზია დაიკეტა, ყველანაირი საქმიანობა მიწყნარდა. იგი დაკრძალეს როგორც მეფე. დღეს გიგზავნი „Kaukasische Post“-ის²¹⁴ 2 ნომერს, რომლებშიც იპოვით პოეტის პერსონისა და დაკრძალვის ადგილზე მისი წასვენების შესახებ ზოგიერთ დეტალს, რაც, ალბათ, დაგაინტერესებთ. არაჩვეულებრივი სურათი, რასაც იქ შევესწარი, ჩემთვის მეტისმეტად საინტერესო იყო და, ის რომ დამეფიქსირებინა მთელი თავისი სიდიადით, ფერადოვნებით და ხალხის ფსიქოლოგიის მნიშვნელობის ჩვენებით, გადავწყვიტე, ჩემს წიგნში „მოგზაურის დღიური“, რომლის ნაწილიც უკვე მზად მაქვს, მისი აღწერა შევიტანო.

საქმეები ჩვენი „Kaukasische Post“-ისა, რომელიც მე გასულ წელს დავაარსე და რომლის ხელმძღვანელობაც დროის უქონლობის გამო მაინც სხვას გადავაბარე, გვარიანად მიდის. ჩვენი აქაური გერმანული ხასიათის (ნაციონალობის) ამალლებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და განაგრძობს არსებობას, რადგან ჩვენი ჯერ კიდევ ნაღდად გერმანელი კოლონისტები გრძნობენ, გაცნობიერებული აქვთ, რომ ისინი, როგორც გერმანელები, განათლებასა და კულტუ-

²¹⁴ გერმანულენოვანი გაზეთი „Kaukasische Post“ ლაისტმა 1906 წელს დააარსა თბილისში და წლინახევრის განმავლობაში რედაქტორობდა მას.

რულ საქმიანობაში წინ უნდა წავიდნენ.

რამდენიმე წლის წინ თქვენ მწერდით, ისე მეგობრულად იყავით განწყობილი ჩემდამი, რომ კიურშნერის „მწერალთა ლექსიკონის“ გამომცემელს თუ რომელიღაც სხვას ჩემზე ყურადღება მოაქცევინეთ. მაშინ მე მართლაც მივიღე ანკეტა, რომელიც უნდა შემეფსო ბიოგრაფიული და ა.შ. მონაცემებით. მაგრამ, რადგან სწორედ მაშინ გავემგზავრე ვენაში, ეს მოთხოვნა ვერ შევასრულე და ისე მოხდა, რომ ჩემი გვარი დღეს არცერთ „მწერალთა ლექსიკონში“ არაა შეტანილი. იქნებ კიდევ ერთხელ გამოიჩინოთ კეთილგანწყობა და შესაბამის ადგილას მოაგონოთ ჩემ შესახებ! მაშინვე მივანვდიდი საჭირო ცნობებს. მე რომ გერმანიაში დავრჩენილიყავი, შეეძლებდით, ლიტერატურის რომელიმე სხვა სფეროში გამომეჩინა თავი, მაგრამ მაშინ ვერ „აღმოვაჩენდი“ ქართულ ლიტერატურას და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, არ მინდა, რომ ჩემი სამწერლო საქმიანობა ასე შეუმჩნეველი დარჩეს და მხოლოდ „მწერალთა ლექსიკონში“ მოხვდეს. მინდა ყურადღება მივაქცევინოთ ერთ საკითხზე: პროფ. ჰინდებერგის „თანამედროვეობის კულტურაში“ ბატონმა ფრ. ფინკმა²¹⁵ (მას, სხვათა შორის, პირადად ვიცნობ, იგი ამჟამად ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტი) წერილი გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის შესახებ, რომელიც მთელ წინადადებებს შეიცავს ჩემი წიგნიდან. მიუხედავად ამისა, მას ეს წყარო არა აქვს მითითებული. ეს მეტად უნამუსო პლაგიატია. მე მინდა ეს ბატონი ბერლინის გაზეთში ვამხილო. მას ერთი სიტყვაც არ ესმის ქართულად და მაინც ბედავს, ქართული ლიტერატურის ისტორია დაწეროს.

დროდადრო „Kaukasische Post“-ს გამოგიგზავნით და მუდამ მეტად მოხარული ვიქნები, დიდად პატივცემულო ბატონო, თუ თქვენგან რამდენიმე სტრიქონს მივიღებ.

მეგობრული მოკითხვითა და უღრმესი ყურადღებით

თქვენი არტურ ლაისტი“.

№ 14

„თბილისი, 21 დეკემბერი 1907

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

²¹⁵ ფრანც ნიკოლაუს ფინკი (1867-1910) – გერმანელი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, 1900-1902 წლებში იმოგზაურა კავკასიაში. კაპიტალურ გამოკვლევაში „აღმოსავლური ლიტერატურები“ (1906) ფინკმა ცალკე თავად შეიტანა „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც ქართული მწერლობის გარდა მოკლედ იყო მიმოხილული საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ქართული ენის დიალექტები. ფ.ფინკი, სხვათა შორის, რიხარდ მეკელანის მასწავლებელი იყო.

დიდი მადლობა თქვენი თავაზიანი ცნობისთვის ბეშქენაძის შესახებ. ჩანს, ახალგაზრდა კაცს მართლაც არ სურს, იმ მიმართულებით წავიდეს, რაც მას ჩვენ განვუსაზღვრეთ. თავის წერილებში იგი თითქმის არაფერს წერდა მეცადინეობის შესახებ და ორი წელია, იმას ვერ ახერხებს, რამე დაწეროს ქართული გაზეთისთვის. მე მოვთხოვე მას, ერთხელ მაინც დაეწერა გრაცსა და იქაურ ცხოვრებაზე, მაგრამ მან ესეც არ გააკეთა. მას, როგორც ჩანს, არა აქვს არავითარი მიდრეკილება და არც არავითარი განწყობა მწერლობისადმი.

ცხადია, ჩემი მოვალეობაა, შევახურო, რათა იქნებ რამენაირად ვუბიძგო სერიოზული ქართული შტუდიებისთვის. თქვენს წერილს საერთოდ არ ვუხსენებ და მხოლოდ მის დაუდევრობაზე ვუსაყვედურებ მსუბუქად.

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო! ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, რაც ჩვენს აქაურ გაზეთს „Kaukasische Post“-ს შეეხება. ჩვენი მატერიალური მდგომარეობა კვლავ მძიმეა, ისე რომ, ჩვენ აღარ შეგვიძლია აუცილებელი გერმანული გაზეთების გამოწერა. ჩვენ ვღებულობთ რამდენიმეს გერმანიიდან, ერთსაც ვენიდან უსასყიდლოდ, მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან შეზღუდულია. ხომ ვერ შეძლებდით „Grazer Tagespost“-ის გამომცემლის დაინტერესებას ჩვენი გაზეთით? ჩვენ არ გვინდა სრულიად უსასყიდლო ეგზემპლარები, არამედ გაცვლის სახით გავუგზავნიდით „Kaukasische Post“-ს და წლის ბოლოს პორტოს (მარკების ფულია – ვ.ი.) ავუნაზღაურებდით. მაპატიეთ მონყალედ, ამდენს რომ ვზედავ და თქვენ ამგვარ საქმეს გახვევთ თავს, მაგრამ კეთილი საქმისათვის, ალბათ, არ გამინაწყენდებით. ჩვენმა „Kaukasische Post“-მა ჩვენს აქაურ, ე.ი. კავკასიელ, თანამემამულეებს უკვე ბევრი სარგებლობა მოუტანა და მათს კულტურულ ცხოვრებაში ეს ისეთი ფაქტორია, რომლის მოკლებაც მათ არ სურთ. როგორც მოგეხსენებათ, გაზეთი გასულ წელს დავაარსე და საახალწლოდ, ალბათ, კვლავ მისი რედაქტორი უნდა ვიყო. ეს, საზოგადოდ, არაა მაინცდამაინც პრომატევეადი სამუშაო, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი აქ დამკვიდრებული თემის კულტურული პროგრესისთვის.

გულითადი მოკითხვითა და უღრმესი ყურადღებით

თქვენი არტურ ლაისტი

„Kaukasische Post“-ის ადრესია: „Kaukasische Post“, Tiflis.

მეტი არაა საჭირო. იქნებ „Heimgarten“-ის²¹⁶ რედაქციაც დათანხმებულიყო ერთი თავისუფალი ეგზემპლარის მოცემაზე პორტოს

²¹⁶ გრაცში იმხანად გამომავალი ჟურნალი.

ანაზლაურების სანაცვლოდ?”

არტურ ლაისტმაც და ჰუგო შუხარტმაც ამის შემდეგ კიდევ თითქმის ოც წელიწადს იცოცხლეს. ძნელი სათქმელია, ჰქონდათ თუ არა მათ ამ პერიოდში მიმონერა. მაგრამ ერთი კი ცხადია: შუხარტი ნაცნობ-მეგობრებისა და კოლეგათაგან მიღებულ ყველა წერილს აკურატულად ინახავდა და არ ყრიდა, მის არქივში კი ლაისტის სხვა წერილი არ ჩანს. ეს მაფიქრებინებს, რომ მათი კონტაქტები რაღაც მიზეზის გამო შეწყდა.

დასასრულ, მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო. ჰუგო შუხარტის ნაშრომებზე ქართულის შესახებ ქართულ პრესაში გამომხაურებებს ძირითადად მოსე ჯანაშვილი და არტურ ლაისტი წერდნენ. რეცენზიები უპირატესად „ივერიაში“ იბეჭდებოდა, ზოგჯერ კი რუსულენოვან „Kavkaz“-შიც.

ქვემოთ მოვიყვან ყველაზე ადრინდელ გამომხაურებას, რომელიც შუხარტის ერთერთ პირველ ნაშრომს ეხება, 1895 წლის ზაფხულში ვენაში დასტამბულ წიგნაკს „Über das Georgische“. რეცენზია ეკუთვნის შუხარტის გზის გამკვალავს ქართულ სამყაროში, არტურ ლაისტს:

„ორიოდე სიტყვა პროფ. შუხარტის

წიგნის შესახებ

გრაჯის უნივერსიტეტის პროფესორმა და ვენის სამეცნიერო აკადემიის წევრმა გუგო შუხარტმა, რომელიც უკვე რამდენიმე ხანია ქართული ენის შესწავლასა და გამოკვლევას შეუდგა, გერმანულ ენაზედ დასტამბა ამ მოკლე ხანში პირველი თავისი გამოკვლევა ამ სათაურით: „Über das Georgische“ („ქართულის ენის შესახებ“), თავისს გამოკვლევას პროფესორი შუხარტი უძღვნის პროფ. მელიქიშვილს, რომელთან ერთად შუხარტი შარშან ზამთარში ქართულ ენას სწავლობდა; ეს ადგილი ქართულად არის დაწერილი ასე: „ნიშნად მადლობისა ვუძღვნი ჩემს საყვარელ მეგობარს პროფესსორს პ.მელიქიშვილს“. წიგნის სამეცნიერო შინაარსის შესახებ რასმეს გვეტყვიან, – ალბად პროფ. ცაგარელი და ხახანაშვილი, ჩვენ-კი ვიტყვიოთ მხოლოდ, რომ შუხარტმა თავისი გამოკვლევა საკუთრად ქართველებისთვის დასწერა, „რათა ჩააგონოს მათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულს ენას და განოინვიოს ქართველი სწავლულნი, რომ მათაც აღმოუჩინონ დახმარება უცხოელ მეცნიერთ“, „მე მსურს“, ამბობს შუხარტი, „მივაქციო ყურადღება ქართული ენის ზოგიერთ თვისებას, რომელნიც მეტად საყურადღებონი არიან“.

შუხარტი ძლიერ სწუხს, რომ აქამდის არ არსებობს კარგი ქართული გრამატიკა და უმთავრესად საყვედურს აცხადებს, რომ ქართულის ზმნის შესახებ არ დაწერილა საკმაოდ კარგი გამოკვლევა.

ბოლოს შუხარტი ამბობს: „რადგანაც «წიგნების გამოც. ქართ.

ამხანაგობა» ერთხელ უკვე გადასცდენია ხელოვნურ ნაწარმოებთა გამოცემას და დაუბეჭდია ასეთი წიგნი, როგორც არის „სამზარეულო“ (ალბად ლუარსაბ თათქარიძეებისათვის²¹⁷) იმედი მაქვს ეს საზოგადოება უარს არ იტყვის და ევროპულ გასტრონომთ შემოგვძღვნის ქართულ ზმნათა კარგს გამოკვლევას. მართალია, ამ კეთილის საქმისათვის ჯილდო ისე ჩქარა არავის მიეცემოდა და ოქროს არავინ ჩაიჩხრიალებდა ჯიბეში, მაგრამ ეს იქნებოდა პირველი საფეხური იმ კიბისა, საიდანაც ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა დანახვა ქართველი ერის წარმომდინარეობისა“.

არ.ლეისტი

ბათუმი, 15 სექტემბერი“

(„ივერია“, №202, 21.IX.1895).

²¹⁷ ეს და სხვა ადგილები ამ წიგნისა ამტკიცებენ, რომ პრ.შუხარტმა საკმაოდ კარგად იცის ქართული ლიტერატურა (ავტორის შენიშვნა).

ლევ ლოპატინსკი

კავკასიურ ენათა ცნობილი მკვლევარი ლევ ლოპატინსკი (1842-1922) დაიბადა გალიციაში, სოფ. დოლინოში. იგი ჯერ პრაჰის უნივერსიტეტში შევიდა, საიდანაც ლვოვის უნივერსიტეტში გადავიდა, რომელიც 1864 წელს დაამთავრა, და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. 1866 წ. ლოპატინსკი მიდის რუსეთში, სადაც ძველი ენების მასწავლებელი იყო სხვადასხვა ქალაქის გიმნაზიებში. 1874 წელს იგი ნოვგოროდ-სევერსკის გიმნაზიის ინსპექტორად დაინიშნა, 1877 წელს კი იმავე თანამდებობაზე გადაიყვანეს უფაში. 1881 წელს ლოპატინსკი დაინიშნა ტროიცკის გიმნაზიაში, ხოლო ორი წლის შემდეგ – პიატიგორსკში პროგიმნაზიის ხელმძღვანელად. ამან, თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია ლოპატინსკის დაინტერესებაზე კავკასიოლოგიით. 1883 წლიდან მან დაიწყო კავკასიის სხვადასხვა ენის შესწავლა. თავდაპირველად, რაკი ჩრდილო კავკასიაში იმყოფებოდა, ჩერქეზული და ყაბარდოული აითვისა, რომელთა შესახებ გამოკვლევები გამოაქვეყნა შესაბამისად 1888 და 1891 წლებში. 1889 წლიდან 1917 წლამდე ლოპატინსკი კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორია. სხვათა შორის, როცა კავკასიის სასწავლო ოლქის კურატორის ადგილი ვაკანტური იყო ან კურატორი ადგილზე არ იმყოფებოდა, ლოპატინსკი არაერთგზის ასრულებდა მის მოვალეობას.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მაღალი პოსტი ჰქონდა, ლოპატინსკი პოლიტიკაში არ ერეოდა, რამაც მას დიდი პატივისცემა და სიმპათია მოუპოვა მრავალეროვანი კავკასიის მოსახლეობაში. ალბათ, ამის გამო იყო, რომ მას არ აღირსეს კავკასიის სასწავლო ოლქის კურატორის ადგილი, თუმცა ყველასათვის თვალშისაცემი იყო მისი ადმინისტრაციული უნარი, ტაქტი, მრავალწლოვანი სასწავლო-პედაგოგიური სტაჟი და სოლიდური სამეცნიერო რეპუტაცია.

1917 წელს, რევოლუციის დასაწყისში ლოპატინსკი ძველებურად განაგებდა სასწავლო ოლქს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოლქში შეიქმნა კომისარიატი სასწავლო პროცესების სამართავად, იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამსახური, და მთლიანად სამეცნიერო მუშაობას მიეძალა. ახლადგახსნილ ამიერკავკასიის უნივერსიტეტში იგი თავდაპირველად დოცენტად აირჩიეს, შემდეგ კი პროფესორად, მაგრამ 1919 წლის შემოდგომაზე, უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ, მან დატოვა თბილისი, საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა და მუშაობა დაიწყო იქაურ უნივერსიტეტში პროფესორად,

სადაც კითხულობდა ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას.

ლოპატინსკი იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების შრომათა საერთო ხელმძღვანელი. ამ თანამდებობაზე იგი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა შეუცვლელად, 1921 წელს მან ბაქოში დააარსა ამ საზოგადოების აზერბაიჯანული განყოფილება, საკუთრივ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი კი იგი 1902 წლიდან იყო. 1914 წელს აირჩიეს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისა და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად.

1922 წლის 6 იანვარს დაბადების 80 წლის აღსანიშნავად მას იუბილე გადაუხადეს. ლოპატინსკის მეცნიერული საქმიანობის გათვალისწინებით ბაქოს უნივერსიტეტმა მას დისერტაციის დაუცველად მიანიჭა კავკასიური ენებისა და ლიტერატურის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ლევ ლოპატინსკი კავკასიურ ენათა თვალსაჩინო მკვლევარია. 1891-1913 წლებში რედაქტორობდა პერიოდულ კრებულს „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“. იგი ძირითადად ჩრდილო კავკასიის ენებს იკვლევდა, თუმცა გამოცემული აქვს „ლათინური ენის გრამატიკაც“. აღნიშნულ კრებულში ლოპატინსკის გამოქვეყნებული აქვს „მოკლე ყაბარდოული გრამატიკა“ და „რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი საძიებლითურთ“ (1890), „შენიშვნები ადიღური ენის კიახური დიალექტის შესახებ“ (1891), „ადიღური (ჩერქეზული) ტექსტები“ (1896), ნაშრომები კავკასიურ ენათა გავლენით რუსულში გაჩენილი სუფიქსების შესახებ (1902-08), მას ეკუთვნის აგრეთვე „ყაბარდოული ანბანი“ (1906) და სხვ. 1896 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტმა კავკასიური ენების კვლევის საქმეში განუთქმნა ნვლილისა და სადისერტაციო ნაშრომის დადებითად შეფასების საფუძველზე ლევ ლოპატინსკის დაუსწრებლად მიანიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

„Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ იყო სერიული გამოცემა. 46 ტომიდან 44 გამოიცა თბილისში (1881-1915), ხოლო ორი – მაჰაჩყალაში (1926 და 1929). გამოცემის ინიციატორი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის კურატორი კ.იანოვსკი (1822-1902). კრებულის გამოცემაში დიდი როლი ითამაშა ლევ ლოპატინსკიმ, რომლის რედაქციითაც გამოქვეყნდა 25 ტომი. კრებულში თანამშრომლობდნენ რუსი კავკასიისმცოდნეები და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მასში ქვეყნდებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ფოლკლორული მასალები და ნარკვევები, ძველი ისტორიული

ქრონიკები. გამოცემის მიზანი იყო კავკასიის ცალკეული სოფლების მონოგრაფიული შესწავლა. კრებულს დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის მოსახლეობის ისტორიული წარსულის, ეთნოგრაფიის, ყოფის, სულიერი კულტურისა და გეოგრაფიის შესწავლისათვის.

ამ ჟურნალს თვალს ადევნებდნენ არა მარტო კავკასიისა და რუსეთში, არამედ, მისი მეცნიერული ღირებულების გამო, საზღვარგარეთაც. ეს იყო, ალბათ, ერთერთი მიზეზი იმისა, რომ ლოპატინსკისთან დაახლოება ისურვა ჰუგო შუხართმაც. მართალია, შუხართს კავკასიური ენებიდან, კაცმა რომ თქვას, ძირითადად, ქართული აინტერესებდა, მაგრამ, როგორც დიდი დიაპაზონის მეცნიერმა, ქართულის მეზობელ ენებსაც მიაპყრო ყურადღება და საჭირო ინფორმაციის მისაღებად ლოპატინსკიზე უკეთეს კორესპონდენტს ვის ნახავდა?! უნდა ვივარაუდოთ, რომ ლოპატინსკიზე შუხართს არტურ ლაისტმა მიუთითა, რომელიც, როგორც ალექსანდრე ბეშკენაძე იგონებს, პირველი იყო, ვინც ქართულით დაინტერესების გარიჟრაჟზე ავსტრიელ პროფესორს, საერთოდ, საქართველოდან გამოეხმაურა და ხელი შეუწყო ქართველ ინტელიგენციასთან სამეცნიერო თუ სხვა სახის კავშირის დამყარებაში (ბეშკენაძეს უნდა ვენდოთ, რადგან რამდენიმე წლის განმავლობაში გრაცში სწავლობდა და, ბუნებრივია, როგორც ქართველს, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა სახელმძღვანელო პროფესორთან, მით უმეტეს, რომ ქართველმა მეცენატებმა შუხართს საგანგებოდ სთხოვეს, ყურადღება მიექცია ბეშკენაძისთვის). როგორც კი შუხართმა ქართულის შესწავლა განიზრახა, XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს არტურ ლაისტთან დაამყარა კავშირი, ხოლო შემდეგ მისი მეშვეობით ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებიც გაიცნო, ზოგიერთი მათგანი კი პირადადაც (პ.მელიქიშვილი, ა.ცაგარელი, ნ.ჟორდანიანი, ა.ბეშკენაძე, ნ.ლოლობერიძე...) ამ უკანასკნელთა ევროპაში ვიზიტების დროს. გრაცში, ჰუგო შუხართის არქივში, დაცულია ლევ ლოპატინსკის მიერ გაგზავნილი წერილები, რომლებშიც არეკლილია ერთი საუკუნის წინანდელი საქართველოს არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო თუ ყოფითი ხასიათის საკითხი. მათი გამომზეურება დაგვეხმარება იმ პერიოდის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში.

ლოპატინსკის წერილები შუხართისადმი დაწერილია გერმანულად და მოიცავს პერიოდს 1895 წლიდან 1913 წლამდე. თარგმანში უცვლელადაა დატოვებული ავტორის სახელის ორიგინალისეული დაწერილობა – ლეო და არა ლევ, რომლითაც მას კავკასიაში იცნობდნენ.

„15 სექტემბერი 1895
 თბილისი

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

დიდი ყურადღებით წავიკითხე თქვენი სახელდახელო შენიშვნები კავკასიური ენების შესახებ. მე სიამოვნებით ვუპასუხებ თქვენს შესაძლებელ შეკითხვებს გერმანულად, რადგან, როგორც გალიციელმა რუსმა, პრაჰისა და ლემბერგის²¹⁸ უნივერსიტეტებში მივიღე გერმანული განათლება, თუმცა ახლა გერმანულს ისე აღარ ვფლობ, როგორც ძველად. როგორც კავკასიის სასწავლო ოლქის (რუსეთი 14 სასწავლო რეგიონადაა დაყოფილი) საოლქო ინსპექტორს, ნამდვილად მაქვს საბაბი, ამ ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი ქვეყნის (და ცენტრალური აზიისაც) ყოველ კუნჭულს მივაპყრო მზერა, და, ბუნებრივია, ჩემს მოვალეობად ვთვლი, კავკასიური ენების კვლევისას ყველანაირი შესაძლებლობა გამოვიყენო. ზოგი რამ უკვე გავაკეთე და თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ სამეცნიერო წრეებში აღიარებას მოვიპოვებ. დღემდე Сборник-ის²¹⁹ 20 ნაკვეთია უკვე გამოცემული, ამჟამად XXI ნაკვეთზე ვმუშაობ, რომელშიც ადიღური (ჩერქეზული) ტექსტების მთელი წყება იქნება შესული. გეთაყვა, მაცნობეთ, რამდენი ტომი გაქვთ მიღებული, რათა ნაკლული ნაკვეთები გამოგიგზავნოთ (პირველი 12 ნაკვეთი უკვე გაიყიდა). ბატონი კურატორი, საიდუმლო მრჩეველი იანოვსკი, მეგობრულად გითვლით მადლობას თქვენი წერილისთვის.

ულრმესი ყურადღებით
 თქვენი ერთგული

ლეო ფონ ლოპატინსკი.

ჩემი ადრესია: Его п-ству Льву Григорьевичу Лопатинскому,
 Окружному инспектору Кавказского Учебного Округа.

Тифлиси, Московская, 8“.

ისე ჩანს, თითქოს ეს თბილისიდან გაგზავნილი პირველი წერილია, რადგან ლოპატინსკი შუხართს თავის მისამართს აცნობებს. მანამდე, ეტყობა, სხვა მისამართზე გაუგზავნა ან სხვისი მეშვეობით მიანვდინა შუხართმა წერილი. როგორც ზემოთ ითქვა, საფიქრებელია, არტურ ლაისტმა მიუთითა შუხართს ლოპატინსკიზე, რადგან ეს უკანასკნელი მეტად საჭირო კორესპონდენტი

²¹⁸ ლემბერგი დღევანდელი ლვოვია უკრაინაში.

²¹⁹ იგულისხმება იმხანად თბილისში გამომავალი ჟურნალი „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“.

უნდა ყოფილიყო გრაცელი პროფესორისთვის, რაკი, ჯერ ერთი, კავკასიური ენების სერიოზული მკვლევარი იყო, თანაც, გერმანული კარგად იცოდა (ასეთი ხალხი საქართველოში ცოტა თუ მოიძებნებოდა. საგულისხმოა, რომ, როგორც არტურ ლაისტი შუხართისადმი გაგზავნილ ერთერთ წერილში აღნიშნავდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში არავინ იცოდა გერმანული, და პროფესორს ურჩევდა, თბილისში ფრანგულად მიეწერა) და ასეთ კაცთან კორესპონდენციების გაცვლა ნაკლებ დროს მოითხოვდა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ, ჩვეულებისამებრ, 1899 წლამდე შუხართი ცდილობდა, წერილები კოლეგებისთვის იმ ქვეყნის ენაზე მიეწერა, სადაც აგზავნიდა. მერე, რაკი შეატყო, რომ ამას დიდი დრო მიჰქონდა, ამ ინიციატივას თავი დაანება. ალბათ, ერთგვარი ბიძგი მათს ნაცნობობას Сборник-მაც მისცა, რომელიც შუხართს კავკასიიდან მიაწვდინეს და, რაკი შეატყო, რომ ლოპატინსკი მისთვის საჭირო კაცი იყო, თბილისელი ნაცნობების მეშვეობით დაუკავშირდა მას.

პირველი წერილი შუხართმა, ვფიქრობ, კიანოვსკის კანცელარიაში გაგზავნა ლოპატინსკისთვის გადასაცემად, რადგან ამ უკანასკნელის ზუსტი მისამართი არ იცოდა.

№2

23 იანვარი/4 თებერვალი 1896

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მეტად ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს, დახმარება გაგინიოთ ჩვენი Сборник-ითა და უსლარის²²⁰ ნაშრომებით. ამჟამად ვმუშაობ Сборник-ის XXI ნაკვეთზე, რომელიც კარგა ხნის წინ იქნებოდა გამზადებული, რომ არა ჩემი ავადმყოფობა, რაც ჩრდილო კავკასიაში ჩემი უკანასკნელი სარევიზიო მოგზაურობისას შემეყარა და სასტიკად შემომიტია. ახლა საკმარისად დავისვენე და შემიძლია ადილური ტექსტები (ყაბარდოული, შაფსულური და აბაზური) დავამუშაო. ალბათ, მაისამდე შევძლებ ჩემი სამუშაოს დასრულებას.

უბიხური, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს ადილურსა და აფხაზურს შორის, კავკასიის მიწიდან მთლიანად აღიგავა.

როგორც ჩემთვის ცნობილია, უბიხები მცირე აზიაში, იზმიდის მიდამოებში, არიან კიდევ შემორჩენილნი და მე ვაპირებ, ისინი მომავალი წლის ზაფხულის არადადევების დროს მოვინახულო, რათა

²²⁰ პეტრე უსლარი (1816-75) - რუსი ლინგვისტი და ეთნოგრაფი, კავკასიური ენების ცნობილი მკვლევარი.

მათს ენაზე ვიმუშაო ცოტაოდენად. Сборник-ის ნომრები მთის ხალხთა შესახებ აქ, ალბათ, შეიძლება ჯერ კიდევ იშვოვოს კაცმა ბეგიჩევის²²¹ წიგნის მაღაზიაში. როცა შემთხვევა მომეცემა, გავიკითხავ. გერმანულ ან ფრანგულ ენაზე დაწერილი სტატიის გადათარგმნისთვის მიმართეთ ბატონ თაყაიშვილს (Его Высокоблагородию Евфимию Семеновичу Такайшвили, инспектору Дворянской школы, в Тифлис). უსლარის წიგნი აფხაზურის შესახებ სწრაფად გაიყიდა.

გრაფი ზიჩი იანვრის დასაწყისში თბილისში იმყოფებოდა და საშუალება მომეცა, მას ვწვეოდი. ჩემთვის არაა ცნობილი შედეგები მისი სამეცნიერო მოგზაურობისა ყაზიყუმხელების რეგიონში, სადაც იგი რამდენიმე დღით ჩავიდა იმ იმედით, რომ იქ რაღაც მსგავსებას იპოვიდა მაღიარულთან – რადგან რამდენიმე კვირის განმავლობაში ავადმყოფობის გამო შინიდან არ გავსულვარ.

მოტყევებს გთხოვთ, თუ ჩემი სათხოვართ ერთგვარად გაგრჯით: როგორც თქვენთვის ჩემი წინა წერილიდანაა ცნობილი, მე ავსტრიული²²² უნივერსიტეტი დავამთავრე (ლემბერგში) ჯერ კიდევ 1864 წელს და ჩემთვის მეტად სასურველი იქნებოდა, ლაიფციგის უნივერსიტეტში მიმეღო დოქტორის ხარისხი დაუსწრებლად. მე ვეყრდნობი ჩემს ნაშრომებს კავკასიური, აგრეთვე ირანული და სემიტური ენების შესახებ. რაკი ჩემთვის, საკმაოდ ხანდაზმული კაცისთვის, რომელიც 54 წლისაა, ძნელია ასე შორს მოგზაურობა და, ამას გარდა, საგრძნობი ხარჯებიც იქნება გასაღები, თქვენგან დიდად დავალებული ვიქნებოდი, თუ ჩემდამი კეთილგანწყობას გამოიჩენდით და წერილობით მაცნობებდით, რა პირობებია საჭირო დოქტორის ხარისხის მისაღებად.

ულრმესი ყურადღებით

თქვენი ერთგული

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

გრაფ ზიჩის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი, რაც შეეხება კონსულტაციას დოქტორის ხარისხის მიღების საქმეში, ჩანს, შუხართმა ოპერატიულად და დაწვრილებით მისწერა ლოპატინსკის, რა საბუთები უნდა გაეგზავნა ამ მიზნით ლაიფციგში.

²²¹ კონსტანტინე ბეგიჩევი – მწერალი, წიგნების გამომცემელი, ბუკინისტი და ანტიკვარი თბილისში.

²²² 1772 წლიდან გალიცია ლეოვიანად შედიოდა ავსტრიის, ხოლო 1867-1918 წწ. – ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში. სწორედ ამ დროს ეწოდა ქალაქს ლემბერგი.

მე გავითვალისწინე თქვენი კეთილგანწყობილი რჩევა და ჩემი თხოვნა გუშინ ლაიფციგში გავგზავნე. მას მივაყოლე აუცილებელი ვეგზემლარი Сборник-ის XII ნაკვეთისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელი შიგ საუნივერსიტეტო მონმობების ჩალაგება, რადგან ისინი სამინისტროს არქივებშია შენახული. ალბათ, მოვახერხებ ლემბერგიდან ასლების მიღებას. ჩემი სხვა შრომები, კერძოდ, ყუმუხური ტექსტები (XVII ნაკვ.), ქურთული, თალიშური, თათური, არამეულსირიული და ახალსირიული ტექსტებიც (XX ნაკვ.) დოკუმენტებისთვის არ დამირთავს, რადგან ისინი მე-18 პარაგრაფის პირობებს სრულად არ აკმაყოფილებდა. ყველა ზემოჩამოთვლილი ნაკვეთი Сборник-ისა 20-ვე ნაკვეთის შინაარსთან ერთად დიდი ხანია გამოგიგზავნეთ. ჩემი „ლათინურის გრამატიკა“ (6 გამოცემა) არ მიხსენებია.

ჩვენს Сборник-ში (VI ნაკვ.) არის ერთი პატარა უდიური ტექსტი (Рустам). თუ ის მოვძებნე, გამოგიგზავნით. იგი დაგაინტერესებთ იმ თვალსაზრისით, რომ იქიდან ჩანს მადიარებსა და უდიებს შორის სავარაუდო ნათესაური კავშირის სრული უსაფუძვლობა, რადგან, ალბათ, ჩერქეზებს (სახელი „პაჭანიკები“, ჩემი შეხედულებით, ჩერქეზულია) უფრო უნდა ჰქონოდათ პრეტენზია იმისა, რომ ამ ათასწლეულში ყველაზე საოცარი სწორედ მათი სისხლით ნათესაობის შესახებ წამოჭრილი საკითხი იყო.

ლაზურს მეგრულის კილოკავად თვლიან. მოკლე ხანში ზოგიერთ ტექსტს ჩავინერ ბათუმში. მათს ასლებს, რა თქმა უნდა, დაბეჭდვამდე თქვენ გამოგიგზავნით.

ნება მიბოძეთ, დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი თავაზიანი წინასწარი გარჯისთვის, რითაც თქვენ ჩემი, ალბათ, ამაო სურვილის შესრულებას ცდილობდით.

გულწრფელი ყურადღებით
 თქვენი ერთგული

ლევ ფონ ლოპატინსკი

P.S. ჩვენ თურმე, მართლაც, თანატოლები ვყოფილვართ: მე 1842 წლის 18 იანვარს ვარ დაბადებული²²³.

ამაო სურვილიო – წერს ლოპატინსკი. ეტყობა, მთლად არ ჰქონ-

²²³ რუსულ საბუთებში ლოპატინსკის დაბადების თარიღად 6 იანვარი უწერია, რადგან გათვალისწინებულია დროის ათვლაში იმხანად არსებული სხვაობა რუსეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის – 12 დღე.

და იმედი გადანურული, თორემ საოლქო ინსპექტორი ამაოდ არ წამოიწყებდა ამ სათუო საქმეს. გარდა ამისა, შუხართის შეწუხებაც არ ღირდა ტყუილუბრალოდ.

№4

„თბილისი
 11 ივლისი 1896

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

რამდენიმე დღის წინ პროფ. რატცელმა ლაიფციგიდან მაცნობა, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტმა მომანიჭა დოქტორის ხარისხი, გუშინ კი მივიღე ამ სასიხარულო ცნობის დამადასტურებელი თქვენი ძვირფასი წერილიც. რაკი მე აქედანაც შევიტყვე, რომ თქვენ ჩემი ნაშრომის რეცენზენტი იყავით, ჩემს წმინდა მოვალეობად ვთვლი, ჩემი უგულითადესე მადლობა მოგახსენოთ არა მხოლოდ თქვენი თანადგომისათვის დოქტორის ხარისხის მიღების საქმეში, არამედ ჩემი სადოქტორო შრომის კეთილგანწყობილი შეფასებისთვისაც. ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ მომავალში მომიხერხდება თქვენთვის მსგავსი სამსახურის განევა, რაშიც თქვენ დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ.

ულრმესი მადლობა Torre del Greco-ს ქართული ხელნაწერების შესახებ თქვენი უაღრესად საინტერესო შენიშვნების²²⁴ გამოგზავნისთვის. თქვენი შეხედულება მეგრულის ადგილისათვის ქართულთან მიმართებით, რომელიც გამოთქმულია წერილში „Georgian Folk Tales“-ის შესახებ²²⁵, ზოგიერთ აქაურ პოლიტიკოსს არ ესია მოვნა. ჩვენ აქ გვყავს არა მხოლოდ დიდად მეოცნებე სომეხი პოლიტიკოსები, რომლებიც ოცნებობენ ისეთ სომხეთზე, რომელიც გადაჭიმული იქნება მდ. დონის შესართავიდან კილიკიამდე, არამედ საქართველოს ისტორიული უფლების პატივისმცემელნიც, რომლებიც არა მარტო იგნორირებას უკეთებენ ენობრივ განსაკუთრებულობას სხვა ქართველური ტომებისას, როგორებიც არიან სვანები და მეგრელები, არამედ პრეტენზიასაც აცხადებენ აფხაზეთზე, ოსეთსა და სხვა მხარეებზეც, რომლებიც ერთ დროს საქართველოს ეკუთვნოდა.

ჩემთვის გამოგზავნილი მეგრულ-ლაზური ვოკაბულარი არაა მაინცდამაინც ფასეული, ასე რომ, Сборник-ში მისი დაბეჭდვა არ

²²⁴ იგულისხმება ჰ. შუხართის სტატია „ქართული ხელნაწერები Torre del Greco-ში“, 1896.

²²⁵ იგულისხმება გამოხმაურება მარჯორი უორდროპის ნაშრომზე „Georgian Folk Tales“, რომელიც ჰ. შუხართმა „Literarisches Centralblatt“-ში დაბეჭდა 1896 წელს.

შემიძლია. მე მას გადავამუშავებინებ და ავტორსაც (ბატონ მაჭავარიანს ბათუმში) ვთხოვ, ზოგიერთი ლაზური ტექსტი გამომიგზავნოს. მიიღეთ გასულ წელს გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონი ბაგაევისა? იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ იყო სუბსიდირებული და განკუთვნილია სახალხო სკოლებისთვის. ცოტა ხნის წინ თბილისში გამოვიდა „Этимологический словарь русского языка“ ტორიაევისა, აგრეთვე ჩვენი სასწავლო ოლქის მიერ სუბსიდირებული გამოცემა. ზემოხსენებულ გამოცემებს ჯერ კიდევ არ დადეგების დროს მიიღებთ.

ერთი კვირის წინ მივიღე ასლი ერთი არც მაინცდამაინც ძველი (1585 წ.), თუმცა, ერთი მხრივ, საინტერესო ეპიტაფიისა, რომელშიც ბერძნული ტექსტი რომელიღაც უცნობი ენის სიტყვებში იყო შერეული. მოსკოველმა პროფესორმა კორშმა მასში ჩერქეზული ივარაუდა და მე გამომიგზავნა გასაშიფრავად. ვარაუდი გამართლდა. ამრიგად, ეს რამდენიმე სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უძველესი ძველი ადიღური ენისა...

ულრმესი ყურადღებით

თქვენი ერთგული

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

როგორც ჩანს, ლოპატინსკის მიერ წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად შუხართი გამოუყვიათ და მას დადებითად შეუფასებია კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორის სამეცნიერო საქმიანობა. მოგვიანებით, იმავე წლის 26 ნოემბერს, შუხართს ანალოგიური თხოვნით ალექსანდრე ხახანაშვილმაც მიმართა, მაგრამ გრაცელმა პროფესორმა შუამდგომლობისაგან ამჯერად თავი შეიკავა: არა იმიტომ, რომ ხახანაშვილი ღირსი არ იყო ანდა ვერ აკმაყოფილებდა გერმანულ უნივერსიტეტთა მოთხოვნებს. არა! მან იცოდა თავისი კოლეგების ხასიათი და განწყობილება: ისინი არ დათანხმდებოდნენ, მათი აზრით, შემოვლითი გზით ამ მცირე დროის განმავლობაში დოქტორის ხარისხის მეორეჯერ დაუსწრებლად მინიჭებაზე.

№5

„თბილისი
30 ოქტომბერი 1896

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ამ დღეებში Сборник-ის XXI ნაკვეთს გამოგიგზავნით. მასში შესულია ადიღური ტექსტები და, ამას გარდა, დამატებითი საკითხები ყაბარდოული გრამატიკისა. ეს შევსებები მეტწილად ეხება

ობიექტის კაუზატივს, ზოგიერთ ისეთ მოვლენას სინტაქსიდან, რომ-
ლებიც ადრე არ ყოფილა განხილული, და III პირის ნაცვალსახელს...

XXII ნაკვეთი Сборник-ისა უკვე იბეჭდება. იგი მეტწილად მოი-
ცავს არქეოლოგიურ საისტორიო მასალებს. ლინგვისტიკა მწირადაა
წარმოდგენილი.

მოუთმენლად ველი თქვენს სტატიას ქართველური ეთნო-
გრაფიის შესახებ.

ულრმესი ყურადღებით

თქვენი ერთგული

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

№6

„თბილისი

21.1.1897

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ქუთაისში აღმოჩნდა საკმაოდ ძველი ლიტურგიკონი XVIII საუ-
კუნის პირველი ნახევრისა (1710 წ.) ბაგრატიონების გერბით და ვახ-
ტანგ VI-ის გამოსახულებით. ეს ნაბეჭდი „კურთხევანი“ იმითაა აღსა-
ნიშნავი, რომ შეიცავს სახელებს მბეჭდავისას (ვილაც რუმინელისას)
და ნ გართიმულ ტაეპს რუმინულ ენაზე. რუმინული გადმოცემულია
არა საეკლესიო სლავურით, როგორც ეს ყოველთვის იყო მიღებული,
არამედ ქართული ასოებით. მინაწერი რუმინული ტექსტისა ასეთია:
„დაიბეჭდა ქ.ტფილისსა ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა
უნგრო-ვლახელისათა ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და
ათსა.

- ქ: პრეკუმ ჩეი სტრეინი დორესკ: მოშია სეშა ზე
კინდ სინტინტრალტე ტარე: დენუპტსეშა ზე:
- ქ: ში კაჩეი ჩეს პრე მარე: ბატუნ დე ფურთუნა:
ში როაგა პრე დუმნეზეუ: დე ლინიშტე ბუ ნა:
- ქ: აშა ში ტიპოგრაფი: დო კერცვი სფერშირე:
ლაუდა ნენჩტატა: დაუ: ში მულცემი რე: ...“

განსვენებული ქართველი არქეოლოგი ბაქრაძე²²⁶, რომელმაც
ჯერ კიდევ 1878 წელს მიაქცია ყურადღება ამ რუმინულ წარწერას,
მას რუმინულის ტრანსლიტერაციურ დიალექტს მიაკუთვნებდა, რაც მე
სარწმუნოდ არ მეჩვენება, რადგან სტეფანეშვილი თავს უნგრო-
ვლახელად თვლის, ეს კი, რამდენადაც მე ვიცი, დიდი ხნის წინ დუ-

²²⁶ დიმიტრი ბაქრაძე (1826-90) – ცნობილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი.

ნაი-ვლახეთს (უნგრო-ვლახეთის ეპარქია ბუქარესტში) მიეკუთვნებოდა.

თუ თქვენ, დიდად პატივცემულო ბატონო, რუმინელ სწავლულთა წრესთან კონტაქტი გაქვთ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ წარწერის გამოქვეყნება მათთვის სასურველი იქნებოდა, თუკი, რა თქმა უნდა, მათთვის აქამდე ცნობილი არაა.

რაკი ჩვენ წლოვანებით თანატოლები ვართ, როგორც ეს ჩვენი შარშანდელი მიმწერიდან გაირკვა, ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი, თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად ჩემი გულითადი მოლოცვა გამოგიგზავნოთ.

ულრმესი ყურადღებით თქვენი

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

№7

„9.II.1897

თბილისი

ღრმად პატივცემულო ბატონო!

ვჩქარობ, რომ პასუხი გავცე თქვენს შეკითხვას რუმინული ტექსტის შესახებ:

- 1) ქარის შემოკლება სიტყვისა „ქალაქსა“
- 2) სტრეინი სწორია
- 3) კინდ სწორია
- 4) დო სწორია
- 5) მეორე ორწერტილი, მართლაც, არის, მაგრამ ზედმეტია.

გულითადი მადლობა თქვენი ფოტოსთვის, რამაც ჩემში სასიამოვნო გაცემა გამოიწვია. ჩვენ თანატოლები ვართ, მაგრამ მე გაცილებით უფროსად გამოვიყურები, რისი საბუთიც ჩემი ფოტო იქნება, რასაც მოკლე ხანში გამოგიგზავნით. იტალიური Liracco მურის²²⁷ ნაპირზე ისე გამანადგურებლად არ მოქმედებს, როგორც ტრანსკასპიური აღმოსავლეთის ქარი მტკვრის სანაპიროზე.

ნაღდად ასეთივეა მშვენიერი შტირია²²⁸, რომელიც თავის სახელწოდებას, ალბათ, ჩვენს კავკასიურ ირონებს (ოსებს) უნდა უმადლოდეს (st'ur ან st'ir „დიდი“ – მაშასადამე, დიდი ქვეყანა, Kraina-ს საპირისპიროდ, რაც პატარა ქვეყანას ნიშნავს)...

²²⁷ მური – მდინარე ავსტრიაში, რომლის ნაპირებზეცაა გრაცი გაშენებული.

²²⁸ ავსტრია 8 მიწად, ანუ მხარედ, არის დაყოფილი. ერთერთი მათგანია შტირია (ანუ შტიერმარკი), რომლის მთავარი ქალაქია გრაცი, სადაც შუხარტი ცხოვრობდა.

თქვენი სტატია ქართველური ენათმეცნიერების შესახებ²²⁹ დიდი ინტერესით ნავიკითხე.

მ.ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ (პარიზი, 1831, გვ. XLV) ლაპარაკია ვატიკანში არსებულ ქართულ ხელნაწერზე. ბატონ თაყაიშვილს (აქაურ ქართველ არქეოლოგს)²³⁰ აინტერესებს, ნამდვილად არის თუ არა ასეთი ხელნაწერი რომში, და, თუკი ეს მართლაც ასეა, ხომ არაა იგი ეგზემპლარი ქრონიკისა „ქართლის ცხოვრება“ (ვახტანგის ან მასზე ადრინდელი პერიოდისა) ან იქნებ საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, რომელიც არა-იშვიათად „ქართლის ცხოვრებადაც“ არის მოხსენიებული.

ბატონი თაყაიშვილი გთხოვთ, ხომ ვერ შეძლებდით ვინმეს მეშვეობით რომაელ მეცნიერებში გაგეკითხათ საჭირო ცნობების თაობაზე ამ საკითხის შესახებ, რადგან ვატიკანის ბიბლიოთეკაში აღნიშნული ხელნაწერის არსებობის შემთხვევაში შეიძლებოდა იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ან რუსეთის საელჩოს მიერ გამოგვეთხოვა, რათა აქ, თბილისში, გამოგვექვეყნებინა.

დიდი ყურადღებით

თქვენდამი ერთგული

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

№8

„თბილისი

21 ნოემბერი/3 დეკემბერი 1897

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

რუსულ ანდაზას „лучше поздно, чем никогда“ მივდევ და თავს ნებას ვაძლევ, გამოგიგზავნოთ ჩემი პორტრეტი, როგორც ნიშანი ჩემი გულითადი პატივისცემისა. რა თქმა უნდა, მე ისე ახალგაზრდულად არ გამოვიყურები, როგორც თქვენ. ჩვენი პირობები სრულიად განსხვავებულია: თქვენ კვლავინდებურადვე ბერბიჭა ხართ, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ქორწინების შესაძლებლობა²³¹, მაშინ როდესაც მე ექვსი უკვე მოზრდილი ვაჟის მამა ვარ.

დიდი მადლობა „ქართველური ენათმეცნიერების“ მესამე ნაწილისთვის. თუ ნებას მომცემთ, თქვენი მეტად საყურადღებო ნაშრომიდან „ქართველური ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“ რაღაც ნაწილს ჩვენს „Сборник“-ში შევიტანდი ან, სულაც, მას, შესაძლოა, მთლიანად გადავთარგმნიდი რუსულად.

²²⁹ იგულისხმება „ქართველური ენათმეცნიერება“, I, II, ვენა, 1896.

²³⁰ იგულისხმება ცნობილი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953).

²³¹ შუხართს არც შემდეგ შეურთავს ცოლი.

იმედი მაქვს, „Сборник“-ის XXIII ნაკვეთი უკვე მიიღეთ. XXIV ნაკვეთი მომავალი წლის თებერვალში გამოვა, ამავე დროს XXV ნაკვეთიც მალე დაიბეჭდება, რომელშიც ახალი ჩერქეზული ტექსტები (სიმღერები და ანდაზები) შევა.

გულითადი ყურადღებით

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

№9

„თბილისი

23 აპრილი/5 მაისი 1898

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ამ დღეებში გამოგეგზავნათ „Сборник“-ის XXIV ნაკვეთი, რასაც მე განსასჯელად თქვენს მეცნიერულად ნაცად და შეუცდომელ ალლოს მივანდობ. ამ ნაკვეთში ახალია: ბერძნული მეტყველების საფუძვლები, ველოკორუსული ეპოსისა და თათრულის მასალები ანდაზების მიხედვით. გარკვეული დროის შემდეგ, ალბათ, შეგეძლება დასკვნების გაკეთება თათრული ხალხური ფსიქოლოგიის შესახებ. XXV ნაკვეთი ამჟამად იბეჭდება. მასში შევა დოქტორ ბენედიქტსენის მიერ ჩანერილი უბიხური ტექსტები. უბიხები აღარ ცხოვრობენ რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ მათი ენა, რომელიც შუალედური რგოლია აფხაზურსა და ადიღურს შორის, კავკასიური ლინგვისტიკისთვის მეტად საინტერესოა.

აპრილის დასაწყისში აქ იმყოფებოდა გრაფი ზიჩი თავის უნგრულ ექსპედიციასთან ერთად და კავკასიაში გაატარა რამდენიმე კვირა. ამჟამად იგი ბაშკირეთშია (უფის გუბერნიაში) წასული, საიდანაც თავის მოგზაურობას ციმბირსა და აღმოსავლეთ აზიაში გააგრძელებს. მისი სამეცნიერო მოგზაურობის რეზულტატი უფრო ანთროპოლოგიურია, ვიდრე ლინგვისტური ხასიათისა. მაგრამ, როგორც გრაფი მარწმუნებდა, კლაუზენბურგელმა²³² დოქტორმა ბალინტმა ყაბარდოში ზოგი რამ მოიპოვა მადიარული ენათმეცნიერებისთვის და უდავო მტკიცებულებაც ყაბარდოელებისა და უნგრელი კაბაცების იდენტიფიკაციისთვის. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ სხვადასხვაგვარი ხალხური ელემენტის შერწყმისთვის, საიდანაც თანამედროვე უნგრეთი წარმოიქმნა, გარდა ფინური და თურქული შემადგენელი ნაწილებისა, ადიღურ შენარევსაც უნდა ჰქონდეს გავლენა. ამას უნდა ეყრდნობოდეს გრაფი ზიჩი თავის წიგნში.

შტრალზუნდელი^{232ა} დოქტორი ბადკე ძლიერ დაინტერესებულია ქართული ენით. მან მომმართა, რათა მისთვის ამეხსნა ზოგი რამ

²³² კლაუზენბურგი დღევანდელი ქ.კლუჟია რუმინეთში.

^{232ა} შტრალზუნდი ქალაქია ჩრდილო გერმანიაში.

ქართული მახვილის შესახებ. მე ვთხოვე ჯანაშვილს, საჭირო განმარტებები ჩამოეყალიბებინა რამდენიმე ძირითადი წესის სახით, რაც მან დაუზარებლად შეასრულა.

გულწრფელი ყურადღებით
 თქვენი ერთგული

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

გრაფ ევგენი ზიჩის მოგზაურობა კავკასიაში პირველი არაა. ჯერ კიდევ სამი წლის წინ, 1895 წელს, შუხართი მის შესახებ წერდა: „ერთი უნგრელი გრაფი წელს თავისი წინაპრების კვალს მიჰყვა კავკასიის ქვეყნებში. მან და მისმა თანმხლებებმა, როგორც 21 ივნისის „Budapesti Hirlap“ იუწყება, ჩერქეზეთში მიაკვლიეს მადიარების მონათესავე თურანულ ტომს. ლოპატინსკიმაც, რომელსაც ჩვენ ჩერქეზულის შესახებ დანვრილებით ცნობებს უნდა ვუმაძლოდეთ, ივარაუდა ეს ნათესაობა და ამიტომ შეისწავლა მადიარული“²³³.

რაკი უნგრელი გრაფის, ევგენი ზიჩის, სახელი უკვე ორ წერილში არის მოხსენიებული და ქვემოთ კვლავ შევხვდებით, ვნახოთ, რას წერდნენ გრაფ ზიჩისა და მის ექსპედიციაზე ქართული გაზეთები თუ ცალკეული სწავლულები, ვისაც მასთან შეხვედრა ჰქონია:

„გუშინ, 4 ივლისს, გაემგზავრა ტფილისიდან უნგრეთის ექსპედიცია, რომელსაც აზრად აჰქონდა გამოეკვლია, სად და რა ნიშნები დაუტოვებია უნგრეთის ერს ხალხთა გადასახლების დროს საქართველოზედ. ექსპედიცია შემდგარია გრაფის ზიჩის ხარჯით. ამ ექსპედიციაში მონაწილეობას იღებენ თვითონ ზიჩი, კლაუზენბურგის პროფესორი სადეცკი, აბბატი-არხეოლოგი მორიც ვოჰანსკი, პროფესორ-ლინგვისტი გაბ. ვალლინტი, მიუნხენის მხატვარი კარლ ვუტტე, თარჯიმანი იაკ. ჩილონგარიანი და მეტყევე პილი. ექსპედიცია ყოფილა ჩრდ. კავკასიაში, ყაბარდოსა და ნალჩიკში, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებაში აღმოუჩენია ამ ერის ნათესაობა უნგრელებთან. ყველაზე მეტად ექსპედიციის ყურადღება მიუპყრია ხუნძაყს, სადაც რამდენიმე ნივთიც-კი უპოვნიათ ისეთი, რომლებიც წამდვილად ამტკიცებენ უნგრეთელთა აქ ყოფნას („ივერია“, № 140, 5. VII. 1895).

1895 წლის 25 აგვისტოს „ივერია“ (№ 182) შემდეგ ცნობას აქვეყნებს:

„გრაფი ზიჩი თ.-თ. ციციშვილებში

უნგრეთის საარხეოლოგიო კომისია, რომლის თავმჯდომარეთ უნგრეთის არისტოკრატი და დიდი შეძლებული ზიჩი არის არჩეული, ჩამოვიდა, როგორც მოვიხსენიეთ ამას წინად, კავკასიაში იმ აზრით,

²³³ ვ. შუხართი, „ქართული ენის შესახებ“, ვენა, 1895, გვ. 6.

რომ ძველი უნგრეთის ხალხის თაობაზედ რაიმე ნაშთი პოვოს.

სხვათა შორის, როდესაც გრაფს გაუგონია, რომ ქართლში ცხოვრობენ თავადნი ციციშვილები და ეს გვარი თავის გვართან შეუდარებია, მოუსურვებია მათი ნახვა და გაცნობა. მთელი კომისია გამგზავრებულა და მისულა თავადნი ციციშვილებში. რასაკვირველია, ქართველურის პურ-მარილით, დარბაისლობით და სტუმართ-მოყვარეობით მიჰგებებიან იმ კომისიას მთელი გვარეულობა ციციშვილთა. გრაფი ზიჩი ისეთ აღტაცებაში მოვიდა დიდებულ მასპინძლობით და ძველებურის მოლხენითა და დროს გატარებით, რომ სამაგიეროდ მიიწვია მთელი გვარი უნგრეთში მომავალ არხეოლოგების კრებაზედ, თავისის ხარჯით...

გრაფი თითქმის გამონათესავებია: „თქვენ უსათუოდ უნგრელები უნდა იყოთ, ან მე ქართველი ვყოფილვარ ოდესმეო. უსათუოდ უნდა მენვიოთ ჩემს სამშობლოში და ვეცდები მაგიერი პატივისცემა იქ გადავიხადოთ“.

„ივერია“ იმონმებს ზიჩის სიტყვებს მისი წიგნიდან ექსპედიციის შესახებ: „რომ გავარჩიოთ ყველა ის, რაც ძველს ავტორებს... აქვთ ნათქვამი, დავრწმუნდებით, რომ ქრისტეს შობის შემდეგ, მე-II საუკუნიდან დაწყებული, ჰუნები კავკასიასა, მდინ. დონსა და ვოლგას შუა სცხოვრობდნენ, რომ ჰუნნი და ავარნი ერთისა და იმავე ხალხის შტოებს შეადგენენ. აქ საჭირო აღარ არის ითქვას რამე იმ ისტორიულ კავშირის შესახებ, რომელიც ჰუნთა და მადიართ შორის არსებობს, კავშირისა, რომელიც გრაფმა გეზა კიუუნმა, იოსებ ტიურიმ, ჰენრიხ მარკრალიმ, გეზა ნალუმა და ბერნარდ მუნკაჩიმ აღიარეს და დაამტკიცეს...“

ჰუნებისა და მადიარების შემდეგი ისტორია ამბობს, რომ ეს ერი სამ ნაწილად გაყოფილა: ერთი ამათგანი დასავლეთისკენ წასულა და უნგრელთა ეროვნება შეუდგენია, რომელმაც თავისი ენა მთელის ათასის წლის განმავლობაში არ დაჰკარგა, მეორე ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ წასულა და შეერთებულა იმ ერებთან, რომლებიც მაშინ იქ სახლობდნენ, იქ, სადაც დღეს ბაშკირნი სცხოვრობენ; მესამე კავკასიაში დაბრუნებულა, ჯერ ერთი იმისთვის, რომ მთელი რვა საუკუნე მადიართა ერმა აქ გაატარა, მეორე იმისთვის, რომ კავკასიას მრავალ საუკუნის განმავლობაში ბევრი სხვა-და-სხვა ერი თავს აფარებდა, სწორედ ეს გარემოება მაძლევს ნებას, რომ ძველ მადიართა ნარჩენი ხალხი, რომელიც დღემდის დაშთენილა, აქ ვეძიო“.

აქ გრაფს ზიჩს ძველ-ახალ დროის ავტორების ნაწერები მოჰყავს თავისის აზრის დასამტკიცებლად და ამბობს, რომ მე თვითონ ბევრი რამ ვპოვე ისეთი, რაიცა კავკასიის ტომთა უნგრელებთან ნათესავობას ამტკიცებსო („ივერია“, № 173, 23. VIII. 1897).

„ტფილისში მოვიდა გრაფი ევგენი ზიჩი, მას თან ახლავს თავისი

ერთი ნაწილი ექსპედიციისა... გრაფს თან აქვს მრავალი თხზულება ჩინეთისა, მონგოლეთისა და ბაშკირების შესახებ. შარშან გრ. ზიჩმა დაასრულა... ვენგერთა ტომის შესახებ თავისი წიგნი, რომელიც შედეგად მოჰყვა მის მიერ კავკასიის პირველ სვლას („ცნობის ფურცელი“, №482, 15.III.1898).

„ამ სამიოდ წლის წინად ტფილისში ჩამოვიდა გრაფი ზიჩი, რომელიც მოგზაურობდა კავკასიაში, საგანი ამ მოგზაურობისა, გრაფის სიტყვებით, ის იყო, რომ გამოეკვლია, თუ საიდან წარმოსდგებიან ეხლანდელი უნგრეთელი. მეცნიერებას დღემდე ვერ გამოუკვლეოვია, თუ საიდან, ან რომელ ტომიდან წარმოსდგებიან ეხლანდელი უნგრეთელი, რომელიც ათასს წელიწადზე მეტია, რაც დასახლდნენ ეხლანდელს უნგრეთში მდინარე ტისასა და დუნაის ვაკეთა შორის. ზოგნი უნგრეთელს ოსმალს ერს აკუთნებენ, ზოგნი გუნებს, ზოგნი კიდევ კავკასიის ტომს და სხვა.

თვითონ გრაფი ევგენი ზიჩი ეკუთვნის უნგრეთის ერთს უძველესს გვარეულობას; იგი დიდი მებატონეა უნგრეთში და სახელმწიფო სამსახურში ითვლება (მაგნატი). საქართველოში ყოფნის დროს, სხვათა შორის, გრაფი ზიჩი ესტუმრა ან განსვენებულს თავ. გიორგი ივანეს ძე ციციშვილს ზვედურეთში და ერთი კვირა დაჰყო ციციანთში. გრაფი ზიჩი იმ აზრისაა, რომ ჩვენებური ციციანნი და უნგრეთელთა ზიჩები (ანუ ზიჩიანნი – ვ.ი.) ერთისა და იმავე სახლობიდან უნდა იყოს („ცნობის ფურცელი“, №249, 9. VII. 1898).

ამ შეხედულებას ყველა როდი იზიარებდა.

„ეს გრაფი ზიჩი კავკასიაში მოგზაურობის დროს ქართლში თავ. ციციშვილებსაც ეწვია და მაშინვე გამოსთქვა ეს აზრი, რომ ჩვენ და ქართველები ერთმანეთის მონათესავე ერნი უნდა ვიყვნეთო. მერე, განა შესაძლებელია ამ საგნის შესახებ ან „არა“ და ან „ჰო“ ითქვას გადაჭრით? დღემდის კავკასიაში მოსახლე ერთა ვინაობა სრულიად გამოუკვლეველია და ადვილად შესაძლებელია, მართლაც უნგრელებთან რაიმე ნათესავობა გვექონდეს. ამას მომავალი გამოკვლევა აღმოაჩენს; ჯერ დღემდის-კი ისეუ ის უნდა ვთქვათ, რომ სასურველია, ისეუ ჩვენმა ხალხმა მიჰყოს ხელი ამ გამოკვლევას, მაგრამ ისე-კი არა, როგორც დღემდის გვჩვენია: ვინც-კი ერთს რომელსამე ისტორიულს ნაშთს ნახავს, მასზედ დაშთენილს წარწერას ნაიკითხავს, ვისსამე საისტორიო სახელმძღვანელოს შეისწავლის და ორს-სამს ისტორიულს ბიბლიოგრაფიას დასწერს, ყველას დიდი ისტორიკოსი და მკვლევარი ჰგონია თავი. ამ საგნისთვის-კი ჯერ ერთი ენების ცოდნაა საჭირო, მეორე საფუძვლიანი განათლება და მესამე ღრმა დაკვირვება, რაიცა დღემდის ჩვენში იშვიათი მოვლენაა. აი, მაშინ შეიძლება გაკეთდეს რამე ამ მხრივ, თორემ სულ ერთთავად უცხო ერთა სწავლულების ხელში შეცქერა და იმათგან სასიამოვნო

სიტყვების გაგონება, როგორც მაგ. ციციანოვები და ზიჩები ნათესავეები არიანო, ვერაფერი ნუგეშია („ივერია“, № 173. 23.VIII. 1897).

ზიჩის ექსპედიციაზე თბილისში მცხოვრები გერმანელი ეთნოგრაფი კარლ ჰანი²³⁴ შუხაროს სწერდა (14.VII. 1895):

„რაც შეეხება უნგრულ ექსპედიციას, ნება მომეცით, მის შედეგებზე ჯერ არ გამოვთქვა ჩემი აზრი: ბატონები ვრცელ ნაშრომში გამოაქვეყნებენ, თუ რას მიაკვლიეს. ჯერჯერობით კი მე ჩემი ანგარიში მოგზაურობის შესახებ, რომელშიც განსხვავებული თვალსაზრისია მოცემული, მიუნხენში გავგზავნე „Allgemeine Zeitung“-ში, სადაც მალე დაიბეჭდება. მე დიდი ხანია იმ თვალსაზრისს ვადგავარ, რომ იგივეობა და მსგავსება ენებისა ყოველთვის არ არის აუცილებელი პირობა ხალხთა ნათესაობის დასამტკიცებლად, ეს არაა საკმარისი, ისევე როგორც ენათა განსხვავებულობა არ გამოორიცხავს ხალხთა ნათესაობას. უნგრული ექსპედიციის წევრებს შორის კლაუზენბურგელმა პროფ. ვალინტმა იცის ბევრი რამ აზიური ენების შესახებ (თუმცა არ იცის ქართული), მაგრამ იგი თავისი შეხედულების გამოთქმისგან ჯერჯერობით ძალიან იკავებს თავს. პროფ. ზადეცკის არა აქვს არავითარი ენათმეცნიერული ცოდნა, არქეოლოგი ვოშინსკი თავის საქმეში ძალიან ძლიერი ჩანს. გრაფი ძალიან ნაკითხია და საუცხოოდ იცის კავკასიის ლიტერატურა. საერთოდ, ექსპედიციას უფრო ნეგატიური შედეგი აქვს, ვიდრე პოზიტიური. ესაა ჩემი არაავტორიტეტული აზრი, რომელიც მინდა, რომ ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩეს“.

№ 10

„4/16 იანვარი 1899
თბილისი

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

წლები გადის! ალბათ, ორივემ ნუხილი უნდა გამოვთქვათ ამაზე, მაგრამ კაცი უნდა შეურიგდეს გარდაუვალს და დედაბუნებას დაემორჩილოს. ადამიანმა კარგი გონება და ჯანმრთელობა ღრმა მოხუცებულებამდე რომ შეინარჩუნოს, ესა მთავარი. ამიტომ წრფელი გულით გისურვებთ ამას თქვენი 57-ე დაბადების დღისთვის.

„Сборник“-ის XXV ნაკვეთი ორი კვირის წინ გამოვიდა და უკვე გამოგეგზავნათ. იმედი მაქვს, ამ დღეებში მიიღებთ. ადილური ტექს-

²³⁴ კარლ ჰანი (1848-1925) – კავკასიოლოგი, თბილისის I გიმნაზიაში, ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა გერმანულ, ბერძნულ და ლათინურ ენებს. დაბეჭდილი აქვს ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის შრომები. გამოაქვეყნა „ძველი მწერლების ცნობები კავკასიის შესახებ“ ორ ტომად.

ტები გაგრძელდება და მე უკვე შევავგოვე მასალა ჩერქეზულ-რუსული ლექსიკონისთვის, რომელიც, ალბათ, ერთი წლის შემდეგ გამოვა; საგრძნობლად გაღრმავდა ჩემი გრამატიკული შტუდიებიც.

თქვენმა მნიშვნელოვანმა სტატიამ „ლიტერატურა ენათა ბრძოლის შესახებ“ ჩემში ზოგიერთი მოსაზრება აღძრა. პრეტენზიები ეროვნული ქვეყნების მიმართ, როგორებიცაა გერმანია და რუსეთი, არის სხვა, ვიდრე ერების ისეთი კონგლომერატებისა და ხალხთა დიდი გაერთიანებების ნაწილების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, ავსტრია... ავსტრიაში და, ალბათ, უნგრეთშიც შეიძლებოდა გვეფიქრა მოკინკლავე ეროვნებების მშვიდობიან თანაარსებობაზე (იმგვარად, როგორც ეს შვეიცარიასა და ბელგიაშია). ასე მაგალითად, ბოჰემიაში შეიძლებოდა ჩეხებსა და გერმანელებს კეთილად ეცხოვრათ. რაც შეეხება ვენას, ძნელი წარმოსადგენია, რანაირ სახეს მიიღებს ეს ქალაქი თუნდაც უკვე მომავალ საუკუნეში. ეს დამოკიდებული იქნება მრავალ ფაქტორზე და, ალბათ, პოლიტიკურ-ეკონომიკურზეც მათ შორის, რადგან, როცა ეს ახლანდელი დედაქალაქი ავტონომიური ტენდენციების ზრდით თავის მნიშვნელობას დაკარგავს და თავის ძალას გადასცემს უნგრულ ცენტრსა და ავტონომიურ ცენტრებს, როგორიცაა პრაჰა და მსგავსნი, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე, რომ სხვა ელემენტებიც ასეთნაირად მოიქცეოდნენ. გალიციაში მდგომარეობა, ცხადია, არ მოგვაგონებს მშვიდობიან თანაარსებობას ორ ახლო მონათესავე სლავურ ეროვნებას შორის. უკრაინელებს პოლონელები შეუბრალებლად ეპყრობიან, ეს პოლონელებს მათს მჭიდროდ დასახლებულ სამშობლოში უკან მიუბრუნდებათ, ცხადია, უფრო მეტი სიმშვიდით და თავდაჯერებულობით რუსული სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, რადგან მათთვის უცხოა ფიქრი პოლონელების დენაციონალიზაციის შესახებ. ისინი მხოლოდ პოლიტიკურ ზენოლას მოახდენენ პოლონელებზე, რაც მათ შორის შეტაკებისას ვისლის ნაპირებთან იქ დივერსიაში არ გადაიზრდება.

კავკასიაში ეროვნებების მისწრაფებას ჯერ კიდევ არ მიუღია მყარი ფორმები. ქართველები რუსებთან ერთად ხელისხელჩაკიდებულები არიან, სომხები კი, ცხადია, ოცნებობენ დიდ სომხეთზე თბილისით, ერზრუმითა და კილიკიით, მაგრამ ისინი უცხო ელემენტებით ისე არიან დაშლილი, რომ მათს სერიოზულ მოძრაობაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. რაც შეეხება თათრებს, ისინი ჯერჯერობით თავიანთი კულტურული განვითარებით დაბალ საფეხურზე დგანან. ბალტიისპირეთის პროვინციებში ავტოქტონური ესტონელები და ლატვიელები დაუპირისპირდებიან გერმანელებს და, რუსულმა ენამ რომ ქალაქსა და სოფელში ფეხი მოიკიდა და თანდათან ვრცელდება, ამის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ სახელმწიფო გონიერება მოით-

ხოვს, რომ იგი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, რუსული სახელმწიფოს სხეულზე მაგრად უნდა იყოს მიჯაჭვული. იმავეს არ გააკეთებს გერმანია პოზენში, ლოტარინგიაში (მეტცი და შემოგარენი) და ჩრდ. შლეზვიგშიც? მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ნაციონალური სახელმწიფოა, ფინეთი სარგებლობს სრული თვითმმართველობით და ამ ქვეყნის ავტონომიას ვერავინ ხელყოფს. იქიდანაც ყვირიან და აშინებთ დაპირისპირება, მაგრამ, ცხადია, უსაფუძვლოდ. შვედები კარგი მეზობლები არიან, ფინელებს კი თვითონ სურთ, რაიმე საერთო ჰქონდეთ მათს ძველ სიუზერენ შვედებთან.

ორი თვის შემდეგ პატარა მოგზაურობას ვაპირებ უცხოეთში – გისენში, რათა მოვინახულო პედაგოგიური სემინარია. ხომ ვერ მიზამდით სიკეთეს და რეკომენდაციას მომცემდით დირექტორთან, დოქტორ შილერთან? დიდად მადლობელი დაგრჩებოდით, რადგან, როცა კაცს რაიმეს დათვალე იერება და ამავე დროს სწავლაც სურს, მაშინ წრფელი გულით განეული ყოველნაირი დახმარება მეტად სასურველია.

გულითადი მოკითხვითა და პატივისცემით

თქვენი ლეო ფონ ლოპატინსკი“.

№ 11

„17/29 აპრილი 1899

თბილისი

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ჩემი გეგმები საგაზაფხულო მოგზაურობისა გისენში პედაგოგიური სემინარიის მოსანახულებლად, სამწუხაროდ, ჩაიშალა. მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა თქვენი რეკომენდაციისთვის ბატონ შილერთან, რომელიც თქვენ დაუზარებლად მომეცით და რომლის გამოყენებაც მე, სამწუხაროდ, აღარ დამჭირდა. წელს ნაღდად ვეღარ შევძლებ უცხოეთში გამგზავრებას, ეს, ალბათ, მხოლოდ მომავალ წელს მომიხერხდება და წინასწარ მახარებს ის, რომ თქვენი პირადად გაცნობის შესაძლებლობა მომეცემა. თქვენი სტატიის „О географии и статистике картвельских (южно-кавказских) языков“ თარგმანი თითქმის მზადაა. მხოლოდ ზოგიერთი დაბრკოლება დამრჩა გადასალახავი რუკასთან დაკავშირებით, მაგრამ ივნისამდე, იმედი მაქვს, ყველაფერს დავამთავრებ და სტატია რუკასთან ერთად უკვე ზაფხულში დაიბეჭდება „Сборник“-ის XXVI ნაკვეთში.

თქვენი სტატიის გამოქვეყნება ჩვენს „Сборник“-ში დიდად შეუნყოფს ხელს ქართველური ენების ენობრივი საზღვრების დადგენას. ჩვენი სოფლის სკოლების მასწავლებლები ყველა საშუალებას

იხმარენ, რათა თქვენ მიერ წამოჭრილ ყველა კითხვას შესაფერისად უპასუხოთ.

იალბუზის ხედი²³⁵ თქვენ, ალბათ, ერთგვარ სიამოვნებას მოგგვრით. ეს ის მიდამოა, სადაც მე რამდენიმე წლის წინ ზაფხულის მშვენიერ დღეებში ვიმოგზაურე. ბერმამუტი ახლოსაა კისლოვოდსკთან, ჩვენს პოპულარულ კურორტთან (ნახშირმუჟავიანი წყარო). ვაკვასიის უმაღლეს მთას ქართულად იალბუზი ჰქვია, საიდანაც რუსული Эльбрус მომდინარეობს, ჩერქეზულად – Ošcha-macho, აგრეთვე Berei, თათრულად Mingi-tau, ხოლო ხალხური რუსული სახელია Шат-гора. ოსური და აფხაზური სახელები, სამწუხაროდ, ჩემთვის ცნობილი არაა.

გულითადი მოკითხვით
თქვენი უერთგულესი

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

№ 12

„თბილისი
12/24 იანვარი 1900

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

„Сборник“-ის 26-ე ნაკვეთის დამატებით რამდენიმე დღის წინ კურატორის კანცელარიიდან გამოგეგზავნათ 10 ეგზემპლარი თქვენი სტატიისა „ქართველურ ენათა გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“. მისი 200 ეგზემპლარი თანაბრად განაწილდა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სკოლებში და მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი კითხვა ქართველური ხალხების ეთნოგრაფიული საზღვრების შესახებ სკოლის მასწავლებელთა მიერ სათანადოდ იქნება პასუხგაცემული, რაც, იმედია, მისი საბოლოო გადანყვეტის საქმეში გარკვეულ წვლილს შეიტანს.

თქვენი სტატიის მნიშვნელობა სწორად იქნა განსაზღვრული აქაური რუსული გაზეთის „Кавказ“-ის მიერ. ზოგიერთი ქართველი ბატონი, რომლებიც მხარს უჭერენ მეგრელებისა და სვანების მიკუთვნებას ქართველი ხალხისადმი, უკმაყოფილო ჩანს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მათ თავიანთ გაზეთებში ჯერ არაფერი გამოუქვეყნებიათ ამის შესახებ ან ჯერჯერობით ვერ ბედავენ თავიანთი ნამდვილი გრძნობების საჯაროდ გამოხატვას. მაგრამ Amicus Plato etc²³⁶.

²³⁵ ამ წერილს ახლავს სურათი იალბუზის ხედით.

²³⁶ იგულისხმება არისტოტელეს გამონათქვამი: amicus Plato, sed magis amica veritas (ლათ.) – პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარია.

გუშინ პროფესორ ბალინტისგან (კლაუზენბურგი) მივიღე წერილი, რომელშიც იგი ჩივის მდიდარ, მაგრამ ძუნუნ გრაფ ზიჩიზე, რომელიც ჯიუტ გულგრილობას იჩენს კავკასიიდან მადიარების მიგრაციის შესახებ დამატებითი გამოკვლევების ჩატარების მიმართ. ის გაცილებით მეტად დაინტერესებულია გრაფის ოჯახის კავშირით თავად ციციშვილების²³⁷ გვართან. ამათი უმრავლესობა ღარიბ თავადებად იქცა, რის შესახებაც უნგრელმა გრაფმა არაფერი იცის.

ვიმედოვნებ, ამ ზაფხულს უცხოეთში ვიმოგზაურებ. ჩემთვის მეტად სასიამოვნო იქნება თქვენი პირადად გაცნობა. სად შეიძლება ჩვენ შევხვედროდით ივნისის ბოლოს ან ივლისის პირველ დღეებში? იქნებ ვენაში ან სადმე გერმანიაში?

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენი 58-ე დაბადების დღისადმი. ჩემმა უკვე ჩაიარა. ჩვენ შევძლებთ, ახალი საუკუნის დამდეგს მხნედ და ხალისიანად შევაბიჯოთ ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელ მეოთხედში!

ამჟამინდელ გერმანელ კონსულს, დოქტორ ობერგს, რომელიც პირადად გავიცანი, ჩანს, აინტერესებს კავკასიური შტუდიები და, მიუხედავად მისი დიპლომატიური საქმიანობისა, მეცნიერული საკითხებისადმი ინტერესი არ დაუკარგავს.

ღრმა პატივისცემით

თქვენი ერთგული

ლეო ფონ ლოპატინსკი“

№13

„15/28 ნოემბერი 1902

თბილისი

ღრმად პატივცემულო ბატონო!

გიგზავნით რა „Сборник“-ის XXXI ნაკვეთს, ჩემს წმინდა მოვალეობად ვთვლი, გამოგიგზავნოთ ჩემი ნაშრომის ამონაბეჭდიც რუსული ენის სუფიქსების შესახებ, რამდენადაც ისინი კავკასიურ ენების გავლენით არიან წარმოქმნილი. XXXII ნაკვეთში ამ გამოკვლევის გაგრძელება დაიბეჭდება.

ჩემი შეხედულება სუფიქსების ბუნდოვანების შესახებ, ყოველ შემთხვევაში, ახალია და, თუკი განათლებული კრიტიკოსი მას ობიექტურად განიხილავდა, მე ეს ნამდვილად დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა.

დიდი მადლობა თქვენი ბროშურისთვის და თქვენი ჩარევის გამო

²³⁷ ხელნაწერში შეცდომით ციციშვილი არის ნახსენები.

„Сборник“-ის მხარდასაჭერად.

292-ე გვერდზე ერთი შესწორებაა: ქართ. კაკანება რუსულად არის КВОКТАТЬ: სიტყვა КОКОТЬ საერთოდ არ არსებობს.

უკვე სრული ორი წელია, ერთმანეთისთვის არ მიგვიწერია. ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იქნებოდა, თუკი თქვენ პირადად გაგიცნობდით. ვიმედოვნებ, მომავალ წელს უცხოეთში გავემგზავრები და მაშინ მცირე ხნით გრაცში შემოვივლი. მიიღეთ ჩემი გულითადი მოლოცვა თქვენი 61-ე დაბადების დღის გამო, რომელიც, როგორც ჩვენი ადრინდელი მიმონწერიდან ვიცი, იანვრის დასაწყისში²³⁸ გელით.

თქვენი ლეო ფონ ლოპატინსკი“.

არ იქნა და არ დაადგა საშველი ლოპატინსკის გამგზავრებას ევროპაში. უკვე მერამდენე წელია, ბოლო მომენტში ჩაეშლება ხოლმე დაგეგმილი მოგზაურობა! ისიც საყურადღებოა, რომ 2 წლის განმავლობაში არაფერი მიუწერია შუხართისთვის, არადა, მანამდე რეგულარულად სწერდა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ შუხართის არქივში დაცულია 1890-1913 წლებში გამოცემული „Сборник“-ების 31 კომპლექტი. მაშასადამე, იმხანად ჟურნალები იგზავნებოდა გრაცში, წერილები კი არა. ბუნებრივია, რაკი ამ წლებში ჟურნალი თბილისში გამოდიოდა, მათ ავსტრიაში ლოპატინსკი აგზავნიდა და არა სხვა ვინმე, თორემ 1913 წლის შემდეგ, როცა ლოპატინსკიმ თავი დაანება ჟურნალის რედაქტორობას, შუხართს თბილისიდან „Сборник“-ი აღარ მიუღია.

წინა წერილის დაწერიდან 10 წელზე მეტმა ხანმა განვლო. ჩანს, კოლეგებს შორის მიმონწერა რაღაც მიზეზის გამო შეწყდა. ახლა ძნელია გადაჭრით თქმა, რამ გამოიწვია ეს. მაგრამ, როგორც კი საბაბი მიეცა, ლოპატინსკიმ კვლავ გაიხსენა გრაცელი პროფესორი და თბილისში მოიწვია საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, რადგან იცოდა შუხართის აუხდენელი ოცნება: როგორმე კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ჩამოსულიყო და თავისი თვალთ ენახა გამორჩეულად სანატრელი ქვეყანა. მაგრამ 71 წელს მიტანებულ შუხართს უკვე აღარ შეეძლო გრაციდან რამდენიმე ათასი კილომეტრით მოშორებულ ქვეყანაში სამოგზაუროდ წასვლა, მით უმეტეს, რომ იმხანად განუწყვეტლივ ავადმყოფობდა...

²³⁸ ლოპატინსკი ცდება: ჰუგო შუხართი 1842 წლის 4 თებერვალს არის დაბადებული. 13-დღიანი სხვაობაც რომ გავითვალისწინოთ, რაც იმხანად დროის ათვლის ევროპულ და რუსულ წესს შორის არსებობდა, იანვრის დასაწყისი მაინც არ გამოდის. იანვრის დასაწყისში, 6 იანვარს, თვითონ ლოპატინსკი არის დაბადებული.

„17 იანვარი 1913
 თბილისი

ღრმად პატივცემულო პროფესორო!

რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის მიმოწერა შეწყდა. მაგრამ, რაკი მოთხოვნილება წერილების საშუალებით ურთიერთობისა კვლავ არსებობს, მით უფრო, რომ ჩვენი დაბადების დღეები მოახლოვდა, თავს ნებას ვაძლევ, ეს სასიამოვნო თარიღი მოგილოცოთ და გისურვოთ, კიდევ მრავალ წელს სახელოვნად გემსახუროთ მეცნიერების ინტერესებისთვის.

გილოცავთ აგრეთვე იმასაც, რომ, როგორც დოქტორმა დირრმა²³⁹ მაცნობა, თქვენ ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად ავირჩიეს.

ივნისში თბილისში უნდა გაიმართოს ნატურალისტთა და ექიმთა კონგრესი. რაკი საორგანიზაციო კომიტეტში საენათმეცნიერო სექციაც არის, თქვენგან დიდად დავალებული ვიქნებოდით, თუკი შეძლებდით შესაბამისი სტატიის გამოგზავნას. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუკი თქვენ თვითონ მიიღებდით უშუალო მონაწილეობას. იმედია, თქვენი ჯანმრთელობა საშუალებას მოგცემდათ, თბილისში გამომგზავრებულიყავით, სადაც თქვენს სახელს კარგად იცნობენ.

43-ე ნაკვთი „Сборник“-ისა მაისში გამოვა. დირრის ნაშრომის (ნახურული გრამატიკა სიტყვათა ნუსხითა და ტექსტითურთ) ბეჭდვა ამ დღეებში დაიწყება.

უღრმესი ყურადღებით

ლეო ფონ ლოპატინსკი“.

ესაა შუხართის არქივში შემონახული ლოპატინსკის წერილებიდან უკანასკნელი. ამ წელს 71 წლის ლეო ლოპატინსკიმ უკანასკნელად ურედაქტორა „Сборник“-ს, 6 წლის შემდეგ კი ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად და იქაურ უნივერსიტეტში ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას.

ორიოდე პიროვნული შტრიხი: 1906 წელს ნიკო მარრი არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა სომხეთში, ანისში. მისმა ბავშვობისდროინდელმა მეგობარმა ექვთიმე თაყაიშვილმა წერილი გაუგზავნა მარრს (ქვემოთ მოყვანილ ამონარიდებში ხაზი ყველგან ჩემია): „ანი კარგათ უნდა დამათვალიერებინო. ლოპატინსკი მთხოვს, ერთად წავიდეთო და ხომ არ შეგიშლის, კარგი თავდაბალი კაცია“.

²³⁹ ადოლფ დირი (1867-1930) – გერმანელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, 1902-1913 წლებში კავკასიაში ცხოვრობდა.

მარმა უპასუხა: „ლოპატინსკი, რასაკვირველია, ძვირფასი სტუმარი იქნება, მაგრამ აქ ოთახის სიძვირეა და ჩემ ოთახში უნდა მოითავსოთ თავი ყველამ“²⁴⁰.

ორი დიდ მეცნიერის ასეთი კათილგანწყობილი დამოკიდებულება საოლქო ინსპექტორისადმი მაჩვენებელია იმისა, რომ ლოპატინსკი, გარდა იმისა, რომ ბეჯითი მოხელე და დაკვირვებული მკვლევარი იყო, ღირსეული პიროვნებაც ყოფილა. სხვათა შორის მარმა 1909 წელს პეტერბურგიდან თავისი ორი წიგნის („იერუსალიმის წარტყვევნა“ და „იოანე პეტრინი“) დიდი შეკვრა გაუფზავნა თაყაიშვილს საქართველოში გასაყიდად. საგანგებოდ დართულ მოკლე სიაში მითითებული იყო, ვის უნდა მიეღო ეს წიგნები საჩუქრად. მარის მიერ შედგენილ ამ სიაში ლეო ლოპატინსკიც არის მოხსენიებული.

ნ. ზეიდლიცი, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორი, რომელიც დაახლოებული იყო მაშინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან (ი.ჭავჭავაძე, მ.ჯანაშვილი დ. კარიჭაშვილი...), ასე ახასიათებს ლოპატინსკის: „არაერთხელ ველაპარაკე ბატონ ლოპატინსკის, სახელმწიფო მრჩეველს, კავკასიის სასწავლო ოლქის კურატორის მოადგილეს და „Сборник“-ის რედაქტორს, ამავე დროს უმუყაითეს მკვლევარს კავკასიური ფილოლოგიისას (ნ. ზეიდლიცის წერილი შუხართისადმი. 30.X. 1895).

მეორე გერმანელი, კარლ ჰანი, თბილისის I გიმნაზიის პედაგოგი, მეცნიერი, ამგვარად უხასიათებს შუხართს ლოპატინსკის: „საერთოდ, კავკასიური ენები საფუძვლიანად არასოდეს მიკვლევია. იმ საქმეში, რომლისაც არაფერი გამეგება, ყოველმხრივ თავს ვიკავებ და ბატონებს ლოპატინსკიზე მივუთითებ, რომელმაც საფუძვლიანად იცის ყაბარდოული... მას ვთვლი მეტად განათლებულ და ფრთხილ კაცად“ (14.IX. 1895).

„აკადემიის შრომების გამოგზავნისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ასეთი მკაცრად მეცნიერული ხასიათის ნაშრომის წასაკითხად მკითხველის განათლების საკმაოდ მაღალი დონეა საგულვებელი, აქ კი, კავკასიაში, ასეთი ხალხის დიდი ნაკლებობაა. ისინი, ვისაც ეს ესმის, შეიძლება კაცმა თითებზე ჩამოთვალოს, თანაც, მხოლოდ ერთი ხელის თითებზე... მე მხოლოდ ზავადსკი²⁴¹ და ლოპატინსკი მეგულება, რომლებსაც ამ სფეროში უმუშავიათ“ (13.X. 1895).

²⁴⁰ „ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა“, გამოსცეს რ.კავილაძემ და მ.მამაცაშვილმა, 1991, გვ. 203-204.

²⁴¹ მიხეილ რომულის ძე ზავადსკი ლოპატინსკის კოლეგაა, აგრეთვე კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი (1886 წლიდან), მაგრამ ვერც პიროვნული ღირსებებით და, მით უფრო, მეცნიერული წონით იგი ლოპატინსკის ვერ შეედრება.

კარლ ჰანი

კარლ ჰანი (1848-1925) კავკასიოლოგთა ძველი სკოლის წარმომადგენელია. იგი დაიბადა 1848 წელს ვიურტემბერგში²⁴², სადაც მიიღო საშუალო განათლება, რაც შემდგომ ტიუბინგენისა და ოდესის უნივერსიტეტებში სრულყო. კავკასიაში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ჰანი ათწლეულების განმავლობაში იყო თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის მასწავლებელი, ქალთა I გიმნაზიის დირექტორი, შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ვაჟთა I გიმნაზიას მასწავლებლად, ხოლო ბოლოს გერმანულ რეალურ გიმნაზიაში მუშაობდა უფროს მასწავლებლად. მოგვიანებით იგი გერმანულ, ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა ჯერ თბილისის სხვადასხვა სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის უნივერსიტეტსა და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იგი იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი.

კარლ ჰანის, როგორც მეცნიერის, კვლევის სფერო იყო ძველი მწერლების ცნობები კავკასიისა და მის მცხოვრებთა შესახებ; კავკასიის გეოგრაფიულ სახელთა კვლევა, ცნობები კავკასიის სხვადასხვა რაიონში მოგზაურობის შესახებ; წერილები და შენიშვნები კავკასიის შესახებ უახლეს გამოკვლევებზე... მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია „ძველი მწერლების ცნობები კავკასიის შესახებ“. მან გამოსცა 2 ტომი: „ძველ ბერძენ და რომაელ მწერალთა ცნობები კავკასიაზე“, I (პომეროსიდან VI საუკუნემდე ქრისტეს შემდეგ), II (ბიზანტიელი მწერლები. A. ლაზიკა და იბერია“), მოამზადა III ტომი (ბიზანტიელი მწერლები. B. სვანეთი, მესხეთი, ოსეთი...), რომლის გამოქვეყნება ვერ მოასწრო. მისი „კავკასიური გეოგრაფიული სახელები“ დაიბეჭდა ჯერ თბილისში (1907), შემდეგ კი გერმანიაში, შტუტგარტში (1910). კარლ ჰანს დაბეჭდილი აქვს მრავალი სტატია კავკასიის სხვადასხვა მხარეში მოგზაურობის შესახებ. მათი ნაწილი გამოქვეყნდა გერმანიაშიც, ძირითადად ლაიფციგში; მასვე ეკუთვნის „კავკასიის მოკლე გზამკვლევი“ (1913). 1922 წელს კარლ ჰანს გადაუხადეს სამეცნიერო-ლიტერატურული და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

გრაცში, ჰუგო შუხართის არქივში, დაცულია თბილისიდან კარლ ჰანის მიერ გაგზავნილი წერილები.

²⁴² ყოფილი სამეფო, ამჟამად ერთერთი ოლქი გერმანიის სამხრეთში (დედაქალაქი – შტუტგარტი).

ეტყობა, ჰუგო შუხართი ადრევე დაუკავშირდა ჰანს. 1895 წლის აგვისტოსთვის შუხართს მაინცდამაინც ბევრი ნაცნობი არ ჰყავდა საქართველოში. თბილისელი ნაცნობების უმეტესობა 1895 წლის დამლევადან ამყარებს კონტაქტს გრაციელ სწავლულთან. ჰუგო შუხართის არქივში კარლ ჰანის მხოლოდ 3 წერილია შემონახული, ამან არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან შუხართს თბილისში უპირველესად ქართულის კარგად მცოდნე ხალხი სჭირდებოდა, ჰანი კი ასეთთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. ჰანი შეიძლება დაეხმარა შუხართს მისთვის სასურველი პირების შერჩევასა და გაცნობაში. ამით მან თავისი მისია ამოწურა. ყოველ შემთხვევაში, 1895 წლის ოქტომბრის შემდეგ შუხართს მისთვის აღარ მიუწერია და არც სხვა პირებთან მიწერილ წერილებში უხსენებია: გრაციელმა პროფესორმა უფრო სასარგებლო კორესპონდენტები მოძებნა, რომლებიც უანგაროდ, უშურველად ეხმარებოდნენ მას, და თვლიდა, რომ თბილისში გერმანული კოლონიის წარმომადგენლებზე მეტად იქაურ ქართველობათან უფრო ნაყოფიერი იქნებოდა მისი თანამშრომლობა. თვით არტურ ლაისტაც კი, რომელთანაც მისი პირველი კონტაქტები 1888 წლიდან არის დაფიქსირებული, არ ეკითხებოდა იგი რაიმეს ქართული ენის რთულ საკითხებში გასარკვევად, არადა ლაისტთან მას ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა. საამისოდ შუხართს ქართველ სწავლულებში საკმარისი კომპეტენტური დამხმარე ჰყავდა საქართველოშიც და ევროპაშიც იქ ჩასული ქართველების სახით, რომლებთანაც იგი მყისიერ წერილობით კავშირს ამყარებდა.

ასეა თუ ისე, პირველ ხანებში შუხართს, ჩანს, ჰანისგანაც სჭირდებოდა გარკვეული ხასიათის ინფორმაცია თბილისიდან.

გავეცნოთ წერილებს. ბუნებრივია, ისინი გერმანულადაა დანერვილი.

№1

„თბილისი

14/26 აგვისტო 1895

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ძალიან მიხარია, რომ უკანასკნელ ხანს სხვადასხვა უცხოელი სწავლული კავკასიურ ენებზე, საგანგებოდ კი ქართულზე, მიმართავს ყურადღებას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შტუდიები უშედეგო არ იქნება. მათ, ვინც ამ საქმით არის დაკავებული, მეტწილად არა აქვთ საკმარისი ზოგადი და, უწინარეს ყოვლისა, ფილოლოგიური განათლება, რათა ამისთანა ძნელ სფეროში რაიმე ფასეული შექმნან. თქვენ, ბატონო პროფესორო, ჩემდა გასახარად, უკვე მეორე ბატონი ბრძანდებით გრაციდან, რომელმაც ამ საქმისთვის მე მომმართა.

დაახლოებით 2 წლის წინ გრაციდან ბატონ პროფესორ მაიერისგან (სამწუხაროდ, სახელი დამავიწყდა) მივიღე წერილი, თქვენის ანალოგიური, და, როგორც შემეძლო, მას ზოგიერთი ცნობა მივანოდე: ბატონი მაიერი შემპირდა, რომ წლევანდელ შემოდგომაზე კავკასიაში გვესტუმრებოდა, და მე მიხარია, რომ შემეძლია მას აქ დახმარება გავუწიო, რამდენადაც ჩემი სამსახური ამის საშუალებას მომცემს.

თქვენს სტატიებს, რომლებსაც შემპირდით, სიამოვნებითა და ინტერესით გავეცნობი. მე გირჩევთ, ისინი გაუგზავნოთ აგრეთვე მის უდიდებულესობას, ბატონ ლ.ლოპატინსკის, კურატორის მოადგილეს, პროფესორ ბარონ როზენს პეტერბურგში და პროფ. მილერს²⁴³ მოსკოვში. სხვა ბატონებმა, რომელთაც შეეძლოთ ამ საქმის მიმართ ინტერესის გამოჩენა, სამწუხაროდ, გერმანული არ იციან.

რაც შეეხება უნგრულ ექსპედიციას, ნება მომეცით, მის შედეგებზე ჯერ არ გამოვთქვა ჩემი აზრი: ბატონები ვრცელ ნაშრომში გამოაქვეყნებენ, თუ რას მიაკვლიეს. ამასობაში კი მე ჩემი ანგარიში მოგზაურობის შესახებ, რომელშიც განსხვავებული თვალსაზრისია მოცემული, მიუნხენში გავუგზავნე „Allgemeine Zeitung“-ს, სადაც მალე დაიბეჭდება. მე დიდი ხანია იმ თვალსაზრისს ვადგავარ, რომ იგივეობა და მსგავსება ენებისა ყოველთვის არ არის აუცილებელი პირობა ხალხთა ნათესაობის დასამტკიცებლად, ეს არაა საკმარისი, ისევე როგორც ენათა განსხვავებულობა არ გამორიცხავს ხალხთა ნათესაობას. უნგრული ექსპედიციის წევრებს შორის კლაუზენბურგელმა პროფ. ვალინტმა იცის ბევრი რამ აზიური ენების შესახებ (თუმცა არ იცის ქართული), მაგრამ იგი თავისი შეხედულების გამოთქმისგან ჯერჯერობით ძალიან იკავებს თავს. პროფ. ზადეცკის არა აქვს არავითარი ენათმეცნიერული ცოდნა, არქეოლოგი ვოშინსკი თავის საქმეში ძალიან ძლიერი ჩანს. გრაფი ძალიან ნაკითხია და საუცხოოდ იცის კავკასიის ლიტერატურა. საერთოდ, ექსპედიციას უფრო ნეგატიური შედეგი აქვს, ვიდრე პოზიტიური. ესაა ჩემი არავტორიტეტული აზრი, რომელიც მინდა, რომ ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩეს.

თუკი მომავალში თქვენს საქმიანობაში რამენაირად შემეძლება დახმარების აღმოჩენა, მომმართეთ მოურიდებლად ჩემს მისამართზე:

კ.ჰანი, I კლასიკური გიმნაზიის პროფესორი, თბილისი (ვერა, საკუთარი სახლი)

ან რუსულად:

²⁴³ ვსევოლოდ თეოდორეს ძე მილერი (1848-1913) – რუსი ფილოლოგ-ორიენტალისტი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი.

К.Ф.Гану, заслуженному учителю I-ой Тифлисской классической гимназии. Вера, Собственный дом.

ულრმესი ყურადღებით
 თქვენი ერთგული

კ.ჰანი“

პროფესორი მაიერი, რომელსაც შუხართი ახსენებს, არის გუსტავ მაიერი (1850-1900) – შუხართის უმცროსი კოლეგა გრაცის უნივერსიტეტში, ენათმეცნიერი, ინდოგერმანისტი. მის შესახებ შუხართი აკაკი შანიძეს სწერდა 1927 წელს: „აღმოსავლეთისაკენ მიმართული ჩემი კვლევა-ძიება თავდაპირველად კავკასიაში მოგზაურობით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ჩემი მეგობარი და მეზობელი გუსტავ მაიერი შემეცილა ამ იდეის ხორცშესხმაში და მოახერხა, თავისთვის დაენარჩუნებინა შესაბამისი სამოგზაურო სტიპენდია. მაგრამ იქ მძვინვარე ეპიდემიის გამო მან ვერ გამოიყენა ეს შანსი“ (16.II.1927). მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ჯიუტად ცდილობდა კავკასიაში ჩამოსვლას, ვერც მაიერმა შეძლო სურვილის შესრულება²⁴⁴.

ეტყობა, შუხართი დაინტერესებული იყო უნგრელი გრაფის, ევგენი ზიჩის, ექსპედიციების შედეგებით კავკასიაში და ამის თაობაზე თავის კავკასიელ კოლეგებში გაიკითხა. ექსპედიციის შესახებ მას ინფორმაცია მიანოდეს კარლ ჰანმა და ლეო ლოპატინსკიმ. გარდა ამისა, ექსპედიციაზე რამდენიმე წერილიც გამოქვეყნდა „ივერიაში“²⁴⁵.

№2

„თბილისი
 14/26 სექტემბერი 1895

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი ნაშრომის „Über das Georgische“-ს გამოგზავნისთვის გულითად მადლობას გიხდით, იგი დიდი ინტერესით წავიკითხე, მაგრამ ვერ ვხედავ, რამენაირი აზრი გამოვთქვა მასზე, რადგან ამ საგნისა ცოტა გამეგება. საერთოდ, კავკასიური ენები საფუძვლიანად არასოდეს მიკვლევია და ამიტომ გამიკვირდა, როცა ბატონმა ზადეცკიმ „Budapesti Hierlap“-ში ჩემი სახელი ჩერქეზულსა და მადიარულთან დაკავშირებით მოიხსენია. მე ვფიქრობ, ჭკვიანური იქნება, თუკი ამ საქმეში, რომლისაც არაფერი გამეგება, ყოველმხრივ თავს შევიკავებ და ბატონებს ლოპატინსკიზე მივუთითებ, რომელმაც საფუძვლი-

²⁴⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 33-41.

²⁴⁵ გრაფ ზიჩისა და მისი ექსპედიციის შესახებ იხ. აქვე, გვ. 276-280.

ანად იცის ყაბარდოული. თუ მან რწმენის ან თავაზიანობის გამო რამენაირად თავისი აზრი გამოთქვა (რაც მე არ მახსენდება), შესაძლებლობის შემთხვევაში ბატონ ლოპატინსკის ამის შესახებ ვკითხავ. მანამდე კი მას ვთვლი განათლებულ და ფრთხილ კაცად და არა მგონია, მას ასე უბრალოდ, დაუფიქრებლად დასცდენოდა ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვები. უნგრული ექსპედიციის მონაწილე ბატონებმა თავიანთი აღმაფრენის ჟამს, ალბათ, აქა-იქ ბევრი ისეთი რამ მოისმინეს და იპოვეს, რაც ფხიზელი ყურისა და თავის შემთხვევაში შეიძლებოდა ვერ მოესმინათ და ეპოვათ. ჩემი საქმე იყო, ზოგიერთ საკითხში, რომლებშიც მე ჩემი აზრი მქონდა, მათთვის აქა-იქ ქედმაღლობა მომეშლევინებინა. ჩემი მდგომარეობა ექსპედიციაში ნათლადაა გაშუქებული ჩემს სტატიაში დალესტნური მოგზაურობის შესახებ „Allgemeine Zeitung“-ის დამატებაში 23 და 24 აგვისტოს (№№ 193, 194).

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას რუსეთში საფოსტო გზავნილების მიმოქცევის თაობაზე, უნდა გითხრათ, რომ მსგავსი რამეები ძალზე იშვიათად იკარგება, მაგრამ ყოველთვის უმჯობესია, ისინი დაზღვეული წერილით გამოგზავნოთ.

ბოლოს, მინდა რჩევა მოგცეთ იმ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ადრე თუ გვიან ერთხელ აქ რომ ჩამობრძანდეთ, მგზავრობა არც ისე შორს მოგიწევთ, მე-7 დღეს უკვე აქ იქნებით. ასეთი ექსკურსიისთვის გპირდებით სრულიად განსაკუთრებულ დახმარებას თქვენი საქმისთვის – მე ყოველდღე ველოდები ცნობას ბატონ პროფესორ მაიერისგან, რომელსაც ამ შემოდგომაზე ნაღდად სურდა აქ ჩამოსვლა. ხომ არაფერი იცით ამის შესახებ? რაც უფრო მეტი საზღვარგარეთელი სწავლული ბატონი არის ჩვენი კავკასიით დაკავებული, მით უფრო მეტ სარგებელს ვღებულოთ ჩვენ, კავკასიელები, რომლებსაც ჩვენი უცოდინარობა და შეუგნებლობა კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული.

ულრმესი ყურადღებით

თქვენი ერთგული

კ.ჰანი“

№3

„თბილისი, 13/25 ოქტომბერი 1895

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო

აკადემიის შრომების გამოგზავნისთვის დიდ მადლობას გიხდით. სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ ასეთი მკაცრად მეცნიერული ნაშრომისთვის, როცა მკითხველის განათლების საკმაოდ მაღალი დონე ივარაუდება, აქ, კავკასიაში, ამგვარი ხალხის საგრძნობი

ნაკლებობაა. ისინი, ვისაც ეს ესმის, შეიძლება კაცმა თითებზე ჩამოთვალოს, თანაც მხოლოდ ერთი ხელის თითებზე.

მხოლოდ ზავადსკი და ლოპატინსკი მეგულება, ვისაც აქ ამ საკითხებზე უმუშავია. ბატონი გრენი, ჩემი ყოფილი მოწაფე, უსაქმურობის გამო სამსახურიდან დაითხოვეს. მის სხვადასხვა სახის ნაშრომს აბსოლუტურად არავითარი ღირებულება არა აქვს, ალბათ, „სვანური ენაც“ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. მას შემდეგ იგი უკვალოდ გაქრა²⁴⁶. ჯანაშვილს აბსოლუტურად არა აქვს ლინგვისტური მომზადება – არც გიმნაზიის განათლება. ძალიან შეზღუდულ რაოდენობას ადამიანებისას, რომლებსაც, ასე თუ ისე, საამისო უნარი აქვთ, არც საკმარისი თავისუფალი დრო აქვთ და არც საშუალება ამისთანა სამუშაოსთვის. ნამდვილად მეტად სასარგებლო იქნებოდა, თქვენი დიდად საინტერესო აკადემიური ნაშრომი რომ რუსულად გადათარგმნილიყო და, შესაძლებლობის შემთხვევაში, СБОРНИК-ში გამოქვეყნებულყო, მაგრამ ბატონებს, რომლებიც სამეცნიერო მუშაობას ეწევიან, საკმარისად ესმით გერმანული საიმისოდ, რომ თქვენი ნაშრომი ორიგინალში წაიკითხონ. საჭირო დამატებები და შესწორებები, ჩემი აზრით, მაშინ შეიძლება გაკეთდეს, როცა თქვენ თვითონ ჩამოზრძანდებით ჩვენთან ხანგრძლივი დროით.

თვის ბოლოს გრაფი ზიჩი კვლავ ჩამოდის თბილისში, ნაწილობრივ, რათა თავისი კოლექცია შეავსოს, ნაწილობრივ კი იმისთვის, რათა კიდევ რაღაც გამოკვლევები ჩაატაროს. მადლობა ღმერთს, ამჯერად მარტო იქნება.

ყოველ შემთხვევაში, ძალიან შევწუხდებოდი, თუ ის თავის სწავლულ ბატონებთან ერთად უნგრულ საკითხში პოზიტიურ შედეგს მიაღწევდა, თუმცა ნეგატიური შედეგიც ხომ, კაცმა რომ თქვას, რეზულტატია!

გარწმუნებთ, რომ მზად ვარ, ხშირად გაგინიოთ სამსახური.

ვრჩები თქვენი ერთგული

კ.ჰანი“.

ეტყობა, შუხართს მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი საქართველოში ჩამოსვლა, რაკი ჰანი ასე დაბეჯითებით ლაპარაკობს ავსტრიელი პროფესორის ხანგრძლივ ვიზიტზე თბილისში.

²⁴⁶ ა.გრენი შემდეგ კიევში მოღვაწეობდა. მასზე განსხვავებული შეხედულები-საა ნ. ზეიდლიცი, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორი. იგი სწერდა შუხართს: „გრენი, რომელზეც თქვენ ცოტა ხნის წინ უკვე მკითხეთ, არის სრულიად ახალგაზრდა კაცი და ამჟამად კიევის უნივერსიტეტის დოცენტი. მე მას ვიცნობ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იგი გიმნაზისტი იყო თბილისში. იგი საოცრად განსწავლული კია, მაგრამ მეტად უთავბოლო ადამიანია“ (18. XI. 1895).

ნიკოლოზ ზეიდლიცი

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ნიკოლოზ ზეიდლიცის წერილების გაშიფვრამ ძალიან გამაწვავლა. ჯერ ერთი, მეტისმეტად ცუდი ხელწერის გამო ჭირდა სიტყვების ამოკითხვა. მეორე, კარგა ხანს ვერ გავარკვიე, ვინ იყო დამწერი იმ სამი წერილისა, რომლებიც გრაცში, ჰუგო შუხართის არქივში, მოვიპოვე, სადაც ამ წერილების ავტორი „ნოფენდკის“ გვარით არის რეგისტრირებული. ასეთ პიროვნებას კი თბილისის არქივებში ვერსად მივაკვლიე. არადა, წერილებიდან ჩანდა, რომ ავტორი უბრალო კაცი არ უნდა ყოფილიყო: მას მიესვლებოდა ილია ჭავჭავაძესთან, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოსე ჯანაშვილსა და კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო ინსპექტორთან, კავკასიური ენების ცნობილ მკვლევარ ლევ ლოპატინსკისთან, გერმანულად ჰქონდა ნათარგმნი ერთი ნაწილი უსლარის ნაშრომისა „უძველესი ცნობები კავკასიის შესახებ“, რომელიც არ დაუბეჭდავს, რადგან ჩაუთვლია, რომ, აღნიშნული გამოკვლევა, მისი სიტყვებით, „მეცნიერების თანამედროვე დონეს ვერ პასუხობდა“ (გავითვალისწინოთ უსლარის ავტორიტეტი!), იცნობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივანს დავით კარიჭაშვილს და ისიც კარგად უწყოდა, რომ საზოგადოების სამდივნოში უმჯობესი იყო ფრანგულად მიეწერათ, რადგან იქ გერმანული არავინ იცოდა... ერთი სიტყვით, ავტორი ჩახედული იყო მისი დროის სამეცნიერო საქმიანობაში და ხელწამოსაკრავი პიროვნება არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ნოფე“-ზე არცერთი სავარაუდო გვარი რომ არ იწყებოდა!!

ბოლოს გამოიჩინა, რომ თურმე საქმე გვექონია ნიკოლოზ ზეიდლიცის წერილებთან. მთავრული N-ს შემდეგ o კი არა, წერტილი ყოფილა, მომდევნო ასო კი – მთავრული S და არა f... ერთი სიტყვით, Nofendky → N.Seidlitz. აღნიშნული წერილების ავტორი გამოდგა ნიკოლოზ ზეიდლიცი (1831-1907), სტატისტიკოსი, ეთნოგრაფი, ბუნებისმეტყველი. 1868 წლიდან კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორი. იმ დროისათვის სამეცნიერო წრეებში საკმაოდ ცნობილი პიროვნება.

ორიოდე ცნობა ზეიდლიცის შესახებ. ნიკოლოზ კარლის ძე ზეიდლიცი (1831-1907) იყო სტატისტიკოსი, ეთნოგრაფი, ბუნებისმეტყველი. დაამთავრა დერპტის (დღევანდელი ტარტუს) უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო განხრით. შემდეგ მოღვაწეობდა კავკასიაში. 1868 წ. დანიშნეს კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარ რედაქტორად. 1880 წელს გამოაქვეყნა კავკასიის ეთნო-

გრაფიული რუკა, რომელიც თვითონვე შეადგინა. მასვე ეკუთვნის „Свод статистических данных о населении Закавказья, с полным алфавитным указателем городов и деревень края“, 1894. იგი შუხართს წერილებს სწერს თბილისიდან, თანაც, 1895 წლის მინურულს, როცა შუხართს საქართველოში არა ჰყავდა მაინცდამაინც ბევრი ისეთი ნაცნობი, ვინც ქართულისა და საქართველოს შესახებ ცნობებს თბილისიდან მიაწვდიდა. ზეიდლიცი, ეტყობა, ახლოს იყო იმდროინდელ ქართველ ინტელიგენციასთან, ყოველ შემთხვევაში, მიესვლება და სხვადასხვა საკითხის შესახებ ესაუბრება ილია ჭავჭავაძეს, ახლო ურთიერთობა აქვს მოსე ჯანაშვილთან, დავით კარიჭაშვილთან, ლევლოპატინსკისთან, გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომელ თავად ჩერქეზიშვილთან, წიგნებითა და ანტიკვარიატით მოვაჭრე კონსტანტინე ბეგიჩევთან...

№1

„თბილისი,
 11 ნოემბერი/30 ოქტომბერი 1895

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მხოლოდ დღეს ვახერხებ, ვუპასუხო 13 ოქტომბერს გამოგზავნილ თქვენს მეგობრულ და ჩემთვის მეტად საპატიო წერილს. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, თითქოს მათში გამოთქმულ თქვენს სურვილებზე არ მიფიქრია, რადგან არ მომიხერხდა, მენახა ჯანაშვილი, რომელსაც კარგად ვიცნობ და რომლის „აფხაზეთი“ ცოტა ხნის წინ კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების უწყებებში²⁴⁷ გამოვაცქეყენე. რა თქმა უნდა, მე მისი დიდი იმედი მაქვს, როგორც ქართველი პატრიოტისა და ბეჯითი მუშაკისა მშობლიური გრამატიკისა და ისტორიის სფეროში. სამაგიეროდ არაერთხელ ველაპარაკე ბატონ ლოპატინსკის, სახელმწიფო მრჩეველს, კავკასიის სასწავლო ოლქის კურატორის მოადგილეს და „Сборник“-ის²⁴⁹ რედაქტორს, ამავე დროს უმუყაითეს მკვლევარს კავკასიური ფილოლოგიისას. თქვენი წერილი გავაცანი როგორც მას, ასევე თავად ჩერქეზიშვილს, რომელიც „Кавказ“-ის²⁵⁰ – ჩვენი საუკეთესო ოფიცი-

²⁴⁷ იგულ. „Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества“ – რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდული სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო. სულ გამოიცა 30 ტომი (1852-1917 წლებში), ძირითადად თბილისში იბეჭდებოდა.

²⁴⁹ „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ – პერიოდული კრებული, გამოიცა 46 ტომი, მათგან 44 თბილისში (1881-915), 2 კი მაჰაჩყალაში (1926, 1929).

²⁵⁰ იგულისხმება „Кавказ“ – თბილისში რუსულ ენაზე გამომავალი ყოველდღიური გაზეთი (გამოდიოდა 1846–1918 წლებში).

ალური და 49-წლოვანი გაზეთის – რედაქციის თანამშრომელია.

უკანასკნელი დამპირდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით, რომ ის საზოგადოების გამოცემებს, რომლებიც პერიოდულად გამოდის, დროდადრო თვითონ გამოგიგზავნით. ქართველი ბატონები რომ შეპირებულის ნახევარს მაინც ასრულებდნენ, ბევრს მოიგებდნენ. ლოპატინსკისთან ერთად ვიფიქრეთ მათს შესაძლო თავის მართლებაზე იმის შესახებ, რომ თქვენთვის გამოგზავნილი ლიტერატურა (რომელიც, მართალია, დაზღვეული არ იყო) პოლიტიკური პოლიციის მიერ განზე იქნა გადადებული, სწორედ ისე, როგორც დაემართა ავსტრიაში გასაგზავნად ყველა რუსულენოვან წიგნს, მაშინაც კი, როცა ისინი სლავებისთვის კი არა, გერმანელებისთვის იყო განკუთვნილი. სხვათა შორის, მომხდარს გავითვალისწინებ და ამერიდან თვით უმნიშვნელო ნაბეჭდ ფურცლებსაც კი დაზღვეული წერილით გამოგზავნი.

სხვათა შორის, ის, რომ ქართველ ბატონებს თქვენი ნაშრომები მოსწონთ, კარგად ჩანს ამ წერილს თანდართული ბანდეროლით გამოგზავნილი გაზ. „Kavkaz“-ის №262-დან, სადაც თქვენი მეგობრული წერილის მიღებამდე თქვენი ახალი ნაშრომის რეცენზია ვნახე²⁵¹.

13/1 ნოემბერი

თბილისში წიგნებით ვაჭრობისა და ანტიკვარიატის შესახებ გუშინ საუბარი მქონდა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ბეგიჩევთან²⁵², რომლის კატალოგიც გუშინვე ბანდეროლით გამოგიგზავნეთ. სხვა საქმიანობასთან ერთად იგი ყიდულობს ძველ ჟურნალებს, რათა მათგან ამოჭრას ის სტატიები, საგანგებოდ კავკასიას რომ ეხება, და ასე წარმოადგინოს კავკასიოლოგია (Caucasika), ამგვარად მან დიდი და საინტერესო ბიბლიოთეკა შეადგინა ტახტის მემკვიდრისთვის აბასთუმანში.

ბატონ ბეგიჩევს ვაცნობე თქვენთვის სასურველ გრამატიკებზე – დოდაშვილისა (1830), იოსელიანისა (1840), ჩუბინაშვილისა (1855), თან ავუხსენი, რომ თქვენ არ აპირებთ მათში სამოყვარულო ფასის გადახდას. ამასთან, ბეგიჩევმა განმარტა მხოლოდ, რომ ჩუბინაშვილის რუსულ-ფრანგულ-ქართული ლექსიკონი (1846) აღარა აქვს: ბოლო ეგზემპლარი მან ცოტა ხნის წინ 45 მარკად შეიძინა გერმანიაში. ხოლო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი – 4 რუბლად, რომელიც უკეთესია. ალბათ, გჭირდებათ ვახუშტის „საქართველთა“

²⁵¹ იგულისხმება გაზეთის მითითებულ ნომერში კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის რუბრიკის ქვეშ მოთავსებული ვრცელი რეცენზია მ.ჯანაშვილისა შუხართის წიგნზე: „Über das Georgische“, Wien, 1895.

²⁵² კონსტანტინე ბეგიჩევი – მწერალი და წიგნების გამომცემელი, ბუკინისტი და ანტიკვარიატით მოვაჭრე მაღაზიის პატრონი თბილისში.

ველოს ისტორია“ განსვენებული ბაქრაძის²⁵³ შენიშვნებით (1885), ქართულად, ვრუბლად, გაგრძელება არ არსებობს.

გეოგრაფიული საზოგადოების შესახებ მოლაპარაკება ჯერ არ მქონია. უსლარის „უძველეს ცნობებს კავკასიის შესახებ“ გეოგრაფიული განყოფილების Записки-დან შემდგომ გამოგიგზავნით, მასთან ერთად ამ კრებულის სხვა ტომებსაც. უსლარის ჩეჩნურის, ლაკურის, ავარულისთვის (3 ტომი), რომლებიც კავკასიის სასწავლო ოლქის კურატორმა გადმობეჭდა, შეგიძლიათ მიმართოთ ბატონ ლოპატინსკის, რომელსაც ეს გამოცემები აქვს. უსლარისეული ლიტოგრაფიული ორიგინალური ტომები ამ და სხვა ენებისა აღარსად იშოვება. მათ, როგორც იშვიათ ნივთებს, ხანდახან ლონდონიდან გვთავაზობენ შესასყიდად. ეთნოგრაფიული მიმოხილვის შესახებ მოსკოვში, უნივერსიტეტში, მიმართეთ პროფ. ვსევოლოდ თევდორეს ძე მილერს, რომელიც მას მოგანოდებთ.

თქვენმა წიგნმა ქართულის შესახებ ძალიან დამაინტერესა და დიდი მადლობის სათქმელად განმანყო.

მიიღეთ ჩემგან გულითადი მოკითხვა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მუდამ მზად ვარ, სანამ ძალა შემწევს, გემსახუროთ თქვენ და მეცნიერებას.

თქვენი ერთგული

ნ.ზეიდლიცი“

№2

„თბილისი

30/18 ნოემბერი 1895

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენგან ეს-ესაა მიღებული წერილი 22 ნოემბრისა გავაცანი ჯანაშვილს და ვჩქარობ, მისი ნათქვამი მოგახსენოთ. მისი შედარებითი გრამატიკა და ქართველური ენების ლექსიკონი, რომელიც ქართულ, მეგრულ, სვანურ და ა.შ. 6000 სიტყვას შეიცავს, დღის სინათლეს მალე ვერ იხილავს. მას შემდეგ, რაც ერთი წელია კურატორის, უფრო სწორად, ბატონ ზავადსკის, სამმართველოში იდო, ჯანაშვილმა, რომელმაც ზავადსკი და სხვანი არაკომპეტენტურ პირებად გამოაცხადა, ამა წლის 1 ივლისს თუ 1 აგვისტოს ხელნაწერი ფოსტით გაუგზავნა მეცნიერებათა აკადემიას. რასაც იქ გადაწყვეტენ, ამაზე ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია ვინმეს. ჯანაშვილი სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ, თუ ამ ნაშრომს პეტერბურგის

²⁵³ იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძე (1826-90) – ცნობილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი.

აკადემია უკან დააბრუნებს, მას თქვენ გამოგიგზავნით გერმანულად ნებისმიერი სახით გამოსაქვეყნებლად.

ბატონმა ლოპატინსკიმ, როგორც მის სახლში ვიზიტისას გავიგე, თბილისი ერთი თვით დატოვა – ინსპექციის მიზნით მოგზაურობს. უსლარის გრამატიკების დაბეჭდილი ნაწილები მან, ცხადია, გამოგიგზავნათ (იგი ამას ერთი თვის წინ შემპირდა), ისე როგორც „Сборник“-ის XVIII, XIX და XX ტომები. რაც შეეხება „აფხაზურის“ ხელმეორე გამოცემას, იგი შეცდომითაა მითითებული ბეგიჩევის კატალოგში. ყოველ შემთხვევაში, მე ეს ტომი ვერც იქ ვნახე და ვერც სხვაგან სადმე, თუმცა კი ძალიან მინდოდა მისი შეძენა მასში შემოთავაზებული ეთნოგრაფიული საკითხების გამო. როგორც ყური მოვკარი, ეს ტომი განსვენებული ზაგურსკის²⁵⁴ მიმართ მსუსხავი კრიტიკის გამო განადგურდა ანდა გამოქვეყნებისთანავე გვერდზე გადადეს.

სტატია აფხაზურისა და ქართველურის შესახებ (ჩორაევისა) ზოგიერთი ცვლილებით პეტერბურგის აკადემიის უწყებებში უნდა დაიბეჭდოს. რის საფუძველზეც ჯანაშვილი ვარაუდობს, რომ მისი გრამატიკა და ლექსიკონიც არ აღმოჩნდება „ბორტს იქით გადაგდებული“, რაც დასასრულის მაუნყებელი იქნებოდა, თუკი ტონის მიმცემი ბატონები – მარრი, ცაგარელი და სხვანი – მათ არ დაეთანხმებიან. ერკერტის ნაშრომსაც მსგავსი ბედი უნდა ჰქონდეს.

ჯანაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ნახა მე-2 გამოცემა რომში 1670 წელს ლათინურად დაბეჭდილი ქართული გრამატიკისა და აღწერა იგი. შესაძლოა, ეს ისაა, რაზეც თქვენ მწერდით და რაც ერთმა იტალიელმა სწავლულმა გაცნობათ.

უსლარის „უძველეს ცნობებს კავკასიის შესახებ“ დიდი ხნის წინ შეგპირდით და არ დამვიწყებია. წიგნი, რომელიც 2 განსხვავებული ვერსიით გამოიცა – ჩვენი გეოგრაფიული განყოფილების „Записки“-ს XII ტომსა და „Bergvölker Nachrichten“-ში – გეოგრაფიულ განყოფილებაში მისი მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარიღა დარჩენილი, რადგან მოიპარეს და, როგორც მაკულატურა, ბაზარში „მოგზაურობს“. რამდენიმე წლის წინ მისი ერთი კარგი ნაწილი გერმანულად გადავთარგმნე და მის გამოცემას ვაპირებდი, მაგრამ პროფესორმა ჰარკორემა გადამათქმევინა, რაკი მასში ბევრი რამ თანამედროვე მეცნიერების დონეს არ შეესაბამება, რასაც, კაცმა რომ

²⁵⁴ ლეონარდ პეტრეს ძე ზაგურსკი (1827-1891) – ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და გეოგრაფი. დიდხანს მასწავლებლობდა თბილისის I გიმნაზიასა და ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში, აგრეთვე თბილისის რეალურ სასწავლებელში, იყო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საქმეთა მმართველი.

თქვას, მე თვითონაც ვგრძნობდი, რადგან უსლარმა თავისი ნაშრომი წლების წინ ქვეყნის ერთ ისეთ მივარდნილ კუთხეში შექმნა, სადაც ბიბლიოთეკაც კი არ იყო. რაც შეეხება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ თქვენთვის ასე ბევრი წიგნის გამოგზავნას, ეს არ უნდა გაგიკვირდეთ. ბატონები ამას სიამოვნებით ჩადიან და სიამოვნებით გამოგიგზავნიან კვლავაც ყველაფერს, რისი შოვნაც შეიძლება. ეს არ ეხება დოდაშვილის ძველ გრამატიკას, რომელიც აღარსად იშოვება. ასეთ თავაზიანობას თქვენ აქ ხშირად ნახავთ, როცა საქმე მხარეთმცოდნეობას ეხება.

თავადი ილია ჭავჭავაძე, ვისთანაც „ივერიის“ ძველ ნომრებზე მინდოდა ლაპარაკი, ჯერჯერობით არ მინახავს სათავადაზნაურო ბანკში, სადაც ის დირექტორია.

ულრმესი ყურადღებით
თქვენი ერთგული

ნ.ზეიდილიცი.

გრენი, რომელზეც თქვენ ცოტა ხნის წინ უკვე მკითხეთ, არის სრულიად ახალგაზრდა კაცი და ამჟამად კიევის უნივერსიტეტის დოცენტი. მე მას ვიცნობ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იგი გიმნაზისტის იყო თბილისში. იგი საოცრად განსწავლული კია, მაგრამ მეტად უთავბოლო ადამიანია“.

№3

„თბილისი
19/7 დეკემბერი 1895

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

თქვენი შეკითხვის პასუხად კავკასიის რუკის შესახებ, ვფიქრობ გირჩიოთ სანკტ-პეტერბურგის ილიპიის კარტოგრაფიული ინსტიტუტის მიერ გამოცემული: 2 დიდი ფურცელი, ფასი დაახლ. 1 რუბლი (მასშტაბი: 30 ვერსი 1 დუიმში), აგრეთვე, კავკასიის ტოპოგრაფიული ბიუროს მიერ გამოშვებული საგზაო რუკა, 4 ფურცელი, 20 ვერსი 1 დუიმში, თუმცა იქ მხოლოდ გზები და სადგურებია მოცემული, თანაც ადმინისტრაციული დაყოფის გარეშე. პეტერბურგში არის რუსეთის 10-ვერსიანი რუკა კავკასიის ფურცლებით; დაბოლოს, აქ ხშირად ვხმარობთ გენერალური შტაბის 5-ვერსიანი რუკას, რომელიც ერთ დიდ ატლასს წარმოადგენს და რომლის გამოყენება მოითხოვს ქვეყნის გარკვეულ ცოდნას. ვფიქრობ, თქვენი თითქმის ყველა თავდაპირველი მოთხოვნა დავაკმაყოფილე.

კავკასიის დანვრილებითი გეოგრაფიის შესახებ ვერაფერს გირჩევთ, თუ მაინცდამაინც უნდა დავასახელო ვინმე, ეს იქნებოდა პროცენკოს გამოცემა (გასული წლისა).

დღეს ჩემთან, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე ამაოდ ვეძებე, იყო ჯანაშვილი და მრავალ საკითხში გამარკვია. სხვათა შორის, ის დღეს, ალბათ, თვითონ გამოგიგზავნით ნერილს.

მონტობანი მართლაც ფრანგულია: ტარუ-გარონის დეპარტამენტი, სადაც ქართული კათოლიკური ინსტიტუტი მდებარეობს, თქვენი ვენელი მხითარისტების მსგავსია ანდა ვენეციის სიახლოვეს მდებარე სან ლაზარისნაირი, სომხურ-კათოლიკური შტუდიებისთვის.

ქართული გრამატიკა იტალიურ ენაზე, ხელნაწერი, კაპუცინელი მისიონერისა ახალქალაქიდან, კათოლიკოს ანტონ I-ის დროინდელი, არ შეიძლება, ალბათ, გავაიგივოთ მამა ჯიროლამო და ნორჩიასეულთან, რომელიც საუკუნის დასაწყისში გორის მონასტერში იყო. გორში ამჟამად – მე კვლავ ვპასუხობ თქვენს ამასთან დაკავშირებულ კითხვას – მეტი აღარაა მონასტერი, იქ მხოლოდ ერთი კათოლიკური ეკლესიაღა შემორჩა, რომლის მღვდელსაც კავშირი აქვს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, ყველა ამგვარი კითხვით მიმართოთ ამ საზოგადოების მდივანს დავით კარიჭაშვილს, უმჯობესი იქნება ფრანგულად. ბატონებისთვის დიდი პატივი იქნება, კვლევა-ძიება ჩაატარონ თქვენთვის საჭირო ყოველგვარ საკითხზე. ვენელი მხითარისტებისგანაც შეგიძლიათ ბევრი რამ შეიტყოთ ქართულის შესახებ, რადგან მათ, როგორც თანამემამულეებს, მონტობანელებთან ხშირი ურთიერთობა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ამის აღიარება არ სურთ, რადგან ერთნი სომხები არიან, მეორენი – ქართველები, თუმცა ორივენი კათოლიკეები არიან.

რაც შეეხება მონასტერს, უნდა დავძინო, რომ როგორც გორში, ისე თბილისშიც არ არსებობს არც კათოლიკური, არც სომხური მონასტერი, მაგრამ აქ სამრევლო და კათედრალური ეკლესიები (სომხ. Wank) ხშირად გაიგივებულია მონასტრებთან – ალბათ, იმიტომ, რომ მონაზვნები იქ ხშირად ასრულებენ ღვთისმსახურებას.

კვლავ რომ მივუბრუნდე გრამატიკას, ჯანაშვილმა, როგორც შესაძლო ავტორი, შემოგვთავაზა გორელი ტლუკანთ გიორგი²⁵⁵, აგრეთვე კათოლიკე, როგორც მე-17 საუკუნეში ირბახი რომში, მისიონერთა კოლეჯიდან.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ თქვენთვის გამოგზავნილი ყველა წიგნი, რა თქმა უნდა, უფასოდ გამოგეგზავნებათ და ამასი ეჭვი არ უნდა გეპარებოდეთ.

ულრმესი ყურადღებით

თქვენ ერთგული ნ. ზეიდლიცი“.

²⁵⁵ დედანშია Georgi Tlukant Goreli.

ეტყობა, შუხართმა სადღაც ყური მოჰკრა, რომ მონტობანში ქართული კათოლიკური ინსტიტუტი მოქმედებდა, და მაშინ რანაირი შუხართი იქნებოდა, იქ მოღვაწე ხალხს რომ არ დაჰკავშირებოდა! მაგრამ ჯერ ხომ უნდა გაეგო ზუსტი მისამართი და მათი საქმიანობის სფერო. ამის შესახებ გაიკითხა თბილისში და ზეილციმა ვენელ მხითარისტებზე მიუთითა, მაგათ აუცილებლად ექნებათ საკმაო ცნობები მონტობანელებზე, რადგან ერთმანეთთან კავშირი აქვთო. მართალია, მხითარისტების კონგრეგაციის მთავარი სამყოფელი იტალიაშია, ვენეციის მახლობლად, მაგრამ მათ 1811 წლიდან ვენაშიც დაიდეს ბინა და 1872 წელს ავსტრიის დედაქალაქის ცენტრში სოლიდური რეზიდენციაც აიშენეს, სადაც, სხვათა შორის, ამ 30-ოდე წლის წინ რამდენიმე ახალქალაქელი სომეხიც მოღვაწეობდა. მათს ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერებიც არის, თუმცა არცთუ მაინც-დამაინც ძველი და მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, შუხართმა იცოდა მხითარისტების შესახებ. ბოლოსდაბოლოს, მის ხელთ მოხვედრილი ქართული ხელნაწერები სომეხმა გადამყიდველებმა ხომ თავდაპირველად სწორედ მხითარისტების კონგრეგაციაში მიიტანეს გასაყიდად, რადგან სომეხურები ეგონათ. შუხართი ფიქრობდა, რომ მისთვის საინტერესო საკითხზე ვენელი მხითარისტებისგან თუ ამომწურავ არა, მაინც საკმარის ინფორმაციას მიიღებდა და ამიტომ დაუკავშირდა მათ. სამწუხაროდ, მას იმედი გაუცრუეს. კონგრეგაციის საქმეთა რწმუნებულმა შუხართს ასეთი პასუხი გაუგზავნა:

„ვენა 11 იანვარი 1896

თქვენო კეთილშობილებაჲ

ჩვენთვის უცნობია ქართული კათოლიკური ინსტიტუტის ადრესი მონტობანში. გირჩევთ, ამის შესახებ მიმართოთ ქართული კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს კონსტანტინოპოლში, ფერი-კენიში (Ferry-Keny).

ულრმესი ყურადღებით

დოქტორი დეოდატ ავაქიანი
 რწმუნებული“.

შუხართი, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ცხადია, არ დაცხრა და მაინც მოახერხა სასურველ პირებთან დაკავშირება. არ ვიცი, რა შედეგი მოჰყვა მის აქტიურობას მონტობანის კათოლიკურ ინსტიტუტთან კავშირის დასამყარებლად. ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მის არქივში ტულუზის სიახლოვეს მდებარე ამ ქალაქიდან გამოგზავნილი ორი წერილია შემონახული: 1896 წლის 21 იანვრისა თეოლოგ შარლ ბრუსტონისაგან და 17 თებერვლისა – ჩიგნების გამომცემელ ემერანდ ფორესტიესაგან.

ნიგნების უფასოდ გაგზავნაზე კი უნდა ითქვას შემდეგი: შუხართს თავის ბიბლიოთეკაში საკმაოდ ბევრი ქართული ნიგნი ჰქონდა, მათი დიდი ნაწილი მას თბილისიდან მისდიოდა, როგორც წესი, უსასყიდლოდ, ვითარცა ქართველი მოღვაწეების კეთილი ნების გამოხატულება. მართალია, თვითონ ნუხდა ამაზე და სისტემატურად მოითხოვდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან, ისე როგორც კერძო პირებისაგან, ნიგნების გადმოგზავნასთან დაკავშირებული ხარჯები მაცნობეთ, რათა აგინაზღაუროთო, მაგრამ, ჩვეულებრივ, მას ფულს არ ახდევინებდნენ. ამ მხრივ მრავლისმეტყველია ილია ჭავჭავაძის პასუხი შუხართის ამგვარ მოთხოვნაზე: „Милостивый государь,... прошу о стоимости присылаемого не беспокоиться, ибо одно удовольствие, что Вы занимаетесь грузинскою литературою, вознаграждает нас вполне“.

ოლივერ უორდროპი

ჯონ ოლივერ უორდროპი (1864–1948) იყო ინგლისელი დიპლომატი, მთარგმნელი, ქართული კულტურის დიდი მოამბე. იგი ინგლისის წარმომადგენელი იყო ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, და ხშირად უხდებოდა მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში. ასე მოხვდა ის პირველად საქართველოში, რომელიც მან შემდგომში კიდევ რამდენჯერმე მოინახულა. ოლივერ უორდროპი დაინტერესდა ქართული მწერლობით, შეისწავლა ქართული ენა და, საერთოდ, თავის დასთან, მარჯორისთან, ერთად დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეს. ოლივერ უორდროპმა თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (ლონდონი, 1894), „ნმ.ნინოს ცხოვრება“ (მარჯორი უორდროპთან ერთად, ოქსფორდი, 1900), „ვისრამიანი“ (ლონდონი, 1914), გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ (1914), გამოსცა ნარკვევი „საქართველოს სამეფო“ (ლონდონი, 1888), „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი“ (ოქსფორდი, 1911), ხოლო 1912 წელს – „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანი კომენტარითა და წინასიტყვაობით. საქართველოში ყოფნისას ოლივერ უორდროპი აგროვებდა ქართულ ხელნაწერებს ბოდლეს ბიბლიოთეკისათვის. ჰუგო შუხართმა 1895 წელს საგანგებოდ აღნიშნა თავის წიგნში „ქართული ენის შესახებ“, რომ თანამედროვე დასავლეთევროპელ მკვლევართა შორის, რომლებიც ხანგრძლივად და ნაყოფიერად საქმიანობენ ქართულ სფეროში და ამის დემონსტრირებასაც ახდენენ, მხოლოდდამხოლოდ ინგლისელი ოლივერ უორდროპის გამოყოფა შემიძლიაო. არც ამის შემდეგ დამცხრალა ოლივერ უორდროპის ერთუზიანში ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გამომზეურების მიმართ, რასაც მის მიერ გამოქვეყნებული არაერთი წიგნი მოწმობს. ამ გამოცემებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს საქართველოს საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით კი ევროპაში.

გრაცის უნივერსიტეტში, ჰუგო შუხართის არქივში, დაცულია ოლივერ უორდროპის რამდენიმე წერილი ჰუგო შუხართისადმი. ეს პიროვნებები საქართველოსა და ქართულის სიყვარულმა დაუახლოვა ერთმანეთს. ისინი კარგად ხედავდნენ ერთმანეთის ღვაწლს, უპირველესად, ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევის საქმეში და, შეიძლება ითქვას, გააერთიანეს თავიანთი ძალისხმევა ამ მიმართულებით, რათა ქართული კულტურის საუკეთესო მონაპოვრები ევროპულ სარბიელზე უფრო შთამბეჭდავად წარმოჩენილიყო.

შუხართს კავშირი ჰქონდა არამარტო ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელ მეცნიერებთანაც, რომლებმაც მის მსგავსად გამოიჩინეს ინტერესი ქართული ენის მიმართ. ერთი ასეთ პიროვნებათაგანი იყო ოლივერ უორდროპი, რომელიც შუხართთან, როგორც ირკვევა, არტურ ლაისტმა დააკავშირა. ჰუგო შუხართი, შეიძლება ითქვას, იყო მისი დროის ევროპელ ქართველოლოგთა შორის ყველაზე ავტორიტეტული და, ერთგვარად, მათი გამაერთიანებელი და წამქეზებელი ქართულის კვლევის საქმეში. ასეთი დიაპაზონის მეცნიერი, ცხადია, მხოლოდ ქართულზე არ ფიქრობდა, მაგრამ ქართული ენის სხვადასხვა სფეროს იგი დროდადრო მიუბრუნდებოდა ხოლმე.

ოლივერ უორდროპი პირუთვნელად მიმართავს შუხართს: „დარწმუნებული ვარ, თქვენი ენერგიული ძალისხმევა ეპოქას შექმნის ქართულის შესწავლის ისტორიაში“ (15.X. 1895).

ო.უორდროპის შვიდი წერილიდან, რომლებიც გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოვიძიე, პირველი გერმანულადაა დანერვილი, დანარჩენი – ინგლისურად.

№1

„ბრიტანეთის ვიცესაკონსულო
 ქერჩი (რუსეთი)
 3 ივლისი 1895

ძვირფასო ბატონო პროფესორო!

კარგა ხნის წინ ბატონმა არტურ ლაისტმა (ბათუმი) მიაბმო თქვენი ქართული შტუდიების შესახებ, ამას წინათ კი ამის თაობაზე „ივერიაში“ წავიკითხე.

რამდენიმე წელია, მე და ჩემი და დაინტერესებული ვართ ქართველთა ენით, ლიტერატურითა და ისტორიით. გასულ ზამთარს 4 თვით ვიყავით კავკასიაში, რათა თანამედროვე ენაში გავნაფულებიყავით.

ჩვენი ბიბლიოთეკა ძალზე მდიდარია იბერიული წიგნებითა და ხელნაწერებით, მაგრამ, სამწუხაროდ, არა გვაქვს თქვენი ძვირფასი ნაშრომები. თავს უფლებას ვაძლევ, მორიდებით გკითხოთ: თუკი ისინი იყიდება, მაცნობეთ, გეთაყვა, იმ წიგნის მალაზიის ადრესი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ წიგნების შეკვეთა.

ულრმესი ყურადღებით

ოლივერ უორდროპი“.

პირველი აბზაცის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ოლივერ უორდროპის მიერ გრაცში გაგზავნილი პირველი წერილია.

„ქერჩი, 1 აგვისტო 1895

ძვირფასო ბატონო!

თქვენგან დიდად ვარ დავალებული გასული თვის 11 რიცხვში გამოგზავნილი წერილით. ქართული ენის შესწავლაში არც ისე წინ გადამიდგამს ნაბიჯი, როგორც თქვენ ფიქრობთ. 1887 წელს დავწერე პატარა წიგნი ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით – „საქართველოს სამეფო“, რომელიც ამჟამად აღარ იშოვება. მაგრამ დავავალე, თქვენთვის ინგლისიდან გამოეგზავნათ წინასწარი კორექტურის აკინძული ვარიანტი, თუკი, რა თქმა უნდა, ასეთი რამ სადმე მოიძიეს.

გასულ წელს ბოსტონში გამოვაქვეყნე პროფ. ცაგარლის მიერ გამოცემული იერუსალიმის ქართული ხელნაწერების კატალოგის ინგლისური თარგმანი. გიგზავნით ასლს. ასევე, ვთარგმნე საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც მდიდრულად გამოსცა უილიამ მორისმა, მაგრამ შევიტყვე, რომ წიგნი მთლიანად გაიყიდა. ჩემმა დამ თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული (გამოსცა დევიდ ნატიმ), ახლა კი ცდილობს, დაბეჭდოს ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და მისი სხვა პოემები.

ჩემი მეგობარი კ.დოდაშვილი²⁵⁶ „მოამბეში“ ბეჭდავს მეტად საინტერესო „საგრამატიკო ესკიზებს“, რომლებიც მთლიანად ვთარგმნე. სამწუხაროდ, ხელნაწერი, როგორც ჩანს, მოიპარეს ან დაიკარგა ჩემი მოგზაურობისას ყირიმში.

გირჩევთ, გრამატიკულ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად მისწეროთ დოდაშვილს. მისი მისამართია:

თიფლის

Квашветская церковь

Константину Додашвили

თქვენ მიერ დასახელებული ძველი წიგნების შოვნა ძნელია. მაგრამ თუ მიმართავთ „Грузинское издательское общество“-ს თბილისში, ვფიქრობ, ისინი შეძლებენ, რომ გამოგიგზავნონ ყიფიანის, ანტონისა და ჟორდანიას გრამატიკები და ჩუბინაშვილის მიერ 1888 წელს გამოქვეყნებული ლექსიკონი (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული), რომელიც გაცილებით უკეთესია, ვიდრე 1840 წელს გამოცემული ლექსიკონი, თუმცა მასაც აქვს ბევრი ნაკლი.

დაახლოებით ორი კვირის წინ კისლოვოდსკში მიმავალმა ცა-

²⁵⁶ კონსტანტინე დოდაშვილი († 1919) – ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, ავტორი წერილების ციკლისა გრამატიკისა და ლექსთწყობის საკითხებზე.

გარელმა გზად ჩვენთან, ქერჩში, შემოიარა და სამ დღეს დარჩა აქ. მას, როგორც ყველა მის თანამემამულეს, უხარია, როდესაც ხედავს, რომ თქვენ სერიოზულად ხართ დაკავებული ქართული ენით.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი შრომა წარმატებით დაგვირგვინდება.

რიგიანი გრამატიკული და ფილოლოგიური ნაშრომების ნაკლებობა ქართულ ენაზე არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ევროპაში ასე ცოტა იციან ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ. დამწყები იძულებულია, მთლიანად დაეყრდნოს ბროსეს²⁵⁷, რომელიც თითქმის უვარგისია.

მოუთმენლად ველი თქვენი ნაშრომების მიღებას.

გულწრფელად თქვენი

ოლივერ უორდროპი“.

ეტყობა, შუხართმა უორდროპს თავისი მიზნები გააცნო და დაუკონკრეტა, რომ, უპირველეს ყოვლისა, მას ქართული ენა აინტერესებს და მხოლოდ შემდეგ – ლიტერატურა. ამასთან, სთხოვა, მის ქართველ ნაცნობებს შორის ის პირები დაესახელებინა (ადრესების მითითებით), ვისაც შუხართისთვის გრამატიკის საკითხებში დახმარების განევა შეეძლებოდა. უორდროპს, უწინარესად, თავისი მეგობარი კონსტანტინე დოდაშვილი მოაგონდა, მაგრამ, ჩანს, შუხართისთვის ეს საკმარისი არ იყო და სხვების დამატებაც სთხოვა. მართალია, მისი თხოვნა უორდროპმა უკვე მომდევნო წერილში დააკმაყოფილა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანელის მიერ მითითებული თერთმეტი პირიდან შუხართმა ვერცერთი ვერ შეარჩია კონსულტანტად. მათს წიგნებსა და სტატიებს გულმოდგინედ კითხულობდა, მაგრამ თვალშისაცემი კავშირის დამყარება მათთან არც უცდია. მათგან მხოლოდ იაკობ გოგებაშვილი უგზავნიდა წერილებს, ისიც, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთერთი ხელმძღვანელი მუშაკი („საზოგადოების თავმჯდომარის მაგიერი“). წერილიდან ჩანს, რომ შუხართმა ითხოვა გრაცში გარკვეული გრამატიკული ლიტერატურის გამოგზავნა, რომელთა შოვნა თბილისში იმხანად, ეტყობა, უკვე აღარ იყო ადვილი, თუმცა მან ისინი მოგვიანებით მაინც მიიღო. მის პირად ბიბლიოთეკაში შემონახულია საქართველოდან გაგზავნილი ზოგიერთი წიგნის რამდენიმე ერთნაირი ეგზემპლარიც კი. ჩანს, ისინი მისი სხვადასხვა პატივისმცემლის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის გაგზავნილი გრაცში.

²⁵⁷ ალბათ, ივარსულება ფრანგი ქართველოლოგის, მარი ბროსეს (1802-80), მიერ გამოცემული ქართული გრამატიკა (პარიზი, 1834).

„ქერჩი, 29 აგვისტო 1895

ძვირფასო ბატონო!

დიდი მადლობა თქვენი საინტერესო წერილისთვის. ვწუხვარ, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ მიჭირს იმ ქართველების მისამართის მოცემა, რომლებიც ფილოლოგიურ ინტერესს იჩენენ თავიანთი ენის მიმართ. თუმცა შემიძლია შემოგთავაზოთ შემდეგი პირები (დოდაშვილთან ერთად):

თავადი გიორგი წერეთელი, „კვალის“ რედაქცია, თბილისი
იაკობ გოგებაშვილი
თავადი ივანე მაჩაბელი, თბილისი (ოლღას 40)
თავადი გიგო დიასამიძე, თბილისი (პატარა ვანის ქ.)
თავადი კირილე ლორთქიფანიძე, ქუთაისი
ილია ჭყონია, ქუთაისი, „მეურნის“ რედაქცია
ალექსანდრე ჭყონია, თბილისი, „მოამბის“ რედაქცია
სიმონ ლოლობერიძე, ქუთაისი
პეტრე უმიკაშვილი, ბათუმი
სილოვან ხუნდაძე, ქუთაისი
თედო ჟორდანიას, თბილისი.

საუკეთესო გამოსავლი იქნებოდა, თუ თქვენს ნაშრომს „ივერიის“, „მოამბის“ ან „კვალის“ რედაქციებში გაგზავნიდით და ისინი გაავრცელებდნენ მას.

კონსტანტინე დოდაშვილი არის 1830 წელს გამოცემული გრამატიკის ავტორის, სოლომონ დოდაშვილის, შვილიშვილი. იგი ფლობს ფრანგულ, გერმანულ და ლათინურ ენებს.

ბატონ არტურ ლაისტის მისამართია: კომერციული ბანკი, ბათუმი.

ფშავური ლექსები, რომელთა შესახებ „მოამბეში“ დაიბეჭდა შენიშვნები, თბილისში 1887 წელს გამოქვეყნდა. ისინი შეგიძლიათ მიიღოთ „ქართულ საგამომცემლო საზოგადოებაში“.

მოუთმენლად ველი თქვენი ნაშრომის მიღებას.

თქვენდამი ჩემი უკანასკნელი წერილის გამოგზავნის შემდეგ ინგლისში აღმოჩნდა კ.დოდაშვილის გრამატიკის ჩემეული თარგმანი. მე ვთხოვე ჩემს მეგობარს ოქსფორდში, რომ იგი ჩემთვის დაებეჭდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვშიშობ, ინგლისში არ უნდა ჰქონდეთ ქართული შრიფტი. თუკი მას ჩემს ქვეყანაში ვერ დავაბეჭდვინებ, როგორ ფიქრობთ, მიიღებს მას დასაბეჭდად რომელიმე ფილოლოგიური ჟურნალი ვენაში?

გულწრფელად თქვენი

ოლივერ ჟორდროპი“.

„ქერჩი, 16 სექტემბერი 1895

ძვირფასო ბატონო!

ჩვენი წერილები გზაში ასცდა ერთმანეთს, ასე რომ, მე თქვენს ორ წერილზე მომიხდება პასუხის გაცემა.

ხომ ვერ გამომიგზავნიდით ასლს „Literarische Centralblatt“-ის იმ ნომრისას, რომელშიც დაბეჭდილია თქვენი ინფორმაცია ჩემი დის „Folk Tales“-ზე? ბატონი ქვორიჩი ჩემს დას უბეჭდავს ი.ჭავჭავაძის „განდეგილის“ თარგმანის ერთ ვარიანტს, რომელიც დაახლოებით 6 კვირაში იქნება მზად.

ვერ გამოვიგია, რატომ არ ეხმაურებიან თქვენს წერილს თბილისში. ეს, ალბათ, იმ ფაქტითაა გამოწვეული, რომ ამჟამად ყველა ქალაქ-გარეთაა გასული.

ისინი არც ისეთი სულელები არიან, რომ შეურაცხყოფილად იგრძნონ თავი იმის გამო, რომ თქვენ გამოტოვეთ ტიტული „პრინცი“, რაც უმრავლესობის თვალში სასაცილო ჩანს.

გმადლობთ ცაგარლის კატალოგის ჩემეულ თარგმანში უხეში შეცდომის მითითებისთვის. იძულებული ვიყავი, კორექტურები ნაჩქარევად წამეკითხა და ეს არ უნდა იყოს ერთადერთი შეცდომა, რომელიც მე გაუსწორებელი დამჩნა.

ჩემი კარგი მეგობარი მორფილი²⁵⁸ მუშაობდა ქართულზე, მაგრამ ისე ღრმად ჩაეფლო სლავურ გამოკვლევებში, რომ ამ ბოლო დროს ნაკლებ ყურადღებას უთმობს იბერიულს, თუმცა ამ ენის მიმართ იგი მაინც იჩენს ინტერესს.

კონიბირს²⁵⁹ გავუგზავნე დოდაშვილის ნაშრომის ჩემეული თარგმანის პირველი ნაწილი, მაგრამ ამჟამად ის მოგზაურობს, რაც ადრე არ ჰქონდა გათვალისწინებული და, ეტყობა, დიდხანს გასტანს. ამიტომ თარგმანი კლერმონ-ფერანდიდან დამიბრუნდა აღნიშვნით: „მისამართს მოგვიანებით გამოგიგზავნით“. ამიტომ ჩემი სტატია გავუგზავნე ფრიდრიხ მიულერს და ვიმედოვნებ, რომ ის დამიბეჭდავს. დოდაშვილის ნაშრომის პირველი ნაწილი დაიბეჭდა 1894 წელს „მოამბის“ №4-ში, მეორე („მოამბე“, №6, 1894) კი მთლიანად პარადიგმებს შეიცავს. ასე რომ, მიმამჩნია, უკეთესი იქნება, თუ სტუდენტებს ორიგინალს მივუთითებთ.

²⁵⁸ უილიამ მორფილი (1834-1909) – ინგლისელი ფილოლოგი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. 1888 წ. იმყოფებოდა საქართველოში. გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე.

²⁵⁹ ფრედერიკ კონიბირი (1856-1924) – ინგლისელი არამენოლოგი, ბიბლიის ცნობილი მკვლევარი. რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ქართული ბიბლიის შესწავლას.

ამას წინათ კიეველ პროფესორ კულაკოვსკისთან ერთად ჩართული ვიყავი ახლახან აღმოჩენილი ქრისტიანული სამარხის (დაახლ. V ს. დასასრული) კვლევაში. სამარხზე ბერძნული ინიციალებით ნაწერილი იყო 41-ე ფსალმუნი. სამწუხაროდ, აქ მეტად ცუდი პირობებია არქეოლოგიური კვლევისათვის.

გულწრფელად თქვენი

ოლივერ უორდროპი“.

„ვერ გამიგია, რატომ არ ეხმაურებიან თქვენს წერილს თბილისში“ – სწერს უორდროპი შუხართს. ეტყობა, შუხართმა უორდროპისა და სხვათა მიერ მიცემულ მისამართებზე თბილისში არაერთი წერილი გაგზავნა და, პასუხი რომ ვერ მიიღო, გულდანყვეტილმა შესწივლა ამაზე ინგლისელ დიპლომატს. ეტყობა, საყვედური მელიქიშვილსაც მისვლია, ალბათ, ოდესაში. ყოველ შემთხვევაში, ჩანს, ეს ფაქტი გახმაურდა. ამის შესახებ „ივერიაში“ (17.XI.1895, №249) რუბრიკით „ახალი ამბავი“ გამოქვეყნდა ხელმოწერელი შენიშვნა (ვფიქრობ, იგი არტურ ლაისტის დანერილი უნდა იყოს):

„გრაცის უნივერსიტეტის პროფესორის შუხარტისგან, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა და ცდილობს გამოიკვლიოს მისი კანონები, ამას წინედ მოუვიდა წერილი ჩვენს პროფესორს მელიქიშვილს. შუხარტს მიუმართავს წერილებით თითქმის ყველა ქართველ გამოჩენილ მოღვაწეებისთვის. ის ახლა დიდს საყვედურს იწერება იმის შესახებ, რომ მის წერილებზე პასუხი თითქმის არავის არ გაუცია. პროფ. შუხარტი მოკლე ხანში დაბეჭდავს მესამე წერილს ქართული ენის შესახებ, სადაც ილაპარაკებს საზოგადოდ დედა-ენის მნიშვნელობაზე და კერძოდ-კი ქართულისაზე. წერილს ექნება საგნად აღძრას ქართველ ახალგაზდებში თავის დედა-ენის სიყვარული და თანაც სურვილი, რომ შეუდგნენ თავისის ენის მეცნიერულად გამოკვლევას. ეს წერილი, როგორც შევიტყუეთ, პროფ. მელიქიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდება ქართულ ენაზე“.

ივლისის ბოლოს უორდროპმა შუხართს გაუგზავნა ალექსანდრე ცაგარლის „ჯვარის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგის“²⁶⁰ ინგლისური თარგმანი, რომელიც შუხართმა გულდამით ნაიკითხა და შიგ მთარგმნელის მიერ დაშვებული შეცდომებზე მიუთითა. თან ისიც აცნობა, რომ მისი დის, მარჯორის, მიერ გამოცემულ ქართულ ხალხურ ზღაპრებზე გამომხაურება დანერა.

²⁶⁰ შესულია ნიგნში А.Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае: Православный палестинский сборник, т. IV, вып. I, С-Пб., 1888.

„ქერჩი, 15 ოქტომბერი 1895

ძვირფასო ბატონო შუხართ!

ვერ შევძელი, რომ უფრო ადრე მომეწერა თქვენთვის და მადლობა გადამეხადა ღია ბარათისა და თქვენი ორი საინტერესო ნაშრომისათვის²⁶¹. რომლებიც დიდი ყურადღებით წავიკითხე, რასაც ისინი უდავოდ იმსახურებენ, და მასში ჩემთვის ბევრი რამ სასარგებლო ვიპოვე. ჩემი მხრიდან კადნიერება იქნებოდა, თუნდაც კეთილგანწყობილი კრიტიკისთვის მიმემართა ისეთი ცნობილი ფილოლოგის მიმართ, როგორც თქვენ ბრძანდებით. მიუხედავად ამისა, ვეცადე, ჩემი კავკასიელი მეგობრები თქვენთან დამეკავშირებინა, თუკი მათ სურვილი ექნებოდათ, რომ თქვენთვის რაიმე შენიშვნა ან დამატებითი ინფორმაცია მოეწოდებინათ. დარწმუნებული ვარ, თქვენი ენერგიული ძალისხმევა ეპოქას შექმნის ქართულის შესწავლის ისტორიაში.

თქვენს წიგნში (Über das Georgische) ერთ რამეში უნდა შეგეპასუხოთ. თქვენ მე ისეთი სახით მომიხსენიეთ, რომელიც უფრო ქათინაურია, ვიდრე სიმართლე. უკეთესი იქნებოდა, თუ ჩემ მაგივრად, მაგალითად, ბატონ არტურ ლაისტს ახსენებდით²⁶².

რაც შეეხება ჭ-ს წარმოთქმას, უნდა ვაღიარო, რომ ტრანსლიტერაციაა *č* არ შეესაბამება იმას, რაც მოვისმინე. როგორც კი *Tšav-tšavadze* წარმოვთქვი, შენიშვნა მომცეს. ყველაზე ახლოს მდგომი ბგერა, რომელიც მოვძებნე, არის *dch* (*dč*), როგორც „red church“-შია.

თქვენს შეკითხვაზე უნდა გიპასუხოთ შემდეგი: გიორგი წერეთელი და მისი მეუღლე ანასტასია ერთად გამოსცემენ „კვალსა“ და „ჯეჯილს“.

შექსპირის მთარგმნელია მაჩაბელი, ყიფიანმა კი რამდენიმე მოკლე ნარკვევი დაწერა შექსპირზე. ოქრომჭედელი (რომელმაც გვარი რუსულ ყაიდაზე სერებრიაკოვად გადაიკეთა) ცოცხალია და წერილი „ივერიის“ რედაქციაში მიუვა.²⁶³

²⁶¹ იგულისხმება 1895 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები: „ქართული ენის შესახებ“ და „ტრანზიტის პასიური ბუნების შესახებ კავკასიურ ენებში“.

²⁶² თავის წიგნში შუხართი აღნიშნავს, რომ იმ თანამედროვე დასავლეთევროპელ მკვლევართა შორის, რომლებიც ხანგრძლივად და ნაყოფიერად საქმიანობენ ქართულის სფეროში და ამის დემონსტრირებასაც ახდენენ, მხოლოდ დამხოლოდ ინგლისელი ოლივერ უორდროპის გამოყოფა შემიძლიაო, თუმცა იქვე იმასაც დასძენს, უორდროპი რუსეთში ცხოვრობსო. უორდროპი თავმდაბლობას იჩენს და შუხართს შეახსენებს, რომ არტურ ლაისტს არანაკლები დამსახურება აქვს ქართულის წინაშე.

²⁶³ ილია ოქრომჭედლოშვილი (1838-98) – საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, ქველმოქმედი, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი.

ერთი თვის წინ დოდაშვილის ნაშრომის ჩემეული თარგმანი გავუგზავნე პროფ. ფ. მიულერს, მაგრამ მისგან ჯერჯერობით არაფერი ისმის.

კეთილი სურვილებით

გულწრფელად თქვენი

ოლივერ უორდროპი“.

კაცმა რომ თქვას, უორდროპს კონსტანტინე დოდაშვილის „საგრამატიკო ესკიზების“ მიხედვით ინგლისური თარგმანის დაბეჭდვის თაობაზე კონიბირისთვის არ უნდა მიემართა, საამისოდ ფრიდრიხ მიულერის კანდიდატურა ჯობდა, რადგან მიულერი უფრო ახლოს იდგა ნაშრომში გაშუქებულ საკითხებთან, რაკი ვენელ პროფესორს მანამდე თვითონაც ჰქონდა ქართულის შესახებ წერილი დაბეჭდილი²⁶⁴, რასაც 1898 წელს მეორეც მიაყოლა²⁶⁵. მაგრამ სწორედ იმ მომენტში მიულერს ქართულისთვის არ სცხელოდა და ამიტომ არც დაინტერესებულა ძველი ქართული ხელნაწერებით მოვაჭრე ალფონს მილიხის წინადადებით – ოთხ იბერიულ ხელნაწერს ხომ არ შეიძენთო – და იგი ჰუგო შუხართთან მიაგზავნა; ის კი არა და, თავისი კუთვნილი ქართული ხელნაწერებით სარგებლობაც შესთავაზა შუხართს: როცა მოისურვებთ, ხელნაწერი, რამდენი ხნითაც გნებავთ, შეგიძლიათ ჩემგან ითხოვოთო. მაგრამ უორდროპს მიულერმა რატომღაც დაუგვიანა პასუხი.

№6

„ქერჩი, 28 იანვარი 1896

ძვირფასო პროფესორო შუხართ!

მივიღე თქვენი ღია საფოსტო ბარათი და ასლი ჩემი დის წიგნის მიმოხილვისა. დიდი მადლობა! ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული სვანური ხალხური ზღაპრების კრებულის გამოცემის მნიშვნელობა და ამ მიზნით დიდი მასალა შევავსოვით.

ამჟამად გამოსაცემად ვამზადებთ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ თარგმანს, რომელიც ყველა საუკეთესო ხელნაწერთანაა შედარებული. ეს სამუშაო არაა ადვილი. ბევრი მონაკვეთი ბუნდოვანი და ამკარად ძალიან დამახინჯებულია.

²⁶⁴ „ქართული ზმნის უღლებსათვის“ („Zur Konjugation des georgischen Verbums“, Sitzungsberichte der philosophisch-historischen Classe der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften, B. 60, Jahrgang 1868, Heft I-III, Wien, 1869).

²⁶⁵ „ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ“ („Über den Ursprung der gruzinischen Schrift, Sitzungsberichte der philosophisch-historischen Classe der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften, B. 137, Wien, 1898).

ქართველებმა დიდი მოცულობის წინასწარი სამუშაო უნდა ჩაატარონ, ვიდრე უცხოელი სტუდენტები მათს უძველეს ლიტერატურას შესაფერისად გამოიყენებენ.

ჩვენ ყოველდღე ველით „განდგილის“ თარგმანის ასლებს და ერთ მათგანს თქვენ გამოგიგზავნი.

შესაძლოა ჩემს ზოგიერთ წერილს ჯერ თქვენამდე არც მოუღწევია. ამ ქვეყანაში საფოსტო სამსახური მონესრიგებული არაა. მაგალითად, რამდენიმე წიგნი, რომლებიც რომიდან 14 ნოემბერს გამომიგზავნეს ფოსტით, მე მხოლოდ 26 იანვარს მივიღე.

ჩვენ ახლა სრულიად იზოლირებული ვართ. ყინვის გამო ციხესიმაგრე ერთი თვეა ჩაკეტილია. გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი საშუალება კი არის ფეოდოსიის გზა, რომელიც ისე უვარგისია, რომ ხანდახან ქერჩიდან ფეოდოსიაში წერილის ჩატანას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ფეოდოსიიდან ლონდონში.

მოსალოდნელი არაა, რომ ყინული მარტის შუა რიცხვებამდე გალღვს.

საუკეთესო სურვილებით
 გულწრფელად თქვენი

ოლივერ უორდროპი“.

№7

„ბრიტანეთის ვიცესაკონსულო
 ქერჩი, რუსეთი
 10 ივლისი 1896

ძვირფასო პროფესორო შუხარტ!

დიდი მადლობა თქვენი სტატიისთვის „Khartwelische (რატომ Kartwelische არა?) Sprachwissenschaft“²⁶⁶, რომელიც დიდი ინტერესით წავიკითხე.

აღბათ, ნახეთ კონიბირის ნაშრომი ბარლაამისა და იოსაფატის ქართული და სომხური ვერსიების შესახებ (გვ. 101-104, ტ. VII, №2, Folk Lore, ივნისი, 1896)

მე არ ვეთანხმები ჩემი მეგობრის, კონიბერის, ყველა დასკვნას. ძალზე სანყენია, რომ მან მხედველობაში არ მიიღო ე.თაყაიშვილის გამოცემა: სიბრძნე ბალავარისი (ტფილისი, 1895, тип. груз. изд. Т-Ва).

მას შემდეგ, რაც მე და ჩემმა დამ დავასრულეთ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ თარგმნა, რომელიც ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული,

²⁶⁶ ივარაუდება „ქართველური ენათმეცნიერების“ I და II ნაკვეთი (1896), რადგან III ნაკვეთი მომდევნო წელს დაიბეჭდა.

ქართულში არ მიმეცადინია. მაგრამ ხვალ ჩემი ახალგაზრდა თბილისელი მეგობარი ჩამოდის და რამდენიმე კვირით დარჩება ჩემთან. ასე რომ, შესაძლებლობა მომეცემა, მისგან ცოტა რამ მაინც ვისწავლო.

ჩემი და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ივნისის დასაწყისიდან საქართველოში იმყოფება და, ალბათ, სექტემბრამდე დარჩება იქ. მან უკვე მოიპოვა რამდენიმე ძვირფასი შენაძენი ჩვენი ბიბლიოთეკისთვის და, ასევე, შეჰპირდნენ რანდენიმე ხელნაწერსა და წიგნს.

დიდად სამწუხაროა, რომ ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი „ივერია“ რვა თვით დახურეს.

საუკეთესო სურვილებით

გულწრფელად თქვენი

ოლივერ უორდროპი“.

რიხარდ მეკელაინი

რიხარდ გეორგ მეკელაინი (1880-1948) იყო გერმანელი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ქართველოლოგი და სლავისტი, საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი და უანგარო მეგობარი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1902 წელს იგი ვიურცბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა ახალი ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ინგლისური, ფრანგული, ესპანური და სლავური ენების მიმართ და ბეჯითად შეუდგა მათს შესწავლას. 1906 წლიდან მან ბერლინის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა და საფუძვლიანად დაეუფლა სლავურ ენებსა და აღმოსავლურ ფილოლოგიას.

მეკელაინის სამეცნიერო მუშაობას იმთავითვე გარკვეული მიმართულება მისცა მისმა მასწავლებელმა, ცნობილმა ენათმეცნიერმა ფ.ნ.ფინკმა, რომელმაც თავისი ნიჭიერი სტუდენტისა და შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერის მეცადინეობა ფინურ-უნგრული, ურარტული და ქართული ენების ინტენსიური შესწავლისკენ წარმართა.

1913 წელს მეკელაინმა ბერლინის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია („ფინურ-უნგრული, თურქულ-თათრული და მონგოლური ელემენტები რუსულში“), რისთვისაც მას იმავე წელს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

1914 წელს მეკელაინმა მუშაობა დაიწყო ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, როგორც მოხალისე ბიბლიოთეკათმცოდნე. შემდგომ მან გამოცდები ჩააბარა მეცნიერ-ბიბლიოთეკარის თანამდებობის მისაღებად და 1916-დან 1919 წლამდე ხსენებულ ბიბლიოთეკაში მუშაობდა.

1919 წელს მეკელაინი პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გადავიდა მრჩეველის თანამდებობაზე და გაცხოველებით შეუდგა საენათმეცნიერო საკითხების კვლევა-ძიებას. ჯერ კიდევ 1914 წელს მეკელაინი შეუდგა მასალების შეკრებას ქართულ-გერმანული ლექსიკონის შესადგენად. მომდევნო წლებში მეკელაინმა შეადგინა „გერმანული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო ქართველებისთვის“ (1818). პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „გერმანიაში დაიბადა ინტერესი არა მარტო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრისადმი, არამედ ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული ერის ისტორიისა და მწერლობისადმი და ქართველთა წრეებშიც გაჩნდა ძლიერი მისწრაფება, ისწავლონ და შეითვისონ გერმანიის კულტურა

და მეცნიერება, მწერლობა და ტექნიკა“, „ეს სახელმძღვანელო შედგენილ იქნა იმ მიზნით, რომ ქართველ ტყვეებს, რომლებიც გერმანიიდან შინ ბრუნდებოდნენ, საჩუქრად და გერმანიაში ყოფნის სამახსოვროდ ჰქონოდათ სრული და ადვილად გასაგები სასწავლო წიგნი გერმანული ენის აგებულებისა“. ამ წიგნის მეორე გამოცემა (1931) ავტორს დაუკვეთა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა. სახელმძღვანელოს მოჰყვა სხვა გამოკვლევები ქართულის სხვადასხვა სფეროს შესახებ: „ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და პრუსიის წიგნთსაცავში არსებული ქართული გრამატიკებისა და ლექსიკონების ბიბლიოგრაფია“ (ბერლინი, 1919), „ქართული შრიფტის ისტორია და ქართული სტამბის დაარსება“ (ბერლინი, 1922), „კავკასიის დღევანდელი ხალხები და მათი ენები“ (ბერლინი, 1922), „გერმანული ენის სახელმძღვანელო“ ლექსიკონითა და ქრესტომათიით ქართველებისთვის (1922), „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (1928), „გერმანული ენის სახელმძღვანელო“ ქრესტომატიით, ტექსტებით, სავარჯიშოებით (1931), გერმანულ-ქართული სიტყვარი, I (ბერლინი, 1937), II (ლაიფციგი, 1943). გერმანულ-ქართული ლექსიკონის საბოლოო დამუშავებისას მეკელაინს კ. გამსახურდია ეხმარებოდა.

1922 წ. მეკელაინმა ბერლინში დააარსა „რუსთაველის საზოგადოება“.

1926 წ. მეკელაინი მიიწვიეს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც ქართულსაც ასწავლიდა.

მეკელაინის ქართველ ნაცნობთაგან უნდა დავასახელოთ კ. გამსახურდია, რაფიელ ნიჟარაძე (მეკელაინის ქალ-ვაჟის ნათლიები), აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი...

ქართველი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულება იყო ის, რომ ორივე შვილი ქართველებს მონათვლინა. ვაჟი – ვოლფგანგ-კონსტანტინი – კ. გამსახურდიამ მოუნათლა. ქალი – თამარი – კი რაფიელ ნიჟარაძემ.

კ. გამსახურდიას მოგონებით, მან მეკელაინი გაიცნო 1918 წელს ბერლინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მალე დაუახლოვდა, ვაჟიც მოუნათლა და, რაკი გერმანელმა მკვლევარმა მოკლე ხანში შეისწავლა ქართული, ურჩია, შეედგინა ქართულ-გერმანული ლექსიკონი. იმავე წელს ბერლინში ჩასულა გამსახურდიას თანასოფელი, მილიონერი აკაკი ხოშტარია, რომელსაც, გამსახურდიას თხოვნით, დაუფინანსებია ამ ლექსიკონის გამოცემა.

აკაკი შანიძე იხსენებს: „პირადად მეკელაინი გავიცანი 1928 წლის სექტემბრის თვეში, როდესაც ოქსფორდიდან სამშობლოში ვბრუნდებოდი და ბერლინში შევჩერდი... ბერლინში ყოფნის დროს რიხარდ მეკელაინმა მიმიპატიჟა სალამოს ჩაიზე თავის საკუთარ სახლში...

ჩემი და რ.მეკელაინის საუბარი შეეხებოდა ქართულ ენას და იმ პერსპექტივებს, რომელიც გულისხმობდა ქართული ენის სწავლების საქმის კარგად დაყენებას ბერლინის უნივერსიტეტში. რ.მეკელაინმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როგორც ქართული ენის კარგმა მცოდნემ და მისგან უხილავი საქართველოს გულმხურვალე პატრიოტმა... ამ წლიდან დიწყო ჩემსა და რ.მეკელაინს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა. მან იქვე, ბერლინში მომიძღვნა იმ წელს დაბეჭდილი თავისი გერმანულ-ქართული ლექსიკონი, ხოლო როდესაც მე სამშობლოში დავბრუნდი, მას გავუგზავნი ჩემი რამდენიმე შრომა“.

რაფიელ ნიჟარაძე იგონებს: „რიჰარდის ოჯახში გავიცანი აღმოსავლური ენების დიდი მცოდნე, ქართული კულტურის დიდი მკვლევარი ჰუგო შუხართი. რიჰარდმა წარმადგინა მასთან და უთხრა: იცნობდეთ ამ ახალგაზრდასო, თან დასძინა: გულახდილად უნდა გითხრათ, ბატონო პროფესორო, რომ თქვენს დიდსა და საინტერესო კვლევით საქმიანობაში სათანადო ადგილს არ უთმობთ საქართველოს საკითხებსო. პროფესორომა შუხართმა დაიწყო თავის მართლება და დაასახელა ფაქტები, რომ იგი დიდ ინტერესს იჩენდა ქართველოლოგიისადმი“.

რიხარდ მეკელაინის ცხოვრებასთან დაკავშირებული ცნობებს დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ს.ჭიჭინაძის წიგნში „უცხოელი მეგობარი“, 1970, საიდანაც ამოკრებილია აქ დასახელებული ფაქტები.

გრაცში, ჰუგო შუხართის არქივში დაცულია რიხარდ მეკელაინის ერთი წერილი შუხართისადმი.

იმ ხანებში, როდესაც მეკელაინი ქართული ენით სერიოზულად დაინტერესდა, XX საუკუნის 10-იან წლებში, უცხოელ ქართველოლოგთა შორის ყველაზე დიდი ნონა ჰუგო შუხართს ჰქონდა. ახლა ძნელია გადაჭრით თქმა, 1920 წელს, როცა ხსენებული წერილი დაინერა, იცნობდა თუ არა მეკელაინი შუხართს, მაგრამ ის კია ცნობილი, რომ ქართულს იგი ჰუგო შუხართის გამოკვლევებით სწავლობდა. როდესაც აკაკი შანიძემ ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში ქართულად დაიცვა პირველი სადოქტორო დისერტაცია, ბუნებრივია, მას გაუჩნდა სურვილი, მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინა უცხოელ კოლეგებთან, მათთვისაც გაეცნო ქართული საენათმეცნიერო სკოლის მიღწევები და ერთერთ პირველ სამიზნედ სწორედ ჰუგო შუხართი შეარჩია. მას პირადად არ იცნობდა და მეკელაინს მიანვდინა თავისი წიგნები (თუმცა არც ამ უკანასკნელს იცნობდა პირადად), რათა ისინი მას გრაცში გადაეგზავნა. ერთი სიტყვით, ა.შანიძემ მეკელაინს შუამავლობა სთხოვა. ჯერ მეკელაინის წერილს გავეცნოთ შუხართისადმი:

„ბერლინი, 22 სექტემბერი, 1920

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

ბატონმა პროფ. შანიძემ თბილისიდან გამომიგზავნა თავისი ახალი ნაშრომები ქართული ფილოლოგიის სფეროდან და მთხოვა, ორი ეგზემპლარი თქვენთვის მომენვდინა. დღეს ისინი შეკვეთილი ბანდეროლით გამომცემლობა „Der Neue Orient“-ის“ მეშვეობით გამოგიგზავნეთ და მადლობელი დაგრჩებოდით, თუკი ორიოდ სიტყვით მათს მიღებას დამიდასტურებდით, რათა ეს ბატონ შანიძეს ვაცნობო. მინდა ეს საბაბი გამოვიყენო და ვაცნობოთ, რომ მე ქართველ მწერალ დოქტ. კონსტანტინე გამსახურდიასთან თანამშრომლობით გერმანულ-ქართული ლექსიკონი შევადგინე, რომელიც ხელნაწერის სახით მაქვს დასრულებული. მისი დაბეჭდვა ბეჭდვისა და ქალაქის გაძვირების გამო სიძნელეებთანაა დაკავშირებული. დასავლეთში ჩვენთვის უფრო საინტერესო ქართულ-გერმანულ ნაწილს ფ.ნ.ფინკის გარდაცვალების შემდეგ გადამუშავება სჭირდება და იმედი მაქვს, 2-3 წელიწადში დავასრულებ. ლექსიკონს საფუძვლად დავუდებ ქართული ბიბლიის მთელი ლექსიკა, იქ დადასტურებული თითოეული ზმნური ფორმა ინფინიტივში გადავიყვანე. ამას გარდა, მე მინდა მეფე ვახტანგის ქრონიკა („ქართლის ცხოვრება“), ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია, ვეფხისტყაოსანი და ჩემთვის მისაწვდომი სხვა ქართული წყაროებიც გამოვიყენო. ნაშრომი, ცხადია, საკმაოდ დიდტანიანი გამოვა, მაგრამ იმედი მაქვს, ვითარება წიგნის ბაზარზე რამდენიმე წელში გაუმჯობესდება. მე აქაური ქართული მისიის მეშვეობით საქართველოს მთავრობის დაინტერესება ვცადე ამ სამუშაოთი და იმის პერსპექტივა გამოჩნდა, რომ ისინი ბეჭდვის ხარჯების ერთ ნაწილს თვითონ გაიღებენ.

მიხარია, რომ ჩვენთან ქართულის მიმართ ინტერესი, როგორც იქნა, გაიზარდა, უფრო ცხოველი გახდა. ბოლოდროინდელ სემესტრებში ჩემს მეცადინეობებს ქართულში აღმოსავლურ სემინარზე ხშირად 3-4 მსმენელი ჰყავს. ბევრი მასალა ქართველი ტყვეების წერილებიდან მოვიპოვე, განსაკუთრებით, ხალხური მეტყველების სფეროში.

ულრმესი ყურადღებით თქვენი ერთგული

რიხარდ მეკელაინი

პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის
დამხმარე ბიბლიოთეკარი და აღმოსავლური
სემინარის დოცენტი,
ბერლინი, ვორთერშტრასე 47/II“.

რა წიგნები გაუგზავნა შანიძემ მეკელაინს, წერილში არაა მითითებული, მაგრამ აკაკი შანიძემ ჩემთან პირად საუბარში გაიხსენა

(1975), რომ მას შემდეგ, რაც დაბეჭდა თავისი გამოკვლევა „სტბი-ექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, მან ჰუგო შუხარტს მიაწვდინა ისინი, შემდეგ კი სამადლობელი წერილი მიიღო გრაცელი პროფესორისაგან. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს დროდარო სწერდნენ და შუხარტმა თავისი ერთერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ცნობები ქართული ხელნაწერებიდან“, რომელიც მან 1897 წელს დაწერა, მაგრამ არ დაუსრულებია და თითქმის ოცდაათ წელს ედო უჯრაში, 1927 წლის აპრილში, სიკვდილამდე 4 დღით ადრე, თბილისში გამოუგზავნა აკაკი შანიძეს, რომელმაც იგი მომდევნო წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VIII ტომში დაბეჭდა. სხვათა შორის, ეს ჰუგო შუხარტის მიერ დაბეჭდილი 770 ნაშრომიდან უკანასკნელი გამოქვეყნებული გამოკვლევაა.

ისევ რიხარდ მეკელაინს მივუბრუნდეთ. მისი პიროვნების უკეთ წარმოსაჩენად, ქართველი ხალხის მიმართ მისი გულითადი დამოკიდებულების საჩვენებლად ს.ჭიჭინაძის წიგნიდან რაფიელ ნიჟარაძის მონათხრობ ერთ ეპიზოდს დავიმონებ. პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებს, „რ.მეკელაინს დავალებული ჰქონდა ქართულ ენაზე მიმონერის შემონმებაც. ერთხელ, როდესაც მე იგი ჩვეულებრივ მოვინახულე, დამსვა და ნამიკითხა ერთი ქართველი ტყვე ჯარისკაცის, როგორც მახსოვს, ზუგდიდელი კაჭარავას, სამშობლოში გასაგზავნი წერილი, რომელშიც იგი თავისიანებს სწერდა: „ჯანმრთელად ვარ, მაგრამ უპურობა და შიმშილი ძალიან მანუხებს“ და სხვ. როდესაც წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, რიჟარდმა მითხრა, საბრალო კაცი! წარმოდგენილი მაქვს, თუ რა მდგომარეობაში არიან ტყვეები, მაშინ როდესაც ჩვენ, ლაგერს გარეშე მყოფნი, ვშიმშილობთო. ეს წერილი კარგია, მე მას გავუშვებ, იქნებ საქართველოდან ამ საბრალოს „სუხარი“ მოანოდონო. გარდა ამისა, მითხრა მან, მე გადავწყვიტე, ჩემი ერთი კვირის პურის ნახევარი ულუფა გავუზიარო მასო. ამ დროს ბერლინის თითოეული მცხოვრები დღეში მხოლოდ 200 გრამ პურს ლებულობდა და 500 გრამ კარტოფილის ნაფცქვენს. სწორედ ამ ვითარებაში ჩანდა უალრესად დიდი გულკეთილობა და წმინდა ადამიანური გრძნობები რიჟარდ მეკელაინისა. მან მაჩვენა გახვეული პურის ნაჭრები და პატარა წერილიც კაჭარავასადმი, რომელსაც ქართულად ეწერა: „კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეინიერების“, ქართველი ხალხის მეგობრებისგან“.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

პირთა საძიებელი

აბაზაძე ა.	242
აბაშიძე ი.	193
ადლერი	192
ავაქიანი დ.	299
ანტონი I	89, 90, 106, 161, 298, 303,
არდაზიანი ლ.	241
არლუთინსკი-დოლგორუკი მ.	193
ასბოტი ო.	113, 244
აღნიაშვილი ლ.	161
აჭარიანი პ.	78, 81, 111
ახვლედიანი გ.	2339, 155, 158, 241
ბაგაევი კ. (ბალაშვილი კ.)	270
ბადკე	274
ბალინტი –	იხ. ვალინტი
ბარდახი ი.	193
ბაუერი ა.	46, 47, 49, 50, 52–55, 57, 58, 61, 63, 64, 207
ბაქრაძე დ.	80, 105, 141, 241, 271, 295
ბეგიჩევი კ.	267, 293, 294, 296
ბენედიქტსენი	274
ბერლიცი	206
ბერნარდო ნეაპოლელი	158
ბეშკენაძე ა.	4, 28, 30, 141, 144, 146–148, 173, 202–210, 212, 215–220, 223, 225, 233, 256, 257, 259, 264
ბოდენშტედტი ფ.	128, 245
ბროსე მ.	80, 86, 106, 160, 197, 273, 304
ბრუსტონი შ.	299
გაბაშვილი ე.	153
გაბრიელ ეპისკოპოსი	160
გალაჯაშვილი	51, 52
გამბა ჟ.	128
გამსხურდია კ.	313, 315
გარტნერი თ.	38
გვარამაძე კ.	153, 162
გველესიანი გ.	243
გიორგი ბრწყინვალე	301
გიულდენშტედტი ი.	128
გოგებაშვილი ი.	66, 80, 86, 101, 105, 106, 154, 155, 159, 160, 161, 169, 186, 188, 191, 194, 202, 235, 238, 242, 243, 304, 305 / იაკობ 65, 186, 188, 191, 1904, 235, 236, 239

გოგიჩაიშვილი ფ.	4, 8, 30, 31, 41, 114–10, 122–127, 129–132, 135, 136, 138–141, 144, 148, 173, 200, 201, 237, 238
გოეთე ი.	6
გოეტლინგი	11
გოზალიშვილი შ.	150, 154
გოში ფ.	35, 229, 230
გრაფი	47, 49, 50, 53–55
გრენი ა.	291, 297
გურამიშვილი დ.	155, 241
დათეშიძე რ.	238, 243
დეფო დ.	241
დიასამიძე გ.	86, 305
დიდებულიძე ი.	241
დიეცი ფ.	12
დირრი ა.	4, 33, 284
დოდაშვილი კ.	86, 174, 294, 297, 303–306, 309
დოდაშვილი ს.	174, 244, 297, 305 /დოდაევის ს. 175
დოელტერი	47, 49, 52, 53–55, 58, 61
დოროშევსკი ნ.	193
ერისთავი გ.	158
ერისთავი ზ.	184, 186
ერისთავი რ.	155, 158, 161, 241
ერკერტი რ.	68, 83, 169, 296
ექვთიმე სიმონის ძე	იხ. თაყაიშვილი ე.
ვალინტი გ.	278, 288 /ვალლინტი 275 / ბალინტი 274, 282
ვახუშტი ბატონიშვილი	67, 76, 77, 79, 100, 158, 160, 241, 242, 273, 294, 315
ვარანცოვ-დაშკოვი ი.	83
ვახტანგ გორგასალი	78, 315
ვახტანგ VI	241, 271, 273
ვერიგო ა.	183
ვინდიში ე.	121, 123
ვოლფი მ. 23, 22	
ვოშინსკი მ.	278, 288 /ვოშანსკი 275
ვუტტე	275
ზაგურსკი ლ.	80, 296
ზადეცი	278, 288, 290 //სადეცი 275
ზაუადსკი მ.	82, 285, 291, 295
ზალემანი კ.	72, 112
ზეიდლიცი ნ.	30, 33, 34, 38, 70, 77, 80, 82, 285, 292, 293, 295, 297–299
ზელინსკი ნ. /ზილინსკი	182

ზივერსი ე.	33, 38, 121, 124, 125, 197, 198, 201
ზიჩი ე.	267, 274, 275–278, 282, 289, 291
ზიჩი მ.	241, 248
ზუბალაშვილები	149
თავდგირიძე ე.	182, 183
თავდგირიძე ნ.	193
თამარაშვილი მ.	42
თარხნიშვილი მ.	42
თაყაიშვილი ე.	30, 44, 147, 153, 154, 174, 175, 177–179, 202, 203, 209, 210, 213, 216, 220, 267, 273, 284, 285, 316/ ექვთიმე სიმონის ძე 210, 217, 218
თოფურია ვ.	233
თულაშვილი ვ.	141
თუმანიშვილი-ნერეთლისა ა.	242, 308
თუმანიშვილი კ.	127
იაგიჩი ვ.	228
იაკობ	იხ. გოგებაშვილი ი.
იანოვსკი კ.	263, 265, 266
იმნაიშვილი ვ.	36, 39, 222, 228
იმნაძე დ.	181
იოვანე ოქროპირი	105, 173, 227
იოსელიანი პ.	294
ირბახი ნ.	298
კავილაძე რ.	173, 174, 285
კარვაძე ი.	193
კარიჭაშვილი დ.	74, 150, 155–157, 159, 160, 162–165, 285, 292, 293, 298
კარსტი ი.	177, 178
კატო	იხ. თავდგირიძე ე.
კატონა ლ.	16
კაჭარავა	316
კახიანი პ.	238
კიურშნერი	258
კიუუნი ვ.	276
კლაპროთი ჰ.	128
კოვალევსკი	199
კონდრატენკო	80, 100, 161
კონიბირი ფ.	306, 309, 310
კორში	70
კრუმბახერი კ.	244
კულაკოვსკი	307
ლაზარევი ე.	42, 74, 84–86, 99, 111, 112, 197, 248, 308

ლაისტო ა.	30, 33, 36, 39, 43, 44, 76, 119, 142, 145, 146, 150, 152, 160, 166, 11, 172, 195, 202, 204, 208, 209, 212, 214, 219, 245-256, 258-260, 264-266, 287, 302, 305, 307, 308 /ლეისტო ა. 142, 143, 209, 210, 212, 261
ლემან-ჰაუპტი კ.	30, 33, 219, 244
ლეონიძე გ.	68, 185, 188,
ლესკინი ა.	121, 122, 123, 244.
ლიონიძე ს.	241 (სოლომონ მსაჯული)
ლომოური ნ.	242
ლოპატინსკი ლ.	3, 33, 38, 68, 104, 119, 150, 165, 166, 233, 251, 262-268, 270-275, 280-285, 288-296
ლორთქიფანიძე ვ.	51, 52
ლორთქიფანიძე კ.	86, 305
მაიერი გ.	35, 36-38, 40, 63, 131, 228, 229, 288-290
მაიროლდი მ.	3
მაირჰუბერები	26
მალვინა	21, 26, 57, 88
მამაცაშვილი მ.	173, 174, 285
მამაცაშვილი ქ.	242
მანსვეტაშვილი ი.	245
მარკრალი ჰ.	276
მარრი ნ.	30, 33, 42, 53, 83, 119, 138, 140, 147, 148, 150, 159, 166, 168, 173-179, 203, 210, 213, 214, 254, 284, 285, 296
მაქსვალდი	46, 182
მაჩაბელი ი.	86, 305, 308
მაჭავარიანი კ.	270
მდივანი ს.	193
მეკელაინი რ.	30, 33, 219, 222, 312-316
მელაძე ლ.	240
მელიქიშვილი პ.	8, 28, 33, 35, 36, 38, 42-47, 49, 50, 52-56, 58-66, 86, 107, 119, 131, 11, 147, 155, 168, 173, 181-184, 193, 194, 210, 220, 223-225, 227, 229, 23, 233, 260, 264, 307 /მელიქოვი პ. 28, 187, 220, 223
მელიქიშვილი ს.	141
მერცბახერი გ.	256
მეუნარგია ი.	48, 86, 147

მითრიდატ დიდი	241
მილერი ვ.	111, 288, 295
მილხი ა.	98, 142, 162, 163, 227, 309
მირიან შუფე	241
მიულერი ფ.	4, 29, 110, 116, 167, 171, 172, 306, 309, 310, 316,
მოდებაძე პ.	238
მომცელიძე ტ.	237, 238
მორისი უ.	303
მორფილი უ.	33, 38, 244, 247, 306
მოსეშვილი ი.	186, 191, 193
მსერიანცი ლ.	111, 176
მუნკაჩი ბ.	276
მურკო მ.	205
მუსაფია ა.	19
მუხრანსკი ი.	150
მჭედლიშვილი ი.	238
ნადუ გ.	276
ნატი დ.	303
ნეიდინგოვა ა.	193
ნემიროვსკი ა.	65
ნიკოლოზ ბესარიონის ძე	იხ. ლოლობერიძე ნ.
ნინო (ნმ.)	154, 241, 301, 309, 310
ნინოშვილი ე.	158
ნიჟარაძე რ.	313, 314, 316
ნოზაძე ვ.	42
ობერგი	282
ორბელიანი გ.	149
ორბელიანი ს-ს.	102, 155, 301, 303
ოქრომჭედლიშვილი (ოქრომჭედელი/სერებრიაკოვი) ი.	308
პატონი უ.	244
პეტერმანი	129
პეტრიაშვილი ვ.	42, 47, 52, 52, 65, 66, 180-186, 188, 191-194
პილი	275
პირსონი ე.	145, 249, 253
პროცენკო	297
ჟორდანია ნ.	4, 30, 32, 86, 103, 114, 115, 118, 122, 146, 147, 161, 173, 195, 196-201, 237, 250, 264
ჟორდანია თ.	86, 147, 303, 305
რაინინგჰაუსი	49, 50, 52-55, 58, 61
რატცელი	269
რიაზინინი მ.	54-56

რიკერი კ.	169
როზენი ვ.	87, 288
რიჩლი ფ.	12
რიხტერი ე.	3, 25
როსტომაშვილი ი.	242
როდოკანაკისი ნ.	216
რუსთაველი	30, 71, 72, 75, 145, 154, 219, 248, 249, 313, 240
რუხაძე ი.	241
რჩეულიშვილი (რჩეულოვი) გ.	241
სადეცი	იხ. ზადეცი
სანდალა	153 (იხ. აგრეთვე ჭიჭინაძე ზ.)
სარაჯიშვილი დ.	33, 59, 60, 99, 101, 114, 117, 119, 131, 141, 149, 170, 172, 247, 250, 255 /დავით ზახარიევი 217 192
სარაჯიშვილი ა.	30, 242, 243
სახოკია თ.	192
სეით	205
სვანიძე გ.	227
სიმონ სალოსი	50, 53
სკრუპი	იხ. ლიენიძე ს.
სოლომონ მსაჯული	270, 271
სტეფანეშვილი მ.	192, 193
სურგულაძე პ.	89, 244
ტეცა ე.	276
ტიური ი.	298
ტლუკაანთ გიორგი	132
ტომსენი ვ.	270
ტორიაევი	244
ტრომბეტი ა.	241
ტურიაშვილი ლ.	38
ტურნეისენი რ.	205
უზნაძე პ.	39
უთურგაიძე თ.	244
ულენბეკი ქ.	48, 86, 114, 146, 147, 251, 252, 305
უმიკაშვილი პ.	4, 269, 301 //მარჯორი 252, 301, 307
უორდროპი მ.	32, 33, 38, 85, 171, 252, 301, 302, 304, 305, 307, 309-311
უორდროპი ო.	266, 267, 292, 295-297
უსლარი პ.	16
ფარინელი ა.	193
ფალავა ი.	229
ფელინი	258, 312, 315
ფინკი ფ.	

ფირალოვი გ.	92
ფირცხალავა ს.	193
ფიშერი კ.	11
ფლაიშჰაკერი	47, 49, 50, 53-55, 58
ფორესტიე ე.	299
ფრიდრიხი ვ.	250
ქართველიშვილი გ.	241, 242, 248
ქვორიჩი	306
ქთავქლიშვილი	131
ქუთათელაძე ა.	153
ლლონტი თ.	233
ლონლაძე ს.	153
ლოლობერიძე ბ.	149
ლოლობერიძე ნ.	30, 33, 60, 86, 114, 117-121, 127, 131, 140-148, 195, 199, 200, 203, 207, 210, 211, 213, 214, 216, 250-253, 264, 305 / ნიკოლოზ ბესარიონის ძე 211
ლოლობერიძე ს.	86, 305
ყაუხჩიშვილი ს.	233, 313
ყიფიანი დ.	149, 154, 161, 303, 308
შავთელი	140, 148
შანიძე ა.	3, 8, 25, 26, 28, 34, 35, 45, 79, 99, 107, 131, 150, 159, 163, 166, 219, 221, 222, 225, 226, 230, 232, 233, 289, 313, 314-316
შილერი	286
შლაიხერი ა.	11
შმიდტი ი.	17
შპიცერი ლ.	25
შროედერი ლ.	63
შულცე კ.	244
ჩებოქსარევისა ლ.	193
ჩერქეზიშვილი ვ.	293
ჩილონგარიანი ი.	275
ჩიქობავა ა.	233
ჩორაევი	83, 296
ჩუბინაშვილი დ.	80, 106, 116, 132, 147, 148, 151, 169, 172, 20, 254, 294, 303
ჩხენკელი კ.	42
ცაგარელი ა.	30., 33, 38, 42, 72, 80, 83, 159, 167-173, 227, 248, 255, 260, 264, 296, 304
ცინგმაისტერი კ.	244
ციციშვილი გ.	275-277, 282

ციციშვილი ვ.	240
ცოტერი ჰ.	3
ცუმბინი ბ.	170
ცხედაძე ნ.	202, 251, 252
წერეთელი ა.	130, 139, 237
წერეთელი გიორგი	48, 86, 147, 305, 308
წერეთელი გრიგოლ	42, 48,
წერეთელი მ.	42 86, 147
ჭავჭავაძე ა.	158
ჭავჭავაძე ი.	6, 30, 130, 149–152, 155, 158, 161, 166, 183, 219, 241, 245, 252, 257, 285, 292, 293, 297, 300, 303, 306 153, 237 (იხ. აგრეთვე სანდალა)
ჭიჭინაძე ზ.	242
ჭიჭინაძე მ.	314, 316
ჭიჭინაძე ს.	241
ჭონქაძე დ.	86, 305
ჭყონია ა.	48, 50, 86, 147, 305
ჭყონია ი.	99, 111
ხალათიანი გ.	3, 7, 2, 30, 33, 42, 60, 74, 76, 78, 80, 84–86, 92, 93, 98, 99, 103, 104, 110–113, 119, 131, 150, 151, 159, 167, 171, 173, 234, 242, 248, 260, 270
ხახანაშვილი ა.	68
ხელაძე ლ.	313
ხოშტარია ა.	4, 81, 86, 111, 138, 140, 148, 305
ხუნდაძე ს.	45, 114, 214, 233
ჯავახიშვილი ი.	38
ჯაკომინი კ.	188, 202, 203, 210, 214, 29–32, 45, 67, 68, 70, 71, 73–77, 79, 80, 82, 83, 85, 100, 101, 119, 130, 150, 157, 166, 172, 196, 233, 241, 242, 260, 275, 285, 291, 292, 293, 295, 296, 298
ჯამბაკურ-ორბელიანი მ.	217, 218
ჯანაშვილი მ.	240
ჯანდიერი ნ.	74, 156, 298
ჯეიდიძე ს.	242
ჯიროლამო და ნორჩია	30, 33, 38–40, 166, 169, 197, 278, 285–291
ჯულელი ა.	26, 35, 161, 162
პანი კ.	296
პარასოვიცი თ.	250
პარკორევი	88, 89
პარტი	
პარტლებენი კ.	

ჰაქსტჰაუზენი ა.	128, 199
ჰილმი ა.	35
ჰინებერგი	258
ჰირზემანი	129
ჰირტი გ.	122, 199
ჰირტი ჰ.	122, 201
ჰიუბშმანი ჰ.	244
ჰიუგო ვ.	153
ჰომეროსი	286
ჰუმბოლდტი ვ.	11
Ахпателов М.	153
Бешкенадзе А.	218
Ган К.Ф.	289
Гогоберидзе Н.	48
Додашвили К.	303
Жордания Ф.	48
Лопатинский Л.Г.	265
Марр Н.Я.	177, 179
Меунаргия И.	48
Миханкова В.	177
Насидзе М.	153, 154
Такаишвили Е.С.	267
Умиков П.	48
Церетели Г.	48
Церетели Г.Ф.	48
Цицишвили Н.	45
Чавчавадзе И.	152
Чкония И.	48
Abicht R.	170
Beschkenadse A.	206
Brosset M.	76, 197
Cickieff	240
Dateschidze R.	243
Djanashvili M.	77
Gerhard R.	170
Girolamo da Norchia	156
Gogobéridzé N.	143
Gvelessiani	240
Khthawkhlischwili	131
Leist A.	170
Marr N.	177
Momzelidse T.	235-237
Petermann	129

Pirson E.	258
Rustaweli	170
Teza E.	170
Wakhoucht	76
Wardrop M.	170
Wardrop O.	170
Winternitz	258

შინაარსი:

ჰუგო შუხართი სანერი მაგიდის მიღმა	3
როდის აპირებდა ჰუგო შუხართი საქართველოში ჩამოსვლას?	33
პეტრე მელიქიშვილი	42
მოსე ჯანაშვილი	67
ალექსანდრე ხახანაშვილი	84
ფილიპე გოგიჩაიშვილი	114
ნიკო ლოლობერიძე	141
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ილია ჭავჭავაძე	149
ალექსანდრე ცაგარელი	167
ნიკო მარრი	173
ვასილ პეტრიაშვილი	180
ნოე ყორდანია	195
ალექსანდრე ბეშკენაძე	202
აკაკი შანიძე	221
მიუნხენის, პარიზისა და ჟენევის ქართველობა	234
დამატება	244
არტურ ლაისტი	245
ლევ ლოპატინსკი	262
კარლ ჰანი	286
ნიკოლოზ ზეიდლიცი	292
ოლივერ უორდროპი	301
რიხარდ მეკელაინი	312
პირთა საძიებელი	317

ტირაჟი 350

საგამომცემლო ფირმა „ტრიადა“

თბილისი, ულენტის ქ. 33.

ტელ.: 92-20-07, 899 530-420

28

01/11/21

